

იოსებ სიბორვილი

წყურვილი ჭეშმარიტებისა

რომანი

იოსებ სიბოშვილი

წყურვილი ჭეშმარიტებისა
რომანი



გამომცემლობა „მერანი“
თბილისი
2014 წელი

ვუძღვნი დედის, ქეთევან ტოგონიძის ნათელ ხსოვნას

ავტორი

წიგნში მოთხრობილია ქართველ პატრიოტ ბიზნესმენთა თავგადასავალი, რომელთაც მოღვაწეობა მოუწიათ ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საწყის ეტაპზე. მათი მიზანი, საქართველოსთვის ადგილი დაემცვიდრებინათ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების დად ოჯახში, ძლიერი ეკონომიკის შექმნას ემყარებოდა, რაც თავის მხრივ მძლავრი სახელმწიფოს შექმნის საწინდარი იქნებოდა.

რომანში მოთხრობილია ამბები რეალურ ფაქტებს ემყარება.

რედაქტორი:

ოპერატორები:

კორექტორი:

დამკაბადონებელი:

მანანა გორგიშვილი

ალექსანდრე ბოლოთავევი

თამარ სიბოშვილი

თეონა ჯანჯალაშვილი

თამარ ტყაბლაძე

© იოსებ სიბოშვილი 2014

ISBNBN 978-9941-9318-8-8

ავტორისაგან

ჩემი თაობის ადამიანები ვერ იტყვიან, რომ მათ გონიერაში არ იყო ჩადებული ის კომუნისტური კოდი, რომელიც ყოველ ჩვენგანს მეტ-ნაკლებად სატანის მსახურებისაკენ უბიძგებდა. მაგრამ 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში, ეროვნული სულის ოდნავ გამოცოცხლების შედეგად, ჩვენში მყარად ჩამოყალიბდა ერთს გადარჩენისათვის ბრძოლის სურვილი. ჩვენში გაიღვიძა მეომრულმა სულმა. დავეწაფეთ არალეგალურ ლიტერატურას და ხარბად დავიწყეთ უცხოეთის ქვეწების ცხოვრების დონის შესწავლა, რათა იქიდან ამოგველო ყველაფერი ის დადებითი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალს წაადგებოდა. აშკარად ჩანდა, რომ ჩვენ, იმ დროის 25-30 წლის ახალგაზრდები, ვიქებილით ახალი ცხოვრების, ახალი ეპოქის დაწყების ინიციატორები. ჩვენ უნდა გავდებოდით, „გზად და ხიდად“, მომავალ თაობას დაახლოებით ათი წლის მანძილზე რათა მათ ჩვენზე გავლით საქართველო და ქართველი ხალხი შეეყვანათ ახალ, სუფთა, დემოკრატიულ წყობილებაში, რომ ჩვენს ქვეყანას საბოლოოდ დაექციდონ ეს თავი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის. ეს დაახლოებით ისეთივე ქმედება იქნებოდა, როგორც მოსეს მეთაურობით ისრაელის სვლა ეგვიპტიდან აღთქმულ ქვეყნამდე, ანუ მონობიდან-თავისუფლებამდე.

საუბედუროდ, საქართველოს ხელისუფლებაში, და არა მარტო ხელისუფლებაში, მოსულმა შავ-ბნელმა, ნაკომუნისტარმა სატანისტურმა ძალებმა ჩვენი თაობის მიერ წამოწევებული ეს სულიერი მოძრაობა ჩაკლეს. შემოქმედი და ინტელექტუალური ახალგაზრდების დიდი ნაწილი შეეწირა აფხაზეთის და სამაჩაბლოს ეთნოკონფლიტებს, სამოქალაქო ომს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეპრესიებს. ხოლო ვინც გადარჩა, უმრავლესობა აიძულეს, წასულიყო უცხოეთში. აქ დარჩენილები კი მუდმივი წნეხის ქვეშ ჰყავდათ და გასაქანს არ აძლევდნენ.

ყოველივე ამან გზისა და ხიდის ნაცვლად ძველსა და ახალ თაობას შორის შექმნა ის დიდი ბნელი უფსკრული, რომელშიც აღიზარდა, უფრო სწორად, გაიზარდა ის თაობა, რომლის დიდ ნაწილს საეჭვო ზნეობის ახალგაზრდები შეადგენენ, რომლებმაც, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეებისა-გან მხოლოდ უარყოფითი თვისებები გადმოიღეს. ხელისუფლებაში შეღწეულმა ახალგაზრდებმა ცხოვრების ნორმად დაიმკვიდრეს ქვეყნის ბიუჯეტის გამოხვრა და პირადი გამდიდრების მიზნით სამშობლოს დაქცევა. მართლდებოდა ერთ-ერთი გამოჩენილი მწ-ერლის სიტყვები: „ღმერთს რომ ქართველთათვის იმდენი ჭკუა და შრომის უნარი მიეცა, რამდენიც მადა და წამბაძველობის ნიჭი მისცა, ეს ხალხი აქამდე ქვეყანას გადააბრუნებდა“.

მეფის რუსეთის და კომუნისტების შავ-ბნელი ძალები ყოველ-ნაირად ეცადნენ, რომ ქართველი კაცისთვის აზროვნების უნარი წაერთმიათ, მაგრამ მათ ამ პროცესის ნაწილობრივ შეჩერება შეძლეს. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოში შემოჭრილმა დასავლეთის ეგრეთწოდებულმა ცივილიზაციამ ქართველი კაცის აზროვნება დაანგრია, გადააგვარა და მას ის ფესვები მოსჭრა, რითაც საზრდოობდა და რითაც იყო ქებული. „ვეჟხისტყაოსანი“ დაავიწყა, დიდი თამარი შეაგინებინა, დიდი ილია „გაი პოლიტიკოსების“ პოპულიზმის განუყოფელ ატრიბუტად აქცია. სახელმწიფო მოხელეებს იმ დონეზე გაეყინათ ტვინი, რომ საკუთარი ქვეყნის ფულის ნიშანზე დახატულ ივანე ჯავახშიშვილს, მიხეილ უწოდეს და ბოდიშიც კი არ მოუხდიათ, ან რატომ მოიბოდიშებდნენ, მანამდე მათ მიერვე ხელის ჭუჭყად ქცეული ქართველი წმინდანების დახატვისათვის შენიშვნაც კი არავის მიუცია.

ასეთ „მოაზროვნებს“ სულ არ აინტერესებდათ ატენის სიონს ან ჯვრის მონასტერს სომეხი სომხურად მიიჩნევს თუ არა, რად-გან ფესვები მოჭრილი აქვთ და საკუთარი ბედნიერებისათვის

არც თავის მოჭრას მოერიდებიან. ისინი დაკავებულნი არიან არა საკუთარი მყოფადის დღეგრძელობით, არამედ დასავლეთში სან-აგვეზე გადაყრილი ნივთებისა და „აზროვნების“ იმპორტით, რაც მხოლოდ დაღუპვამდე თუ მიიყვანს ისედაც უფსკრულის პირას მდგარ ჩვენს სამშობლოს.

ბოლნისის სიონის ტაძრის ლოდზე ამოკვეთილია სიტყვები: „ეჳა ვა მე დღისა მისთვის რომელი მოიწია ჩვენდა“.

— კავკასიონზე მიჯაჭვულო ამირან, წინასწარმეტყველური აზროვნების მამავ, როდემდის უნდა კორტნიდეს ინდოევროპელთა მოდგმის არწივი და მსოფლიოს საიდუმლო მთავრობა შენს გულ-ლვიძლს!?. როდემდის უნდა გვპლავდეს წყურვილი ჭეშმარიტებისა!?



მხატვარი მალხაზ ლალიძე

ნიგნი პირველი

„...ჭინც უყვარს უფალს, მასვე
ზრდის; ხოლო შოლტით სცემს
ყველას, ვისაც ძედ იღებს“
(ებრ. 12.6.)

|

ათას ცხრაას ოთხმოცდათერთმეტი წლის 20 დეკემბერს ქალაქში ჩვეულებრივი თბილისური დღე იდგა, მზე ანათებდა, მაგრამ ციოლდა. საღამო ახლოვდებოდა. ოთხი ახალგაზრდა კაცი რკინიგზის სადგურის პირველი ბაქნისაკენ მიიჩქაროდა. თბილისი-მოსკოვის სამგზავრო მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი. ოთხივე მამაკაცი, რომელთაც საქმაოდ სოლიდური ბარგი მიჰქონდათ, სერიოზული და დაფიქრებული სახეებით შევიდნენ ვაგონში, გამცილებელი ქალის მეშვეობით მოძებნეს თავიანთი კუპე და მაშინვე შიგ ჩაიკეტნენ.

— მაინც წამოიღე არა?! შენზეა ნათქვამი, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, — გადაულაპარაკა ლევანმა ზაურს და კოსტუმის შიგნით ჩადებულ ბარაბნიან რევოლვერზე მიუთითა.

— რა ვქნა, ამის გარეშე არ შემიძლია, — მიუგო ზაურ გელაშვილმა.

— პრობლემებს ნუ შეგვიქმნი და თუ გინდა, მთელი არსენალი აისხი ზედ, სახლში კი გაქვს, ერთი ტანკი გაკლია მგონი. — ჩაიცინა ლევანმა და თან ორი მუყაოს ყუთი, რომელსაც ეტყობოდა, რომ მძიმე უნდა ყოფილიყო, მოათავსა საწოლის ქვედა საბარგულში.

— ეს საქმე ჩამამთავრებინა კარგად და, კაცობას გეფიცები, თუ ტანკი არ დავიყენო სახლთან ორ დღეში. ერთი რუსი პოლკოვნიკი უკვე ერთი თვეა მეხვეწება, ორმოცდაათი ათასში გაგიკეთებო, — ხვნებით თქვა ზაურმა და იქვე საწოლზე ჩამოჯდა.

— რა არის, დაგეწყო უკვე, ალექსანდროვიჩ? — უთხრა კოტებ
და თვალი თვალში გაუყარა.

— არა, არა, ყველაფერი კარგად იქნება, მე ცოტას წამოვწვე-
ბი, — მიუგო ზაურმა და ტანსაცმლის გამოცვლა დაიწყო.

ზაურ გელაშვილი, რომელსაც ლევანი და კოტე სულ სამი-
ოდე თვეა იცნობდნენ, ასოციაცია „იმედის“ ვიცე-პრეზიდენტი
გახლდათ, ზვიად გამსახურდას ხელისუფლების აქტიური მხ-
არდამჭერი და გაცვეთილი აფერისტი, რის გამოც თბილისიდან
გააგდეს, წავიდა მოსკოვში. იქ ჯერ ციხეში ამოყო თავი ან-
დროპოვის ზეობის პერიოდში, ხოლო შემდეგ საშუალო დონის
აფიორებში მონაწილეობით ფიასკო განიცადა და ახლა მოსკ-
ოვიდან გამოაგდეს. შემდეგ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე,
სხვადასხვა რჯულის ნაძირლებთან ერთად ეროვნულ მოძრაო-
ბას მიერგმასნა და, დღეის მდგომარეობით, საკმაოდ გავლენიან
ფიგურას წარმოადგენდა ხელისუფლებაში. მხოლოდ ჯანმრთე-
ლობა არ უწყობდა ხელს, ორჯერ ჰქონდა ინფარქტი გადატანი-
ლი, ხშირად ემართებოდა სტენოკარდიული შეტევები. ამიტომ
ლევანს და კოტეს მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყავდათ, რათა
არაფერი დამართოდა.

მატარებელი დაიძრა. თითქოს ამ მომენტს ელოდებოდა გამ-
ცილებელი გალია:

— **Товарищи, подготовте билеты!**

ქართველებს სიტყვა „ტავარიშჩი“ ცოტა ეხამუშათ, რადგან
საქართველო უკვე დამოუკიდებელი დემოკრატიული ქვეყანა,
დიდი ხანია გადასული იყო „ბატონოზე“ და „ქალბატონოზე“,
ხოლო რუსეთში ჯერ კიდევ კომუნისტური წყობილება მოქ-
მედებდა და თუ არა მცირე კოოპერატიული მოძრაობა, ვერ იგ-
რძობდით სულ მალე თუ რუსეთშიც ახალი ცხოვრება დაიწყე-
ბოდა. ახალი ცხოვრება — რა კარგად უღერს და, შენ თვითონ
თუ არ განიცადე ეს „სიამოვნება“, ვერა და ვერ გაიგებ, მართლა
დაიწყო ახალი ცხოვრება თუ არა. სინამდვილეში ახალი არაფე-
რია, გარდა სახელებისა, ანუ ერთი ხელისუფლება მიღის და

მეორე მოდის, იღვრება უდანაშაულოთა სისხლი, რომელთაც მთავრობის კაცები თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად გმირებად ნათლავენ, ხოლო შემდეგ არავის ახსოვს. რევოლუცია მზადდება რეაქციული ძალების აგიტაცია-პროპაგანდით, რომელიც აუცილებლად ფინანსდება ვიდაცის მიერ. რევოლუციის განსახორციელებლად იყენებენ მასებს, სადაც ძირითადად ფანატიკოსები სჭარბობენ. რევოლუციის დამთავრების შემდეგ ხელისუფლებაში ხვდებიან ნაძირალები, რომლებიც ყველა წინამდებარე პროცესებში ნაკლებად მონაწილეობენ, ან დამკვირვებლის როლში არიან. მავანისა და მავანის პირად ამბიციებს შეეწირა 1956 წლის 9 მარტს მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლე, 1978 წლის 14 აპრილს ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა სტუდენტობა მასიურ გაულეტას. 1989 წლის 9 აპრილს იმდენი ქნეს აქციის მონაწილეებმა, სანამ უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლთშეწირვა არ მოხდა, რომ შემდეგ ამ აქციისათვის რევოლუცია ეწოდებინათ. ოუმცა შეიძლებოდა ყველაფერი მშვიდობიანი გზით უფრო უკეთესად გადაწყვეტილიყო. სწორედ ამ და სხვა აქციების მონაწილე ორი ქართველი იჯდა კუპეში ერთმანეთის პირისპირ. ერთი ჩეგნთვის ნაცნობი ზაურ გელაშვილი, რომელიც გალია გამცილებელს ბილეთებს აძლევდა და თან მის კითხვებზე პასუხობდა:

— Ну что, товарищи, едем в Москву по делам, или гулять? — да и батюшку сядь гаражу иди.

— Так точно, товарищ генерал, и по делам, и гулять, — უპასუხა ზაურ ალექსანდროვიჩმა.

ზაურ გელაშვილი გენერალზე დაბალ თანამდებობას არ ცნობდა. ეს მისი ხასიათიდან გამომდინარე იყო და მთავრობაზეც იმიტომ იყო მიტმასნილი, რომ კარიერა გაუკეთებინა.

მეორე ქართველი, მოხევე ვაჟიკო-პალიკო კობიაშვილი გახლდათ, რომელიც ვაგონის ფანჯრიდან ჯვრის მონასტერს შესცემოდა და პირჯვარს იწერდა. ეს პიროვნება ეროვნულ მოძრაობას უფრო წინა პერიოდიდან მოჰყვებოდა და დღევანდელი

პრეზიდენტის თანამებრძოლი და ნათელმირონი გახლდათ, ძაღლივით ერთგული, მაგრამ ბოლო დროს ხელისუფლებაში ნაძირალების მომრავლებამ მისი რეიტინგი დაბლა დასწია. ვაჟიკო-პალიკოს ეროვნულობა უკვე აღარავის სჭირდებოდა, ხელისუფლება უკვე სხვა გზით მიექანებოდა, ასე ვთქვათ, მოსწრებაზე იყო და ვაჟიკო თავისი წლობით ნაფერები პატრიოტიზმით და ეროვნულობით საკუთარ ნაჭუჭვში ჩაიკეტა, კავშირი გაწყვიტა მატერიალური სიმდიდრის მოპოვებისათვის პრეზიდენტის გაცოფებულ გარემოცვასთან. ეს კაცი იყო სულიერად მდიდარი პიროვნება. შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორია, პროზა, პოეზია, იყო რელიგიური და კარგად იცობდა საეკლესიო კანონებს. ავტორიტეტით სარგებლობდა ხევში და შეეძლო სამშობლოსათვის ქუდზე კაცის გამოვანა. ეს ის ადამიანი იყო, რომელიც ოცნებობდა დამოუკიდებელ საქართველოზე, იბრძოდა კიდევ მისთვის. იგი სხვებივით ვერ გამოასალმეს წუთისოფელს ეროვნული მოძრაობის მტრებმა. ახლა თავისი ინიციატივით ჩამოშორდა ხელისუფლებას, რადგან იქ თანამოაზრე აღარავინ ეგულებოდა.

გასაკვირია არა, მკითხველო?! ჯერ მხოლოდ ორი გმირი დაგახასიათეთ და იკითხავთ, რა უნდათ მათ ერთადო? ამას ცოტა მოგვიანებით, მანამ კი დარჩენილ ორ გმირსაც გაგაცნობთ.

ლევან სართელი – ასევე თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი, ივრისპირზე გაზრდილი ბიჭი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სავაჭრო ორგანიზაციებში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობის პირად. ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული სტიქიური უბედურების შედეგად სვანეთიდან და აჭარიდან ჩამოსახლებული ლტოლვილების საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა აქციებში, რათა ეროვნული ძალები მოსულიყნენ ხელისუფლებაში. როგორც ეროვნული ძალები მოვიდნენ, იგი მაშინვე გაანთავისუფლეს სამსახურიდან „რატომ კარგი აგიგიას“ პრინციპით და მისი და მისთანების ადგილები კი უვიცებს და თაღლითებს დაურიგეს.

კოტე სეფერთელაძე ლევან სართელის თვალწინ ჩამოყალიბდა, როგორც დახვეწილი ფინანსისტ-ეკონომისტი. მის სპეციალისტად ჩამოყალიბებაში ლევანმა დიდი როლი შეასრულა. ამას მოჰყვა მათი დაახლოება ოჯახებით, ნათელმირონობით. ასე რომ, დღევანდელ დღეს კოტე ლევანის მარჯვენა ხელი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ. სადაც ლევანი მიდიოდა, კოტეც თან მიჰყავდა, მთლიანად ენდობოდა, თუმცა კოტეს დღემდე დიდ სავაჭრო გარიგებებთან შეხება არ ჰქონია, ანუ დღიდ ფულის გემო არ იცოდა.

მატარებელი კი მიაპობდა ქართლის სუსნიან მინდვრებს და ნელ-ნელა ახლოვდებოდა წლის ყველაზე დიდი ღამე.

— თქვენ თუ მშივრები აპირებთ ამხელა ლამის გადაგორებას, მე ამ საქმეში ვერ გამოგადგებით, — განუცხადა ყველას ლევანმა და მგზავრობისათვის საგანგებოდ გამზადებული ყუთი გახსნა. სუფრა უცბად გაიშალა: მრგვალად მოხარშული დედალი, მოხარშული ღორის ხორცი, პური, ყველი, მრავალნაირი საწებელი, მწვანილი, ხილი და დასაყოლებლად „მოსკოვსკაია ვოდკა“.

— აღარ ეშვებით ამრუსულ არაყს? — შენიშნა ალექსანდროვიჩმა, — ჩვენი გამოშვებული „ალავერდი“ მაინც წამოგელოთ, ახლა დავიწყეთ მისი ჩამოსხმა.

— ჩემო ზაურ, არაყი ვისი გამოგონილიცაა, იმისი უნდა დალიო, — შეეპასუხა ლევანი, შეავსო ბოლომდე ე.წ. „მალენკოვის“ ჭიქა, როგორც წესი, მკლავით გააკეთა ოთხმოცდაათგრადუსიანი კუთხე, მოახსენა დამსწრე საზოგადოებას, დროა, უკვე რუსულში დავიწყოთ ვარჯიშიონ და თავაწეულმა წარმოთქვა:

Ми же не пём, господи, а лечимся,
Не через день, а каждый день,
Не по чайному ложку, а по чайному стакану,
Да разалется влага всемагучая,
По всей периферии телесной.
Амин!

ოლიმპიური სიმშვიდით ჩამოცალა ჭიქა, მიაყოლა წინასწარ მომზადებული ღორის ხორცის ბუტერბროდი და ალავერდს ვა-ჟიკო-პალიკოსთან გადავიდა.

— ახლა არ მითხრა, მოხევეებს არაყი არ გვიყვარსო, თორემ გადავხტები მატარებლიდან.

— ჩამაასხ, რუსეთ ფხიზელ რომ შავიდე, გავვიფდები. — გამო-ეხმაურა ვაჟიკო-პალიკო, „მამაო ჩვენო“ წაიკითხა, მთისა და ბარის სალოცავები ადღეგრძელა და ჭიქა ბოლომდე ჩამოცალა.

თითო-თითო ბოთლი არაყი ჩამოცალეს, ცოტაც იხუმრეს, მოიგონეს ძველი ამბები, მაგრამ მათ საუბარს მაინც სევდა გას-დევდა. თბილისში დაძაბული მდგომარეობა იყო. პრეზიდენტი გამსახურდიას ოპოზიცია უკვე იარაღით დაუპირისპირდა და შეიძლებოდა ყოველ წუთში შეიარაღებული კონფლიქტი დაწ-ყებულიყო, რასაც შეეძლო მასიური არეულობა გამოწვია არა მარტო ქალაქში, არამედ ქვეყანაში. ესენი კი სულ რამოდ-ენიმე დღით წამოვიდნენ მოსკოვს. ესეც აუცილებლობით იყო გამოწვეული, თორემ ოჯახის დატოვება არც ერთს არ უნდოდა. მაინც რა საქმე იყო ამისთანა გადაუდებელი და თან სხვადასხვა ორიენტაციის ადმიანები რა საქმემ გააერთიანა. თუ ასეთი სას-წრაფო გასაკეთებელი იყო ეს საქმე, მაშინ მატარებლით წასვ-ლას თვითმფრინავით გადაფრენა არ სჯობდა?

II

- გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს, მისი პრეზიდენტის, ბატონი ზეიად გამსახურდიას თამაღობით!
- წარმოსთქვა თამადამ. დაახლოებით ორმოცდაოთმა თანამეინახემ „გაუმარჯოს“ შეძახილით დასტური მისცა მას და ყველამ ფეხზე ადგომით, ზეაღმართული შეკრული მარჯვენით ერთხმად დაჭექა „შავლეგო“, თუმცა იქ მყოფთაგან ნახევარზე მეტმა არ იცოდა, ვისზე იყო ეს სიმღერა, თავის დროზე რატომ მღეროდა ხალხი და ეროვნულმა მოძრაობამ ასე ძლიერად რატომ აიტაცა. არ იცოდნენ, იმტომ, რომ ნახევარზე მეტი მიტმასნილი იყო ეროვნულ მოძრაობაზე, შეატყვეს რა, რომ კომუნისტებმა ფარ-ხმალი დაყარეს, უცბად მოიშორეს პარტბილეთები, ან საგულდაგულოდ გადამალეს, რა იცი, იქნებ ჩვენები ისევ მობრუნდნენო. ერთგული ლენინელები „შავლეგოს“ სიმღერ-სიმღერით, მარჯვენა ხელაღმართულები გადაბარგდნენ ეროვნულ მოძრაობაში, არც ერთ მიტინგს არ აცდენდნენ, ტელეკამერების წინ ტრიალებდნენ, რომ პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის თვალში ავტორიტეტი მოეპოვებინათ. ბევრმა ეს შეძლო, მაშინვე დაუპირისპირდა მართლა ეროვნულ და პატრიოტ ადამიანებს და სულ კრემლის აგნტების შეძახილით გამოყარეს ხელისუფლებიდან. ამ უვიცი და თაღლითი ადამიანების მისვლამ მთავრობაში მაშინვე დაარტყა მახვილი რესპუბლიკის ეკონომიკას, რამაც გამოიწვია სანედლეულო ბაზის დაკარგვა და უცხოელების მიერ საქართველოს არასანდო პარტნიორად მიჩნევა. ამან სტიქიურობისაკენ უბიძგა ისედაც დაუწყობელ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარს და დავეშვით უფსკრულისაკენ. კაცი არ იყო ხელისუფლებაში, რომ ეკონომიკისათვის მოეკიდა ხელი, ყველა პოლიტიკოსობდა და ამ პოლიტიკოსობით რაც დარჩენილი იყო, იმას ხრავდა, რადგან საქმის კეთება არავინ იცოდა.

ლევან სართელი მაშინ ერთ-ერთ იმ მსხვილ განყოფილებას განაგებდა, რომელიც ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის გარკვეულ ნაწილს ამოძრავებდა, კერძოდ ევროპის ქვეყნებიდან შემოდიოდა რესპუბლიკაში სამრეწველო საქონელი, ხოლო შეა აზის რესპუბლიკებიდან სასურსათო საქონელი. ერთი სიტყვით, ეს „აბრეშუმის გზა“ ლევანს თავიდანვე ჰქონდა გაკვალული და დღეს ახალ ველოსიპედს გამოგონება აღარ სჭირდებოდა. „ეროვნულებმა“, მისი პოზიცია რომ ჩაეგდოთ ხელში, რამდენჯერმე დაბლოკეს, შანტაჟი მოუწყეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ცოტა ადრე მოხსნაც უნდოდათ იმ მიზეზით, საქონელი დროულად რომ არ შემოდიოდა, ან როგორ შემოვიდოდა, როცა სამტრედიაში თვითონ მოაწყეს გაფიცვა. საქართველოში შემოსასვლელი ვაგონების რიგი თითქმის არმავირამდე იყო გაჭიმული.

ასე იყო თუ ისე, 1991 წლის გაზაფხულზე „ძალიან ეროვნულებმა“ დაიბარეს ლევანი და უთხრეს, არავის სჭირდება შენი ფეხილი, ბრინჯი და სურსათი შეა აზიდან, ისე-დაც თავზე საყრელი გვაქს, ამჟამად გვესაჭიროება იარაღი, დუშამბეში ყოფილა და უნდა შემოიტანო, რადგან „კრემლის აგენტების“ წინააღმდეგ გვჭირდებაო. ეს უკვე ნიშნავდა, წადიო. მართლაც, აგვისტოს ბოლოს კვლავ დაიბარეს. ლევანმა პირდაპირ განუცხადა:

— მე არ შემოვიტან იმას, რაც ჩემს თანამომმეს მოკლავს! — ეს გახლდათ მიზეზი ლევანის მიერ სამსახურის დატოვებისა, სადაც თოთხმეტი წელი მუშაობდა. ძალიან გაუჭირდა, მაგრამ რა უქნა, თავის მრწამსის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა. დღენიადაგ მოყვასზე ზრუნვით იყო დაკავებული. ამ დროს ვიღაც ვაი პატრიოტი გეუბნება, მოყვასი უნდა მოკლა, რომ მე ხელისუფლებაში დავრჩეო. ლევანი ამას არ გააკეთებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი წინაპრები, ჯიში და ჯილაგი, სულ მტრის მოგერიებაში იყვნენ. მეფის ლაშქარში ქუდზე კაცის დაძახებისას მეწინავეებად სართელები გადიოდნენ და ხელი სულ სისხლში ჰქონდათ მოსვრილი, მაგრამ ის მტრის სისხლი იყო. „ძალიან ეროვნულე-

ბი“ კი მას მოყვასის მოკვლისკენ უბიძგებდნენ. ამას სართელი არასოდეს გააკეთებდა, ვინაიდან სწამდა ის სარწმუნოება, რომელმაც გადაარჩინა საქართველო. სწამდა თავისი დიდი წინაპრების, რომლებიც ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს დაეცნენ სამგორის ველზე, რომელთა მკერდიდან ამოვარდნილი ცეცხლი ანათებს საციქნიგორის, შუალაგორის და კოხიაგორის სანახებს. ეს ის სამი გორაა, რომელიც კახეთის დიდ მიწაზე დიდ ისტორიულ ძეგლად დარჩა ჩვენი სამშობლოს გმირთა სადიდებლად. სამასი არაგველის, ორასი თბილისელის, ხუთასი ბოლნისელის და სხვათა შთამომავლებმა როგორ უნდა ესროლონ ერთმანეთს, როგორ უნდა გაიმეორონ ბაზალეთის სირცხვილი. ამას დღეს „ძალიან ეროვნულები“ აღარ დაგიდევენ, რაც ერთ პოეტს კარგად შეუნიშნავს:

„...რა არაგველნი, რის არაგველნი,
ქართველი კაცი სტომაქზე ფიქრობს,
„ გიუები იყვნენ, იმათი დედაც“.
უმრავლესობა დღეს ასე ფიქრობს.
... მაშ რაღად გვინდა წინაპარო ქება,
თუ არ ვაგრძელებთ მათ საქმეს წმინდას,
გუგულის ბარტყი მრავლდება ბევრი
და მათი იყოს ეს წმინდა მიწაც“.

სექტემბერში ლევანი გაათავისუფლეს. ვინ, იცით? აი, ზევით ძალიან ბრტყელი სადღეებრძელო რომ თქვა. ერთი შეღავათი გაუკეთეს მხოლოდ, რომ პირადი განცხადებით გაუშვეს. ლევანი უმუშევარი არ დარჩენილა, რადგან მაშინ კომერციული კავშირების მქონე სპეციალისტების დეფიციტი იყო. იგი ასოციაცია „იმედში“ კომერციული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე სამუშაოდ მიიწვიეს. მან თავის მხრივ ეულად არ დატოვა კოტე და შესთავაზა მოადგილის თანამდებობა თავისთან, ისიც, რა

თქმა უნდა, წავიდა. აი, სწორედ აქ გაიცნეს ორივემ ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ზაურ გელაშვილი, რომელიც მათი უშუალო შეფი იყო, ხოლო ზაურმა ლევანს მეორე მოადგილედ გამოუგზავნა ვაჟიკო-პალიკო კობიაშვილი. ამ უკანასკნელმა მეორე დღესვე მოიტანა ერთი ბოცა რქაწითელი, დედას პურები, გუდის ყველი, მწვანილი (სხვანაირად შედგენილ მენიუს მაინც და მაინც არ ცნობდა), თან მოაყოლა კომპოზიტორი და შემსრულებელი ავთო შარვაძე, დალოცა ოფისი, კარგად იქეიფეს და მეორე დღესვე შეუდგნენ სამსახურს.

ვინაიდან „ძალიან ეროვნულებმა“ რესპუბლიკაში ყველა ძლიერი მეწარმე და კომერსანტი გაათავისუფლეს თანამდებობიდან და მათ ადგილზე „ეროვნულები“ დანიშნეს, ქვეყანაში უცბად შეიქმნა სურსათის დეფიციტი. კომუნისტებისაგან გაზარმაცებულ მოსახლეობას საკუთარ მეურნეობებში არაფერი მოჰყავდა, მთლიანად დამოკიდებული იყო ცენტრალიზებულ მომარაგებაზე. „ძალიან ეროვნულებს“ სურსათის ძირითად მომწოდებელ ქვეყანასთან, რუსეთთან, კავშირი არ უნდოდათ, ვინაიდან კრემლის აგენტები ელანდებოდათ ყველგან, ამიტომ შეიქმნა ძირითადი პროდუქტის, პურის დეფიციტი. ამასთან, რუსეთმა ფულის კუპიურების მოწოდება შეუწყვიტა საქართველოს, ამან გამოიწვია ინფლაცია. გამწარდნენ ხელისუფლებაში, ფულის ნიშნებს რატომ არ გვაძლევს რუსეთიო. რატომ უნდა მიეცა, თუ არ სცნობდა? ერთი სიტყვით, ქვეყანა ერთ დიდ აუდიტორიად გადაიქცა, სადაც მარტო მიტინგები ტარდებოდა და მთავრობის წევრები ბალახის ჭამით იმუქრებოდნენ, მხოლოდ ეს იყო გაუგებარი, ვის ემუქრებოდნენ.

ერთ დილით ლევანი ასოციაციის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა დაიბარეს და უთხრეს, რომ რესპუბლიკას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ხორბალი. გაკეთდა ერთობლივი გათვლები. ქვეყანა ყოველწლიურად მოიხმარდა ერთ მილიონ ორასი ათას ტონა ხორბალს. იყო საშუალება, პოლონეთიდან შემოეტანათ ექვსასი

ათასი ტონა კონსიგნაციის წესით. ესე იგი, ფულს გადაუხდიდნენ ხორბლის შემოტანის შემდეგ, მაგრამ წინასწარ სხვადასხვა მომსახურებისათვის საჭირო იყო ათი მილიონი რუსული რუბლი, რაც სასწრაფოდ უნდა გაეგზავნათ პოლონეთში. დოკუმენტაცია გაფორმდა მთავრობისაგან ფულის გაცემაზე. ნებართვა აიღეს და ზაური და ლევანი მიადგნენ ბანკს.

ბანკის მმართველთან უპრობლემოდ შევიდნენ, ან ვინ გადაუღობავდა გზას გელაშვილს, ორი რევოლვერი ჰამოკიდებული, ერთი გულის მხარეს, მეორე მარჯვენა მხარეს - თეძოზე.

— გამარჯობათ, ბატონო თამაზ! — მიესალმნენ ბანკის მმართველს და წერილი გაუწოდეს. ბატონმა თამაზმა მდივანს სთხოვა, საკრედიტო განყოფილების გამგისთვის დაეძახა, თან გაკვირვებულმა შეხედა ზაურს და ლევანს.

დაბრძანდით, ბატონებო, — ბანკის მმართველმა ზაურს და ლევანს სავარძლები შესთავაზა, — ახლავე შემოვა საკრედიტო განყოფილების უფროსი და გაგცემთ პასუხს.

— პასუხი კი არ უნდა გამცეთ, ათი მილიონი უნდა გასცეთ სასწრაფოდ! — შეაგება ზაურ გელაშვილმა, — თქვენ ხომ იცით, მე საიდან გამომაგზავნეს?

— ამჟამად, ბატონო ზაურ, ფულის ნიშანი ბანკში საერთოდ არა გვაქვს, მარტო ჩვენთან კი არა, ეროვნული ბანკის საცავშიც აღარ არის კუპიურები. — მოიბოლიშა ბატონმა თამაზმა და საკრედიტო განყოფილების უფროსიც შემოვიდა. მოხუცებული კაცი იყო ბატონი გაბრიელი, ასე სამოცდაათ წელს მიღწეული. მას უკვე ის ასაკი ჰქონდა, შვილიშვილთან რომ უნდა ეთამაშა, მაგრამ ვინ გაუბედავდა ამის თქმას.

— რა ფულის ნიშნები არ გაქვს?! შენ მე დეგენერატი ხომ არ გგონივარ! — აპილპილდა გელაშვილი და გააძრო ბარაბნიანი, — შენთან სამასხარაოდ არ მცალია ახლა მე.

ლევანმა მაშინვე მოისაზრა, ბატონ გაბრიელს დავაწყნარებ, არ შეეშინდეს ამ გადარეულისო, მაგრამ სადღა იყო მოხუცი.

თურმე შიშისგან მისადგმელი მაგიდის ქვეშ შემძრალიყო და იქიდან ეძახდა ზაურს:

- არ მოკლა, შვილო, მართალია ეგ კაციო.
- ლევან, გამოიყვანე ერთი ეგ გაბრიელი მაქედან! — აყვირდა ზაური.

— ძია გაბრიელ, თუ ღმერთი გწამს, გამობრძანდი მაგიდის ქვეშიდან, თორემ მართლა გაისვრის ეს გადარეული, — შეეხევანა ლევანი მოხუცს.

— თუ მართლა გაისვრის, რავა გამოვალ აქიდან. — უფრო შეიუჟა შიგნით გაბრიელი.

— ალექსანდროვიჩ, ამათი მოკვლით საქმე არ გამოვა, ცოდვას დაიდებ, სხვა არაფერს, — შეეხევანა ლევანი გელაშვილს, — წა-მოდი და ისევ ზევიდან გავარკვიოთ, ეს ხალხი რა შუაშია.

ზაურმა მოაცილა ნაგანი ბანკის მმართველის თავს, ერთი მაგრად შეუკურთხა ორივეს, გამწარებული გავარდა გარეთ და ლევანიც თან გაიყოლა. დაურეკა თავის პატრონს „ძალიან ეროვნულებში“. პატრონმა — ცოტა ხნის შემდეგ გადმორეკეო. შეთანხმების შემდეგ ისევ იმ ბანკში მივიდნენ, ყველა ფეხზე ამდგარი შეეგება ზაურს და ლევანს. ორი თანამშრომელი გააყოლეს და ბანკის სეიფები დაათვალიერებინეს. ლევანი პირველად იყო ბანკის სეიფში. რომ ეტყოდნენ, ბანკი გატეხესო, ადვილ საქმედ წარმოედგინა ეს ამბავი, მაგრამ, რომ შეხედა, მიხვდა, ამ სეიფების გატეხვა შეუძლებელი იყო, თუ თვითონ ბანკის თანამშრომელები არ გაგიღებდნენ.

თაროები მართლა ცარიელი იყო. ნახევარი ტომარა ხურდა ფული ეგდო იატაკზე და ალაგ-ალაგ სამპროცენტიანი ობლიგაციები ეწყო. ანალოგიური სიტუაცია დახვდათ ეროვნული ბანკის საცავშიც.

ეს მდგომარეობა უკვე დასაფიქრებელი იყო. ფული ან მართლა აღარ იყო და თუ იყო, ან გატანილი, ან გადამალული.

დაპირისპირება პოზიციასა და ოპოზიციას შორის ძალიან დაიძაბა. ასოციაციის ოფიციალური პოლონეთიდან დღეში რამდენ-

ჯერმე რეკავდნენ ტელეფონზე. უარის თქმის შემთხვევაში საჯარიმო სანქციებს წარმოადგენდნენ. ამასთან ხორბალს ძალიან იაფად აძლევდნენ და ოპერაციის გაშვება ხელიდან არ შეიძლებოდა. თან ქვეყანა ნახევარი წლის მარაგს იღებდა ერთდღოულად. ბევრი ბჭობის შემდეგ ასეთი გეგმა დაისახა: გამოიტანდნენ ბანკიდან ათი მილიონი რუბლის სამპროცენტიან ობლიგაციას, წაიღებდნენ მოსკოვში. წინასწარი მოლაპარაკებით იქ დახვდებოდათ კაცი, რომელიც სასწრაფო წესით გადაუხურდავებდათ ობლიგაციებს. შემდეგ ეს ფული მთავრობის გავლით გადაეგზავნებოდა პოლონელებს და დაიწყებოდა ხორბლის შემოზიდვა. ოპერაცია, ერთი შეხედვით, მარტივი იყო, მაგრამ დაკავშირებული იყო დიდ რისკთან და ზუსტ მოქმედებასთან. სასწრაფოდ გამოიტანეს ბანკიდან ათი მილიონი რუბლის ღირებულების ობლიგაცია, დაცვის ქვეშ გადაიტანეს კონსპირაციულ ბინაზე, გაუკეთდა შეფუთვა და შეადგინა ოთხი მუჟაოს ყუთი. თვითმფრინავით მისი გადატანა არ შეიძლებოდა, აქედან კი გაიტანდნენ, მაგრამ აეროპორტის მუშაკები მოსკოვში ჩაუშვებდნენ და დიდი პრობლემები შეექმნებოდათ. გადაწყვიტეს, ტვირთი შენილბულად გაეტანათ. აი, ამიტომ მიაქროლებდა ჩვენს გმირებს მატარებელი მოსკოვისკენ. მათ უკვე ღრმა ძილით ეძინათ. ხოლო რა მიზეზი ამოძრავებდა თითოეულ მათგანს, ამას შემდეგ გავიგებთ. მათ ხომ ხელთ ათი მილიონი ჰქონდათ.

III

ასეთი ჩვევა ჰქონდა ლევანს, როდესაც დილით სურდა დაეძინა, სწორედ მაშინ ვერ იძინებდა. მიუხედავად იმისა, რომ გუშინ საკმაოდ ბევრი დალია, მაინც დილაადრიან გაეღვიძა. ზედა საწოლზე იწვა. ფარდა გასწია, ზღვის პირას მიღიოდნენ. ჯერ კიდევ აფხაზეთში იყვნენ. მატარებელი აგვიანებდა. ათასი ფიქრი აეკვიატა: „თუ ასე გაგრძელდა ეს კინ კლაობა, შეიძლება, აფხაზეთი სოჭივით რუსებს ჩავაბაროთ. ამ საუკუნეში რამდენი ხელმძღვანელიც მოვიდა ქვეყანაში, ყველამ ნაწილ-ნაწილ გაყიდა საქართველო საკუთარი სკამის შენარჩუნებისთვის. ალბათ იმიტომ მოკლეს ილია, რომ ამ ყველაფერში ხელს უშლიდა. ვაჟას სიტყვები გავიხსენოთ: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენო“. როგორ გამართოლდა, არა? მოკვლა სხვა რა არის, თუ არა ერთი მთლიანი სხეულის დაჩქევა. მენტევიკებმა თურქებთან ბევრი ივაჭრეს, ისე წავიდნენ, რომ ვაჭრობაც ვერ დაამთავრეს, თუმცა ტერიტორიები დაკარგეს. კომუნისტებმა საინგილო და სოჭი აჩუქეს მეზობლებს, ოსებს და აფხაზებს ავტონომია მიართვეს. ერთი სხვაგან ჩავიდნენ ქართველები, ავტონომიას ვინ გაუკეთებს. ისე წინ წავიდნენ ავტონომიების ჩამოყალიბებაში, რომ ქართველებსაც გაუკეთეს საქართველოში ავტონომია, აჭარის სახელმწიფო. რამდენ ავტონომიასაც გააკეთებენ, ჩათვალონ, რომ ის საქართველო აღარ არის. ამას ჰქვია ილიას გზით სიარული? ვაი, ჩვენს პატრონს, დღეს ყველას ილიაობა უნდა და ილია ვინ იყო, არ იციან. ილია იმას კი არ ქადაგებდა, რუსეთი არ გვინდაო, პირიქით, რუსეთის შემადგენლობაში უნდოდა რომ ყოფილიყო სუვერენული, დამოუკიდებელი საქართველო. ხოლო ილიასეული გზა იყო მიწისა და კავის საქართველოს აგრარულ – ინდუსტრიული სტრატეგია. ამათ კიდევ, ბალახს მოვძოვთო. რატომ უნდა მოძოვო ბალახი, საქონელი ხომ არა ხარ, შე მა-მაცხონებულო, თუ რუსული ხორბალი არ გინდა, შენი მაინც

მოიყვანე, ამის ტრადიციები მაინც გვაქვს. მაგრამ ამათ სხვა გზა აქვთ არჩეული – დღევანდელი კვერცხი, ესეც რის ხარჯზე? დღეს ერთ ტერიტორიას გაყიდი, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს და დიდი წინაპრების მიერ ბრძოლით, ტანჯვით, წამებით მოპოვებული და აქამდე მოტანილი ტერიტორია ვიღაც გუშინ-დელი გაზარმაცებული გლეხის პირად ამბიციებს და მისი გან-დიდების მანიას ეწირება. ეპ! აფხაზეთო, აფხაზეთო. ლევანმა გაიხსენა სტუდენტობის დროს სპორტულ შეკრებებზე გა-ტარებული დღეები გუდაუთაში „ოქროს ქვიშებზე“, მიუსერას ნაკრძალში, ბიჭვინთაში, სოჭში, ინტურისტები „კამელია“, „ჟემზუჟინა“ და ა.შ. „ეპ! აფხაზეთო, აფხაზეთო“.

კვლავ ჩაეძინა და უკვე რუსეთის ტერიტორიაზე გაეღვიძა, უფრო სწორად, ვაჟიკო-პალიკოს ყვირილმა გამოაღვიძა. ამ შეუა ზამთარში ჩამოეწია ფანჯარა და მეხუთე ლიანდაგზე გაჩ-ერებულ მატარებლის კარებში მდგარ რუს გოგონებს მოსკოვში ეპატიუებოდა.

– გაგიჟდი, ბიჭო! რა გაღრიალებს ამხელა კაცს, დაკეტე ფან-ჯარა, ცივა! – ძლივს გაჩუმა ლევანმა მოხევე.

– ეგ აქედანვე ემზადება, – ჩაილაპარაკა გელაშვილმა.

– არაფერსაც არ ვემზადები, ზაურ. ჩავალთ მოსკოვში, მომცემ ჩემს ვალს და ჩემს აჩრდილსაც ვეღარ ნახავ იქ, – ცოტა გაბრა-ზებულმა უთხრა ვაჟიკო-პალიკოშ გელაშვილს. უკვე გასაგები იყო, რისთვისაც მოდიოდა კობიაშვილი მოსკოვში. აბა, საქმის იმან არაფერი იცოდა და მოსკოვში კიდევ ეროვნული მოძრაობის ლიდერები არ იყვნენ. ეს ამბავი ლევანს და კოტეს არ მოეწონათ, მაგრამ საკითხის გარკვევას ისევ დუშილი არჩიეს.

– ვაჟიკო-პალიკო, მაგ უაზრო ლაპარაკს და ბოდიალს, მოდი გავშალოთ სუფრა და პახმელიაზე გამოვიდეთ, – შეეპატიუა მოხევეს ლევანი.

– რა უნდა გაშალო, დარჩა რაიმე თუ! – გაიკვირვა ვაჟიკომ.

– აბა, რა იქნა ის იმდენი ხორაგი? – იკითხა ლევანმა.

— რა იქნა და გუშინ ვაგონში რამდენი მშიერი რუსიც ამოვიდა, იმდენს დავურიგე, ერთი არაყი ვერ ამოვიღე, დაკეტილში იყო.

— აუ, შენ გაგირეკია მაგრად, — უთხრა დაბოლმილმა ლევანმა და ჩაცმას შეუდგა.

ის საღამო ვაგონ-რესტორნიდან მოტანილი პურ-მარილით დაგვირგვინდა. აბა, ესენი რესტორანში ვერ გავიდოდნენ და რა ექნათ. ორი კაცი რომ გადიოდა, ორი ყოველთვის რჩებოდა.

მატარებელი გრაფიკიდან იყო ამოვარდნილი და თითქმის ყველა საღვურში ჩერდებოდა. ასე რომ, დღის ორი საათის ნაცვლად საღამოს შვიდ საათზე ჩავიდა კურსკის ვაგ ზალზე, საღაც დახვდათ ვალოდია ებრაელი. რატომღაც ლევანი და კოტე ტვირთან ერთად მოათავსეს პატარა სასტუმროში დროებით, ხოლო ზაური და ვაჟიკო ებრაელთან ერთად წავიდნენ სასტუმროს დასაქირავებლად. მათ მოსვლამდე ლევანი და კოტე ვერაფერს გააკეთებდნენ. ამიტომ დაიძინეს. მეორე დღეს ვალოდია ებრაელი მოვიდა და ორი მილიონის ობლიგაცია მოითხოვა. ლევანმა იცოდა ეს ყუთი, მონიშნული ჰქონდა და ვალოდიას უთხრა, წაეღო, მაგრამ კოტემ გააჩერა:

— გუშინ გადავაწყვე და ამ ყუთშია ორი მილიონი.

ლევანს გაუკვირდა კოტეს საქციელი, მაგრამ იმდენად ენდობოდა, რომ არაფერი თქვა. ამ დროს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

— ალო, და! — აიღო ყურმილი ლევანმა.

— არაყი გვაქვს, არ გინდა. — მიაძახა კოტემ.

— ლევან, გამარჯობა, ზაური ვარ, დღეს მანდ მოგიწევთ დარჩენა და ხვალ გამოხვალთ სასტუმრო „ლენინგრადსკაიაში“.

— კარგი, აქა ვართ, არსად არ გავალთ, — დაუკიდა ყურმილი ლევანმა, — რა უნდა აკეთოს კაცმა. კოტე, გავალ, რაღაცას მოვიტან, საჭმელი მაინც ვჭამოთ.

— ხარაშო, დაგაი, — ნახევარ საათში მობრუნდა, რაღაცები კიდევ გადაადგილებული დახვდა. თან არყის ჭიქები შევსებული იყო. სამ-სამი ჭიქა დალიეს. ცოტა შეჭამეს.

— მეძინება ისევ, — თქვა ლევანმა და ლოგინს მიაშურა. ორ საათში გაეღვიძა. თავი უსკდებოდა, გაბრუებული იყო, არაყი თავიდან არ გამოდიოდა. მოსკოვში ასეთ ყინვაში არაყი რომ არ გამოწელდება კაცს, რა უნდა იყოს ასეთი. ამ არაყს სვამდნენ მატარებელში, მშვენივრად მიდიოდა. გარეთ გავიდა, ამ ყინვაში იქნებ გამოვიდეო, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა.

— რა არი, რა გჭირს? — ჰკითხა კოტებ ლევანს, — მოდი, ერთიც დაარტყი, იქნებ გაგიაროს.

ლევანმა დაუჯერა, კიდევ გადაკრა, მაგრამ უარესი მოუვიდა.

— რა არის, მოწამლულია ეს შობელძალლი! — ამოლერლა ლევანმა.

— მეც იგივეს არ ვსვამ, შენ გწამლავს და მე არა, დალევა უნდა შეგეძლოს, — ვითომ გაეხუმრა კოტე.

არადა ლევანი ამ დროს ათჯერ მეტს იტანდა სასმელს, ვიღრე კოტე, ლევანი რამდენიმე წლის შემდეგ მიხვდება, რომ კოდეინით შეზავებულ სასმელს ასმევდა კოტე, რომ თვითონ შეუფერხებლად ემოქმედა. თუმცა იჩქარა, მას ეს ყველაფერი შეეძლო უმტკივნეულოდ გაეპეტებინა, მაგრამ არ იცოდა, რომ ლევანს მეორე დღეს ვინიცაში უკრავდნენ თავს, პოლნელებთან ხელშეკრულების გასაფორმებლად. არ იცოდა, რომ მთელი სამი დღე მარტო იქნებოდა ნომერში, ხოლო გელაშვილი კი სტენეოკარდიის მწვავე შეტევით კარდიოლოგიის ცენტრში მოხვდებოდა.

მეორე დღეს ზაურმა დაიბარა ლევანი და ვინმე დათო კინტერაიასთან ერთად ვინიცაში გაგზავნა პოლონელებთან ხელშეკრულების გასაფორმებლად.

IV

მოსკოვში არის ასეთი ადგილი – „ტრი ვოგზალა“. რკინიგზის სამი სადგური კიევის, იაროსლავის და ყაზანის გვერდი-გვერდზე მდებარეობს, იქვეა სასტუმრო „ლენინგრადსკაია“, რომელიც ჩვენი გმირების ღროებითი საცხოვრებელი გახდებოდა. ეს შენობა იმ შვიდი შენობიდან ერთ-ერთია, რომელსაც სტალინის სახლს უწოდებენ და რომელიც განსაკუთრებული არქიტექტურული სტილით გამოირჩევა სხვა შენობებისაგან.

ამ ტერიტორიაზე მუდამ ხალხმრავლობაა, ხუმრობა ხომ არ არის სამი მიმართულებით ხალხის მიმოსვლა. ლევანი და დათო კიევის სადგურისაკენ მიიჩეაროდნენ, რაღაც ბილეთები წინასწარ ჰქონდათ აღებული მოსკოვი – ბუქარესტის მატარებელზე და ეს უკანასკნელი ათ წუთში უნდა გასულიყო სადგურიდან. ბილეთებში მითითებულ ვაგონში ავიდნენ, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, მათი ადგილები სხვებს ჰქონდათ დაკავებული, ანუ ერთ ადგილზე ორი ბილეთი იყო გაყიდული, სანამ საკითხის გარკვევას დაიწყებდნენ, მატარებელიც დაიძრა. ასე რომ, სხვა გზა არ იყო, უნდა გაყოლოდნენ, არა და, თითქმის ორი დღე უნდოდა ვინიცამდე ჩასვლას. სამწუხაროდ, თვითმფრინავი კვირაში ორჯერ დაფრინავდა, უფრო სწორად, განრიგით ასე იყო, მაგრამ სან შედგებოდა რეისი და სან არა. ასე რომ, მატარებელი ამ შემთხვევაში ყველაზე ნაღდი ტრანსპორტი იყო. ლევანმა და დათომ თითქმის ყველა ვაგონი გაიარეს, მხოლოდ ერთ ვაგონში აღმოაჩინეს ერთი ადგილი, რომელიც ლევანმა უფროსუმცროსობის მომიზეზებით დათოს დაუთმო. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დათოც დათანხმდა. ლევანი ვაგონის გარეთა სკამზე ჩამოჯდა. ასე მოუწევდა მას ჯდომა დილამდე.

ხათრიანი კაცი იყო ლევან სართელი. დიდთან დიდი იყო, პატარასთან – პატარა. ყოველთვის ცდილობდა, თავისი თავი უკან დაეყენებინა და პატივი სხვისთვის ეცა. თანამედროვე იერარქიას არ ცნობდა, წინ ასაკით უფროსს აყენებდა, გინდაც მისთვის ის

პიროვნება უცნობი ყოფილიყო. ოჯახში იყო აღზრდილი, თან ისეთი დედა ჰყავდა, მისი გაზრდილი შვილი სხვანაირად არც შეიძლებოდა მოქცეულიყო. ლევანის დედა განათლებული და უაღრესად წესიერი ადამიანი გახლდათ, მშრომელი და პეტი-ანი ქალი იყო, შვილებს რაც შეიძლება მეტ დამოუკიდებლობას აძლევდა, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე აკონტროლებდა. ლევანს ძალიან უყვარდა დედა. სიყვარულთან ერთად, დედის ერიდე-ბოდა. ცდილობდა, ისეთი ნაბიჯი არ გადაედგა ცხოვრებაში, რაც საბედისწერო შეიქმნებოდა ოჯახისათვის. დედის სიკვდი-ლის შემდეგ ლევანმა მარტო იგრძნო თავი, თითქოს მის უკან დიდი, მყარი კედელი ჩამოიშალა, თითქოს საყრდენი გამოეცალა და ჰაერში გამოეკიდა. მამის სიკვდილმა საგონებელში ჩააგდო, რადგან რაღაც განსაკუთრებულ, ამოუცნობ სიტუაციაში გარ-დაიცალა. ასე რომ, ერთადერთი მისი ნუგეში მეუღლე, შვილები და ძმა დარჩნენ. თავის დარდს საქმიანობაში და სასმელში კლავ-და. აი ასე, მარტო რომ დარჩებოდა თავის თავთან, მაშინ თუ დაი-წყებდა ფიქრს განვლილ ცხოვრებაზე, თორემ მომავალი მაინც-დამაიც კაშკაშა ფერებში არ ჰქონდა წარმოდგენილი. ამას ისიც დაემატა, რომ გასულ წელს ერთმა სომეხმა ნათელმხილველმა კარგი მომავალი არ უწინასწარმეტყველა, ფაქტიურად უთხრა, დაიქცევიო, ხოლო 1996 წლის შემდეგ საერთოდ ვერაფერს ვერ ვხედავო. ლევანს ცრურწმენის არ სჯეროდა, მაგრამ ნათელმხ-ილველის სიტყვები გულიდან ვერ იმოიღო.

მატარებელი კი დიდი სიჩქარით მიაპობდა დამეს. უკან ტოვებდა საღვურებს და დასახლებულ პუნქტებს. „რა დიდია ეს რუსეთი“, – ფიქრობდა ლევანი, – „ამასთან გვინდა ბრძოლა? ისე გაგვსრესენ, ერთს არ ამოისუნთქავენ. სანამ ეს ტრამალების იმპერია თვითონ არ დაიშლება, მანამ ჩვენს დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. აქ ჯერ კიდევ კომუნისტური წყობილებაა, ჩვენთან კი ერთმანეთს ხოცავენ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის სკამისათვის. ამათი ხელშეწყობა რომ არ ჰქონდეს რომელიმე მხარეს, ასე თავისუფლად ხომ ვერ იმოქმედებდნენ?“

თბილისიდან ცუდი ამბები მოდიოდა. უკვე ომი იყო დაწყებული. ლევანი კი ამ დროს ვინიცაში მიდიოდა. თავს იმით იწყნარებდა, რომ ქვეყნისათვის სასიკეთო საქმე უნდა გაეკეთებინა.

ვაგონში შემოსასვლელი კარების ჭრიალმა ფიქრებიდან გამოაფხილა ლევანი. ორმა ახალგაზრდა ლამაზმა გოგონამ ჩაუარა გვერდით. გოგონები იძღვნად მშვენიერები იყვნენ, რომ ლევანმა თვალი ვერ მოსწყვიტა. საათს დახედა, დამის თხის ნახევარი იყო. — „რას დაბორიალობენ ეს შობელძალლები ამ შუალამისას, ასეთ ლამაზმანებს პატრონი არა ჰყავთ ვითომ?!“ — გაიფიქრა სართელმა.

ნახევარი საათის შემდეგ გოგონები ისევ მობრუნდნენ უკან. ლევანმა ვეღარ გაუძლო ცდუნებას და კომპლიმენტი ესროლა:

— გოგონებო, არ გეშინიათ, ამ შუალამისას რომ ვინმემ მოგიტაცოთ.

— ჩვენ სწორედ მაგისთვის დავდივართ მატარებელში, — ღიმილით გამოეპასუხნენ ლევანს.

— ეს როგორ, გათხოვება გინდათ? — თითქოს იხუმრა ლევანმა.

— დიახ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთხოვნელი ას მანეთს გადაიხდის საათში, — უპასუხეს გოგონებმა და ლევანის რეაქციას დაელოდნენ.

ლევანს სიტყვა ყელში გაეჩხირა, ვერ წარმოიდგენდა თუ ასეთი გარეგნობის გოგონები მატარებელში „მუშაობდნენ“, „ასეთი პროსტიტუტკები თვით ფეშენებელურ სასტუმროებსაც კი არ ჰყავთ.

— თქვენ რა, მაშაყირებთ, გოგონებო? გინდათ, რომ თავი პროსტიტუტკებად წარმოაჩინოთ? — ჰკითხა აღელვებულმა ლევანმა.

— ამას ჩვენ პროსტიტუციას არ ვეძახით, ჩვენ ხარკოვის პედაგოური ინსტიტუტის სტუდენტები ვართ და როცა თავისუფალ დროს ვიპოვით, საარსებო ფულის საშოგნელად მატარებელში ვქირავდებით, თან გვიყვარს მოგზაურობა. მარტო ჩვენ არ ვართ ასე. რა ვქნათ სტუდენტებმა, მშობლები არ გვეხმარებიან, სტიპენდიაზე იცხოვრეთო, სტიპენდია კი ხან არა გვაქვს და თუ გვაქვს, არ გვყოფნის. ჩვენც გვინდა უცხოური პარფიუმერია

და ცოტა ადამიანური ცხოვრება, აი, თქვენ კი, ამ ლაყბობით დროს გვაკარგვინებთ! – უსაყველურეს გოგონებმა ლევანს და განაგრძეს გზა.

„ესეც ასე, – ხმამაღლა დაიწყო ფიქრი ლევანმა, – მეგონა, ყველაფერი მქონდა ნანახი, მაგრამ მატარებლის პუტანკები თუ არსებობდნენ ამ ქვეყანაზე, ეს ნამდვილად არ ვიცოდი. კიდევ იტყვი, სართელო, ქაჯი არა ვარო? მაინც რა ლამაზები იყვნენ ეს შობელძალლები, ანგელოზებს ჰგავდნენ. ვაჲ, კაცო, ეს რა ვნახე, დამიჯერებს კი ვინმე? და რუსულად მიაყოლა: – „იოლკი პალკი, ლეს გუსტო.“

ამასობაში დათოც გამოვიდა კუპედა:

– ლევან, შედი, ახლა შენ მოატყუე თვალი, თორემ ცოდვა ხარ. – ლევანმა საათს დახედა, დილის ექვსის ნახევარი იყო, მართალია, გოგონების შემხედვარეს საერთოდ აღარ ეძინებოდა, მაგრამ მაინც ხმამოუღებლად შევიდა კუპეში და ელდანაკრავით უკან გამოვარდა:

– რა მყრალი სუნია? თუ მმა ხარ, მანდ როგორ გეძინა.

– ვერ ვგრძნობდი, ალბათ, – მიუგო კინტერაიამ, – ამდენ მივლინებებში სიარულით მონი, დავგლახაკდი.

საინტერესო პიროვნება იყო დათო კინტერაია. ერთი შეხედვით, მიამიტი კაცის შეხედულებას ტოვებდა. საშუალოზე დაბალი სიმაღლის იყო, მრგვალი თავი, ოდნავ მელოტი, მრგვალი, მე-19 საუკუნის მსგავსი სათვალეები, ცოტა შეგეცოდებოდა კიდეც, მაგრამ იაპონიას ჰგავდა, რაც ზევით იყო, ათი იმდენი – ქვევით. თბილისელი იყო, ავლაბრელი, განათლებული, თავის დროზე თანამდებობის პირი. ახლა კი მოსკოვში იყო ჩამოსული საშოვარზე, ერთ ნაცნობ ქალთან ცხოვრობდა და მუდმივად მივლინებაში, ან სახლის გარეთ რომ უწევდა ყოფნა, ეს იქიდანაც კარგად ჩანდა, რომ პირის საპარსი და კბილის ჯაგრისი საგულდაგულოდ შეფუთული ედო კოსტუმის გარეთა გულის ჯიბეში. იმდენი უბედურება პქონდა გადატანილი, რომ გაოცების

გრძნობა საერთოდ აღარ გააჩნდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ამას თვითონ ვერ გრძნობდა.

ლევანს მაინც არ ასვენებდა საქმის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია და დათოს სწორედ ამ საკითხის ირგვლივ დაუწყო საუბარი:

— დავით, როგორ ფიქრობ, ტყუილად ხომ არ მივდივართ პოლონელებთან? ამ გაგანია სამოქალაქო ომის დროს ხორბალი ვინ უნდა მიიღოს საქართველოში?

— ამ საკითხზე, სანამ შენ მოხვიდოდი, ზაურ გელაშვილი დაუკავშირდა თბილისში ასოციაციის პრეზიდენტს, რომელმაც მთავრობის კაცებთან კონსულტაციების შემდეგ, საქმის გაგრძელება მოითხოვა. ჩვენც რა ვქნათ, პატარა ხალხი ვართ და უნდა დავემორჩილოთ. ბოლო-ბოლო ქვეყანაში უნდა შევიტანოთ, გარეთ ხომ არ გამოგაქვს. — დაასკვნა კინტერაიამ. როგორც მისი საუბრიდან ჩანდა, ამ საკითხზე მართლაც ძირეული მოლაპარაკებები იყო წარმოებული. ლევანი მაინც თავისაზე იდგა:

— მე ფორს-მაჟორულ სიტუაციაში პირველად მიხდება საქმიანობა, ჩემო დავით, შენ, როგორც ჩანს ჩემზე მეტი გამოცდილება გაქვს. როგორ ფიქრობ, ექვსასი ათასი ტონა ხორბალი რომ მიაღება ფოთს ამ არეულობის დროს, როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი?

— ეს კინ კლაობა თბილისშივე დამთავრდება, ფოთთან რა კავშირი აქვს, — თავისაზე იდგა კინტერაია.

— ზვიადის მთავრობა რომ გადააგდონ, მაშინ როგორ წავა საქმე? — არ იშლიდა ლევანი.

— შენც კაი ტიპი ხარ, ტო, ის მეორე მთავრობა რომ მოვა, იმას ხორბალი არ უნდა? თუ ქართველებს პურის ჭამას გადააჩვევენ?

— რა ვიცი, ჩვენებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, — აღარ გაამწვავა ლევანმა. აზრი არ ჰქონდა კინტერაიასთან ამ თემაზე საუბარს, იმიტომ, რომ ის იყო შუამავალი ფირმა და არაფრით არ აწყობდა ოპერაციის ჩაშლა, რადგან ეს ფულის დაკარგვას ნიშნავდა.

როგორც იქნა, გათენდა. ადგილები კუპეში განთავისუფლდა. ლევანმა ცოტა წაუძინა. მასაც არ უჭირდა ასეთ სიტუაციაში მგზავრობა, რაღაც მივლინებებში სიარულით მსოფლიო თუ არა, საკავშირო რეკორდები ჰქონდა დამყარებული. საბჭოთა კავშირი კი, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ერთი მეექსედი იყო. ღამეებიც გაუტეხავს, უმგზავრია ყველანაირ პირობებში, ასე რომ, მალე ჩაეძინა და სადღაც დღის 3 საათზე გამოეღვიძა, უფრო სწორად, შიმშილმა გამოაღვიძა. დაიბანა ხელ-პირი, ცოტა აზრზე მოვიდა, დაავლო ხელი მოსკოვიდან საგანგებოდ წამოღებულ კონიაკ „ნაპოლეონს“ და დათოსთან ერთად ვაგონ – რესტორანში წავიდა. კარგად დანაყრდნენ, კარგად წაუძინეს და დილით ვინიცის სადგურში ჩამოხდნენ.

V

ვინიცა უკრაინის ერთ-ერთი საოლქო ცენტრია, პატარა და ლამაზი ქალაქი. ლევანისთვის რომ გეკითხათ, რით განსხვავდებოდა ის სხვა ქალაქებისგან, მაშინვე გეტყოდათ, რომ ყველაზე ლამაზი გოგონები ვინიცაში არიანო. ლევანი მეორედ იყო უკვე ვინიცაში. ერთხელ, სამი წლის წინ, თავის პარტნიორ ბადრის გამოჰყება საქონლის გადატვირთვაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად. ბადრის ძმა კაცი ჰყავდა ვინიცაში, უორა მიცკვიჩი, აქაური პოლონელი იყო. მაშინ კიევიდან ჩამოჰყვნენ მატარებელს და დილის ოთხ საათზე სასტუმრო „დრუჟბას“ მიადგნენ. ადმინისტრაციულ პერსონალს ეძინა. ყარაულმა ჰკითხა ბადრის, თუ ვისთან იყო ჩამოსული ვინიცაში.

— უორასთან! — ლიმილით მოუგო ბადრიმ.

ყარაული უცბად დაფაცურდა, გააღვიძა ადმინისტრატორი, გააღეს კარები, დიდის ამბით მიიწვიეს სტუმრები. ბადრიმ და ლევანმა ეს ჩვეულებრივ სტუმართმოყვარეობად ჩაუთვალეს მასპინძლებს.

როდესაც ბიჭები სასტუმროს საბუთებს აკსებდნენ, ადმინისტრატორმა ქალმა ჰკითხა:

— კი მაგრამ, უორა არ დაგხვდათ სადგურში?

— უორას ახლა ველაპარაკე და სამზარეულოში მელოდება გაშლილ სუფრასთან, — ღიმილნარევი პასუხი გასცა ბადრიძ.

ადმინისტრატორმა მაშინვე გადაულაპარაკა თანამშრომლებს, რომ უორა ღამის ოთხ საათზე გაშლილი სუფრით ელოდებოდა ბიჭებს სამზარეულოში. შესანიშნავ ნომერში მოაწყვეს ჩვენი ბიჭები. ისინი კი ნომერში დაბინავების შემდეგ უცბად ჩამოვიდნენ დაბლა, დაიქირავეს ტაქსი და წავიდნენ უორასთან. უორა მართლა ელოდებოდა მათ სამზარეულოში გაშლილ სუფრასთან სასმელ-საჭმელით. ისაუბრეს საქმეზე, ჩამოსვლა-დახვედრისა დალიეს, მეტი არ დაულევიათ და უკან სასტუმროში დაბრუნდნენ.

მეორე დღეს სასტუმროს პერსონალს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ჰყავდა ბადრი და ლევანი. რასაც მოითხოვდნენ, მაშინვე უსრულებდნენ. მივლინებებში გამობრმედილი ბიჭები უკვე მიხვდნენ, რომ ეს ზედმეტი ყურადღება იყო მათი მისამართით. ვერაფრით ვერ გაშიფრეს, რა ხდებოდა. მესამე დღეს, როდესაც ვესტიბიულში ჩამოვიდნენ, შეამჩნიეს, ვიღაც შავი კაცი უთვალთვალებდათ. ბიჭებმა ყურადღება არ მიაქციეს. ამ დროს სასტუმროს ადმინისტრატორი გამოეკიდათ:

— ამხანაგებო! თქვენ უორა ვერ შეამჩნიეთ?

— ვინ უორა? — ჰკითხა ბადრიძ.

— თქვენ ხომ უორასთან ჩამოხვედით? — არ მოეშვა ადმინისტრატორი.

— დიახ!

— აი, უორა. — და ქალმა იმ შავი კაცისკენ გაიშვირა ხელი. ბიჭებიც და უორაც ყველაფერს მიხვდნენ. ბადრიძ ღიმილით უთხრა ადმინისტრატორს:

— ქალბატონო! ჩვენ უორა მიცემიჩთან ვართ ჩამოსულები.

ლევანი თვალს არ აშორებდა შავ უორას, შეატყო, რომ კაცმა შეებით ამოისუნთქა. გაცნობა არ შემდგარა.

საღამოს ლეგანმა და ბადრიძმ ადმინისტრატორი ქალი ნო-
მერში დაპატიჟეს და ერთი-ორი ჭიქის დალევის შემდეგ შავ
უორაზე ჩამოუგდეს საუბარი. აღმოჩნდა, რომ უორა ყოფილა
ქუთაისელი, კომუნისტების დროიდან მოყოლებული არალე-
გალურად ფლობდა ვინიცის ბრილიანტების ფაბრიკის ლომის
წილს და ქალაქში მეტად დაფასებული კაცი იყო. რადგან ლე-
განი და ბადრი ქართველები იყვნენ და თან თქვეს, უორასთან
ჩამოვედით სტუმრადო, ყველამ შავი უორა იგულისხმა. შავი
უორა კი ისე იყო გათეთრებული, რომ რას ფიქრობდა, მარტო
უფალმა თუ იცოდა.

დათო და ლეგანი უკვე ტაქსიში ისხდნენ და მიემგზავრებოდ-
ნენ პოლონელებთან შესახვედრად.

ლეგანი პოლონელებს ვერ იტანდა. ძირითადი შეხება ამ
ხალხთან საქმიანობის პერიოდში ჰქონდა ლეგანს. გაცნობილი
პოლონელების სამოცდაათი პრიცენტი პოლონური გვარის
ებრაელები იყვნენ, მაგრამ თვითონ პოლონელებიც მათ ყაიდაზე
იყვნენ გადასული და ერთ მთლიანობაში აფერისტების არმიას
წარმოადგენდნენ, ცოტა ციგნური ჩვევებიც ჰქონდათ, ეს თვისე-
ბები ებრაელებმა საუკუნეებით ხეტიალის დროს გამოიმუშავეს.

ამასობაში მიაღწენ პოლონელების ოფისს. ის სასტუმრო
„დრუჟბის“ შენობაში იყო განთავსებული. ეს სწორედ ის სას-
ტუმროა, სადაც ადრე ბადრი და ლეგანი იყვნენ გაჩერებულ-
ნი. არაფერი იყო შეცვლილი. პოლონელების ოფისი მეოთხე
სართულზე იყო განლაგებული. დათო და ლეგანი ჩქარობდნენ,
საღამოთი უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ. მატარებელი შუალა-
მისას გადიოდა. ლეგანი ჯერ კიდევ გაბრუებული იყო, ის თავის
ტკივილი, სამი დღის წინ არყის დალევის დროს რომ დაეწყო,
ჯერ კიდევ არ იყო ჩაწყნარებული. არაფრით არ უნდოდა დაე-
ჯერებინა, რომ მოიწამლა ან მოწამლეს, ახლა მგზავრობას
აბრალებდა, გადავიღალეო. სინამდვილეში ლეგანი გადარჩა,
კოდეინის დიდი დოზით გაჯერებულმა არაყმა სული რომ არ
გააფრთხობინა. როგორც ჩანს, კოტე წინასწარ მოფიქრებული
გეგმით მოქმედებდა.

— წავედით, ლევან! — ფიქრებიდან გამოაფხიშლა დათომ.
— ჰო, მოვდივარ.

პოლონელებს სასტუმროს მეოთხე სართულის ხუთი ოთახი ჰქონდათ დაკავებული. ეს ის პერიოდი იყო, საბჭოთა კავშირის ყოველ რესპუბლიკაში ახლად ომ ყალიბდებოდა კომერციული სტრუქტურები და ყველა ახლად ჩამოყალიბებულ ფირმასა თუ ასოციაციაში სამსახურებრივი მოწყობის დასავლეთის ზეგავლენა იგრძნობოდა. ლევანს ყველაზე ძალიან მოეწონა ფირმის ხელმძღვანელების ზრუნვა თანამშრომლებზე. კერძოდ, ყველა თანამშრომელი ფირმის მანქანით მოჰყავდათ სამსახურში და დანიშნულ დროს მიჰყავდათ სახლში. შესვენებისას სასტუმროს რესტორანში ყველა თანამშრომელს შეეძლო ესადილა ფირმის ანგარიშზე. ამ გამოცდილების გადმოღება შეიძლებოდა საქართველოში.

მდივანმა ოპერატორულად შეიყვანა სტუმრები ფირმის დირექტორთან, რომელიც საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა. მას გეგრძელებულო მაღალი ქალბატონი ედგა, კიდევ კარგი, დროზე დასხდნენ, თორებ სიმაღლეში შეუსაბამობამ ცოტა უხერხულობა ჩამოაგდო სტუმრებსა და მასპინძლებს შორის. მოლაპარაკება დაიწყო. ფირმის დირექტორი პოლონურად საუბრობდა, ხოლო ქალბატონი თარგმნიდა. თავდაპირველად ლევანს ქალი თარჯიმანი ეგონა. როგორც შემდეგ გაირკვა, ფირმის დირექტორის მეუღლე ყოფილა, აშკარად ეტყობოდა, რომ ებრაელი იყო. მოლაპარაკების დროს არაფერს არ თმობდა. ფირმის დირექტორი თურმე რუსულს კარგად ფლობდა, მაგრამ, წინასწარი შეთანხმებით, მას პოლონურად უნდა ელაპარაკა, ხოლო ქალს ეთარგმნა. ეშმაკური სვლა იყო, ბევრ რამეს მოპირდაპირე მხარე ვერ იგბედა. მოლაპარაკება დაახლოებით ხუთ საათს გაგრძელდა. ლევანმა და დათომ ბევრ საკითხში წინააღმდეგობა გაუწიეს და თავისას მიაღწიეს, რადგან საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდათ ევროპელებთან ურთიერთობაში. ოპერაცია რომ დაწყებულიყო, სასწრაფოდ ათი მილიონი რუბლი უნდა გადაეხადათ. ამ

ფულს შეუამავალი და მომწოდებელი ერთად ითხოვდა. ან მართლა საქმისათვის სჭირდებოდათ, ან კიდევ რომელიმეს ჯიბეში უნდა წასულიყო. თუმცა ამას ასოციაცია „იმედისათვის“ მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან საკითხი ზევით შეთანხმებული იყო, ფულის გადახურდავების პროცესიც დაწყებული. ფულის წინასწარ გადარიცხვის საკითხიც წამოაყენეს, მაგრამ ქართული მხარე წინააღმდეგი წავიდა. პოლონელებმა მაღლევე დათმეს პოზიციები, რადგან ყველამ იცოდა, რომ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები საბჭოთა ფულის გადაქაჩაზე ჩალიჩობდნენ. ეს ჩვენმა ბიჭებმაც აგრძნობინეს და საკითხიც აღარ ამოწეულა.

ქალბატონი მაინც ცქმუტავდა, რაღაც ცვლილებების შეტანა უნდოდათ ხელშეკრულებაში, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ლევანი უსიამოვნოდ განეწყო იმ პიროვნებისადმი, ისედაც ვერ იტანდა ებრაელებს. როცა ამაზე ფიქრობდა, თან თავის თავს ადანაშაულებდა: „ამათ რა დააშავეს, ქრისტე ორი საუკუნის წინ სხვა ებრაელებმა აწამებინეს, ერთ კი დღესაც დასჯილია ამ დიდი ცოდვის ჩადენისათვის, ალბათ შთამომავლობითია და არც მოეხსნებათ, სანამ არ მოინანიებენ. ამათი გაშვება თავისუფლად არ შეიძლება, თორუებ გადაჭამენ ქვეყანას, ცოდვილი ხალხია“.

საღამოს შვიდ საათზე კონტრაქტი უკვე დაბეჭდილი იყო. დათომ და ლევანმა ხელი მოაწერეს, ბეჭდები დაუსვეს. კონტრაქტის მიხედვით ოცდახუთი ათასი ტონა ხორბლით დატვირთული პირველი გემი ფოთში იანვრის ბოლოსთვის უნდა შემოსულიყო.

— წავედით, ლევან, საღმე რესტორანში ვივახშმოთ, თორუებ მთელი ღამე ჯერ სადგურში და მერე მატარებელში მოგვიწევს ყურყუტი, — თქვა დათომ, დაემშვიდობნენ მასპინძლებს და ქალაქში გავიდნენ.

უკრაინულ ნაციონალურ რესტორანში ივახშმეს. შესანიშნავი ოფიციანტი გოგონა ემსახურებოდათ.

— თითქოს სპეციალურად არის დახატული, — შენიშნა ლევანმა, — ამდენი ხანია, ვუთვალთვალებ და ჯერ ნაკლი ვერ ვუპოვე.

— გეთანხმები, ჩვენთან ამისთანა გოგოს რესტორანში ვინ გაუშვებს, — დაუდასტურა დათომ.

— დავით, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება, ჩვენთან უარესიც მოხდეს. — სევდანარევი ხმით წარმოთქვა ლევანმა და ანგარიშის მოსატანად ოფიციანტს უხმო. დანახარჯი გადაიხადა და 50 მანეთი პირადად ოფიციანტს მიაწოდა.

— ეს რა არის? — იკითხა გაკვირვებულმა გოგონამ.

— ეს ის არის, რომ ვინიცაში მართლაც ლამაზი გოგონები არიან, — მობოდიშებით მიუგო ლევანმა, — დიდი მადლობა პატივისცემისათვის.

— შენ ეს ქალი ახლა სულელად ჩაგთვლის, — გაეცინა დათოს.

ამასობაში გოგონა დაეწია, გაბრწყინებული თვალებით შეხედა ლევანს და ლოყებაწითლებულმა უთხრა:

— თქვენ მე ძალიან დამეხმარეთ, ბავშვის წამლისთვის მართლაც მჭირდებოდა ორმოცდაათი მანეთი, დიდი მადლობა, თქვენ ღმერთი ხართ ჩემთვის.

— მე ღმერთი არა ვარ, გოგონა, ღმერთის გაჩენილი ვარ ამ ქვეყანაზე. მადლობა უფალს შესწირეთ, — თავი დაიმდაბლა ლევანმა, — ანუ, ესე იგი, სულელად არ ჩამთვალა, ბატონო დავით.

ღამის სამ საათამდე ვინიცის სადგურის ტერიტორიაზე დაბოდიალობდნენ დათო და ლევანი. როგორც იქნა, მოვიდა ბუქარესტი-მოსკოვის მატარებელი, ავიდნენ და მთელი დღის დაქანცულებს უცბად ჩაეძინათ.

VI

მატარებელი მეორე დღეს გვიან დამით ჩამოვიდა მოსკოვში კიევის ვაგზალზე. დათო და ლევანი მაშინვე სასტუმროსკენ გაე-შურნენ, რადგან გელაშვილი კონტრაქტს ელოდებოდა. კათოლიკური შობა დგებოდა. კომუნისტურ საზოგადოებაში დაბადებულმა და გაზრდილმა ქართველების უმრავლესობამ არ იცოდა, რომელი იყო მართლმადიდებლური და ახალი წელივით ერთს ძველს ეძახდა, მეორეს ახალს. ლევანი ყოველთვის ბრაზობდა, როდესაც მარხვაში ზოგიერთები ღორს კლავდინენ და შობას ზეიმობდნენ. ლევანი კათოლიკებს ვერ იტანდა, მწვალებლებს ეძახდა.

ისე აგიხდეთ ყველაფერი. როგორც კი შეაღეს აპარტამენტის კარები, მისაღებ ოთახში გაშლილი სუფრა დახვდათ. ვაჟიკო-პალიკო და კოტე უკვე სიმღერის ხასიათზე იყვნენ. სტუმრად ხანში შესული რუსი ცოლ-ქმარი ჰყავდათ, ვაჟიკო-პალიკოს ძველი ნაცნობები, როგორც შემდეგ გაირკვა, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორები.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — შესძახა მოხევემ, გადაკოცნა ბიჭები, გააცნო სტუმრები და სუფრასთან მიიპატიუა.

— კი, მაგრამ უფროსის გარეშე ლუკმა ყელში როგორ გადაგდით?
— გაიხუმრა ლევანმა, — სად არის ზაურ ალექსანდროვიჩი?

— ზაურ ალექსანდროვიჩი კარდიოლოგიის ინსტიტუტის რეანიმაციის განყოფილებაში წევს და არავის უშვებენ შიგნით, — წამოილულლურა კოტემ და შეწითლებული ღაწვებიდან თვალები ისე გადოკარკლა, გეგონებოდა სატანამ მორიგი მსხვერპლის ძებნა დაიწყოო, — ამ კაცს რომ ეტყვიან, არ დალიოო, ჯინაზე სვამს, თთქოს ვინმეს ედგას ჯიბრში. აგერ ისევ მიიღო სტენოკარდიული შეტევა.

— ლევან, მაშინ მე წავალ, ცოტას დავისვენებ, — უთხრა და-თომ სართელს, — ხვალ გავიდეთ საავადმყოფოში, იქნებ შეგვიშვან და დაველაპარაკოთ.

— დარჩი, ძმაო, სტუმარი ღვთისაა, — შეეპატიუა სეფერთელაძე. მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ლევანმა ბოდიში მოიხადა, განსაკუთრებით სტუმრებთან, თავს მოვიწესრიგებ და გესტუმრებითო. მართლაც ერთ საათში მობრუნდა წვერგაპარსული, ჭანსაცმელი გამოეცვალა. უყვარდა ლევანს ელეგანტური ჩაცმა. მითუმეტეს, როცა გაიგო, რომ სტუმრები ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, შარვალ-კოსტუმში და ჰალსტუხში გამოწყობილი წარსდგა მათ წინაშე. სუფრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, ბევრი სადღეგრძელო დაილია. ვაჟიკო-პალიკომ სტუმრები გაჩერებამდე გააცილა და მობრუნდა.

— ბიჭო კოტე, რა დალიეთ შენ და ამ გელაშვილმა ამისთანა, რომ კაცი ცოტაც და წასაღები გაგვიხდებოდა აქედან? — შემოსვლისთანავე სიცილით შეეკითხა სეფერთელაძეს მოხევე.

— რაც მე დავლიე, იმანაც ის დალია, რავა ყველას მე უნდა გასწავლოთ სმა? — ნაწყენი კაცის კილოოთ წარმოთქვა კოტემ.

ლევანს გაეცინა, თავისი თავის ტკივილი გაახსენდა. მაგრამ იმდენად ენდობოდა კოტეს, რომ ეჭვიც კი არ გასჩენია არაფერზე.

სატანა კი თავის მზაკვრულ გეგმებს ნელ-ნელა ახორციელებდა. ამხელა ფული ერთად კოტეს არასდროს უნახავს, ამიტომ მასში მომხვეჭველობის არაადამიანურმა გრძნობებმა გაიღვიძა, რის გამოც თავისი უახლოესი მეგობარი ლევანიც კი არ დაინდო და კოდეინის დოზით ისე გათიშა, თუ არა ლევანის ფიზიკური სიძლიერე, შეიძლება, ყველაფერი სიკვდილითაც დამთავრებულიყო. იგივე დოზით გაჯერებულმა სასმელის მიღებამ გელაშვილი საავადმყოფოში მოახვედრა. ის ნამდვილად ვერ გაუძლებდა, რადგან ორი ინფარქტი ჰქონდა გადატანილი. ვაჟიკო-პალიკო კარგად გრძნობდა თავს. ის კოტეს არ აინტერესებდა, მას ხომ ფულთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. როგორც თვითონ ამბობდა, აიღებდა ვალს და მოსკოვიდან წავიდოდა. ამიტომ კოტემ მასთან კარგი

ურთიერთობის ჩამოყალიბება ამჯობინა. თავისი მეგობარი ლევანი კი სასიკვდილოდ გაიმუტა, რომ ვალოდია ებრაელზე გადასაცემი თანხიდან ორასი ათასი მოქარა, ანუ ეშმაკზე ოცდათ ვერცხლად გაყიდა ძმაკაცის სიცოცხლე. არადა ლევანმა ბევრი სიკეთე გაუკეთა კოტეს. საქმე ასწავლა, სადაც მიდიოდა, ყველგან თან მიჰყავდა, ენდობოდა, ერთგულ პარტნიორად თვლიდა, როგორც იტყვიან, „თვალში რომ ჩავარდნოდა, ხელს არ ამოისვამდა“. ბევრჯერ უთქვამთ, მაგას როგორ ენდობი, არა ჩანს კარგი სულის ადამიანიო. ლევანს გაგონებაც არ უნდოდა. პატარ-პატარა თაღლითობებში კი ჰყავდა შემჩნეული, მაგრამ ერთგულების, მეგობრობის გრძნობები იმდენად ძლიერი იყო მასში, რომ ყველაფერს შემთხვევითობას მიაწერდა ხოლმე. ესე იგი ჩვენი გმირი უფალმა სხვადასხვა მოყვასის მეშვეობით რამოდენიმეჯერ გააფრთხილა, მაგრამ ის მაინც თვითონ იმზადებდა თავისთვის ეშმაფოტს.

მეორე დღეს დილის ათი საათისთვის ბიჭები უკვე ემზადებოდნენ საავადმყოფოში წასასვლელად, რომ ტელეფონის ზარი გაისმა. ყურმილი ლევანმა აიღო.

— ზაურ, როგორა ხარ, ტო? — აღმოხდა გახარებულ სართელს.
— რა წამოვიღო? ხარაში, კაი, მოვდივართ.

— კოტე, ერთი აღრიცხვის ბოლო ვარიანტი აიღე, ნახე, რამდენია გაცემული ობლიგაცია, ნაშთი რა დარჩა და წავედით, — გასცა ბრძანება სართელმა და სიხარულისგან ვაჟიკო-პალიკოს გადაეხვია, — ცოცხალია, ტო, გადარჩა. ამის მაღარიჩი უნდა დავლიოთ, რომ დავბრუნდებით.

კოტეს სიხარული არ ეტყობოდა, ნაძალადევად იღიმებოდა. ლევანმა თავის გონებაში ამასაც გამართლება მოუძებნა — „ალბათ პახმელიაზეა და ვერ აზროვნებსო“. გზადაგზა საჭმელი აუღეს გელაშვილს და პირდაპირ „კალცევოიზე“ წავიდნენ. აქ მდებარეობდა კარდიოლოგიის კლინიკური საავადმყოფო. უშველებელი შენობა იყო. სანამ გამშვებ პუნქტამდე მივიდნენ, კარგა ხანს იარეს.

რეანიმაციაში ავადმყოფის ნახვა მაშინ თბილისშიც პრობლემა იყო, ხოლო მოსკოვში მით უმეტეს. როგორც იტყვიან, „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“ და ბიჭებმაც უცბად ამოყვეს თავი რეანიმაციის ერთ-ერთ პალატაში, სადაც საგანგებოდ ჩაცმული ხალათებით შეიყვანეს. გელაშვილი გაშტერებული უყურებდა ბიჭებს, ყველას ხელი ჩამოართვა, ცოტა შეჭამა ხმა ამოუღებლივ და მაშინვე ობლიგაციების მოძრაობის ანგარიში მოითხოვა. ლევანმა ეს მოძრაობები არ იცოდა და კოტეს დაუთმო სიტყვა. კოტემ ქაღალდზე ყველაფერი კაპიკი კაპიკში ჩასვა, რამაც გელაშვილის ქაყოფილება გამოიწვია. ხოლო ლევანთან და კინტერაიასთან შეხვედრა მეორე დღისთვის გადადო. ლევანს ცოტა გაუკირდა, იცოდა, რომ ვინიცის კონტრაქტი უფრო საშური საშემე იყო.

— ახლა სად მიდიხარო აქედან? — იკითხა ზაურმა.

— არსად. ცოტას ქაღალდში ვიბოდიალებთ, საჭმელ-სასმელს ვიყიდით და ნომერში ვიქნებით, თორემ ამ ყინვაში რა უნდა აკეთოს კაცმა. — უპასუხა ლევანმა.

— ნომერში რომელ საათზე იქნებით, რამე რომ დამჭირდეს გადმოვრეკავ. თქვენ აქეთ ვერ დამირეკავთ, ეს ტელეფონი პროფესორმა ჩუმად გადმომიყვანა, — თქვა ზაურმა.

გელაშვილი აშკარად ტყუოდა, ტელეფონი ჩუმად კი არ გადმოუყვანეს, ფული მისცა და ჩაურთეს. მას სხვა რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული.

— ხუთ საათზე ვიქნებით სასტუმროში, — უთხრა ლევანმა — და არსად არ გავალო, ტელეფონი მუშაობს, რაც დაგჭირდება, უცბად მე თვითონ ამოგიტან, აბა, დავაი!

გამოსვლისას ლევანმა პროფესორი ნახა, ათასი მანეთი ჩაუდო ჯიბეში, მდგომარეობა გამოკითხა. მოწამლულა და შემდეგ სტენოკარდიული შეტევა მიუღია, — უთხრა ექიმმა. ლევანმა მაღლობა გადაუხადა პროფესორს. რომ გამოდიოდა, ხელებს ასავსავებდა, ვერ იგებდა, რა ხდებოდა.

ხუთს აკლდა თხუთმეტი წუთი, სასტუმროში რომ მივიღნენ ბიჭები. ნომერი მართლა სამეფო ჰქონდათ. მისაღები ოთახი ოცდაათი კვადრატული მეტრი იქნებოდა და გადაჰყურებდა მშვიდობის პროსპექტს. შეა ოთახში იდგა ძველებური მრგვალი მაგიდა სკამებით, სავარძლებით. მისაღებიდან იყო კაბინეტში გასასვლელი, რომელიც ასევე ოცდაათ კვადრატულ მეტრამდე იქნებოდა, ძველებური დივანით, სავარძლებით და მაგიდით. საძინებელი ოც კვადრატულ მეტრამდე იყო, ორმაგი საწოლით და დიდი კარადით. განლაგებული იყო ორი ტუალეტი, ორი აბაზანა, ორი სამზარეულო და კიდევ პატარა დამზმარე ოთახი. ეს სიამოვნება დღე-ღამეში სამოცი მანეთი ჯდებოდა, რაც საკმაოდ იაფი იყო ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმით გაჯერებულ მოსკოვში. მეექვსე სართულზე დამატებით ოროთახიანი ნომერიც აეღო გელაშვილს ლევანისა და კოტესთვის. როგორც ჩანს, ლუქსში თვითონ აპირებდა ცხოვრებას. ერთი სიტყვით, რაც ვინიციდან ჩამოვიდა ლევანი, მდგომარეობა ძალიან აჭრილი დახვდა, ჯერჯერობით სიტუაციებში ვერ გაერკვა.

ზუსტად ხუთ საათზე გელაშვილი შემოვარდა ნომერში აქოშინებული, როგორც გულით ავადმყოფებს სჩვევიათ. საიქიოდან მობრუნებულს ჰგავდა. მაშინვე სავარძელში ჩაჯდა.

— რა იყო, ალექსანდროვიჩ, გამოიპარე თუ გამოგაგდეს?! — ჰკითხა ლევანმა.

— მაგათ თუ დაუგდე ყური, — თქვა ზაურმა — ცოცხლად დაგმარხავენ, ვეჩუბე პროფესორს და გამოვიქეცი, არ მიშვებდა და რა მექნა. ახლა მაგის ღრო არ არის, მე კაბინეტში გავალ, ობლიგაციები იქ გამოიტანეთ და გადავთვალოთ.

„რაღაც ხდება“, — გაიფიქრა ლევანმა, კოტეს თვალით ანიშნა, გამომყევიო და ყველა ყუთი, რაშიც ობლიგაციები იყო შენახული, კაბინეტში დაახვავეს. ლევანმა აშკარად შეატყო, რომ ყუთები შეცვლილი იყო.

— რა არის, ტო, ახალ ყუთებში ჩააწყვეთ? — ჰკითხა კოტეს.

— აბა ისინი ამ გადატანა-გადმოტანაში დაიხა და რა მექნა.

დაიწყო დათვლა. ყველა გაცემა, ვის რა ჰქონდა წაღებული გადასახურდავებლად ცალკე დაჯამდა. რა თქმა უნდა, ვალოდია ებრაელზე გაცემული ორი მილიონი ობლიგაციიდან სეფერთელაძეს რომ ორასი ათასი ჰქონდა მოპარული, ეს ჯერ კიდევ ვალოდიას ეწერა და საბოლოოდ მასვე დაბრალდებოდა. ობლიგაციის ნაშთები და გადასახურდავებელი ფულის ნაშთი ცალ-ცალკე დაითვალა და აღწერის შედეგებით ას ორმოცდაათი ათასი დანაკლისი გამოვიდა. უხერხული სიჩუქე ჩამოვარდა. სად უნდა წასულიყო ეს ფული? ლევანი ვინიცაში იყო, ზაური საავადმყოფოში. ნომერში ვაჟიკო-პალიკო და კოტე იყვნენ. ან ერთს უნდა აეღო, ან მეორეს, აბა, ხომ არ აორთქლდებოდა. კოტე გამოსავალს ყოველთვის პოულობდა:

— ალბათ ვინმეს, შემთხვევით გადავაყოლეთ. აი, ვალოდიამ ისე წაიღო ჩანთა, არც კი დაუთვლია.

— მერე შენ დაუთვლელად რატომ გაატანე? — უსაყვედურა ზაურმა.

— მე დათვლილი მქონდა, მაგრამ უნდა გადამემოწმებინა. არა მგონია შეცდომა დამეშვა, იმიტომ, რომ ზუსტად ვიცოდი, ყველა შეფუთვის რაოდენობა. — ერთი მსხვერპლი უკვე წინასწარ შეარჩია კოტემ.

ამ დროს ვაჟიკო-პალიკომ ვეღარ მოითმინა და იყვირა:

— ე, მმაო, ვატყობ, ამ საქმეს კარგი სუნი არ უდის. ზაურ, მომეცი ჩემი ას ორმოცი ათასი და წავედი, თორემ მე ჩემი საქმები მაქვს.

— ორი დღე მაცალე და გაგიშვებ, — უთხრა ზაურმა.

ქაღალდი, რაზეც ციფრები ეწერა, ჯიბეში ჩაიდო, დაურეკა ვიღაც ლუდმილა მიხაილოვნას, არც თქვა მოვიდოდა, არ მოვიდოდა, რას გააკეთებდა, დატოვა სიტუაცია კითხვის ნიშნის ქვეშ და წავიდა. აშკარა იყო, ვიღაცაზე ეჭვიანობდა, მაგრამ ვისზე, ეს ლევანისთვის გაუგებარი დარჩა.

— კოტე, მოდი კიდევ ერთხელ დავთვალოთ, — უთხრა ლევანმა სეფერთელაძეს და ყუთებიდან ყველაფერი იატაგზე გადმოყარა, — სამი დღით დაგტოვეთ და აირ-დაირიეთ.

ოთახში ფულის სუნი იდგა. მას რომ თვლიდნენ ბიჭები, თან „ბორჯომს“ სვამდნენ ხშირად, თითქოს კუჭის წვას იწვევდა ფულის სუნი. თვალეს, თვალეს და შედეგი ისევ ის მიიღეს.

მეორე დღეს ვალოდია ებრაელი გიუივით ამოვარდა ნომერში, მოიტანა გადახურდავებული თანხა, დარჩენილი ობლიგაციები და შიშნარევი ხმით ლევანს და კოტეს უთხრა:

— ამხელა კაცი ვარ და დაუთვლელად ჯერ ფულისთვის ხელი არ მომიკიდია, მაგრამ ზაურს იმდენად ვენდობი, მაგისგან იაღლიში არ უნდა ყოფილიყო.

— რა ვქნა, ძმაო, მე რომ გადმოვცი ჩანთა, გითხარი, შიგნით ორი მილიონი ობლიგაციაა-მეთქი, ასეც იყო და თუ სადმე დაკარგე, ეს ჩვენი ბრალი აღარ არის, — მოკლედ მოუქრა კოტემ.

ამ დროს გელაშვილიც მოვიდა.

— ესე იგი სამას ორმოცდაათი ათასი აორთქლდა, მაგრად ვმუშაობთ რა.

— არა, ზაურ, რატომ თვლი ასე, გამოჩნდება, ძმაო, იქნებ მართლა ვინმეს გადაჰყება, — თავისას არ იშლიდა კოტე.

— შენ ის ვინმე ლენჩი გგონია, რომ ზედმეტი ფული უკან მოგიტანოს? — თავისას არ იშლიდა გელაშვილი.

— რა ვიცი, შენი ძმაკაცები ეგენი არიან და თუ ასე გაგწირეს, არა მგონია, — მაინც თავისას აწვებოდა კოტე.

— კარგი, კარგი, ხეალ ყველანი შევიკრიბოთ და გავაიასნოთ საქმე, — დაამთავრა გელაშვილა.

ამის შემდეგ კოტემ კაბინეტიდან გაიხმო კობიაშვილი, მხარზე ხელი გადახვია და უთხრა:

— ვაჟიკო, დროზე გამოართვი ამას ფული და წადი თბილისში, თორემ შეიძლება შენც გაგაცუროს. — კიდევ რაღაც ჩანაფიქრი ჰქონდა კოტეს, რომელსაც შემდეგ შევიტყობთ.

ამის თქმალა უნდოდა მოხევეს, შეუვარდა გელაშვილს და ფულის მისაცემად მოსაცდელი ორი დღე ერთი დღით შეუმცირა.

— კი, ბატონო, — ანერვიულდა გელაშვილი, — ხვალ გაგიშვებ, მხოლოდ ას ორმოცის ნაცვლად ასი ათასს მოგცემ, დანარჩენს, რომ ჩამოვალ, მერე გაგისტუმრებ.

ვაჟიკო-პალიკოს შეეშინდა, ესეც არ დავკარგო და დაყიდულდა.

გადაწყდა, მეორე დღეს ვაჟიკო-პალიკო ლევანს უნდა გაუცილებინა აეროპორტიდან, თან ატანდნენ ვინიცაში პოლონელებთან გაფორმებულ კონტრაქტს. კობიაშვილს ტელეფონის მეშვეობით როგორმე უნდა დაეკავშირებინა ასოციაციის პრეზიდენტი მოსკოვში ან ზაურთან, ან ლევანთან. ამდროს დაკავშირება საქართველოსთან ძალიან გართულებული იყო, რადგან სამოქალაქო ომის გამო კავშირი თითქმის შეწყდა. ახალ ამბებს მხოლოდ მოსკოვის ან ცენტრალური ტელევიზიით იგებდნენ, ისიც ნახევარი ინფორმაცია ყალბი იყო.

VII

დილით კარებზე კაგუნმა გამოაფხიზლა ლევანი. იგი მისაღებ ოთახში ტახტზე წვებოდა ხოლმე. მუდმივ მზადყოფნაში იყო. სიფრთხილეს იჩენდა, ამხელა თანხა იღო ნომერში. სართულის მორიგე კარებს სათადარიგო გასაღებით ვერ გააღებდა, რაღაც შიგნიდან ჩაკეტილ საკეტში გასაღებს ყოველთვის ტოვებდნენ.... კაგუნი კვლავ განმეორდა. ლევანმა საათს დახედა, შვიდის ნახევარი იყო. ბალიშის ქვეშ საგანგებოდ დადებული ბარაბნიანი გამოიღო და გასძახა:

— „დაიტე ლუდიამ სპატ, კტო ტამ?“

— გააღე, მე ვარ, — გასძახა ზაურის ხმა.

ლევანმა მაინც იფრთხილა, შიდა საკეტზე დატოვა კარი და ისე გააღო. გელაშვილი მარტო იყო.

— რა არის, ტო, ზაშზე იყავი, ალექსანდროვიჩ? — გაიზუმრა ლევანმა.

— ლევან, რაღაც არ მაძინებს, ცუდი წინათვრმნობა მაქვს. გამსახურდია დამარცხდება და ჩვენც დაგვერხევა.

— კაი, თუ ძმა ხარ, ზაურ, რომელი პოლიტიკოსები ჩვენ ვართ.

— ვართ, ვართ, — ამოხვნეშა გელაშვილმა და აბაზანაში შევიდა.

როგორც ჩანს, ზაურს მართლა ახლო კონტაქტები ჰქონდა გამსახურდიას მთავრობასთან. ეს მისი განცდებიდან აშკარად ჩანდა.

— ერთი გააღვიძე ის პრეზიდენტის ნათლიმამა! — გასძახა ზაურმა ლევანს. თან გამწარებული კბილებს იხეხავდა.

— რა ნათლიმამები გესიზმრება ამ დილაადრიან, რომელი მაფიოზები ჩვენ ვართ, — შეეპასუხა სართელი.

ზაურს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ კბილის პასტა, ეტყობა, ყელში გადასცდა და ხველებით კინაღამ დაიხრჩო.

— გააღვიძე, გააღვიძე, დროზე უნდა გავუშვათ, თორემ გასკდა გული. — არ იშლიდა ზაური.

ლევანისთვის თითქმის ყველაფერი ნათელი გახდა. მთავრობა წაიქცეოდა, მათი საქმეც ცუდად წავიდოდა. არავის არ სჭირდებოდა შენი პროფესიონალიზმი. საქართველოში იწყებოდა პერიოდი, სადაც ყველაფრის განმსაზღვრელი იქნებოდა ძალა და ფული. ინტელექტი, სამშობლოს ერთგულება, პატრიოტიზმი სანაგვეზე გადასაგდებად იყო გამზადებული. წარსულისგან შობილი აწყო არავის სჭირდებოდა, ის მხოლოდ სუფრის განუყოფელ ატრიბუტად რჩებოდა, ისიც თუ ვინმეს გაახსენდებოდა. ახლანდელ ვაი პატრიოტებს არც წარსულში დაშვებულ შეცდომებზე უნდოდათ ესწავლათ.

ეს ამ ხელისუფლებამ, რომელიც თავის თავს ეროვნულს ეძახდა, ვერ შეძლო. მეორე, რომელიც მას ებრძოდა, ამას საერთოდ ვერ გააკეთებდა, ვინაიდან სულ ნაკომუნისტარი ხალხით იყო დაკომპლექტებული და ბავშვობიდანვე სიყალბის კეთებას მიჩვეული. კომუნისტური იდეოლოგია სიყალბეზე

დაფუძნებული სიყალბე იყო. კომკავშირში რომ იღებდნენ ახალგაზრდას, ერთ-ერთი ძირითადი კითხვა ასეთი იყო „ღმერთი გწამს?“ უნდა გეთქვა „არა“, თუ გინდოდა რომ „ნათელი“ მომავალი გქონდა. თუ იტყოდი სიმართლეს, – „მწამს“ – ოჯახიანად დაქცეული იყავი. ესე იგი, როგორც კი შენი სულის ძახილს აჰევებოდი, ისეთად აღარ მიგიჩნევდნენ, როგორიც სხვებს უნდოდი. ეს დღესაც ასეა, მხოლოდ ტაძარში თუ გრძნობს სულიერად მდიდარი ადამიანი თავს დამოუკიდებლად და თავისუფლად, თუმცა აქაც არის გარკვეული ტენდენცია მორჩილებისა საერო ხელისუფლებისადმი, მაგრამ ნამდვილ მორწმუნებში ღმერთი ამ განსაცდელს არ უშვებს.

„მაშ კარტი ნელ-ნელა იხსნება“, – ფიქრობდა თავისთვის ლევანი – „ვაჟიკო-პალიკო პრეზიდენტის ნათლიმამა ყოფილა, ესე იგი დიდი კაცია. იმის მაგივრად, რომ საქმე ეკეთებინა, გელაშვილს გამოჰყევა აქ ფულის საშორენელად. თუ ამათ ავეყვით, ჩვენ შეიძლება ემიგრანტებიც გავხდეთ. ღმერთმა დაგვიფაროს!“ – პირჯვარი გადაიწერა ლევანმა და პრეზიდენტის ნათლიმამას ისე ხმამაღლა დაუძახა, „ვაიღვიძეო“, რომ გაოგნებული ვაჟიკო-პალიკო საწოლიდან ჩამოვარდა. კოტემაც გაიღვიძა და გაოგნებულმა თვალების ფშვნეტა დაიწყო. ხუთ წუთში ხომრის კაბინეტში გელაშვილის მაგიდასთან ისხდნენ სამივნი.

– ლევან! ასი უნდა მიმეცა ვაჟიკოსთვის, მაგრამ, თუ ასორმოცი გვაქვს, გამოუტანე და მიეცი. მერე ვნუკოვოში წაიყვანე და გაუშვი როგორმე. შენ არ დაგავალებდი, მაგრამ მეტი გამოცდილება გაქვს და ბოლომდე მიხედავ, - დამოძრა გელაშვილმა ლევანი. ვაჟიკო-პალიკოს ხელი-ხელში გადასცა ას ორმოცი ათასი და უთხრა, დათვალეო.

– დათვლა რად უნდა, გენდობი, – შეაგება მოხევებ.

– თუ ძმა ხარ, დათვალე რა?! რამე რომ აკლდეს, მერე შენი თავი არა მაქვს, ისედაც ამდენი ფული იკარგება.

აი, აქ კი დაიწყო კობიაშვილის ტანჯვა. მარტოს რომ გაეგრძელებინა ფულის დათვლა, დღის ბოლომდე ვერ დაამთავრებდა. მაგრამ კოტე მიეხმარა და საქმეს უცბად მორჩნენ.

— სწორია! — თითქმის იყვირა გელაშვილმა.

— ჰო, ჰო, ნუ ღრიაღებ, ახლა წავალ და მოგშორდები, — გაიცინა გამდიდრებულმა მოხევებმ.

ზაურმა ლევანს და კოტეს ბოდიში მოუხადა და ვაჟიკოპალიკოსთან მარტო დარჩა სალაპარაკოდ. თითქმის ნახევარი საათი ისაუბრეს, მანამდე ლევანიც მოეზადა, გამოიძახეს ტაქსი და ვნუკოვოს აეროპორტისკენ აიღეს გეზი.

აეროპორტში ძალიან ბევრი ქართველი იყო. თბილისში ძმათა სისხლისღვრას მოახლოებული ახალი წელიც ემატებოდა, ყველას სახლში ეჩქარებოდა. მოსკოვი-თბილისის რეისები აღარ დაფრინავდა გასაგები მიზეზების გამო. მოსკოვი-ერევანი ახალი გასული იყო. ერთადერთი იმედი საქართველოში წასვლისა თბილისი-ბათუმის რეისი იყო, რომლის გაფრენაც საღამოს ხუთი საათისათვის დაეგეგმათ. ვაჟიკოპალიკოს ძალიანაც არ უნდოდა ბათუმის გავლით თბილისში ჩასვლა, მაგრამ ბოლოს დაყაბულდა. მთავარი კი ბილეთის შოვნა იყო.

ლევანმა ძალიან ბევრი ირბინა, თითქმის ყველა ნაცნობი შეაწუხა, მაგრამ ყველა ბილეთი გაყიდული იყო. ბოლოს შეპირდნენ, რომ სამას მანეთად „ზაიჩიკად“ წაიყვანდნენ. 1970-იანი წლების უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის სტუდენტებს კარგად ახსოვთ, ავტობუსის ორი რეისი დადიოდა სასწავლებულში. №20 ლენინის მოედნიდან, ხოლო №49 სადგურიდან. აი, დილით ეს ავტობუსები ისე იჭედებოდა სტუდენტებით, გაჩერებაზე სხვა რეისის მგზავრები ამ ავტობუსების მგზავრებს გარედან აწვებოდნენ, რომ როგორმე შიგნით შეეტანათ, თორემ მძღოლი ავტობუსს ადგილიდან არ დაძრავდა. სწორედ ასე „შეტენა“ ლევანმა ტრაპიდან თვითმფრინავის კარებში ვაჟიკოპალიკო და აეროპორტის თანამშრომელს სამასი მანეთი ჩაუთვალა. სანამ კარებს მოხურავდნენ, ვაჟიკომ ნაღვლიანი თვალი გამოაყოლა ლევანს, როგორც ჩანს, ეშინოდა ჩამოვარდნის. რა ექნა, ლევანივით აღმაღალმა ფრენას შეჩვეული არ იყო. ლევანმა გაამხნევა და სთხოვა, როგორც ჩავიდოდა ბათუმში, მაშინვე დაერეკა სასტუმროში.

ლევანი ნერვიულობდა, სანამ თვითმფრინავი ჰაერში აიწეოდა. როცა უკვე ბორბლებიც აიკეცა და გეზი კარგად აიღო, მაშინდა ამოისუნთქა. გამოვიდა აეროპორტის შენობიდან, ჩაჯდა ტაქსიში და რაღაც ლითონი იგრძნო საზურგესთან შეხებისას. ზელით მოისინჯა და ახლადა გაახსენდა, რომ სასტუმროდან იარაღი გამოჰყოლოდა. არადა რამდენჯერ შევიდა და გამოვიდა აეროპორტის ტერიტორიაზე, სასინჯმა მოწყობილობამ კი არ გააჩერა. აქ უკვე უფლის ზელი ერია, თორემ აქამდე ლევანი მოსკოვის რომელიმე იზოლატორში იჯდებოდა.

ლევანმა მძღოლს მარშრუტი უკარნახა და ისევ ფიქრებში ჩაეფლო: „რა დიდი სირცხვილი იქნებოდა მისთვის ციხეში მოხვედრა. სიტუაციას ყველას ვერ აუხსნიდი, ამიტომ ყაჩაღისა და ბანდიტის იარღიყო უცბად მიეკერებოდა. განსაკუთრებით თავი იმ სოფელში მოეჭრებოდა, სადაც დაიბადა და გაიზარდა.“

მას შეცდომის დაშვების უფლება არ ჰქონდა, რადგან ეს მისთვის საბედისწერო იქნებოდა. ის ცხოვრობდა პრინციპით „სახელის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობიაო“. დღეს ის მოსკოვში გადარჩა, უფრო სწორედ ღმერთმა გადაარჩინა.

— დაილოცოს მისი განგება, — პირჯვარი გადაიწერა ლევანმა, გზას გახედა, უკვე სასტუმროს უახლოვდებოდნენ. შევიდა თუ არა ნომერში, ამოიღო ნაგანი, თავის ბუდეში ჩადო, ჩაეშვა სავარქელში და ღრმად ამოისუნთქა.

მაგიდაზე წერილი დახვდა: „ზაურს შეტევა მისცა გულმა, სასწრაფო გამოვიძახე და კარდიოლოგიის ცენტრში წაიყვანეს. მე პატარა საქმე მაქვს და მალე მოვალ. კოტე“.

— ეს რა უბედურება! — ხმამაღლა დაიწყო საუბარი ლევანმა, — რა ყველაფერი ერთიანად აირია.

სასწრაფოდ სახლში გადარეკა, მეუღლეს ელაპარაკა. ოჯახში ყველაფერი მშვდობიანად იყო. ქალაქში კი იარაღიდან სროლა უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა.

VIII

კოტე მალე მობრუნდა. ლევანმა ცოტა გაბრაზებულმა მიმართა:

- შენ სადღა დაბოდიალობ, ტო?!
 - თბილისელები შემზღვენ, მერე სახლშიც გადავრეკე.
 - რა, აქედან ვერ დარეკავდი?!
 - აյ წომ არ ამოვიყვანდი იმ ზალხს? — მხრები აიჩეჩა კოტემ.
 - მარტო რომ ტოვებ ნომერს, რა გარანტია გაქვს, რომ ფული არ დაიკარგება.
 - მე მგონი მაყუთი ვაჟიკო-პალიკომ აწია, — შეცვალა საუბრის თემა კოტემ.
 - ბიჭო, რა დროს ვაჟიკო-პალიკო და მაყუთია, რა მოუვიდა გელაშვილს? — იკითხა კოტეს უდარდელობით გაბრაზებულმა ლევანმა.
 - რა მოუვიდა და დაკარგა ფერი. კიდევ კარგი, ვალოდია ებრაელი იყო აქ, თორებ მე რას გავაკეთებდი.
 - ისევ ფულზე წომ არ ინერვიულა? — იკითხა სართელმა და სეფერთელაძეს თვალი თვალში გაუყარა.
 - ხო მაგაზე ჩხუბობდნენ. კაროჩე, ის ორასი ვალოდიამ აწია და ას ორმოცდათი კობიაშვილმა. — დაასკვნა კოტემ.
 - ვაჟ! ეგ შენი აზრია თუ გელაშვილის?
 - ჩემი, აბა მე და შენ არ წაგვილია და!
 - იქნებ გელაშვილი სხვანაირად ფიქრობს და ჩვენზე ეჭვიანობს?
 - მაშინ უნდა დაამტკიცოს, ძმაო.
 - შენ საიდან ამტკიცებ, რომ იმათ წაიღეს, ხომ იცი, გამკეთებელმა ერთი ცოდვა ქნა, დამბრალებელმა-ათასიო, — ჭკუა დაარიგა ლევანმა. თუმცა ამ სიტუაციის გამო ლევანი მაგრად იყო აჭრილი. კოტეს, როგორც საკუთარ ძმას, ისე ენდობოდა. იმას როგორ იფიქრებდა, რომ ის ფულს მოიპარავდა. მაგრამ ვაჟიკო-პალიკოც რომ არ იყო ფულის წამლები, ეს

თვითონაც კარგად იცოდა. რა ფულიც გელაშვილმა მისცა, ისიც ძლივს მოათავსა ჯიბეებში და კიდევ სხვა ადგილებში. მაგრამ ახლა ამის გარჩევის დრო არ იყო, გელაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშო იყო და სერიოზული მიხედვა სჭირდებოდა. ჯერ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და მერე დანარჩენი, ასეთი მიზანი დაისახა ლევანმა და ფიქრებიდან ტელეფონის ზარმა გამოიყენა.

— და! — აიღო ყურმილი ლევანმა. ვალოდია ებრაელი იყო ხაზზე, — როგორ არის მდგომარეობა? — ჰქონდა ლევანმა.

— არა უშავს, კრიზისმა გადაიარა, მდგომარეობიდან გამოვიდა, თქვენთან დამაბარა, საჭმელი წამომიღონ ბაზრიდან და ამოვიდნენ.

ლევანმა ჩაიწერა საავადმყოფოში წასაღები პროდუქტების და ნივთების სია და ყურმილის დადების შემდეგ წასასვლელად გაემზადა.

გაიარეს ბაზარში, იყიდეს ხილი, ლორი, ხმელი ხილი, პური და კარდიოლოგიის ცენტრში მიაკითხეს ზაურს. იგივე პალატაში იწვა და იგივე პროფესორი მკურნალობდა. პროფესორმა იცნო ბიჭები და დაუბრკოლებლად შეიყვნა რეანიმაციის პალატაში. თან გააფრთხილა, აგიტაცია ჩატარებინათ გელაშვილისთვის, რომ ექიმებისთვის დაეჯერებინა. ლევანმა თავი კი დაუქნია, მაგრამ თავისთვის გაიფიქრა „ახლა ამას ხომ არ აუხსნი, რა ხდება. კიდევ კარგად არის თავისი გარემოცვის ხელში, ყველა ამას ჭამს და რასაც ვერ ჭამენ, იპარავენ“.

— როგორ ხარ, ტო! — შესვლისთანავე ჰქითხა ლევანმა, — რა მიდი-მოდიხარ ამ საავადმყოფოში, შენი შიშით გარეთ ვეღარ გავსულვარ რა, — ვითომ სიტუაციის განმუხტვას ხუმრობით შეეცადა.

— ლევან! მე მგონი ვეღარ გავუძლებ, რა ქენი, გააცილე?

— გავაცილე კი არა, შევტენე თვითმფრინავში, ახლა იმაზე ვნერვიულობ, როგორ ჩავა ადგილამდე, პატარა ბავშვივით არის.

— ზაურ! — დაიწყო ისევ ლევანმა, — აგიტაცია დავიწყო თუ შენ თვითონ გაანალიზებ იმ სიტუაციას, რომ შენი მკურნალობა აუცილებელია? საქმეს, როგორც იქნება, მივხედავთ, შენ იმკურნალე.

— ეეჭ! რას მიხედავთ, აგერ სამას ორმოცდათი ათასი გარღვევა გვაქვს. ვალოდია ებრაელს ოცი წელია ვიცნობ, მაგას დაუკითხავად კაპიკისთვის არ მოუკიდია ხელი, მეც არ ვიცი, რა ვიფიქრო.

— ჩემზე თუ ეჭვიანობ? — უთხრა ლევანმა და თვალებში ჩახედა ზაურს, — ფიზიკურად ფულთან შეხებაც ვერ მოვასწარი, სულ აღმა-დაღმა დავრბივარ. არც კოტე არის იმის კაცი, რომ ასეთი რაღაც იკადროს.

— არა, ლევან, შენზე არ არის ლაპარაკი და ამ თემაზე დღეს ნუ ვისაუბრებთ. ახლა რატომ დაგიბარეთ. მგონი, მართლა ცუდად ვარ და მინდა, რომ ამ ახალ წელს კარგად შევხვდეთ. თბილისში მანც ვერ მივდივართ და ჩემი თხოვნა იქნება, გადოთ ბაზარში და ყველაფერი საუკეთესო იყიდეთ, არ შეგეშლებათ თქვენ ეს და საახალწლო სუფრა გააწყვეთ ნომერში ისეთი, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდეს. ერთი ზუთ-ექვს კაცს მე მოვიყვან, თქვენც დაპატიჟეთ, თუ გსურთ, ვინმე და ვიქეიფოთ.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ექიმი გამოგიშვებს? — იკითხა ღიმილით ლევანმა.

— ექიმთან შეთანხმებული ვარ, იმ პირობით, რომ დილით აქ ვიქნები.

— კარგი, ბატონო, დღესვე დავიწყებთ და ზეგ ალბათ ათ-თერთმეტ საათზე მოხვალ, თუ გამოვიდეთ და წაგიყვანოთ?

— არა, მე თვითონ მოვალ, — თქვა ზაურმა და ბიჭებს დაემშვიდობა.

IX

ათას ცხრაას ოთხმოცდათერთმეტი წლის ოცდაცხრა დეკემბერი იდგა. მოსკოვში გადაუღებლად თოვდა, ხედვაც კი ჭირდა, ისე ბარდნიდა. ლევანს თოვლი ძალიან უყვარდა, მაგრამ ახლა მხოლოდ გელაშვილის ჯანმრთელობაზე ფიქრობდა. „ეტყობა, რაღაც იგრძნო და იმიტომ უნდა საახალწლო სუფრა დიდებულად გავაწყოთ. ღმერთმა დაიფაროს და იქნებ ბოლო ახალი წელიც გამოდგეს მისოვის“.

კარდიოლოგიური ცენტრი „კალცევოიზე“ მდებარეობდა და საკმაოდ შორს იყო ცენტრიდან, თან გზის დიდი მონაკვეთი არყის ხის ტყებში გადიოდა. იმდენად ლამაზი იყო ამ დიდთოვლობისას მინდორი და ტყე, რომ ლევანმა მანქანა გააჩერებინა და სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად გარეთ გადმოვიდა. დიდთოვლობამ ისევ მშობლიური სოფელი გაახსენა. მაშინ ლევანი მეცხრე კლასში სწავლობდა. იმ დილით მეორედ მოვიდა სოფელში დიდი თოვლი. თოვლის მოსკლა ყოველთვის უხაროდა. ლევანის დედა დილით ადრე დგებოდა, ასე ზუთ-ექვს საათზე, რათა ოჯახური თადარიგი დაეჭირა და, რაც მთავარია, ლევანისთვის ეთქვა, რომ ყველა გაკეთილი გაემეორებინა, შემდეგ ესაუზმა და სკოლაში წასულიყო. ლევანს დილით ძილის დაფრთხობა არ უყვარდა. სულ იმას ნატრობდა, მალე მოსულიყო კვირა, რომ კარგი ძილი „გამოეცხო“, მაგრამ საკვირველებაც ის არის, რომ სწორედ კვირას ჰქონდა რვა საათზე თვალები გაჭყეტილი. არის ბავშვის ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როდესაც დილით სიხარულით წამოფრინდება საწოლიდან და მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც თოვლი მოვა. ამ დილითაც, როგორც ყოველთვის, ოთახში ლევანის დედა შემოვიდა და განგებ ხმამაღლა თქვა:

— რა დიდი თოვლი მოსულა, კარგა ხანია, ასეთი დიდთოვლობა არ ყოფილა ჩვენს სოფელში.

ლევანს უმაღლ ჩაესმა ეს სიტყვები ყურში, ეს იმ სიტყვებს არ ჰგავდა „ადექი, ბიჭო, გაკვეთილები გაიმეორე!“ ან „ადექი, დღეს საკონტროლო წერა გაქვს და არ დაგაგვიანდეს!“.

მართალია, ლევანს დღეს არც საკონტროლო წერა პქონდა, არც რაიმეამდაგვარი, მაგრამ ალგებრა პქონდა მეორე გაკვეთილი, ძალიან რომ „უყვარდა“ და „გიუდებოდა“ მისთვის. სულ წაუხდა ხასიათი. „ნეტავ მარტო პუმანიტარული საგნები ისწავლებოდეს სკოლაში, ამ მათემატიკის გაგონება მზარავს“, – თავისთვის ლურღულებდა ლევანი. ყველაფერში ძლიერი იყო, სპორტში, ცეკვაში, ქართულში, ისტორიაში და კიდევ ბევრ რამეში, მაგრამ ეს მათემატიკა ნერვებს უშლიდა. დაიბანა ხელ-პირი, გახედა ცას, ღრუბლები რატომდაც დილითვე დაშლილიყვნენ, ყინვაც ძლიერი არ იყო, ესე იგი მზე შუაღლებმდე მოუღებდა ბოლოს თოვლს. ახლა ალგებრასთან ერთად თოვლ-ჭყაპიც გაახსენდა და სულ წაუხდა ხასიათი. გაიმეორა გაკვეთილები, ისაუზმა და ბრძენი კაციებით გავიდა სახლიდან. დედამ სიტყვები გააყოლა:

– აბა, შვილო, შენ იცი, დღეს კარგი ნიშანი მოიტანე.

ლევანმა გადადგა ერთი-ორი ნაბიჯი და თავისთვის გაიფიქრა „მოვიტან, ხო, რომ გავირტყამ ალგებრაში ორიანს თოვლის გუნდასავით. არა, ორიანს მაინც არ მივიღებ, იმდენი კი ვიცი, მაგრამ ... სამიანი რა სახსენებელია“.

ქუჩაშიბავშვები სრიალ-სრიალით მიღიოდნენ, ზოგიჩანთაზე ჯდებოდა და ისე სრიალებდა, ზოგი კოტრიალობდა. ლევანი თავაწეული მიდიოდა და ფიქრობდა „ნეტავ, ამ ბავშვებს დღეს ალგებრა არა აქვთ? თუმცა, საიდან ექნებათ, მეოთხე-მეუთე კლასელები არიან“ . როგორც მეცხრე კლასელი, თავის თავი უკვე დიდად მიაჩნდა. მეათე კლასელებს რომ დაინახავდა, სულ იმას ნატრობდა, „ნეტავ შენ, რომ მეცხრე კლასის მათემატიკა გავლილი გაქვსო“.

ამ ფიქრებში იყო გართული, გზაზე დედა-შვილი რომ შენიშნა. დედას საბავშვო ბალისკენ მიყავდა პატარა ნიკო. ნიკო

უბალიანდებოდა, უკან ექაჩებოდა, არ უნდოდა ბაღში წასვლა.
ლევანი მიუახლოვდა ბავშვს, მოეფერა და უთხრა:

— ნიკო, რატომ არ მიჰყვები დედას საბავშვო ბაღში, იქ იცი,
რა დიდი თოვლი მოვიდა? აი, ამ სახლისოდენა.

ნიკომ ჭირილი შეწყვიტა, მაგრამ გაახსენდა, რომ არ უნდოდა
საბავშვო ბაღში წასვლა და იღრიალა:

— ჩემს ეზოში უფრო დიდი თოვლია...!

— დღეს შენმა ძმაკაცებმა იცი, რა მითხრეს? — არ ეშვებოდა
ლევანი, - ნიკოს გუნდაობაში ყველა ვჯობნითო. მართლა, შე
დედალო?

— ვინა, თამაზამ გითხრა? — გამოიდარა ნიკომ, — მაგას, ბიჭო,
როცა გინდა წავაქცევ, თუ გინდა სველ თითსაც გამოუსომ პირში.
— გაბრაზდა ნიკო.

— რო ვერა?!

— აბა ვნახოთ, ისე გავბერო რო. — ნიკო აჩქარებული ნაბიჯით
გაემართა საბავშვო ბაღისკენ.

ლევანმა თვალი გააყოლა და ჩაილაპარაკა:

— წადი, ბიჭო, წადი, შენც ხომ არა გაქვს ალგებრა.

ლევანი სერიოზული სახით შევიდა კლასში, დაჯდა მერზე
და დაელოდა მეორე გაკვეთილს-ალგებრას, თუმცა პირველი
გაკვეთილი გეოგრაფია ჰქონდა.

შეცხრე კლასის საკლასო ოთახი მოთავსებული იყო ძირითადი
კორპუსის გვერდზე. მას ზედმეტსახელად მოსწავლეები „ფარებს“
ეძახდნენ. იმაზე კი არავინ ფიქრობდა, რომ ნამდვილ ფარებში
ათავსებდნენ ცხვრებს, ძროხებს. როდესაც ამას მიხვდნენ, მაინც
„ფარებს“ ეძახდნენ, თან გაიცინებდნენ ხოლმე, ეს კი იმას
ნიშნავდა, რომ ისინი ნამდვილ ფარებს არ გულისხმობდნენ.
მართლაც და უცნობს რომ შემოეხედა, ნამდვილად გაოცდებოდა.
დერეფანივით გრძელი ოთახი, მიგრეხილ-მოგრეხილი
კედლებით, ოთხი ფანჯრით, აქედან ორი იყო მთელი, ორიც
ნახევრად მთელი, ერთი კარით. შემოსვლის დროს კარს ნელა თუ

არ დახურავდით, შეიძლება შუშა ჩამოვარდნილიყო. იდგა ერთი დაფა, რომელ ზეც ცარცით ძალიან ძნელად იწერებოდა, კარგად რომ დაწერილიყო, ცარცს მაგრად უნდა დასწოლოდით, ამ დროს დაფა ხელით უნდა დაგეჭირათ, რომ არ გადავარდნილიყო. იდგა ერთი მაგიდა, ერთი სკამი და ერთი ყველაზე, ყველაზე მთავარი, რკინის ღუმელი, რომელიც თავის მოვალეობას ხშირ შემთხვევაში არ ასრულებდა, მას მოსწავლეები ქიმიურ იარაღად იყენებდნენ. საკლასო ოთახში იდგა აგრეთვე ჩვიდმეტი მერჩი.

აი, ამ დღეს მოსწავლეები ჩვეულებრივ ისხდნენ მერხებზე და გეოგრაფიის მასწავლებლის თვალებს უყურებდნენ. აინტერესებდათ, რომელ მათგანზე შეჩერდებოდა მზერა.

— ბირკაძე გააკეთილი, — გაისმა თამარა მასწავლებლის ხმა.

ვახტანგი აღვა, ჩაახველა, ჯერ მერხსამდეარ იყო მისული, რომ სათაური უკვე დამთავრებული ჰქონდა. იმ დღეს მოსწავლეებს გაკვეთილად იტალია ჰქონდათ. ვახტანგმა დაიწყო ალპებიდან, შევიდა რომში, რომიდან გამოვიდა და ელვის უსწრაფესად დაეშვა სიცილიაზე. იქიდან რომ მობრუნდა, ცოტა გაჩერდა გზაზე, დაისვენა და ისევ რომში ჩავიდა, რომი შემოიარა და ვერციაში გაცურა ნავით და ვინ იცის, სად აღარ გადავიდა. ბოლოს, როდესაც შეეხო იტალიის ეკონომიკას, თავისი გამოსვლა დააგვირგვინა იმით, რომ იტალიელების ეროვნული საჭმელი არის მაკარონი. მასწავლებელს გაეცინა, უკვე ნიშნის დაწერასაც აპირებდა, რომ შეჩერდა და ჰკითხა ვახოს:

— შენ, ეტყობა, ძალიან გიყვარს მაკარონი, აბა თუ მეტყვი, როგორ ამზადებენ მას.

ვახტანგს გაეცინა და სხაპასხუპით თქვა:

— მაკარონს დამზადება რად უნდა, ხე ისხამს ბუნებრივად, მასწავლებელო.

მოსწავლეები ხომ სიცილისგან გაწითლდნენ, მასწავლებელი უარესად. ვახო სერიოზულად იდგა და ვერ წარმოედგინა, რომ მაკარონს ხე არ ისხამდა. ბოლოს გამოასწორა თავის შეცდომა

და თქვა, რომ მაკარონს ხე არ ისხამდა. თუმცა ამაში მაინც არ იყო დარწმუნებული. ამის შემდეგ კიდევ ოთხი მოსწავლე „წავიდა“ იტალიაში და ისევ „ჩამოვიდა“.

და, აი, დადგა უამი განსაცდელისა.

ათწუთიანი დასვენებაა. რა ცოტაა ეს ათი წუთი, სულ წამის ოდენა. ლევანი ჩაჰერკიტებს ალგებრას. თამაზი და ნოდარი ღუმელთან რაღაცას ჩალიჩობენ. უცებ ბოლით გაივსო საკლასო ოთახი, ზარიც დაირეკა. თინა მასწავლებელი წუთს არ აგვიანებდა გაკვეთილზე. შემოვიდა, მაგრამ ვერავინ დაინახა. ბოლოს შეწუხებულმა თქვა:

— რა საშინელება ამ ჩვენს სკოლაში. კლასი კლასს არ ჰგავს, ღუმელი ღუმელს და მოსწავლეები... არა, მოიცა, მოსწავლეებამდეც მივალ, სალამი!

— სა-ლა-მი! — უპასუხეს მოსწავლეებმა არეულ-დარეულად.

თინა მასწავლებელს გაკვეთილის ჩატარებაში ხელს ვერავინ შეუშლიდა. ყველა თვალებში უყურებდა მას, ხოლო მასწავლებელი კი მოსწავლეთა სიას ჩასცეროდა, რომელიც ჩამოწერილი ჰქონდა პატარა წიგნაკში. დღეს ლევანი რისხვას გადაურჩა...

ლევანი ფიქრებიდან მანქანის სიგნალმა გამოიყვანა.

— ლევან, წავედით რა! — ეძახდა კოტე — არ გაიყინე, ტო?!

სართელი გამოერკვა ფიქრებიდან და მანქანისაკენ წავიდა. იმ დამეს ვაჟიკო-პალიკომ დარეკა ბათუმიდან. ბიჭებს ძალიან გაუხარდათ, კობიაშვილის მშვიდობით ჩასვლა.

X

მეორე დღეს ლევანი და კოტე მოსკოვის „ცენტრალურ“ ბაზარში წავიდნენ სავაჭროდ.

ოთხმოცდათიანი წლების დასაწყისში მოსკოვის ბაზრები სავსე იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან კერძო მოვაჭრეების მიერ ჩამოტანილი სხვადასხვა ასორტიმენტის სასოფლო-სამურნეო სასურსათო საქონლით. ამას ემატებოდა მოსკოვის გარეუბნებიდან შემოზიდული ტრადიციული კვების პროდუქტები – ხორცი, სალა, ბუჟინინა, ლორი, ძეხვეული, ათასნაირი მწნილი, რის დამზადებაშიც რუსები ჩემპიონები არიან. თან ისეთი ლამაზი გოგონები ყიდვნენ ამ პროდუქციას, რომ მარტო მათი ეშხით იყიდიდი საქონელს. მე შენ გეტყვი, წონაში მოგატყუებდნენ თუ ფასში. პირიქით, იქთ გადმოგაყოლებდნენ, თუ კარგად დაელაპარაკებოდი სახლშიც კი დაგპატიუებდნენ. რუსი ადამიანები კარგი ბუნებისანი არიან, უშუალონი, თავმდაბალნი, რაც მთავარია, მორწმუნენი და ვაჟკაცური ხასიათის. მაგრამ საკმარისი იყო, მათ სისხლში სხვა ერის სისხლი შერეულიყო, განსაკუთრებით ებრაული, პოლონური, გერმანული ან თუნდაც სამხრეთული, რომ მათი ბუნება უკვე შოვინისტური, დამპყრობლური ხასიათის ხდებოდა. სწორედ ამან დააკარგვინა რუს ადამიანს თავისი ნამდვილი სახე და მსოფლიო მასშტაბით მოინათლა, როგორც დამპყრობელი ერი. სინამდვილეში კი რუსეთში რუსი ცოტაა დარჩენილი და მასაც განადგურება ემუქრება.

ბაზრებში მონოპოლიას კავკასიელები ფლობდნენ. კომუნისტების დროს თუ სომეხი, აზერბაიჯანელი, ლეკი, ადილი და სხვა ეროვნების ხალხი ვაჭრობისას თავს ქართველებად ასაღებდა, ახლა ყველა თავისი ერის სახელით ვაჭრობდა. საქართველოდან კი სავაჭროდ ძირითადად გორის და სამეგრელოს წარმომადგენლები იდგნენ. ესენი უფრო გადამყიდველები იყვნენ, ვიდრე მწარმოებლები.

ასეთი ვაჭრობის ლეგალიზაციას მიხეილ გორბაჩოვის გაგენსეკების უამს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ ახალი გენსეკის ბრძანებით დაევალა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მთავრობას მოსკოვში საგანგებოდ გამოყოფილ აღილებში მოწყოთ საკუთარი რესპუბლიკის სასოფლო-სამურნეო და ადგილობრივი წარმოების სასურსათო საქონლით ვაჭრობის ეგრეთწოდებული „ბაზრობები“. თთქმის იმდაგვარი, როგორიც „თბილისობის“ დღესასწაული იყო, იმ განსხვავებით, რომ „თბილისობა“ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, ხოლო გორბაჩოვის „მოსკოვობა“ თვეში ერთხელ ან ორჯერ, ზოგჯერ კვირაში ერთხელ, გააჩნია, რა ხასიათზე იყო გენსეკი და განსაკუთრებით მისი მეუღლე რაისა მაქსიმოვნა. ასე რომ, წარმოიდგინეთ, თხუთმეტი რესპუბლიკა მოსკოვში ჩამოტანილი ათასეული ტონა პროდუქციით, ფოლკლორული ანსამბლებით, ხელოვნების ნიმუშებით, რა სანახაობა იქნებოდა. თხუთმეტივე რესპუბლიკას გაახსნევინეს მოსკოვში საკუთარი პროდუქციის სარეალიზაციო მაღაზიები. თვითონ ლევან სართელს ოცდაათამდე დიდი ბაზრობა ჰქონდა ჩატარებული მოსკოვში და ტაგანკაზე დაარსებული მაღაზია „გრუზიის“ მომარაგებით წელი ჰქონდა „მოწყვეტილი“. მაშინ სომხებმა ჭკუით აჯობეს ქართველებს. გორკის ქუჩაზე ოცი კვადრატული ფართის მაღაზია აიღეს, გამოჭედეს კონიაკით, ატმის კომპოტით, სუჯუხით, ბასტურმით და ამით დავალება შესრულებულად ჩაუთვალეს. ქართველებმა კი ტაგანკაზე ათას კვადრატულ მეტრზე მეტი სავაჭრო ფართის დასაქონლება მოინდომეს. ყოველდღე რესპუბლიკის კომპერატორები ამ მაღაზის მომარაგებას ვერ აუდიოდნენ. მარტო ყოველ დღით 500 კილოგრამი მწვანილი იგზავნებოდა თვითმფრინავით და შუაღლისას უკვე გაყიდული იყო. ბაზრობების ჩატარების დროს იმდენი კურიოზი ხდებოდა, რომ მისი მოყოლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთი აუცილებლად გასახსენებელია.

ივლისის თვეა, ლევანს დავალებული აქვს მორიგი ბაზრობა ჩაატაროს საქართველოს წარმომადგენლობასთან ერთად „რიგის“ ბაზრობაზე მოსკოვში, ჩვენთვის ნაცნობი „ტრი ვაგზალას“ მიმდებარე ტერიტორიაზე. ბაზრობები ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. ყოველთვის ბაზრობის ხელმძღვანელთან მიმაგრებული იყვნენ რაიკომის, რაიალმასკომის, „მოსსოვეტის“, ქალაქის მილიციის, ქალაქის ავტონინსკექიის, სუკის და სხვადასხვა თრგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ბაზრობის ხელმძღვანელის ყველა საქმიან განკარგულებას ასრულებდნენ. უცებ ლევანთან სასწრაფოდ გამოცხადდა ძერუინსკის რაიონის რაიკომის პირველი მდივანი იგორ გორბაჩოვი და აცნობა, რომ ერთ საათში ბაზრობას მოინახულებდა მოსკოვის მაშინდელი ქალაქის კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ელცინი და სთხოვა, სრულ წესრიგში მოეყვანათ ბაზრობის ყველა კუთხე. ამის გაკეთება ადვილი იყო, რადგან ყველაფერი ისედაც წესრიგში ჰქონდათ.

ერთ საათში ელცინი ესკორტით მოადგა „რიგის“ ბაზარს, დაათვალიერა, შეაქო ქართველები, რომ შეწუხდნენ და მოსკოველებს „ვიტამინები“ ჩამოუტანეს. შემდეგ გაჩერდა, როგორც მაშინდელი თანამდებობის პირების წესი იყო, — ხალხს გამოელაპარაკა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ინტრიგანები იდგნენ და დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

— ბორის ნიკალაევიჩ! ქართველები ძვირად ყიდიან საზამთროს, ერთ კილოგრამს ერთ მანეთად, — ახარა ერთმა ქალბატონმა.

ბორისმა შეხედა ამ „უნინას“ და პირველი ტყუილი მაშინ ოქა: — ამხანაგებო! მე ახლა ჩამოვედი საქართველოდან. ქართველები თავის სამშობლოში საზამთროს ერთ კილოგრამს ერთ მანეთად და ორმოცდათ კაპიკად ყიდიან. ასე რომ, მოსკოველებისათვის მათ ფაქტიურად მსხვერპლი გაიღეს. ეს შრომა მათ უნდა დავუფასოთ და მადლობა ვუთხრათ. გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო! — აღფრთოვანებით

წარმოთქვა განსაკუთრებით ბოლო ფრაზა ელცინმა და აქვე დამატა, — მართლა, სად არიან ბაზრობის ხელმძღვანელები?

— აქ ვართ, ბორის ნიკალაევიჩ! — სხარტად უპასუხა ლევანმა და ხელის ჩამოსართმევად გაეშურა. ბრბომ უცბად გაუკეთა ცოცხალი დერეფანი ლევანს და გაატარა. მას კვალში ჩაუდგა ერთი ქალი და მანაც მიაღწია ელცინამდე. სანამ ელცინი ლევანს ხელს ჩამოართმევდა ამ „უენშინაშ“ დაასწრო და სხაპასხუპით მიაყარა ქალაქის თავს:

— ბორის ნიკალაევიჩ! ვცხოვრობ ცხრა სართულიან სახლში მეცხრესართულზე. პირველ სართულზე განლაგებულია დვინისა და არყის მაღაზია, რომელიც საღამოს შვიდ საათზე იკეტება, მაგრამ დამის თორმეულ საათამდე იქ ეზოს მხრიდან მიმოსვლა არ წყდება. ნეტავ, რას უნდა აკეთებდნენ? ჩვენ კი არ გვაძინებენ.

— თქვენ მეცხრე სართულზე ცხოვრობთ და ხმაური გაწუხებთ? — ჰკითხა ელცინმა „უენშინას“.

— დიახ, ბორის ნიკალაევიჩ!

— ვინც მეორე და მესამე სართულზე ცხოვრობენ, ისინი თუ ჩივიან?

— არ ვიცი, ბორის ნიკალაევიჩ.

— თუარიცით, გაიგეთდა კოლექტიური საჩივარი შემოიტანეთ ჩემთან კომიტეტში, მხოლოდ კოლექტიურ საჩივარს განვითხილავთ ამ საკითხზე! — მოკლედ მოუჭრა ელცინმა, მაშინვე ეტყობოდა, რომ ეს საჩივარი არ განიხილებოდა, ისეთი მზერა გააყოლა ელცინმა ქალს, აღბათ ფიქრობდა, „გიურა ეს შობელმაღლი, ამ გაგანია მშრალი კანონის პირობებში მსმელი კაცი ყველაფერს აკეთებს, რომ დასალევი იშოვოს, ეს კი მეცხრე სართულიდან ჩივის“.

ეს ელცინის მეორე ტყუილი იყო. პირველი კი, როდესაც მოსკოველები მოატყუა, საქართველოში საზამთრო მანეთნახევარი ღირსო. ის საქართველოში ბოლო პერიოდში ნამყოფი საერთოდ არ იყო და საიდან ეცოდინებოდა. უბრალოდ, ქართველებს ძალიან დიდ პატივს სცემდა და მათ სასარგებლოდ

გოლი გაიტანა მოსკოველთა კარში. ხოლო მეორე გოლი ლოთების სასარგებლოდ გაიტანა ინტრიგანების კარში და საერთო ჯამში კაცური კაცის იმიჯი შეიქმნა ქართველების თვალში.

— ესე იგი, შენ ხარ ბაზრობის ხელმძღვანელი? — დახედა ელცინმა ზევიდან ლევანს, თვალი თვალში გაუყარა, ხელი ჩამოართვა, მართალია სამი თითოთ, მაგრამ ესეკ საკმარისი გამოდგა, კინაღამ ხელის მტევანი მოაგლიჯა ლევანს, აშკარად ნასვამი იყო.

— დიახ, ბორის ნიკალაევიჩ! ლევან სართელი, — გააცნო თავისი თავი ლევანმა.

— რა ხდება საქართველოში? — უპე ცალკე ერთი-ერთზე სალაპარაკოდ გაიყვანა ელცინმა სართელი და თან თავისი მანქანისკენ აიღო გეზი.

— მოძმერუსეთის დახმარებით თავს კარგად ვგრძნობთ, ბორის ნიკალაევიჩ! — არ დაიბნა ლევანი და ამით ცოტა წაუმლიქვნელა „უფროსი ძმის“, მოძმერუსეთის, ერთ-ერთ ლიდერს.

— მაგას არ გეკითხები, — შეაწყვეტინა ისევ ელცინმა, - ჭაჭა და ლვინო ხომ ბევრი გაქვთ თუ ლიგაჩოვმა გადაგაჩვიათ, ჰა?!

— ჩვენი საკმარისი და სტუმრისთვის მისართმევი ყოველთვის გვაქვს, ბორის ნიკალაევიჩ! ეგ კი არა და აქაც წამოვიღეთ, შემიძლია, მოგართვათ, — ღიმიღილით უბასუხა ლევანმა და აქვე ენაზე იგბინა — „გიუ ხარ, შე შობელდაღლო, ამ გაგანია სუხოი ზაკონში რა არყის მირთმევა აგიტყდა, რომ წამოგიკიდონ, ღირსი არა ხარ? “ — გაუბრაზდა თავის თავს ლევანი. მაგრამ მალევე მოვიდა აზრზე, მსმელი კაცი გულბოროტი არ არის და არავითარ შემთხვევაში არ გაწირავდა. ბიჭებს ანიშნა, ერთი ყუთი კონიაკი „თბილისი“ და ერთი ყუთი არაყი „პოსოლსკაია“ ელცინის მანქანაში ჩაედოთ. ეს სასმელები ლევანს საგულდაგულოდ ჰქონდა გადანახული პატივსაცემი სტუმრებისათვის. ელცინმა მოძრაობები შეამჩნია და სახეზე კმაყოფილება გამოეხატა. ლევანს ეს არ გამოპარვია და ცოტა გულზე მოეშვა.

— აბა, ქართველო, დიდი მადლობა ყურადღებისათვის, — ხელი მაგრად ჩამოართვა ლევანს ბორის ნიკალაევიჩმა, — თუ რამე დაგჭირდება, ამხანაგ გორბაჩოვს სთხოვეთ და ყველაფერში დაგეხმარებათ.

შემდეგ ძერუინსკის რაიკომის მდივანს, იგორ გორბაჩოვს, მიუბრუნდა:

— ეს ქართველები კარგი ბიჭები არიან, ყურადღება არ მოაკლოთ და დაეხმარეთ! — ბრძანების კილო გაურია წინადადებას და გორბაჩოვმაც, როგორც მაშინდელ კომუნისტებში იყო მიღებული, მომარჯვებულ ბლოკნოტში მომარჯვებული კალმით ჩაინიშნა ქალაქის მამის ბრძანება.

ლევანი ჯერ კიდევ დაბაბული გაჰყურებდა მიმავალი ელცინის ეკიპაჟს და უნებურად ომარ ხაიამის სიტყვები ახსენდებოდა:

„ოჟ! ბოროტება! ვითომ სიკეთით მოიხვეჭე დიდი სახელი, საქმის ქმედობით შეიქმნ კიდეც სახელგანთქმული

და ამ დიდებით ლამის ღმერთად ცაში ახვედი,

უმჯობესია ლოთი იყო ფერდაკარგული,

ვიდრე გულბილწი, სიყალბის ქმნით განდიდებული.“

„სწორედ ამ ფერდაკარგულმა ლოთობამ მიშველა, თორეზ ახლა შეიძლება პეტროვეკაზე ვყოფილიყავი, ზოგჯერ როგორი დაუფიქრებელი ვარ, ეს დამღუპავს მე ცხოვრებაში“, — გამოუტანა თავის თავს განაჩენი ლევანმა. ფიქრებიდან რომ გამოერკვა, დაინახა თითქმის ყელა თანამშრომელი გვერდით ედგა და იმ სასწაულზე ჰყვებოდნენ, წუთის წინ რომ მოხდა.

— ბიჭო, ჩვენი ტეკას მდივანს რომ მისცე ასე ქრთამი, დევიანოსტესტო პრიმაზე გაგიშვებს ეგრევე, თან გეტყვის, ვინ არის შენი მათხოვარიო. ისე მაგრად გარისკე, ლევან! — უთხრა ერთ-ერთი ორგანიზაციის დირექტორმა.

— რა ვქნა, ძმაო, სასმელი მსმელ კაცს უნდა დაალევინო, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, — მოკლედ მოჭრა ლევანმა და ზურგს უკან იღორ გორბაჩოვის ხმა შემოესმა:

— ამხანაგო სართელო! რით დაგეხმაროთ ჩვენი რაიონული კომიტეტი?

— არაფრით, იგორ მიხაილოვიჩ, ჩემო ძვირფასო, პირიქით პურ-მარილი ჩვენზეა.

— არა, არა, მე თქვენ ვერ გამიგეთ, ამხანაგო სართელო. ბორის ნიკალაევიჩმა გარკვევით დამავალა, რომ რამე გავაკეთო თქვენთვის და დაგეხმაროთ, აი ჩანაწერი. — და გორბაჩოვმა ბლოკნოტში ჩაწერილ დავალებაზე მიუთითა.

„ღმერთო ჩემო, — თვალები მაღლა აღაპყრო ლევანმა, — ამ ტვინგაფინულს ვეღარ მოვიშორებ აქედან, რა ჯანდაბა ვუყო, რა ვუთხრა“, — ფიქრობდა ლევანი. უცბად გორბაჩოვს გაღიმებულმა შეხედა და უთხრა:

— იგორ მიხაილოვიჩ! თქვენ თვითონ ხედავთ, ბიჭებმა ამ სიცხეში ერთი კვირა მართლაც მუხლჩაუხრელად იშრომეს. გააგზავნეთ ერთი სამადლობელო დეპეშა ჩვენი თავმჯდომარის სახელზე თბილისში და დავალებაც შესრულებული იქნება.

გორბაჩოვმა შვებით ამოისუნთქა, კიდევ რაღაც ჩაინიშნა ბლოკნოტში, დაემშვიდობა ბიჭებს და წაკიდა.

— ძლივს არ მოვიშორეთ, ვინ არის, ბიჭო, ეს რაიკომის მდივანი, მომკლა ამათი პროტოკოლებით მუშაობამ, — გაცხარდა ლევანი და ბაზრობის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი ოთახისკენ წავიდა.

მესამე დღეს ლევანი თავისი მოსკოვური გუნდით თბილისში თავმჯდომარის კაბინეტში იყო ატუზული და უფროსის სიტყვებს ისმენდა:

— მოსკოვში თქვენ მეტი საქმე არა გაქვთ, რომ რაიკომებში და აღმასკომებში ილაზღანდარაოთ. მანდ ბოდიალს გირჩევნიათ, როცა იქ ხართ, მაღაზიას მიხედოთ, ყველა საქონლის დასახელებაში რომ წყვეტილობები გაქვთ.

ლევანს ათასმა აზრმა გაუელვა თავში. ბიჭები მართლაც მიდიოდნენ რაიკომებში, აღმასკომებში, ათასი საქმე იყო გასაკეთებელი. ზოგი ფულით კეთდებოდა, ზოგი ყვავილებით, ზოგი სასმელით, ზოგი სიყვარულით. „გაიგე ახლა ვინ და რაში ჩაუშვა“, — თავმჯდომარე კი განაგრძნობდა:

— აი, ეს დეპეშა რომელმა ჩააწყეთ?! — და თავმჯდომარებ ააფრიალა წითელთავიანი დეპეშა, რომელიც მხოლოდ სამთავრობო დონეზე იგზავნებოდა, — გორბაჩოვი აწერს ხელს, ძერუინსკის რაიკომის მდივანი და ითხოვს მადლობები გამოგიცხადოთ.

— მე აგიხსნით, რაც მოხდა, — წარსდგა წინ ლევან სართელი და დაწვრილებით მოუყვა თავმჯდომარეს ყველაფერს.

— კარგით, წადით, მიხედეთ საქმეს, მხოლოდ იცოდეთ, თქვენი საქმე და მადლობა შორი შორს არის.

მას შემდეგ, ალბათ, ხუთმა წელიწადმა განვლო, ლევანი ბაზარში იდგა და ხვდებოდა, რა დიდი ბიძგი მისცა ვაჭრობას იმ გორბაჩოვისეულმა ბაზრობებმა, როგორ ჩამოაყალიბა და მრავალფეროვანი გახადა ასორტიმენტი. გაიზარდა ვაჭრობის კულტურა, ერთი სიტყვით, საბაზრო ეკონომიკა იღებდა სტარტს და ნელ-ნელა ექვემდებარებოდა ველური კაპიტალიზმის პრინციპებს.

ლევანმა და კოტემ თითქმის ყველაფერი იყიდეს, რომ გელაშვილს გული არ დასწყვეტოდა და დატვირთულები გაემგზავრნენ სასტუმროში. იმ საღამოს არაფრის გაკეთების თავი აღარა ჰქონდათ. გელაშვილი მოინახულეს საავადმყოფოში და საახალწლო სამზადისი 31 დეკემბრისთვის გადაიტანეს. დილით რესტორნიდან ამოიგვანეს ოფიციანტი ქალები და სათანადო გასამრჯელოს საფასურად სთხოვეს საახალწლო სუფრის მომზადება-გაწყობა თხუთმეტ პერსონაზე.

ლევანი ნახევარი საათი უხსნიდა რესტორნის შეფ-მზარეულს, თუ როგორ უნდა შეეწვა გოჭი. აჯიკაც მიუტანა, კარაქიც. ყველა პროცედურა სამჯერ გაუმეორა. მეორე გოჭი უნდა მოეხარმათ, აქ რუსს არ სჭირდებოდა დარიგება, ამიტომ შეთანხმდნენ, ათ საათზე ლევანი მივიდოდა და თვითონ წამოიღებდა გოჭებს.

ლევანმათავისმხრიდან ერთი წევილი მოიპატიუა საახალწლო სუფრასთან. ერთი ვიეტნამელი ძმაკაცი ჰყავდა, მასთან საქმეში

პარტნიორობდა და თავის რუს მეუღლესთან ერთად დაპატიჟა. სხვა არავისთან დაურეკავს, რადგან გელაშვილს ხუთი-ექვსი სტუმარი მოყავდა, დანარჩენები აქაც დაემატებოდნენ და წესით კარგი კომპანია უნდა შეკრებილიყო. თან საქმე კეთდებოდა, ლევანი და კოტე შიგადაშიგ სვამდნენ. დასალევი ბლობად ჰქონდათ. ფული საგულდაგულოდ შეინახეს იმ დივნების ქვეშ, სადაც სტუმრები უნდა დამსხდარიყნენ. ლევანი და კოტე შეთანხმდნენ, რომ ქეიფის დროს სუფრას ორივე ერთად არ დატოვებდა, ერთერთი მაინც იჯდებოდა მაგიდასთან და ფულის ადგილსამყოფელი კონტროლის ქვეშ იქნებოდა. იარაღებიც გადამალეს.

ლევანი ცოტეადრეჩავიდარესტორანში გოჭების ამოსატანად. სამზარეულოში რომ შევიდა, დაინახა, მზარეული მოხარშულ გოჭს როგორ უსვამდა აჯიკას. სართელი ამის შემხედვარეკინაღამ ცუდად გახდა. მზარეულს ყველაფერი უკულმა გაეკეთებინა. ერთი გოჭი წყალში იყო მოხარშული, თან აჯიკით, ხოლო მეორე ასევე მოხარშული, ოღონდ ლუმელში. სამჯერ რომ კაცი აგიხსნის და ვერ გააკეთებ, ესე იგი დეგენერატი ხარ. მაგრამ რას იზამ, ამას ლევანის, კოტეს და ზაურის გარდა სუფრის ვერც ერთი წევრი ვერ მიხვდებოდა, რადგან ისინი ქართველები არ იყვნენ.

ლევანი ნომერში რომ ავიდა, ვიეტნამელი თავის რუს მეუღლესთან ერთად უკვე იქ დახვდა. ადრე მოსულიყვნენ. ბოლიში მოიხადეს, ახალ წელს მეგობართან უნდა შევხვდეთო, ნახევარი საათი ისხდნენ სუფრასთან, არც დაულევიათ, არც უჭამიათ, ერთი-ორი სადღეგრძელო თქვეს და წავიდნენ. კოტე სუფრის ერთ ბოლოში იჯდა, ლევანი მეორე ბოლოში და აუტყდა ორივეს სიცილი.

— ოცდაოთხი საათი ერთად ვართ, ერთმანეთს ვუყურებთ და ახლაც იგივე მეორდება, ეს სუფრა რაღად გვინდოდა, — აფორიაქდა ლევანი.

უკვე თერთმეტი საათი სრულდებოდა, თბილისში ახალი წელი დადგა და გელაშვილიც მოვიდა ვიღაც ქალთან ერთად, მაისეევის ანსამბლის მოცეკვავე იყო. ისე კი ეტყობოდა

გამართულ მიხვრა-მოხვრაზე. არც ისინი დამსხდარან. ნახევარი სუფრა პარკებში ჩააწყვეს, სხვაგან მივდივართო და დატოვეს ლევანი და კოტე მარტო.

ლევანი გავიდა სართულზე, იქნებ მორიგე, ან პორტიე შემოვიყვანო, მარტო ორნი ხომ არ შევხვდებით ახალ წელსო. მაგრამ კაციშვილი ვერ ნახა, ყველა უკვე წინასწარ დაპატიჟებულ მისამართებზე იყვნენ წასულნი.

ლევანმა და კოტემ დამის თორმეტ საათზე მიუჭახუნეს ჭიქები ერთმანეთს, მიულოცეს ახალი წელი და დასაძინებლად დაწვნენ. თბილისშიც ვერ დარეკეს, კავშირი არ იყო.

— ცუდი დასაწყისია, — ჩაიბურდლუნა ლევანმა, გადაბრუნდა და დაიძინა.

XI

ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი წელი ლევანისა და კოტესათვის მოსკოვში ჩეულებრივი დღესავით დაიწყო. სასტუმროს ნომერში გაშლილი სუფრა ისეთ შეხედულებას ტოვებდა მნახველზე, რომ თითქოს ვიღაცას დაუწყია საახალწლო ზეიმი სუფრასთან და მაღლევე მიუტოვებია. ერთი სიტყვით, ზეიმი არ შედგა ან საზეიმო რა ჰქონდათ ქართველებს, სამშობლოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ვისთვის ან რისთვის იყო ეს საჭირო, ჯერ არავინ იცოდა, იხოცებოდა საქართველოს რჩეული ახალგაზრდობა, ინგრეოდა ქალაქი. ოჯახებს მოწყვეტილი ლევანი და კოტე ახალი წლის დილას უაზროდ დაბორიალებდნენ აპარტამენტის ოთახებში და ხანდახან ერთმანეთს ეხმიანებოდნენ, რომ ამით მარტოობა არ ეგრძნოთ. ლევანსაც და კოტესაც ახალგაზრდა ოჯახები ჰყავთ. ორივეს მეუღლები და ქალ-ვაჟი დაეტოვებინა სახლში. მართალია, მათი სახლები მოშორებით იყო ბრძოლის ადგილიდან, მაგრამ ინფორმაციის გარეშე დარჩენილნი

ძალიან განიცდიდნენ შექმნილ მდგომარეობას. ათასი ფიქრი უტრიალებდათ თავში. ამ დროს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ლევანი მაშინვე ეცა ყურმილს.

— გამარჯობათ, „სნოვიმ გოდომ, სნოვიმ სჩასტიებ“! — გაისმა ვაჟიკო-პალიკოს ხმა, — ოოგორ ხართ, უჩემობა ხომ არ დაგეტყოთ, ძმებო.

— გილოცავ, ვაჟიკო, ახალ წელს, მშვიდობით ჩასვლას სამშობლოში, — სწრაფადვე მიუგო ლევანმა და მაშინვე კითხვით მიმართა, — ბიჭო, ჩვენები ხომ არ გინახავს?!

— ყველაფერი რიგზეა შენთან, კოტესთან, ზაურთან, კარგად არიან. პირიქით, თქვენი დარღი აქვთ. მაგრამ მე ვუთხარი, იმათზე ნუ დარღობთ, არაფერს არ იკლებენ-მეთქი. — გადაიხარხარა ვაჟიკო-პალიკომ.

— რა, არი, ბიჭო, ჩაშვებები დაიწყე მოხევე კაცმა? — ხუმრობით პკითხა ლევანმა.

— არა, ლევან, შენ თავს გეფიცები და ჩემსასაც, თუ რამე წამომცდებოდეს, — სიცილით უპასუხა ვაჟიკომ.

ლევანი ახლადა მიხვდა, რომ ვაჟიკო-პალიკო კარგად გაბრუული იყო. ამას ვინ ჩიოდა, რაც მთავარია, ოჯახის ამბები გაიგო და მაშინვე შეეტყო, რომ დაწყნარდა

— ლევან, ერთი კოტე დამალაპარაკე, — უცბად დასერიოზულდა ვაჟიკო.

კოტემ და ვაჟიკო-პალიკომ მოკლედ ისაუბრეს. აღმოჩნდა, რომ ვაჟიკო-პალიკო რომელილაც ძალოვანი სტრუქტურის ტელეფონით რეკავდა, ხოლო რა უთხრა კოტეს, ეს თვითონ კოტეს აღარ უთქვამს. არც ლევანი ჩაეკითხა, რა იცი, იქნებ რაიმე პირადულზე ისაუბრესო. მაგრამ ეს „პირადი საუბარი“ სწორედ საერთო საქმიანობას შეეხებოდა, რაღაც მზადდებოდა ლევანის ზურგს უკან, რომელსაც ლევანი ვერც წარმოიდგენდა, თუმცა, როგორც ვიცით, კოტეს მოქმედებებიდან პროცესი უკვე დაწყებული იყო. ბრძოლა ბევრი ფულის ხელში ჩასაგდებად, რისთვისაც ლევანის „ძმა და მეგობარი“, მისი აღზრდილი არაფერს ერიდებოდა.

— ჰომ! ახლა, მმაო, უკვე შეიძლება დალევა და ახალი წლის აღნიშვნა, — აფუსფუსდა ლევანი. მივიდა სუფრასთან, ჩამოასხა კონიაკი „ნაპოლეონი“, რომელიც საგანგებოდ შეიძინეს ნაცნობობით, რადგან მოსკოვში ფალსიფიცირებული ბევრი იყო შემოტანილი. მიუჭახუნა კოტეს ჭიქა — ეს ჩვენ ოჯახებს გაუმარჯოს, მმაო, და კიდევ ვაუკო-პალიკოს, ასეთი კარგი ამბები რომ გვამცნო ამ ახალი წლის დილას, — თქვა ლევანმა და გადაკრა კონიაკი, წინასწარ მომზადებული ზიზილალის ბუტერბოდი მიაყოლა და კოტეს გადაულაპარაკა: — ახლა გავალ სასტუმროში და ვინც შემზღვდება, ყველას შემოყვივან, აბა, ამხელა სუფრას რა ვუყოთ, მუზეუმის ექსპონატივით რომ არის გახიდული.

— დავაი, წადი, მე მანამდე გავაახლებ სუფრას, — გამოსძახა საძინებლიდან კოტეებ.

ლევანი გავიდა სასტუმროს დერეფანში, შემდეგ სასტუმროს პოლში გადაიხედა. ადმინისტრატორის სკამზე შვეიცარს ეძინა. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო სასტუმროში, ყველაფერი ჩამკვდარი იყო. საათს დახედა, დღის თორმეტი საათი იყო და ჯერ არავინ ჩანდა ასეთ პრესტიულ სასტუმროში.

— მალადცი, მოსკვიჩი! — ჩაილაპარაკა ლევანმა თავისთვის, — თქვენ უნდა დაიტრაბახოთ, დროსტარება ვიციოთ, ჩვენთან, ალბათ, მეკვლეებს უკვე ბარე ზუთი პურმარილი აქვთ გამოვლილი.

ისევ თავის სართულზე აბრუნდა. არ არსებობს სადმე არ იყვნენ ეს „ეტაჟნიცები“ შეეუუღები, — ფიქრობდა ლევანი. მან კარგად იცოდა, რომ სასტუმროს პორტი და სართულის მორიგები სამსახურის საათებში არ დაიძინებდნენ, რადგან შემმოწმებელი ყოველთვის ჰყავდათ. ლევანს ძალიან დიდი გამოცდილება პქონდა სასტუმროებში ცხოვრების და მომსახურე პერსონალის მოქმედების თითქმის ყველა ნიუანსი ზეპირად იცოდა. ამიტომ აღარც დაფიქრებულა და პირდაპირ თეთრეულის შესანახი საკის კარებზე დააკაკუნა.

— ვინ არის? — გაისმა მკაცრი ზმა კარების შიგნით.

— სამოთხის ჩიტი, — უპასუხა ლევანმა.
— სამოთხის ჩიტებს გავუღებთ კარს, თუ რამეს მოგვიტნს, —
სიცილით გამოეპასუხა მეორე ხმა.

კარი გაიღო, ჯერ სასმელის სუნი გამოვარდა საქნიდან,
ხოლო შემდეგ მას ასე ოცდახუთმეტი წლის ქალი გამოჰყვა,
ლოყებჩაწითლებული „გორნიჩნაია“.

— რა გინდა, ქართველო, რას ეძებ? — პკითხა საქმიანი
რუსულით ქალმა.

— ჯერ ერთი, რას კი არა ვის? — ოლიმპიური სიმშვიდით
უპასუხა ლევანმა, — მეორე, გილოცავთ ახალ წელს თქვენ,
ქალბატონო, და კიდევ იმათ, ვისაც ვერ ვხედავ შიგნით და ხმა
მესმის. მესამე, ნომერში მაქვს გაშლილი თხუთმეტ პერსონაზე
სუფრა და მინდა დაგპატიუროთ.

ბოლო სიტყვებმა უკვე დოპინგივით იმოქმედა და სამი ასეთივე
ასაკის ქალბატონი გამოენთო „თეთრეულებიდან“, ლევანს
გაასწრეს ნომრისკენ. რა თქმა უნდა, მათ ქართველების ლუქსი
შესანიშნავად იცოდნენ სად იყო.

ერთი საათის შემდეგ კარგად შეზარხოშებული სტუმრები და
მასაბინძლები სხვადასხვა საკითხზე მსჯელობდნენ. მაგალითად,
ქალბატონს, რომელსაც სახელად რუსეთში საკმაოდ
გავრცელებული სახელი, ვალია, ერქვა, ლევანი ასე მიმართავდა
— „გოსპაუა ვალენტინა“.

— გოსპაუა ვალენტინა, აი, თქვენს მეგობარს გალია ჰქვია.
ამიხსენით გეთაყვა, შეიძლება მას მივმართო ასე, გასპაუა
გალენტინა?

— შეგიძლია ყველანაირად მიმართო, ოდონდ ეს გალენტინა
საიდან მოიტანე? — იკითხა ახლად გაგასპაუებულმა ვალიამ და
ლამის ყურებამდე გაწითლდა.

— ესე იგი, — დააზუსტა სართელმა, — თუ ვალიას ჰქვია
ვალენტინა, ვალიას უნდა ერქვას გალენტინა, თუ არა და მაშინ
ვალია რუსული სახელი არ არის.

ბოლოს და ბოლოს, ბევრი კამათის შემდეგ მოქეთფებმა რუსულ სახელებში შეიტანეს ცვლილება და გალია გალენტინად მონათლეს, რასაც აუცილებლად სჭირდებოდა დასველება. პურ-მარილიც უფრო მეტი ენთუზიაზმით გაგრძელდა

ლევანი, რა თქმა უნდა, თამადა იყო. სუფრაზე ისედაც ხშირად უწევდა თამადობა და აქაც თავისივე ინიციატივით თამადობდა. არა და რუსებს თამადა არ სჭირდებათ, რადგან სუფრაზე ყველა თავისი თავის თამადაა და ზოგჯერ სიტყვა „ბუდემ“-ის თქმაც კი ეზარებათ. დღეს კი ლევანმა თავისი შეუდარებელი საღღებრძელოებით და დახვეწილი ყოფა-ქცევით სუფრა სუფრას დაამსგავსა და საახალწლო მოლხენამ მართლაც საზემო ელფერი მიიღო. სიმღერა სიმღერის ადგილას იყო, ცეკვა ცეკვის ადგილას. ახლაც გალენტინას ეცეკვა ძველმოდური ვალსი და დიდი რევერანსებით მიაცილა სკამამდე. შემდეგ ჩამოუსხა ყველას მათივე მოგონილი სასმელი არაყი და ფეხზე ამდგარმა წარმოოქა:

— Товарищи алкоголики и алкоголистки!

— А почему алкоголики, ты что, Леван, одурел что ли?!-аშუხურდა ახლად გაგასპაჟებული გალენტინა.

— Потому, что на бутилке так написано,— ხელში აიღო არყის ბოთლი ლევანმა და სიტყვა „ვოდკა“ ასო-ასო გაუშიფრა თანამეონაზებს, — Вот Очем Думает Каждий Алкоголик — შემდეგ კი ბოლოდან წაუკითხა — Алкоголик Каждий Думает О Водке.

ყველანი განცვიფრებულები უყურებდნენ ლევანს.

— კიდევ რამე იცი, ლევან, არაყზე! — სიჩუმე დაარღვია ვალიამ.

— ასე იშიფრებოდა „ვოდკა“, როდესაც ის ღირდა სამი მანეთი და სამოცდაორი კაპიკი, — განაგრძო თავისი შემოქმედებითი მოძღვრება ლევანმა, — ხოლო, როდესაც სახელმწიფომ არაყი გააძვირა და დაადო ფასი ოთხი მანეთი და თორმეტი კაპიკი, თავი რომ გაემართლებინა ხალხის წინაშე და, მით უმეტეს, დიდი რუსი ხალხის წინაშე, სახელად სასმელს „ექსტრა“ უწოდა,

რაც არაყვაძვირებულმა ნაციამ ასე გაშიფრა: **Эх, Как Стало Трудно Русскому Алкоголику!**

— ახლა გავიგეთ! — სიცილ-ხარხარით ამოთქევს სუფრის წევრებმა.

— მიუხედავად იმისა, — განაგრძობდა ლევანი, — რომ საბჭოთა კავშირმა ბევრი გაჭირვება ანახა ხალხს, შეუზღუდა თავისუფლება, მისი ღვაწლი ფასდაუდებელია ერთა დაახლოებაში. ჩვენ ახლა აქ ვსხედვართ რუსი, უკრაინელი, მოლდოველი, ქართველი და ერთმანეთს ვულოცავთ ახალ წელს. ვსაუბრობთ, როგორც დიდი ხნის ნაცნობები, გვიყვარს ერთმანეთი. ერთმანეთი რომ არ გვიყვარდეს, ამდენი ხანი ერთად არ ვიქნებოდით. ეს უფლება მოგვცა საბჭოთა კავშირმა. მე მინდა, ხალხთა შორის მეგობრობა ვადლეგრძელო. ვადლეგრძელო ყველა ის ერი, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემოდიოდა და ახლა, მისი დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. მე მინდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი ერის წარმომადგენლები ისევ ასე ლალად და ურთიერთგაგებით იყენებ შეხმატებილებული ერთმანეთთან, როგორც დღეს ჩვენ ვართ. ვულოცავ ყველას ახალი წლის დადგომას, ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიყვარულს და ყოველივე საუკთისოს. ამ სადლეგრძელოს ისევ თქვენი თამადობით ვსვამ, მეგობრებო! — დაამთავრა ლევანმა და თვალცრუებულიანმა დალია არაყი.

— რა გატირებს, ქართველო? — ჰკითხა ვალიამ.

— რატომდაც მგონია, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები მალე ერთმანეთის მტრები გავხდებით. ეს მე არ მინდა, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარსართ.

თამადა დააწყნარეს და სუფრაც ჩეგული საახალწლო მხიარულობით გაგრძელდა. ქალბატონები რიგ-რიგობით შემოდიოდნენ ოთახში. ხან ერთი მორიგეობდა სართულზე, ხან სამი ერთად. ზედა სართულის მორიგეებმაც ჩამოაღწიეს ქართველებთან და ასე გაგრძელდა თითქმის ღამის სამ საათამდე, სანამ ლევანმა და კოტემ არ იგრძნეს დაღლილობა. ლევანი იქვე მდგარ დივანზე წამოწვა და მეორე დღის საღამომდე ეძინა.

XII

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა კარებზე კაკუნის ხმამ გამოაღვიძა ლევანი.

- ვინ არის? - იკითხა რუსულად.
- ჩვენ ვართ, ოოვლის ბაბუები, — შეეხმიანენ ქართულად.
- ვინ თქვენ? — ხმა ეცნო ლევანს, მაგრამ აზრზე ვერ მოვიდა.
- უშანგი ვარ, ბიჭო, კოტეს ძმა.

— ვაჭ! თბილისში ვარ თუ მოსკოვში? — ძილ-ბურანიდან ვერ გამოდიოდა ლევანი. კარი გააღო, უშანგი გაბრწყინებული თვალებით უფრესებდა. ლევანმა შემოიპატიუა, გადაკოცნა.

— ეს ჩემი ძმაკაცია, ტოტოშა, გაიცანი, კარენი გარადსკოი ძმაა, — გააცნო მეგობარი უშანგიმ და იქვე სავარმელში ჩასვენა.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, ტოტოშ, გილოცავ ახალ წელს, — ხელი ჩამოართვა ლევანმა ტოტოშას, — ძმებო, თქვენ მოეწყვეთ, მე კი პურ-მარილის ორგანიზაციას გავაკეთებ, დღეს ბედობაა, ქეთივი დაგვებედება. კოტე! გაიღვიძე, ძმა ჩამოგივიდა.

კოტეც გამოიზღაუნა საძინებლიდან, ძლივს იდგა ფეხზე, მაგრამ ბიჭების გამოჩენამ გამოაფხიზლა. გადაეხვივნენ, გადაკოცნეს ერთმანეთი, ახალი წელი მიულოცეს და ჩასხდნენ სალაპარაკოდ.

ლევანმა ორგანიზაცია გაუკეთა პურ-მარილს. რაც დასამატებელი იყო რესტორნიდან ოფიციანტებს ამოატანინა. ორი ქალი ოფიციანტი უკვე სუფრას შლიდა. ბიჭებიც მოწესრიგდნენ და ცოტა ხნის შემდეგ სუფრას შემოუსხდნენ.

— კოტე! რა ტიპი ხარ შენ, ტო! — მიმართა ლევანმა კოტეს, — თუ ეს ხალხი ჩამოდიოდა არ უნდა გეთქვა?

— ამ ალიაქოთში სულ გამომრჩა, ხო იცი, რა არეულები ვიყავით, — თავი იმართლა კოტემ. თუმცა ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მარტო აღარ მოუწევდა ხელების ფათური, საკმაოდ სოლიდური ძალა დაიყენა გვერდით.

— ლევან! რა არის სიმონ, ჩვენი ჩამოსვლა გეწყინა? — გაეხუმრა უშანგი ლევანს.

— კარგი რა, უშანგი. რა მეწყინა, ტო! პირიქით, ერთი ახალი წლის დამეს გენახა, ცხვირ-პირი ჩამოგვტიროდა მედა შენს ძმას. გუშინ კიდევ ქალების შემოსევა გვქონდა, ცოტაც და ფანჯრიდან გადავხტებოდი. ახლა, ძმაოჯან, კარგია, რომ ჩამოხვედით, ზოგიერთ იმნაირ ფუნქციებს, რომლებისთვისაც ჩვენ საქმის გამო არ გვცალია, თქვენ შეასრულებთ, — და ხელით ქალების ფიგურები შემოხაზა ლევანმა.

— დავაი, ძმაო, დღესვე დავიწყებთ, — აცუნცრუკდა უშანგი.

— დღეს ვიხადნიო აქვთ ქალებს, — უცბად უპასუხა ლევანმა,
— და ვინც მუშაობს, ის დაკავებულია, ასე რომ ჯობია, დღეს ვიქეიფოთ, თქვენს ჩამოსვლას გაუმარჯოს, ჩვენს აქ დახვედრას, ღმერთი ჩვენსკენ, ამინ!

— ამინ! — გაიმეორეს ერთხმად ბიჭებმა და გრიპის სამკურნალო სითხე გადაკრუეს.

ცოტა აზრზე რომ მოვიდნენ, ლევანმა მთელი სერიოზულობით ჰკითხა სტუმრებს:

— აბა, ახლა მოგვიყევით, რა უბედურება ხდება თბილისში?

— სტრელიაიუტ, რა! — დაიწყო უშანგიმ, — კიტოვანი მიადგა მთავრობის სასახლეს და ხატამს. ერთი გაისროლა და ამხელა ბუტკას ვერ მოარტყა.

— რა ბუტკას, ტო! — გაკვირვებით იკითხა ლევანმა.

— იმას რა, მთავრობის სახლს, — აუხსნა უშანგიმ, — კაროჩე, მე მგონი, პრეზიდენტს გააქცევენ. დანარჩენი მშვიდობაა.

ამ სიტყვებით უშანგიმ თავისი პოლიტიკური განათლება ამოწურა. ის ელოდა, თუ ქალაქში არეულობა დაიწყებოდა, მაშინ მარადიორობაში მონაწილეობას თვითონაც მიიღებდა, რადგან თავს „შავების“ ძმად თვლიდა და ბოლო დროს ყველა ბინძურ საქმეზე ხელს აწერდა. როგორც ჩანს, არეულობა მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო შექმნილი და ის ქალაქს არ მოედებოდა. ამიტომ უშანგიმ ძმის წინადადება უყოფმანოდ

მიიღო და „შავი“ საქმეების საჩალიჩოდ აქეთ წამოსკლაში დათანხმდა. ეს ყველაფერი კოტებ ლევანთან შეუთანხმებლად გააკეთა. კაცობა, საქმოსნის ნამუსი აღარ აინტერესებდა, დიდი ფული დაინახა, სინდისზე ხელი აიღო და თავისი მზაკვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად ყველა სატანისტურ ძალას იყენებდა. ეს საუბარშიც ეტყობოდა. ლაპარაკობდა ერთს, ფიქრობდა მეორეს.

— გელაშვილს რა უყავით, ტო? — იკითხა უშანგიძე.

— რა ვიცი, წავიყვანთ საავადმყოფოში დიდი წივილ-კივილით, მეორე დღეს გამოიქცევა. მე მგონი, ეგ სასწრაფოს მორფის გასაკეთებლად გვაძახებინებს. გაიჩხირავს, მეორე დღეს კი მოდის უკან და ემზადება მესამე დღისთვის, ფული კი აქვს და ფეხებზე არ კიდია, — დაასკვნა კოტებ.

— არა, ტო, ორჯერ ნაინფარქტარია, — ჩაერია საუბარში ლევანი, მას მართლა ცეოდებოდა ზაური, ავადმყოფი კაცი იყო, — ექიმმა მითხრა, მესამედაც რომ დაარტყას ინფარქტმა, ვეღარ გაუძლებსიო, ამიტომაც ხელს ვუწყობთ. მაგრამ რად გინდა, ახლა იმ „მოცეკვავე“ ქალმა ჩაიგდო ხელში, ღმერთმა იცის, რას უშვრება, დარეკოს მაინც.

ამის თქმა და ტელეფონიც აწკრიალდა. მართლაც იმ „მოცეკვავე“ ქალმა დარეკა, რომ ათი წუთის წინ წაუყვანია გელაშვილი სასწრაფოს კარდიოლოგიის ცენტრში.

დარეკვიდან ნახევარი საათის შემდეგ ბიჭებს უკვე ტაქსი მიაქროლებდა საავადმყოფოსკენ. საავადმყოფოში მხოლოდ ის გაარკვის, რომ ზაური რეანიმაციაში ჰყავდათ, გამაყუჩებლები ჰქონდა გაკეთებული, მდგომარეობა უპტ სტაბილური იყო და დილამდე არაფერი ინფორმაცია არ იქნებოდა. ასე რომ, ოთხეული უკან გაბრუნდა.

— რადგან გარეთ გამოვედით, მოდი საახალწლო მოსკოვი დავათვალიეროთ, — წამოაყენა წინადადება ლევანმა. ბიჭებმაც პვერი დაუკრეს, ჯერ ცხრა საათი იყო და გეზი „ლენინის გორებისკენ“ აიღეს. „ლენინის გორები“ მაღალი ადგილი იყო მოსკოვში და გადმოსახედიც კარგი ჰქონდა.

ლაშაზი იყო თეთრად გადაპენტილი არყის ხეები, სუფთა ჰაერი და განათებული მოსკოვი. ლევანს აქ გავლა უხაროდა, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტს რომ შეხედავდა, თავისი სტუდენტობა ახსენდებოდა. მასაც ხომ უნივერსიტეტი პქონდა დამთავრებული, მხოლოდ თბილისის. აქ ხშირად უხდებოდა ჩამოსვლა სპორტულ დელეგაციასთან ერთად. სტუდენტობის პერიოდში ის მძლეოსანი იყო, საქართველოს ნაკრების წევრი, მაგრამ მშობლიური უნივერსიტეტის სახელით ხშირად გამოდიოდა შეჯიბრებებზე, განსაკუთრებით აქ, მოსკოვის უნივერსიტეტის მანეჟში, სადაც მეგობარი უნივერსიტეტების – სოფიის, ბელგრადის, იენის, ტარტუს, მოსკოვის და თბილისის მძლეოსნური ნაკრებების პირველობები ტარდებოდა. ეს შეჯიბრება ტრადიციულად სესიების დამთავრების შემდეგ, იანვარში იმართებოდა. აქ, ლევანს შეჯიბრების მოგების ბევრი სიხარული და წაგების ბევრი სიმწარე განუცდია, მაგრამ ახალგაზრდობა მაინც ყველაფერს სძალავდა და სიცოცხლე უხაროდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსკოვის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, სპორტულ ბაზებზე, საღამოს რვა საათზე აინთებოდა ყველა ლამპიონი, დაუკრავდა მუსიკა და თითქმის მთელი სტუდენტობა ერთობოდა. ზოგი სპორტსმენობდა, ზოგი ციგურებით სრიალებდა, ზოგი გუნდაობდა, ზოგიც სეირნობდა. ერთი სიტყვით, სიცოცხლე დუღდა, სტუდენტს ყველანაირი პირობა პქონდა შექმნილი სწავლისა და აქტიური დასვენებისათვის. ჩენთან კი, თბილისში, ამას მოკლებულნი იყვნენ სტუდენტები, რადგან ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხები ვიღაც-ვიღაცების ჯიბეებში იღებებოდა.

ერთი ამბავი გაახსენდა ლევანს. ალბათ სამოცდაცამეტი ან სამოცდათოთხმეტი წელი იქნებოდა. თანაგუნდელ გოგისთან ერთად შეჯიბრის შემდეგ სასეირნოდ გამოვიდნენ ქუჩაში. შეჯიბრზე არც თუ ისე კარგად გამოვიდნენ და ცოტა გულდაწყვეტილები იყვნენ. ნელა მიუყვებოდნენ

უნივერსიტეტის ერთ-ერთ მიმდებარე ქუჩას. მიუახლოვდნენ უნივერმაღს, რომლის სახელიც ორივეს კარგად დაამახსოვრდა – უნივერმაღი „ვესნა“.

— გოგი, მოდი შევიდეთ უნივერმაღში, დედებს პატარა საჩუქრები ვუყიდოთ, — შესთავაზა ლევანმა მეგობარს. ჩვევად ჰქონდა, როცა წავიდოდა უცხო ქალაქში, თავისი სტუდენტური დანაზოგიდან დედისთვის საჩუქარს ყიდულობდა. ეს მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

— კარგი იქნება, თუ რამეს მივაგენით, — უთხრა გოგიმ და შევიდნენ მაღაზიაში. კარგა წანს იარეს, ვერაფერი შესაფერისი ვერ შეარჩიეს და გულდაწყვეტილები გამოვიდნენ გარეთ.

უცეც მათ წინ ორი შავგვრემანი ბიჭი გაჩნდა, ეტყდობოდათ, ციგნები იყენებ. ციგნები ტრადიციულად კუსტარული საქონლით ვაჭრობდნენ მოსკოვის ქუჩებში, რადგან იმპორტული საქონელი მაშინ დეფიციტს წარმოადგენდა და არ იშოვებოდა. ამიტომ ციგნები კუსტარულად წარმოებულ საქონელს უკუთედნენ იმპორტულთან მიმსგავსებულ შეფუთვას და ქუჩაში ასაღებდნენ. თუ ვინმე საქონლის ნახვას მოინდომებდა და შეფუთულის გახსნას დააპირებდა, თუ ფული აღებული ჰქონდათ ციგნებს, მაშინვე გარბოდნენ, ხოლო თუ ფული არ ჰქონდათ აღებული, არაფრით არ გაახსნევინებდნენ, რადგან შეკერილ საქონელს ან მკლავი ექნებოდა მოკლე ან საყელო არ ექნებოდა და ასე შეძლევ. ამ შემთხვევაშიც ლევანს და გოგის ციგნებმა ჯემპრები შესთავაზეს შესანიშნავ შეფუთვაში. ისეთი ლამაზი ჩანდა, რომ საქმეში ჩაუქედავი კაცი მაშინვე გადაიხდიდა თანხას. გოგიმ დააპირა ჯემპრის შეძენა.

— გოგი, დაანებე თავი, ხომ იცი, აფერისტები არიან, — გააფრთხილა ლევანმა.

— ბიჭო, ათი მანეთი იაფია, ჩვენთან ამ ჯემპრს სამოც მანეთზე ნაკლებად არავინ მოგცემს, — არ თმობდა გოგი.

— შეეშვი, ან კიდევ გაიზომე, თუ ძალიან გინდა.

— ამ სიცივეში სად გავიზომო. მერე ნომერში გავისინჯავ, ათი მანეთი გინდა გქონია და გინდა არა, — არ იშლიდა თავისას გოგი. გამოართვა ჯემპრი და მისცა თუმნიანი.

ლევანმა გამოართვა ჯემპრი და ციგნების გასაგონად რუსულად უთხრა: — მოდი, გავხსნათო. ამის თქმა იყო, ორივე ციგანი მოსწყდა ადგილს და გაიქცნენ. აქ უკვე შეეშალათ, არ იკოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე. ლევანი და გოგი ხომ საქართველოს ჩემპიონები იყვნენ სირბილში. ორმოცდაათ მეტრში ლევანმა კისერში ჩაავლო ხელი იმ ციგანს, რომელმაც გოგის ათმანეთიანი გამოსტუა, მაგრამ ისე ოსტატურად აუფრიალა ორი თუმნიანი ლევანს თვალწინ და გადასცა, რომ ლევანმა ინსტიქტურად ხელი გაუშვა და ციგნები ისევ გაიქცნენ. ეტყობა ციგნის ბიჭებს ეს ნომერი წინასწარ ჰქონდათ დამუშავებული. ასე რომ, სპორტმა ბიჭებს თუმნიანი აშოვნინა. თუმნიანი კი სტუდენტისთვის სამოცდათიან წლებში რა ფული იყო, იმ დროის სტუდენტებმა კარგად იციან...

„ლენინის გორების“ გადასახელიდან მართლაც ლამაზი იყო ღამისმოსკოვი. განსაკუთრებით ლამაზად მოჩანდა ოსტან კინოს სატელევიზიო ანბა და განათებული, ეგრეთწოდებული, „სტალინის სახლები“, რომლებიც შვიდი ერთეული იყო ქალაქში და ერთ-ერთში სასტუმრო „ლენინგრადსკაია“ იყო განთავსებული, სადაც ჩეენი გმირები ცხოვრობდნენ და სადაც საკმაო რაოდენობის ფული ჰქონდათ დატოვებული ბედის ანაბარა.

— წავედით ახლა სასტუმროში, თორემ რაც დავლიე, ისიც გამომნელდა, — ჩაილაპარაკა ლევანმა და მოგონებებით გალალებული მანქანისკენ წავიდა. ბიჭებიც მიჰყვნენ და ნახევარ საათში ისევ საახალწლო სადღეგრძელოებს ამბობდნენ. გელაშვილის ჯანმრთელობის სასმისი განსაკუთრებით მიირთვეს.

XIII

სამი იანვრიდან დაიწყო სამუშაო დღე. ლევანი და კოტე გელაშვილის სანახავად წავიდნენ. კარგად იყო ზაური. როგორც ჩანს, საახალწლოდ ზომაზე მეტი დალია და შედეგმაც არ დააყოვნა. დალევა ლოგინშივე აკრძალა. ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ ფულის გადახურდავებაში ყველანი ჩაერთვებოდნენ და შემნახველ სალაროებში შემოვლით დაიწყებდნენ გადახურდავებას. საქმე დასაჩქარებელი იყო. გელაშვილის საავადმყოფოდან გამოსვლამდე საქმის ხელმძღვანელობა ლევანს დაევალა.

— კარგია, რომ შენი მმა ჩამოსულა, კოტე, — უთხრა კოტეს ზაურმა, — დაგვეხმარება და ჩვენც პატივისცემას არ მოვაკლებთ.

— ზაურ ალექსანდროვიჩ! — მიმართა ოფიციალურად ლევანმა გელაშვილს, — მე დღეს გავაკეთებ ობლიგაციების აღწერას და რაც ფაქტიური იქნება, იმაზე ვაგებ პასუხს. ძველს მე ნუ მომთხოვ.

— კარგი, დღესვე აღწერე, — დაუდასტურა გელაშვილმა, — იარაღიც შენ ჩაიბარე.

— არა, ბატონო, იარაღი მე არ მჭირდება. აი, ჩემი იარაღი, — მაგრად შეკუმშული ხელი აჩვენა გელაშვილს სართელმა, — არავის არ მოვერიდები და უსამართლოდ არავის დავჩაგრავ. ზომ იცით, წარმოშობით აზადი ვარ და თავისუფლებას და პატივისცემას ვარ შეჩვეული.

სასტუმროში რომ მობრუნდნენ, ლევანმა ყველა ობლიგაცია აღწერა, ოთხივეს თვალწინ ყველაფერი თეთრზე შავით დაიწერა და ჩაიდო ისეთ ადგილას, რომ ყველამ იცოდა. ყველა პასუხისმგებელი იყო მის შენახვასა და გადაადგილებაზე. შემდეგ დაურეკეს ახლობელს, რომელსაც მანქანა ჰქონდა და დაიწყეს სიარული შემნახველ სალაროებში. გადახურდავება ძალიან მნელი იყო ნაცნობის გარეშე. ამასთან, ხუთასმანეთიანი კუპიური

სულ ახალი გამოსული იყო და არ იშოვებოდა. ორასმანეთიანი იშვიათად თუ შეგხვდებოდა. ძირითადად ახურდავებდნენ ხუთმანეთიანი, ათმანეთიანი, ოცდახუთმანეთიანი და იშვიათად ორმოცდაათი და ასმანეთიანი კუპიურებით. ასე რომ, დღის ბოლოს ნახევარი ტომარა ფული ამოჰქონდათ ნომერში და იწყებდნენ ხელახლა მის დათვლას, დაწყობას და შენახვას. სამი დღე ინტენსიურად მუშაობდნენ და ლამის სული გასძვრათ. ფულს დასანახად ვეღარ იტანდნენ.. შაბათ-კვირას, ვინაიდან შემნახველი სალაროები ისვენებდნენ, ბიჭებსაც გამოსასვლელი დღე ჰქონდათ. „ბორჯომი“ ბლომად ჰქონდათ მომარაგებული, რადგან ფულის სუნისგან კუჭის ძმარვა ემართებოდათ.

შაბათს, დღის თერთმეტ საათზე, გელაშვილი ზარ-ზეიმით გამოიყვანეს საავადმყოფოდან და სასტუმროში მოიყვანეს. საწყალს თითქმის ყველაფერი აუკრძალეს: სასმელი, თამბაქის მოწევა, მწარე, მჟავე და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, დიეტაზე უნდა ყოფილიყო და წამლები საათების მიხედვით უნდა მიეღო.

— ზაურ, შენ ახლა ამ რეჟიმის დამცველი ზარ? — კითხა ღიმილით ლევანმა.

— აბა, რა ვქნა? — ამოიღო ერთი პარკი წამალი და მაგიდაზე დადო. გვერდზე მისი დალევის რეჟიმი მიუდო, რომელიც ქაღალდზე ლამაზად იყო ჩამოწერილი და თან დააყოლა: — ასი გრამი კონიაკი დამინიშნეს დღეში.

— აქ რომ არ წერია? — იკითხა ლევანმა და თან ქაღალდზე მიუთითა.

— ბიჭო, ამხელა კაცმა არ იცი, რომ რეცეპტში კონიაკს არავინ ჩაგიწერს?

— მაინც რომელი მარკის კონიაკი გირჩიეს? — არ ეშვებოდა ლევანი.

— რომელი და „ნაპოლეონი“, — მთელი სერიოზულობით მიუგო გელაშვილმა.

— აა! ეს ის ნაპოლეონი ზომ არ არის, ათას რვაას თოთხმეტ წელს სასტიკად რომ დამარცხდა ვატერლოოსთან? — იკითხა ლევანმა.

— ჰო, ჰო! იშაყირე და კონიაკი სისხლძარღვებს აფართოებს, ეს კი, თავის მხრივ, სისხლის მოძრაობას უწყობს ხელს და გულს ნაკლები დატვირთვა აქვს. მაგრამ ეკონომისტებმა ამის აღია-ბალია არ იცით და მეც გიხსნი რა! — გაცხარდა გელაშვილი.

— ხარაშოო. აი, ეკონომისტებმა რაც ვიცით, იმას გავაკეთებთ,

— არ ცხრებოდა სართელი, ადგა და გაიჯახუნა ნომრის კარები.

— ამან ხომ არ დაუსტვინა? — ჰკითხა მომღიმარე ბიჭებს გელაშვილმა.

— რა ვიცი, აქამდე ნორმალურად იყო და შენი დანახვის შემდეგ თუ გარეკა, ვერ გეტყვი, — მიუგო ღიმილით უშანვაში.

ლევანი მალევე მობრუნდა და ზაურს მეზურიანი ჭიქა დაუდო წინ:

— აი, ეს ჭიქა აფთიაქში ვიყიდე, გრამებს ზომავს. აი, უურე, აქამდე ოცი გრამია, აქამდე ორმოცდაათი, სულ ბოლომდე ასი. თუ ამაზე მეტს დალევ, ჩემი ეკონომისტობა დამთავრდება და შენი ექიმობა დაიწყება ისევ კარდიოლოგის ცენტრში. ეს ჭიქა გინდა ჯიბით ატარებ გინდა ჩემოდნით. როცა დალევას დააპირებ, მოსკოვის მეორე ბოლოში რომ იყო, იქიდან დამირეკავ. არა გნახო დღეში ას გრამზე მეტი დალიო, — დამოძღვრა ლევანმა გელაშვილი, ასე რომ, ეკონომისტებმა თვლა კარგად ვიცით. ახლა წამოდი, ფულის ანგარიში უნდა ჩაგაბარო, ბიჭები კი პურ-მარილს შეუკვეთავენ, — თან ღიმილით გადახედა ყურებამდე პირდაღებულ თანამეინახეებს, გელაშვილს ხელკავი გამოსდო და კაბინეტში გაიყვანა.

— ზაურ, სამი დღეა, სალაროებში დავრბივართ. ვალოდია ებრაელის ფულმა და ჩვენმა გადახურდავებულმა ერთად ორ მილიონამდე შეადგინა ორშაბათს, სამშაბათს ერთ მილიონამდე კიდევ ვვარაუდობთ. ანგარიში აქ არის, გადახედე და თუ რამე შენიშვნა გექნება, მითხარი, — მოკლედ ჩაბარა ანგარიში გელაშვილს ლევანმა და წინ ჩანაწერების რვეული დაუდო.

გელაშვილმა მთლიანად გადაამოწმაჩატარებული საქმიანობა, ერთი ამოიოხრა და ლევანს უთხრა:

— შენი პერიოდი კაპიკი კაპიკში ჯდება. ჩვენი, ორიგეს არ ყოფნის პერიოდში, სამას ორმოცდათი ათასია გარღვევა. ორასი ათასი, კოტეს თქმით, ვალოდია ებრაელს უკავშირდება, რასაც ვერ ვიჯერებ, ხოლო ას ორმოცდათი ვაჟიკო-პალიკოს და კოტეს ხელში გაქრა. ვის გინდა, მოსთხოვო. ფაქტი არსად არ გიჭირავს, ხომ არ აორთქლდებოდა.

— ზურ, არაფერი არსად არ დაიმალება, სამას ორმოცდათი ათასი სამი კაპიკი ხომ არ არის, რომ ბოლოს არ გამოჩნდეს, თუ მერე გვიანი არ იქნა, — ჩაილაპარაკა ლევანმა და კაბინეტიდან გამოვიდა, — თან საქმე, დაასხი ასი გრამი — გასძახა ბიჭებს და საგახშმოდ მოემზადა.

XIV

ორშაბათიდან გაორმაგებული ტემპით დაიწყო ფულის გადახურდავება. გელაშვილმა კიდევ ერთი გუნდი ჩართო საქმიანობაში და შედეგიც გამოიღო, სამასი ათასი გადაახურდავეს ერთ დღეში. რა თქმა უნდა, ეს ლამაზი თვალებისთვის არ კეთდებოდა. ყველა თავის პროცენტს იღებდა. ყველანი გამუდმებულ მოძრაობაში იყვნენ. სიტუაცია დაძაბა იმ გარემოებამაც, რომ პოლონეთის მხარემ შუამავლის მეშვეობით საკონტრაქტო პირობების შესრულება მოითხოვა, ანუ ათი მილიონი ხუთ იანვრამდე უნდა გადარიცხულიყო. ყველაფერ ამას დაემთხვა ექვს იანვარს პრეზიდენტის გაქცევა საქართველოდან. ეს ყველაფერი იცოდა პოლონურმა მხარემ და კონტრაქტი დაშლის პირას იყო მისული, რაც საჯარიმო საქციებს გამოიწვედა და ახალი მთავრობის რისხვა პირდაპირ ასოციაციის ხელმძღვანელობას დაატყდებოდა თავს. შეიძლება, პოლიტიკურ დამნაშავებადაც გამოეცხადებინათ ისინი. პოლონეთის მხარეს რომ არ დაესწრო პრეტეზიის გაგზავნა საქართველოს მთავრობისთვის, ლევანმა სასწრაფოდ

შეადგინა წერილის ტექსტი პოლონეთის ფირმის სახელზე და ხელშეკრულებაში ჩადებული ფორს-მაჟორული სიტუაციების პუნქტის საფუძველზე თანხის გადარიცხვის გადავადება მოითხოვა თხუთმეტი იანვრამდე. ამასთან, იქვე მიუთითა, რომ დასტურის შემთხვევაში, საკითხი დამატებით შეთანხმდებოდა ახალ ხელისუფლებასთან.

საბედნიეროდ, იქვე, მათ მეზობელ ნომერში, განლაგებული იყო ერთ-ერთი მრავალდარღობრივი ფირმა, საიდანაც აღნიშნული წერილი ფაქსით გადაგზავნილი იქნა ვინიცაში. ქართულმა მხარემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმოწერის ვადები არ დაარღვია. მთავარი იყო პოლონეთის მხარის დასტური და შემდეგ თბილისთან საკითხის შეთანხმება.

ფირმის ოფისში ლევანმა დაახლოებით ნახევარი საათი დაჰყო, შემდეგ გამოვიდა, თანამშრომელი გოგონებისათვის ტკბილეული იყიდა და მიართვა. გოგონებთან საუბრით იყო გართული, რომ ზურგს უკან შემოესმა ბოხი ხმა:

— „ობიექტში, ნაჩალონიკ!“

ლევანი შემობრუნდა და ოთახის ცენტრში ასე შუახნის მამაკაცი დაინახა, რომელიც მისკენ იყურებოდა და იღიმებოდა, შემდეგ ლევანს მიუხსლოვდა, ხელი მაგრად, კომუნისტურად ჩამოართვა და უთხრა:

— ჩვენს ოფისში მეგობრების და მით უმეტეს, მეზობლების დახმარებისთვის ქროამს არ იღებენ, ნიკალაი პავლოვიჩი, — გააცნო თავი ლევანს.

— მე ქროამი არავისთვის მიმიცია, ეს საახალწლო საჩუქარია თქვენი თანამშრომლებისთვის, ნიკალაი პავლოვიჩი, — და იქვე გააცნო თავი, — ლევან ნიკალაევიჩი და, რაც მთავარია, თქვენთან გაცნობას შოკოლადით არ ვაპირებ, გეპატიუებით ჩემთან, ნომერში, თითო ჭიქა კონიაკის დასალევად, — არ დაიბნა ლევანი და გოგონებმაც შვებით ამოისუნთქეს.

— ჯერ ჩემთან დავლით თითო ჭიქა და შემდეგ თქვენთან, — შეიძატიუა ნიკალაი პავლოვიჩმა ლევანი მეზობელ ოთახში, თან ბოდიში მოიხადა, სულ ზუთი წუთი მაღროვეო.

კაბინეტში დიდ მისადგმელთან შვიდი კაცი იჯდა. აქედან სამი წვრილთვალება იაპონიის, ჩინეთის და ვიეტნამის წარმომადგენელი იყო, ერთი ინდოეთის, ერთი გერმანიის, ერთი ინგლისის და ერთი ამერიკის. შვიდივე ლევანს ნიკალაი პავლოვიჩმა გააცნო. საკირველი ის იყო, რომ ნიკალაი პავლოვიჩი შვიდივე ეროვნების წარმომადგენელს თავიანთ მშობლიურ ენაზე ესაუბრებოდა. თან მოლაპარაკება პეტრე პირველივით მიჰყავდა. ედგა მაგიდაზე კონიაკი, შიგადაშიგ სვამდა და თან თავის პარტნიორებს აძალებდა. ისინიც ზრდილობის გულისთვის ცოტას წრუბავდნენ, ხოლო ნიკალაი პავლოვიჩი ბოლომდეცლიდა და საერთოდ არაფერი ეტყობოდა. ლევანს ცოტა დასცხა.

პავლოვიჩმა გააცილა სტუმრები, შემდეგ ლევანთან ერთად დაჯდა და საკმაოდ დიდხანს ისაუბრეს, თან ერთი ბოთლი „ნაპოლეონიც“ ჩამოცალეს. პავლოვიჩი ძალიან განათლებული და საქმიანი პიროვნება აღმოჩნდა. იგი თავის დროზე საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყოფილა ცენტრალურ აზიაში. პქონდა ძლიერი კავშირები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამჯერად თავისი ფირმით, რუსეთის ნედლეულის მეშვეობით აწარმოებდა ბარტერულ ოპერაციებს საკმაოდ დიდი მასშტაბებით.

— ლევან ნიკალაევიჩ! საქართველოში დაიწყო პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. ახალი მთავრობა თქვენს ქვეყანას დაქცევის პირამდე მიიყვანს და ბიზნესს ჩაკლავს. ამიტომ საქართველოში მუშაობა არ ღირს. არ გამიგო სხვანაირად, მე სამშობლოს სიყვარულს არ გიკრძალავ, მაგრამ ქართველს ქართველი შესტულდება, — წინასწარმეტყველებდა პავლოვიჩი.

ლევანმა მოკლედ მოუტხრო თავისი მოღვაწეობის შესახებ, კვლავ მიიპატიუა თავის ნომერში, მაგრამ პავლოვიჩმა სხვა დროისთვის გადადო ვიზიტი, ლევანს კი უთხრა, როდესაც დასჭირდებოდა, ესარგებლა ოფისის მომსახურებით. მართლაც რამდენჯერმე დასჭირდა ლევანს ფაქსი და ტელეფონი, სანამ

დასტურს მიიღებდა ვინიციდან. ხოლო პავლოვიჩის გოგონები სიამოვნებით ეხმარებოდნენ. ლევნმა კიდევ ერთხელ დაპატიჟა პავლოვიჩი თავისთან, მან უარი ვეღარ უთხრა და ერთ საათში ნიკალაი და ლევანი ნომერში სუფრასთან ისხდნენ, „ნაპოლეონს“ შეექცეოდნენ და საუბრობდნენ:

— ლევან ნიკალაევიჩ! — დაიწყო ნიკალაი პავლოვიჩმა.

— უბრალოდ ლევანი, ნიკალაი პავლოვიჩ! მე თქვენ შეილად გეკუთვნით და ძალიან მეუხერხულება მამის სახელით რომ მომმართავთ, ამას ჯერ არ ვიმსახურებ, — დაიმორცხვა ლევანმა.

— სწორედ იმიტომ მოგმართავ ასე, რომ შენისთანა ადამიანები იმსახურებენ პატივისცემას. განა მე არ გაკვირდები რამდენს წვალობ, რომ შენს სამშობლოს დაეხმარო. მაგრამ იცოდე და დაიმახსოვრე რასაც გეტყვი, არავინ დაგიფასებს, პირიქით, გაგანადგურებენ, რადგან თქვენი ქვეყნის სათავეში ნაძირალები მოვლენ. მათ სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის გრძნობა არ ექნებათ. ისინი სატანის მსახურები იქნებიან.

— არ მინდა, რომ დავიჯერო, ნიკალაი პავლოვიჩ! მაგრამ თქვენ ისე ლოგიკურად მისაბუთებთ ყოველივეს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დავდექი, რა ვქნა? — იკითხა ლევანმა.

— ლევან ნიკალაევიჩ, დარჩი მოსკოვში, აქ იმუშავე, ჩემთან, მე მჭირდება შენისთანა მოძრავი და წესიერი ხალხი. საცხოვრებელზე და ფულზე პრობლემა არ გექნება. თუ სიტუაცია სასიკეთოდ დარეგულირდა საქართველოში, მაშინ ჩადი. — შესთავაზა პავლოვიჩმა.

— რა ვქნა, ნიკალაი პავლოვიჩ, მე სამშობლოს გარეშე არ შემიძლია. მე ჩემი წვლილი უნდა შევიტანო მის აღმშენებლობით საქმიანობაში, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს, — თქვა ლევანმა და მადლობა მოახსენა პავლოვიჩს შემოთავაზებული სამსახურისათვის.

— მე ჩემი სათქმელი გითხარი, ლევან, დანარჩენი შენ იცი. ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! — მიუჭახუნა ჭიქა ლევანს და ბოლომდე გამოცალა.

კარგად აეწყო მათი საუბარი. თითო-თითო ბოთლი „ნაპოლეონი“ ისე ჩამოცალეს, ვერც კი გაიგეს. ლევანმა ალკოჰოლის მოქმედება იგრძნო, პავლოვიჩს კი არაფერი ეტყობოდა. ლევანი კარგად სვამდა, მაგრამ ასეთი არაფერი ენახა, კაცი დილიდან საღამომდე სვამდა და არ თვრებოდა. მართლაც არაჩეულებრივი პიროვნება იყო ნიკალაი პავლოვიჩი.

— ლევან ნიკალაევიჩ! კიდევ ერთი რამმინდა გკითხო, — დაიწყო პავლოვიჩმა, — როგორ აპირებ ბოროლას იმ ბოროტებასთან, რომელიც სულ მალე საქართველოში აგორდება?

— ჩემი აზრით, პავლოვიჩ, ყველა ბოროტებას სიკეთე უნდა დაუპირისპირო, რომ დაამარცხო.

— რატომ? შერცხვება ბოროტებას და აღარ განმეორდება? — ჩაეძია პავლოვიჩი.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ ბოროტებას ბოროტება უნდა დავუპირისპიროთ?

— არა, ეს ხომ გააორმაგებს მას.

— მაშ?

— მხოლოდ სამართლიანობა, ჩემო ლევან, თუნდაც ამ სამართლიანობაში ადამიანის მოკვდინება იგულისხმებოდეს.

— ვერ დაგეთანხმებით, პავლოვიჩ, თუ დემოკრატიას ვქადაგებთ, სიკვდილით ბოროტების აღმოფხვრა არაფერ სიკეთეს მოგვიტანს, — თქვა ლევანმა, — თუმცა ჩვენს ერთ გამოჩენილ პოეტს, ვაჟა-ფშაველას, უთქვამს:

„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით
ჩვენ შავიბრალოდ რისადა?
სიკვდილი თვითონ უფალსა
გაუჩენია მტრისადა!“

ლევანმა დაახლოებითი თარგმანიც იქვე მიაწოდა პავლოვიჩს და თავის თავის შერცხვა, ეს ხომ პავლოვიჩს ზევით უკვე ჰქონდა ნათქვამი. ვაჟა-ფშაველას ნათქვამი კი დაემთხვა მის გამოთქმულ აზრს.

— აი, რატომ მიყვარს ქართველები, — ასწია ჭიქა პავლოვიჩმა, — ისინი გენიოსები არიან. მაგრამ, რაც უფრო ნიჭიერები არიან, მით უფრო ვერაფერს აკეთებენ თავისი სამშობლოსთვის. აი, სხვა ქვეყანას კი ააშენებენ. ვინ იყო პეტრე პირველი, ვინც რუსეთი ევროპის ცივილიზაციას დაუახლოვა? — ქართველი. ვინ იყო სტალინი, ვინც რუსი ხალხი მსოფლიოს თვალში ერად აქცია? — ქართველი, ვინ იყო პეტრე ბაგრატიონი? — ქართველი და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ქართული სისხლი ემსახურა მსოფლიოს, მოდით, ქართველების გენიას გაუმარჯოს, მათ ეს პატარა ჭიქა არ ეყოფათ, — შეავსო „მალენკოვის“ ჭიქა პავლოვიჩმა, დალია, ისევ შეავსო და ლევანს მიაწოდა. ლევანმაც დალია, სხვა რა გზა ჰქონდა, მასპინძელი იყო.

— მაპატიეთ, ნიკალაი პავლოვიჩ! — წამოიწყო ლევანმა, — მერიდება ამ კითხვის დასმა, მაგრამ ცოტა კონიაქმაც გამათამამა და მინდა, გაგიბედოთ.

— არ გრცხვენია, ლევან, რაც გინდა, მკითხე, — დაინტერესდა პავლოვიჩი.

— თქვენი გვარი პეტროვი რუსული წარმოშობისაა, საინტერესოა...

— საინტერესოა, — გააგრძელა პავლოვიჩმა, — საიდან მაქვს ასეთი განათლება მიღებული, ხომ? — მოუხსნა უხერხულობა ლევანს, — დედა ებრაელის ქალი იყო. მოსეს სჯულის კანონით, მე ებრაელი ვარ, ხოლო რუსული კანონებით, რუსი. ამასთან, მართლმადიდებელი. რადგან მე მონათლული ვარ მართლმადიდებლური წესით, მე ვარ მართლმადიდებელი და სიმართლეს ვიტყვი, მძულს ებრაელები, იმისთვის, რომ მათ იესო აწამეს, — თქვა ეს, გადაისახა პირველი, შეავსო დიდი ჭიქა და სამების სადღეგრძელო დალია, — ვერც კათოლიკებს და გრიგორიანელებს ვიტან, რადგან მათ დაამახინჯეს ქრისტეს სჯული, ხოლო მათში წარმოშობილმა სექტებმა პროტესტანტებმა, ბაპტისტებმა, ლუთერანებმა და სხვებმა რევიზია დაუწყეს ქრისტეს, დაანაწევრეს მისი სხეული.

ბერძნებმა, რომლებმაც ქრისტიანობის შენარჩუნებასა და გავრცელებაში დიდი როლი ითამაშეს, ოთხი მიმდინარეობა შექმნეს თავიანთ მართლმადიდებელ ეკლესიაში და ოთხივე პირველობას იჩემებს. ამით ისინი თავის თავს ასუსტებენ. მართლმადიდებლობის ერთგული ქართველები და რუსები დავრჩით. მართალია, კომუნისტებმა სამოცდაათი წლის განმავლობაში ძალიან შეზღუდეს საქრისტიანო რუსეთსა და საქართველოში, მაგრამ მალე ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია თავის სიტყვას იტყვის, განსაკუთრებით კი ქართული, ის ხომ რუსეთზე თითქმის ხუთი საუკუნით უფროსია. ჩემი აზრით, ქართული მიწა წმინდა მიწად უნდა გამოცხადდეს, ეს ხომ მარიამ ღვთისმშობლის წილზედრი ქვეყანაა. მოდი ჩვენს ქრისტიანულ სალოცავებს გაუმარჯოს! – შეავსო ისევ დიდი ჭიქა პავლოვიჩმა, ჩამოცალა და ლევანს მიაწოდა, – დალიე ეს სადღეგრძელო, ნამდვილად შეგერგება.

ლევანმა ჩამოცალა ჭიქა და თან ვერ გაეგო, რუსი თვითონ იყო, თუ პავლოვიჩი. ის სადღეგრძელოებს ამბობდა და ისე სვამდა, ლევანი კი რუსივით ჭიქას უჭახუნებდა.

– ნიკალია პავლოვიჩ, სად მოასწარით ამდენი რამის სწავლა? – განცვითრებული ეკითხებოდა ლევანი პეტროვს.

– გაჭირვება ბევრ რამეს გასწავლის, ჩემო ლევან, დაიმახსოვრე, შენ თუ შენს ქვეყანაში იცხოვრებ ათი წლის განმავლობაში, იმდენ კატაკლიზმებში გაივლი, ჩემი ცოდნა შენს ცოდნასთან ძალიან პატარა წერტილად მოგეზვენება, ამისთვის საჭიროა, რაც შეიძლება მეტი უცხო ენა იცოდე, რომ ინფორმაციის მიღება-გადამუშავება შეგეძლოს. მიღებული ინფორმაციის ერთი პროცენტიც რომ დაგრჩეს გონებაში, ეს დიდი შენაძენია. კიდევ ერთი თხოვნა მაქვს შენთან, როდესაც საქართველოდან რუსების გამოყრას დაიწყებენ, მართლმადიდებელი რუსების ინტერესები დაიცავი, რადგან ისინი დაეხმარებიან ქართველებს ურჯულოების მოგერიებაში. მოდი, ამ ჭიქით ქართველ და რუს მართლმადიდებლებს გაუმარჯოს, ჩემი და შენი თამადობით.

ლევანმა და პავლოვიჩმა ეს სადღეგრძელოც, რა თქმა უნდა, დიდი ჭიქით დალიეს. კიდევ ერთხელ ადღეგრძელეს ერთმანეთი და პავლოვიჩი დიდი მადლობებით გავიდა თავის ოფისში, შეხვედრა ჰქონდა ვიეტნამელებთან.

ლევანმა გააცილა პავლოვიჩი, რომელსაც დალევის არაფერი ეტყობოდა, შემდეგ შემობრუნდა, სუფრას გადახედა და გაოცდა, მეექვსე ბოთლი დაცლის პირას იყო მისული. კარგბთან მივიდა, გასაღები გამოიღო საკეტიდან, რომ ბიჭებს გარედან შეძლებოდათ კარის გაღება, ძლივს მივიდა სავარძლამდე, ჩაეშვა შიგ და ვეღარც წამოდგა.

ბიჭები საღამოს დაბრუნდნენ ნომერში, ნახეს სავარძელში ჩაძინებული ლევანი. დივანზე გადააწვინეს, ისე, რომ არაფერი გაუგია სართელს. მერე იმათაც სუფრას გადახედეს.

— მალადეც, ლევან ნიკალაევიჩ! — თქვეს ერთხმად და სავახშმოდ რესტორანში ჩავიდნენ.

XV

პოლონეთის მხარემ დასტური, ფორს-მაჟორული გარემობების გამო, ფულის გადახდის ვადის თხუთმეტიანვრამდე გადავადებაზე, მეორე დღესვე ფაქსით გადმოგზავნა. ამასთან სთხოვდა ქართულ მხარეს, რომ ხელისუფლებასთან რაც შეიძლება სასწრაფოდ მოეგვარებინა საქმე.

ლევანმა ფაქსის მიღებისთანავე გადაურეკა დათო კინტერაიას. ორ საათში გელაშვილი, კინტერაია და სართელი სასტუმროს ნომრის კაბინეტში ისხდნენ და საქმის ირგვლივ ბჭობდნენ. თბილისთან სატელეფონო კავშირი უკვე აღდგენილი იყო. გელაშვილმა ნომერი აკრიფა ტელეფონზე და ასოციაციის პრეზიდენტს დაელაპარაკა. საქმის ვითარება გააცნო, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების ვადის დარღვევა მომავალში დიდ

პრობლემებს შეუქმნიდა ასოციაციას. ამიტომ სთხოვა, უფრო სწორად, დაავალა, (რადგან იცოდა, ასოციაციის პრეზიდენტი დიდი ბედოვლათი ვინმე იყო, სანამ თავში არ ჩარტყამდი, მანამდე განძრევა ეზარებოდა) ხელისუფლებასთან სასწრაფო შეეთანხმებინა კონტრაქტის ძალაში დატოვების და ფულის გადარიცხვის საკითხი და არა უგვიანეს მეორე დღის თორმეტი საათისა პასუხი ტელეფონით ეცნობებინა მოსკოვში. გელაშვილმა ყურმილი დადო, დათოს და ლევანს გადმოხედა და ამოიხსრა.

— რა გჭირს, ცუდად ხომ არა ხარ? — მაშინვე ჰკითხა ლევანმა, რადგან იცოდა, ზაურის გულის წასვლა ღრმა ამოსუნთქვით იწყებოდა.

— არა, ჯანმრთელობით ცუდად არ ვარ, — უპასუხა დამდუღრულმა გელაშვილმა, — მაგრამ ამ კაცის არ მჯერა და, თუ გინდა, მომკალი. ასეთი რამე თუ გაგიგონიათ თქვენ, რომ ექვს იანვრამდე პრეზიდენტის ერთგული იყო, ხოლო შვიდ იანვარს დროებითი ხელისუფლების მეხოტბე გახდე.

— ეჲ! ეგეთ კაცზე იტყვიან ხოლმე „პროპკააო“, მასეთი ყველა ბოთლს ერგება, — დაასკვნა ლევანმა, — კი, მაგრამ ზვიადს რატომ არ გაჰყეა თან?

— რისი გამყოლია, ბიჭო! — ანერვიულდა გელაშვილი, — საითაც ფულს ხედავს, იქით გარბის. ვინმეს ნახავდა ახალ მთავრობაში და შეუძვრებოდა. ხორბალი შემომაქვსო, ფულს ვიშოვითო, მიპატრონეო და ასე შემდეგ, ჯერ კიდევ არ იცნობ შენ მაგას კარგად.

— მაშ, როგორ მუშაობ, ზაურ, მაგასთან? — ჰკითხა ლევანმა.

— როგორც შენ მუშაობ კოტესთან, ისე, — შეაგება ზაურმა, — მაგრამ ეს დღეს სალაპარაკო არ არის, შევცვალოთ საუბრის თემა.

ლევანი მიხვდა, რომ გელაშვილი იმასვე გრძნობდა კოტეს მიმართ, რასაც თვითონ, მაგრამ არც ერთს ჰქონდა ფაქტი და არც მეორეს. მიტომ საუბრის თემა მართლაც შესაცვლელი იყო. ამ დროს ტელევიზორში რუსეთის ცენტრალური არხი

გამსახურდიას მთავრობის გაძევების ფრაგმენტებს აჩვენებდა და სამივე მთელი ყურადღებით მიაცქერდა ტელევიზორს. კომენტარი დაახლოებით ასეთი იყო: თითქოს გამსახურდიას მთავრობა, მისი ფუნქციონირების პერიოდში, ბავშვების გასართობ „სახლობანას“ თამაშობდა. „მამა“ შენ იქნები, „დედა“ კი – შენ, ჩვენ „შვილები“ და ასე შემდეგ. მათი თქმით, თვითონ წამოაყენეს თავისი თავი და კისერიც მოიტეხეს. ხალხმა ისინი დაამსხო და შექმნა დროებითი მთავრობაო. ამ კადრების ცქერით და კომენტარების მოსმენით იყო ლევანი გართული, უცებ გელაშვილის უცნაური ხმა რომ შემოესმა:

— მამა! მამა აღარ არის, დავიღუპეთ, ვაი შენ, ჩემო თავო!

ზაურს სახე ფანჯრისკენ მიებრუნებინა და ეს სიტყვები თითქოს ძალდაუტანებლად ამოსდიოდა.

— ზაურ! – დაუძახა ლევანმა.

გელაშვილმა ხმა არ გასცა.

— ალექსანდროვიჩ! რა გჭირს, ტო! – უფრო ხმამაღლა მიმართა ლევანმა.

შენც არ მომიკვდე, არც განძრეულა და არც ხმა ამოუღია. მერე დათო კინტერაია ადგა, მივიდა, მხარზე ხელი დაადო და წენარი ხმით უთხრა:

— ნერვიულობით საქმეს ვერ უშველი, დაწყნარდი.

ლევანმა წყალი ჩამოუსხა და მიაწოდა. გელაშვილმა ცოტა წყალი მოსვა და თითქოს მოსულიერდა. სკამიდან წამოდგა, საძინებელში შევიდა და კარი შიგნიდან ჩაიკეტა.

— მაგარი ზგიადისტი ჩანს, – გაელიმა კინტერაიას, – შენ უფრო გეცოდინება, ლევან, მოძიევი რა.

— რა ვიცი, ტო, ვიცოდი, რომ ზვიადისტი იყო, მაგრამ თუ მამას ეძახდა, ეს აღარ ვიცოდი, მე თვითონ განცვიფრებული ვარ. აუჟ! ამათთან ვისთან მოგსულვარ, – აეშალა ნერვები ლევანს.

— მგონი ჩაიშალა ჩვენი კონტრაქტი, არა? – არ ცხრებოდა დათო.

— ვერაფერს ვიტყვი. ახლა იმას ვვიქრობ, ამას გულთან ერთად ეს მეორე ავადმყოფობა თუ დაეწყო, ვაი ჩვენი ბრალი.

ალბათ, ბოლოს გარეპავს, ყველა ფანატიკოსის ბოლო ეგ არის. – დაასკვნა ლევანმა და კაბინეტში ბოლოთის ცემა დაიწყო.

ამ დროს ნომერში კოტე, უშანგი და ტოტოშა შემოვიდნენ ჩანთებით. ეტყობა ობლიგაციები გადაახურდავეს, კარგ ხასიათზე იყვნენ. ლევანმა ტუჩქებზე თითის მიღებით ანიშნა, არ იღაპარაკოთ ხმამაღლათ.

– რა არი, კიდევ ცუდად არის, ტო? – იკითხა ტოტოშამ.

– ხო, სპალნაშია, – უპასუხა დათომ.

– ვა! რა მიღი-მოდის ეს კაცი, ძალიან ცოდოა, მე და ჩემმა ღმერთმა, – წაივიშვიშა ტოტოშამ.

– არა, ტოტოშ, ახლა გული არ აწუხებს.

– ვახ, მა რა სჭირს, ტო?

– პოლიტიკურად არის ავად.

– ვახ, ეგ რაღაა?

– ახალი დაავადებაა ქართველებში, ზვიადის ნოსტალგიური სიყვარული, ანუ, მოკლედ, ზვიადიზმი.

– ეუჟ! – ტაში შემოჰკრა ტოტოშამ, – ახლა რამდენი პრეზიდენტიც გვეყოლება, იმდენი იზმები და ისტები რო მომრავლდეს, ერთი ათასი ავლია არ ეყოფა საქართველოს. ეუჟ! უბედურო საქართველოვ, სადამდე მიხვედი. ისე, ლევანჯან, იმ „კალცავოიზე“ კარდიოლოგიურში წაყვანა-წამოყვანას „სპალნაში“ ყოფნა არა სჯობია? ნაკლები ხარჯია, – გადავიდა შაყირზე ტოტოშა.

– ხო, კარგი, გეყოფათ, არ იცით, პოლიტიკაში ვინც ცხვირი შეყო, ყველა ურიკინებს. – ყოვლისმცოდნე პროფესორივით ჩაერია საუბარში კოტე.

– მაგ თქვენ პოლიტიკოსობას, სჯობია, გადარეკოთ რესტორანში და სადილი შეუკვეთოთ, თორემ კუჭი ხერხემალზე მაქვს მიკრული, – გასცა განკარგულება ლევანმა და მაცივარი გამოაღო. – აღარაფერი გვაქვს, ვაი, სირცხვილო, ამდენი ფული გქონდეს და შიმშილით კვდებოდე, ეს საქმეა.

— ეგ საქმე კი არა, პატრიოტიზმია, ბატონო ლევან, — ჩაერია საუბარში უშანგი, — იმ ფულს, რომელიც საერთო სახალხო საქმისათვისაა განკუთვნილი, კაპიკი არ უნდა მოაკლდეს.

— გეთანხმები, — მიუგო ლევანმა, — ნეტავი ყველა ქართველი ასე ფიქრობდეს, ავშენდებით, — თან გაიფიქრა, „ვინმე რომ უსმენდეს ამ კაცს, უპატიოსნესი პიროვნება ეგონება. მაგრამ თვითონ რა აქვს ჩაფიქრებული, ნეტავი ვიცოდე“.

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ბიჭებმა გელაშვილი, როგორც იქნა „სპალნიდან“ გამოიყვანეს, დაალევინეს თავისი კუთვნილი ასი გრამი კონიაკი. იმ დღეს მკურნალობის რეჟიმი დაურღვიეს და ასი გრამი ზედმეტი დაალევინეს, რა თქმა უნდა, მისი თხოვნის გამო, მოიყვანეს ხასიათზე და საღამოს რესტორანში სულ ქართულ მუსიკებზე აცეკვეს რუსი გოგონები.

XVI

დილით ლევანი ტელეფონის გაბმულმა ზარმა გამოაღვიძა. წამოდგა თვითი დივანიდან. ოქროს საწოლი რომ დაგედგა, ისე იყო შეჩვეული დივანს, რომ არ ჩაწვებოდა. ტელეფონი არ ჩერდებოდა. აშკარა იყო, რომ საქალაქთაშორისო რეკავდა. ვიღაცას გელაშვილთან დალაპარაკება უნდოდა. ძლივს გააღვიძა ზაური. ტელეფონზე საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა. ლევანი მიხვდა, რომ ასოციაციის პრეზიდენტს ელაპარაკებოდა. გელაშვილმა, როგორც კი ყურმილი დადო, ლევანს შეხედა და უთხრა:

— თბილისში მოგიწევს წასვლა. ოთხი მილიონის ჩატანაა სასწრაფოდ საჭირო. კონტრაქტი ახალ ხელისუფლებას მოსწონებია და „ქეშია“ პოლონელებზე გადასაცემი.

— რაღა იქ ჩავიტანოთ, ჩვენ შევთანხმდით, რომ ანგარიშზე ჩავურიცხავდით. ნალი ფულის ტარება, თან ოთხი მილიონის, თან ამ კუპიურების, საშიშია, — გაოცდა ლევანი.

— როგორც პრეზიდენტმა თქვა, ხელისუფლების წარმომადგენლები თავისი ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით მიაწვდიან „ქეშ“ პოლონელებს. თქვენი მიზანია, თანხა ჩვენს პრეზიდენტამდე მიიტანოთ, დანარჩენი იმან იცის. მე კი დავრჩები აქ, გავაგრძელებ გადახურდავებას და ნაწილ-ნაწილ მოგაწვდით დანარჩენ ექვს მილიონს, თუ გამოვიდა ექვსი, — გადაიქნა თავი გელაშვილმა, — რაც არის, არის, ბიჭებთან მოილაპარაკე და მერე გადავწყვიტოთ თქვენი გამგზავრების საკითხი.

ლევანს არ მოეწონა თბილისის პასუხი, მაგრამ რა უნდა ექნა, ის ამ საქმეში უბრალო შემსრულებელი იყო. თუმცა პასუხისმგებლობა დიდი ჰქონდა დაკისრებული. ახლავე იცოდა, რომ წასაღებ ფულზე პასუხისმგებლობა მას დაეკისრებოდა. კოტეს იმედი ჰქონდა, მხარში ამომიდგებაო. ასე ლევანი ფიქრობდა, ხოლო ფაქტიურად რა მოხდებოდა, ეს შემდეგი თხრობის საგანია.

— როტა, პაიმახა! — დაიძახა ლევანმა, მაგრამ არავინ განძრეულა. წუხანდელი ნაგულავები ბიჭები გაუნძრევლად ფშვინავდნენ. ლევანს შეეცოდა ისინი. „გაუშვი, ეძინოთ, მაიც საჩქარო არაფერია“. სიტყვა „როტას“ წამოძახილზე ისევ სტუდენტობა გაახსენდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლევანი, როგორც ყველა უნივერსიტეტდამთავრებული, ახალციხეში წაიყვანეს ორთვიან სამხედრო შეკრებაზე, საიდანაც ოფიცრის წოდებით უნდა დაბრუნებულიყვნენ. მათი პოლკი ახალციხის გარეთ, ქართული საეკლესიო გულტურის შესანიშნავი ძეგლის, საფარის დაბლა, მთის ფერდობზე მდებარეობდა და მთელ ახალციხეს ზევიდან დაჰყურებდა. კურსანტებისათვის იქ გატარებული ყოველი დღე ათასნაირი თავგადასავლით იყო სავსე, მაგრამ ლევანს ძალიან ჩაებეჭდა ერთი ეპიზოდი, რომელიც მათი „როტის“ ხელმძღვანელის, რუსი ვალოდია სოროკინის, სახელთან იყო დაკავშირებული. სოროკინი ძალიან შოვინისტი იყო და აშკარად ვერ იტანდა ქართველებს. ერთი

სული ჰქონდა, ბიჭები რამეში გამოეჭირა, რომ ჰაუპტვახტში „გაემგზავრებინა“. ეს მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ამას გრძნობდნენ სტუდენტები და მიზეზს არ აძლევდნენ.

ერთხელ, დილის განაწესზე, სოროკინმა იმ ოცეულს, სადაც ლევანი მსახურობდა, გამოიუცხადა, რომ უნდა წასულიყვნენ ვარძიაში სასწავლო მეცადინეობაზე და საღამოს მობრუნდებოდნენ. ბიჭებს გაუხსარდათ, ცოტას გავისეირნებოთ. ყველას დაურიგეს ეგრეთ წოდებული „მშრალი ულუფა“, იარალი, ნიჩბები, დასხეს მანქანაზე და გაუყენეს გზას.

ივლისის პაპანაქება სიცხე იყო. ასპინძაში მარცხნივ გაუხვიეს და მთებისკენ აიღეს გეზი. მთებიდან გრილმა, სასიამოვნო ნიავმა დაუბერა. ყველა ფიქრობდა, ეს ერთგვარი აქტიური დასვენება არისო, მაგრამ მწარედ ცდებოდნენ. ძალიან მაღლა ავიდნენ მთებში, ალბათ ორი ათას მეტრზე მაღლა. დიდი ზანი იარეს, რადგან, როდესაც დანიშნულ ადგილას მივიდნენ, უკვე სადილობის დრო იყო. ისადილეს. ცოტა დაისვენეს და შემდეგ მიიღეს ბრძანება, გაეთხარათ თავდაცვითი სანგრები. ვისაც ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებში უმგზავრია, მან კარგად იცის, როგორი კლდოვანი მთებია იქ. ამიტომ ბიჭებს ამ ქვა-ღორღში ძალიან გაუჭირდათ სანგრების გათხრა. ამ დროს სოროკინი დაადგათ თავზე და გამოიუცხადა:

— ყველა სანგრის სიღრმე უნდა იყოს ერთი შეტრი და ოცდაათი სანტიმეტრი. თუ ამ დავალებას შესრულებთ საღამოს ექვს საათამდე, დღესვე დავბრუნდებით ნაწილში, თუ არა და ხვალ მოგიწევთ სამუშაოს გაგრძელება.

— ამხანაგო კაპიტანო! — წესისამებრ გამოეცხადა ოცეულის მეთაური, სტუდენტი თაგვაძე, — მე ამ მხარის მაცხოვრებელი ვარ და კარგად ვიცი, ამ დავალების შესრულება დღეს კი არა, ხვალაც შეუძლებელია გრუნტის სიმაგრის გამო. ამიტომ ტყუილად ვიწვალებთ, თან მხოლოდ ნიჩბები გვაქვს. ღამე კიდევ გავიყინებით, არც „ადიალები“ არ წამოგვიღია.

— ამხანაგო სერუანტო! — მკაცრი ხმით წარმოთქვა სოროკინმა, — აქ ბრძანებებს მე ვიძლევი და არა თქვენ, შეასრულეთ, რაც დაგავალეთ.

ბიჭებმა ბევრი იწვალეს, მართლა იმუშავეს, მაგრამ მუხლის ზომაზეც ვერ ჩავიდნენ გრუნტში. სოროკინი დაჰყურებდა ზევიდან ოცდათ ქართველს ძალიან ნასიამოვნები სახით, თოთქოს ქართველებზე გამარჯვებას ზეიმობდა, რატომ და რისთვის, ბიჭებს ვერ გაეგოთ.

— თუ ვინმებ გააბრაზა ეს შობელძალლი, ჩვენ რა შუაში ვართ. — ბურღლუნებდა რამაზ კეშელავა და ნიჩაბს ურტყამდა კლდეს.

მოსალამოვდა. ვინც მთაში ნამყოფია, კარგად იცის, რომ იქ გვიან თენდება და ადრე დამდება. ისე ყველაფერს თავისი სილამაზე აქვს. ალპურ ზონაში ლევანი მზის ჩასვლას არასოდეს შესწრებია. ეს განსაკუთრებული სილამაზე იყო. როგორც კი მზე ჩავიდა, მაშინვე აცივდა. ბიჭებმა ივახშმეს. ათ საათზე სოროკინმა „ოტბოი“ გამოაცხადა, „პოდიომი“ შვიდზე იქნებაო, ჩამოაგდო მძღოლი კაბინიდან, შენ ძარაზე დაიძინეო, თვითონ გასაჭიმი ლოგინი მოიმზადა კაბინაში, დაწვა და დაიძინა. ეს, წესდებით, მისი უფლება იყო და ვერც ვერავინ შეედავებოდა.

— მაგარი ტვინგაყინული ვინმეა, — ჩაილაპარაკა ყოველთვის მორიდებულმა კაკო თაგვაძემ, — სულ წესდებით მოქმედებს. ვერ გავიგე, ჩვენი ჯავრი სჭირს? ხომ გავიყინეთ ამ ფარაჯებში.

ბიჭებმა ცეცხლი დაანთეს სანგრებში ახლად მოთიბული ბალახით, სულ გაიმურნენ. შეშა ალპურ ზონაში არ იშოვებოდა. რა ექნათ, არ იცოდნენ. შემდეგ ვიღაცამ წინადადება წამოაყნა, თივის ზვინებში შევძრეთ და იქ დავიძინოთო. ყველას ჭუაში დაუჯდა. ორ-ორი ბიჭი განაწილდა თივის ზვინებში. ნახევარი საათის შემდეგ ვიღაცამ იყვირა, აქ შეიძლება გველები იყოსო და ყველანი ელდანაკრავებიყით გამოცვივდნენ. ბოლოს ყველამ ერთად სანგარში მოიყარა თავი. ბევრი ითათბირეს რა გაეკეთებინათ. ზოგმა სოროკინს ცემის და მანქანით ნაწილში დაბრუნების ვარიანტი წამოაყენა, მაგრამ ეს „დისბატის“ ტოლფასი იქნებოდა.

ამ კამათსა და ლაპარაკში დილის ხუთი საათი გახდა. ისეთ დღეში იყვნენ სიცივისგან, რომ ადგილზე ხტოდნენ.

— ბიჭებო! — წამოიწყო ლევანმა, — მე ჯიბეში მანეთი და ორმოცდახუთი კაპიკი მაქვს, თქვენც ამოიფხიკეთ ჯიბეები, აქვე სოფელი მოჩანს, კენჭი ვყაროთ, ვისაც შეხვდება, წავიდეს და ცოტა საჭმელი და რაც შეიძლება ბევრი არაყი მოიტანოს, ცოტას გავთბებით.

წინადაღება ყველას მოეწონა. მართლაც ამოიფხიკეს ჯიბეები. ჯერ მაშინდელი სტუდენტის ჯიბეში რა იყო და თან ჯარისკაცის, ხუთ მანეთამდე შეუგროვდათ. კენჭი ყარეს და თემურ სანდოე გაამწესეს სოფელში არყის მოსატანად. ცოტა საჭმელი ჰქონდათ მშრალი ულუფიდან დარჩენილი.

ნახევარ საათში თემური მობრუნდა, თან ორი სომეხი ახლდა. სომხებს იმ ხუთ მანეთში ოთხი ბოთლი არაყი მიეცათ, ნაცვლად ორისა, თან თხელი ლავაშები და დაგრეხილი ყველიც დაემატებინათ, ცოტა მწინილი და ერბო, რაც გააჩნდათ სახლში ჯარისკაცებისთვის არ დაიშურეს. მაშინ ეს მიღებული იყო, ჯარისკაცი დაფასებული ადამიანი გახლდათ. მაგრამ სომეხი რის სომხია, თუ მოგება არ ნახა. მაშინვე ვაჭრობა დაიწყეს, ერთ სამხედრო ნიჩაბში ერთ ბოთლ არაყს მოგცემთო. ბიჭებს პურის არაყი უკვე დაელიათ და გრადუსიც მიღებული ჰქონდათ, აიღეს და ოცდაათივე ნიჩაბი არაყში გადაცვალეს. სომხებმა პურმარილიც მოაყოლეს არაყს. ყველა ჯარისკაცმა თითო ბოთლი დაითითოვა, ჩამოცალა ბოლომდე და რუსი ვანიასავით მთელი დამის უძილოებს იქვე მიეძინათ.

ექვს საათსა და ორმოცდაათ წუთზე დიდმა უანდარმბა სოროკინმა გაიღვიძა, ჩამოვიდა მანქანიდან, გაიზმორა, გაიხედა სანგრისკენ, არავინ ჩანდა, სამარისებური სიჩუმე იდგა, თავისთვის გაიფიქრა, „ხომ გაგყინეთ, ქართველებო, თქვენი დედაო ...“ და ოფიცრული ხმით დასჭექა:

— „ზოდ, პადიომ!“

კაციშვილი არ გაინძრა. სოროკინი უფრო ახლოს მივიდა სანგრებთან და უფრო ხმამაღლა დაიყვირა:

— „პადიომ!“

— წადი შენი! — ვიღაცამ წაიბურდლუნა და გვერდი იცვალა.

რომ დაინახა არავინ იღვიძებდა, სოროკინს ფერი ეცვალა, თან ნახევარლიტრიან ბოთლებსაც მოჰკრა თვალი და აქა-იქ მიმობნეულ კონსერვის ქილებსაც. ახლა უკვე სათითაოდ დაიწყო ბიჭების მოქაჩვა:

— აბა, ადექით, თქვე დისციპლინის დამრღვევებო!

— წადი, შენი დედა ... — შეუკურთხა რამაზმა. ეცა და კიდევ კარგი ბიჭებმა გააგდებინეს ხელიდან, თორემ იქვე დაახრიბდა.

ოცეული წამოიშალა და სოროკინისკენ ბარბაცით დაიძრა. სოროკინმა დაიხოქა:

— ბიჭებო! თქვენ ხომ ქართველები ხართ, წესიერი და კულტურული ხალხი, ჩემს მოკვლას არ იკადრებთ.

— ახლა ვართ წესიერები და კულტურულები, შენი დედა ... — ახლა ვახომ ამოარტყა პანლური.

— გაჩერდით, ბიჭებო! — შუაში ჩადგა კაკო თაგვაძე, — რასაც თქვენ აპირებთ, ეს ცუდ შედეგს მოგვიტანს. მე დამიჯერეთ და ყველაფერს ისე მოვაწყობ, ჩვენი თავმოყვარეობა არ შეილახოს.

ბიჭებმა უკანდაიხიეს, კაკოს ხათრი ჰქონდათ, ასაკით ყველაზე უფროსი იყო ჯგუფში და თან წესიერი და თავმდაბალი.

— ამხანაგო სერუანტო! გაეცით განკარგულება, რასაც იტყვით, იმას გაგაკეთებ, — იხვეწებოდა სოროკინი.

— ყველაზ აისხით იარაღი, აიღოთ თქვენი „ჩაშკა-ლოუკა“ და მანქანაზე ჩქარა! — გასცა ბრძანება თაგვაძემ. იარაღიანი კურსანტები საშიშნი არ იყვნენ, რადგან სასწავლო ტყვიები ედოთ მჭიდებში.

ნაწილისკენ მანქანა დაიძრა. მისვლისას არავითარი სკანდალი არ მომხდარა, ყველანი ყაზარმაში შევიდნენ, დაწვნენ და დაიძინეს. აი, მეორე დღეს კი სოროკინმა სამი კურსანტი

პაუპტვახტში გაამწესა სულ სხვა მიზეზით. სიტუაცია ბიჭებსა და სოროკინს შორის დაიძაბა. რუსმა კარგად იცოდა, რომ კურსანტები მას ვერ სცემდნენ, რადგან მაშინვე „დისბატს“ დაიმსახურებდნენ, ამიტომ სულ დამცინავი ღიმილით უფურებდა მათ. ლევანი გულში იხვევდა ამ ბოლმას, ასევე იყვნენ სხვა ბიჭებიც, მაგრამ სამაგიეროს გადახდის ფორმა ვერ მოეძებნათ. ერთხელ სასროლად იყვნენ გასულები. სამ-სამი კურსანტი გაპყავდათ სასროლეთზე და „მარგულინით“ ოცდახუთ მეტრზე დადგმულ სამიზნეს ესროლდნენ. ლევანი ბოლოში იდგა და მეწყვილემ არ მოუწია. ამიტომ სოროკინმა დაუძახა:

— მოდი, სართელო, სროლა თუ იცი, გავეჯიბროთ.

ლევანს „მარგულინით“ არასოდეს უსვრია. თავისთვის ჩაილაპარაკა, „რაღა ახლა შემეჩხა ეს შობელძალლი, არ მინდა დავმარცხდე“ და აუღელვებლად გავიდა სასროლეთზე. სპორტსმენი იყო და ფიქოლოგიურად თავის დაჭერა შეეძლო. სამ-სამი ტყვია უნდა ესროლათ. ორივემ ისროლა სამ-სამი. ლევანმა თავიდანვე შეამჩნია, იარაღი კარგად მოაჯდა ხელში, თან „მაკაროვთან“ შედარებით უკუდარტყმაც ნაკლები ჰქონდა, ისე რომ, შედეგი ცუდი არ უნდა ყოფილიყო. მთელი ოცეული თვალებგაფართოებული უყურებდა შეჯიბრს.

ნაწილის სერუანტმა გასინჯა სამიზნები, სოროკინს ჰქონდა სამიდან ოცდაოთხი, სართელს სამიდან-ოცდარვა. ატყდა ოცეულში უივილ-ზივილი. ლევანს დაძაბულობა მოეხსნა.

— კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, ქართველო, ხომ არ გეშინია?
— გადახედა იქედნურად სოროკინმა.

— როგორც გენებოთ, ამხანაგო კაპიტანო, — მოკრძალებით უპასუხა ლევანმა.

კიდევ სამ-სამი ისროლეს. სოროკინს აღმოაჩნდა ოცდაერთი, სართელს-ოცდაექვსი. ოცეულში ადგილ-ადგილ უკვე სტკენაც გაისმა და სოროკინის დედაც რამდენიმემ გაიხსენა, რა თქმა უნდა, ქართული კილო-კავებით.

სოროკინი აშკარად დაიბოლმა, ოცეული ბრძანებით თაგვაძეს დაუტოვა და მანქანისკენ წავიდა. ბიჭებმა ლევანს გამარჯვება მიუღოცეს და პატივისცემის ნიშნად იმ საღამოს დამატებითი ულუფაც გაუჩალიჩეს.

— მაგ კაცს ინფარქტს დამართავთ თქვენ, — ღიმილით უთხრა კაკო თაგვაძემ ბიჭებს.

— ჯერ სად ხარ, კაკო, — მიუგო ლევანმა, — რაც ჩაფიქრებული მაქს, თუ შევძლი მისი გაკეთება, ნახავთ მაგას მიწაზე დაგდებულს.

— მაგას თუ მევესწარით, მაღარიჩი ჩვენზე იქნება, — შეეხმანა ნებიერიძე.

ეს ნანატრი დღეც დადგა. ასეულს გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი სამკილომეტრიან კროსში, ფორმა ნომერი პირველით. ესე იგი, ჩექმებით უნდა ერბინათ. სოროკინმა ლევანი თავისთან იხმო და უთხრა:

— ხვალ, თუ გინდა, შევეჯიბროთ სირბილში, მინდა, რომ მატჩ-რევანში მოვაწყო.

— მატჩ-რევანშის მოწყობა წესით სროლაში გეპუთვნით, ამხანაგო კაპიტანო, მაგრამ, თუ ასე გადაწყვიტეთ, მე თანახმა ვარ, — დასტური მისცა ლევანმა.

ეს ამბავი მთელ ნაწილს მოედო. დილით, რვა საათზე, ჯარისკაცები სტარტზე მიიწვიეს. ყველა ჩექმაში იყო გამოწყობილი, ხოლო სოროკინი რატომღაც სპორტული ფეხსაცმელით გამოცხადდა.

— ეს სამართლიანობა არ არის, — აშუხურდნენ კურსანტები და სოროკინს ქართულად დედა კვლავ შეახსენეს.

— მე მაზოლი მაქს და ჩექმით ვერ ვირბენ, — იმართლა თავი კაპიტანმა.

— ამხანაგო კაპიტანო, თუ მაზოლები ძალიან გაწუხებთ, ას მეტრ ფორას მოგცემთ, — მთელი სერიოზულობით შესთავაზა ლევანმა.

— წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, — თქვა სოროკინმა, — მე ძველი ხუთჭიდელი ვარ და ნუ მეხუმრები, სართელო.

ლევანს გაეღიმა. ხმა აღარ ამოუღია, ნაწილისკენ გაიხედა, დიდი და პატარა კროსმენებს უყურებდა. ნაწილი შემაღლებულ ადგილას იყო და სარბენი ტრასა ხელისგულივით ჩანდა. მართალია, ამ ბოლო დროს ვარჯიშები საკმაოდ შემცირებული ჰქონდა ლევანს სამხედრო რეჟიმის გამო, მაგრამ თავს ცუდად არ გრძნობდა. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ საქართველოს ჩემპიონი იყო გრძელ მანძილზე რბენაში და სოროკინის დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა. მაგრამ მთავარი აქ იმ ჩანაფიქრის განხორციელება იყო, რაზეც ოცნებობდა დღე და ღამე.

სერუნტმა წითელი დროშით სტარტი მისცა კროსმენებს. ჯგუფი კიდაიძრა, მაგრამ მალე გაიშალა. წინლევანიდა სოროკინი მოექცნენ. კაპიტანი მაშინვე უკან ჩაუდგა ლევანს. ეს სირბილის დროს ეშმაკური ხერხია მოწინააღმდეგის წყობილებიდან გამოსაყვანად. ამ დროს ადვილია გამოსავლის მოძებნა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც გვერდზე არაპროფესიონალი მორბის. სოროკინიც ნორმალურად მისდევდა უკან. მისი ჩანაფიქრი ადვილი გამოსაცნობი იყო, ფინიშამდე რამდენიმე მეტრით ადრე დაიწყებდა გასწრებას. ათას ხუთასი მეტრი ექნებოდათ სპორტსმენებს გარბენილი, რომ ლევანი მოსწყდა ადგილს და მთელი სისწრაფით გაიჭრა წინ. სოროკინი უცებ დაიბნა, ვერ იგებდა, რა უნდა გაეკეთებინა, ჯერ ხომ ფინიშამდე საკმაო მანძილი იყო დარჩენილი. მაგრამ ჩამორჩენის შიშმა იმდენად სძლია, რომ სართელის შემოთავაზებულ ტემპს აპყვა და აქ დაუშვა ტაქტიკური შეცდომა. ლევანმა ის თავის იღეთზე დაიჭირა. ასი მეტრის სწრაფი გარბენის შემდეგ ლევანმა ტემპი კვლავ დააგდო, სოროკინიც დაპყვა. შემდეგ ისევ გაიმეორა, სოროკინიც აპყვა. სამი ასეთი აჩქარების გაკეთების შემდეგ სოროკინმა ტემპს საგრძნობლად უკლო, მოიკეცა და ღებინება დაეწყო, შემდეგ წაიქცა და თავის ნამოქმედარში ჩაყო თავი. ლევანი უკვე ფინიშზე იყო მისული. იქიდან მშვიდად ადევნებდა თვალს, როგორ წამოაყენეს დასვრილი და დასისხლიანებული

სოროკინი ბიჭებმა და გასაწმენდად მის კოლეგა ექიმებს ჩააბარეს. შემდეგ ლევანთან გაიქცნენ, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— ბიჭო, რავა მეიფიქრე ამფერი ტრიუკი, ეგი ცემაზე უარესია, ჩემს დედას გეფიცები, — მუხლებზე ირტყამდა ხელებს ნებიერიძე და ხმამაღლა გაპყვიროდა, — მაღარიჩი ჩემზეა, ლევან, დღესვე.

— ასეთი სირბილი საიდანდა მოიგონე, ლევან? მოფიქრება არ გინდა? — ჰკითხა კეშელაგამ სართელს.

— ეს ტაქტიკური მანევრი ლეგნდარულმა ვლადიმერ კუცმა მოიფიქრა მელბურნის ოლიმპიადაზე, მე უბრალოდ გავიმეორე, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ნაძირალა წამოეგებოდა, — თქვა ლევანმა და ყაზარმისკენ წავიდა.

ეს ყველაფრი ლევანს იმ სამხედრო შეძახილმა გაახსენა, ბიჭების გასაღვიძებლად რომ წარმოთქვა. ბედნიერი კაცი იყო ლევანი სტუდენტობისას, არ სვამდა, არ ეწეოდა. სპორტიდან არ აკლდა შეჯიბრებულზე და სპორტულ შეკრებულზე სიარული. თითქმის მთელი ქვეყანა მოევლო. კარგი დრო ჰქონდა გატარებული. არც თავისუფალი დრო აკლდა, სანერვიულო თითქმის არაფერი ჰქონდა. ახლა კი დიდ რისკზე უწევდა წასვლა, ფულზე გაგისულ ბიჭებთან ერთად ომში და უბედურებაში უნდა წაეღო ოთხი მილიონი მანეთი.

საღამოს რვა საათზე სასტუმროს ნომრის კაბინეტში ყველანი შეიკრიბნენ და მოსაგვარებელი საკითხის განხილვა დაიწყეს.

— ლევან, დაიწყე! — მიმართა სართელს გელაშვილმა.

— პოლონელებს ფაქსი გაფუგზავნე, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება თანახმაა კონტრაქტის ყველა პუნქტი დარჩეს ძალაში, დანარჩენს დამატებით ვაცნობებთ. ნაღდი ფულის ნაშთი ამჟამად შეადგენს სამი მილიონ ექვსასი ათასს. ხვალ, დღის პირველ ნახევარში, ვალოდია ებრაელი მოგვაწვდის ოთხასი ათასს და გვექნება სულ ოთხი მილიონი. ორმოცდაათი ათასი აღრიცხულია ხარჯებში, სამას ორმოცდაათი ათასი

შენთვის ცნობილია და ობლიგაციების ხარჯი დარჩება ხუთი მილიონ ექვსასი ათასი. ეს ყველაფერი დევს აქ ნომერში, ახალი დათვლილია, შეგიძლია შეამოწმო, – დაამთავრა ლევანმა და ანგარიშის ერთი ეგზემპლარი გელაშვილს დაუდო მაგიდაზე.

— ეს ყველაფერი გასაგებია, — დაიწყო აუჩქარებლად ზაურმა საუბარი, — ხვალ, თერთმეტ იანვარს, შენ და კოტე უშანგისთან და ტოტოშასთან ერთად წახვალთ თბილისში ამ ოთხი მილიონით. თვითმფრინავით თქვენი წასვლა გამორიცხულია, რადგან დაიწვებით. საღამოს ათ საათზე გადის მოსკოვი-წყალტუბოს მატარებელი, საზღვართან აფხაზეთში ჩვენი ბიჭები დაგხვდებიან. რომან კორკელიას იცნობ შენ. თავის ბიჭებთან ერთად იქნება და გაგაცილებს აფხაზეთის და სამეგრელოს ტერიტორიაზე. იქით თქვენ არ გჭირდებათ გამცილებელი. ჩახვალთ თბილისში და სამი მილიონ ცხრაასი ათას მანეთს ლორიას გადასცემთ, იმის იქით მოძრაობა მისი საქმეა. ასი ათასს გამოიყენებთ გზის ხარჯებისა და ოჯახებისათვის. შედეგებს დამირეკავთ, მე მგონი, ტელეფონი არ დაგავიწყდებათ. შეკითხვები გაქვთ? — დაამთავრა გელაშვილმა და სიგარეტს გაუკიდა.

— გადააგდე, ალექსანდროვიჩ, ეგ სიგარეტი, მაინც და მაინც აქ გინდა სიკვდილი? — გაბრაზებულმა შეუტია ლევანმა.

— შენ შენ თავს მიხედე, არ მჭირდება შენი დარიგება, — გაბრაზდა გელაშვილი.

— მე თუ რამე მომივა, წყალტუბომდე მაინც ჩამიტანს, შენ იკითხე, შეიძლება კრემაცია დაგჭირდეს და სმეტანის ბანკაში მოგიწიოს ჟურყუტი, — მწარედ გაეხუმრა სართელი.

— გეყოფათ, ტო! რა სიკვდილიანობა აგიტყდათ, — აჭიჭყინდა ტოტოშა, — ახლა „პროშხალნი ვეჩერი“ კქნათ.

— ვაჲ! ისევ დალევა, — აღარ შემიძლია, ტო! — აკივლდა ლევანი, — ამ პავლოვიჩმა ხო მომკლა. შემოვა, მასმევს, მაგასთან შევალ, მასმევს, თან რამდენსა სვამს. ქვევრია რა! ეჲ! სადაც წვრილია, იქ გაწყდეს.

XVII

გათენდა თერთმეტი იანვარი და აპარტამენტებში დილიდანვე ფუსფუსი დაიწყო. ფული კიდევ ერთხელ დაითვალა. სამ ყუთში კუპიურები ჩააწყვეს. მეოთხე ყუთს მიღიონამდე ოთხასი ათასი აკლდა, რომელიც ვალოდია ებრაელს უნდა მოეტანა.

— ძმებო! — მიმართა ლევანმა საქმეში გართულ კოტეს, უშანგის და ტოტოშას, - ყველაფერი მოვამზადოთ წასაღებად და დღის მეორე ნახევარში დავისვენოთ, დავიძინოთ, რადგან იცით, რომ მატარებელში უნდა ვიფხიზლოთ. აქედანვე იცოდეთ, მატარებელში და, საერთოდ, ფულის ადგილზე მიტანამდე დალევა გამორიცხეთ! — დამობლვრა ლევანმა თავისი გუნდი და პირადი ნივთების ჩალაგებას შეუდგა.

— მაიცა, ტო, არც პივა არ შეიძლება? — იკითხა ტოტოშამ.

— პივა შეიძლება, ეგ ხომ დასალევი არ არის, — გამოსძახა საძინებლიდან ლევანმა.

— ვა! მა რა არის, ტო!

— შენი არ ვიცი, ტოტოშ, და მე ლუდს მაიმუნების კაკაოს ვეძახი. მაგაზე მუცელი როგორ უნდა მოაცდინო. კაცმა უნდა დალიოს არაყი, ღვინო, ხანდახან კონიაკი და შამპანური. აი, რუსეთში არაყი და კონიაკი უნდა დალიო, რადგან აქ ჰავაა ეგეოთ. საქართველოში — ღვინო და შამპანური. გაიგე, ბიჭო!? — ხმამაღლა დაუძახა ლევანმა.

— მაიცა, მამაშენი რო სულ არაყსა სვამდა, იმას რა ბარომეტრი არა ჰქონდა? — აუტყდა სიცილი ტოტოშას.

— მაგაში სწორი ხარ, — გამოვიდა საძინებლიდან ლევანი, — ის რაღაც ამქვეყნიური ადამიანი არ იყო, ორმოცდახუთი სახარება ჰქონდა დალეული ჩვეულებრივი ასგრამიანი ჭიქით. იმ ჭიქაში, ბოლომდე თუ არ გაავსებ, ოთხმოცი გრამი ჩადის. ესე იგი საღლაც სამი ლიტრი და ექვსასი გრამი გამოდის. თან მერე სუფრის წევრებისთვის გადაუხედავს. ორი გამოშტერებული უყურებდა თურმე და ხმას ვერ იღებდა, დანარჩენებს ეძინათ. „თქვენთან

დალევა აღარა ღირსო“, – უთქვამს, დაუხურავს ქუდი, გამოსულა რესტორნიდან, წამოსულა სახლში. უბნიდან ხალხი გაუგზავნია, „წადით და წამოიყვანეთ ის ლოთები, სირცხვილია, იქ ხომ არ დაიძინებენ, თან იცოდეთ დანახარჯი გადახდილიაო“.

— მაიცა, ლევან, ლვინოს საერთოდ არ სვამდა? — ჰკითხა უშანგიძე.

— როგორ არა, მაგრამ ძირითადად წყლის მაგივრად. განსაკუთრებით ზაფხულში სვამდა. მაცივარში ჰქონდა ჩაციებული. რომ მოსწყურდებოდა ჩამოასხამდა ლუდის კათხაში და ისე გემრიელად დალევდა, შენც მოგინდებოდა. სასწაული პიროვნება იყო, — სევდანარევი ხმით წარმოთქვა ლევანმა ეს სიტყვები, რადგან მამის გარდაცვალებიდან ჯერ წლისთავიც არ იყო გასული.

— რა ორგანიზმი ჰქონდა, ტო! — არ ეშვებოდა ტოტოშა.

— რა ვიცი, ტოტოშ, ოთხი წელი ზღვაზე იბრძოდა „მარსკაია პეხოტაში“. ალბათ კარგი წრთობა მიიღო. იქ საერთოდ არ სვამდა თურმე. აი, იქიდან რომ ჩამოსულა, პირველად გამარჯვების სადღეგრძელო დაულევია და იქიდან მოყოლებული ორმოცდახუთი წელი დღე აღარ „ჩაუგდია“, ყოველდღე გამარჯვების სადღეგრძელოს სვამდა სიკვდილამდე. ერთხელ, — ღიმილით გააგრძელა ლევანმა, — ზაფხულში საშინელი ხვატი ჩამოწოლილა და სამ ძმაკაცს მდინარეზე წასვლა მოუწადინებიათ. საბანაოდ რომ წავალთ, დასალევი ხომ უნდა წავიღოთო. იმ პაპანაქება სიცხეში დასალევი რად უნდოდათ. უფიქრიათ თითო ლიტრი არაყი კაცზე რას გვეყოფა, მდინარეა, იქნებ ვინმე შემოგვესწროს და არყის ძებნას ხომ არ დავიწყებთო. გადაუწყვეტიათ, კაცზე ორ-ორი ლიტრი წაელოთ, ესე იგი სულ ექვსი ლიტრი. მდინარეზე ორნი წასულან — მამაჩემი და მისი ერთი მეგობარი. მეორე მეგობარს უთქვამს, თქვენ დაიწყეთ და მე მაღლე მოვალო. ამათ უბანავიათ. ცოტა ხანს კიდევ მოუცდიათ, ძმაკაცი არ ჩანდა. მოდი, დავიწყოთო და ამ ლოდინში, თან სმაში ექვსივე ლიტრი არაყი დაულევია ორს.

ნამეტანი დასცხათ თურმე იქვე მდინარის ნაპირას ჩაწოლილან წყალში, თავები ნაპირზე დაუდიათ და ჩასძინებიათ. ამ დროს ხიდზე მანქანით მოდენილა ამათი ძმაკაცი, ერევნელი სომეხი, რომელიც მამაჩემმა და მისმა სამმომ შეიფარა და სოფელში დაასახლა. ძალიან შეხუმრებულები ყოფილან ერთმანეთში. სომეხი მაშინვე მიმშვდარა რაშიც იყო საქმე, წამოსულა, მთელი სოფელი შეუყრია, „ხალხო, კასპიის ზღვიდან სელაპები ამოსულან, ხიდის ქვეშა წვანანო“ . მთელი სოფელი დაძრულა ამ სანახაობის საცქერად. ამის შემდეგ დაერხა იმ სომეხს. რასაც იმას „შტუკებს“ უკეთებდნენ ესენი, ეს ცალკე სალაპარაკო თემაა.

— ვაჲ! კაი კაცი ყოფილა, ისე ადრე კი წასულა ამ სოფლიდან,
— თავი გადააქნია ტოტოშაბ.

— ეჲ! რას იზამ, ძმაო. ისე, კაცმა რომ თქვას, ამქვეყნიური სიამოვნებები არ დაუკლია, კარგად იგრიალა. ახალგაზრდობაში თითქმის ყოველ შაბათს გოგირდის ჭრელ აბანოს კეტავდნენ, შიგ ქეიფი და დროსტარება ჰქონდათ და რა ვიცი, რომელი ერთი გითხრა.

საუბარი კარებზე კაკუნმა შეაწყვეტინათ. ვალოდია ებრაელი მოვიდა და ოთხასი ათასი მოიტანა.

— ვალოდია, ის ორასი ათასი კიდევ არ გამოჩნდა არა? — შეეკითხა ლევანი.

— არა, ლევან, იმაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ეგ ფული მე არ წამიღია, გზაში ხომ არ აორთქლდებოდა.

ლევანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვალოდია ამ საქმეში უდანაშაულო იყო. რა ხდებოდა, ჯერ ვერ მიმშვდარიყო. ფაქტის გარეშე კი ხელს ვერავის დაადებდა. მოტანილი ფული სწრაფად გადათვალეს. შედარებით მსხვილი კუპიურებისგან ასი ათასი ცალკე გადადეს, ხოლო სამასი ათასი შეუკსებელ ყუთში ჩადეს და შეფუტეს. ეს ასი ათასი, როგორც გელაშვილმა უთხრა, ხარჯისთვის და ოჯახების საჭიროებისათვის უნდა გამოეყენებინათ. ერთი სიტყვით, ყველაფერს თავის ადგილი მიუჩინეს, ისადილეს, შემდეგ ოთახებში განაწილდნენ

დასასვენებლად. შეთანხმდნენ, რომ გამგზავრების თადარიგი საღამოს შვიდი საათიდან დაეწყოთ, რადგან მატარებელი მოსკოვი-წყალტუბო ათ საათზე გადიოდა.

ლევანი თავის დივანზე წამოწვა. ფანჯრებს მიაპყრო მზერა. გარეთ კარგად ბარდიდა. დღისით საერთოდ ვერ იძინებდა. ფიქრები მოაწვა. დღეს სამშობლოში ბრუნდება, სამშობლოში, რომელსაც პატრონი არა ჰყავდა, რა ელოდა საქართველოს მომავალში?! ნიკალია პავლოვიჩის წინასწარმეტყველებას თუ დაუგდებდა ფურს, ქვეყანა სულ მალე ჭაობში ჩაეფლობოდა და ნაძირალები მოექცეოდნენ მის სათავეში. არ უნდოდა ამის დაჯერება ლევანს, მაგრამ პერსპექტივაც რომ არ ჩანდა. ან ამ საქმეს როგორი დაბოლოება ექნებოდა, რისი გულისთვისაც ბიჭები თავის სიცოცხლეს სასწორზე დებდნენ? თუ ვინმე გაიგებდა, რომ მათ ოთხი ფუთი ფული გადაპქონდათ, ისე გააქრობდნენ, მათი ძვლებიც აღარ დარჩებოდა. სხვა მის ადგილას ალბათ სხვანაირად მოიქცეოდა. დარჩებოდა აქ, ამ ფულს კარგად დაატრიალებდა და მერე დაუბრუნებდა პატრონს. ამის გამკეთებელი ლევანი არ იყო, ეს ხომ უნამუსობა და არაკაცობა იქნებოდა.

თოვლი თანაბათან უმატებდა ბარდნას. „დღეს ჩამოიქცევაცა, – ფიქრობდა ლევანი – აქამდე მზე და ყინვა იყო, გული აგერეოდა კაცს. ახლა თოვლი წამოვიდა, ეს უგემი რომანტიკულია, მაგრამ რომანტიკა ჩვენ დღეს არ გვჭირდება, ყოველ შემთხვევაში, მატარებლის დაძვრამდე. თან იარაღიც უნდა წავიღოთ. არა, გელაშვილმა რაც უნდა ის უყოს ამ თავის ბარაპნიანს, მე მაგის წალება არ მაწყობს, ზედმეტი პრობლემები გზაში არ მინდა“.

ამ ფიქრებში იყო წასული, რომ მოხდა სასწაული და ლევანს ჩაეძინა. ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. გელაშვილი იყო, ნახევარ საათში მოვალო. აღარ დაეძინა, ადგა, ბოდიალი დაიწყო, ფანჯარაში გაიხედა, უკვე ბნელოდა, აღარ თოვდა. მოსკოვი გაჩირალდნებული იყო. ბიჭები ნელ-ნელა გააღვიძა. თვითონ კი ნომრის შემოვლა დაიწყო, რომ არაფერი დარჩენოდათ წასაღები.

ეს მისი ჩვევა იყო. მივლინებებში ხშირად იმყოფებოდა და წამოსვლის წინ ნომერს შემოუვლიდა, ხომ არაფერი მრჩებაო, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავად ამისა, ათიდან რვა შემთხვევაში ხან ქოშები რჩებოდა, ხან პერანგი, ხან კბილის ჯაგრისი და, ვინ მოთვლის, კიდევ რა. ერთი გორელი პარტნიორი ჰყავდა, ხშირად ერთად უწევდათ ნომერში ცხოვრება, მოსკოვის ბაზრობები ისე აეწყო, რომ ლევანი ანგარიშის ჩასაბარებლად ორი დღით ადრე მოდიოდა ხოლმე მოსკოვიდან, ხოლო ჯემალი რჩებოდა. წამოსვლისას ჯემალი ლევანის დარჩენილ ნივთებს მოაგროვებდა და გორში მიჰქონდა. ერთხელ ლევანმა ჰკითხა:

- ჯემალ, ჩემმა ქონებამ სადამდე მიაღწია?
- სამი პერანგი, ოთხი ჰალსტუხი, ერთი წყვილი ქოში, ოთხი წყვილი წინდა და ასე შეძლებ სხვა წვრილმანი.

— თუ ძმა ხარ, როცა წამოხვალ, წამოიღე რა, — შეეხვეწა ლევანი.

— არა, ბატონო, ჩამობრძანდი და წაიღე, — ჰასუხობდა ყოველთვის ჯემალი. პურმარილიანი კაცი იყო და სტუმრის მიტყუება სახლში სხვადასხვა გზებით იცოდა.

გორში საქმეზე ჩასულ ლევანს, საქმის დამთავრების შემდეგ, ყოველთვის რესტორანში ეპატიუებოდნენ, ჯემალი მერე ეხვეწებოდა, წამოდი ახლა, წაიღე ის შენი ნივთებიო, მაგრამ ლევანს სხვისი არ უყვარდა, ოჯახში სტუმრად ნასვამი რომ მიდიოდა და თვითონ თავის თავზე ამას არ დაუშვებდა. ამიტომ დღესაც მისი ნივთები გორში ჯემალთან ეწყო. ერთხელ ხუმრობით უთხრა ჯემალს:

— იმ ჩემს ნივთებს კარგად გაუფრთხილდი, შეიძლება ცნობილი პიროვნება გავხდე და აუქციონზე მოგიწიოს მისი გაყიდვა, ფულს იშოვიო.

ახლაც იბოდიალა ნომრის ოთახებში. დარწმუნდა, რომ ყველაფერი ჩააბარგეს, მაგრამ კოტეს მაინც სთხოვა, შენც შემოიარე, იქნებ რამე დაგვრჩაო.

ნომერში გელაშვილი შემოვიდა:

— ცხრის ნახევრისთვის ორი ტაქსი გამოვიძახე, დანარჩენი რა ხდება?

— არაფერი, ვემზადებით, — უპასუხა ლევანმა.

— რესტორნიდან რამე ამოიტანეთ, გზას დაგილოცავთ და წახვალთ, — ბრძანება გასცა ზაურმა.

ერთ საათში სასტუმროს შევიცარები ფულის ყუთებს ტაქსიში ტვირთავდნენ, თან თავისთვის ბურდღუნებდნენ, რა არის, შიგ ბეჭონი ჩაასხესო. ყუთები მართლაც მძიმე იყო, ფულის პატარ-პატარა ზომის ყუთებში განთავსება ყუთების რაოდენობას გაზრდიდა და ეს ეჭვს გამოიწვევდა. წინასწარ შეთანხმებული იყვნენ, რომ კოტეს კურსკის საღვურში ორი სატვირთო ურიკა უნდა დაექირავებინა, გადაენაწილებინა ყუთები, რომ მძიმე არ ყოფილიყო. ამასთან ზევიდან ცელოფნის პარკებში ჩაწყობილი ბავშვის სათამაშოები უნდა დაეწყო, რომ ნაკლები ყურადღება მიექცია ტვირთს. ლევანი კი მანამდე ვაგონის გამცილებელს ფულს აჩუქებდა ტვირთის შეუფერხებლად გატარებისათვის. უშანგი და ტოტოშა საჭმელ-სასმელზე გაგზავნეს. კოტემ, როგორც ჩანს, აქაც უფრადღებობა გამოიჩინა და ყველაფერი ერთ ურიკაზე დაატვირთვინა. ლევანმა შორიდანვე დაინახა, მტვირთავი ძლივს მიათრევდა ურიკას, ვინც შეხედავდა, ყველა საეჭვოდ მიიჩნევდა ამ ტვირთს და ასეც მოხდა. ორი ახოვანი მილიციელი გადაუდგა ურიკას წინ, ერთ-ერთმა, რომელიც წოდებით უფროსი იყო, დაიყვირა:

— ვისია ტვირთი?!

— ჩემია, — დაუძახა შორიდანვე ლევანმა.

— რა მიგაქეს! — მკაცრად მიძართა მილიციელმა.

— სავაჭრო საქონელია, ამხანავო უფროსო სერუანტო, — ყველა წესისდაცვით გასცა პასუხი ლევანმა. თან კოტეს ათვალიერებდა, ვერსად შენიშნა.

— ამისთანა მძიმე რა იყიდე, წავიდეთ განყოფილებაში და ვნახოთ! — ეს თქვა და მეორე ჩინით დაბალ მილიციელს ანიშნა, ბრძანება შეესრულებინა.

„ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება“, – სწრაფად დაიწყო ფიქრი ლევანმა.

– ამხანაგო უფროსო სერუანტო! – ღიმილნარევი და შეწუხებული სახით მიმართა ლევანმა, – მატარებელი საცაა წავა. მე ერთი ჩვეულებრივი ბარიგა ვარ, ლუკმაპურის ფულს ვშოულობ, მეტს არაფერს, – თან ხელი მოჰკიდა მილიციელს და გვერდზე გაიყვანა, – რამდენი უნდა ამ საქმეს?

– ხუთი! – მოკლედ მოჭრა ფორმიანმა.

ლევანი ცოტა დაიბნა.

– ორმოცდაათი?

– რა ორმოცდაათი! ჩქარა ხუთასი, თორემ ჩამოგართვი! – ანერვიულდა მილიციელი.

წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა მილიციელს, რომ ლევანმა ხუთი ასიანი ჩაუდო ჯიბეში. ამის შემდეგ კოტეც გამოჩნდა და ტვირთი უცბად შეიტანეს ვაგონში, შემდეგ კუპეში და ჩაიკეტნენ შიგნით.

– ესეც პირველი დარტყმა, – ამოისუნთქა ლევანმა, – ძალიან ცუდად დაიწყო. ეს ერთი ყუთიც გაიხა. სასწრაფოდ უნდა გადავაწყოთ, როგორც კი მატარებელი დაიძრება. მერე მეორე, სად დაიკარგე, ტო!? იმ მილიციელებთან მარტო რომ დამტოვე.

– ბიჭებს ვეძებდი. – იმართლა თავი კოტემ.

– მაიცა, ბიჭები რას გიშველიდნენ, იმ კაცს დალაპარაკება სჭირდებოდა.

– მერე, ხომ ელაპარაკე, – აქეთ დაუწყო მიწოლა კოტემ.

– კი, ველაპარაკე, სამაგიეროდ მტვირთავს ყურადღებას ვერ ვაქცევდი, რაღაც რომ მოეტეხა, ბიჭები გიშველიდნენ? ამბობ რაღაც უაზრობას რა. მართლა, სად არიან უშანგი და ტოტოშა!?

– რა ვიცი, ტო! შენ არ გაუშვი, საჭმელი მოიტანეთო, – ისევ თავის მართლებაზე გადავიდა კოტე.

– კაროჩე, ძმაო, ახლა თქვენ თუ ბატებივით დაიწყეთ სიარული, ამ ფულს დაგკარგავთ. ჰოდა, ჭკუაზე მოდით, სანამ

დროა! – ანერვიულდა სართელი. – მთელი პასუხისმგებლობა გელაშვილმა მე დამაკისრა, პასუხსაც მე მომთხოვს. თუ ერთად ვართ, ერთად ვიყოთ, თუ არა და მაშინ გეთქვათ აქამდე. ასე არ შეიძლება, მათ.

– აუუ! დაიწყო უკვე, ყველაფერი რიგზე იქნება, ნუ ნერვიულობ, – დააწყნარა კოტეტ ლევანი.

ამ დროს უშანგი და ტოტოშა გამოჩნდნენ არყის და ლუდის ბოთლებით. ახლა იმათ მივარდა ლევანი.

– ბიჭო! რამდენჯერ ვთქვით, რომ გზაში არ უნდა დავლიოთ, ვინა ხართ თქვენ, ტო?!

– ლევანჯან! რა მოხდა, რას ნერვიულობ? – უთხრა ტოტოშამ, – ცოტას დავლევთ, ბევრს არა.

– ჰოდა, ამ სასმელმა ტვინი რომ გამოგვილაყა, კინალამ ფული არ დავკარგეთ! – და მოკლედ მოუყვა ინციდენტს ლევანი.

– ვაჲ! მართლა გადავრჩნილვართ, ტო! – შეიცხადა ტოტოშამ, – უნდა აღვნიშნოთ, – და არყის ბოთლს დავლო ხელი.

– არყის ბოთლი კი არა, ეს ყუთია გადასაწყობი. გადავაწყოთ და მერე დალიეთ! – მისცა დავალება ლევანმა, მატარებელი დაიძრა და საქმეს შეუდგნენ. ერთ საათში მორჩნენ ყველაფერს და იმ კუპეში შეიკრიბნენ, სადაც მხოლოდ ერთი მილიონი იდო, ისიც დიდი ჩანთით მიეუდებინათ კუპის მაგიდაზე, სულ წვრილი ფული იყო შიგ ჩაყრილი.

მეზობელ კუპეში ოთხი ახალგაზრდა ბიჭი მგზავრობდა. გაეცნენ ბიჭებს, ქუთაისელები აღმოჩნდნენ. ერთი ბოთლი შამპანური გამოჰყოლოდათ, გახსნეს და მეზობლებსაც გაუნაწილეს. ბიჭებმა შეატყვეს, რომ ქუთაისელებს უფულობა სჭირდათ და შეიპატიუეს. ივახშმეს, დალიეს. შემდეგ თავიანთ ამბებს მოჰყვნენ. მოსკოვში სახალწლოდ ჩამოსულან დროის გასატარებლად. ეტყობა მშობლებმა დააფინანსეს, თორემ თვითონ ფულის მშოგნელების არაფერი ეტყობოდათ.

– ათი დღით ჩამოვედით, – დაიწყო ერთმა პუტკუნამ, გოგა ერქვა, – ათ-ათი ათასი მანეთი გვქონდა, სულ ორმოცი ათასი.

ისე უცბად დაიხარჯა ამხელა ფული, რომ ვერ გავიგეთ, — მილიონიან ჩანთას მუშტებს ურტყამდა გამწარებული, — ამ ფულს ფასი აღარ აქვს, — თან დააყოლა, — ბიჭებო, ამ ჩანთაში გასატეხი ხომ არ არის რამე, ხელს რომ ვურტყამ?

— არა, ნედლეულის ნიმუშებია, — უპასუხა ლევანმა, — რამდენიც გინდა ურტყი. თან გაიფიქრა, „ზოგჯერ ტყუილიც საჭიროა, რომ თქვას კაცმა. აბა რა პასუხი გავცე, რა ვიცი.“

ბიჭებს გაელიმათ. შემდეგ ანეგდოტების მოყოლა დაიწყეს და სამ საათამდე არ დაშლილან. ბოლოს კი ყველა თავის კუპეში ჩაიკეტა. ბიჭებმა მთელი დამე იფხიზლეს, რატომდაც ეგონათ, რომ „კუდი“ გამოაყოლეს. დილით კი დაიძინეს და საღამომდე ფეხი არ გაუნდრევიათ. მთელი დამე ისევ იფხიზლეს, ცოტა დილით მოატყუეს თვალი. თორმეტ საათზე სოჭში უნდა შესულიყვნენ.

XVIII

— ყურადღება! ყურადღება! — გაისმა მატარებლის რადიოში, — ლაპარაკობს მატარებელი მოსკოვი-წყალტუბოს საინფორმაციო ბიურო, ყურადღება! ყურადღება! მატარებლის ყველა მგზავრი მოემზადოს სოჭის სადგურში ჩამოსასვლელად. ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკურ სიტუაციებთან დაკავშირებით, სარკინიგზოდა საავტომობილო მაგისტრალებზე დათარებობენ სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებები, ამიტომ მატარებლის ბოლო გაჩერება იქნება სადგური სოჭი.

ინფორმაციამ მგზავრებში ათასნაირი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჩვენმა გმირებმა ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ერთმანეთს შეხედეს. დიდხანს ისხდნენ ასე მდუმარედ. დუმილი ტოტოშამ დაარღვია:

— რა ვქნათ, ლევანჯან?

- არ ვიცი, — მოკლედ მოუჭრა ლევანმა.
- მა მე ვიცი, ტო! უფროსი შენა ხარ და შენ უნდა გადაწყვიტო,
- ანერვიულდა ტოტოშა.

— ესე იყი, როცა გამოუვალი სიტუაცია იქმნება, მე ვარ უფროსი არა? — ოლიმპიური სიმშვიდით მიუგო სართელმა, — და როცა პრობლემები არა გვაქვს, ყველანი პროფესორები ხართ, არა? რადგან ასეა, მაშინ მისმინეთ: სადგურში რომ შევალთ, ტოტოშ, ფანჯარა გაზსენი და დაიყვირე, „ნასილშჩიკი! დო ინტურისტა კამელიი“, სინამდვილეში აქვე სასტუმრო „მოსკვაში“ გავჩერდებით. თუ „პუდი“ გვევას, შეიძლება ჩამოვიცილოთ, ან გავიგოთ, მართლა გვყავს „პუდი“ თუ არა. დავბინავდეთ, დანარჩენი მერე მოვიფიქროთ. ზედმეტ კონტაქტებს ადგილობრივებთან მოერიდეთ.

— სოჩაში ერთი კა გოგო მყავს, — გაუცინა უშანგის.

— არავითარი გოგო, საქმეს მივიყვანთ ბოლომდე და მერე გინდა გოგოებში წადი და გინდა ბიჭებში, — თქა ლევანმა, გააღო კუპის კარები, მატარებლის ფანჯრიდან გაზედა ზღვისპირს და ჩაფიქრდა, „დაა! ... გრძელი გზა გვექნება, ღმერთო, მშვიდობით გვატარე, ფულის გულისთვის ნუ ჩახოცინებ ჩვენს თავს ყაჩალებს.“

მატარებელი გაჩერდა. ტოტოშამ დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. თითქმის ყველა მტვირთავი ბიჭების ვაგონისკენ მორბოდა, შემდეგ შეარჩიეს ორი მტვირთავი, დააწყობინეს ზედ ყველაფერი და გასასვლელისკენ დაეშვნენ. სოჭში სამხრეთის სუნი ტრიალებდა. სუბტროპიკული ჰავა მაღამოსავით მოედო ლევანის დაბაბულ გონებას. ღრმად სუნთქავდა ჰაერს. ეს ხომ სამშობლოს ჰაერი იყო, რომელიც ვაი ქართველების მეშვეობით რუსეთს აჩუქეს. დედა საქართველოს უსირცხვილოდ ჩამოაჭრეს ეს უმშვენიერესი ტერიტორია და რუსეთს აჩუქეს, თითქოს რუსეთს ტერიტორიები აკლდა და საქართველოს კიდევ იმდენი ჰქონდა, რომ არ იცოდა, სად წაეღო.

— ვაი, ჩვენს პატრონს! — ამოიხვნეშა ლევანმა და ტაქსიში ჩაჯდა.

— რა გჭირს, ტო! — ყუთებიდან თავი გამოყო ტოტოშამ.

— ტოტოშ, თავი დამანებე, შენ ამას ვერ გაიგებ მაინც, — ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა ლევანმა ისე, რომ ტოტოშასთვის არც შეუხედავს, — სასტუმრო „მოსკოვში“!

— ტო! რა გაუგებარი მე მნახე, რა მოხდა, არ იტყვი? — არ იშლიდა თავისას ტოტოშა.

— რა მოხდა და ორჯონიკიძემ სოჭი რუსეთს რომ აჩუქა, იმაზე ვნერვიულობ.

— აუჰ! აბა, შენა ხარ რა. ჯერ სადა ხარ, ტო! გაჩუქებები და გაყიდვები აწი ნახე. მამასისხლად დაბრუნებულ ტერიტორიებს სკამიბში რომ გაცვლიან, — დაასკვნა ტოტოშამ.

— შენ საიდან იცი? — შეეკითხა ლევანი თავის თავში დარწმუნებულ ტოტოშას.

— წუხელ სიზმარში ვიღაც კაცი დამესიზმრა, მეფესა ჰგავდა, მხოლოდ რომელს, არ ვიცი და იმან მითხრა — „ტოტოშ, აი ნახავ, რამდენ ტერიტორიებს დაარიგებს საკუთარი სკამების გადარჩენისათვის თქვენი ახალი მთავრობაო“.

— გეკითხა რა, რომელი მეფე იყო, — დაინტერესდა ლევანი.

— რო მეკითხა, რა ვეზირად დამნიშნავდა თუ რა.

მძღოლმა ბიჭებს სიგარეტი სთხოვა. ლევანმა მიაწოდა სიგარეტი. ტოტოშამ მოუკიდა, თან დააყოლა:

— ეს შოთერი რა პრატივნი როსუა, ტო!

— ჩტო ონ სკაზალ? — შეეკითხა ლევანს მძღოლი.

— ნიჩევო, დღია სებია პაიოტ, — განმუხტა სიტუაცია ლევანმა და მერე ტოტოშას მიუბრუნდა, — ბიჭო! რეებს ბოდიალობ, ქართულად ილაპარაკე.

— ვაჳ! ქართულად არ ვლაპარაკობ, ტო! რუსულად რა ვთქვი? — განცვითრდა ტოტოშა, — მაიცა, მაიცა, მართლა რუსულად გამოდის.

— იმ მეფემ არ გითხრა, ტოტოშ, ქართულად ილაპარაკეო, — უსაყველურა ლევანმა.

— მართლა რუსულად მითქვამს, ანეგდოტია რა. — გაიცინა ტოტოშამ.

ბიჭები სასტუმროში შევიდნენ. ორი ნომერი აიღეს ერთი დღით. დაბინავდნენ. ლევანმა მაშინვე ყურმილი აიღო და მოსკოვში გადარეკა. ბედზე გელაშვილი ნომერში დახვდა. სიტუაცია აუხსნა. ნახევარ საათში მე თვითონ დაგირეკავო, უთხრა ზაურმა, ყურმილი დადო და მაშინვე აკრიფა სოხუმის ნომერი. დათქმულ დროს დაურეკა ლევანს:

— ორ საათში სოხუმიდან რომან კორკელიას ხალხი მოგაკითხავთ. ისინი გადაგიყვანენ საზღვარზე და დანარჩენს თვითონ რომანი გეტვით სოხუმში, — თან დააყოლა, — შესაშინებლად არ გეუბნებით, მაგრამ შინაურთან და გარეულთან ფრთხილად იყავით. მარტო რომანს მიენდე ყველაფერში, ჩემთან კავშირი გქონდეთ.

— საათნახევარი დასვენება გეყოფათ, — მიმართა ლევანმა უშანგის და ტოტოშას, — მერე სოხუმში უნდა წავიდეთ. მნამდე მე და კოტე დაშლილ ყუთს შევკრავთ. თქვა ლევანმა, გავიდა სართულის მორიგესთან და მუყაოს ყუთი სოხოვა. მობრუნებულს ფული უკვე იატაკზე დაყრილი დახვდა.

— ეს ფულის თვისებაა თუ ჩემი, ვერ გავიგე, — თქვა ლევანმა და თან დაიხარა კუპიურების ასაღებად, — როდესაც ფულს ვხედავ, მაშინვე მინდა, რომ გადავთვალო.

— აუუ! ახლა ამის დათვლა არ დამაწყებინო, თუ ძმა ხარ, — აწუწუნდა კოტე, — გუშინწინ ხომ დავთვალეთ, პირდაპირ ჩავაწყოთ.

— შენ თუ გინდა, ნუ დათვლი, — მიუბრუნდა ლევანი, — მე მაინც არ მემინება და ცოტა დროს გავიყვან ფულის თვლაში. შენ დაჯექი და მიყურე.

ლევანმა მოიდგა ბორჯომის ბოთლი გვერდზე და დაიწყო ფულის დათვლა. სამი ათასი დააკლდა. ორჯერ კიდევ გადათვალა, კიდევ დააკლდა.

— მოდი რა, შენ დათვალე! — მიმართა იქვე სავარძელში მჯდარ კოტეს, — იქნება მე მეშლება.

ორივემ თვალეს, თვალეს და სამი ათასი მანეთი აკლდა. ლევანი უკვე მიხვდა, რომ ქურდი შიგნით ჰყავდა. მაგრამ ეს რომ არ შეემჩნა, კოტეს უთხრა:

— ალბათ მოსკოვში ვერ დავთვალეთ, რაც არის, არის.

— ჴო, რა! მოსკოვში შეგვეშლებოდა, აბა გზაში ვინ მოიპარავდა, — დამოწმა კოტემ და ლევანს თვალი აარიდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მან ყველაფერი იცოდა.

ლევანს არაფრით არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ჯგუფში ქურდი ჰყავდა. ამიტომ თავის თავიც დაარწმუნა, რომ შეცდომა იყო, მაგრამ გული სხვას ეუბნებოდა.

რომანის ხალხი ზუსტად ორ საათში გამოცხადდა სასტუმროში. ძველი „მოსკვიჩით“ მოვიდნენ. ეს წინასწარ იყო გათვალისწინებული. მანქანა ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ნაკლები ყურადღება მიექცია მნახველს. რომან კორკელია აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი იყო და იცოდა, ასეთი საქმეები როგორ უნდა მოეგვარებინა. ლევანი მას ერთხელ შეხვდა თბილისში და რომანმა მასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იყო თავმდაბალი კაცი, საკმაოდ განათლებული და თავისი საქმის პროფესიონალი. ეს ორი კაცი რომანის თანამშრომელი იყო. ლევანი ორგანოს მუშაკებს ქცევებით არჩევდა ჩვეულებრივი მოქალაქეებისაგან, ისინი ზომაზე მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. ერთი მეგრელი იყო, მეორე კი - აფხაზი. აფხაზი წავიდა და სასტუმროსთან საქალაქთაშორისო მარშრუტის ტაქსი მოიყვანა. უული „მოსკვიჩში“ ჩაიტვირთა. უკანა სავარძელზე ლევანი და კოტე მოთავსდნენ, ხოლო ტაქსიში - უშანგი და ტოტოშა. ტაქსის წინ უნდა ევლო. როგორც მიუახლოვდნენ რუსეთ-საქართველოს საზღვარს, მესაზღვრებმა ტაქსი გააჩერეს. მოსკვიჩისთვის არ შეუხედავთ, ისე გადაკვეთა საზღვარი. როგორც მერე ბიჭებმა აგვიხსნეს, ეს წინასწარ იყო მოფიქრებული. ტაქსი გაიჩხრიკებოდა, ბიჭებს საბუთებს გაუსინჯავდნენ და, რომ ვერ ნახავდნენ საეჭვოს, გამოუშვებდნენ. ასეც მოხდა. ათ წუთში

ტაქსი მოსკვიჩს დაეწია. აფხაზეთის ტერიტორიაზე საშიში აღარაფერი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი ჩინოსანი მიაცილებდა ძვირფას ტვირთს. როდესაც თავი საქართველოში დაიგულა, ლევანი მოეშვა. სამშობლო მაინც სხვა იყო. თითქოს აქ სხვანაირი ცა, სხვანაირი ზღვა, სხვანაირი მზე, მიწა, ჰაერი, ნაცნობი ადგილები იყო. გაიარეს გაგრა, უახლოვდებოდნენ გუდაუთას. ლევანი სტუდენტობისას გუდაუთის „ოქროს სანაპიროს“ ხშირი სტუმარი იყო. ზაფხულში სპორტულ შეკრებებს ყოველ წელიწადს აქ ესწრებოდა. „ოქროს სანაპიროს“ ეკვროდა მიუსერას ნაკრძალი, სადაც ვარჯიშების ძირითადი ნაწილი ტარდებოდა. აქ ყველაფერი ერთად იყო: ზღვა, მთა, მზე, გადასარევი ჰაერი. ახვიდოდი მიუსერას ნაკრძალის მაღლობზე და ჩაისუნთქავდი მთის ჰაერს, შეგეძლო, ფეხით დაშვებულიყვავი დაბლა, ოც წუთში ზღვის პირას იყავი და უკვე ზღვის ჰაერს სუნთქავდი. ასეთი ეგზოტიკა ლევანს ჯერ არსად ენახა, ამიტომაც შეჯიბრებზე იქიდან წასული ყოველთვის მაღალ შედეგებს აღწევდა.

მასპინძლებმა სტუმრებს ბოდიში მოუხადეს, ნაბრძანები გვაქვს, გაჩერების გარეშე ჩავიდეთ სოხუმამდე, ამიტომ ვერ გეპატიუებით ვერსადო.

— რომანი ჭკვიანი კაცია, ყველაფერი სწორად აქვს გათვლილი, — თქვა ლევანმა, — მივიდეთ დანიშნულების ადგილზე და სტუმარ-მასპინძლობა იქ გავაგრძელოთ.

საღამოს შვიდ საათზე ორივე მანქანა რომან კორკელიას საცხოვრებელ კორპუსთან გაჩერდა. რომანი ეზოშივე შემოუგება სტუმრებს. ის ხუთსართულიანი კორპუსის მეორე სართულზე ცხოვრობდა, ოროთახიან „ხრუმბოვკაში“. ძირითადი საცხოვრებელი სახლი რომანს წალენჯიხის რაიონში ჰქონდა, აფხაზეთში თვითონაც სტუმრად გრძნობდა თავს და ამიტომ ასე მოკრძალებულად ცხოვრობდა. ავეჯიც ისეთი ედგა სახლში, რომ აშკარად ჩანდა, დროებითი მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. რომანმა სტუმრებს მეუღლე და შვილები გააცნო.

— ბატონო ლევან! ჩემმა მეუღლემ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ქართულ სამზარეულოს მონატრებული ხალხისთვის ეს დანაკლისი შეევსო და, არა მგონია, მომზადებული ვახშმით უკმაყოფილონი დარჩეთ, — თქვა რომანმა და თან სტუმრები მისაღებ ოთახში შეიპატიჟა, — ამისთანა მდიდარი სტუმრები ამ სახლში არ შემოსულან, ჩემო ბატონო, — ვითომ იხუმრა რომანმა, მაგრამ სინამდვილეში ასეც იყო. ოთხ მილიონამდე ფულით შემოვიდნენ ბიჭები სახლში, — ეს ქალალდები ამ საძინებელში დააწყეთ და არაფერი არ მოაკლდება. ახლა კი ვივახშმოთ და მერე დანარჩენზე ვილაპარაკოთ.

ყველანი სუფრას შემოუსხდნენ და ხმაამოუღებლად შეუღენებ ჭამას ქართულ საჭმელებს მონატრებულნი. რა არ იყო სუფრაზე — შემწვარი გოჭი, საცივი, ღომი, ცხელ-ცხელი მჭადები, სულგუნი, რძე რომ გასდიოდა, ათასნაირი მუავეული და საწებელი. ყველაფერი ეს მეგრული რეცეპტით იყო დამზადებული და ბიჭებმა ლამის თითები მიაკვნიტეს ზედ-ცოტა ღვინო იყო თხელი, დასავლური, მაგრამ, სამაგიეროდ ქართული იყო, მშობლიური სუნი ასდიოდა და ბიჭებიც მოწყურებულები დაეწაფენენ. გადადიოდნენ ერთმანეთთან ალავერდს და თან ოჯახის დიასახლისის ქებაში იყვნენ, ეს რა კარგი ვახშამი მოგვიმზადაო. შემდეგ სუფრას შემოემატა „ოჯახური“, მწვადები. მწვადის შეწვაზე ბევრი ეწვალა რომანის ვაუკაცს, უნდოდა, კახურისთვის დაემსგავსებინა, მაგრამ ისეთი მაიც ვერ გამოუვიდა. ლევანმა ეს არ შეიმჩნია, პირიქით ახალგაზრდა შეაქო და მასთან ერთად ფიალაც ჩამოცალა. არაყს მიჩვეული ბიჭები ღვინომ დააწყნარა, დაამშვიდა, მოლხენის ხასიათზე მოიყვანა. სასწაული თვისება აქვს ღვინოს, ლაპარაკის და სიმღერის ხასიათზე მოგიყვანს. არაყი კი პირიქით, ნერვებს აღაგზნებს და ხასიათს უფუჭებს ადამიანს. ჭკვიანები იყვნენ ჩვენი წინაპრები, საქეიფოდ ღვინოს რომ იყენებდნენ და არა არაყს. ღვინო სიხალისეა, არაყი — მსჯავრი. ასე რომ, სტუმარ-

მასპინძლებმა კარგად მოილხინეს და ხუმრობის ხასიათზეც დადგნენ.

— ლევან, შენ ცოცხალი აფხაზი თუ გინახავს? — ჰქითხა სიცილით რომანმა.

— ვერ გავიგე, რომან? — შეხედა გაკვირვებულმა ლევანმა მასპინძელს.

— აი, ეს არის ცოცხალი აფხაზი! — ხელი გაიშვირა თავისი აფხაზი თანამშრომლის მისამართით რომანმა და გადაბუირდა სიცილით.

ლევანი ვერ მიხვდა, სასაცილო რა იყო. რომანს ღვინისგან სახე ჰქონდა აღაულაუებული და განაგრძობდა:

— ყველაზე კარგი აფხაზი, ეს მკვდარი აფხაზია, ვალოდია კი ცოცხალი აფხაზია. ლევან, კარგად დაიმახსოვრე, ეს ცოცხალი აფხაზია.

— ვალოდია კარგი ბიჭია, — თქვა ლევანმა, — რომან, შენ კარგად იცი, ჩემთვის ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, კაცი კაცს ჰგავდეს, თორებ უვარებისები ყველა ერში მრავლადაა. მე მინდა, ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის საღღებრძელო დავლიო, — განმუხტა სიტუაცია ლევანმა და ვალოდიასაც შეპარულმა წყენამ გაუარა, — ეგვიპტის ბეგთა ბეგმა პირველი მამლუქების ჯარი რომ შექმნა, — განაგრძობდა ლევანი, — იცით ვისგან შედეგებოდა? ოცდახუთი იყო ქართველი, ოცდახუთი ჩერქეზი და ოცდახუთი აფხაზი. რატომ სხვა ეროვნების ხალხი არ შეიყვანა პირველ რაზმში? იმიტომ, რომ მან აარჩია ყველაზე ვაჟკაცები, მებრძოლი და ერთგული ერის შვილები. მაშ, გაუმარჯოს ხალხთა შორის მეგობრობას ქართველებისა და აფხაზი ხალხის თამადობით! — თქვა, ფიალა გამოცალა ლევანმა და აღავერდი ვალოდიასთან გადავიდა.

ქეითი ჩვეულ რიტმში ჩაჯდა და გაგრძელდა.

ლევანმა თავის ხალხს გახედა, უშანგი არ ჩანდა.

— კოტე, უშანგი სად წავიდა? — ჰქითხა ძმას.

— დაიღალა და წამოწვა სპალნაში.

ამასობაში უშანგიც შემოვიდა. ნამდინარევი კაცის იმას არა ეტყობოდა რა. „ძალიან უშნოდ დაბოდიალობს ეს კაცი“, – გაიფიქრა ლევანმა და რომანს გამოელაპარაკა:

– რომან, რას გვიპირებ ჩვენ?

– დღეს ჩვენი სამინისტროს კოტეჯებში მოგაწყობთ. იქ დაისვენებთ. ეს აქდატოვეთ, ხელს არავინ მოჰკიდებს. მე მგონი, მენდობით. დანარჩენს გზაში დავილაპარაკებთ. – მოკლედ მოჭრა რომანმა.

კიდევ რამდენიმე სადღეგრძელო დალიეს, დიდი მადლობა გადაუხადეს ოჯახს, განსაკუთრებით მის დიასახლის ასეთი მონატრებული ვახშმისათვის, ჩამოვიდნენ ეზოში, ჩასხდნენ მანქანებში და ზღვისკენ აიღეს გეზი. ამ ადგილს სოხუმში „უმცეს კოტეჯებს ეძახდნენ“.

კოტეჯები უშუალოდ ზღვის პირას იყო განლაგებული. შიგნით კომფორტულად იყო მოწყობილი, ავტონომიური ჰქონდა ცხელი და ცივი წყალი. ერთი სიტყვით, მოსკოვის აპარტამენტებს არ სჯობდა, მაგრამ საქართველოს კვალობაზე გადასარევი პირობები იყო.

ლევანი, კოტე და რომანი ცალკე ოთახში განმარტოვდნენ. რომანმა დაიწყო:

– სიტუაცია ძალიან დაძაბულია, ჩვენზე კარგად აქ ინფორმაციას არავინ ფლობს. მეტი არეულობაა მოსალოდნელი. სახმელეთო გზებზე სხვადასხვა კრიმინალური ბანდების თარეშია. ასე რომ, მატარებლით და მანქანით თქვენი გაგზავნა გამორიცხულია. ხომ არ აჯობებდა, აეროპორტის უფროსს დავლაპარაკებოდით? ჩემი ნაცნობია, ყოველგვარი გასინჯვის გარეშე შეგიშვებთ თვითმფრინავში, ხოლო თბილისში თქვენ არაფერი გაგიჭირდებათ.

როგორც ჩანდა, ეს გეგმა რომანს წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და მხოლოდ ბიჭების დასტური სჭირდებოდა.

– ამაზე უკეთეს ვარიანტს ვერც მე ვხედავ, – ალაპარაკდა ლევანი, – შენ რამდენიც გინდა უმტკიცო ყაჩაღს, ეს ფული მიმაქვს, რომ ქართველი ერი შიმშილს გადავარჩინო, იმას

ეს სულ არ აინტერესებს და ფულიანად გაგაქრობს. ასე რომ, მე თანახმა ვარ, — თქვა ლევანმა და კოტეს გახედა. კოტემაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და აეროპორტში წასვლა დილის ათ საათზე დაგეგმეს.

რომანმა და მისმა გუნდმა სტუმრებს ღამე მშვიდობისა უსურვეს და წავიდნენ. ბიჭები მოეწყვნენ, ცოტა ილაპარაკეს, მერე დაღლილებს უცბად მოსწყდათ კისერი და ჩაეძინათ.

დილის ათ საათზე რომანი, ლევანი და კოტე უკვე აეროპორტის უფროსის კაბინეტში ისხდნენ. ლევანმა როგორც შეამჩნია, რომანს აეროპორტის შეფთან ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა და საუბარი შინაურულ ატმოსფეროში დაიწყო.

— ბატონებო! — დაიწყო აეროპორტის უფროსმა, — რომანი არის ჩემი ძმა და მის მოყვანილ ხალხს უარს ვერ ვეტყვი, მაგრამ არეულობის გამო თბილისში რეისები აღარ დაფრინავს, გუშინ წავიდა ბოლო რეისი და აწი როდის იქნება, ვერ გეტყვით.

— მაშ რა ვქნათ? — სწრაფად დაუსვა შეკითხვა ლევანმა, — რას გვირჩევთ?

— არის ერთი ვარიანტი, ვერტმფრენის დაქირავების, — აღნიშნა აეროპორტის შეფმა, — თუ, რა თქმა უნდა, თქვენ თანახმა იქნებით, ათი ათასი მანეთი რომ აჩუქოთ მფრინავებს, სადაც გინდათ, იქ დაგისვამენ ვერტმფრენს.

— აგაშენა ლერთომ! — აღტაცებით შესძახა ლევანმა, — პურმარილი ჩვენზეა, ჩემო ბატონო.

— მე და რომანს პურმარილები არ გვაკლია. ასე რომ, ძმობაში ყველაფრის გაკეთება შეიძლება. დღეს დაველაპარაკები ბიჭებს და ხვალ ათ საათზე უკვე ჰაერში იქნებით.

შეთანხმდნენ, რომ ბიჭები ხვალ ცხრა საათზე აეროპორტში მივიდოდნენ თავის ბარგი-ბარხანით და გაემგ ზავრებოდნენ.

რომანმა ბოდიში მოუხადა სტუმრებს, დრანდის ციხეში პატიმარი ჰყავდა დასაკითხი. მოვათავებ საქმეს და საღამოს შემოგივლითო. რა უნდა ეკეთებინათ ბიჭებს მთელი დღე, დაიწყეს ქალაქში ბოდიალი. სოხუმი გარინდული იყო. ქუჩები

დაცარიელებული. ეს მარტო სიცივის ბრალი არ იყო. რაღაც დიდი საშინელების მომლოდინე სიჩუმე ჩამომდგარიყო. ზღვა ბობოქრობდა. ბობოქრობდა კი არა, ღმუოდა, ასკდებოდა ნაპირებს. ღმუილს ხანდახან თოლიების რაღაც პანიკური წკავ-წკავი ახშობდა. პაერში თევზის და ნესტის სუნი იდგა. რასაც შეხედავდი, ყველაფერი თითქოს მუქ ფერებში ჩანდა, ხალხიც კი. ადამიანებს ის სიხალისე არ ჰქონდათ, რაც წინა წლებში, თითქოს გათითოკაცებულიყვნენ, თავჩაღუნული ზოგი წყალს ეზიდებოდა, ზოგი შეშას, ზოგი ნავთს. ერთი სიტყვით, სოხუმი სოხუმს აღარ ჰგავდა. საღამოობით სროლის ხმაც ისმოდა. რომანმა ბიჭები გააფრთხილა, საღამოს კოტეჯების ტერიტორიაზე შესულიყვნენ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ასე ჯობიაო.

ბიჭებმა ბაზარში გაიარეს, საჭმელ-სასმელი იყიდეს და დაბრუნდნენ კოტეჯში. რაუნდა ეპეთებინათ. ჯერ კარტიითამაშეს, მერე ითათბირეს, სად ჯობდა ვერტმფრუნის დასმა. ყველას სხვადასხვა აზრი ჰქონდა. ბოლოს ლევანმა გააჩუმა ყველა:

— ჯერ გავფრინდეთ და დასმაზე მერე ვიფიქროთ.

ყველანი გაჩუმდნენ. ბიჭებსაც ვერ გაამტყუნებდი, ამ ხეტიალში ნერვები ჰქონდათ დაძაბული. ამ დროს კოტეჯის გარედან ხმაური შემოესმათ, ვიღაც მოდიოდა აქეთ, ვიღაც კი აკავებდა. ამ გაწევ-გამოწევას ავტომატის ჯერი მოჰკვა. რამდენიმე წამში იმ ვიღაცამ მეგრული აქცენტით ხმამალლა წარმოსთქვა:

— როგორ, კაცო, თბილისელები თუ არიან, ჯერ ერთი, რა უნდათ აქ! — თან მეგრულად შეიგინა, - მერე მეორე, ეგენი და ყველა თბილისელი ზვიადის მოწინააღმდეგენი არიან და თქვენ აქ მიიღეთ?

კარებზე ავტომატის კონდახი დაარტყეს. უშანგიმ, ძალიან შავი რომ ეგონა თავისი თავი, ფერი დაკარგა. ლევანი ოლიმპიური სიმშევიდით მივიდა კარებთან, გამოაღო. მის წინ ორი საშუალო ასაკის მამაკაცი იდგა, ერთი წვეროსანი, რომელსაც ავტომატი

ჰელინდა მომარჯვებული, მეორე გაპარსული, ცოტა ჩასუქებული მრგვალსახიანი მამაკაცი. ლევანმა მაშინვე იცნო ორივე:

- პარლამენტარებს გაუმარჯოს!
- შენ საიდან იცი, რომ მე პარლამენტარი ვარ. მე ვერ გცნობ.
- ვიცი, ბატონო, გაზეთებიდან, ტელევიზიიდან. ჩვენ პატარა ხალხი ვართ, ამიტომ ცნობილ პიროვნებებს ყოველთვის წინ ვაყენებთ, — ცოტა წაემლიქვნელა ლევანი, რადგან კარგად იცოდა, რა ჩიტებიც იყვნენ ორივენი, არაფრის გამკეთებლები, ქვეყნის მუწუკები. კაცს ისე მოკლავდა ეს წვეროსანი, თვალს არ დაახამხამებდა, — მობრძანდით, ბატონო, სტუმარი ღვთისაა.
- ჰმ! საკუთარ კუთხეში მეპატიუები? რა ხართ ეს თბილისელები, თბილისიდან გამოგვყარეთ და ახლა საკუთარ სახლში მეპატიუები?! — მიზეზს ეძებდა წვეროსანი, — იარაღი სადა გაქვთ?
- იარაღი არა გვაქვს, ბატონო, — წყნარად უპასუხა ლევანმა. აქ ოდნავ აჩქარება და ნერვიულობა არ შეიძლებოდა, რადგან იცოდა, რომ კოტეჯის პატრონები რომანს მოძებნიდნენ, მანამდე დრო როგორმე უნდა გაეწელათ.
- როგორ, კაცო! მილიციელები ხართ და იარაღი არა გაქვთ?
- არ ეშვებოდა წვეროსანი.
- არა ვართ ჩვენ მილიციელები, — გაეღიმა ლევანს.
- აბა, ვინ ხართ? — თავისას არ იშლიდა წვეროსანი.
- ჩვენ რომან კორკელიას მეგობრები ვართ, — უპასუხა ლევანმა და სტუმრები მაგიდასთან მიიწვია.
- რომან კორკელია ვინდაა? — იკითხა წვეროსანმა და თავის მეგობარს გადახედა.
- ერთია, წალენჯიხელი, კაი ბიჭი უნდა იყოს.
- ხოხ! თუ წალენჯიხელია, არ იქნება ის ცუდი ბიჭი, — დაასკვნა წვეროსანმა, — შენ სადაური ხარ? — შეეკითხა ლევანს.
- მე კახელი ვარ.
- ესენი? — იკითხა აგდებულად წვეროსანმა, — ესენიც კახელები არიან?

— არა, ესენი იმერლები არიან. — ლევანი უკვე ნერვებს ძლივს იჭერდა. თავის დაწყნარებისათვის სუფრის გაშლა დაიწყო. ბიჭებიც წამოეხმარნენ, ჩამოასხა არაყი ჭიქებში და წარმოსთქვა სადღეგრძელო:

— ეს ჩვენს შეხვედრას და გაცნობას გაუმარჯოს აფხაზეთის მიწაზე.

წვეროსანი თავისას არ იშლიდა:

— ესე იგი შენ კახელი ხარ, ესენი იმერლები, ჰოდა მიხედეთ ამ დეგენერატ თბილისელებს, პრეზიდენტი რომ გამოგვიგდეს. ჩვენ მალე დავბრუნდებით და ყველას ჭკუაზე მოვიყვანთ.

— ჩვენ რა დავაშავეთ, ბატონო, — ცოტა მკაცრად უთხრა ლევანმა, — სწორედ პრეზიდენტის დავალებით ვიყავით მოსკოვში და თბილისამდე ვეღარ ჩავსულვართ.

— მოსკოვში რა გინდონდათ? — ჩაეძია წვეროსანი.

— ხორბალი არის ქვეყნისთვის შემოსაზიდი, მაგრამ ახლა არ ვიცით, როგორ იქნება ჩვენი საქმე.

— თბილისელებს არცერთ გრამ პურს არ მიაწვდით! — ბრძანა წვეროსანმა, — ხორბალს აქ, ფოთში, მივიღებთ და ჩვენ მოვუკლით.

— კი, მაგრამ თქვენ, პარლამენტის წევრი, უბრალო მოსახლეობას მშიერს ტოვებთ? — ცოტა ხმას აუწია ლევანმა.

— შენ ახლა მე ჭკუას ნუ მარიგებ, თორებ აქამდე რამდენიმე ქართველი უკვე გავაგორე და შენც მიგაყოლებ ზედ! — წამოხტა წვეროსანი.

ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა რომან კორკელია. რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო. სიტუაცია ისე იყო დაძაბული, შეიძლება ტყვია მართლა გავარდნილიყო. ამისთანა ზვიადისტებისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ესენი პარლამენტში მხოლოდ სკამისთვის იყვნენ. ჰქონია ასეთ ხალხთან შეხების წერტილები ლევანს. მხოლოდ თავისი კუთხური ინტერესების რეალიზაციაზე ფიქრობდნენ, სხვა არაფერი არ აინტერესებდათ. თბილისში იმიტომ იყვნენ, რომ მთავრობა და პარლამენტი იყო იქ, თორებ სულ არ

აინტერესებდათ არც თბილისი და არც თბილისელები. რაღაც ავადმყოფური დამოკიდებულება ჰქონდათ თბილისელების მიმართ. ასეთი დამოკიდებულება მოსახლეობისადმი მათ დაბალ ზნეობრივ და ინტელექტუალურ დონეზე მიუთითებდა.

ეტყობა, ეს ყველაფერი კარგად იცოდა რომან კორკელიამ, რადგან შემოსვლისთანავე მეგრულად მიესალმა. შემდეგ გვერდზე გაიხმო და მთელი ათი წუთი რაღაცას უხსნიდა. შემდეგ ბიჭებს მოუბრუნდა და ჰკითხა:

- არაყი ხომ არ დაგრჩათ ერთი-ორი ბოთლი?
- სამი ბოთლია და სამივე ინებეთ, ბატონო, — გაუწოდა ბოთლები ლევანმა სტუმრებს.

რომანმა წვეროსანი და მრგვალსახიანი კოტეჯიდან გააცილა. ბიჭებმა ამოისუნთქეს:

- არაყი როგორ დაგვაწერეს, სიმონ?! — გაბრაზდა კოტე.
- რას იზამ, ძმაო, ეგ არის მაგათი საპარლამენტო დონე, ახლა ხომ მიხვდი, რა მთავრობის ხელში ვიყავით? — ნერვიულობდა ლევანი და თან ბოლოთას სცემდა ოთახში.
- რა ვიცი, მაგათი აქტიური მხარდამჭერი მგონი შენ იყავი, თავი მოგვაჭამე, არიქა, ეროვნული ძალები მოდიან ქეყნის სათავეში და გვერდში უნდა დაგუდგეთო, — გაახსენა კოტემ ლევანს წარსული.

— სწორი ხარ, მე არ უარვოფ ამას. მაგრამ მერე, რომ დაგნახე ამისთანა დეგნერატები მიეტმასწენენ ხელისუფლებას, კინაღამ გავგიუდი კაცი, - თავი იმართლა ლევანმა, — უკვე ვატყობ, ამ მოკლე დროში აქ ამბავი ატყდება, დედა შვილს არ აიყანს ხელში. ის გვირჩევნია, ჩევნ გავასწროთ აქედან.

კორკელია მარტო დაბრუნდა კოტეჯში. ლევანმა მაშინვე ჰკითხა:

- სტუმრები რა უყავი?
- ლევან! ვერ იცანი მაგნი? — გაეცინა რომანს.
- ვიცანი რომელია, მაგათ დაღუპეს საქართველო და აწი უარესს იზამენ, ჯერ სადა ხარ. მე ხომ გამცვალეს სამ ბოთლ არაუში, საქართველოს თხაზე გაყიდიან, ალბათ.

— კარგი, კარგი. მთავარია, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მაგნი აქ აღარ მობრუნდებიან, დაისვენეთ და ხვალ, ცხრა საათზე, მზად იყავით აეროპორტში წასასვლელად, — დაემშვიდობა ბიჭებს რომანი და გავიდა კოტეჯიდან.

მთელი ღამე ვერ დაიძინა ლევანმა. ზღვა სულ ორმოცდათოდე ნაბიჯით იყო კოტეჯიდან დაშორებული, ამიტომ ტალღების ხმა მკაფიოდ ისმოდა. ამ ღამეს ზღვა საზარლად ღმუდა. ეს არ იყო კარგის მომასწავებული. ლევანს გამთენისას ჩაეძინა. ბიჭებმა ცხრის ნახევარზე ძლივს გააღვიძეს.

რომან კორელია ფრიად პუნქტუალური კაცი გახლდათ. ამიტომ ზუსტად ცხრა საათზე მოადგა თავისი „მოსკვიჩით“ კოტეჯის მისადგომებს. ლევანი და კოტე აჩქარებული ნაბიჯით გაემართნენ გასასვლელისკენ.

— სალამი მშებს! — შორიდანვე ხელი ასწია რომანმა, — უშანგი და ტოტოშა არ მოდიან?

— რომან! — დაიწყო ლევანმა და თან მანქანის კარი გამოაღო, — მოდი, ჯერ ჩვენ წავიდეთ, გავიგოთ სიტუაცია, რაღაც გული კარგს არ მეუბნება და მერე წავიყვანოთ ბიჭები.

— მაშინ უული აქ ჩამოვცალოთ, — თქვა რომანმა, — თუმცა იყოს, ხომ უნდა დაითვალოს, წავედით, წავედით.

აეროპორტის ტერიტორიაზე ერთადერთი „ტუ-134“ მარკის თვითმფრინავი იდგა და იმის გარშემო შეიარაღებული ხალხი დადიოდა. ლევანმა შენიშნა, ის წვეროსანიც იქ იყო. კოტე მანქანაში დატოვეს ფულის ყარაულად, ხოლო ლევანმა და რომანმა აეროპორტის უფროსის კაბინეტისკენ აიღეს გეზი. კაბინეტში რომ შევიდნენ, აეროპორტის უფროსს თავზე ხელები შემოეწყო და ღრმად ჩამჯდარიყო სავარაუდოში. რომანი რომ დაინახა, ხელები მაღლა ასწია და დაბალ ხმაზე აუწყა:

— გუშინ შუალამისას დამადგნენ ზევალისტები. აქ ვიყავი. მთვრალები იყვნენ. ის პარლამენტარები, აგერ იქ, თვითმფრინავთან რომ დაბოდიალობენ. ერთი თვითმფრინავიც რომ გაფრინდეს თბილისისკენ, თაგა მოგაჭრითო. რა ვქნა, ძმაო, პირობა მოგეცით, მაგრამ ვერ ვასრულებ.

— ხომ არ დაველაპარაკო? — შესთავაზა დახმარება რომანმა.

— არა, რომან, თუ ძმა ხარ. მაგათ ვერაფერს ვერ გააგებინებ. დგანან და სულ თბილისელებს აგინებენ. ამ რეისსაც საღამომდე არ უშვებენ, ბათუმი-მოსკოვია. გამიხდნენ აქ დისპეტჩერები. ჯობია, მოვიცადოთ რამოდენიმე დღე, იქნებ სიტუაცია შეიცვალოს.

— თქვენგან მოსკოვში დარეკვა თუ შეიძლება? — ისარგებლა მომწერტით ლევანმა.

— კი, ბატონო, — გადმოუდგა ტელეფონი აეროპორტის უფროსმა.

ბედზე გელაშვილი ნომერში იყო. ლევანმა სიტუაცია აუხსნა. ნახევარ საათში დამირეკეო — იყო პასუხი. ნახევარ საათში დარეკეს და ასეთი დავალება მიიღო ლევანმა: სასწრაფოდ უნდა გადაფრენილიყო ბათუმში, ენახა ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მოხელე, რომელთანაც წინასწარ დარეკილი იქნებოდა, ის მოუხერხებდა თვითმფრინავით თბილისში გამგზავრების საკითხს. მხოლოდ ჯერ ფულის გარეშე უნდა წასულიყო, მგზავრობის სიტუაცია დაელაგებინა, მერე ბიჭებისთვის დაერეკა და ისინიც უცბად გადაფრინდებოდნენ ბათუმში.

— ჰო და ბათუმის თვითმფრინავი დგას აგერ, — თქვა რომანმა და შეხედა აეროპორტის უფროსს.

— რეისი ხუთი საათისთვის არის დაგეგმილი. ამაში მაინც დაგეხმარებით. ოთხ საათზე მობრძანდით და გაგამგზავრებთ, — ამოისუნთქა აეროპორტის შეფა.

რომანმა უშანების და ტოტოშას კოტეჯებში გაუარა, ჩაისვა მანქანაში და ოთხივე სახლში მიიყვანა. ისაუზმეს. გადაწყდა, ლევანიდა უშანები ბათუმში წავიდოდნენ, ყველაფერს გაიგებდნენ, დარეკავდნენ იქიდან და რომანი უზრუნველყოფდა კოტეს და ტოტოშას ფულით გამგზავრებას ბათუმში.

— მაშინ, ბიჭებო, ეს ფული აქ დატოვეთ და თქვენც აქ დარჩით. ორ კაცს ნამდვილად დაგტევთ. სოხუმში ძალიან ბევრი უცხო ხალხი გამოჩნდა და მეც მეშინია, არაფერი აგიტებონ, — შესთავაზა მასპინძლობა რომანმა.

კოტემ და ტოტოშამ თავიდან იუარეს, მაგრამ მერე დათანხმდნენ.

— კოტე, მოდი ბარემ ჩვენი გზის ფულს ავიღებთ ამ გახსნილი ყუთიდან და დანარჩენი ჩაიბარე, — უთხრა ლევანმა კოტეს და გახსნილი ყუთიდან ფულის ამოღება დაიწყო.

როცა ფულს მოჰკიდა ხელი, ლევანმა ჩვეულებისამებრ დათვლაც დაიწყო და გახსნილ ყუთში ჩალაგებული კუპიურები სულ გადათვალა. რატომღაც თექვსმეტი ათასი ლააკლდა.

— ვაკ! კოტე, მოდი რა, მგონი სწორედ ვერ დავითვალე, დამეხმარე, — სთხოვა ლევანმა.

— კარგი რა, ტო! რა ტიპი ზარ. პროსტო რომანის უხერხულია. ამის ოჯახში ფული დავტოვეთ და ვთვლით, — გაბრაზდა კოტე.

— თექვსმეტი აკლია, კოტე, თექვსმეტი ათასი, თექვსმეტი მანეთი კი არა.

ორჯერ კოტემ გადათვალა და თექვსმეტი ათასი მაინც აკლდა. კოტე ლევანს თვალს ვერ უსწორებდა. ამ დროს უშანგი აიგანზე იდგა და სიგარეტს აბოლებდა. ლევანი თითქოს მიხვდა რაღაცას, მაგრამ ვერ გაბედა თქმა, რადგან არანაირი ფაქტი არ ჰქონდა.

— კაროჩე! — გამოუცხადა სამივეს ლევანმა, — რომანთან არ წამოგცდეთ, თორემ გაგიუდება, გაიგეთ!

— ვაკ! როგორ, მაგის სახლში იყო ფული, აბა, ვის უნდა მოეთხოვოს, — გაწიწმატდა ტოტოშა, — მა რა იქნა, ტო, აორთქლდა?

— ჰო, აორთქლდა, — მძიმედ გაიმეორა ლევანმა, — იმ სამი ათასივით მოუვიდა, გზაში რომ გაიპარა. რუსები თურმე ახლა ეგეთ ფულს ბეჭდავენ. რადგან ინფლაციაა, თურმე ფული დროზე უნდა დახარჯო, თორემ აორთქლდებაო, — მწარედ გაიხუმრა ლევანმა და ტელევიზორის წინ მოკალათდა. გადმოსცემდნენ შემდეგ ინფორმაციას:

„გუშინ საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სომხეთიდან თვითმფრინავით გაურკვეველი მიმართულებით გაფრინდა.“

— გაიგეთ, ბიჭო! — გასძახა ლევანმა მეორე ოთახში თავზაქინდრულ ბიჭებს, — ჩვენი პრეზიდენტიც გუშინ მაგ ფულივით აორთქლებულა.

უული კი არსად არ აორთქლებულა. მმები წინასწარ გათვლილი გეგმით იპარავდნენ. ისეთ სიტუაციებში, რომ მისი აღება ვინმეს დაბრალებოდა. უბრალოდ, ეს მათ მატარებელში ვერ გათვალეს. უფრო სწორად, უშანვის ხელი წაუცდა, რაზეც კოტებ დატუქსა, საქმეს აფუჭებო. მატარებელში მხოლოდ ოთხი იყვნენ და ადვილად მისახვედრი იქნებოდა, ვინ მოიპარავდა უულს. ლევანი ამას ჯერ კიდევ არ იჯერებდა, მაგრამ ვერც დაუმტკიცებდა. მიზვდა თავის შეცდომას, კოტესთვის დიდი ფული არ უნდა ეჩვენებინა, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიან იყო.

XIX

საღამოს ხუთ საათზე სოხუმის აეროპორტიდან აფრინდა „ტუ-134“ მარკის თვითმფრინავი, რომელსაც ლევანი და უშანვი ბათუმისკენ მიჰყავდა. სულ ხუთი მგზავრი იჯდა თვითმფრინავში. სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა გააგებინა დანარჩენებს, რომ ეს ის თვითმფრინავი იყო, რომელმაც წუხელ გამსახურდია ჩამოიყვანა სოხუმში. პრეზიდენტი შემდეგ სხვა თვითმფრინავით გაფრინდა გროზნოში.

— რამე არ იყოს ჩადებული ამ თვითმფრინავში, არ ავფეტქდეთ, — გაიხუმრა ლევანმა.

— შენ რა ზეიადივით ბომბები და ტერორისტები გელანდება, — უსაყვედურა უშანვიძ.

— ამათგან, მმაო, ყველაფერია მოსალოდნელი. წუხანდელის არ იყოს, მისცემ სამ ბოთლ არაყს და ყველაფერზე ხელს მოვიწერენ, — განაგრძობდა ლევანი და თან თვითმფრინავის ილუმინატორიდან ზღვას გაჰყურებდა, — უშანვი, ქართველ კაცში მებრძოლი სული, სამშობლოს სიყვარული დიდი ხანია ჩაკლეს. ამას ხელი შეუწყო ოჯახურმა აღზრდამაც, რომელიც

მატერიალურს სულიერზე ზევით აყენებს. გარეგნულად პიროვნება ვითომ პატრიოტია, სინამდვილეში ეს ფარდაა, რომლის უკან სკამის და მატერიალური სიმდიდრის მოპოვების სატანური სურვილით შეპყრობილი ადამიანი დგას. ამის ძირითადი მიზეზი რა არის, იცი?

— არ ვიცი, — მიუკო უშანგიძ და ისეთი სახე მიიღო, გეგონებოდა, თავისი სიცოცხლის მანძილზე ამ კითხვის პასუხს ეძებდა და როგორც იქნა, მიაგნო.

— რა არის და მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა, მიგრაციას რომ ეძახიან. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ ხომ ქართველები ზნეობრივად გამოფიტა. 1864 წელს საქართველოში ბატონების გაუქმებამ გამოიწვია ის, რომ მთელი დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებული ყმები ჩასხდნენ სატურიაში, ახლა სამტრედიას რომ ეძახიან, მატარებელში და ბედის საძიებლად ჩამოვიდნენ თბილისში, კომუნისტებმა ხომ მოსახლეობის გადაადგილ-გადმოადგილებაში მსოფლიოს ყველა რეკორდი მოზნეს, ბევრი ქვეყნიდან გაასახლეს. თითქმის მთელი მთა ბარში ჩამოიყენეს. ხევსურს შატილიდან რომ ჩამოიყენ რუსთავში და ერთოთაზიან ბინაში შეასახლებ, იმის შთამომავლობა რა გამოვა?

— მერე რა, ბაბუაჩემიც ჩამოვიდა უბისიდან თბილისში, ამით რა დააშავა, საქართველოდან ხომ არ გაქცეულა? — აპილპილდა უშანგი.

— რა დააშავა, იცი? — თვალი თვალში გაუყარა ლევანმა, — ის დააშავა, ჩემო უშანგი, რომ თავის ადგილის დედას მოსწყდა. შენი წინაპარი ყოველ კვირას უბისის წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვაზე რომ დადიოდა და უფლის წინაშე სამშობლოს, ერის და ოჯახის გადარჩენაზე ლოცულობდა, თბილისში ეს დააგიწყდა. ეკლესის მაგივრად ბირჟაზე გადიოდა და იმაზე ფიქრობდა, დღეს ოჯახი რით დავაპურო. ამან ზნეობრივად გამოფიტა ადამიანი და მასში ღვთის მადლის მაძიებელი სული ეშმაკისეულით შეცვალა. ამან, თავის მხრივ, თბილისში გამეფებული ზნეობრივი ნორმების მატარებელ ყარაჩოხელის

ინსტიტუტს საფუძველი შეურყია და ზნედაცემული კინტოების ინსტიტუტის გაძლიერებას შეუწყო ხელი. დღეს ჩვენ ყველანი კინტოები ვართ. სამშობლოს სიყვარული ჩვენთვის სუფრასთან ჯდომის დროს იწყება ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოებით და სუფრის დამთავრებისთანავე გვავიწყდება ჩვენი ბედკრული სამშობლო. ჩემი წინაპარი კახეთში, კარდენახში ცხოვრობდა. მას მეფისგან აზადობა ჰქონდა მინიჭებული, რაც თავისუფალ მოქალაქეს ნიშნავს. ის არავითარ ბეგარას და გადასახადს არ იხდიდა. მისი ბეგარა და გადასახადი ომის დროს ლაშქარში წასვლა იყო, ის იყო მეომარი და ამიტომ თავისუფალ მოქალაქედ ითვლებოდა საქართველოში. მეტვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საქართველო ირანელების მუდმივი შემოსევების ობიექტი გახდა, მეფემ ისახი თბილისთან ახლოს ბერთუბანში გადმოასახლა, რათა ფრონტის ხაზთან ახლოს ყოფილიყვნენ და ქუდზე კაცის დაძახება რომ იქნებოდა, უმაღვე გასულიყვნენ ბრძოლის ველზე. ბერთუბანში კი იმიტომ დაასახლა, რომ მეომარი გამუდმებული რწმენის ქვეშ უნდა ყოფილიყო და ღმერთის მადლით გაძლიერებულიყო, მეორეც, ის არ მოსწყვიტა ადგილის დედას, რათა წინაპართა ის სამირკველი არ მოერღვია მისთვის, რაზეც მისი ჯიში და ჯილაგი იდგა. სამირკველი როდესაც მორღვეულია, მასზე ვერც სახლი გაჩერდება და ვერც ადამიანი, ხოლო ფუძემონგრეული ადამიანი სამშობლოსათვის ვერაფერს გააკეთებს. გავიხსენოთ დიდი გოგლას სიტყვები:

„თვალზე ცრემლები რომ აგორდება,
როცა ცხოვრება გაგვკრავს სიავით,
მმებო, მითხარით, რა გვაგონდება,
დედას პური თუ პაპას ქლიავი...“

ხედავ, უშანგი? – განაგრძობდა ლევანი, – ჩემი მხრის კაცი დედას პურით და პაპას ქლიავით უფრო მოიხსნის იმ დარღსა და მწუხარებას, უფრო ბრძოლისუნარიანი შეიქმნება, ვიღრე ორმოცდაათი „სნიკერსი“ რომ აჭამ.

— ვაკ! ლევან, მგონი შენ მართალი იყავი! — წამოიყვირა უშანგიძ და სალონში ჩამოფარებული ფარდისკენ გაახვდა ლევანი, ფარდას ბოლი ასდიოდა, — მგონი, მართლა ბომბი დევს თვითმფრინავში, — თვალები აუწყლიანდა უშანგის.

ლევანი მაშინვე გავარდა ფარდისკენ. ძალიან უშიშარი ვინმე იყო. ერთი ლოზუნგით დადიოდა ქვეყანაზე, „რაც მიწერია, მაინც არ ამცდებაო“ და ამიტომ უფალზე იყო მინდობილი. მალე მობრუნდა გაღიმებული.

— სტუარდესას სიგარეტისთვის ასანთი გაუკიდებია, მერე ჭორაობისას სიგარეტი შემთხვევით ფარდისთვის მიუდია და ფარდას მეტი რა უნდოდა, აბოლდა, — გაიცინა ლევანმა, — შენ რაღა გატირებდა, ტო? ეგრე ძალიან გიყვარს შენი თავი?

— არა, ტო, — დაიმორცხვა უშანგიძ, — პროსტო ცურვა არ ვიცი და წყალში დახრჩიობა არ მინდოდა.

ლევანმა გაიხედა ილუმინატორში. ისევ ზღვის თავზე მიფრინავდა თვითმფრინავი.

ბათუმში მზიანი ამინდი იდგა. ლევანმა და უშანგიძ ტაქსი გააჩერეს და იმ მაღალჩინოსნის სანახავად წავიდნენ, ვისთანაც გელაშვილმა ურჩია მისვლა.

მაღალჩინოსანი კაბინეტში არ დახვდათ, სასწრაფოდ ხელვაჩაურში წასულიყო და მალე მოვალო — დაებარებინა. ბათუმური „მაღალ“ ლევანმა კარგად იცოდა რაც იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ, ამ კაცის იქით ვერ წავიდოდნენ და ამიტომაც სამი საათი დიდი მოთმინებით ელოდნენ. „სასწრაფო საქმიდან“ მაღალჩინოსანი კარგად გაბრუუჯული დაბრუნდა. „ინტურისტში“ წაიყვანა სტუმრები, ნომერი გაუკეთა, ბოლიში მოუხადა, ხვალ ვილაპარაკოთო და წავიდა.

ლევანი და უშანგი ძლიერ ავიდნენ მესამე სართულზე. დერეფნები უშუქობის გამო ჩაბნელებული იყო. მხოლოდ სართულის მორიგეებს ენთოთ სანთლები. ამ სანთლის შუქით თუ მიხვდებოდი, რომ შენობაში იყავი, თორემ, როგორც გარეთ ციოდა, ისე შიგნით. როგორც იქნა, ნომერს მიაგნეს. სართულის

მორიგემ თეთრეულში დამატებით ფული მოსთხოვა, გადაიხადეს, მაგრამ ისეთი ნესტიანი იყო, შიგ ჩაწოლა და გაციება ერთი იქნებოდა. ლევანმა მოისროლა თეთრეული, ერთი მაგრად შეიგინა და უშანგის უთხრა:

— ერთი ჩემი მეგობარი მივლინებით იყო წასული ბერლინში. თითქმის სამი თვე მოუწია იქ ყოფნა. როცა იქიდან ჩამოფრინდა და შერემეტიევოს აეროპორტში ფეხი დაადგა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ვიღაცამ ბუმბულიანი ლოგინიდან სანეხვეზე გადმოაგდო. ჩვენი საქმეც ასეა. მოსკოვის აპარტამენტებიდან კოტეჯებში, კოტეჯებიდან ამ ნაგავში. გავალ, სანთელს მაინც ვიშოვი.

სართულის მორიგე, რასაც სთხოვდი, ფასს ყველაფერზე დოლარებით გეუბნებოდა. რუსულ ფულს შეაძლევდი, მაინც და მაინც დიდი სიხარულით არ იღებდა.

— რა გჭირთ, ხალხო, აქ რუსული ფული აღარ მუშაობს? — იკითხა ლევანმა.

— ვის რად უნდა რუსული ფული, თურქეთში მაგას ვერ გამოიყენებ, რა აზრი აქვს, გინდა გქონია და გინდა არა, — ამაყად წარმოთქვა სართულის მორიგემ და ლევანს სანთლები გაუწოდა.

— კი, მაგრამ თურქეთის გარდა სხვა ქვეყანას აღარ სცნობთ?

— ვის რად უნდა ეგ დამპალი რუსეთი ან მაგათი საქონელი, — ცოტა აპილპილდა ქალი, — აი, თურქები ნამდვილი ვაჟეცები არიან, იქ რომ ჩახვალ, ისეთი სტუმართმოყვარენი არიან, გაგიუდები.

— ნეტავი ათი წლის შემდეგ შეგვაზვედრა ჩვენ ერთმანეთს და ისევ ამ თემაზე გვალაპარაკა, — წყნარად მიმართა ლევანმა ქალს, — ეგ ურჯულოები ჩვენთვის სიკეთის მომტანნი არ არიან. ჩვენს წინაპრებს გამუდმებული ომები ჰქონდათ მაგათთან. ერთი სული აქვთ, ჩვენი ტერიტორიები ჩაყლაპონ.

— აი, ათი წლის შემდეგ მე და თქვენ რომ შევხვდებით, მე ისევ ჩემს აზრზე ვიქნები, — მტკიცებ უთხრა ქალმა და თურქ სტუმარს ყურებამდე გაღიმებულმა გაუწოდა ნომრის გასაღები.

ლევანი დამწუხრებული დაბრუნდა ნომერში. უშანგი საგარმელში მოკალათებულიყო, ქურქი შემოეხვია და კანკალებდა:

— აუ, აქ გავითოშებით, ტო!

— მოდი გავშალოთ, ერთი ჩაწოლა ჭირს, თორემ მერე არა გვიჭირს, — გაამხნევა ლევანმა. უშანგისთვისაც და თავისთვისაც დააგო ლოგინი. როგორც იქნა ჩაწვნენ, ზევიდან ქურქები დაიფარეს და ჩაეძინათ.

ლევანი რაღაც ხმებმა გააღვიძა. ჯერ ეგონა, სიზმარში იყო. მაგრამ აზრზე რომ მოვიდა, მიხვდა, ხმაური დერეფნიდან შემოღილდა. „იახში-იახში“, „თამამ, თამამ“, „კიდევ ოცი დოლარი დამიმატოს“ და ა.შ. ქალების და კაცების ხმები ერთმანეთში ირეოდა. ლევანმა ვერ გაიგო, რა ხდებოდა, არც ჩხუბს ჰქონდა, არც ჩვეულებრივ საუბარს. ბოლოს ქალის კივილის ხმა შემოესმა. მიხვდა, რაც ხდებოდა, სასწრაფოდ ჩაიცვა და ნომრიდან გამოვარდა. სართულის მორიგე სანთლით ხელში გაჰყურებდა თურქს, რომელსაც ქართველი ქალი მიყავდა ნომერში. ლევანი რომ დაინახა, მისკენ გამოიქცა, მუხლებზე დაუჩოქა, ერთ ხელში სანთლი ეჭირა, მეორე ხელში ოცდოლარიანი, თვითი მუხლებზე დაადო და მოთქმა დაიწყო:

— არა, ბატონო, არაფერი არ ატეხოთ, თორემ სამსახურიდან მომხსნიან, ყველამ იცის თქვენ ვისთანაც ხართ ჩამოსული, მაგრამ ჩემი რა ბრალია, თვითონ აძლევენ ამის უფლებას.

დაახლოებით ხუთი წუთი იდგა გაოგნებული ლევანი. მერე, როგორც იქნა, აზრზე მოვიდა. მის წინაშე დაჩოქილი ქალი წამოაყენა, თვალი თვალში გაუყარა და ჰქითხა:

— შენ თვითონ ქართველი ხარ?

— დიახ, ქართველი ვარ, ფუტკარაძის ქალი. მე, ბატონო, პატიოსანი ოჯახის ქალი ვარ, პატარა ბავშვი მყავს, ლუკმაპურის ფულს ვშოულობ აქ. ნუ დამიქცევთ ოჯახს. თან თავის ოთახში შეიყვანა ლევანი. ყავა მოუდუღა გაზქურაზე და დამნაშავესავით შეაცქერდა.

— რა უბედურება ხდება ამ ქალაქში, გამაგებინე! სულ დაივიწყეთ ღმერთი?

— უღმერთობის ქვეყანაში რომელ ღმერთზეა ლაპარაკი. ჯერ იყო და რაც საუკეთესო გააჩნდა ქართველს, ყველაფერი თურქეთში გაიტანა და გაყიდა. გადით სარფის საბაჟოზე, დღესაც კი რამხელა რიგებია. ამას აღარ დასჯერდნენ და ქართველი ქალის ნამუსის გაყიდვას მოჰკიდეს ხელი, თუმცა ამის მსურველიც ბევრია ჩვენს ქალებში. ქართველი კაცები ხელმძღვანელობენ ამ საქმეს. შეაგროვებენ ქალებს აქ, ბათუმში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან, სოფლებიც ბევრია, შემდეგ ჩამოიყვანენ თურქებს, ივაჭრებენ და გაატანენ.

— მერე, ამ ქალაქს პატრონი არა ჰყავს?

— აბა, იმათ გარეშე ხელს ვინმე გაანძრევს? — კითხვითვე გასცა პასუხი ქალმა.

ლევანს იმ ღამეს ძილი საერთოდ არ გაჰყარებია. აღარც გათენებას დაადგა საშველი. ბულვარზე გავიდა სასეირნოდ. სეირნობა უცბად წამოსულმა თოვლიანნა წვიმამ შეაწყვეტინა. ისევ ნომერში დაბრუნდა. როგორც იქნა, გათენდა. წვერი გაიპარსა, უშანგი გააღვიძა და „პატრონთან“ წავიდნენ.

— ბიჭებო, ფრენა შაბათს არის, ესე იგი ოთხი დღის შემდეგ,
— დაახვედრა პასუხი მაღალჩინოსანმა, — ჩათვალეთ, რომ
გაფრინდებით ისე, როგორც თქვენ გინდათ. თუ გეჩქარებათ, იქნებ
გზა დაგეზვერათ, თუ გურიის გზებზე ყჩაბლობა არ არის, იქით
პრობლემები აღარ გექნებათ. ჩემს კაცს გაგაყოლებთ ჩოლოქზე
და კველაფერს გაარკვეთ.

— ძალიან დიდი მადლობა, — მოკრძალებით წარმოთქვა
ლევანმა, — თუ არ შეგაწუხებთ, იქნებ გზის ვარიანტიც
მოგვესინჯა.

— ახლავე, — „პატრონმა“ აიღო ყურმილი და გამოიძახა
ვიღაც ოთარ წულუკიძე, — მილიციის კაპიტანია, ყველაფერში
დაგეხმარებათ.

ათ წუთში ლევანი და უშანგი ოთარ წულუკიძის მანქანით
ქობულეთისკენ მიქროდნენ.

— ბატონებო! — დაიწყო წულუკიძემ, — ერთი თხოვნა მექნება, სადაც მივალთ, თქვენ, როგორც ორგანოს მუშაკებს, ისე წარგადგენთ, თორუებ ძალიან ბევრი ხალხია თბილისიდან გამოქცეული, ისე არაკაცურად იქცევიან აქ, რომ ჩვენიანებს უკვე შეზიზღდათ და არ მინდა, თქვენც მაგ კატეგორიაში გაგიყვანონ.

— კი, ბატონო, — გაედიმა ლევანს, — აი, უშანგი შინაგან საქმეთა მინისტრის ნდობით აღჭურვილ პირად წარვადგინოთ, მე კი, — ცოტა დაფიქრდა ლევანი, — პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად.

უშანგიმ დაბოლმილმა გაიხედა ფანჯარაში. კაცი შავობას აწვებოდა და უცბად მილიციელად მონათლეს. მაგრამ პირველივე გაცნობისას ისე შეიფერა თანამდებობა, ლევანს რომ არ სცნობებოდა, მართლა დაიჯერებდა.

— გაგაბალლეს, სიმო? — ყურში ჩასჩურჩულა მანქანიდან გადმოსვლის შემდეგ ლევანმა.

— ლევან, თუ მმა ხარ, არსად წამოგცდეს, პროსტო საქმეს სჭირდება და ხმას არ ვიღებ, — იქთ დააღო ვალი უშანგიმ.

— წამომცდეს, რომელი ჩამშვები მე მნახე, ტო!

ჩოლოქზე აჭარლებს ბლოკ-პოსტი გაეკეთებინათ. შემოსასვლელი ჩახერგილი იყო უშველებელი ბეტონის ბლოკებით და ორმოცდაათამდე რუსი და ქართველი ფორმიანი იარაღასხმულნი ტრიალებდნენ ბლოკ-პოსტის გარშემო.

ოთარ წულუკიძემ ჩოლოქის პოსტის უფროსს წარუდგინა სტუმრები. პოსტის უფროსმა სიტუაცია განუმარტა:

— ახლა მობრუნდა ჩვენი თანამშრომელი წყალწმინდიდან, გურიაში გავლა შეუძლებელია. თითქმის მთელი გზის გაყოლებაზე ყაჩაღობაა. სამეგრელოზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ვერ გახვალთ! — მოჭრა აჭარულად, — თუ მოახერხებთ თვითმფრინავზე ბილეთების აღებას, ეს თქვენ არ უნდა გაგიჭირდეთ, ასე წასვლა ჯობს.

— ჩვენ კი მოვახერხებთ, — გაიღიმა ლევანმა, — კომპიუტერების და სხვა აპარატურის გაგზავნა გვინდოდა და იმიტომ გეახელით.

— აპა-პა-პა! — აპიპინდა პოსტის უფროსი, — ეგ ამეიგდეთ თავიდან.

ბიჭებმა პოსტის უფროსს მადლობა გადაუხადეს და გამობრუნდნენ უკან. ოთარმა თავი გამოიდო და ქობულეთის ინტურისტში სადილად შეიპატიუა ლევანი და უშანგი.

— რომელი სასმელი დავლიოთ? — ჰკითხა ბიჭებს ოთარმა.

— ალბათ, ერთი ბოთლი შამპანური საკმარისი იქნება, — თქვა ლევანმა, — მეტი რომ დავლიოთ, დავთვრებით.

— მაშინ მე არაყს დავლევ, — სიამაყით განაცხადა ოთარმა, — თორემ ფხიზელი ვერ დავდივარ მანქანით. თქვენ, გეტყობათ, დალევა არ გიყვარო, ან ვერ სვამთ.

— გააჩნია რა ხასიათზე ვართ და ვისთან ვსვამთ, — გაიცინა ლევანმა, — თუ შენ არაყს დალევ, მეც მხარს აგიბამ, მარტო კაცი არა მარტო ჭამაში სმაშიც ცოდოაო, — თავისებურად დააბოლოვა ლევანმა, — ოთარ, შენ ქობულეთელი ხარ?

— კი, აბა, აჭარელი ხომ არ ვიქნები? — შეიცხადა ოთარმა და სამზარეულოსკენ წავიდა.

ლევანი იცნობდა ქობულეთელებს, ძალიან ამაყი და ტრაბახა ხალხი იყო. მერე უშანგის გადახედა:

— მანქანაზე მოგიწევს დაჯდომა, ბევრს ნუ დალევ.

— მივხვდი. საწყალი ოთარ წულუკიძე შენს ხელში. რამ დაგლუპა და შენმა ენამო, მაგაზეა ნათქვამი, — გამოიტირა ქობულეთელი უშანგიძ.

ლევანი მამასავით ვერ სვამდა, მაგრამ სამ-ოთხ ბოთლ არაყს ისე დალევდა, რომ არც საუბარი ემლებოდა, არც სიარული და არც ზოგიერთებივით მაგიდაზე იძინებდა.

— კაი ოჯაზურს გაგვიკეთებენ ჩვენი ბიჭები ქუხნაში, ვიქეიფოთ და მერე წევიდეთ. — ლაპარაკობდა და თან ხელებს იფშვნეტდა ოთარი.

„ვაი შენს პატრონს“, — გაიფიქრა უშანგიძ, — „შენ რომ აქედან შენი ფეხით გახვალ, ვის ხელში ჩავარდა ჯერ არ იცის ამ უბედურმა.“

ერთი ბოთლი რომ ჩამოცალეს, ოთარი უკვე ამჩატდა. ვიღაც ნაცნობი შენიშნა რესტორნის კუთხეში. აუტეხეს ერთმანეთს კოცნა. მოვიდნენ, თითო ჭიქა დალიეს. უცნობმა თავი მოიკლა, მეფის ტოლა ხალხი გავიცანი და ოჯახში უნდა დაგპატიუოთ. დიდი ხევწნა-მუდარის შემდეგ ჩასხდნენ მანქანაში და კაი ხანს სულ აღმართ-აღმართ იარეს. იქიდან რომ გადმოიხედა ლევანმა, თითქმის მთელი აჭარა მოჩანდა. ულამაზესი ხედები იშლებოდა წინ, მაგრამ ვინ გაცალა ამ სილამაზით დატკბობა. სტუმრები მაშინვე მისაღებ ოთახში მიიპატიუეს, იქიდან დარბაზონში და აქ უკვე ლევანს და უშანგის პირი ღია დარჩათ. ამ მთებში ამისთანა გაწყობილ სახლს არ მოელოდნენ. ავტონომიური გათბობით, განათებით. პარკეტის რომ დახედა ლევანმა, ისე პრიალებდა თმების დავარცხნა შეიძლებოდა. კარალებში იმდენი ბროლი ეწყო, სულ წარიალი გაჰქონდა. ძირითადად თურქული წარმოების საქონელი სჭარბობდა. ოჯახის უფროსს, როგორც ჩანს, უპირატესობა თურქული წარმოების ნივთებისთვის მიენიჭებინა, რაღაც იტალიური და ჩეხური წარმოების სერვიზები უკანა მხარეს იყო გადაწყობილი და წინ თურქული ეწყო. ძვირფასი ნივთები ისე უგემოვნობ იყო განლაგებული, აშკარად ჩანდა, რომ ამ სახლში მეჯლანუაშვილების შსგავს ადამიანებს უნდა ეცხოვოთ.

სტუმრები სავარალებში დასხეს. თან იქვე სუფრას შლიდნენ. ასე თხეოთმეტი წუთის შემდეგ, როგორც კი სუფრის გაშლა დამთავრდა, დარბაზონის შემოსასვლელი გაიღო და ხალათში გამოწყობილი მამაკაცი გამოჩნდა. ხალათს ეტყობოდა, რომ ძალიან ძვირადღირებული იყო, ხოლო მამაკაცი, ერთ-ერთი თანამდებობის პირი, ოჯახის უფროსი გახლდათ.

— თემურ კონცელიძე, — გაუწოდა სტუმრებს ბეჭდებით სავსე თითებიანი მარჯვენა.

ლევანმა და უშანგიმ თავიანთი შერქმეული თანამდებობები დაასახელეს და, მასპინძლის მოწვევის შემდეგ, სუფრას შემოუსხდნენ. ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით უშანგი მოექცა, ის ხომ შინაგან საქმეთა მინისტრის ნდობით აღჭურვილ

პირს წარმოადგენდა. მასპინძელს აშკარად ეტყობოდა, რომ მიჩვეული იყო მლიქნელურ დამოკიდებულებას უფროსებისადმი. ამასთან, დიდი ფულის ქონას სკამზე მყარად ჯდომაც უსწავლებია. ჭიქას მარჯვენა ზელში იჭერდა და ოთხი ბეჭედიც იმიტომ ჰქონდა მასზე გაკეთებული. ლევანის კომერციული გამოცდილებით, მასპინძელს დაახლოებით ოცი ათასი დოლარის ღირებულების ნივთები ჰქონდა ასხმულ-ჩაცმული. მარტო საათში ბრილიანტის საძი დიდი თვალი ბრწყინავდა. მასპინძელმა არაფრით არ თქვა, სად მუშაობდა, მაგრამ ლევანს ეს არ გამოეპარებოდა, დასკვნა მაშინვე გააკეთა, თემური საბაჟოზე რაღაც თანამდებობაზე მუშაობდა, თორემ ამდენ რამეს მარტო მანდარინით ვერ შეიძენდა. ოთხმოციანი წლების ბოლოს, როდესაც სარფის საბაჟოზე თურქეთში გამსვლელების რიგები იდგა, რიგით მებაჟეს ერთ ცვლაში თავის წილად ერთი „უიგულის“ ფული რჩებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მის ზევით მდგომ თანამდებობის პირს რამდენი უნდა დარჩენოდა. ეს შევი ფული აჭარის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ნაწილდებოდა და ზვიადის მიერ დანიშნულ აჭარის პირველ პირს სულ არ ადარდებდა, ქვეყნის ხაზინაში ფულის ნიშნი იყო თუ არა. ლევანი კი ამ დროს ფულის ნიშნების უქონლობის გამო ობლიგაციებს ახურდავებდა რუსეთში, რომ ამ ფულით საქართველოს მოსახლეობისათვის რესპუბლიკის გარედან ხორბალი შემოეზიდა. აი, „პატრიოტიზმის“ ნათელი მაგალითი. ასეთი გუნდის წევრები ჰყავდა ჩვენს პრეზიდენტს და ტახტიც იმიტომ შეერყა მაღალ. გამსახურდია მართლა ეროვნული იყო. სულ ცდილობდა, ყველა დაწყებულ საქმეს წინ ჯვარი გასძიროლოდა, აქ კი თურქების და დოლარების პარადები იმართებოდა საკუთარი თავისთვის და არა სამშობლოსათვის. „ნეტავი რამ შეაჯავრა ამ ხალხს სამშობლო“. თითქოს ლევანის გულში იჯდაო, ოჯახის უფროსმა ჭიქა ასწია და წამოიწყო:

— რაც თურქეთის გზა გაიხსნა, ხალხმა ამოისუნთქა. თურქები იზრუნებენ საქართველოსთვის. მოდით, თურქეთ-საქართველოს ერთობას გაუმარჯოს.

— ვითომ სიკეთეს მოგვიტანს თურქებთან ურთიერთობა, ბატონო თემურ? – შეეკითხა კონცელიძეს ლევანი.

— ორი აზრი არ არსებობს, ხომ ხედავთ, რუსებმა დაგვაქციეს, თურქეთი კი უკვე ხელის გულზე გვატარებს. იცით, როგორი დიდი პატივისცემით იღებენ იქ ქართველებს? – არ იშლიდა თავისას კონცელიძე.

— თურქები ყოველთვის ჩვენი მტრები იყვნენ, – არ ცხრებოდა ლევანი, – ისინი აზიური ცბიერებით გვიდგებიან, ჯერ მიგვიტყუებენ, დაგვასუსტებენ და მერე ჩაგვყლაპავენ, ღმერთმა დაგვითაროს, – თქვა ლევანმა და პირველი გადაიწერა.

— ბატონო ლევან! მაშ თქვენ ისევ რუსეთის გზა გირჩევნიათ?

— დაინტერესდა კონცელიძე.

— არა, ბატონო, — ლევანმა თავი ამაყად ასწია, ჭიქები შეუკსო ყველას, ფეხზე წამოდგა და წარმოთქვა: – მე დამოუკიდებელი, დავით აღმაშენებლის დროის მაგვარი საქართველო მირჩევნია, არც თურქების და არც რუსების ყომბა არ მინდა, მოდით, დამოუკიდებელ, უთურქო, ურუსო და უ-უ-უ-უსხვისო საქართველოს გაუმარჯოს! – თან ბოდიში მოიხადა, გაუმართავი ქართულით გამომივიდათ.

— მაინც, ბატონო ლევან, – არ ეშვებოდა კონცელიძე, – არჩევანის წინაშე რომ მოგიწიოთ დადგომა, თურქეთს აირჩევდით, რუსეთს თუ ამერიკას?

— თურქეთს ნამდვილად არ ავირჩევდი, იმიტომ, რომ მუსლიმანები არიან და ქართველებისათვის ისინი სასიკეთოს არაფერს გააკეთებენ. ამერიკას არ ავირჩევდი, იმიტომ, რომ, როგორც კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა, – ისინი „მეოცე საუკუნის კნიბალები არიან“, რაც შესაჭმელი გადაურჩათ, ჩვენი ჩათვლით, იმასაც მალე გადაყლაპავენ. როგორ შეიძლება იმ ქვეყნას ენდო, რომელმაც შენ გამოგაგდო რუსეთის მდიდარი სანედლეულო ბაზრიდან და თვითონ დაჯდა შიგ, ხოლო შენ თურქეთის სანედლეულო დანამატად გაქცია. ამასთან, მწვალებლები არიან, ანუ კათოლიკები. რუსეთი, როგორიც

ახლაა, ეგეთი არ მინდა, იმიტომ, რომ რუსეთს ახლა ებრაელები მართავენ და საკუთარი მიზნების აღსრულებისათვის ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებენ. აი, რაც შეეხება მართლმადიდებლურ რუსეთს და ნამდვილ რუსებს, მათთან ერთად შეიძლება ყოფნა. ბოლოს და ბოლოს, ორივენი ხომ მართლმადიდებლები ვართ.

— მაშინ რა ვწინათ ქობულეთლებმა და აჭარლებმა? — დაღონდა კონცელიძე, — სამასი წელი ისლამს გვიქადაგებდნენ თურქები, ჩვენი წინაპრები კი ქრისტიანები იყვნენ.

— რა უნდა ქნათ და უნდა შემობრუნდეთ ქრისტეს რჯულისკენ, — სიამაყით წარმოთქვა ლევანმა, — თუ ხულოელმა იმდენი შეძლო, რომ მართალია, სარწმუნოება შეაცვლევინეს, მაგრამ ჭადზე ჯვარის დასმა მაინც ვერ მოაშლევინეს, თქვენ იმათზე ნაკლები რითა ხართ.

— სწორია, გეთანხმებით, მაგრამ ასე ადვილია ამის გაკეთება? — ამოიხვნეშა კონცელიძემ, — მოღი, თემა შევცვალოთ და ვიქეიფოთ ქართულად, ქრისტიანულად.

— დასტური! — მოკლედ მოჭრა ლევანმა და ჭიქას მოჰკიდა ხელი.

მართლაც უმოწყალოდ სვეს. კისერი ჯერ ოთარ წულუკიძეს მოსწყდა, მერე პატარა მასპინძელს, შემდეგ დიდ მასპინძელს. ბოლოს ოთარი მეზობლების დახმარებით „ჩადეს“ მანქანაში, უშანგი დაჯდა საჭესთან და ნელა გაუდგნენ ბათუმის გზას.

გადაუღებლად ბარიზიდა, თითქოს ცა ჩამოიქცაო. ციხისძირის და მახინჯაურის გადასასვლელები ძლივს გადაიარეს. ოთარი ცოტა გამოფხიზლდა. ლევანს რომ შეხედა, უშანგის წყნარად და დალაგებულად ესაუბრებოდა, გაკვირებულმა ჰკითხა:

— ლევან, შენ არ დამთვრალხარ?

— რა დავლიე, რო? — შეიცხადა ლევანმა, — ორი ბოთლი არაყი ამ სიცივეში გახურებისათვის კარგია, დათრობისთვის ცოტა. ერთი დაიმახსოვრე, როდესაც სხვაგან მიდიხარ, სამ ბოთლ არაყზე მეტის დალევას არ გირჩევ.

— ეუჭ! — ამოიოხრა ოთარმა და ისევ გადაწვა მანქანის საგარელზე.

დამემ ინტურისტში მშვიდად ჩაიარა. მეორე დღეს დილით ბიჭებმა ისაუზმეს და ფოსტაში წავიდნენ, რომ სოხუმში დაერეკათ. ფოსტაში უთხრეს, სოხუმთან გუშინ კავშირი გაწყდა და, ალბათ, ამ დღეებში არც იქნებაო. მოსკოვში დარეკეს, იქაც იგივე უთხრეს. მაშინვე ნაცნობ მაღალჩინოსანთან გავარდნენ. იმანაც იგივე დაადასტურა, მაგრამ მოძებნა გამოსავალი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზი მუშაობდა და შეძლეს რომანთან დაკავშირება. ლევანმა აუხსნა სიტუაცია და უთხრა, რომ ბიჭები გამოეცილებინა და შაბათს გაფრინდებოდნენ თბილისში.

— ლევან, მისმინე, — აღელვებული ლაპარაკობდა რომანი, — ალარც თვითმფრინავია, არც გემი და გზებიც გადაკეტილია, ისევ თქვენ მოახერხეთ აქეთ წამოსვლა, იქნებ შევძლოთ და რაღაცა მოვიფიქროთ. თბილისიდანაც დარეკეს და უნდა დავაჩქაროთ როგორმე.

ბიჭები საგონებელში ჩავარდნენ. მაღალჩინოსანმა ყველგან დარეკა, არც ბათუმიდან მოძრაობდა სოხუმისკენ არაფერი. შემდეგ პორტშიდარეკა, ვიღაცას ელაპარაკა, თითქოს რაღაცაზე შეთანხმდნენ.

— მორვაგზალში გადით, რაღაც უცნაურ პირობებს აყენებენ და თქვენ თვითონ შეთანხმდით, — გაეცინა მაღალჩინოსანს და ვიღაც დურსუნთან გააგზავნა ლევანი და უშანვაი.

დურსუნი სტუმრებს მორვაგზალის შესასვლელში ელოდა. შეხვდნენ. მან წაიყვანა იქვე მდგარ კომეტაზე და კაპიტანი გააცნო. კაპიტანმა წყიარად დაიწყო:

— ეს რეისი ბათუმი-სოჭის რეისია. მე ფოთში არ შევდივარ, იმიტომ, რომ ისვრიან. სოხუმშიც ვერ შევალ, იქაც ისვრიან. თქვენ მაინც რომელ ადგილას გინდათ მისვლა?

— შინაგან საქმეთა სამინისტროს კოტეჯები თუ იცით?

— კი, როგორ არა, — თავი დაიქნია კაპიტანმა, — შემიძლია იქ ნაპირიდან სამასი მეტრის დაშორებით გავჩერდე. იქ საეჭვო

ტვირთს ვერ ავიღებ, სოჩაში მაგრად ჩხრეკენ. ერთი შემიძლია, უკან იმავე ადგილზე მოსვლის ზუსტი დრო დაგითქვა და აგიყვანო ისევ.

— ეგეოთი რაღაც მხოლოდ კინოში მინახავს, — გაეცინა ლევანს, — მოვიფიქრებთ და დაგიკავშირდებით.

— პასუხი დღეს უნდა ვიცოდე, — თქვა მტკიცედ კაპიტანმა, — წვალ თორმეტ საათზე გავდივარ.

— კოტეჯებთან რომელ საათზე იქნები?

— სადღაც სამის ნახევარზე.

ლევანი რომანს დაუკავშირდა. აუხსნა ყველაფერი და სთხოვა, დათქმულ დროს ნავი დაეხვედრებინა. პასუხი საინტერესო იყო:

— თუ ვინცობაა, ნავი არ დაგზვდა, გამოცურე და იქითობაზე აუცილებლად ნავით გაგიყვანო.

— რომელი აგენტი ნოლ სემი მე ვარ, წყალზე ვიარო ამ სიცივეში, — გაკვირვებისგან კინაღამ ყურმილი გაუვარდა ლევანს.

— კარგი, კარგი, ყველაფერი რიგზე იქნება, — დაამშვიდა რომანმა.

მაშინვე კომეტის კაპიტანს შეუთანხმდნენ წასვლაზე. კაპიტანმა ამ საქმეში ხუთი ათასი მანეთი მოითხოვა, ვინაიდან ზამთარში კომეტების რეისები არ იყო, ეს რეისი მხოლოდ რამდენიმე კლიენტისთვის კეთდებოდა და ფასებიც სოლიდური იყო. ლევანს ნახევარი წინასწარ უნდა გადაეხადა. სოხუმიდან სულ ოთხი ათასი წამოილო, მეტი, ეგონა, რომ არ დასჭირდებოდა. აქედან ათასი უშანგის ჩააბარა შესანახად, ხოლო თვითონ სამი ათასიდან ხარჯავდა სასტუმროს, ჭამისდა სხვათანხებს. ამოილო ფული, გადათვალა და ორი ათას ორას მანეთამდე აღმოჩნდა.

— უშანგი! დამიმატე ოთხასი მანეთი, რა, — სთხოვა ფული ლევანმა და ხელი გაიჭვირა ფულის გამოსართმევად.

— მე, ლევან, ორას მანეთზე მეტი აღარ მაქვს, — ამოილო ჯიბიდან ფული და თვლას შეუდგა.

— კარგით, ბიჭებო, ორი მომეცით, — თქვა კაპიტანმა, — დანარჩენი, უკან რომ წამოვალთ, მერე გამისტუმრეთ.

ლევანი დაემშვიდობა კაპიტანს და წავიდნენ ინტურისტში. ნომერში რომ შევიდნენ, ლევანმა ჰქითხა უშანგის:

— ბიჭო, ფული რა უყავი, დაკარგე?

— არა, ტო, ჩასაცმელები ვიყიდე.

— უშანგი, შეხედე მე დახუული ფეხსაცმელებით დავდივარ და ფულს ჯერ ხელს არ ვკიდებ, სანამ ბოლომდე არ მივიყვანთ საქმეს. რა სულსწრაფვაა. არ მესმის რა! — გაბრაზდა ლევანი, — კარგი, ხვალისთვის მოვემზადოთ.

— რა უნდა მოვემზადო, ტო! — აიწურა უშანგი, — მე ადმირალი ნახიმოვი კი არ ვარ. ცურვა არ ვიცი, ძმაო, და თქვენი პატრიოტიზმის გულისთვის თავს ვერ დავიხრჩობ. ერთი სიცოცხლე მაქვს და როგორც მე მინდა, ისე უნდა გავლიო.

— კარგი, რაც გინდა ქენი, აქ მარტო დარჩენისაც ხომ არ გეშინია, — გაეხუმრა ლევანი.

თორმეტ საათზე კომეტა უკვე ბათუმის პორტიდან ზღვაში გადიოდა. ფოთს საკმაოდ შორს ჩაუარეს. კაპიტანი მართალი იყო. ნაპირიდან სროლა დაიწყეს, მაგრამ ავტომატისთვის ეს შორი მანძილი იყო. „სულ მთლად გადაირივნენ, ეს შობელძაღლები“, — ფიქრობდა ლევანი, — „ყოველ ნაბიჯზე კრემლის აგენტები ელანდებათ“. დათქმულ დროზე ნავი დაახვედრეს ლევანს. ვალოდია აფხაზი და მისი ამხანაგი, ისიც ეროვნებით აფხაზი, იყვნენ ნავში. ლევანი მშვიდობიანად გამოიყანეს ნაპირზე. რომანი იქ ელოდებოდა. თითქმის აცრემლებული გადაეხვივნენ ერთმანეთს, მოიკითხეს.

— ამდენი წვალებისთვის უბრალო მადლობას თუ მაინც გვეტყვიან, ლევან? — აცრემლებული ლაპარაკობდა რომანი.

— ჩემო რომან, ყველანი ვალდებული ვართ, სამშობლოსთვის და ჩენი ხალხისთვის ჩენი წილი სისხლი გავიღოთ. — უპასუხა ასევე აცრემლებულმა ლევანმა.

— ბიჭები სად გყავს დამალული? — შეეკითხა ლევანი რომანს.

— დღეს დილას ვარიანტი გამოჩნდა და ჩემი ძმის დანგრეული „ზაპოროჟეცით“ წალენჯიშაში გავუშვი. უკვე ვიცი, რომ

პიკეტზე კარგად გაძვრნენ. ორი მილიონი აისხეს ტანზე, მეტი ვედარ წაიღეს. ორ დღეში სამტრედიაში დაბინავდებიან და თქვენ იქ უნდა მიხვიდეთ. თქვენს მისვლამდე არსად არ გავლენ. აი მისამართი, — და რომანმა ქალალდზე დაწერილი ბინის მისამართი გაუწოდა ლევანს.

რომანი მთელი საღამო აფორიაქებული იყო. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა. ლევანმაც აღარ დააძალა. მთელი საღამო საუბარში გაატარეს. დილით ჩვეულებრივ ისაუზმეს და დათქმულ დროს ლევანმა ისევ იმ ორი აფხაზის თანხლებით ზღვაში შეცურა. კომეტამ ცოტა დააგვიანა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. შეშინებულებმა ფოთს საკმაოდ დიდი მანძილით ჩაუარეს და თოვლიანი წვიმის თანხლებით შევიზნენ ბათუმის პორტში. ლევანმა ანგარიში გაუსწორა კაპიტანს, მადლობა მოახსენა, გადმოვიდა ნაპირზე. უშანგი არსად ჩანდა. ინტურისტში მივიდა, უშანგი ნომერში დახვდა კარგად გაჩჩერილში. ისეთი დოზით ჰქონდა წამალი გაკეთებული, რომ ფეხზე ვერ დგებოდა. სულზე მიუსწრო. გახდა ცუდად, ფერი დაკარგა. ძლივს მოასულიერა. ლევანს სისხლმა დაარტყა თავში.

— უშანგი, გაგაფრთხილე, თბილისამდე შეიკავე-მეთქი თავი, რისგან ხართ ეს ნარკომანები გაკეთებული! თვითმფრინავი რომელ საათზე მიფრინავს თუ გაარკვიე!

— მე თვითონ თვითმფრინავი ვარ, რად მინდა ის მოტორიანი თხა, — წაილულულა უშანგიმ და ისევ ღრმა კაიფში წავიდა.

ლევანი აფორიაქებული გამოვიდა ინტურისტიდან. უპევ დაღამებულიყო. სამინელი თოვლჭყაპი იყო ბათუმში, თან თოვლა, ყველაფერს ნაცრისფერი დასდებოდა. ქალაქში შუქი გაეთიშათ, გათბობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო. ყველაფერი ხალხის საწინააღმდეგოდ მუშაობდა, რომ ერთეულების ჯიბეებში რაც შეიძლება ბევრი ფული ჩასულიყო. ერთი სიტყვით, ბათუმში სატანის მოციქულები იყვნენ გამეფებულნი. ლევანს გული გახეთქვაზე ჰქონდა, საქართველოში ქართველი იჩაგრებოდა და თურქი ისე დაჯირითობდა, როგორც სურდა. რასაც უნდოდა

იმას აკეთებდა. ეს ყველაფერი ზევიდან რომ არ ყოფილიყო ნებადართული, ბათუმელებს ამას ვინ გაუბედავდა. ბათუმის ინტელექტუალურ საზოგადოებას ლევანი კარგად იცნობდა. იგი აյ მანდარინის გადატვირთვისთვის ჩამოდიოდა ზამთარში და ხშირი შეხვედრები ჰქონდა მკვიდრ ბათუმელებთან. როცა ჩამოვიდა, ძველ ნაცნობებს დაურეკა, მაგრამ ოჯახებიანად წასულები აღმოჩნდნენ ზოგი თბილისში, ზოგი რუსეთში, ზოგიც შორეულ უცხოეთში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ამ ადგილებიდან ანგელოზები გაუძევებიათ და ეშმაკები დაუფლებიან ყველაფერსო.

ფოსტაში გავიდა, მოსკოვში არავინ იღებდა ყურმილს, თბილისის ხაზი კიდევ არ იყო. ლევანი ფოსტიდან გამოვიდა და რკინიგზისაკენ დაუყვა ქუჩას. ეკლესია ეგულებოდა იქ და იფიქრა, შევალ, ცოტას დავტშვიდდებიო. ეკლესიაც დაკეტილი დახვდა. პირჯვარი გადაიწერა. ღმერთს სამშობლოს და ერის გადარჩენა სოხოვა და ისევ უკან მობრუნდა. შემდეგ ფოსტიდან აეროპორტში დარეკა, ცნობათა ბიუროში უთხრეს, სამი დღე ფრენა არ იქნებათ. ამან სულ ააფორიაქა, ნამდვილი ჯოჯოზეთი იყო. ფოსტის კარებთან ერთი მათხოვარი კაცი იჯდა. ლევანმა ფული აჩუქა და ჰკითხა:

- ამ კუთხის მეთაურს ღმერთი თუ სწამს და ქრისტიანი თუა?
- რა ვიცი, შეილო, თვითონ ამბობს, ქრისტიანი ვარო, მაგრამ გარეთ რომ გაიხედო, ქრისტიანი ყველგან დაჩაგრულია და მუსულმანი კი ხარობს, — ჩიფჩიფით უპასუხა მათხოვარმა.
- არა მგონია ეგეთი ამპარტაგნობა გამოიჩინოს, ეს ხომ ყველაზე დიდი ცოდვაა, — ჩაილაპარაკა ლევანმა და გაეცალა იქაურობას.

ამ არეულობის უამს ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან რთული იყო, შეიძლება დამბრალებელს უფრო მეტი ცოდვა ჩაედინა ამ შემთხვევაში. ჩვენ კი მოვლენებს ცოტა გავუსწროთ და გადავინაცვლოთ ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტ წელში...

მოქმედება ხდება უკვე გადაღებილ ბათუმში, სადაც მოსახლეობის ოთხმოც პროცენტს უჭირს იმ დონეზე, რომ პურის ფულს ძლივს შოულობს, ხოლო აჭარის ხელისუფლება ამ დროს მორვაგზალთან ისეთ ტუალეტს აკეთებს, რომ მთელ აჭარაში ლეგენდები დადის.

— გაიგე, ჯო! ბაბუს რაფერი ტუალეტი გუუკეთებია ბათუმში, თურმე სარკეები აქვს გარშემო და ჩეიხედე სეიდანაც გინდა, — მთელი სერიოზულობით უუბნებოდნენ ერთმანეთს აჭარლები.

ლევანი ამ დროს ბათუმში იმყოფებოდა თავის პრობლემებთან დაკავშირებით, რაზეც შემდეგ წიგნებში გვექნება საუბარი. ახლოვდებოდა ქრისტეს ბრწყინვალეაღდგომის დღესასწაული. აჭარლები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, საკმაოდ ბევრი იყვნენ მოქცეული ქრისტეს სჯულზე, ზოგიც ცდილობდა, შესდგომოდა წინაპართა სარწმუნოებას. ამ აღდგომის ღამეს სანახაობის მაყურებელიც ბევრი იქნებოდა ეკლესიასთან. ლევანი მიხვდა, მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიაში ლიტანიობისას ხალხში მოძრაობა ძალიან გაჭირდებოდა და ქრისტეს აღდგომას სახლში შეხვდა ტელევიზორთან. პირდაპირ რეპორტაჟს გადმოსცემდნენ სიონის საკათედრო ტაძრიდან. ასე პირველის ნახევარი იქნებოდა, რომ გავიდა სახლიდან და ათ წუთში ეკლესიასთან იყო. ბევრი ხალხი შეკრებილიყო ტაძართან. როგორც ჩანს, სააღდგომო დღესასწაული ჯერ დაწყებულიც არ იყო. ეკლესის კარებში აჭარის პირველი პირის დაცვა იდგა. ლევანმა მათ გვერდი ფრთხილად აუარა და ხალხში იკითხა, რა ხდებაო.

— ბაბუს ელოდებიან, ბაბუს, — ჩურჩულით უთხრეს ლევანს, თან გაიხედ-გამოიხედეს ვინმე მისიანი ხომ არ დგას შორიახლოსო.

ლევანმა საათს დახედა, პირველს თხუთმეტი წუთი აკლდა, სხვასაც ჰკითხა, რომელი საათიაო. იგივე პასუხი მიიღო. ამ დროს თითქოს მიწიდან ამოვიდნენო, სპეცრაზმელები ჩადგნენ ხალხში და არავის გასაქანს არ აძლევდნენ. ხალხი გაწი-გამოწიეს, მიყარ-მოყარეს, გააკეთეს ცოცხალი დერეფანი

და ეკლესიის ეზოში ასლან იბრაჟიმის ძე შემოვიდა დაცვის ოცამდე თანამშრომლის თანხლებით, რომლებიც მკაცრი სახეებით უყურებდნენ ხალხს. ალბათ, ვინმე ცოტა სხვანაირად რომ განძრეულიყო, იქვე შეჭამდნენ. ამ დროს ტაძრიდან სამღვდელოების წარმომადგენლები გამოცვიდნენ ხატებით და სხვა სიწმინდეებით, დაიწყეს აღდგომის აღნიშვნა. „ბაბუ მოვიდა, ბაბუ!“ – უებნებოდნენ ერთმანეთს და მგონი, უფლის აღდგომა სულ დავიწყებოდათ. ღმერთო, შენს სახელს დიდება, ეს არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ამპარტავნობამ ისე ძლიერ მოიკიდა ფეხი ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, რომ ზოგიერთებმა უფალზე მაღლა დააყენეს თავისი თავი. ან რა ისეთი გადაუდებელი საქმის გამო დააგვიანეს მთელი საათით აღდგომის დღესასწაულზე. ღმერთო, შემინდე, ასეთი პირდაპირობით რომ აღვწერ ამ ამბავს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას ცრუმორწმუნებზე, რადგან ისინი ლაპარაკობენ ერთს და აკეთებენ მეორეს. ან კიდევ ბათუმიდან მიმავალი, როდესაც სართის საბაჟოს მიადგები, თურქეთის მხარეს მაშინვე შეამჩნევ შიგ საბაჟოშივე ჩადგმულ მინარეთს. ეს თურქეთში მიმავალი თურქისთვის იმის ნიშანია, რომ სამშობლოში შედის და იქვე მაჰმადის ლოცვა უნდა აღავლინოს, ასევე უნდა მოიქცეს სამშობლოდან გამოსვლისასაც. ხოლო სხვა სარწმუნოების ადამიანებს აფრთხილებს, რომ მუსულმანურ სამყაროში შედიან და ფრთხილად უნდა იყენენ. რა დააშავა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, რომელიც ყოველთვის განაწამები გამოდის თურქეთიდან, რომ სამშობლოს მიწაზე ერთი პატარა სამლოცველო არ ხვდება სულის მოსათქმელად ან თურქეთში გასვლამდე უფალს შესთხოვოს, რომ დაიცვას ბოროტისაგან. არა მგონია, ისეთ ჭკვიან და გენიოს პიროვნებას, როგორც მის ლიდერს აჭარაში უწოდებენ, ეს უბრალო ნიუანსი გამორჩენოდა მხედველობიდან. მაგრამ, როდესაც ადამიანი უფალზე მაღლა აყენებს თავის თავს, მისგან სიკეთეს არასოდეს უნდა ელოდე. და ეს ყველაფერი ხდება იქ, საიდანაც ანდრია პირველწოდებულმა

მართლმადიდებლობის ქადაგება დაიწყო. ხომ შეიძლება, მისი სახელობის პატარა სამლოცველო აიგოს.

ლევანი იდგა ეკლესიის ეზოში და გაოგნებული უფურებდა ადამიანის მიერ დადგმულ ამ მლიქნელურ სპექტაკლს, რომელსაც დედამიწის ზურგზე ანალოგი არ მოეპოვებოდა. გაახსენდა ლევანს ათას ცხრას ოთხმოცდათორმეტის ცივი ზამთარი და ბათუმის ფოსტის კართან მჯდარი მოხუცი მათხოვრის სიტყვები: „გარეთ რომ გაიხედო, ქრისტიანი ყველა დაჩაგრულია და მუსულმანი კი ხარობს“, ექვსი წლის შემდეგ ამ სიტყვების სისწორეში საბოლოოდ დარწმუნდება ლევანი.

ლევანმა ტაქსი გააჩერა და აეროპორტში წავიდა. უნდოდა, პირადად დარწმუნებულიყო, ფრენა იყო თბილისის მიმართულებით თუ არა. აეროპორტის მორიგემ უთხრა, სამი დღე კი არა, შეიძლება, ერთი კვირაც არ იყოს ფრენაო. ლევანი გვიან შევიდა ნომერში, ჩაჯდა სავარძელში და მთელი დღის დაღლილს ღრმად ჩაეძინა.

XX

ლევანს დილით სავარძელში გამოეღვიძა. კიდევ კარგი, ქურქი ეცვა, თორემ სულ მთლად გაითოშებოდა. უშანგის ისევ ეძინა. ლევანმა წყალი შეისხა სახეზე, თმები გადაივარცხნა და შურდულივით გავარდა ნომრიდან. სართულის მორიგეს შორიდან მიესალმა, მიაძახა:

— ახლავე მოვალ, — და ავტოვაგზლისკენ გაეშურა. ბათუმი პატარა ქალაქია, თითქმის ყველა დაწესებულება გვერდი-გვერდზეა თავმოყრილი, ისე, რომ ზშირად მანქანის გარეშე უფრო სწრაფად მოძრაობ.

ავტოსადგურში ორი ავტობუსი იდგა. ერთი ქუთაისში მიდიოდა, მეორე სამტრედიაში.

— რომელ საათზე გადიხარ? — ჰკითხა ბათუმი-სამტრედის ავტობუსის მძღოლს ლევანმა.

— თორმეტზე გავალ.

— სამტრედიაში რომელზე იქნები?

— ასე სამ საათზე.

— გზებზე მშვიდობაა? — ჩაეძია ბოლომდე ლევანი.

— აქა-იქ ღამღამობით აყაჩაღებენ, მაგრამ ჩვენ, სამტრედიელებს, არ გვკიდებენ ზელს, ბოლო-ბოლო მეზობლები ვართ, თან კიდევ დღისით ვმოძრაობ, ასე რომ, ცოტა ღმერთიც გადმოგვზედავს და მშვიდობით ჩავალთ.

— ხარაშოო, მაღლობა, მე მგონი მოგისწრებ, — ჩაილაპარაკა ლევანმა და ინტურისტში დაბრუნდა.

„მე მგონი, ავტობუსით წასვლა სჯობს“, — ფიქრობდა ლევანი — „აქედან სხვანაირად ვერ გავაღწევ, თან ორი პატარა ყუთია სათრევი, ეჭვს არ გამოიწვევს. ბოლო-ბოლო ამდენი სიფრთხილით შეიძლება ყველაფერი დაკარგო. ცოტა რისკიც საჭიროა. როგორც ამბობენ რუსები, „პტო ნე რისკურტ, ტოტ ი ნე პიოტ შამპანსკოე“, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს“.

მივიდა ნომერში, უშანგის დახედა, ისევ ეძინა.

— რა გაიჩხირე, ტო, ამისთანა, რომ ვეღარ დგები? — გასძახა უშანგის ლევანმა, თან ტელეფონზე ნომრის აკრეფა დაიწყო, — ადექი, მივდივართ, დროზე!

ლევანი ნაცხობ მაღალჩინოსანს ურეკავდა. მაღალჩინოსანი ადგილზე დახვდა. ლევანმა მოკლედ მოუთხრო ყველაფერი, მაღლობა გადაუხადა და უთხრა, დღის მეორე ნახევარში სამსახურში გნახავო. ეს ტყუილი იყო, მაგრამ ასე იყო საჭირო. ჯერ ერთი, მაღალჩინოსანი ავტობუსით გამგზავრების უფლებას არ მისცემდა, რადგან თავის დაზღვევა ერჩია. მეორეც, რაც მეტს ეცოდინებოდა, რომ ლევანი ფულით მიდიოდა, მით უფრო სახიფათო იქნებოდა მათი მგზავრობა. სიფრთხილე საჭირო იყო. ამ შემთხვევაში არც „კუდები“ იყო გამორიცხული. სამაგიეროდ, ლევანი უკვე თავის თავზე იღებდა პასუხისმგებლობას. ამასთან უშანგიც სათრევი ჰყავდა.

— უშანგი! — უკვე ხმამალლა დაუძახა ლევანმა, — ადექი, მივდივართ.

უშანგიმ თვალები გაახილა, გაიზმორა, ლევანს შეზედა, ჩაცმული რომ დაინახა, უთხრა:

— ახლავე ჩავიცმევ, ჩავიდეთ, ვივახშმოთ და მერე ისევ დაგიძინებ რა, თორემ ცუდად ვარ, ნალდად არ შევჭამდი, მაგრამ კიშკაობა ძალიან მინდა. აუ! მე მგონი რაღაც ატრავა გავიკეთე, კაროჩე რა! — დუღლუნებდა უშანგი.

— ბიჭო, შენ ნორმალური ხარ, ტო! — გამწარდა ლევანი, — ადმირალი ნახიმოვი არ გინდოდა გამოსულიყავი, იური გაგარინობა დამიწყე და ლიოტჩიკობა. რა საღამო, რის ვახშამი, თერთმეტი საათი ხდება, ადე, ჩაალაგე შენი „ჩაშკა-ლოუკა“, შენი ჩანთა და შენი თავი მაინც წამოიღე. აუუ! ამ ნარკომანებს როგორ ვერ გიტანთ!

— მაიცა რა, ლევან, მე ნარკომანი არა ვარ, ტო! — ძლივს ლუღლუღებდა უშანგი, — კვირაში ერთხელ თუ გავიგუთ, ეგ ნარკომანობაა?

— რა მნიშვნელობა აქვს, ტო, კვირაში ერთხელ შეჭამ ქაქს, თუ ყოველდღე, — გაეცინა ლევანს, — მაინც ქაქიჭამიას დაგიძახებენ. დავაი, დავაი, აღმზრდელობითი მუშაობის დრო არა მაქს ახლა, ხუთ წუთში ტუალეტიც მოითავე, დაიბანე, გაიხეხე, ჩაიცვი და წავედით.

— მაიცა, ტო! მაგეებში ჯარში ნახევარ საათს აძლევენ, მე ხუთ წუთში როგორ ჩავეტიო. — ხმას აუწია უშანგიმ.

— როგორც გინდა ჩაეტიე, მიდი, დავაი! საჭმელს გზაში გაჭმევ.

ხუთ წუთში არა და თხუთმეტ წუთში ლევანი და უშანგი ტაქსით ავტოვაგზლისკენ მიდიოდნენ. ავტობუსში კარგად მოეწყვნენ და ზუსტად თორმეტ საათზე დაიძრნენ. ხუთი წუთი არ იყო გასული, რომ თოვლიანი წვიმაც დაიწყო. ამ წვიმამ მიიღო ლევანი ბათუმში და ეს წვიმა აცილებდა მას ბათუმიდან.

სამტრედიამდე ისე იარეს, რომ ავტობუსი სულ სამჯერ გააჩერეს, ერთხელ ჩოლოქზე, მეორედ წყალწმინდის პოსტზე და მესამედ დაფნარში. აქაც მძღოლის საბუთები გასინჯეს და გაატარეს. ლევანი მაინც დაძაბულ მგზავრობას ელოდა და, როცა ასე ადვილად ჩამოვიდა სამტრედის ავტოსადგურში, რაღაც ეუცნაურა, არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ასე მშვიდობიანად დამთავრდა. სახლამდე მიყვანა უკვე უშანგის საქმე იყო, რადგან სადაც კოტე და ტოტოშა ელოდებოდნენ, ის ხალხი კოტეს და უშანგის ახლობლები იყვნენ. გააჩერეს ტაქსი, ჩააბარგეს მილიონები მანქანის საბარგულში. უშანგიმ მძღოლს ანიშნა, პირდაპირ იარეო და მაშინვე ჩაეძინა. კიდევ კარგი, ლევანს მისამართი ჰქონდა და ადგილზე, როგორც იქნა, მივიდა. სახლის პატრონებმა მანქანის ხმაზე კოტე და ტოტოშა გამოახედეს. ატყდა ხვევნა-კოცნა და მოკითხვები, მაგრამ უშანგი საგონებელში ვერ ჩააგდეს. იძულებული გახდნენ, გაუხადათ ტანისამოსი, ფეხსაცმელი და ჩაეწვინათ ლოგინში.

ახლობლურ ატმოსფეროში რომ იგრძნო თავი, ლევანიც მოეშვა და იქვე, ტახტზე მიეძინა.

საღამოს ლევანი გემრიელი საჭმელების სუნმა გამოაღვიძა. სუნი იქვე სახლთან მდებარე პატარა ქოხიდან გამოდიოდა. იმერეთში ასეთ ქოხს სამზად სახლს უწოდებენ. იქ ყველაფერი თითქმის ძველქართულ ყაიდაზე მოწყობილი. შუაცეცხლი, ცეცხლის თავზე დაკიდებული ლორის და შებოლილი სულგუნის ნაჭრები. თაროებზე ჯამები, კულები, კეცები, ქვაბები და ყველა ის ჭურჭელი, რაც გურმანებისათვისაა საჭირო. ლევანი წამოდგა, შევიდა სამზად სახლში და გაოცდა. შუა ცეცხლზე ჩამოკიდებულ ქვაბში ხინკალი იხარშებოდა. იქვე კოტე, ოჯახის უფროსი და დიასახლისი ისხდნენ.

— ყველაფერს ვითიქერებდი, — გაოცებულმა წარმოთქვა ლევანმა, — მაგრამ სამტრედიაში შუა ცეცხლზე ხინკლის მოხარშვას თუ ვნახავდი, ამას ნალიად ვერ წარმოვიდგენდი. სხვას რომ ეთქვა, არ დავუჯერებდი. აქ ღომი, მოხარშული

დედალი და კიდევ სხვა თქვენებური ბლუდები რომ იყოს, არ არის გასაკვირი, მაგრამ სამტრედია და ხინკალი, თან შუაცეცხლზე, პირველად ვნახე.

— დედალიც გვაქვს, ღომიც, საცივიც და კიდევ სხვაც, ბატონო ლევან, — მორიდებით წამოიწყო საუბარი ოჯახის უფროსმა, — მაგრამ კოტეს ხინკალი მონატრებია ნამეტანი და ჩვენც ყველანაირად ვეცადეთ, შეგვესრულებინა ნატვრა. მე მონი, კარგი უნდა გამევიდეს.

— ოჯახის ნამეტანი შეწუხება ხომ არ გამოდის, ჩემო კოტე! — საყვედური გამოოქვა ლევანმა, — ხვალ თბილისში ჩავიდოდთ და იქ შევჭამდით ხინკალს. ვიცი, ადვილი გასაკეთებელი არ არის.

— კაი, ლევან, ამბაკო ბიძია ახლობელი რომ არ იყოს, არც გავუბედავდი, მარა....

— მარა, რას იზამ, მუცელა ხარ და არაფერს მოერიდე არა? — თქვა ლევანმა, თან ამბაკოს მხარზე ხელი მოხვია და ღიმილით უთხრა, — დიდებული კაცი ბრძანდებით, ბატონო ამბაკო, ღმერთმა ამრავლოს თქვენი გვარი.

— გმადლობთ, ბიძია, თქვენ იყავით კარგად, ჩვენ კი მოვჭამეთ ჩვენი დრო, ნეტაი მალე დაწყნარდეს ყოლისფერი, რომ მოგეცეთ ნორმალური ცხოვრების საშვალება, — სევდანარევი ხმით თქვა ამბაკომდა მეუღლეს გასძახა, — ნათელა, მორჩი ახლა ამფუსფუსს და გაგვიშალე სუფრა. ისე მართლა, ბიჭებო, სახლში გავშალოთ სუფრა, აჯობებს ხომ? თორექ აქ მაინც ბოლის სუნია.

— არა, ბატონო ამბაკო, აქ იყოს, აქ პურის ჭამას რა სჯობს, კაცოლ! — მოვიდა ხასიათზე ლევანი, — ჩვენ ისეთი გზა გამოვიარეთ, ასეთი შინაური აგმოსფერო თუ დაგვაწყნარებს.

— როგორც თქვენ გესიამოვნებათ, ჩემო ბატონო. — მორიდებით თქვა ამბაკომ და მეუღლესთან ერთად სუფრის გაშლას შეუდგა.

გადასარევი პურმარილი იციან იმერეთში. შესანიშნავი საცივი, მრგვალად მოხარშული დედალი, ამოზელილი ლობიო, ხაჭაპურები და, რა ვიცი, კიდევ რა. კოტემ მიიღვა ხინკალი, ლამის ჩავარდა თეფშში.

— ამ ჭიქით თქვენს მობრძანებას და ჩვენს აქ დახვედრას გაუმარჯოს! — ასწია ჭიქა ამბაკომ, — სულ კარგად და ჯანმრთელად მენახეთ. მიუჭახუნა ჭიქა ლევანს და ორივემ ჩამოსცალეს ცოლიკაურით სავსე ჭიქები.

ივახშემეს გემრიელად, ისაუბრეს აქეთურზე, იქეთურზე და მალე დაამთავრეს ქეიფი, რადგან დილით თბილისში იყვნენ წასასვლელნი.

მასპინძელმა ოთხივე სტუმარი განცალკევებულ ოთახში ერთად მოასვენა. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. რა დააძინებდათ, თუ ერთმანეთს არ მოუყვებოდნენ იმ თავგადასავლებს, რაც გზაში გადახდათ. ჯერ ლევანმა მოყვა თავისი თავგადასავალი.

— მაგრად გიწვალია, — აღნიშნა კოტემ, — ამხელა რისკზე მაინც არ უნდა წასულიყავი, უული რომ დაგეკარგა, რას იზამდი?

— რატომდაც დარწმუნებული ვიყავი, რომ არ დავკარგავდი, — მტკიცედ თქვა ლევანმა.

— ჩვენც ასე ვიყავით დარწმუნებული, მაგრამ... არაფერი უთქვაშს რომანს? — ჰკითხა კოტემ.

— რა უნდა ეთქვა? — თვალი თვალში გაუყარა ლევანმა კოტეს და რომანის უცნაური ქცევები გაახსენდა სოხუმში. თითქმს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა.

— რა და შენი წასკლიდან მესამე დღეს ჩვენ ბათუმში მოვფრინავდით. ერთი თვითმფრინავი ბათუმი-თბილისი გაიჩითა. ყველა ყუთი, გარდა გახსნილისა ბარგში ჩავდეთ, ხოლო გახსნილი სალონში ავიტანეთ, არავის არ გავუჩითივართ. გაფრენამდე ათი წუთით ადრე თვითმფრინავში ავტომატიანი ზვიადისტები შემოვიდნენ, დაიწყეს ხალხის დათვალიერება. ვინც არ მოეწონებოდათ, ჩითავდნენ.

— შენ მოეწონე თუ არა? — ანერვიულდა ლევანი, უკვე იცოდა, კოტეს რაც უნდა ეთქვა, — ნულარ წელავ, თქვი.

— ჰოდა, ვამბობ რა, — აწრიბინდა კოტე, — ეს მასტი რა, ზვიადისტი, მომიახლოვდა. რა გიდევს ყუთშიო? ვიცოდი, რომ გამჩითავდა და ტყუილის თქმას აზრი არ ჰქონდა. მე ვუთხარი

მოსკოვიდან ბათუმში ფული მიმაქვს იქაური ზვიადისტებისთვის-მეთქი. ყუთში ხელი ჩაყო, მართლა ფული რომ ნახა, სულ დაავიწყდა ზვიადიც და საქართველოც. წართმევა მოინდომა. თუ არ დატოვებ, ჩამოგაგდებ თვითმფრინავიდან და სიცოცხლეს გამოგასალმებო. მერე იძულებული გავხდი, რომან კორკელიას სახელი მომეშველიებინა. კაკრაზ რომანი აეროპორტიდან არ იყო წასული, ილუმინატორიდან დავინახე და ზვიადისტსაც დავნახე. ის ჩავიდა და ტრაპთან დამიძახეს. კაროჩე, ნახევარი უნდა დატოვოო, რომანმაც მითხრა, სხვა გზა არ არისო.

- ესე იგი რომანს ჩაუშვიხარ, — ნერვიულობდა ლევანი.
- არა, ტო, რომანი მაგას არ იზამდა, შენ ხომ იცნობ.
- ჰო, მერე რა ქენით.
- კაროჩე, ორასი ათასი წაიღეს. — მოჭრა მოკლედ კოტემ.
- კოტე, მთლად კარგად ვერ დადგი სცენარი. — თვალი თვალში გაუყარა ლევანმა.
- ჰა, ჰა, ჰა, ვერ გამოგვივიდა, ტოტოშ, გაშაფირება, — ატეხა ხარხარი კოტემ, — მიხვდა, ტო!
- ბიჭო, შენ დებილი გგონივარ ნალდად, არა? — ჰკითხა ლევანმა, — ახლა მითხარი, ეგ ზღაპრები რისთვის მოყევი?
- რატომ მოვუევი და თბილისში ამ ფულს ჩავუტანთ ლორიას, ეს ამბავი უნდა მოვუევეთ, ხოლო ის ვითომ წართმეული ფული გაიჭრება ხუთ კაცზე.
- მეხუთე ვინდა?
- რომანი, მე უკვე დავუტოვე ორმოცი ათასი და ისიც იგივეს იტყვის, რაც ახლა მე მოგიყევი, შენც ამას იტყვი, — დაარიგა ჰქუა კოტემ.
- ლევანი ახლა მიხვდა, რატომ ნერვიულობდა რომანი. „წესიერი კაცი იყო რომან კორკელია, მაგრამ ამ ნაძირალაბ გადაიყვანა თავის ჭკუაზე. რაღაცას მოუწყობდა. შეიძლება ისიც გამოიყენა, რომ მის სახლში დაიკარგა თექვსმეტი ათასი მანეთი. ესე იგი ფულის მოპარვა მოსწყინდათ და ლია წაგლეჯვაზე გადავიდნენ.“

ლევანმა თავი გადაიქნია:

- ლორიას ვინ მოუყვება ამ ამბავს?
- შენ უნდა მოუყვე, პასუხისმგებელი ხომ შენა ხარ – თავჩაღუნულმა უთხრა კოტემ.
- მე არაფერს არ მოვუყვები, შენ გადაგხდა და შენ მოუყვები,
- კვლავ ანერვიულდა ლევანი, – არ მინდა მე ეგეთი ბინბური ფული, მე საქმისანი ვარ, არა ქურდი და ყაჩალი.

ლევანმა სიგარეტი ამოიღო, გარეთ გავიდა, მოუკიდა და ცხელ გულზე ორი მოქაჩით შუამდე ჩაიყვანა. „ვინ არის ეს თაღლითი, – აეკვიატა ფიქრები ლევანს, – რას მიმყავდა მოსკოვში. ჩემი დაქცევის მეტი არაფერი უკეთებია. სახელმწიფო ფულის, ისიც კრედიტის, მოპარვა შეიძლება, კაცო?! გიჟია ოხერი, ისე ინაწილებენ, თითქოს მამამისის ქონება იყოს. თან მე უნდა ვიღაპარაკო, მე უნდა მოვაწერო ხელი, პასუხისმგებლობა მე უნდა ავიღო ჩემს თავზე, ამან უნდა მოიპაროს და პოლნი წილი წაიღოს. რა კარგი მათემატიკაა. მაგრამ ვის აბრალებ, შენი ბრალია ყველაფერი, მაგისთვის დიდი ფული არ უნდა მეჩვენებინა, გაითიშა. ახლა ისეთ სიტუაციაშია, შეიძლება, ფულის გულისთვის კაცი მოკლას“. ბევრი აფრთხილებდა, მაგ კაცში კარგი სული არ ტრიალებსო, მაგრამ არ უჯერებდა არავის. მართლა კახელივით შეჯდა ვირზე და აღარ ჩამოვიდა. შედეგებიც მოიმკა.

გარეთ ბიჭებიც გამოიშალნენ. ტოტოშა მიუახლოვდა ლევანს, მხარზე ხელი გადახვია და უთხრა:

- ლევან, წამოღი, დღეს დავისვენოთ და ხვალ თბილისში გადავწყვიტო ყველაფერი.

ლევანი ხმის ამოუღებლად გაპყვა ტოტოშას, დაწვა, მაგრამ რა დააძინებდა, ყველაფერი შეამად ამოადინეს ამ არაკაცებმა. ერთი სული ჰქონდა, ეს ფული თბილისში პატრონამდე მიეტანა, რომ დაესვენა. ნერვები დახეთქვაზე ჰქონდა. უკვე თვეზე მეტია, ოცდაოთხი საათი ფულზე ფიქრობდა, როგორ დაესურდავებინა, როგორ შეენახა, როგორ გადაეტანა და ასე შემდეგ.

XXI

დილით გადაწყვიტეს ერთი ავტობუსით ლევანი და კოტე წავიდოდნენ და ორ მილიონს წაიღებდნენ. მეორე ატობუსით უშანგი და ტოტოშა და დანარჩენ ფულს ისინი წაიღებდნენ. ერთიანად ერთი ავტობუსით წაღება მაინც არ გარისკეს ბიჭებმა და სწორადაც მოიქცენ. ნათქვამია: „ეშმაკს არ სძინავსო.“

ათ საათზე ლევანი და კოტე ორი მილიონით თბილისისკენ დაიძრნენ. ერთ საათში უშანგი და ტოტოშა გაპყვებოდნენ. ლევანმა პირჯვარი გადაიწერა, გულში წმინდა გიორგის შესთხოვა საქმის მშვიდობიანად დამთავრება და შეპირდა ცხვრის დაკვლას დიდი მარხვის დაწყებამდე. საგზაო პოლიციის ყველა პოსტზე პიკეტები იყო მოწყობილი. ყველა მანქნას აჩერებდნენ. ჩხრეკით არ ჩხრეკდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, ვიღაცას ეძებდნენ და ყველა მგზავრს დაკვირვებით ათვალიერებდნენ. ლევანს და კოტეს საეჭვო შეხედულება არ ჰქონდათ, მაგრამ ლევანს დარღი ჰქონდა უკან მომავალი უშანგისა და ტოტოშასი. რომ შეხედავდი, ორივე ციხიდან გამოქცეულ დამნაშავეს ჰგავდა. უშანგის სახეზე კი ნარკომანობა აშერად იკითხებოდა.

— ერთ-ერთი მეორე ავტობუსში უნდა დავრჩენილიყავით, — გადაუჩრჩულა ლევანმა კოტეს, — ძალიან მაფიქრებს იმათი ამბავი.

— მიხედავენ თავს, არ ინერვიულო, ლევან, — დააწენარა კოტემ, — ახლა მაინც ვერაფერს შევცვლით.

— რაც არის, არის, — კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი ლევანმა და წმინდა გიორგის კიდევ ერთხელ სთხოვა დახმარება.

საღამოს ოთხ საათზე ავტობუსი დიდუბის ავტოვაგზლის ტერიტორიაზე გაჩერდა. ლევანი და კოტე თავიანთი ბარგით ჩამოვიდნენ ავტობუსიდან, ტაქსი დაიქირავეს და, როგორც წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი, კოტესთან წავიდნენ სახლში, სადაც ტოტოშას და უშანგის უნდა დალოდებოდნენ.

კოტესთან დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ მონატრებულებს. ატყდა ხვევნა-კოცნა, მოკითხვები.

— რადგან თქვენ ცოცხლებს გხედავთ, აწი რაღა მიჭირს, აღარ მოვავდები, — გადი-გამოდიოდა ოთახებში კოტეს დედა, ხშირ-ხშირად ქუჩაში გამავალ ფანჯრებში იყურებოდა, ნერვიულობდა, უშანგის და ტოტოშას ელოდებოდა.

ლევანმა სახლში არ გადარეკა, არ იცოდა, ამათი გადამკიდე როდის მივიდოდა ოჯახში. უშანგიმ და ტოტოშამ სამ საათზე მეტი დააგვიანეს. სამაგიეროდ უვნებლად ჩამოვიდნენ.

— ახლა მეც გამათავისუფლეთ, — თქვა ლევანმა, — წავალ ოჯახში, ცოლ-შვილს ვნახავ და დილით აქა ვარ, ლორიას უნდა დავურეკოთ და გადავცეთ თანხა.

ლევანი ამ დროს სოლილაკში ცხოვრობდა. ტაქსით უცბად გავიდა. სახლში შევიდა თუ არა, ცოლ-შვილი შემოეგება. მათთან ჩახუტებული იყო თითქმის ათი წუთი. ვეღარ სცილდებოდნენ ერთმანეთს. თურმე, როგორ მონატრებიათ ერთმანეთი. ბოლოს სიჩუმე ისევ გოგონამ დაარღვია, რომელიც შვიდ წელს უკვე გადაცილებული იყო:

— მამიკო, რა ჩამოგვიტანე?

— რაც გადარჩა, ყველაფერი აქ არის, ჩანთაში, — თქვა ლევანმა და დაიწყო ამოლაგება სათამაშოების, ჩასაცმელის, ტკბილეულის და ასე შემდეგ. ბოლოს წამოწვა იქვე დივანზე და ისე ჩაეძინა, ვერც მეუღლემ და ვერც ბავშვებმა ვეღარ გააღვიძეს. მუსლინს უნდოდა, საწოლზე ნორმალურად დაეწვინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მან ჯერ არ იცოდა, რომ ლევანი შეჩვეული იყო ასეთ ძილს.

დილით ადრე ადგა. გაიპარსა, გამოეწყო. მძინარე ცოლ-შვილს აკოცა და კოტესთან გაეშურა. იქ რომ მივიდა, ყველანი გააღვიძა. ტოტოშას გადაურეკეს, დაელოდნენ მის მოსვლას და მერე ოთხივენი ფულთან ერთად ოთახში ჩაიკეტნენ.

— კოტე, გზაში ხარჯი რამდენი იყო? — იკითხა ლევანმა.

- ოცდაერთი ათასი, პლუს დაკარგული სამი და თექვსმეტი ათასი, სულ ორმოცი ათასი, — მოკლედ მოჭრა კოტებ.
- ჩვენზე გამოყოფილ ასი ათასს გამოაკელი ეგ ორმოცი და ძირითად თანხას დაადე, — აუხსნა ლევანმა.
- ეგ როგორ, ტო!
- როგორ და ჭრელად, — მიუგო ლევანმა, — გელაშვილმა გარკვევით გვითხრა, ეს ასი ათასი თქვენ, მასში ხარჯებიც შედისო.
- მერე ის სამი და თექვსმეტი ჩვენ ხომ არ დაგვიხარჯავს, მოიპარეს. თან ამდენი ვიწვალეთ. ეს ხარჯი საერთო ფულიდან უნდა გამოვიდეს, — არ ცხრებოდა კოტე.
- ჩვენ ჯერ ასე გავაკეთოთ, მე როგორც გეუბნები, — კიდევ ერთხელ დაიწყო ლევანმა, — გელაშვილი ისეთი გაუგებარი კაცი არ არის, რომ ზარალი არ აგვინაზღაუროს.
- კარგი, იმ ორასს რა ვუყოთ, ლორიას არ დაელაპარაკები? — ჰკითხა კოტემ ლევანს და ანერვიულებული პასუხს დაელოდა.
- ეგ თავგადასავალი შენ შეთხე და შენვე დაელაპარაკე ლორიას, — დამშვიდებულმა უთხრა ლევანმა, — მე ხმას არ ამოვიღებ, განა იმიტომ, რომ ფულის მოტყუებით ხელში ჩაგდება მაქვს განზრახული, არამედ იმიტომ, რომ ამ საქმეში რომან კორკელია ჩაითრიეთ და არ მინდა, მისი სახელი და ჩვენზე გაწეული პატივისცემა ლაფში ამოვსვარო. კიდევ ვაცხადებ, მე ხმას არ ამოვიღებ.
- კოტე წამოხტა და ნერვიულად დაიწყო წინ და უკან სიარული.
- ბიჭო, რას ნერვიულობ, სწორად არ ვლაპარაკობ? უშანგი, შენ მაინც ამოიღე ხმა, — შეხედა უშანგის ლევანმა, — თითქოს ფული ჩემი იყოს და არ ვაძლევდე.
- ლევან! — დაიწყო წყნარად უშანგიმ, — მაგ თქვენი ორასი ათასის თქვენ გაარკვიეთ, მძაო, მე კი ჩემი ორასი ათასი მომიხსენი. მე არასდროს მარტო არ მიყვარს ჭამა. ამიტომ პა სოროკ ტიშის გამოვდივარ შენზე, რომანზე, კოტეზე, ტოტოშაზე და ჩემზე. ხო სპრავიდლივია, მძაო?

— რა ორასი, რა სოროკ ტიშებზე ლაპარაკობ, ტო? — დაიბნა ლევანი.

— რაზე, მმაო, და, — განაგრძო უშანგიშ, — ამდენი მიწვალია, მივლია, მინერვიულია, როგორ არ მეკუთვნის. მაგრამ კოტესგან განსხვავებით ამ თემაზე ლორიას მე დაველაპარაკები.

— აუჰ! აბა თქვენა ხართ, მმაო! — ხელები თავში წაიშინა ლევანმა, — არ იცით, რომ ყველაფერ ამას მე დამაწერებ.

— შენ არავინ დაგაწერს, — უთხრა უშანგიშ, — დაურეკე ლორიას, მოვიდეს და წაიღოს ფული.

კოტებ და უშანგიშ ნახევარი მილიონი უცბად გაანაწილეს. მოსკოვში მოპარული ორასი ათასი და ასორმოცდათი ათასი ცალკე იყო წაღებული. გზა კიდევ რომ გაგრძელებულიყო, შეიძლება მთელი ფულის მითვისება დაეწყოთ. ამას მარტო, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდნენ, რადგან ორივე ძმა მშიშარა იყო. ესე იგი მათ უკან რაღაც სხვა ძალა იდგა, რომელიც ასპარეზზე არ იყო გამოსული.

ლევანმა ლორიას დაურეკა. ლორია არ იყო ის პიროვნება, ფულის წასაღებად კოტეს სახლში მისულიყო. კოტე სულ სამჯერ თუ ოთხჯერ ჰყავდა ნანაზი. მან ფულის მიტანა ოფისში მოითხოვა. სწორადაც მოიქცა, რადგან დაყაჩალების ფაქტორი მთლიანად ამოაგდო დღის წესრიგიდან.

ბიჭები გავიდნენ ქალაქში. საჭესთან კოტე იჯდა.

— კოტე, ერთი გაგვატარე რუსთაველზე, კიტოვანის შემოქმედება ვნახოთ, — სთხოვა ლევანმა.

საშინელი სანახავი იყო თავისუფლების მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. დანგრეული შენობები, გაშავებული კედლები. ამას თავის დროზე თემურ ლენგი არ გააკეთებდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს ეს ყველაფერი სპეციალურად გაკეთდა, რევოლუციური იერი რომ მიეცათ გადატრიალებისთვის.

— რაში სჭირდებოდათ ქალაქის დანგრევა? — აეშალა ნერვები ლევანს, — გამსახურდია ისე არ წავიდოდა თუ რა. ეეჲ, ერთი

პოეტის თქმისა არ იყოს, ამ ქვეყანაში „ძალლი პატრონს ვერა სცნობს და ძალლს ვერა სცნობს პატრონი“.

— პოლა, შენ გინდა, რომ ლორიას ფული მისცე? — იპოვა მომენტი კოტებ.

— კოტე, ეს ფული არც შენია, არც ჩემი და არც ლორიასი, — აუზნა ლევანმა.

— აბა ვისია?

— ვისია და სახელმწიფოსი. — მიუგო ლევანმა.

— ახლა ხომ ნახე, რომ აღარც სახელმწიფოა და აღარც მთავრობა, — გულიანად გაეცინა კოტეს. თან გაიფიქრა, „ეს რა კარგად მოვარტყონ“.

— კოტე, როცა იქნება მოგვითხავენ და ჩემი ბედი რომ ვიცი, მე გადამახდევინებენ ყველაფერს. — თქვა ლევანმა და სიგარეტი ფანჯრიდან მოისროლა.

ყველანი გაჩერდნენ.

ლორია ჩვეული თავშეკავებით შეხვდა ბიჭებს ოფისში. მიულოცა მშვიდობით დაბრუნება. მოკითხვების შემდეგ საქმეზე გადავიდა. ლევანმა პოლონელების კონტრაქტი გააცნო. ლორიასთან ერთად კიდევ ერთხელ ჩაიკითხა თავიდან ბოლომდე მიღებული და გაგზავნილი ფაქსები. ლორია ნაძლადევად უსმენდა. ლევანმა ეს შეატყო და ამიტომ მოკლედ მოჭრა ყველა საკითხი.

— ფული აქ გაქვთ? — იკითხა ლორიამ.

— კი, მანქანაშია, — უთხრა ლევანმა, — აქ ამოვიტანოთ?

— ხო. მერე მე ავიტან მთავრობაში. სამი მილიონ ცხრასი უნდა იყოს ხომ? ასე მითხრა ტელეფონით გელაშვილმა. რომანიც მელაპარაკა, რაღაც ინციდენტი მოხდაო, მეუბნებოდა, ბიჭები გეტყვიანო. — მოსასმენად მოემზადა შევი.

ლევანმა კოტეს შეხედა. კოტემ დაიწყო დაზეპირებული ტექსტი და ბოლომდე უშეცდომოდ ჩავიდა.

— ისე, კაცმა რომ თქვას, — დინჯად დაიწყო საუბარი ლორიამ, — ამ ფულზე პასუხი რომანმა უნდა აგოს და ნაწილობრივ თქვენც.

რომანს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა ამ ინციდენტის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ არა უშავს, ეს თანხა შემდგომში თქვენი მოგებიდან ჩამოიჭრება. ესე იგი, დარჩა სამი მილიონ შვიდასი ათასი მანეთი.

— მაქედან ხარჯი ორმოცი ათასი იყო, — უთხრა კოტებ. — ხარჯისთვის თქვენ გელაშვილმა ასი ათასი მოგცათ და ამიტომ იქიდან გაქვითეთ, — თქვა ლორიამ, დავიწყოთ ფულის დათვლა.

— ბატონო ჩემო, — საუბარში ჩაერთო უშანგი, — სანამ ფულის დათვლას დაიწყებდეთ, მეც მომისმინეთ და მერე მე და ჩემი მეგობარი ხელს არ შეგიშლით. მე ამ ფულის ჩამოტანისთვის თავი საფრთხეში ჩავიგდე და ამიტომ ამ ფულიდან ორასი ათასი ჩემთვის მოგხსენი, რადგან ის მე სამართლიანად მეკუთვნის.

— ლევან, ვინ არის ეს კაცი? — იკითხა ლორიამ.
— კოტეს ძმა, უშანგი, ჩვენ გვეხმარებოდა.
— მერე დახმარებაში ორასი ათასს აძლევ?
— მე რას ვაძლევ, — ფეხზე წამოდგა ლევანი, — თვითონ იღებს.
— ესე იგი, რადგან თვითონ იღებს და შენი მოყვანილია, ეს ორასი ათასი შენ დაგეწერება.

— რაც გინდათ ის ქენით, — კარი გამოაღო ლევანმა, — კოტე, მიუთვალეთ ფული. მე სახლში ვიქნები.
— რა არის, ლევან, გეწყინა რამე? — ჰერი ლორიამ.
— არა, უბრალოდ, დავიღალე, მოსკოვიდან უკვე ორ კვირაზე მეტია მოვდივართ და ოჯახში დასვენება მინდა, — თქვა ლევანმა, გააღო კარი და დაეშვა კიბეებზე.

XXII

მეორე დღეს კოტებ მეუღლესთან ერთად ლევანს შეუარა სახლში. მუხიანში ახალი ბაზრობა გაუხსნიათ და მეუღლებს ვუყიდოთ რამეო.

ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ.

— როგორ დაამთავრეთ გუშინ ვიზიტი? — პკითხა ლევანმა კოტეს.

— მივუთვალეთ სამნახევარი. დანარჩენზე გელაშვილს ელაპარაკა, უამბო ყველაფერი. ის იქ გადაირია და ლევანს უთხარით, დამირეკოსო.

— რაც გითხარით, გამართლდა ხომ? — თქვა ლევანმა და კოტეს შეხედა, — ყველა ჯოხი ჩემზე გადატეხეთ. მეტის ღირსი ვარ. კოტე, შენ ეს არ უნდა დაგეშვა.

— რა ვქნა, მმაო, მე არ მიჯერებს ეგ კაცი, — თავი იმართლა კოტემ.

— მაშინ არ უნდა ჩამოგეყვანა მოსკოვში და პრობლემებიც აღარ გვექნებოდა, — უსაყვედურა ლევანმა, — კარგი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს.

მუხიანის ბაზრობა დიდი არ იყო, მაგრამ ქალების გადამკიდე ხუთი წრე მაინც დაარტყებს. იყიდეს რაღაც-რაღაცები. ლევანმა შეამჩნია, რომ კოტე სულ ორმოცდაათმანეთიან კუპიურებს ხარჯავდა. გაუკვირდა, რადგან მათ რაც დაიტოვეს, სულ ასი და ორასმანეთიანი კუპიურები იყო. კოტემ დაიჭირა ლევანის გამოხედვა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. შეცდა. თავის თავს გაუბრაზდა, რამ წამომაღებინა ორმოცდაათმანეთიანებიო. ლევანი საბოლოოდ მიხვდა, რომ მოსკოვში ობლიგაციების გაქრობაში კოტეს ხელიც ერთა.

საღამოს გელაშვილმა თვითონ დაურეკა ლევანს:

— ყველაფერი ვიცი, არ ინერვიულო. სამი-ოთხი დღე დაისვენე და ჩამოდი, პოლონელებთან დამატებითი პირობებია მოსალაპარაკებელი. დანარჩენზე აქ მოვისაუბროთ. წამოსვლის წინა დღეს დარეკე, აეროპორტში მანქანას დაგახვედრებ.

— აუც! ვინ არიან ესენი, კიდევ მოსკოვი!? აღარ შემიძლია, — ამოიოხრა ლევანმა და საგარძელში ჩაეშვა.

სამი დღის შემდეგ ლევანი მოსკოვში, სასტუმრო „როსიას“ სამხრეთ ბლოკის ერთ-ერთ ნომერში გელაშვილთან პირისპირ იჯდა და საუბრობდა. რაც გადაიტანეს ფულის თბილისში ჩატანის პერიოდში, მართლა მძიმედა აუტანელი იყო, მაგრამ ამის გულისთვის ამხელა თანხის თვითნებურად მოხსნა ყოველგვარ საზღვრებს სცილდებოდა.

— კარგი, რაც არის, არის, — აწყნარებდა ლევანს გელაშვილი,
— ხორბალში იმდენი დარჩება, ეგ ყველაფერი სასაცილოდ
მოგეჩვენება. მე კარგად მესმის, რომ შენ ამ საქმეში სუფთა ხარ,
მაგრამ ეგ ხალხი შენი მოყვანილია და პასუხსაც შენ აგებ. მაგათ
შენ გამოგიყენეს.

— ჰო რა, განტევების ვაცი გამოვედი, — ჩაილაპარაკა ლევანმა
და წინ გადაშლილ დოკუმენტაციას დაუწყო თვალიერება.

ზაურ გელაშვილმა ლევანს დაწვრილებით აუხსნა რა
საკითხებზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება პოლონელებთან
მოლაპარაკების დროს. იცოდა, ლევანი ადვილად მოაბამდა თავს
ამ საქმეს. ამიტომაც უფერებოდნენ, ჯერ სჭირდებოდათ.

ორ დღეში ლევანი და დათო კინტერაია, ვინიცაში
გაემგზავრნენ. ვინიციდან ლევანი კიევში უნდა ჩასულიყო ერთ-
ერთ სოლიდურ ფირმასთან ხელშეკრულების გასაფორმებლად,
რის საფუძველზეც გერმანიიდნ კიევში, ხოლო შემდეგ
კიევიდან თბილისში სამრეწველო საქონელი უნდა
გადაეტვირთათ. სახელშეკრულებო თანხა აქაც სოლიდური
იყო, — ორმოცდათორმეტი მილიონი მანეთი.

ლევანი და დათო ვინიცაში ერთი დღე გაჩერდნენ. შემდეგ
ლევანი კიევში წავიდა, ხოლო დათო ახალი კონტრაქტით
მოსკოვში დაბრუნდა. კიევში ლევანს მაღალი დონის შეხვედრა
მოუწყეს. იმავე დღეს ლევანის პარტნიორიც ჩამოვიდა
თბილისიდან. მოლაპარაკება სამ დღეს გაგრძელდა. კიევმა
წინასწარი გადარიცხვა მოითხოვა. გელაშვილს დაუკავშირდა

ლევანი. ზაურმა დასტური მისცა და ლევანმაც ხელი მოაწერა კონტრაქტს. მოსკოვში წასვლამდე ლევანი წმინდა ვლადიმირის ტაძარში შევიდა, წმინდა გიორგის ხატთან სანთელი დაანთო, ბოდიში მოუხადა, რომ საკლავი აქეთ-იქით სიარულის გამო ვერ დაკლა. როგორც ჩავიდოდა საქართველოში მაშინვე აღასრულებდა დანაპირებს. ლევანმა თავისი პარტნიორი თბილისში გამოუშვა, რათა წინასწარი სამუშაოები ჩაეტარებინა თანხის გადმორიცხვისათვის, ხოლო თვითონ ისევ მოსკოვში გადაფრინდა გელაშვილთან. ერთი კვირის განმავლობაში მან და ზაურმა რამოდენიმე მოლაპარაკება აწარმოეს სხვადასხვა ფირმასთან, მაგრამ უშედეგოდ.

ერთ დღესაც, როდესაც ლევანი საღამოს ნომერში შემოვიდა, გელაშვილმა ხელები გაშალა და სევდანარევი ღიმილით შესძახა:

— მომილოცე, ლევან, მომილოცე, მეც გადამაგდეს.

— რაო?

— რაო და ლორიას თქვენი ჩატანილი ფულით საბურთალოზე კერძო სახლი უყიდია. ეგეც შენი ხორბალი. ლამის მესამედ დამარტყას ინფარქტმა. არადა, კრედიტი ჩემს სახელზეა გაფორმებული.

ლევანი უკვე თავს ვეღარ უყრიდა აზრებს, ისე აერ-დაერია ყველაფერი, რომ ქურქის ჩაცმა დაიწყო.

— სად მიდიხარ? — შეეკითხა გელაშვილი.

— ვაჲ! თავი თბილისში წარმოვიდგინე, სახლში ვაპირებდი წასვლას.

— დღეს არა, მაგრამ ხვალ ორივენი ერთად წავიდეთ, — თქვა გელაშვილმა და საძინებელში შევიდა.

XXIII

თბილისში ჩამოსვლისთანვე ლევანი გელაშვილს ერთი დღით გაეთავისუფლა და ოჯახიანად სოფელში წავიდა. დიდი მარტვა ახლოვდებოდა, ლევანს უნდოდა, შეპირებული საქლავი შეეწირა წმინდა გიორგისათვის.

ლევანის საგვარეულო სალოცავი, თავი წმინდა გიორგის ეკლესია, სოფელ პატარძეულის თავზე, ციკ გომბორის მთიანეთში მდებარეობს. ვინაიდან სოფელში თოვლი იყო, მთებში ასვლას მარტო ტრაქტორით თუ მოახერხებდნენ. ლევანმა რამდენიმე ახლობელი გაიყოლა, ცხვარი იყიდა, გადავიდა პატარძეულში, იქირავა ტრაქტორი და წავიდნენ სალოცავში. ტრაქტორი თავიდან კარგად მიიკვლევდა გზას. შემდეგ თანდათან გაუჭირდა. ბოლოს თოვლის სიმაღლე იმდენად გაიზარდა, რომ ტრაქტორმაც ვეღარ შეძლო სვლა. დაახლოებით ოთხასი მეტრი ფეხით იყო გასავლელი. ბიჭებმა ფაქტიურად ხოხვით გაიარეს მთის ფერდი და ცოტა რომ გაივაკეს, სალოცავთან უკვე შეიძლებოდა მისვლა. ისე ხვავრიელად ბარდნიდა, რომ ხედვაც კი ჭირდა. ლევანის ახლობელმა, დათომ, ცხვარი ლევანთან მიიყვანა, ლევანმა სანთელი აანთო, პირჯვარი გადაიწერა და ეკლესიის გარშემო ცხვრის შემოტარება დაიწყო. იმდენად პატარა იყო თავი წმინდა გიორგის ეკლესია, რომ სამი წრე უცბად შემოატარა და ცხვარი დათოს გადასცა დასაკლავად. ეს უკანასკნელი გაშეშებული იდგა, დანა ხელში ეჭირა და ცას შეჰყურებდა. ლევანმა დათოს რომ შეხედა, ახლადა შენიშნა, რომ აღარ თოვდა, მანაც ცისკენ გაიზედა. ცა გაზსნილიყო და მზე ანათებდა.

— დავით, მოდი დავკლათ და დროზე წავიდეთ, სანამ დაღამდება, — უთხრა ლევანმა.

დათომ ხმაამოუღებლად დაუსვა დანა ცხვარს ყელზე. თოვლი სისხლით შეიღება. გაატყავა, ხორცი დაკუწა. ბიჭებმა თავი და

ფეხები, როგორც მიღებული იყო, ხეზე ჩამოკიდეს. ჩააბარგეს ყველაფერი და, როდესაც წასასვლელად ემზადებოდნენ, დათომ ისევ ცისკენ აახედა ლევანი. ცა ისევ ღრუბლებით დაფარულიყო და უწინდებურად თოვდა.

— სასწაული თუ გინდა, ეს არის, — თქვა დათომ და ლევანთან ერთად თოვლიან ფერდობზე დაეშვა.

პირველი წიგნის დასასრული

ნიგნი მეორე

„ვინც მიყვარს, მას ვამხილებ და
ვწვრთნი. მაშ, ეშურნე და შენანე.“
(გამოცხ. 3.19)

I

მოსკოვში იმ წელს განსაკუთრებული სიცივე იყო. ისე ყი-
ნავდა, რომ სიცივეს შეუჩვეველ ადამიანს სახის კანი ეწვოდა.

ლევან სართელი და ზაურ გელაშვილი სასტუმრო „როს-
იას“ თბილ ნომერში ისხდნენ და ტელევიზორს უცქერდნენ. საქართველოში დატრიალებულ მოვლენებს მოსკოვის ტელე-
ვიზია, ცენტრისაგან განსხვავებით, ძირფესვიანად აშუქებდა. ახლაც ეთერში ედუარდ შევარდნაძის თბილისში ჩამოსვლის რეპორტაჟს გადმოსცემდნენ. თვითმფრინავის ტრაპზე გამოჩე-
ნილ შევარდნაძეს ისეთი სახე ჰქონდა, სამშობლოს გადარჩე-
ნისათვის საჭირო რომ ყოფილიყო, ახლავე დადებდა თავს ეშა-
ფოტზე. თეთრ თმებს ქარი უწერავდა. დროგამოშევბით თმებს სელით ისწორებდა და ახლადნაკურთხი მეფის მედიდურობით შესცქეროდა მის წინ მოგროვილ ქართველებს. ამ ბრძოში უმ-
რავლესობა სახელმწიფო გადატრიალების მონაწილე და მასზე მიტმასმილი ვიგინდარა იყო, ხოლო ერთ მთლიანობაში წარ-
მოადგენდნენ ერის დალატით ფრთაშესხმულ სკამის მაძიებელ
ნაძირლებს, რომელთა გალიმებულ სახეებზე აშკარად ამოიკითხ-
ავდით, რომ თითოეული მათგანი შევარდნაძეში მხსნელს ხედავ-
და, იმ მხსნელს, რომელიც მათ პირად ბედნიერებას მოუტანდა.
ტრაპიდან მიწაზე ჩამოსულ ედუარდს ჰკოცნიდნენ, ვინც იქამდე
ვერ აღწევდა, ყოველნაირად ცდილობდა, მის ხელს ან თუნდაც
ტანსაცმელს შეხებოდა. ედუარდი კი თავაწეული მიაბიჯებდა
წინ, მარჯვენა ხელით ისევ თმებს იჭერდა და წააგავდა სამშობ-

ლოსათვის თავდადებულ წმინდანს, მასზე მიკერებული ბრბო კი ეპლესის მრევლს, რომელიც მასში მხსნელს ხედავდა. იყო კი ის მხსნელი? თუ პირიქით ანტიქრისტე? ან ანტიქრისტეს მოციქული? ამ კითხვას პასუხს მომავალი გასცემდა.

— ე, ჩამოვიდა ბიძაშენი, — ამოიხვნეშა გელაშვილმა და ლევანს შეხედა, — აწი გეშველებათ.

ზვიადის წასვლისა და, მით უმეტეს, ფულის დაკარგვის შემდეგ, გელაშვილი ცოტა ვერ იყო თავის ჭკუაზე. აგრესიულიც გახდა. ეს, ნაწილობრივ, ავადყოფობის გამოც ხდებოდა. ამიტომ ლევანი მასთან საუბარს არასდროს ამწვავებდა და ცოტა იუმორსაც გაურევდა ხოლმე, რადგან ეცოლებოდა. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი იყო.

— მამაშენმა ხომ აგვაშენა. — პასუხი დაუბრუნა ლევანმა.

განსაკუთრებით „მამაშენმა“ თქვა გამოკვეთილად, რადგან ზაური გამსახურდიას მამას უწოდებდა, — ჰორდა, ჩემო ალექსანდროვიჩ, ესეც შენთვის მიჩუქება, გინდა მამა დაუმახე და თუ გინდა ბიძა. ხალხის მოვლა-პატრონობაზე არც ის ფიქრობდა და არც ეს იფიქრებს, რადგან ორივეს თავისი თავი მაგარი პოლიტიკოსი ჰყონია.

— რატომ, მსოფლიომ ხომ აღიარა შეგარდნაძე გორბაჩიოვთან ერთად მსოფლიო დონის პოლიტიკოსად, თან ბერლინის კედელიც დაანგრია, — გამომწვევი ღიმილით წარმოთქა გელაშვილმა.

— აგაშენა ღმერთმა, — სავარძელში გასწორდა ლევანი, — „მამაშენმა“ ხომ დანგრევის მეტი არაფერი არ გააკეთა საქართველოში, ახლა, ძმაო, უფრო მაგარი მნგრეველი ჩამოგივიდა, თან კომუნისტების დროს ხალხიც ბევრი ჰყავს დახვრეტილი და აწინახავ ნგრევას და სისხლის ღვრას.

— ჩემით დაიწყებს არა, ლევან? — ჩაილაპარაკა ზაურმა.

— შენით რატომ?

— აბა, ამ კრედიტს ვინ დაფარავს?

— ზაურ, საქმე უნდა გავაიასნოთ ლორიასთან, ჯერ ეს ფული მოვიგდოთ ხელში და მერე თბილისში გავარკვიოთ ყველაფერი, — დაამშვიდა ლევანმა ზაური.

მას შემდეგ, რაც ლორიამ ხორბლის შესაძენი ფულით სახლი იყიდა, ზაური და ლევანი სასწრაფოდ გაემგზავრნენ თბილისიდან მოსკოვში, რომ დარჩენილი გადახურდავებული თანხა მოეკრიფათ და ისევ თბილისში დაბრუნებულიყვნენ. პოლონეთთან გარიგება ჩაიშალა, ამიტომ ბანკში კრედიტი დასაბრუნებელი იყო. ლორიასთან საქმე უნდა გაერჩიათ. ამას დრო სჭირდებოდა. დრო კი ზაურს და ლევანს ძალიან ცოტა ჰქონდათ.

მეორე დღეს თბილისიდან გელაშვილის ცოლის ძმა, გურამი, ჩამოვიდა. ვინაიდან ზაური გულით ავადმყოფი იყო, მას არ შეეძლო დიდხანს ქალაქში მოძრაობა, ხოლო ლევანი ფულის ასაკრეფად მარტო ვერ ივლიდა. სეფერთელაძეების და მათი გუნდის გამოძახება სისულეელე იქნებოდა. ამიტომ ლევანმა ამ საქმეში არჩევანი ზაურს დაუთმო, რომელმაც თბილისიდან ცოლის ძმა იხმო.

შეხვედრისა და მოკითხვების შემდეგ სამეული საქმეზე გადავიდა.

— ორ მილიონამდე თანხა არის ამოსაღები, — დაიწყო გელაშვილმა, — მე ტელეფონით ვიმუშავებ, ხოლო თქვენ ადგილებზე მოგიწევთ მისვლა და თანხის წამოღება.

გურამმა იმდენი იტრაბახა, კაპიკს არავის შევარჩენო, რომ ათას უბედურებაში გამოვლილ ლევანს ცოტა ეჭვი შეეპარა მის საქმოსნობაში. სართელს გამოცდილი ჰყავდა ასეთი ადამიანები, რომლებიც საქმის დაწყების წინ ბევრს ლაპარაკობდნენ. მათგან შედეგი ზოგჯერ ნულის ტოლფასი იყო. მაგრამ ხმა არ ამოუღია, რადგან თვითონ უარესი შეცდომა ჰქონდა დაშვებული სეფერთელაძეების საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით. პირიქით, შეაქ:

— გურამ, შენ ვერელი ხარ და ასეთ რამე-რუმებში კარგად ჩახედული, ამიტომ შენი იმედი მაქვს.

— მეე, ძმაო, კაროჩე კარენნოი ვერელი ვარ, — განაგრძო ტრაბახი წათამამებულმა გურამმა, — მარტო მითხარით, საიდან რა არის ასაღები და ბეზ პრაბლემ ამოვიღებ.

— ჰო, მორჩი რა, რისი გამგეთებელი ხარ, გნახავ! — აწიწმატ-და გელაშვილი, — შენ და შენმა დამ ლაპარაკის მეტი არაფერი იცით.

— კარგით, ოღონძ არ იჩხუბოთ, — გააშველა ლევანმა სიძე—ცოლისძმა, — ზვალ საიდან ვიწყებთ?

— კინტერაიასგან! — მოკლედ მოჭრა ზაურმა და სიგარეტი გააბოლა.

— ვაჟ! დათო კინტერაიას რაღა ვალი აქვს, ტო?! — თვალები გაუფართოვდა ლევანს.

— აღარ გითხარი, ლევან, — წყნარად დაიწყო საუბარი ზაურმა, — თქენ რომ წახვედით, გადახურდავებული ფულიდან მიღლიონნახევარი მესესხა ორი კვირით, მაგარ საქმეში უნდა ჩავდო და წილს მოგცემო. იმის შემდეგ ბარე ორი თვე გავიდა. არც დაურეკავს და... ერთი სიტყვით, როგორც რუსები იტყვიან, „ნე ოტვეტა, ნე პრივეტა“. უნდა მოძებნოთ. დანარჩენი ფული ისეთ ბიჭებს აქვთ აღებული, როცა ვეტყვი, მაშინვე გადაიხდიან. დაახლოებით ორ მიღლიონამდე იქნება.

— მაშინ დავიწყოთ კინტერაიასგან! — თქვა ლევანმა და უბის წიგნაკი ამოიღო.

II

საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლამ ერთგვარად დაამშვიდა ქვეყნის პოლიტიკური ელიტა. თვით უბრალო ხალხიც რაღაც სასწაულს ელოდა მისგან, როგორც აღიარებული მსოფლიო პოლიტიკოსისგან. მასთან ურთიერთობისკენ მიემართებოდა ყველა დონის ადამიანი, დაწყებული პოლიტიკოსებიდან, დამთავრებული ქურდული სამყაროს ავტორიტეტებით. საქართველოში ახალი ეპოქა იწყებოდა.

არც ძმები სეფერთელაძეები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. გელაშვილის და სართელის მოსკოვში ყოფნა მოსვენ-

ებას უგარგავდა ერთსაც და მეორესაც. ორივემ კარგად იცოდა, რომ ლევან სართელის ჯერ კიევში, ხოლო შემდეგ ზაურ გელაშვილთან ერთად მოსკოვში მივლინება, ფულის ტრიალთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ვერ შიფრავდნენ, რა ხდებოდა. მათ კარგად იცოდნენ ლევან სართელის ხასიათი. ის სანამ კომერციული გარიგების ყველა მოსამაცებელ საკითხს ბოლომდე არ მიიყვანდა, პარტნიორებთან საქმის ნიუანსებზე არ ლაპარაკობდა. ხოლო, როდესაც საქმე დაწყებისთვის მზად იყო, მერე აძლევდა დავალებებს თითოეულ მათგანს. თავიანთი თაღლითური გეგმის შესრულებისათვის სეფერთელაძეებს ეს ხელს არ აძლევდათ. მათ სურდათ, რომ ყველა საქმის არსი თავიდანვე სცოდნოდათ.

სეფერთელაძეები, რომლებიც სათავისოდ ყოველთვის კარგად ფიქრობდნენ და გათვალისწინეს შექმნილი სიტუაცია, დაუკავშირდნენ შავი სამყაროს წარმომადგენელს, ვინმე აჩიკო ცარციძეს, რომელიც თავის თავს ქურდის სტატუსით აცნობდა ყველას. ხოლო იყო თუ არა აჩიკო ქურდი, ამის შესახებ ხალხში აზრი ორად იყოფოდა. ზოგი მას ქურდად მოიხსენიებდა, ზოგი კი – კაი ბიჭად. ასე იყო თუ ისე, ეს აჩიკო ცარციძე დიდი ნაძირალა ვინმე იყო. ის ორი კაპიკის გულისათვის ადამიანს სიცოცხლეს ისე გამოასალმებდა, რომ თვალსაც არ დაახამხამებდა. ციხეში ისე შედიოდა და გამოდიოდა, როგორც საკუთარ სახლში. მუდმივად პატიმრობაში ყოფნის გამო ფილტვები ისეთ დღეში ჰქონდა, რომ გამუდმებით ახველებდა. დაავადებული იყო ტუბერკულოზით. ავადმყოფობისგან ძალიან გამხდარს თვალები მუდმივად ფართოდ გახელილი ჰქონდა, მხოლოდ წამლის გაკეთების შემდეგ თუ ეხუჭებოდა ან უელმდებოდა. თავისი ქცევით უსიამოვნებას იწვევდა ადამიანში და ამიტომ მასთან ურთიერთობას ყველა ერიდებოდა. სამი თუ ოთხი თვის წინ სეფერთელაძეებმა ლევანს გააცნეს ცარციძე, როგორც კრიმინალურ სამყაროში საკმაოდ გავლენიანი პიროვნება, რომელსაც თავისი ავტორიტეტის მეშვეობით შეეძლო მათი ბიზნესი დაეცვა. ლევანმა თავი შორს დაიჭირა. განა იმიტომ, რომ

ცარციძე ქურდი იყო და ლევანს გართულება პქონდა ქურდულ სამყაროზე, არა, ამის მიზეზი ეს არ გახლდათ. უბრალოდ, სართელი ვერ იტანდა უზნეო და მატყუარა ადამიანებს. ლევანს ქურდული სამყაროს ავტორიტეტებთან ბავშვობიდანვე პქონდა ურთიერთობა. მათ ოჯახში ხშირად სტუმრობდა ლევანის მამის მეგობარი, ეგრეთ წოდებული, „რამკიანი“ ქურდი ზედმეტსახელად „ჭაკრანა“, რომელმაც დედის შეგინებისთვის, ცამეტი წლის ასაკში ლევი მოკლა ხანჯლით. მას შემდეგ ციხეში დაიმატა წლები და მთლიანად ოცდარვა წელი იჯდა. სართელებთან მისი სტუმრობის ძირითადი მიზეზი ის მდიდარი ბიბლიოთეკა იყო, რომელიც ამ ოჯახის საგანძურს წარმოადგენდა. „ჭაკრანამ“ სამი წლის განმავლობაში თითქმის ყველა წიგნი წაიკითხა და ოჯახის წევრებთან წაკითხული წიგნის გარშემო ისეთ პოლემიკას გამართავდა ხოლმე, რომ ძლიერ ინტელექტუალებს შეშურდებოდათ მისი. იყო საკმაოდ ერუდირებული პიროვნება, უაღრესად ზრდილობიანი. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა ადამიანზე, რომ გეგონებოდათ, ციხეში კი არა, მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში პქონდა მიღებული განათლება. პურმარილის დროს ზედმეტს არ დალევდა, წამალზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. ამის გამო ლევანი ბავშვობიდანვე სიმპატით იყო განწყობილი კანონიერი ქურდების მიმართ. მაგრამ ცარციძის და მისი გარემოცვის გაცნობის შემდეგ სართელი მათთან ურთიერთობას თავს არიდებდა.

ეს ყოველივე სეფერთელაძეებმა ძალიან კარგად იცოდნენ. ისიც კარგად იცოდნენ, რომ თავიანთი თაღლითური ქმედებების გამო, სართელი მათ ფირმის ძირითად საქმიანობაში ბოლომდე აღარ ჩაახედებდა. ამიტომ საჭირო იყო ძალის გამოყენება. ისეთი ძალის, რომელიც საქმეს არა პირდაპირი, არამედ ირიბი და თან ეშმაკური გზით გააკეთებდა, ისე, რომ სეფერთელაძეებს კაცის სახელი არ შელახვოდათ. სწორედ ეს იყო მიზეზი, გლდანში, ცარციძის ოჯახში მმების სტუმრობისა. სეფერთელაძეების და-

ნახვა აჩიკოს ძალიან გაეხარდა. იცოდა, ისინი მასთან უსაქმოდ არ მივიდოდნენ. ამიტომ დაფაცურდა, წამალი მოადუღდა. უშანგიმ და აჩიკომ თითო დოზა გაიკეთეს. კოტეს არ შესთავაზეს, რადგან ის არც წამალს იკეთებდა და არც ეწეოდა. წამალმა მოქმედება რომ დაიწყო, უშანგიმაც დაიწყო:

— აჩიკო, ძმაო! შენ ხომ გახსოვს, მოსკოვის საქმიდან ორმოცი ათასი რომ გაგიმაზე?

— კანეჩნო, ტო, — ამოლერდა აჩიკომ, თან ერთი თვალი გაახილა, — მაშინ მაყუთი დროზე მომაწოდეთ, თორემ ვიბრიდებოდი.

— ჰოდა, ლევანამ ის კანალი ისე ჩაკეტა, რომ შიგ ჩიტი ვეღარ შეფრინდება, — გააგრძელა უშანგიმ.

— მაიცა, ვერ გავიგე, ფულის შოვნა აღარ უნდა? — მეორე თვალიც გაახილა აჩიკომ.

— მეც ბოლომდე არ ვიცი. ხომ იცი, მე მხოლოდ აღება მიყვარს. მიდი, კოტე, მოყევი რა, სიმონ, — თქვა უშანგიმ და ორივე თვალი დახუჭა.

წინასწარ მომზადებულმა კოტემ ერთი ჩახველა და დაიწყო ახსნა, რასაც იმავე ქურდულ ენაზე „ნაკოლის“ მიცემა ჰქვია:

— აჩიკო! მოკლედ, სიტუაცია ასეთია, ძმაო, ეს ფული, რაც ჩვენ მოვტეხეთ, კრედიტის თანხაა რა, აწერია ლევანას და მან უნდა დაუბრუნოს სახელმწიფოს. ლევანა, სიმონ, მიხვდა, რომ ჩვენ ეს ფული მოვტეხეთ და უკან დამბრუნებლები არა ვართ. ამიტომ ფულთან და საქმესთან მისასვლელი გზები კულტურულად გადაგვიკეტა. ჩვენ რომ პირდაპირ მივადგეთ, საქმის კარტები გაგვიჩენიო, ამით სიტუაციას დაკაბაკვთ და ვერაფერს ვერ გავაისწენებთ. ისევ შენ უნდა მოიფიქრო რამე ამ დაკეტილ საქმეში შესასვლელად და წილში იქნები.

აჩიკომ მარცხენა თვალი გაახილა, მერე მარჯვენა, მაგრამ მარცხენა ისევ დახუჭა. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც არაადამიანური ხმები გამოსცა, ხოლო შემდეგ სიტყვებიც გაისმა:

— თუ ფული აქვს ლევანს, პირდაპირ წამოვიდოთ, ტო!

— არა, აჩიკო, შენ ვერ გამიგე, — სავარძელზე გასწორდა კოტე, — ლევანს ჯერ ფული არა აქვს, კონტრაქტები აქვს გაფორმებული კიევსა და მოსკოვში.

— მერე ეს კონტრაქტებია თუ რაღაც ტრაქტები, ერთ ადგილას... კაროჩე რა, ნუ მებლატავები, ნორმალურად გააიასნე, რა! — წამოიყვირა ცარციძემ და თვალები ისევ დახუჭა.

— პოდა, ძმაო, იმ კონტრაქტებით ლევანამ ფული უნდა იშოვოს, ჩვენ კიდევ ეს ფული უნდა დავაწეროთ, — გაცხარდა კოტე და სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, — ამ საქმეში მე დაბრადუშნი კაცის როლი უნდა ვითამაშო. მე მგონი, ასე აჯობებს.

— დაბრადუშნი?! ვითომ რატომ? — გამოფხიზლდა უშანვი.

— აბა, მე რომ ლევანს დავუპირისპირდე, ეს უკვე დაჯახება გამოდის და ყველაფრი წყალში ჩაიყრება.

— არც შენ დაუპირისპირდები და არც მე, — აღმოხდა აჩიკოს, — უშანგ, ეგ შენი საქმეა.

— ეგ როგორ, ტო? — იკითხა გაკვირვებულმა უშანგიმ.

— როგორ და ძალიან ადვილად, ძმაო, — გაეცინა აჩიკოს, — კოტე თავის დაბრადუშნობით ნაკოლებს გამოიტანს, შენ, უშანგი, ამ ნაკოლებით მიაწვები, მე კი ჩემი დაბრადუშნობით დავეხმარები და ფულს გადავახდევინებ.

— გითხარი, სიმონ! გენიოსია-მეთქი! — გახედა უშანგიმ კოტეს.

— თანაც ის ზვიადისტია, არა? — იკითხა აჩიკომ.

— ვინა, გელაშვილი? — კითხვას კითხვითვე უპასუხა კოტემ.

— არა, ჩემი მეზობელი იზიკა! — შეუღრინა აჩიკომ.

— მაგარი ზვიადისტია, იმიტომ ვეღარ ჩამოდის მოსკოვიდან, მაგაზე შენ არ ინერვიულო, აჩიკოჯან, მაგას ჩვენ მოვუკლით, — მლიქვნელური ღიმილით და მორიდებით უთხრა კოტემ.

— შენ რისი მომვლელი ხარ, ტო! — შემოუტრიალდა გაბრაზებული აჩიკო კოტეს, — მაგის თავი რომ გქონდეს, აქ არ მოხვიდოდი.

უცბად უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. კოტემ და უშანგიძე
შიშით ხმა ვერ ამოიღეს, აჩიკო რომ არ ანერვიულებული-
ყო. თავის მხრივ აჩიკო ცალი თვალით ჭერს მიშტერებოდა,
მერე მკვეთრი მოძრაობით სავარძლიდან წამოხტა, ტახტის
ქვეშიდან ავტომატი გამოიღო, ბიჭებისკენ შემოტრიალდა და
ჩახმახი ფეხზე შეაყენა.

— მაიცა, არ დაგხხოცო, — მუხლებზე დაეცნენ ძმები,
მზად იყვნენ თავისი დამპალი გვამის გადასარჩენად, ფეხ-
ები დაეკოცნათ მათზე უარესი ნაძირალასათვის, — ძმები არა
ვართ?!

აჩიკო კი ისევ ჭერს მიშტერებოდა, მხოლოდ ახლა ორივე
თვალით. ავტომატი ძირს დაუშვა და დაიღრიალა:

— მე მაგას პარტიას შევუცვლი, ზეიადისტი აღარ იქნება!
თქვენ კი რასაც გეტყვით, იმას გააკეთებთ, გაიგეთ?!

— ჰო, ჰო, აჩიკო, როგორც გინდა, ისე გამოგვიყენე. — ლამის
იატაკზე დაწვნენ ძმები.

ამ დღეს სეფეროთელაძეებმა ფულის გულისთვის საბოლოოდ
მიჰყიდეს სული ეშმაკს. ლევან სართელის მისამართით ამუშავ-
და სატანისული მანქანა.

III

დათო კინტერაიას მოძებნა არც ისე იოლი აღმოჩნდა,
როგორც ეს ლევანს ეგონა. ყველა საკონტაქტო ტელეფონზე
ერთი და იგივეს პასუხობდნენ: „გასულია მოსკოვიდან. მივ-
ლინებიდან მალე ჩამოვა“ . სადაც დარეკა, ყველგან დაუტოვა
სასტუმროს ნომრის ტელეფონი, რომ დათოს დაერეკა. ამის
გამო ორი დღე ნომრიდან არ გასულა. გელაშვილი თავის ნო-
მერში იყო ჩაკეტილი. რომელიდაც სართულის მორიგე გაიცნო
და იმასთან ერთობოდა. ცოლის ძმა ჩამოსვლის მეორე დღესვე
გამოაგდო ნომრიდან, ისე ხვრინავდა თურმე გურამი, მთელი

ღამე ვერ დაიძინა. ლევანს რომ ნომერი არ გაეჩალიჩებინა, გარეთ დარჩებოდა ალბათ, რადგან სართელი ვერ იძინებდა იმ ოთახში, სადაც ვინმე ხვრინავდა.

გურამი ცოტა უცნაური კაცი იყო. თბილისელობას, მით უმეტეს, ვერელობას იჩემებდა, მაგრამ თავისი ქცევით უფრო გოგლი-მოგლზე გაზრდილი ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ვითომ ყველაფერი იცოდა, სინამდვილეში არაფერში არ იყო გარკვეული, თუ იყო და ისიც სანახევროდ, გელაშვილისგან იმართებოდა. ზაურს რომ ეთქვა, კედელს დაეჯახე და ისე გადი მეორე ოთახში, ასეც მოიქცეოდა. კარიდან არ გავიდოდა და კედელს გაანგრევდა. საკუთარი აზრები ჰქონდა და სხვისას არ იზიარებდა. ახლაც ლევანთან შემოვიდა და შემოსვლისთანავე ზაურის მისამართით საყვედურები გამოთქვა:

— ამხელა კაცი სულელია, ამოავსო ეს ქალი ფულებით. ქალს ფული როგორ უნდა მისცე, ტო! მე, მაგალითად, არასოდეს ეს არ გამიკეთებია.

— რატომ, გურამ, სხვა ქალთან არ ყოფილხარ? — ღიმილით ჰკითხა ლევანმა.

— ქალებთან? — თითქოს ეწყინა გურამს, — მე რომ ქალებთან ვარ ნამყოფი, ზაურს სიზმარში არ ეყოლება იმდენი ქალი ერთად ნანახი. მაგრამ მე ქალისთვის ფული არ გადამიხდია.

— რომელი ალენ დელონი შენა ხარ, რომ ფულს არ გთხოვდნენ.

— რა შეუშია ალენ დელონი, ქალი უნდა შეაბა ისე, რომ დაიყოლიო შენს ნებაზე, ეს მთელი ხელოვნებაა, — ალფროთოვანებით თქვა გურამმა.

— რას იზამ, ძმაო, ჩვენ ხელოვანი ხალხი არა ვართ და იმიტომ ვიხდით ფულს, ყველა შენნაირი მაგარი ხომ არ იქნება.

— ლევან, შენ გგონია გაშაყირებ? — თავისას არ იშლიდა მაგარი დონ უუანი, — ახლა შენთან რისთვის მოვედი იცი?

— რისთვის?

— დღეს სტრელკა მაქვს ერთ კაი გოგოსთან, აქაურია, მოსკოველი და მინდა, შენც წამოხვიდე.

— მე რა უნდა გავაკეთო იქ, სანთლის დასაჭერად შეგიძლია, შენი სიძე წაიყვანო.

— აუუ... ლევან, შენ რა ტიპი ხარ, ტო? პროსტო ორი დღეა, ნომრიდან არ გამოსულხარ და ცოტას გამოისეირნებდი, რესტორანში ჩავსხდებოდით, ვილაპარაკებდით და მერე წამოხვიდოდი, — დააწყნარა სართელი გურამმა.

— სადა გაქვს სტრელკა?

— დიდ თეატრთან ხუთ საათზე, — თან საათს დახედა გურამმა.

— მიმინო ხარ, ტო? „ტოუე მნე ბალშოი ტეატრ“.

— ხო, კარგი, ნუ შაყირობ, წამო რა, გვაგვიანდება.

ლევანმა უცბად ჩაიცვა და ხუთს რომ ხუთი აკლდა, დიდი თეატრის სკეტჩზე იყვნენ ორიგენი მიყედებულნი. ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ სიჩუქე ლევანმა დაარღვია:

— გურამ, იმ შენს ქალს რა ჰქვია?

— ვალერია. აუ, იცი, რა გოგოა, ლევან, შენ აზრზე არა ხარ.

— მე ჯერჯერობით აზრზე კი ვარ, მაგრამ ეგ შენი ვალერია თუ რა ეშმაკი ჰქვია, სად არის აქამდე, გავიყინე კაცი.

— აგერ, გამოჩნდა ლევან, შეხედე რა? — დადნა გურამი.

სკვერში ახალგაზრდა ქალი მოდიოდა. ლევანი გაშეშდა. მოდიოდა კი არა, მოლივლივებდა თითქოს მიწას ფეხს არც აკარებდა. მიუხედავად იმისა, რომ განიერი პალტო ეცვა, მიხვრა-მოხვრაზე ეტყობოდა, რომ ლამაზი ტანი ჰქონდა. თეთრი, ლამაზნაკვთებიანი სახე, სლავური და არა მონღოლური, მიზ-იდველი თვალ-წარბით. თავსაბურავიდან ჩამოშლილი ქერა თმის კულულები სახესთან ისე ლამაზად იყო შესამებული, რომ ლევანს ეჭვიც კი გაუჩნდა, ეს ქალი მიწიერი არსება არ არისო. სართელი ადგილიდან აღარ იძვროდა, ვეღარც ყინვას გრძნობდა, ერთიანად რაღაც განსაკუთრებულმა სითბომ დაუარა. ასე ეგონა მისი ორგანიზმიდან დაძრულმა სიმხურვალემ გარშემო გაყინული თოვლის დნობაც კი დაიწყო. ოდნავ შეტოკდა და თავისთვის წაილულლუდა:

- გურამ, შენ ამ ქალთან ახლო ურთიერთობაში ნამყოფი ხარ?
- არა, ლევან, მაგრამ დღეს შედგება ეს საღამო.
- გულს არ დაგწყვეტ, მაგრამ ეს ქალი შენთან არ დაწვება,
- კახური პირდაპირობით გადაუწურა იმედი ლევანმა სიხარულისაგან პირდაღებულ გურამს.

— ეეჭ! შენ და შენმა უფროსმა ქალების რა იცით, ყველას და ყველაფერს ფულზე რომ ყიდულობთ, ეგრე არ არის, მმარ. თქენ ჭეშმარიტი სიყვარული არ იცით! — ლაპარაკობდა გურამი და თან ვალერიასკენ გაღიმებული იყურებოდა, ისე რომ ოცდა-თორმეტივე კბილი უჩანდა.

— გურამ, პირი დახურე, ენა არ გაგეფინოს, თორემ პლატონურ სიყვარულს ვერ აუხსნი სატრფოს. ისე, ფულით დაწოლა თუ გიცდა მაგ ქალთან? — არ ეშვებოდა ლევანი.

— გაიგე, ბიჭო! ამ ქალს მე სიყვარული უნდა ვაჩუქო და არა ფული. გასკდით გულზე შენ და ჩემი სიძე! — სიამაყით გადახედა ლევანს გურამმა და ვალერიასთან შესახვედრად გაემართა.

ლევანი უყურებდა ამ ორმოცდაათი წლის კაცს და უკვირდა, ასეთებს როგორ ზრდიდნენ მშობლები, ნუთუ ყველაფერი გო-გლი-მოგლის ბრალია. ქართველებში გოგლი-მოგლი ყოველთ-ვის დედიკოს ბიჭებთან ასოცირდებოდა. გურამი არც დედიკოს ბიჭს ჰგავდა, არც ქუჩის, წიგნიერებაზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტი იყო, სადღაც შუაში იყო გაჩხერილი, ნოდარ დუმბა-ძის დიდროსავით. ლევანს აინტერესებდა, რომანტიკულ სიტუ-აციაში როგორ გამოიჩენდა თავს დღევანდელი დღის გმირი და ახალი ამბების მოლოდინით აღსავსე გაეცნო მშვენიერ ვალ-ერიას. აქ ლევანს კიდევ ერთხელ შეუტოკდა გული. როდესაც ვალერიამ ხელი გამოუწოდა ლევანს, მას პალტოს ზედა ღილი შეეხსნა და ჩახსნილი დეკოლტედან ანაზდად იელვა, როგორც დიდი კონსტანტინე იტყოდა: „მუძუ-მკერდის გულისწამლებად მოელვარე სითეთრეში.“ სართელი გაბრუებული იყო და კვლავ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ მის გარშემო თოვლი დნებოდა.

ვნებისგან გაუღენთილმა ვაჟკაცმა კიდევ ერთხელ შეხედა ქალს და უნებურად დიდი გოგლას სიტყვები აღმოხდა:

— დამნაცროს ელგამ შენი ტანისა.

— გაღიმებული ვალერია უცხო სიტყვების გაგონებაზე გაოც-და და ლევანს პკითხა:

— Извините что вы сказали?

სართული უცებ გამოერკვა, ასე ვთქვათ დაუბრუნდა „საწყის“ მდგდომარეობას და მორიდებული წმით უპასუხა ვალერიას:

— Я сказал, что Гурам очень редкий человек.

მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, ქალს არ გამოპარვია მა-მაკაცის უეცარი ვნებიანი აფეთქება. იმასაც კარგად მიხვდა, რომ რუსული პასუხი ძალიან შორს იყო ქართულისგან. კიდევ ერთხელ შეხედა ლევანს, გაუღიძა და უთხრა:

— Хотите знать почему я люблю грузинов?

— Очень.

— Потому что они уважают друг друга.

— Спасибо. — ღიმილით უპასუხა ლევანმა. ასე რომ, ორივემ კარგად გაუგეს ერთმანეთს.

ვინაიდან გურამმა სასტუმრო „როსიას“ ყველა რესტორანს თავიდანვე ბანბი უწილდა, ლევანმა აღგილები დაჯავშნა რესტორან „ბელგრადში“ და სტუმარსაც იქით გაუძღვა. გარდერობთან ზრდილობიანად ჩამოართვა პალტო. აქ კი იმბლავრა მამაკაცურმა მღელვარებამ. კაბაში გამოწყობილი ვალერია მართლაც ბრწყინვდა. ლევანმა მოთოკა გრძნობები, მხოლოდ ხელზე აკოცა, ანგელოზი უწილდა და ამით დაამთავრა მასთან ურთიერთობა, რადგან ის ქალი გურამს ეკუთვნოდა. ზედმეტის გაკეთება უკვე არაკაცობაში ჩაეთვლებოდა. თან გურამის მზე-ერაც დაიჭირა, შორიდან გაბუტული პიონერივით იყურებოდა.

„ბელგრადი“ მყუდრო რესტორანი იყო, ადამიანი მართლა დაისვენებდა. თამადა, რა თქმა უნდა, ლევანი იყო. ყარაჩოლელი გიუჟასავით ორი მტრედის სადღეგრძელოს სვამდა. იქიდან ერთი მართლა მტრედი იყო, მეორესი რა მოგახსენოთ. როგორც კი რესტორანში ყვავილები ჩამოატარეს, შეზარხოშებულმა

გურამმა მაშინვე ათასმანეთიანი თაიგული მიართვა ვალერიას. ვარდები და ვალერია მართლაც მოუხდნენ ერთმანეთს. ძალიან კარგი დრო გაატარეს ჩვენმა გმირებმა. იმდერეს, იცეკვეს, იმხიარულეს. ლევანი დარწმუნებული იყო, რომ გურამი თავისთან დაპატიჟებდა ვალერიას და ამიტომ რესტორნიდან წასვლას არ ჩქარობდა. პურ-მარილიც სანაქებო იყო და ალკოჰოლმა ცოტა სევდაც შეუმსუბუქა. ვალერიამ და გურამმა რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს და შემდეგ გურამმა თქვა, რომ ვალერია სახლში უნდა გაეცილებინათ. ლევანმა იფიქრა, რომ ალბათ გურამი მიდიოდა ვალერიასთან. ერთი სიტყვით, ჩასხდნენ ტაქსიში და, როდესაც ვალერიამ ტაქსისტს უთხრა „რუჩნოი ვაგზალი“, ლევანმა უკვე იცოდა, რომ კარგა ხანი მოუწევდა მოსკოვის ქუჩებში მანქანით ხეტიალი.

— მასთან რჩები? — გადაულაპარაკა ქართულად ლევანმა გურამს.

— ჟო, რა! მიგვაცილე და მერე წამოდი მტურად, რა? — შეეხვეწა გურამი.

როგორც იქნა, მიაღწიეს რომელიღაც კორპუსს. ვალერია დაქმშვიდობა ლევანს და გურამთან ერთად კორპუსისკენ გასწია.

— გურამ! მე მაინც ცოტა ხანს დაგელოდები, შეიძლება სახლში არ შეგიშვას, — მიაძახა ლევანმა.

— მაშაყირებ, სიმონ? — ახარხარდა გურამი.

ლევანი მართლა დაელოდა. მძღოლს სთხოვა მანქანა სხვა ადგილას გადაეყენებინა. ოცი წუთის შემდეგ სადარბაზოდან გურამი გამოვიდა და ცენტრალური გზისკენ გაემართა. ლევანმა ტაქსი გვერდზე გაუჩერა, ჩამოსწია საქარე მინა და წყნარად მიაძახა გურამს:

— გიოთხარი, არ შეგიშვებს-მეთქი. დაჯექი, წავიდეთ დროზე.

გურამი არ მოელოდა ყოველივე ამას და ხმაამოულებლად დაჯდა მანქანაში.

— რაო, გურამჩიკ, არაო? — ღიმილით ჰკიოთხა ლევანმა.

— კაროჩე, ერთი მაგრად მაკოცა და მითხრა, ხვალ დაგირეცავო, — თავისთვის ჩაილაპარაკა გურამმა და სასტუმრომდე ხმა არ ამოულია.

სართულზე ლიფტიდან რომ გამოდიოდნენ ლევანმა გურამს პკითხა:

- ესე იგი, მაგრად გაკოცა?
- უუჰ! მაგრად.
- შენ ჩვენი სართულის მორიგეს, ნატაშას ზომ იცნობ. დღეს რომ მორიგეობს?
- კი, როგორ არა.
- როგორი გოგოა? გურამ, ალალად თქვი.
- ძალიან ლამაზი.

ამასობაში ნატაშას სამუშაო მაგიდას მიუახლოვდნენ, მან ორიგეს საღამო მშვიდობისა უსურვა და გასაღები გაუწოდა.

ლევანმა ნატაშას რესტორნიდან წამოღებული ერთი ცალი ფორთოხალი გაუწოდა. ნატაშას ისე გაუხარდა, რომ მოეხვია ლევანს და მაგრად აკოცა.

- ნატაშა, კიდევ ერთხელ მაკოცე რა? — შეეხვეწა ლევანი.
- ნატაშამ ერთხელ კი არა სამჯერ აკოცა ლევანს. სართელმა მადლობა გადაუხადა და გურამს გადაულაპარაკა:

- გურამჩიკ! ნახე, ტო, ოთხჯერ მაკოცა.
- მერე რა.
- არაფერი. ხომ კარგი გოგოა ნატაშა, ჰა?

ბოლო სიტყვები გურამს აღარ გაუგონია, რადგან ნომერში შეგიდა და კარგი ჩაკეტა.

მეორე დღეს გელაშვილის ნომერში შეიკრიბნენ სათათ-ბიროდ.

- სად ეგდე გუშინ? — მიაძახა გურამს გელაშვილმა ისე, რომ თვალებში არც შეუხედავს.

- რა ლაპარაკია, ზაურ. უფლება არა მაქვს, მეც ცოტა გავისეირნო? — ადუდლუნდა გურამი.

- სასეირნოდ მაშინ წადი, როცა შენი ფული გექნება. მაინც სად იყავით? — ახლა კი ლევანს შეხედა გელაშვილმა.

- რესტორანში წავიხეშესეთ. ისეთი კარგი ვარიეტე იყო, გვიანობამდე შევრჩით, — იცრუა ლევანმა.

გელაშვილმა კარგად იცოდა, ლევანი როდის ცრუობდა. ტყეუილის თქმის დროს სართულს თვალებში ღიმილი უდგებოდა და ამიტომ მოსაუბრეს სახეს არიდებდა.

— ბიჭო! — ზაური ისევ გურამს მიუბრუნდა, — თუ შიშველი ქალის ნახვა გინდოდა, აქვე გაჩვენებდი, შენ ნომერში და არაყსაც ჩაგაცეცხლებდი. ეს სიამოვნება სულ ორმოცდათი მანეთი დაჯდებოდა. ვის ხარჯზე დაეთრევი ამ ელიტარულ რესტორნებში?!

გურამმა თავი ჩაღუნა დამნაშავე „ოქტომბრელივით“, ლევანს კი ისეთი სიცილი აუტყდა, კინაღამ სავარძლიდან გადმოვარდა, რომ დაწყნარდა, გელაშვილს ხელი დაარტყა მუხლზე და უთხრა:

— ალექსანდროვიჩ! გურამს ნუ დასჯი, მაგ ხარჯებს ჩემს თავზე ვიღებ. მაგას თავისი უბედურება ეყოფა.

— აუუ! ახლა ამან დაიწყო, — წამოდგა ფეხზე გურამი.

— ჰო, მიდი, ამოლერდე ახლა, რა მოხდა? — სახე გაებადრა ზაურს და ახალი ამბების მოლოდინში სავარძელში ღრმად ჩაეჭვა, — ეს „პროფესორი“ რაღაცას გააფუჭებდა.

— ზაურ, შენ გამოცდილი კაცი ხარ, — დაიწყო ლევანმა, — დღეს, მოსკოვში, კარგ ლამაზ ქალთან ლამის გათევა რა ღირს?

— ათას ხუთასი, ორი ათასი მანეთი, — აჯახა პირდაპირ გელაშვილმა, — საშუალოსთან—ათასი მანეთი, თუ ძალიან გიჭირს, ხუთასადაც იოლად გახვალ. რატომ მეკითხები?

— ისე რა, შედარებისთვის, — ახარხარდა ისევ ლევანი, — ესე იგი, მაგრად წაგვიგია.

— რა იყო, აღარ იტყვი? — მოუქცია იმერულად გელაშვილმა და თვითონაც სიცილი დაიწყო.

— გუშინ რომ შემოვედით სართულზე, — განაგრძო ლევანმა, — ნატაშას ერთი ფორთოხალი ვაჩუქე და ოთხჯერ ისე მაგრად მაკოცა, მთელი ლამე ლოყები მტკიოდა. დილას ჩავედი ვესტიბულში და ფორთოხლის ფასი გავიგე. ერთი ცალი ფორთოხალი ღირს თვითონაც იცი მანეთი. ესე იგი ერთი კოცნა გამოდის ხუთი მანეთი, ხომ?

— კარგი მასწავლებელი გყოლია მათემატიკაში, — შაყირზე გადავიდა გელაშვილი.

— ჰოოდა... ჩემო ბატონო, — აიღო კალკულატორი ლევან-მა, — ათასი მანეთი ბუკეტი, ამას პლუს ათას ხუთასი მანეთი რესტორნის პურმარილი, იქ გარდერობის და მომსახურების, „ჩაინის“ რომ ეძახიან, სადღაც ორასი მანეთი, ტაქსი სამასი მანეთი. სულ გამოვიდა სამი ათასი მანეთი. ახლა სამი ათას მანეთს გამოვაკლოთ ერთი კონცის საფასური, ანუ ხუთი მანეთი. გამოვიდა, რომ ზარალმა შეადგინა ორი ათას ცხრაას ოთხმოც-დათხუთმეტი მანეთი, ანუ ამ ფულით შეიძლებოდა, როგორც ზაურ ალექსანდროვიჩი ბრძანებს, ორი კარგი ან სამი საშუალო ლამაზმანის მოწვევა, თუ, რა თქმა უნდა, იმ ხუთ მანეთს ისევ და-ვამატებდით, რომელიც „რეჩნო ვაზლის“ მიდამოებში დაიხ-არჯა ერთ კოცნაზე.

— ეუპ! — შეთამაშდა სავარძელები გელაშვილი, — და ეს გაუბატონი ამბობს, ქალებს ფულს არ ვუზდიო, არა?

— მაიცა, მაიცა, ეგრე არ არის, თქვენ რომ ანგარიშობთ! — ალაპარაკდა აწითლებული გურამი, — მაშინ შენი ხარჯი გამოდი იმ ფულიდან, რესტორნში ხომ შენც ჩემთან ერთად ქეიფობდი.

— ადმოაჩინა ამერიკა, — სულ გადაირია გელაშვილი, — ხომ გეუბნები, მაგ თავში ტვინის მაგივრად ჩალა გიყრია. ნეტა, რო-დის უნდა ისწავლო ცხოვრება.

— თქვენ ხომ არაფერი გაგეგებათ ნამდვილი სიყვარულის, — გაბრაზდა გურამი, — ორივე ქალს მარტო ხორციელი სიყვარუ-ლის დაკმაყოფილების მიზნით უყურებთ, რა გესმით სულიერი გრძნობების.

— ხო, შენ ხომ კარგად გესმის ეს სულიერი გრძნობები, ჩემო გურამჩიკ, — გამომწვევად გამოეპასუხა ზაური, — ახლა ავიღებ ამ სულიერ კალკულაციას, დავრეკავ თბილისში, შენს სულიერ მეუღლესთან და ის მოგივლის.

— ზაურ, ეგ არ ქნა და რაც გინდა, ის მიყავი, — გადაირია გურამი.

— ჰო, კარგი, არ ვიზამ, — დაიფასა თავი გელაშვილმა, თუმცა არც არაფერს აპირებდა, — მხოლოდ იცოდე, ჩემს გარეშე შენ ნაბიჯს არ გადადგამ. რაც დაგჭირდება, ყველაფერს ნომერში მოგარომევენ. აქ ჩვენ სხვა საქმეზე ვართ ჩამოსულნი და არა დროსტარებისთვის, თან, მით უმეტეს, ასეთი „პუსტა-პუსტასთვის“ არა გვცალია.

ბევრი იცინეს, გურამს ათასი რაღაც გამოუგონეს, შემდეგ წაიქითეს და ეს დღეც ასე უშედეგოდ დაასრულეს.

IV

მმები სეფერთელაძეები და აჩიკო ცარციძე ერთ-ერთი ეროვნული პარტიის შტაბ-ბინაში თავის თანამოაზრებს დაუკავშირდნენ. აღნიშნული პარტია, პარტიის წევრების აზრით, ეროვნულ ნიადაგზე ჩამოყალიბდა და ოპოზიციაში ედგა გამსახურდიას ხელისუფლებას. ამჟამად, ეროვნულთან ერთად ცენტრისკენ გადახრას ცდილობდა და ამიტომ ყველა ნაძირალასთან იყო გათქვეფილი. ფული და სახელი ერთად სჭირდებოდა, რათა ეროვნულ-ცენტრისტული პარტია გამხდარიყო და ხელისუფლების ხელშეწყობით ხალხის მასები მოეზიდა და აეყოლიებინა, რაც მომავალ პარლამენტში ბევრი ადგილის მოპოვების გარანტიას იძლეოდა.

პარტიის თავმჯდომარის გაბინეტში მრგვალ მაგიდას შემოჯდომოდა ექვსი კაცი — პარტიის თავმჯდომარე თავისი ორი პარტიელით, მმები სეფერთელაძეები და აჩიკო ცარციძე. ამ უკანასკნელმა ფულის შოვნის გეგმა შესთავაზა თანამოაზრებს.

— გელაშვილი მოსკოვიდან არ ჩამოდის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი მთავრობა აღარ არის, მეორე, პროკურატურა ცოტა ხანში კრედიტის დაფარვას მოსთხოვს. კრედიტის ფული, როგორც კოტემ და უშანგიმ მითხრეს, გაწერილია. თქვენ, მმაო,

ახალი მთავრობის კრიშა გაუკეთეთ გელაშვილს, ის სიხარულით დაგთანხმდებათ, მე კი დარჩენილი ფულის მოწველაზე ვიმუშავებ. მხოლოდ გელაშვილზე ისე იმუშავეთ, რომ მაგის-მა მოადგილემ, ლევანა სართელმა, არაფერი იცოდეს, თორემ ის უცბად მიხვდება ჩვენს გეგმას და აღარაფერი გამოგვივა. სართელზე უშანგი სხვანაირად იმოქმედებს.

— მაგ ზაურ გელაშვილს კრედიტის აღება თუ ასე უყვარს, — ჩაერთო საუბარში პარტიის თავმჯდომარე, — კრედიტს ჩვენც გავუკეთებთ, მერე ცოტას დავახარჯინებთ და, რომ ვერ დაფარავს, მერე გასაწერად შენ გადმოგიგდებთ. ჰა! რას იტყვი, აჩიკო.

— რა ჭიკვიანი ხარ, ტო! — ჩაიხითხითა ცარციძემ.

— რაც შეეხება „კრიშის“ გაკეთებას, — განაგრძო თავმჯდომარემ, — დავინიშნავ მოადგილედ და საარჩევნო სიებში შევიყვნ. კაციშვილი ხმას ვერ გამცემს, თან თანამდებობასაც შევპირდები. მოსულა?

— მოსულა! — დაეთანხმნენ ყველანი და თავიანთი ალიანსი, კოტეს გარდა, თითო დოზა წამლის გაკეთებით გააფორმეს.

კოტე და უშანგი აღრე წამოვიდნენ შტაბ-ბინიდან. უშანგი ჩაფიქრებული იჯდა მანქანაში.

— რას ფიქრობ? — გადაულაპარაკა კოტემ.

— კაროჩე, ლევანას პირველად ის ორასი ათასი უნდა მოვა-ტანინო, რის მოტეხვაზეც ხელი შემიშალა.

— იქიდან ასოცი ხო წაიღე, რაღა გინდა, ტო?!

— ის რო წავიღე ჩემით წავიღე და არა თქვენით. მაიცა, შენ რა მასტს უჭერ, გერ გავიგი! — გაცხარდა კაითში წასული უშანგი, — წილი გინდა, თან მიწოლა არ გინდა, რა ხდება, ტო?!

— ჰო, კარგი, ნუ გარეკე რა, სიმონ! — სიტყვა „სიმონას“ გამოთქმა კოტეს ძალიან უყვარდა, თითქოს ვიღაცას ეს სახელი აეკრძალოს საქართველოში და ის სოლიდარობას უცხადებდა.

— კიდევ ერთხელ გეუბნები, ბიჭო! — აუწია ხმას უშანგიმ, — შენი საქმე არის ნაკოლის მოტანა, მაგაში გაძლევენ ფულს. და-ნარჩენი რა მოხდება, არ გეკითხება.

— ჭო, კარგი, კარგი. მე ჩემი გადამიხადეთ და რაც გინდა, ის გიქნიათ, — ჩაილაპარაკა კოტებ და საბოლოოდ გაწირა თავისი მეგობარი. ის უკვე მხოლოდ ფულის მოხვეჭაზე ოცნებობდა, და-ვიწყებას მისცემოდა ლევანის მიერ მასზე გაწეული ამაგი.

ქარი ტროტუარზე დაყრილ ხმელ ფოთლებს ჰაერში ატრი-ალებდა და ქალაქი ნელ-ნელა იძირებოდა საღამოს ბინდ-ბუნდ-ში. ქვეყანა გაზაფხულის მოლოდინში იყო. რას მოუტანდა ეს გაზაფხული მრავალტანჯულ საქართველოს და მის ნაწამებ ერს, ეს ჯერ კიდევ კაცთაგან არავინ იცოდა.

V

ლევანი ორი დღე კიდევ დაელოდა დათო კინტერაიას ზარს. რადგან სიტუაცია არ იცვლებოდა, ტელეფონით მოახერხა მისა-მართის დადგენა და გადავიდა აქტიურ მოქმედებაზე. პირდაპირ რომ დადგომოდა დათოს სახლში, მისი ქალი, ჯერ ერთი, კარს არ გაუღებდა და, მეორეც, არ იყო გამორიცხული, მიღლიცია გამოეძახა. ამიტომ ერთადერთ ვარიანტად კორპუსთან ჩასაფრე-ბა რჩებოდა. როგორი გასაძლები იყო ამ ყინვაში გარეთ საათობით ყურყუტი ქართველი კაცისთვის, ეს თქვენ თვითონ განსაჯეთ. მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო. ყველა თანხა, რაც მოსკოვ-ში იყო ამოსაღები, თითქმის ამოიღეს, რჩებოდა მხოლოდ კინ-ტერაიას მიღლიონნაზევარი. საქმე უნდა დაუჩქარებინათ, რადგან გარდა იმისა, რომ მოსკოვში სამი კაცის ხანგრძლივად ცხოვრე-ბა საკმაოდ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, კრედიტის დაბრუნების ვადებიც იწურებოდა და საქართველოში დროულად წამოსვლა იყო საჭირო. ამასთან, კიევის საკონტრაქტო თანხაც სასწრაფოდ უნდა მოეძებნათ და გადაერიცხათ.

— სადღაც კალცევოისთან ცხოვრობს, ჭო, — თქვა გელაშ-ვილთან ნომერში შესულმა ლევანმა და მისამართი დაუდო

მაგიდაზე, — გურამს წავიყვან და ყოველ საღამოს კორპუსთან დაველოდები.

— ჰო, რა, ლევან, თორემ მე, ხომ იცი, არ შემიძლია, შენ და გურამი შეცვლით ერთმანეთს.

— მივხედავ, შენ არ ინერვიულო, მიწიდან ამოვიღებ, — ოპტიმისტურ ნოტაზე ალაპარაკდა სართელი, — მხოლოდ გურამი არ გამეყინოს, დუბლიონებიც არა აქვს.

— არ გაიყინება, მაგის გარანტიას მე გაძლევ, — გაიცინა გელაშვილმა, — როდის იყო ხე იყინებოდა.

— კარგი რა, თავი დაანებე, ცოდვაა, ტო.

— ცოდვა მე ვარ მაგის დის ხელში, სულ ფულს რომ ჩამჩხავის ყურში, უნდა გაიგოს, რომ ასე ადვილად არ იშოვება, — გაცხარდა ზაური.

გელაშვილს მეუღლე ჰყავდა, მტერს არ უსურვებდი. სულ მუდამ პრეტეზიული. ხმადაბლა საუბარი არ შეეძლო. ზაური ისე ჰყავდა დამინებული, რომ მის დანახვაზე ფერს კარგავდა. გასაკვირიც არ იყო. ზაურისთვის ის მესამე ცოლი იყო, ხოლო ზაური მისთვის მერამდენე ქმარი — თვითონაც აღარ ახსოვდა. თბილისიდან ტელეფონზე ყოველი საუბრის დამთავრების შემდეგ, გელაშვილი ვალერიანის წვეთებს სვამდა ან ვალიდოლს იდებდა ენის ქვეშ. ამიტომ იყო, რომ გამწარებული ჯავრს ცოლის ძმაზე იყრიდა.

— გურამჩიკ! დამთავრდა ჩვენი პრიატნი ოტდიხი, — შეაგება ლევანმა ნომერში შემოსულ გურამს, — ხვალიდან დრუჟინიკობას ვიწყებთ კალცევონიზე.

— ბიჭო, სულ როგორ უნდა შაყირობდეთ, ტო, — გაეცინა გურამს, — თოვლში და ყინვაში დრუჟინიკები მხოლოდ კინოში მყავს ნანახი. „ოპერაცია ი“ გახსოვს? მარგუნოვი, ნიკულინი, ვიცინი, შურიკა და ბაბუშკა.

— ჰოოდა, ჩემო გურამ, ახლა დრუჟინიკებად იქნებიან ლევანა და გურამა, მხოლოდ კინოში კი არა, არამედ კალცევონიზე. ოპერაციას ჰქვია — „დათო კინტერაია“.

ლევანმა მოკლედ გააცნო, რაც იყო გასაკეთებელი. გურამმა ხან „დუბლიონგის“ არქონა მოიმიზეზა, ხან ქუდის, მაგრამ არა-ფერმა უშველა.

მეორე დღეს, სამ საათზე, ორივენი დათო კინტერაიას კორპუ-სის შორიახლოს დასეირნობდნენ.

— ლევან, შეიძლება აქ რამდენიმე დღე მოგვიწიოს დგომა, — შეწუხებული ბუტბუტებდა გურამი.

— არა მგონია, კინტერაია მოსკოვშია, უბრალოდ, იმალება. ჩემი ინტუიციით, მაგას დღესვე ჩავავლებთ ხელს, — ოპტიმის-ტურად იყო განწყობილი ლევანი.

— ეს თოვლიც რა ყინულივით არის. — თავისას არ იშლიდა გურამი.

— ასეთი თოვლის დროს დორის დაკვლა, ან არყის გამოხდაა კარგი. ეკე! რა „პრაზდნიკები“ გვაქვს კახელებს, ნეტა ახლა არყის ქვაბთან დამსვა და მწვადება ამაშიშხინებინა, — ინატრა ლევანმა.

— ნეტა შენ, ნატგრის ხასიათზე რომ ხარ. მე, აი, იმ კაფეში შევალ, ცოტას გავთბები და მერე შეგნაცვლები. — სთქვა გუ-რამმა და იქვე ობიექტისკენ გაბაჯბაჯდა.

ლევანი ფიქრებში ჩაიძირა.

თბილისში იყო. დეიდამ დაურეკა. სოფელში ვერ ჩავდივარ, იქნებ დამეხმარო, არაყი მაქვს გამოსახდელი, რომ დაგვიანდეს, ჭაჭა გაფუჭდება და ამდენ არყის დაგდარგაგთო. ლევანმაც შეკრი-ბა თავისი სიძეები, ვაჟა და ალეკო, გაუარა ძმას — გიორგის, ჩატვირთეს არყის ქვაბები მანქანაში და პარასკევს, სამსახურის შემდეგ, ჩავიდნენ სოფელ პატარძეულში არყის გამოსახდელად, იმ ვარაუდით, რომ მორიგეობით ორ დღე-ლამეში გამოეხადათ ორი დიდი კასრი ჭაჭა.

დაფაცურდნენ ბიჭები. გამართეს არყის ქვაბი, კახეთში „ზაოტს“ რომ ეძახინ, ჩაასხეს გამოსახდელი ჭაჭა, შეუკეთეს ცეცხლი და, როდესაც წყლის ამოსაქაჩი მოტორის ღილაკი ჩართეს, აღმოჩნდა, რომ წყალი თავის მოტორიანად გაყინული იყო და ამ სიბნელეში მის გაკეთებას ვერ მოახერხებდნენ. არყის

ქვაბის გადმოდგმაც უპვე აღარ შეიძლებოდა, რადგან ჭაჭა იმ დონეზე იყო გაცხელებული, რომ გაყინულიყო, გადასაყრელი გახდებოდა და დაიკარგებოდა თხუთმეტი ლიტრი არაყი. რადგან ოთხივენი არყის დიდი მოყვარულები გახლდნენ, ამიტომ ცივი უარი განაცხადეს ჭაჭის გაფუჭებაზე და სისტემის გაციება წყლის მაგივრად თოვლით დაიწყეს, რასაც იმ დამეს ეზოში დაგროვილი თოვლი მთლიანად შეეწირა. მეორე დღეს მეზობლებისგან თოვლის „სესხება“ აღარ დასჭირდათ, რადგან წყლის ამოსაქაჩი სისტემა შეაკეთეს და „ზაოტიც“ კარგად ამუშავდა.

— ლევან, შენ ქვაბს მიხედე! — უთხრა გიორგიმ სართელს, — ჩვენ წავალთ, სამწვადეს ვიყიდით, იმის გარეშე ხომ იცი, არ შეიძლება.

— მერე სამწვადეს სამი კაცი რად უნდა? — გაცხარდა ლევანი, არ უნდოდა მარტო დარჩენა, — ერთი მაინც დარჩით, რომ დამლაპარაკებელი მყავდეს.

— სწორედ მაგის გულისთვის არ გიტოვებ არავის, — ჩაილაპარაკა გიორგიმ და მანქანის საჭეს მიუჯდა, — შენ რომ კაცი დაგიტოვო, ჩემს მოსვლამდე მთვრალები დამხვდებით და ვინ გამოხდის ამ ჭაჭას.

— ჰო, კარგი, წადით და დროზე მოდით, თორებ მოვკვდი შიმშილით. — მიაძახა ლევანმა და ცეცხლს შეშა დაამატა.

მანქანა ათი წუთის წასული იყო, რომ ორლობების მხრიდან ეზოს ძმები, ამირანი და რეზო მოადგნენ. ისინი ოჯახის ახლობლები და მეზობლები იყვნენ და კარ-მიდამოზე თვალი ეჭირათ. დაგეტილ სახლს მაინც ყურადღების მიქცევა უნდოდა. მოპარვით არავინ არაფერს მოიპარავდა, მაგრამ სიფრთხილეს იჩენდნენ. ახლაც შორიდან ეზოში მოფუსფუსე კაცი რომ შენიშნეს, აქეთ გამოსწიეს.

— ვაკ! ჩვენი ლევანა ყოფილა, კაცო! — გადაულაპარაკა ამირანმა რეზოს.

— ლევან, გამარჯობა! როგორა ხარ, ო! — ხელი ჩამოართვა რეზომ ლევანს და გადაკოცნა, — კარგი საქმე დაგიწყია, ხო იცი.

— ამაზე კარგი რა უნდა გააკეთოს კაცმა ამ ყინვაში, — გააგრძელა ამირანმა ლევანის მოკითხვის შემდეგ, — თუ ზალისი და მონდომება გაქ, ამას რა ჯობია. მარტო ზარ, ო?!

— არა, ბიჭები სამწვადეზე წავიდნენ.

— ჩვენთან, სოფელში, ღორი არავის დაუკლავს, ხო იცი, ყველა საახალწლოდ ინახავს. აյ ზორც ვერ იყიდიან. საგარეჯოში მოუწევთ წასელა. — დაასკვნა რეზომ და მართალიც იყო. ახალწლამდე ღორს სოფელში იშვიათად თუ დაკლავდნენ, რადგან ფასი დაბალი ჰქონდა და კლიენტიც ნაკლებად იყო.

— სანამ ეგენი საგარეჯოდან გადმოვლენ, ხომ გამძვრა სული შიმშილით! — აჯიჯლინდა ლევანი. — რეზო, თუ ძმა ზარ, უ პატარა მაგიდა მოაჩოჩე ცეცხლთან ახლოს, მე მანამდე რაღაცას მოვძებნი.

— რა უნდა მოძებნო, ო?! — თავი გამოიდო ამირანმა, — აგე, სახლიდან გადმოვიტან ყველაფერს.

— მაიცა თუ ძმა ზარ, — გაეცინა ლევანს, — ახლა შენ სადმე გაგიშვებ. შენი ლოდინის თავი მაქვს. თბილისიდან რაღაცები წამოვიდეთ.

ლევანი შევიდა სახლში, გამოიტანა ჩანთა და დაიწყო ამოლაგება:

— ეს ძეხვი მოხარშული, ეს ძეხვი შებოლილი, ეს სუჯუხი, ეს ბასტურმა. აგერ თევზის კონსერვები. ვაჲ! გუდის ყველიც ყოფილა, რეზოვან. ესენი თქვენ დაჭრით, მეც ახლავე მოვალ.

რეზო და ამირანი აფუსფუსდნენ. ლევანი კი მარანში შევიდა. პატარა და კონტად მოწყობილი მარანი ჰქონდა თამარა დედას. ღვინით სავსე კასრები და ბოცები მარჯვენა მხარეს ელაგა. ხოლო მარცხენა მხარეს — სურსათ-სანოვაგე. ჭერზე ხახვის და ნივრის გაღები ეკიდა. ცოტა მოშორებით მარლაში სათუთად ჩამოკიდებული ჩურჩელები მოჩანდა. ლევანმა თევზებზე ამოიღო ნივრის, კომბოსტოს, კიტრის და მწვანე პომიდვრის მწნილები, ჩამოხსნა რამოდენიმე ჩურჩელა და უკვე გაწყობილ სუფრას მიუმატა.

— შენა, კაცო, ისეთი სუფრა გაშალე, მეფესაც არ ექნებოდა თავის დროზე. — იღიმებოდა ამირანი და თან შეშას უმატებდა ცეცხლს.

— სუფრა კი კარგი გვაქვს, ჩემო ამირან, მაგრამ ამ საჭმელებზე ცივი ღვინო არ წავა, მე მგონი, — ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა ლევანმა, — რა ვქნათ? ა, მწვადი რომ იყოს, ღვინოს დალევდა კაცი, მაგრამ ამ სუფრის მისწრება მხოლოდ არაყია.

— მერე, ჩენც არაყი დაურტყათ, გვიშლის რამე ზელს? — გაუკვირდა რეზოს.

— ვეძებე და ძველი არაყი ვერ ვიპოვე. ეტყობა გაუთავდათ.

— ო, ლევან, შენა, კაცო, რეებსა ლაპარაკობ? — საუბარში ჩა-ერია ამირანი, — მა ეს ამოდენა ქვაბი არაყი არ არი?!?

— რას ამბობ, კაცო! — შეცბუნდა ლევანი — ახლად გამოხდილი არყის დალევა გაგონილა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გავითიშებით.

— აი, მამაშენის შვილი მაგას როგორ ამბობ, ო?! — არ ეშვებოდა ამირანი, — არაყის გაციებას არ აცლიდა, ისე სომდა.

— ისე, შენც სწორი ხარ, მიდი, ჩამოასხი ბოთლში და თოვ-ლში ჩადე, გაცივდება, — მისცა დავალება ამირანს ლევანმა, ხელები მოიფშვნიტა, შიგნით ჩაიორთქლა, ხელი ხელს შემოჰკრა და გააგრძელა, — კაი რამე უნდა მოგიყვეთ. მამაჩემს და ბიძაჩემს სახლში „ზაოტი“ დაუდგამთ და ახლად შეძნილი სიძე დაუპატიჟიათ. სიძეს უთქვამს, სამწვადეს წამოვილებო. არ გვინდაო, იუკადრისეს თურმე ძმებმა, წამოდი და ვინც გინდა, წამოიყვანეო. მისულა სიძე თავისი ძმაკაცებით. ხედავს, „ზაოტი“ მუშაობს. იქვე, კაკლის ხის ძირას, სუფრა გაშლილი, როგორც იტყვიან, „ჩიტის რძეც“ არ აკლია. სიძეს პური გაუტეხავს, ჭიქა აუღია და უთქვამს: — „ღვინო ჩამოასხით, დავილოცოთ“. ძმებს ერთმანეთისთვის გაგვირვებით შეუხედავთ. მერე უძცროს ძმას უთქვამს: — „აგე, ძმაო, არაყი რომ ჩამოდის „ზაოტიდან“, იმას შეუშვირე და ჭიქაც გაივსებაო“, მამაჩემს კიდევ დაუმატებია: — „ჩვენ არაყის შესანახად არა ვხდითო“.

კარგად იცინეს. ამასობაში არაყიც გაცივდა. ჩამოასხეს, ოჯახს წლის მოსავალი დაულოცეს, ბარაქა და ხვავი უსურვეს და პირველი ჭიქებიც გამოსცალეს.

— ჰო, ჰო, ჰო, რა ყარაულის ტყვიასავით ჩაიარა, ო! — აღ-მოხდა რეზოს, — მაგარი არ არი, ო!

— მაგან ეგრე იცის, — ულვაშებზე ხელი გადაისვა ამირანმა, — ახალმა არაყმა, ნელ-ნელა გატკბობს და ბოლოს ისე ჩაგარტყმს რო, ვერას გაიგებ.

— ეგა, ამირან, შენ თავს უთხარი, თორემა მე სმა კიდევ შემი-ძლია, — წაიტრაბახა რეზომ.

— მაიცა, რეზო, ამირანი ხომ კარგად სვამს? — ჩაერია საუბარ-ში ლევანი.

— რას ამბობ, ო! — გაიცინა რეზოს, — დაკრეფილ ვენახში რო ჩაატარო, ბოლოში გათიშული მთვრალი იქნება.

ყველამ გულიანდ გაიცინა. ლევანმა მეორე ჭიქა შეავსო, ფეხზე ადგა, ბიჭებს ჭიქა მიუჭახუნა და მოკლედ წარმოთქვა:

— ტრადიციას ნუ დაგარღვევთ, მმებო. ის ხალხი მოვიგონოთ, ვისაც „ზაოტობა“ უყვარდა და დღეს აღარ არიან.

— ამინ, ხსოვნა იყოს! — დაუდასტურეს მმებმა, ჩამოცალეს ჭიქები და ნარჩენი არაყი ცეცხლს მიასხეს. ისეთი ალი ავარდა, ყველამ ინსტიქტურად სახეები მოაცილა ცეცხლს.

— ჰო, ჰო, ჰო, აქ რა ქნა და იქ რას იზამს, ო! — გაიცინა რეზომ და კუჭიზე დაიდო ხელი.

არაყს ეტყობოდა, მაღალი გრადუსი ჰქონდა. გასაკვირი არც იყო. იმ წელიწადს გვალვიანი ზაფხული იდგა კახეთში და ყურძენს შაქრიანობა საკმაოდ მაღალი ჰქონდა. თან ლევანის დეიდას ჭაჭაზე ერთი ტომარა შაქარიც დაეყარა. ასე რომ, ჩვენი გმირები დაახლოებით სამოცდაათ გრადუსიან არაყს მიირთ-მევდნენ. ჭიქას ჭიქაზე ცლიდნენ. არაყიც გატკბა, პურმარილიც. ბიჭებმა ახალი ქვაბის დადგმაც მოახერხეს. აღარ სციოდათ, მა-გრამ დრო და დრო ენის ბორძიგი დაეწყოთ.

— აი ახლა, ლევან, შენ ბუკვალი, კაი კაცი ხარ და შენი სა-დღეგრძელო უნდა დავლიო, — ასწია ჭიქა რეზომ და მიუჭახუნა ლევანს.

— რეზო! — მძიმედ დაიწყო ლევანმა, — დიდი მადლობა, მაგრამ გამაგბინე, ეს ბუკვალი რა სიტყვაა, უპევ მესამედ თქვი.

— ო, ბუკვალი არი, — ცას ახედა რეზომ, — ... ბუკვალი.

— ლევან, ეგ მაგანაც არ იცის რა არი, — ჩაერია საუბარში ამირანი, — არც მე ვიცი. ერთი ის ვიცი, რომ მაგას სამსახურში თანამშრომელი ჰყავს რუსი და ხშირად ამბობს ამ სიტყვას, მაიცა ზუსტად გეტყვი... ბუკვალნო...., ხო, რეზო?

— ხო რა, ბუკვალი, — დაუდასტურა რეზომ და ლევანის სა-დღეგრძელო ბოლომდე გამოცალა.

ბიჭებმა უკვე მესამე ბოთლი ჩამოასხეს, ჩადგეს თოვლში გასაციებლად, თვითონ კი მრავალუამიერი შემოსძახეს.

— სანამ სამწვადეს მოიტანდნენ, მოდი, ეს ოხოტნიჩი შევწ-ვათ. — თქვა ლევანმა და შამფურზე წამოაგო ძეხვი.

გემრიელი გამოდგა შამფურზე შემწვარი ძეხვი. ისე, რომ ერთი ბოთლი არაყი შემწვარმა ძეხვმა შეიწირა. ამირანმა სადღეგრძელო რომ წარმოოქმნა და ჭიქა დასალევად პირისკენ წაიღო, სიმძიმედ გადაძალა და ჭიქიან-არყიან-სკამიან-სხეულიანად უკან გადაბრუნებული თოვლში ჩაერჭო. თავის ნათქვამი თვითონვე აუსრულდა. ახალმა არაყმა სუფრის ერთი წევრი გათიშა.

— ლევან, ბუკვალი, — ალაპარაკდა რეზო, — ხედავ, რა უყო თავისმა ენამა?!

ლევანმა ამირანი წამოაყენა. ძლიერ შეიყვანა სახლში. შეიყვანა კი არა შეიტანა. მოწყვეტილი ადამიანის აწევა ძალიან ძნელია, მაგრამ ლევანს ჯანი კარგად მოსდევდა, ამიტომ არ გაუჭირდა ამირანის ტარება. რეზო რა პოზაშიც დატოვა, ისე დახვდა, მხოლოდ ვიღაცას ელაპარაკებოდა. გაიხედ-გამოიხედა ლევანმა, ეზოში არავინ იყო. იფიქრა, მეჩვენებაო. მართლა არავინ იყო ეზოში. რეზო კი ლაპარაკობდა, თან არყის ჭიქა მაგრად ჩაებლუჯა ხელში.

— რეზო! ვის ელაპარაკები?! — დაუძახა ლევანმა, როგორც კი მიუახლოვდა.

რეზო თავისთვის აგრძელებდა ლაპარაკს არარსებულ თანამეონახესთან. ყოველი მეორე სიტყვის მერე, სიტყვა „ბუკვალი“ არ ავიწყდებოდა, მაგრამ რას ლაპარაკობდა, აზრს ვერ გამოიტანდი.

— რეზო! — უკვე ხმამაღლა დაუძახა ლევანმა.

რეზოს არ ესმოდა. ამასობაში მანქანაც გამოჩნდა და ლევანმა ამოისუნთქა.

— ალეკო, მმოდი, მმაო, შენ ექიმი ხარ, იქნებ რამე მოუხერხო,
— არ აცალა მანქანიდან გადმოსვლა ბიჭებს ლევანმა. ალეკოს
მოჰკიდა ხელი და გააქცია მაგიდისკენ.

ალეკო უყურებდა მოლაპარაკე რეზოს და ვერ გარკვეულიყო
სიტუაციაში. ამ დროს ვაჟას ხმა გაისმა:

— მაგი ახლა მალე გაჩერდება და „სტოლბნიაკი“ დაეწყება,
მერე ცოტა ხნის შემდეგ დადგებს თავს მაგიდაზე და დაეძინება.
ორჯერ მოუკიდა ჩემთან მასე. ასე, რომ ნუ ინერვიულებთ. კი
მარა, რა დაღიერ ამისთანა?

— არ ეტყობათ, ახალი არაყო აქვთ დალეული, — ჩაილაპარაკა
გიორგიმ და გაბრაზებულმა უმცროს მმას, ლევანს შეხედა.

— აბა, რა მექნა, ტო! — განაწყენდა ბახუსთან უკვე კარგად
ჩახუტებული ლევანი, — ამ ზაკუსკაზე ღვინო არ წავიდოდა,
თქვენ სანამ მოხვიდოდით და სამწვადეს მოიტანდით, მანამდე
მშივრები ხომ არ დავიხოცებოდით?!

— მაიცა, კიდევ ვინმე გყავდათ? — იკითხა ვაჟამ.

— ჟო, ამირანა შიგნით წევს, სახლში, შეგიძლიათ ნახოთ.

— აუჰ! ჩაუხოცია ამას ხალხი, — გაეცინა ალეკოს.

— მე რა ჩამიხოცია, ტო! არაყს ხომ არ ავუკრძალავდი?! —
გაცხარდა ლევანი, ჩამოასხა არაყი, ყველას დაუსხა, მოლაპარ-
აკე რეზოს ჭიქა-ჭიქაზე მიუჭახუნა, — თქვენს მოსვლას გაუმარ-
ჯოსო, თქვა და გადაკრა.

რეზომ ლაპარაკი შეწყვიტა. ოთხივე მიაჩერდა. სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა, ხანდახან ცეცხლში გამსკდარი ნაკვერჩხლის ხმა თუ დაარღვევდა სიჩუმეს. დაახლოებით ხუთი წუთი გაშეშებულნი იყვნენ ყველანი. მერე კი „მოსწყდა“ რეზოს კისერი და მაგიდაზე დამხობილმა ხვრინვა ამოუშვა. ყველამ შვებით ამოისუნოქა. აყენებს რეზო და ამირანს მიუწვინეს გვერდით.

— შენც ხომ არ მიუწვებოდი? — გასძახა გიორგიმ ძმას.

— რათა ვითომ? გეგმა გაქვს შესასრულებელი? — იწყინა ლევანმა, — ამდენ ლაპარაკს სჯობია, მწვადი დროზე შეწვა, თორემ მგონი მართლა ვითვრები.

ლევანს სასმელი აღარ დაალევინეს. სამაგიეროდ ორ შამფურ მწვადს ბოლო მოუღო და ცოტა გამოვიდა მდგომარეობიდან. რეზოსთან და ამირანთან შედარებით ლევანი ახალგაზრდა იყო და სასმელიც უფრო აიტანა. ვაჟამ, ალეკომ და გიორგიმ გააგრძელეს ქეიფი, მხოლოდ ღვინით. ლევანი კი სახლში ცალკე ოთახში განმარტოვდა. ოთახის ფანჯრიდან მოჩანდა მაღალ მთაზე ლამაზად ნაშენი წმინდა ევსტათი მცხეთელის სახელობის ტაძარი, რომელ-საც სოფლელები ესტატეს ეკლესიად მოიხსენიებდნენ. მთის უკან ჩამავალი მზე, შარავანდელივით იყო შემომდგარი ტაძარზე. რაღაც ღვთიურ სილამაზეს უყურებდა ლევანი. პირჯვარი გადაიწერა და ადიდა ღმერთი. შემდეგ ჩათვლიმა. ცოტა ხნის მერე დოლ-გარმონის ხმამ გამოაღვიძა. შორიდან ისმოდა. დაღამტბულიყო. ლევანმა მაგიდიდან კალამი აიღო და წერას შეუდგა:

მზემ ჩაასვენა თავისი სხივები,
წმინდა ესტატეს ლამაზ მთის უკან,
ირგვლივ ჩამოწვა წყვდიადი სრული,
მთვარეს ბრძოლა აქვს წყეულ ბურუსთან.
აჰა! ბურუსიც გადაიყარა,
თვალწინ იშლება ძველი სოფელი,
სადღაცას ძალლი დამეს ემდურის,
სადღაცა ბლავის საქონელი.

ვაღაც ქიტესა გოგოს ათხოვებს,
გადარეული ხალხის ხმა ისმის,
ყველას ბახუსი ჩასვლია გვამში
და ერთმანეთის არც არა ესმით.

გოგო წაიყვანეს,
ხალხი მიწყნარდა,
ძალლები აღარ ყეფენ,
საქონელი აღარ ბლავის,
დავრჩი მე,
მთვარე და
არყის ქვაბი.

ლევანმა დაწერილი ლექსი თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა,
გადააგდო მაგიდაზე და ჩაილაპარაკა:

— ვაი, შენს პატრონს! გოგლას სოფელში ასეთი უნიჭო ლექ-
სის დაწერა შეიძლება?

შემდეგ გარეთ გაიხედა. ბიჭები უკვე კარგად იყვნენ შეზარხო-
შებული. შუშაბანდში ძმები, ამირანი და რეზო ხვრინვაში ეჯი-
ბრებოდნენ ერთმანეთის...

უცებ ლევანი ფიქრებიდან გამყინავმა ხმამ გამოაფხიზლა:

— Эй, мужчина!

ლევანმა მიიხედა, ვიღაც თეთრხალათიანი ქალი იყურებოდა
მისკენ. მან როგორც კი დაინახა, ლევანი მისკენ შემობრუნდა,
უფრო ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი:

— ЭТОТ ТОЛЬСТИ ГРУЗИН ВАШ ДРУГ? — ქალმა ხელი კაფეს
მიმართულებით გაიშვირა.

ლევანი ახლოს მივიდა მასთან და ჰკითხა:

— В чём дело, ласточка ты мая?

კომპლიმენტმა ქალი მოალბო და უკვე ნორმალური ხმით მი-
მართა ლევანს:

— Извините, он заснул и так храпит, что невозможно
работать.

ლევანი შევიდა კაფეში. გურამს ერთ-ერთ მაგიდაზე ჩამოედო თავი და ისე ხვრინავდა, მინები ზანზარებდა. ხალხი ვერც ჭამდა, ვერც სვამდა. ლევანმა გააღვიძა როგორც იქნა, გამოიყვანა გარეთ და მერე აუტყდა სიცილი:

— ყოჩაღ შენ, მმაო, ყველა პალაუენიაში რომ შეგიძლია ძილი.

— რა ტუპოი ხალხია ეს რუსები, ტო, — ჯიჯდინებდა გურამი, — ადამიანს ძილს არ დააცლიან, სულ მაგას ვამბობ ვერ გვიტანენ-თქო, არავინ არ მიჯერებს.

— კარჩე, გურამ, შენ სადაც წახვალ, სპალნი მეშოკი თან უნდა ატარო რა, — იცინოდა ლევანი და თან დათო კინტერაიას კორპუსისკენ იყურებოდა. უკვე ბნელოდა, მაგრამ ლამპიონების შექმნების ადამიანის გარჩევა კიდევ შეიძლებოდა.

— გურამ! — შეყირა ლევანმა, — ჩქარა სადარბაზოს მეორე მხარეს დადექი, მგონი მოღის, მე შევხვდები.

ლევანი, თავის თავში ღრმად დარწმუნებული, წავიდა იმ მამაკაცთან შესახვედრად, რომელიც დათო კინტერაიას მიამს-გავსა. არ შემცდარა, ის იყო. შორიდანვე დაუძახა:

— დათო, პრივეტ!

კინტერაია შემობრუნდა. იცნო ლევანი. აშკარად დაიბნა, მაგრამ მაშინვე დაძაბულობის განმუხტვა სცადა:

— ლევანჩიქ! საიდან სადაო?

— ვიცოდი, მივლინებიდან დღეს რომ ჩამოხვიდოდი და სახ-ლში გამოგიარე, — იცრუა ლევანმა.

— ხო, მივლინებიდან გუშინ ჩამოვედი, — დათომაც იცრუა, — ვეღარ დაგირექეთ. მისამართი შენ საიდან იცოდი?

— ჩიტმა მასწავლა, — უთხრა ლევანმა და გურამისკენ გაახედა.

გურამი კლდესავით იდგა და პირდაპირ მათ კენ იყურებოდა. უცხო თვალს ეგონებოდა, რომ დაქირავებული „ვიშიბალა“ იყო, სინამდვილეში ახლადგაღვიძებული გურამი გამოშტერებული იყურებოდა და ვეღარ გაეგო, რა უნდა გაეკეთებინა. კინტერაია შეშინდა. ეს უკვე ლევანის წისქვილზე ასხამდა წყალს. ახლა მთავარი იყო ლევანს გურამი გაეფრთხილებინა, რომ საუბრის

დროს ხმა არ ამოელო, თორებ მისი ხმის ამოლება და საქმის გაფუჭება ერთი იქნებოდა.

— ავიდეთ სახლში ვიღაპარაკოთ, — აკანკალებული ხმით შეიპატიუა კინტერაიამ ლეგანი და გურამი.

დათო კინტერაია ვიღაც ქალთან ერთად ოთახნახევრიან ბინაში ცხოვრობდა. ბინა ავეჯით იყო გაჭედილი ისე, რომ შიგ ნორმალურად ვერ გაივლიდი. დიასახლისი ძალიან სტუმართმოვარე ახალგაზრდა რუსი ქალი აღმოჩნდა. ლეგანმა მომენტი იპოვა და გურამი გააფრთხილა, ხმა არ ამოელო, სანამ თვითონ არ ეტყოდა. გურამმა მართალია ვერ გაიგო, რატომ, მაგრამ თავი მაინც დაუქნია.

კინტერაია ოთახში შემოვიდა, ჩამოჯდა სკამზე და დამნაშავესავით დაიწყო:

— ზაურმა გამოგაგზავნათ?

— კი, ალბათ იცი, რაზეც, — უბასუხა ლეგანმა, — რა ვქნათ?

— ახლა მხოლოდ ნახევარი მიღიონი მაქვს, დანარჩენს ორ კვირაში თბილისში რომ ჩამოვალ, იქ გავუსწორებ.

— დათო, ფული ჩვენ მოსკოვიდან რომ წავალთ, თან უნდა წავიღოთ. ეს გელაშვილის კატეგორიული მოთხოვნაა, ასე არ არის? — შეეკითხა გურამს ლეგანი და თვალებში ჩახედა. ვინაიდან გურამმა იცოდა, რომ ხმა არ უნდა ამოელო, გაუგებრობისაგან დეგენერატის შეხედულება ჰქონდა მიღებული. ლეგანისგან სახე კინტერაიასაკენ მიაბრუნა. რა თქმა უნდა, დათოსთვის გასაგები იყო, რომ, თუ ამათ ნებას არ დაჰყვებოდა, ამ დეგენერატისაგან კარგს ვერაფერს მოუწეოდა. კინტერაია უკვე დარწმუნდა, რომ გელაშვილმა გურამის სახით „ვიშიბალა“ დაიქირავა.

— ლეგან, ბოდიში, ნადინგას ვკითხავ, რაღაც ფული მაგასაც უნდა ჰქონდეს, — თქვა დათომ და ბოდიშის მოხდით სამზარეულოში გავიდა.

— ტო! მე რატომ არ მაღაპარაკებ? — ჩურჩულით ჰქითხა გურამმა ლეგანს.

— გურამ, ხმა არ ამოიღო, ასეა საჭირო, შენ რაც შეიძლება ახვრული როვა დაიჭირე. აი ისეთი, თქვენთან ვერაზე ზოგიერთ ბლატნო ბიჭს რომ აქვს.

ამის თქმა იყო და გურამმა გაფართოებულ თვალებთან ერთად ქვედა ყბა დაბლა ჩამოაგდო. ოთახში შემოსული კინტერაია უფრო დაიბნა, ძლივს წაილუღლუდა:

— მე მგონი, მილიონამდე შევავსებთ.

გურამმა ყბა უფრო დაბლა ჩამოსწია და ლევანს შეხედა. ამ უკანასკნელმა კი ვითომ რაღაც ნიშანი მიიღო და კინტერაიას ჰკითხა:

— ნახევარი მილიონი ხვალ ხუთ საათამდე სასტუმროში უნდა ამოგვიტანო.

— ვეცდები, ლევან, — თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა დათომ.

— მაშინ ალექსანდროვიჩს დავურეკოთ, — თქვა ლევანმა და ტელეფონისკენ გაიწია.

დათომ უცბად გადახარშა, რომ გელაშვილთან დარეკვას შეუძლო სიტუაცია უფრო დაეძაბა და წამოყენებულ პირობაზე დათანხმდა. მსხვილი კუპიურების წყალობით, ფული უცბად დათვალეს, დაემშვიდობნენ მასპინძლებს და ათ წუთში უკვე ტაქსით სასტუმრო „როსიასკენ“ მიქროდნენ.

გელაშვილი ფრიად ნასიამოვნები დარჩა შედეგით.

— სცენარი როდის მოიფიქრე? — ჰკითხა ლევანს.

— თავისით დაიწერა, — გაეცინა ლევანს, — გურამი უცბად რომ გავაღვიძე, ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც გვჭირდებოდა.

— დეგნერაცის არა? — გახედა გურამს გელაშვილმა.

— გაუკეთე ამას საქმე, — გაბრაზდა გურამი, შეტრიალდა და გაიჯახუნა კარი.

კინტერაიამ სიტყვა შეასრულა და მეორე დღეს ნახევარი მილიონი მოიტანა. ასე რომ, მოსკოვიდან ყველა თანხა ამოიღეს. ნაწილ-ნაწილ თვითმფრინავით გამოგზავნეს თბილისში. ხოლო ორ დღეში ზაური, გურამი და ლევანიც ჩამოვიდნენ.

VI

თბილისში გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა, მაგრამ მარტის თვე მაინც თავისას აკეთებდა. ხან შესანიშნავი დარი იღვა, ხან ისე აურევდა, რომ სიცოცხლეს შეგაზარებდა. ამ ამინდის გამო გელაშვილს ჯანმრთელობა ძალიან გაურთულდა და სამკურნალოდ დიღომში, კარდიოლოგის ცენტრში დააწვინეს. პალატაში მარტო იწვა. სამი-ოთხი კაცი ყოველთვის ტრიალებდა მასთან. ისინი ხან სამუშაო კაბინეტში ისხდნენ, ხან სახლში. აქაც იგივე პიროვნებები დახვდნენ ლევანს. ისხდნენ თავისთვის და ხმას არ იღებდნენ. ადრე გელაშვილმა ეს ხალხი ახლობლებად გააცნო ლევანს. სართელიც პატივისცემით ეპყრობოდა.

ლევანი ზაურთან სეფერთელაძების თანხლებით მივიდა.

— რაფერ ხარ, ალექსანდროვიჩ? — დიდი რევერანსებით მოიკითხა კოტემ, — წარსულს ვეღარ დაიბრუნებ, ძმაო. იმ მთავრობამ ჩაილურის წყალი დალია, აწი ახალი უნდა ვეძებოთ.

— ახალში შენი კაცითუარა გყავს, ვინ შეგიშვებს? — ამოიოხრა გელაშვილმა და ბიჭებს ხელი ჩამოართვა, — თან კრედიტის საქმის ძიებას პროკურატურა შეუდგა. ლორიამ, როგორც უკვე ახალი მთავრობის კაცებთან დაახლოებულმა პირმა, თავდასხმა პირადად ჩემზე დაიწყო და არის ერთი გამიშვი — დამაკავე.

— გვყავს ჩვენ ერთი ჩვენი კაცი, რომელიც ამ საქმეს მიხედავს, როგორც პოლიტიკურად, ისე სხვა გაგებითაც, — დაბალ ხმაზე წარმოთქვა კოტემ და გელაშვილს ანიშნა თვალით, ის თოხეული ცოტა ხნით დაეთხოვა პალატიდან.

როდესაც გაუგებარი წარმომავლობის ოთხეული პალატიდან გავიდა, ლევანი კოტემ მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ვინ კაცი გყავს, ტო? ჩემთვის არ გითქამს.

— იცი შენ, ლევან, აჩიკოზეა ლაპარაკი, ცარციძეზე.

— რამკიანებმა როდის აქეთ დაიწყეს პოლიტიკოსობა? — გაუცინა სართელს.

— მოიცადე თუ ძმა ხარ, — ხელი ჩაიქნია ზაურმა.

— ალექსანდროვიჩ! შენ ვერ გამიგე, — არ იშლიდა თავისას კოტე, — აჩიკო, მართალია, შავი გაგების ბიჭია, მაგრამ ახალი ხელისუფლების მომხრე ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარის ახლობელია და შეუძლია, ყველაფერი ისე მოაწყოს, როგორს ჩვენ გვიჩდა.

გელაშვილი ჩაფიქრდა. აშკარად ჩანდა, იდეა მოეწონა და გონებაში ხარშავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მშვიდად წარმოთქა:

— სანაცვლოდ რას ითხოვს?

— წილში ჩასმას, — სხარტად უპასუხა კოტემ, — თან დაცულიც ვაქნებით გარეშე ძალებისაგან. დღეს ხომ იცი, რა დროა.

გელაშვილმა თვალი სართელისკენ გააპარა.

— ლეგან, შენ რას ფიქრობ ამ საქმეზე?! — ხმამაღლა წარმოთქვა ზაურმა. სართელმა ჯერ მმებს, სეფერთელაძეებს შეხედა. რატომდაც ორივე მძამ თვალი აარიდა მის მზერას. შემდეგ გელაშვილს შეხედა და ცოტა გაკვირვებულმა თქვა:

— პირველად მესმის ეს ყველაფერი. აჩიკო ერთხელ უშანგიმ გამაცნო, მაგრამ საქმიანი საუბარი არ ყოფილა ჩვენს შორის.

— აჩიკოზე არ გეკითხები, ლევან, — შეაწყვეტინა საუბარი ზაურმა, — საერთოდ ამ ურთიერთობებზე რას ფიქრობ?

— ალექსანდროვიჩ! თუ კრედიტის საკითხთან დაკავშირებით ლორიას წინააღმდეგ „კრიშა“ გვჭირდება, მაგის მოძებნა ჩვენც შეგვიძლია. რაც შეეხება ჩვენი ბიზნესის დაცვას, ჯერ არაფერი დაგვიწყია და შესაბამისად, არც არაფრის დაცვა არ გვჭირდება, — ცოტა ნაწყენი კილოთი ალაპარაკდა ლევანი და თან სკამიდან წამოდგა.

— მომავალში რომ დაგვჭირდეს? — არ ეშვებოდა ზაური.

— ჰო, რა, ლევან, შენ რატომ იცი ასეთი პოხონდრიები, ტო!

— ჩაერთო საუბარში კოტე, — საქმეს რომ დავიწყებთ და რაღაც მოხდება, მერე ვეძებოთ დაცვა და „კრიშა“?

— ვერ გავიგე, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ საკუთარი ძალებით ვერ გაგწვდეთ? — გაცხარდა სართელი, — ათი წელი ჩვენს თავს ჩვენ ვპატრონობდით და ახლა რატომ უნდა გაგვიჭირდეს.

— ახლა სხვა დროა, მმაო, — ამოიღო ხმა უშანგიშ, — ვიღაცა
ნაკოლს გაიტანს გარეთ და დაგესევიან ფულის წასაგლეჯად.

— უშანგი! — მხარზე ხელი დაადო ლევანმა, თვალებში ჩახედა
და პკითხა, — ვინ უნდა გაიტანოს ნაკოლი? შენ, მე, კოტემ თუ
ზაურმა?

— ვიღაცამ, რა, — წამოწითლდა უშანგი.

— ჰოდა მაგას გეკითხები, მმაო, — არ ეშვებოდა ლევანი, —
ჩვენ თუ ჩვენივე საქმეს ჩავუშვებთ, მაშინ ახლავე დავიშა-
ლოთ, თორუმ ვერც პოლიტიკოსები გვიშველიან და ვერც
შავები. მერე მეორე, პოლიტიკოსების მე არ მჯერა. თან ისეთი
პოლიტიკოსების, რომლებიც ხან ერთ მთავრობას ერგებიან
„პროპარავით“ და ხან მეორეს. რაც შეეხება შავებს, მე აჩიკოს
შეურაცხყოფას არ ვაყენებ, არ ვიცნობ კაცს და აუგი როგორ
ვთქვა, ერთი კი ვიცი, რომ შავი ჩვენს საქმეს არ მიხედავს, ის
თუ რამეს მოიგდებს ხელში, თავისთვის გამოიყენებს და იქით
მადლობას გადაგახდევინებს.

— ესე იგი, შენ წინააღმდეგი ხარ, ლევან? — იკითხა კოტემ.

— აგერ, მმაო, უფროსი და გადაწყვიტოს. მე ჩემი საქმე ვიცი,
ეგეთ რამეებში ვერ ვერკვევი, — თქვა ლევანმა და ნერვების და-
საწყაროებლად ფანჯრიდან გადაიხედა. „რაღაცას ქსოვენ“, —
ფიქრობდა ლევანი, — „ამათთან მუშაობა დაღუპვის ტოლფასია.
რა ვქნა, როგორ მოვიცე, უკვე აღარ ვიცი“.

— ლევან! — ჩაესმა გელაშვილის ხმა, — მოდი, ეს სატიტულო
ბლანკი ნახე თუ მოგეწონება.

ლევანი შემობრუნდა, გელაშვილს ფურცელი გამოართვა,
დასხედა და ხმამაღლა წაიკითხა:

— მრავალდარგოვანი ასოციაცია „ლაშარი“. ეს ვისია?

— ჩვენი, — მოკლედ მოჭრა გელაშვილმა.

— ვაჲ! ახალი ჩამოაყალიბე? — იკითხა კოტემ და ლევანს
ფურცელი გამოართვა.

— ჰო, ლორიას გავეყარე, — გაიცინა გელაშვილმა, — ვიცე-
პრეზიდენტის თანამდებობა ლევანს მინდა შევთავაზო, თუ, რა
თქმა უნდა, თანახმა იქნება.

— როგორც გინდა, ზაურ, შენ ხომ იცი, ჩემთვის თანამდებობას მნიშვნელობა არა აქვს, — თქვა ლევანმა, — ჩემი საკეთებელი საქმე მაინც მე უნდა ვაკეთო. ისე ნდობისათვის დიდი მადლობა, ვეცდები გვერდში დაგიდგე და საქმე ერთობლივად ვაკეთოთ. აგერ ბიჭებიც ჩვენთან ერთად იქნებიან და, მე მგონი, გავქაჩავთ.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ძირითად საკითხს რა ვუყოთ? — იკითხა კოტემ. სეფეროთელაძე ძალიან იყო მოწადინებული, პასუხი როგორმე დღესვე მიეღო.

ლევანმა მხრები აიჩენა და გელაშვილს შეხედა. ზაური ერთ ხანს ჭერს უცქეროდა. მერე გადმოხედა ბიჭებს და მოკლედ მოჭრა:

— გამოვალ საავადმყოფოდან, შევხვდეთ და დავილაპარაკოთ.

— ხარაშოო... — ამოისუნთქა კოტემ. თითქოს დიდი ტვირთი მოიხსნაო, ადგა, გასწორდა წელში, ბიჭებს გადახედა და გააგრძელა:

— არ წავიდეთ?

— წავიდეთ, წავიდეთ, — უპასუხა ლევანმა.

გელაშვილს სამივე დაემშვიდობნენ. მათი გამოსვლა იყო პალატიდან და ოთხეული ხმაამოულებლად შევიდა პალატაში თავისი ადგილების დასაკავებლად.

— გამაგებინეთ, ეს რა ხალხია? — ჰკითხა ლევანმა ძმებს.

— აზრზე არა ვარ, — მხრები აიჩენა კოტემ, — მე ახლობლებად გამაცნო.

— არა ჰგვანან ეგენი ახლობლებს, — ჩაილაპარაკა ლევანმა.

— ალბათ, სამსახურში მოწყობა უნდათ, — დააწყნარა ბიჭები უშანგიძ.

— ეგ შეიძლება, — თქვა კოტემ და სამივე კიბეებზე დაეტვა.

VII

გელაშვილის გამოჯანმრთელებამდე ლევანმა ასოციაციის რეგისტრაციისათვის წინასწარ ჩასატარებელი ყველა სამუშაო დამთავრა. პპრილის პირველ დეკადაში ზაური გამოწერეს საავადმყოფოდან და ასოციაცია „ლაშარიც“ რეგისტრირებული იქნა შესაბამის ორგანოებში. პრეზიდენტად აირჩიეს ზაურ გელაშვილი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად ლევან სართელი. ლევანის რეკომენდაციით კომერციული ცენტრის დირექტორად დაინიშნა კოტე სეფერთელაძე. გელაშვილის ბინაზე შეკრებილებმა, ზაურის უშუალო დასტურით, გადაწყვიტეს, რომ აჩიკო ცარციძის მემვეობით შეკედლებოდნენ რომელიმე პოლიტიკურ ძალას და ის შემდგომში გამოეყენებინათ, როგორც ეგრეთ წოდებული „პრიშა“, ხოლო ცარციძე კი გააკონტროლებდა ასოციაციის კომერციულ ცენტრს და არა თვით ასოციაციას. ეს არც ცარციძეს და არც სეფერთელაძეს არ აწყობდათ. ისინი ასოციაციის მიღმა რჩებოდნენ, მაგრამ ამ ეტაპზე სიტუაცია აღარ გაართვულეს, რადგან პოლიტიკური პარტია, რომელსაც ასოციაციის მფლობელობა უნდა ეკისრა, სავსე იყო ცარციძის ხალხით.

ლევანს ღამეები არ ეძინა მომავალ საქმიანობაზე ფიქრით. ამ შემთხვევაში საქმიანობაში არ იგულისხმებოდა ის კომერციული ურთიერთობები, რომლებიც მას ჰქონდა ეკრანის და აზიის ქვეყნებთან. ეს ძალიან აწყობილი და დახვეწილი გზები იყო, რასაც იმ დროს ბევრი ნატრობდა საქართველოში. მას არ ასვენებდა ის დაბაზული სიტუაცია, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში ჩამოყალიბდა სეფერთელაძეებთან დამოკიდებულებაში. მათი ღალატი უკვე აშკარა იყო, მხოლოდ ფაქტების ზედაპირზე ამოტივტივებადა სჭირდებოდა. ამის გამოაშკარავებას ჯერ კიდევ დრო უნდოდა. ამასობაში ახალი სამსახურებრივი ურთიერთობები ყალიბდებოდა. საქმიდან გასვლა, რაზეც ლევანს არაერთხელ უფიქრია, არ გამოღილდა, რადგან ყველა ეჭვი მასზე გადავიდოდა. ეს კიდევ არაფერი, კაცი გააქარწ-

ყლებდა ამ ეჭვებს, რადგან სიმართლე ლევანის მხარეზე იყო, გელაშვილს საქმეში მარტოს ვერ დატოვებდა, ამ არეულობაში კაცის მარტო მიტოვება არაკაცური მოქმედება იქნებოდა და საქმიან წრეებში სახელს გაუტეხდა. სახელის გატეხვას კი, ანდაზის არ იყოს, თავის გატეხვა ერჩია. ამიტომაც ლევანი დინებას მიჰყვა. ერთ კვირა დღეს გელაშვილს სახლშიც მიაკითხა. ბევრი ისაუბრეს. ლევანი ჯერ კიდევ თავის აზრზე იდგა და არწმუნებდა გელაშვილს:

— ზაურ, არ გვინდა არავინ. ახლა პოლიტიკურ პარტიებს ჩვენ მხოლოდ იმისთვის ვჭირდებით, რომ დაიფინანსონ თავი არჩევნებისთვის. გაიმარჯვებენ თუ არა, მაშინვე სანაგვეზე მოგვისვრიან, ან საჯიჯგნად ცარციძეების მსგავსებს გადაუგდებენ ჩვენს თავს.

— რა ვქნა, ლევან! — ანერვიულდა გელაშვილი, — ყველამ იცის, რომ მე ზვიადისტი ვარ და მისი მთავრობის ერთ-ერთი აქტივისტი. მე რომ ახლა რომელიმე პარტიას არ ამოვეფარო, სულ მალე ჩემი ძვლებიც აღარ დარჩება. ჯერ ახლა ჩამოვედი და უკვე ერთი ასი სატელეფონო მუქარა იყო. მითხარი, თუ არის რამე სხვა გზა და იქით წავიდეთ.

— ზაურ, ის კარგად ვიცი, რომ დამოუკიდებლად მუშაობა ჩვენ არ გაგვიჭირდება, მაგრამ რადგან შენ პოლიტიკურ დევნაში ხარ, თუ გინდა, წავიდეთ ისევ მოსკოვში და იქ ვიმუშაოთ. იქ უფრო ადვილია ახლა მუშაობა. უბრალო მაგალითს გეტყვი, — თან ეცინებოდა ლევანს, — შენ რომ საავადმყოფოში იწექი, მაშინ ხომ ერთი კვირა სასტუმროში ვიყავი გამოკეტილი მარტო და ვინიციდან პასუხს გელოდი. კაცი მარტო ჭამაშიაც ცოდვაა და ამხელა სასტუმროში კინაღამ არ გავგიუდი. სატუმროს ჩრდილოეთ ბლოკში ვიყავი გასული ტელეგრაფის განყოფილებაში. შემთხვევით ტელეგრაფის ერთმა თანამშრომელმა სამრეწველო საქონლის საქმაოდ დიდი ნუსხა მაჩვენა და მკითხა, ხომ არ გაინტერესებოთ. გამოვართვი და ნომერში კარგად და-ვამუშავე. ურიგო წინადადება არ იყო. საღამოს აღმოსავლეთ ბლოკიდან დამირეკეს, ნომრის ფულია გადასახდელი და ჩამო-

ბრძანდითო. იქ ერთი ტურისტული ფირმის ოფისიც იყო. ჩრდილოეთ ბლოკიდან წამოღებული საქონლის ჩამონათვალი მათ გავაცანი. ძალიან მოეწონათ და შეკვეთა მომცეს. მეორე დღეს ამ ორ ფირმას ისე მოვუგვარე ტელეფონით საქმე, რომ ნომრიდან არ გავსულვარ. ერთხელ ჩავედი ჩრდილოეთ ბლოკში, ჩემი საშუალების ათი პროცენტი, ანუ ასი ათასი მანეთი ავიდე და ეგ იყო. მოსკოვში ახალი ბიზნესი ახლა ყალიბდება და ჩვენთვის შესაფერისი დროა.

— მართალი ხარ, ლევან, გეთანხმები, — ამოიოხრა ზაურმა, — მევერ გავქაჩავ ჯანმრთელობით. ორი-სამი თვე ვიყავით მოსკოვში და აქედან ნახევარი სავადყოფოში გავატარე. მე ხელის შეშლის მეტს ვერაფერს გავაკეთებ. რად გინდა ამისთანა პარტნიორი.

— მაშინ ცოტა ამ ვალებიდან ამოვიდეთ და მე წავალ მოსკოვში, — განაგრძობდა ლევანი, — ასოციაციის ფილიალს დავაფუძნებ და ავაწყობ საქმეს, თორემ ამ მთავრობის არა მჯერა. ამათ საქმიანი ხალხი არ სჭირდებათ.

— აბა, როგორი ხალხი სჭირდებათ? — გაეცინა გელაშვილს.

— ცარციძეები, სეფერთელაძეები და მათი მსგავსნი, რომლებსაც გამოიყენებ და მერე სად მოისკრიან, მხოლოდ ღმერთმა იცის.

— რა ვიცი, ძალიან აქებენ ამ თავიანთ ძმაკაცს, პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეს. ჯერ ვნახოთ, — თქვა ჩაფიქრებულმა გელაშვილმა და ცალი თვალით სართელს გახედა.

— შენ, ალექსანდროვიჩ, მგონი პოლიტიკური ჭია ისევ გიღ-რღნის ტვინს, — გაეცინა ლევანს, — ნამეტანი დიდი მონდომებით ელოდები ამ შეხვედრას. შენი საქმისა შენ იცი, მე კი დღევანდელ პოლიტიკურ ლიდერებში მხოლოდ სახელისუფლებო სკამის მაძიებლებს ვხედავ. ერთი ვიცი, ქუჩიდან მოსულებს, ისევ ძველი კომსომოლები აჯობებენ.

მეორე დღეს აჩიკო ცარციძემ ზაურ გელაშვილი, ლევან სართელი და ძმები სეფერთელაძეები პარტიის თავმჯდომარეს წარუდგინა. გააცნო, როგორც წარმატებული ბიზნესმენები. ბევრი ისაუბრეს. თავმჯდომარემ ასოციაციას ოფისისთვის

ფართიც გამოუყო და ხელშეუხებლობის გარანტიაც აღუთქვა. გელაშვილი მეცხრე ცახე იყო. მას უკვე ვერავინ დაემუქრებოდა, ვინაიდან მეორე დღესვე პარტიის წევრი გახდა, წიგნაკიც მიიღო. პარტიის თავმჯდომარებ პირადად უთხრა, რომ ყველა კრიტიკულ სიტუაციაში უფლება ჰქონდა, მისი სახელით ეს-არგებლა. ამასთან, რამდენიმე დღეში იარაღის ტარების უფლებასაც გაუკეთებდა.

— გითხარი, მმაო! ყველაფერი კარგად და დობრად იქნება-თქო, — ხრინწიანი ხმით გადაულაპარაკა ცარციძემ გელაშვილს.

— მმა ხარ, აჩიკო, — გადაეხვია გელაშვილი ცარციძეს და გაბადრული სახით მერსედესის კარები გაუღო, — სახლამდე მიგიყვან.

სეფერთელაძეებმა ერთმანეთს გადახედეს. კოტებ თვალი ჩაუკრა უშანგის. ლევანმა ეს შენიშნა, თავი ჩაღუნა, მერე გასწორდა, ხელის აწევით დაემშვიდობა ყველას, ჩაჯდა თავის ოცდაოთხში და სახლისკენ დაიძრა.

VIII

ერთი კვირის განმავლობაში გელაშვილი, სართელი და კოტე სეფერთელაძე ოფისის მოწყობით იყვნენ დაკავებულნი. ლევანი და კოტე კადრების შერჩევას ახდენდნენ. ისხდნენ ჯერ კიდევ გაურემონტებელ კაბინეტში. ამ დროს გელაშვილმა შემოაღო კაბინეტის კარი და აღფრთოვანებულმა ამცნო ორივეს, რომ დაინიშნა პარტიის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. საიდან და როგორ, ეს არ დაუკონკრეტებდა.

— მაგას ნამდვილად ვერ გეტყვით, — გაეღიმა გელაშვილს.

— არც მაინტერესებს, ალექსანდროვიჩს ვენაცვალე, — წამოდგა ფეხზე სართელი, — ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს ეს ახალი პარტია, მაგრამ შენი პოლიტიკოსობა ცუდად გვაქვს დაცდილი. იმ მთავრობაში იყავი და ათ მილიონში გადავვარდ-

ით. ამათ ხელში რას გვიქადი, ჯერ არ ვიცი, მაგრამ ესენი რომ იმათზე უარესს გვიზამენ, ამას ნაღდად ვგრძნობ...

— კაი, გაჩერდი ახლა, ნუ მოხსენი გუდას პირი, — შეაწყვეტინა გელაშვილმა, — მაგი მე შენზე კარგად ვიცი, ვინ ვინ არის.

მაგის გასარჩევად არ შემოვსულვარ თქვენთან. ხვალ ჩვენს პარტიას ესტუმრებიან ქართველი ემიგრანტები იტალიიდან და საფრანგეთიდან. მათ თან ახლავთ ბიზნესის წარმომადგენლებიც და მინდა, რომ მოლაპარაკებაზე მომზადებულნი მოხვიდეთ. თან ხვალ ბანკეტიც იქნება გასაკეთებელი და მოიფიქრეთ რამე.

— არის, უფროსო. ისე მოლაპარაკებაზე დროშები თქვენ გექნებათ, თუ ჩვენ წამოვილოთ? — ხუმრობით ჰკითხა ლევანმა.

— ჰო! კარგი, კარგი, ნუ გაუბერე, ხვალ თორმეტ საათზე დარბაზში იყავით, — დატოვა სიტყვა გელაშვილმა და წავიდა.

— ჩვენი საშველი არ არის, ძმაო, — თავისთვის ჩაილაპარაკა ლევანმა და მაგიდას მიუჯდა.

— ლევან, შენ რას ნერვიულობ, ჟო! — ალაპარაკდა კოტე, — თავში ქვაც უხლია, რამდენიც უნდა იპოლიტიკოსოს, შენი რა მიდის?

— ფული, კოტე! — მოკლედ მოუჭრა ლევანმა და თვალებში ჩახედა მეგობარს.

კოტემ სახე აარიდა. მიხვდა, რომ ლევანი ხვდებოდა, რაც მზადდებოდა მის გარშემო, ამიტომ მისი, რიგორც ვიცე-პრეზიდენტის ასოციაციაში დატოვებისათვის კიდევ რაღაც ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო, თორემ, თუ ლევანი წავიდოდა აქედან, ფაქტობრივად, ასოციაცია საქმიანობას შეწყვეტდა. ევროპისა და აზიის ყველა მომწოდებელი სართელის მეშვეობით აფორმებდა კონტრაქტებს ასოციაციასთან. ფულის წაგლევის ყველა გეგმა ჩაიშლებოდა.

იმ დღეს კოტემ ყველა თავისი თანამოაზრე მოინახულა. ბევრი ვარიანტი გაარჩიეს, როგორ დაემაგრებინათ სართელი ასოციაციაში. ბოლოს არჩევანი უცხოელებზე შეჩერდა. შეხვედრის დროს ლევანს იტალიის წარმომადგენელი დაუსვეს, რომელიც წინასწარ იყო დამუშავებული, რა უნდა ელაპარაკა. მან მოკლედ აუხსნა სართელს, რომ იტალიის პოლიტიკური

და საქმიანი წრეები მხარდაჭერას უცხადებდნენ საქართველოს ეროვნულ-ცენტრისტულ პარტიებს, რაც ქვეყნის ფეხზე დადგომის ერთ-ერთი საწინდარია. პოლიტიკურ ურთიერთობებთან ერთად, იტალიის მხარე აპირებს, საქართველოს კერძო სტრუქტურებთან კომურციული გარიგებების საფუძველზე, საქონლის ურთიერთგაცვლის ოპერაციების წარმოებას, რაც მომგებიანი იქნება ორივე ქვეყნისთვის. ასე რომ, ძლიერი პოლიტიკა და ძლიერი ბიზნესი ფეხზე დააყენებს საქართველოს და გზას გაუხსნის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გაერთიანებაში შესასვლელად.

მოლაპარაკება დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. ლევანი კმაყოფილი დარჩა. შემდეგ სართელმა სიტყვის თქმის უფლება მოითხოვა და მიმართა შეკრებილ საზოგადოებას:

— ქალატონებო და ბატონებო! ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ, რომ სამშობლოდან იძულებით შორს წასულმა ჩვენმა თანამემამულებმა გამოხატეს კეთილი ნება დედა-სამშობლოს, საქართველოს დასახმარებლად. ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერიამ ყველაფური გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მოესპო ის ფუნქცია, რომელიც ევროპასა და აზიას შორის საგაჭრო ურთიერთობებს არეგულირებდა. კერძოდ, ეს იყო უმოკლესი, „აბრეშუმის გზა“. ჩვენს ასოციაციას აზიის ქვეყნების კომურციულ წრეებთან საკმაოდ კარგი ურთიერთობები აქვს, რის საფუძველზეც ჩვენ შეგვიძლია ეპრობის ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე მათთვის საჭირო სახალხო მოხმარების საქონლისა და ნედლეულის მიწოდება, ხოლო ევროპიდან აზიაში სანაცვლო საქონლის ექსპორტი. ამ ოპერაციების წარმოება, საქართველოს გავლით, დიდ ეკონომიას იძლევა ხარჯებში, რაც ერთ-ერთი და მთავარი პირობაა რეალური და მომგებიანი ბიზნესის წარმართვისათვის. თუ თქვენი ქვეყნების პოლიტიკური და საქმიანი წრეები ხელს შეგვიწყობენ აღნიშნული დერეფნის ჩამოყალიბების საქმეში, ჩვენი ასოციაცია შეასრულებს იმ ხიდის როლს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აკავშირებდა ევროპასა და აზიას.

ლევან სართელი მთელი აღფრთოვანებით საუბრობდა „აბრე-შუმის გზის“ შესახებ. ბევრ საკითხს აკონკრეტებდა კიდეც. ვინაიდან ეს იდეა ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ცეკავშირში მუშაობის პერიოდში უღრღნიდა ტკინს. ამ იდეის განხორციელება სცადა გამსახურდის მთავრობის დროს, მაგრამ უშედეგოდ. მაშინდელ ხელისუფლებას ეს არ აინტერესებდა. ახლა კი საშუალება მიეცა, ეს იდეა წამოეყენებინა საქართველოს, საფრანგეთის და ოტალიის პოლიტიკურ და საქმიან წრეებში. შეხვედრის ყველა მონაწილე ამ იდეას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ლევანს იმდი მიეცა. კომუნიულ გარიგებებზე შესაბამისი განზრახულობათა ოქმებიც გაფორმდა. ბანკეტზეც ძირითადად საქმიანი საუბარი მიღიოდა. ასე რომ, ლევან სართელი გააჩერეს, დატოვეს ასოციაციაში. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიღიოდა. ლევანი გაორმაგებული ენერგიით შეუდგა მუშაობას, ხოლო სეფერთელაძეები ასევე გაორმაგებული ენერგიით ამჟავდნენ მის წინააღმდეგ.

IX

ასოციაცია „ლაშარი“, როგორც იქნა, დაფუძნდა და დაკომპლექტდა შესაბამისი კადრებით. ზაურ გელაშვილი ასოციაციისათვის გამოყენების თვისში არ იჯდა. მას, როგორც პარტიის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, თავმჯდომარის გვერდით მისცეს ახალი ავეჯით კარგად გაწყობილი კაბინეტი. ძველი, უფრო სწორად, ძველები, ის თოხეულნი იყვნენ, რომლებიც ახლა ახალ კაბინეტში კედლის გასწვრივ ჩამორიგებულ სკამებზე ისხდნენ და, როგორც ყოველთვის, ხმას არ იღებდნენ. პარტიის წევრები ამ თოხეულის ვინაობის შესახებ ასოციაციის თანამშრომლებს ეკითხებოდნენ. ეს უკანასკნელი გაკვირვებით იჩეჩავდნენ მხრებს. სართელმა რამდენჯერმე ჰკითხა მათ შესახებ ზაურს. პასუხი ერთგვაროვანი იყო, „ახლობლები არიანო“.

ლევანს ეს ხალხი გელაშვილის სახლშიც ჰყავდა ნანახი, ამიტომ სჯეროდა ამ სიტყვების.

დილით კაბინეტში ფაქსზე კიევიდან გამოგზავნილი შეტყობინება დასვდა ლევანს. მომწოდებელს თანხის გადარიცხვის მდგომარეობა აინტერესებდა. მაშინვე გელაშვილს დაუკავშირდა:

— ზაურ, კიევი თანხის გადარიცხვას ითხოვს, ჩვენ კი ანგარიში ჯერ არ გაგვიხსნია. რა ვქნათ?

— დღესვე წავიდეთ ბანქში. წუხელ ჩამოფრენილა ბანკის მმართველი. ბარემ გადასარიცხ თანხაზეც მოველაპარაკოთ. გარეთ გამოდი და ჩემი მანქანით წავიდეთ. — მოკლედ მოჭრა გელაშვილმა და ყურმილი დაკიდა.

ანგარიშის გახსნას გელაშვილი აყოვნებდა, რადგან თავის ერთ ნაცნობს ელოდებოდა. საქართველოში კრედიტის გაცემა ნაცნობობის გარეშე არ ხდებოდა.

ის იყო გელაშვილი და სართელი მანქანაში უნდა ჩამსხდარიყვნენ, რომ „უიგულით“ ზაურის ცოლის ძმა, გურამი მოადგათ. ლევანს მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ გურამი არ ენახა. გადაეხვითნენ ერთმანეთს, მოკითხეს.

— გურამ! — დაუძახა გელაშვილმა, — მოდი, შენი მანქანით წავიდეთ, თან საქმე მაქვს შენთან.

— ბენზინს თუ ჩამისხავ, რაზეა ბაზარი, ძმაო.

— ვაი, შენს პატრონს, გახვრეტილი ჯიბით როდემდე უნდა იარო? — ჩაიძურტყუნა ზაურმა და ჯიბიდან ფული ამოიღო.

ჩაასხეს ბენზინი და წავიდნენ ბანქში.

ბანქში პრობლემები არ შექმნიათ. ანგარიში გახსნეს და კრედიტის გაკეთებასაც შეპპირდნენ უახლოეს დღეებში. ორივემ კარგ ხასიათზე დატოვა ბანკი და მანქანით ქალაგარეთ გავიდნენ. ზაურს ერთი ძმაკაცი ჰყავდა, პროფილაქტიკაში მუშაობდა. რაღაც საქმესთან დაკავშირებით უნდოდა მასთან შეხვედრა. გურამი და ლევანი მანქანაში დარჩნენ, თვითონ კი შევიდა პროფილაქტიკაში. რამდენიმე წუთის შემდეგ უცნობი მამაკაცი გამოვიდა პროფილაქტიკის ეზოდან და ლევანი და გურამი მიიპატიუა.

ხელოსნებს დირექტორის კაბინეტში პურ-მარილი გაეშალათ. რა გინდა სულო და გულო. სუფრაზე მარტო ცოცხალის სამი სახეობა იყო: – მურწა, ციმორი და ხრამული. მოხარშული და შებოლილი ზუთხი, მოხარშული სხვია, ბატქის ჩაქაფული, მოხარშული და შებოლილი ლორი, ხაჭაპურები, კიტრი, პომიდორი, მწვანილი. ასეთ პურ-მარილს კარგი რქაწითელი მოუხდებოდა, მაგრამ სუფრის წევრები რატომდაც არაყს მიირთმევდნენ. შესვლისთანავე ლევანი და გურამი სუფრასთან მიიწვიეს. ბიჭები მოშიებული იყვნენ, ყველას ბოდიში მოუხადეს და ცოცხალის „დამუშავება“ დაიწყეს.

— ეგა, მმაოჯან, ცოტა მოწამლული თევზია, თუ არაყი არ დააყოლე, შეიძლება ცუდად გახდე. — ღიმილით უთხრა ლევანს ერთმა თანამეინახემ და თან არაყი დაუსხა.

ლევანმა არყის ჭიქა ჩამოართვა, მასპინძლები დალოცა, — სიტკბო მოგცეთ, სიმწარე გაშოროთო, — და გადაჰკრა.

— ვაჟ! შეგარგოს, მმაო, შენ ჩვენი ჭკუისა ყოფილხარ, აბა, გურამ, ახლა შენ დაურტყი! — აქტიურობდა „მოწამლული თევზის“ ავტორი.

— მაგას ნუ დააძალებთ! — საუბარში ჩაერია გელაშვილი, — ფხიზელი ძლივს დადის მანქანით და მთვრალი სადმე გადაგვერის.

— აი, შენ ჯინაზე დავლევ, — დაიბოლმა გურამი და ჭიქა უცბად გამოცალა.

ლევანის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, გურამი ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. სუფრის წევრები შეფიქრიანდნენ, მაგრამ მასპინძლები იყვნენ და ხმას ვერ იღებდნენ. ბოლოს ლევანმა ჭიქა დაუმალა.

კარგად შეზარხოშებული ბიჭები თბილისისკენ წამოვიდნენ. საჭესთან გურამი იჯდა, წინა სავარძელში გელაშვილი, ხოლო უკან — ლევანი. საქმეზე საუბრობდნენ. უცბად გურამმა თავი ჩაქინდრადა საჭე მარჯვნივ გადაუტრიალდა. როდესაც მიხვდა, რომ ჩაეძინა, გამოფხიზლებულმა, შეცდომის გამოსწორების

მიზნით, საჭე საპირისპიროდ მარცხნივ გადაატრიალა და იქვე მდებარე სახლის კედელს შეეჯახა. ეს ყველაფერი წამის მეათედებში მოხდა. ლევანი ჯერ მარცხნივ გადავარდა, შუბლი საქარე მინას დაარტყა, რამაც მომენტალური გათიშვა გამოიწვია, კედელზე მანქანის დაჯახებამ წინ გადაისროლა და თავი ტორპედოს დაარტყა. გელაშვილი კი სავარძელსა და ტორპედოს შორის გაიჭედა. სართელს თვალებში ჯერ კაშკაშა სინათლე ჩაუდგა, ხოლო შემდეგ, თითქოს სიბნელეში ჩაიძირაო, უცბად გამოერკვა. თავზე ხელი მოისვა, სისხლის თბილი მასით თმები უკვე გაუღენთილიყო, მოეწვენა თითქოს თავი შუაზე ჰქონდა გაპობილი. ამის წარმოდგენამ და ალკოჰოლის დიდმა დოზამ გონი დააკარგვინა. ლევანი აზრზე საავადმყოფოში მოვიდა. იწვა საოპერაციო მაგიდაზე და ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი ნაკერებს ადებდა. გვერდზე ზაურ გელაშვილის მეუღლე ლამარა ედგა და გამოფხიზლებულს ისე უყურებდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა. სართელი მიხვდა, ახლა მისი ავადმყოფობის ანკეტას შეავსებდნენ და დასახიჩრების ნამდვილი მიზეზი არ უნდა ეთქვა, თორემ შემდეგ მილიციასთან პრობლემები შეექმნებოდა. ამის გაფიქრება ვერ მოასწრო ლევანმა, რომ ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდა და ანკეტის შევსება დაიწყო. სახელის, გვარის და სხვა ტრაფარეტული კითხვების შემდეგ, ახალგაზრდა ქალბატონმა ჰკითხა:

— ავარიაში სად მოყევით?

ლევანი ჯერ შეცბა, იფიქრა, რომ ექიმებმა ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ ლამარამ თვალი ჩაუკრა და ლევანიც მიხვდა, რომ ექიმს მისი გამოტეხვა უნდოდა. ეს მაშინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო საავადმყოფოებში. ავადმყოფი სწორ ჩვენებას თუ მისცემდა, განსაკუთრებით ავარიის შემთხვევაში, საქმე მაშინვე მილიციაში გადადიოდა და, ასე ვთქვათ, ფულის გასაკეთებელი „ამბის“ მიმტანიც გარკვეულ გასამრჯელოს იღებდა. სართელს გონება კი „გაურბოდა“ აქეთ-იქით, მაგრამ სიტუაციაში უცბად გაერკვა და პასუხიც არ დააყოვნა:

- რა ავარიაზე მელაპარაკებით, ქალბატონო?
- იმ ავარიაზე, ბატონო ლევან, რომლის შედეგადაც სამი ჭრილობა გაგიკერეთ, — ნაძალადევი ღიმილით უპასუხა ექიმმა.
- ვა? ესე იგი თავით დავეცი? — შეიცხადა სართელმა,
- მართლა მაგარი ავარია მომსვლია და მაგრადაც გადავრჩენილვარ.
- სწორედ მაგის შესახებ გეკითხებით, — ამოისუნთქა ექიმმა, თან გამარჯვებულის იერი მიიღო, რომ შეძლებდა სასურველი ინფორმაციის მოპოვებას, — იქნებ გვითხრათ მოკლედ, რა მოხდა?
- რა მოხდა, ქალბატონო, და, უკაცრავად, თქვენი სახელი?
- ნელი.
- ქალბატონო ნელი! ძმაკაცებთან ერთად ჩვენი საერთო მეგობრის სახლში ვსვამდით. თან ვსვამდით არავს, — ნელ-ნელა დაიწყო ლევანმა ახალი ამბების შეთხზვა და მოყოლა. წინადადებებს შორის დიდ პაუზებს აკეთებდა, რადგან ტყუილების მოყოლა არ ეხერხებოდა, — კაროჩე, მაგრად დავითვერით.
- მერე ჩასხედით მანქანაში ... — გააგრძელა ნელი ექიმმა, რადგან მოთმინების ფიალა ევსებოდა.
- არა, ქალბატონო ნელი, მანქანა არც ერთს არ გვყავს, მათ შორის, არც სახლის პატრონს, — შეიცხადა ლევანმა.
- აბა, ავარიაში როგორ მოყევით? სად? — არ ეშვებოდა ექიმი.
- იქვე, იქვე, სადაც ვქეითვობდით, — მშვიდად უპასუხა ლევანმა. თან სცენარს თხზავდა გონებაში, — ჩვენი მეგობარი კერძო ბინაში ცხოვრობს. ეზოანი სახლი აქვს. ეზოს კუთხეში უშველებელი კავკასიური ნაგაზი აბია და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყეფს.
- ძალლი რისია აბა, თუ არ იყეფა?! — გაეცინა ქირურგს.
- თქვენ სწორი ბრძანდებით, ბატონო ჩემო, — გააგრძელა ლევანმა, — მაგრამ ის სულ ყეფს, არ ისვენებს. რატომდაც მომეჩვენა, რომ ძალლი აშვებული იყო და ჩემსკენ დაიძრა. შიშმა ამიტანა და მეორე სართულის კიბეებისკენ გავიქეცი.
- უცებ კიბის საფეხურზე ფეხი დამიცურდა და მარტო იმის

დანახვა მოვასწარი, მიწა როგორ მოდიოდა ჩემსკენ. ამის შემდეგ არაფერი მახსოვს.

ნელი ექიმი უყურებდა ლევანს და სიმწრისაგან ნელ-ნელა სახეზე ფერს ჰყარგავდა. აშკარად მიხვდა, რომ პაციენტი მას ატყუებდა, მაგრამ ვერაფერს გახდებოდა მის წინააღმდეგ. ნერვიულად ხელში კალამი შეათამაშა, მერე ქვედა ტუჩთან მიიტანა და ლევანს მთელი სერიოზულობით ჰკითხა:

— თუ გახსოვთ, რომელ საფეხურზე დაგიცდათ ფეხი?

— ქალატონო, თქვენ უკვე ზედმეტებში გადადინართ! — ვეღარ მოითმინა ლამარამ და ისეთი გამწარებული გამოენთო, რომ ორივე ექიმი სკამიდან წამოხტა და კედელს გაეკრა, — კაცს მთელი თავი ნაკერებში აქვს და თქვენ აქ დაკითხვები დაუწყეთ.

— მათქმევინეთ რა ბოლომდე! — ხმას აუწია სართელმა და თავში რაღაც ძლიერი ტკივილი იგრძო. მაინც განაგრძო, — საფეხური არ ვიცი, მაგრამ მეცხრამეტე ჭიქაზე რომ ვიყავი ეს კი ნამდვილად მახსოვს.

ამ სიტყვებმა ყელას ლიმილი მოპგვარა და საბოლოოდ გაფანტა ეჭვები ავარიის შესახებ. ლევანი წამოაყენეს, მიიყვანეს მანქანამდე, ფრთხილად მოათავსეს უკანა სავარძელზე. გელაშვილის მეუღლე საჭეს მიუჯდა და მანქანა ფრთხილად დაძრა.

— ისე, კარგად კი გავაცურეთ, — დაიწყო ლამარამ, — თვალი იმიტომ ჩაგიკარი, ამათ სიმართლე რომ უთხრა, მაშინვე მილიციაში ჩაგიშვებენ. ესენი მილიციის „ნახლებნიკები“ არიან. ამათი დედა.... — ერთი მაგრად შეუკურთხა ქალმა ექიმებს. მერე სიცილი აუტყდა, — ეგ საიდანდა მოიფიქრე, მიწა დამეჯახაო. მაგარი ხარ რა!

— ეგ ამბავი სოფელში შემემთხვა, — გაელიმა ლევანს, — შემოდგომა ნელ-ნელა ზამთარში გადადიოდა. ცხონებულმა დედაჩემმა მედა ჩემს ძმას გვთხოვა, მწვანე პომიდორი მოგვეტანა სამწნილედ. ჩემს მეგობარს, გურამს, სოფლის თავში მეურნეობა ჰქონდა და პომიდორი დიდი ოდენობით მოპყავდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, დილით ადრე აგსულიყავით და მოგვეკრიფა.

მეურნეობა მდებარეობს შემაღლებულ ადგილზე, სოფელში ამ მიდამოებს წალმიანს ეძახიან. წალმიანის გადასახედიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი სამგორის ველი გარეჯის მთებამდე. ლამაზი სანახავია ნამდვილად. გურამი დილით უკვე მეურნეობაში იყო. რომ დაგვინახა, ხელები გაშალა და გულიანად შემოგვეგბა. ჯმუხი, ჩამდგარი კაცია გურამი, ჭამასმის დიდი მოყვარულია, ამიტომაც ლოყები მუდმივად წითლად უღაუღაუებს. იქვე პატარა სამზარეულო ჰქონდა და შეგვიპატიუს. ოთახში შესვლისთანავე მწვადის სასიამოვნო სუნი ვიგრძენი. რკინის ღუმელზე უშველებელი ტაფა იღვა და შიგ ღორის ხორცი იწვებოდა. ჩვენი მისვლის მიზეზი რომ გაიგო, გვითხრა, მოდი, ცოტა წავისაუზმოთ და მერე შევუდგეთ საქმესო. ვიღაც მის თანაკურსელს პორტვეინი გამოეგზავნა, — ჩემი რეცეპტით არის დამზადებული და გასინჯეო. მე პორტვეინი საერთოდ არ მქონდა დალეული, რატომდაც ამ სასმელს რუსების სასმელად მიიჩნევდნენ საქართველოში და იშვიათად თუ ვინმე დალევდა. რადგან განსაკუთრებული რეცეპტით იყო დამზადებული, გემო გაეუსინჯეთ. ისე მოგვეწონა, რომ თითო-თითო ლიტრი დავლიეთ. ცოტა შევზარხოშდით. ჩემმა მმამ საყვედურიც კი გამოთქვა, არ ათრობსო. აბა, რა ვიცოდით, თუ პორტვეინი ცოტა გვიან იწყებდა მოქმედებას. პომიდორის მოსაკრეფად მინდორში რომ გამოვედით, თავბრუ დამეხვა და დავბარბაცდი. ახლაც კარგად მახსოვს, როგორი დიდი სისწრაფით გამოექანა მიწა ჩემსკენ და დამეჯახა. კინალამ ცხვირი მოვიტეხე. იმის შემდეგ ვერ ვიტან მიწის დაჯახებას. მაგრამ მაიც ვერ გადავურჩი.

— რას ვერ გადაურჩი, ბიჭო!? — ჰკითხა გელაშვილის მეუღლემ და თან მოყოლილ ამბავზე გულიანად იცინდა, — შენი ტყუილი შენვე დაიჯერე, რომ მართლა მიწა დაგეჯახა?

სართელი ხმას არ იღებდა. ქალმა უკან მოიხედა. ლევანი სავარძელზე იყო გადაწოლილი. მანქანა გააჩერა.

— ლევან! ლევან! — ეძახდა ლამარა.
ლევანს არ ესმოდა. ის უგონოდ იყო მისვენებული სავარძელზე....

ლევანის მეუღლის და მეზობლების დახმარებით, სართელი სახლში შეიყვანეს, საწოლში ჩააწინეს და სასწრაფოდ ნაცნობ ექიმთან აფრინეს კაცი. სასწრაფოს გამოძახებაზე თავი შეიკავეს. არავის აწყობდა ამ ამბის გახმაურება.

ექიმმა მცირე დოზით ტვინის შერყევა დააფიქსირა და მკაცრად გააფრთხილა ოჯახის წევრები, რომ ერთი კვირა ავადმყოფი გაუნძრევლად უნდა იწვეს საწოლშიო.

ლამარაშ დარეკა ლევანთან სახლში და გააგებინა, რომ გელაშვილს და გურამს მცირე დაბეჭილობები ჰქონდათ მიღებული. ასე რომ, ყველაზე მეტად ლევანი დაზარალდა. მოკლედ, სიკვდილს გადარჩა. ლმერთმა კიდევ ერთხელ გადმოხედა.

X

ლევანი ხუთი დღე გაუნძრევლად იწვა საწოლში. ექიმმა კიდევ გასინჯა და საწოლში გადაბრუნება-გადმობრუნების ნება დართო. თან გააფრთხილა, ნელა ემოძრავა. ავადმყოფობის პერიოდში ბევრმა მოინახულა. ეს უფრო აგიუებდა სართელს, გონება ეძაბებოდა, რაც ცუდად მოქმედებდა ჯანმრთელობის აღდგენაზე. დიდ შვებას გრძნობდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეუღლესთან მარტო რჩებოდა. ძალიან მზრუნველი დედა და მეუღლე გახლდათ ქალბატონი სოფო. ამასთან ერთად გადაჭარბებულად ემოციური. ლევანს ცოლის ყველაუერი მოსწონდა და ამიტომაც მასთან მარტო ყოფნის დროს სასწაულ სიმშვიდეს გრძნობდა.

— შენ რომ რამე მოგსვლოდა, რა უნდა გვექნა ჩვენ? — ცრემლმორეული ეუბნებოდა სოფო ლევანს და თან მარჯვენა ხელს შუბლზე უსვამდა.

ლევანი ამაზე ხშირად ფიქრობდა. როდესაც წარმოიდგენდა, რომ ამ ქვეყანაზე ცოლ-შვილი მის გარეშე დარჩებოდა, თვალზე

ცრემლები ადგებოდა. ახალგაზრდა მეუღლე და მცირეწლოვანი ბავშვები რისი გამკეთებელი იყვნენ, რომ თავი გაეტანათ. ამიტომ მას სიკვდილის უფლება არ ჰქონდა.

— ძვირფასო, მე არაფერი მომივა, მაგრამ საქმიანობის თვალსაზრისით, მომავალი მაინცდამაინც ნათელი არ მეჩვენება.

— შენ იყავი კარგად და ჩვენ ყველა გაჭირვებას გავუძლებთ,
— უპასუხა ცრემლნარევი ღიმილით სოფომ და შუბლზე აკოცა
ლევანს.

ამ დროს ბავშვებიც შემოვიდნენ ოთახში. მამას მოფერება და კოცნა დაუწეუს. დაძაბული ატმოსფერო უცებ განიმუხტა და იმ საღამოს ოჯახმა ერთმანეთის ალერსში და სიყვარულში გაატარა. სართელი კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სიყვარულს ბევრი რამ შეეძლო.

მეორე დღეს ლევანი უახლოესმა მეგობარმა და პარტნიორმა, გენო ჭანკვეტაძემ მოინახულა. იგი წინა დღის ჩამოსული იყო გერმანიდან და როგორც შეიტყო ლევანის ამბავი, მაშინვე გამოსწია მის სანახავად. თან უამრავი საჩუქარი მოუტანა ოჯახს.

გენო ჭანკვეტაძე თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი გახლდათ. კარგად აღზრდილი, განათლებული პიროვნება იყო. მისთვის ნამდვილად შეგეძლოთ გეწოდებინათ თბილისელი, რადგან იმ დაუწერელი კანონებით ცხოვრობდა, რასაც თბილისელობა ჰქვია. თვითონ კაცური თვისებების მატარებელი, კაცური პრინციპების დაცვას მოითხოვდა ყველასგან. უყვარდა თავისი ქალაქი და მისი შეურაცხყოფის უფლებას არავის მისცემდა. ქალაქში ყველა, ვინც კი მას იცნობდა, დიდ პატივს სცემდა. ლევანი ხშირად ყოფილა მომსწრე, როდესაც რომელიმე რესტორანში შევიდოდნენ საქაიფოდ, მათი მაგიდისკენ სხვა მაგიდებიდან გენოს საპატივცემულოდ რამდენი ბოთლი ღვინო და შამპანური იგზავნებოდა. გენო თავის მხრივ უპატივცემულოდ არავის ტოვებდა. კაცს გაჭირვებაში არ მიატოვებდა, პირიქით, დაეხმარებოდა, რაც შეეძლო უკანასკნელ კაპიკს დახარჯავდა. თუ ფული არ ჰქონდა, ისესხებდა, მაგრამ გაჭირვებულ ადამიანს

არ მიატოვებდა. ძველ უბანში ცხოვრობდა. ეზოში მარტო მათი ოჯახი იყო ქართული ჯიშის, დანარჩენი სომხები და ქურთები ცხოვრობდნენ. ამიტომ გენო კარგად ფლობდა სომხურ და ქურთულ ენებს. ერთი მეზობელი ჰყავდა, კარო ნიკოლიანი, ფეხსაცმელების შემკეთებელი. თვეში ერთხელ დალევდა სასმელს, მაგრამ ვაი იმ დალევას, ერთი კვირა „პახმელიაზე“ იყო. საღამოთი მეზობლები სამსახურიდან რომ ბრუნდებოდნენ, ეზოში შემოსვლისას ერთმანეთს ჩუმად ეკითხებოდნენ „დღეს კარო როგორ არის?“. ერთხელ ლევანიც შეესწრო ამ სიტუაციას. როდესაც გენო და ლევანი ეზოში შევიდნენ, კარო აივანზე იჯდა, პირსახოცით შუბლი ჰქონდა შეხვეული და სასოწარკვეთილი მოსთქვამდა:

— ვააი! ვააი! მამაჯან, მერნუმებ... მამაჯან, ვააი!

— ჰა! კაროჯან, როგორა ხარ, ტო! — შესძახა გენომ.

— გენოჯან, ვკვტები!

— ბორჯომი ხომ არ გინდა, კაროჯან? ახლავე მოგაწვდი.

— არა, გენოჯან, ბორჯომი რომ მიშველიდეს, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა. — ძლივს ამოთქვა კარომ და გენოს გასაცოლავებული თვალებით შეხედა. უყურა, უყურა მერე ისევ შეტრიიალდა, თავი მიადო ცივ კედელს და უკეე ბლავილზე გადავიდა:

— ასტგაწ! ტერ ასტგაწ! ვააი! ვააი!

გენო ბევრს ცდილობდა, კაროსთვის დალევა ესწავლებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს კარო ნიკოლიანი საცხოვრებლად ერევანში გადაბარებდა და გენოს ეზოსაც ერთი სომხური ოჯახი დააკლდა.

გენო ჭანკვეტაძე პურ-მარილის მოყვარული კაცი გახლდათ, კარგი თამადა. წინაპრებიც ასეთი ჰყოლია. მისი ბაბუის, ოტია ჭანკვეტაძის პურ-მარილი განთქმული ყოფილა მთელ იმერეთში. თურმე ოჯახში სტუმრის მისვლიდან ნახევარ საათში პურ-მარილი იშლებოდა, როგორც იტყვიან, „რა გინდა სულო და გულო“. ეს ამბავი ყველას განცვიფრებას იწვევდა.

ნახევარ საათში ზოგი სუფრის გაშლას ვერ ასწრებს და ქათამის დაკვლაზე, გაპუტვაზე და მოხარშვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ოტია ჭანკვეტაძეს ეს საიდუმლო სიცოცხლის ბოლომდე არავისთვის გაუნდვია. მისი სიკვდილის შემდეგ ბებიას შვილიშვილისთვის, გენო ჭანკვეტაძისთვის მოუყოლია ყველაფერი. მოხუც ქალს უფიქრია, რადგან გენო თბილისელია, ეს ამბავი იმერეთში მაინც ვერ ჩამოაღწევსო და შვილიშვილმა მაინც იცოდეს, რა ბაბუა ჰყავდაო. გენო რომ წამოიზარდა, იმერეთში კა არა, ბერლინში იცოდნენ ოტია ჭანკვეტაძის პურმარილის ამბავი. თურმე რა ხდებოდა სინამდვილეში: ოტიას სახლი მაღლა მთაზე ჰქონია. იქიდან სადგური შორაპანი ხელისგულივით მოჩანდა. ოტიას შეუძენია დურბინდი და, როდესაც სადგურში მატარებელი გაჩერდებოდა, ჩამოსული ხალხიდან მასთან მომავალ სტუმრებს დურბინდის მეშვეობით ადვილად არჩევდა. თურმე მაშინვე გასცემდა განკარგულებას პურ-მარილის მოსამზადებლად. სადგურიდან ოტიას სახლამდე დაახლოებით სამი კილომეტრის გზა იყო გასავლელი, ისიც აღმართი. მგზავრები ფეხით ამ მანძილის გავლას საათზე მეტ დროს ანდომებდნენ, რაც საკმარისი იყო ჭანკვეტაძეების ოჯახისათვის, რომ კარგი სადილი დაეხვედრებინათ სტუმრებისათვის.

ამჟამად გენო ჭანკვეტაძე ლევანის მარჯვენა ხელი გახლდათ. საგარეო კომერციულურთიერობებს ისაგვარებდა. ამჯერადაც გერმანიიდან შესანიშნავი კონტრაქტი ჩამოიტანა. იშვიათად თუ ნახავდით საქართველოში. გული აღარ უჩერდებოდა. ამის მიზეზი კი პირადი ცხოვრება იყო. ჯერ მეუღლე გარდაეცვალა, შემდეგ დედა. ისედაც უშვილოდ გადაგებულს, ორი ძვირფასი ადამიანის დაკარგვამ ისეთი დიდი ტკივილი მიაყენა, რომ დროს მივლინებებში კლავდა. ნერვიულობამ თავისი გაიტანა და დიაბეტითაც დაავადდა. ხშირად იმეორებდა ცნობილ გამოთქმას: „იმდენი ვიძახე არყოს სმის დროს სიტკბო მოგვცეს, სიმწარე გვაშოროსო, რომ მართლა შაქარი მერგო წილადო“.

ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ მეგობრები საქმეზე გადავიდნენ.

— აბა, კარგად მომიყევი, გენოს ვენაცვალე, რა გითხრეს გერმანელებმა, თორემ ტელეფონით ნალაპარაკები ბოლომდე ვერ გავარკვიუ, — თქვა ლევანმა და თან ყურებიდან ბინტი კარგად გასწია, სიტყვა რომ არ გამორჩენოდა.

გენო კარგად მოკალათდა სავარძელში და დაიწყო მოყოლა:

— შენ მიერ გატანებულმა კომერციულმა წინადაღებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. გერმანის მხარე თანახმაა, რომ საქართველოს გავლით შეა აზიას და შემდეგ ცენტრალურ აზიას მიაწოდოს სამრეწველო საქონელი მათი მოთხოვნილი ასორტიმენტის მიხედვით. ისიც ძალიან მოეწონათ, რომ ჩვენ ევროპაში გზას გაუუსწიოთ სურსათის მიწოდებას აზიას ქვეყნებიდან, ახლა განსაკუთრებით არაქისი სჭირდებათ. აგრეთვე ბრინჯი, ბამბა და ბევრი რამ, მთელი ჩამონათვალია. მაგრამ ჯერჯერობით ძალაში ტოვებენ კიევის კონტრაქტს.

— მაიცა, ვერ გავიგე, — შეაწყვეტინა ლევანმა, — სულ კიევის გავლით უნდა ვზიდოთ საქონელი? მე ვიცოდი, კიევი დროებითი იყო და მერე ყველა ოპერაცია თბილისის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო.

— მეც ასე მეგონა, — გააგრძელა გენომ, — მაგრამ მაგათაც ვერ გაამტყუნებ. იცი, რა მითხრეს, ტო? ტელეფონში ამას როგორ გეტყოდი. თქვენთან ისეთი კაცი მოვიდა სახელმწიფოს მეთაურად, რომელსაც მთელი გერმანია ფეხზე ადგომით მადლობას უხდის ბერლინის კედლის დანგრევისათვისო.

— მერე რაღა უნდათ მაგ მამაცხონებულებს, — გაცხარდა ლევანი, — თუ ასე მოსწონთ და გიუდებიან ამ კაცზე, არ უნდა წამოვიდნენ ჩვენთან ურთიერთობაზე?

— დაწყნარდი შენ, — თავზე ხელი დაადო გენომ ლევანს, — შენი ნერვიულობა არ შეიძლება, მაცალე რა, ბოლომდე ჩავიდე. ჰოდა, ჩემო ლევან, ამ თქვენმა მეთაურმა, როგორც დავინახეთ, ნგრევა მაგარი იცისო, ახლა შევხედავთ, თუ აშენებაც ეხერხება, აზიისკენ თქვენი ქვეყნის მეშვეობით ვიმოძრავებთო.

მანამდე საქონელს კიევში მოგაწვდით წინასწარი გადახდის საფუძველზეო. თან მაგათან კონვერტაციის სისტემა კარგად ყოფილა მოგვარებული და ამ შემთხვევაში კიევი აწყობთ.

— სადღაც მართალს კი ამბობენ, — წყნარად ჩაილაპარაკა ლევანმა, — ჩემი თაობის შემეცნებითი ცხოვრება ამ კაცის ხელმძღვანელობის დროს დაიწყო. მაგისი გაკეთებული კომუნისტების დროს რეპრესიების მეტი ვერაფერი ვნახეთ და აწი რას იზამს, ღმერთმა იცის. ისე, მოსკოვში ერთმა ჭკვიანმა კაცმა მიწინასწარმეტყველა, დააქცევს ყველაფერსო. კარგად მახსოვს ნიკალაი პავლოვიჩის ეს სიტყვები: „ახალი მთავრობა ოქვენს ქვეყანას დაქცევის პირამდე მიიყვანს და ბიზნესს ჩაკლავს. ამიტომ საქართველოში მუშაობა არ ღირსო“.

— ჰოდა, აბა რას ერჩი გერმანელებს? — ღიმილით ჰკითხა გენომ.

— მე მინდა, პიონერი ვიყო „აბრეშუმის გზის“, — თქვა ლევანმა და თვალები ჭერს მიაპყრო, — ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს გზა საქართველოს ბედნიერებამდე მიიყვანს. გენო, შენ ბევრი საქმიანი პარტნიორი გყავს ევროპაში, მე კი აზიაში. რამ უნდა შეგვიშალოს ხელი? დაანგარიშებული მაქვს, მოგებას ხომ დაზოვებს ტრანზიტული ოპერაციები, ამაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლება და, რაც მთავრია, ევროპის და აზიის ყველა ქვეყანა ჩადებს ფულს ამ გზის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ტურიზმი ფრთხებს გაშლის, საბანკო სისტემა საერთაშორისო დონეზე განვითარდება. რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა მშვიდობის გარანტი იქნება.

— შენ პირს შაქარი! — აპყვა გენოც, — მხოლოდ ჩემნაირი შაქარი კი არა.

ორიგეს გულიანად გაეცინა.

ბოლოს შეთანხმდნენ, კომერციული ოპერაციები დროებით კიევიდან დაეწყოთ. მიუხედავად ექიმის გაფრთხილებისა, ლევანმა ტელეფონზე მაინც დაურეკა გელაშვილს და კრედიტის დაჩქარება სთხოვა. შენს გამოჯანმრთელებამდე ყველაფერი მზად იქნებაო. — ასეთი პასუხი გასცა ზაურმა.

ასე რომ, საქმის დაწყება ლევანზე იყო დამოკიდებული.

XI

ერთი კვირის შემდეგ ლევანი უკვე ფეხზე დადიოდა, მხოლოდ სახლიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა. ტელეფონი არ ჩერდებოდა. ასოციაციამ მუშაობა დაიწყო. გელაშვილი კრედიტის საქმეს აგვარებდა, ხოლო კომერციული განყოფილების თანამშრომლები სასაწყობო მეურნეობისთვის შენობას ეძებდნენ ქალაქის ცენტრში.

ლევანმა რამდენჯერმე სცადა გარეთ გასვლა, მაგრამ თავბრუ დაეხვა. ესე იგი ტრავმა სერიოზული იყო. ექიმმა ნევროპათოლოგმა გასინჯა და სიგარეტის მოწევაც აუკრძალა. ლევანი ექიმის ყველა მითითებას ასრულებდა, წამალსაც გრაფიკის მიხედვით იღებდა, მაგრამ სიგარეტს ვერაფრით ვერ შეეშვა. კიევის საქმე უკვე დასაწყები იყო. ამიტომ ლევანმა მისჯილი გრაფიკი დაარღვია და აქტიური საქმიანობა დაიწყო. ეს ექიმს არ მოეწონა. მან კიდევ ერთხელ სცადა ლევანის დარწმუნება იმაში, რომ დღევანდელი გაუფრთხილებლობა ხვალ ცუდ შედეგს მოუტანდა და შეიძლება გულ-სისხლძარღვთა დაავადება გამოეწვია.

— შენი ჯანმრთელობა, შენს საქმეს და ფულს მიღიონჯერ მირჩევნია. ხომ იცი ეს შენ? — დილა-სალამოს ერთსა და იმავეს იმეორებდა სოფო, — შენ თუ აღარ იქნები, რა თავში ვიხლი მაგ ფულს და სიმდიდრეს?!

— ჰო! კარგი, კარგი, ნუ გაუბერე რა, ღმერთმა ნუ ქნას, მშივრები დარჩეთ. შენ სილარიბე არ იცი რა არის. — მშვიდად პასუხობდა ლევანი.

— მე ყველაფერს გავუძლებ, ოღონდ შენ ჯანმრთელად იყო. — ცრემლმორეული იმეორებდა სოფო.

ლევანი არავის ყურის არ უგდებდა და საქმის დაწყებას ჩქარობდა. უცხოელებთან მოლაპარაკების შემდეგ ევროპა-აზიის დერეფნის საკითხი ისე გასჯდომოდა თავში, რომ დღედა დამე ამ საქმიანობის დაწყების ფიქრში იყო და დიდი სურვილი ჰქონდა, ერთ-ერთი პიონერი ყოფილიყო ამ საშვილიშვილო საქმეში.

აჩქარება უყვარდა. ზოგჯერ ზედმეტად თვითონაც კარგად გრძნობდა, ცდილობდა მის გამოსწორებას, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდიოდა.

ევროპული საქონლის შემოზიდვისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს, კრედიტის გაფორმებას, შემდეგ გადარიცხვას, საქმაო დრო დასჭირდა. ამის გამო ლევანი კიევში მაისის ბოლოს გაფრინდა. მეორე დღეს კიევში ბერლინიდან გენო ჩამოფრინდა და ერთმანეთს ფირმა „დინამო-ატლანტიკის“ ოფისში შეხვდნენ. აღნიშნული ორგანიზაცია გერმანიასა და საქართველოს შორის გადამზიდველი ფირმის ფუნქციას ასრულებდა. იგი დაკომპლექტებული იყო უკრაინის პრეზიდენტის ახლობლებით და ყველა ძირითადი თანამდებობა ებრაელებს ეკავათ. აღნიშნული ფირმის მეშვეობით წარმოებდა ფულის კონკრეტაცია და გადარიცხვა საზღვარგარეთის ქვეწებში. შემოსული საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები მიმართული იყო კიევის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის განვითარებისათვის. ლევანს ძალიან უყვარდა ფეხბურთი. ბავშვობიდან გულშემატკივრობდა კიევის „დინამოს“. სკოლის პერიოდში ბიბას, საბოს, ბიშვეცის, ლობანოვსკის და სხვა უკრაინელი ფეხბურთელების ბიოგრაფიებიც კი იცოდა ზეპირად. ახლა კი ამაყობდა, რომ ამ კლუბის განვითარების და გაძლიერების საქმეში თვითონაც შეჰქონდა მოკრძალებული წვლილი.

ფეხბურთისადმი სიყვარული ლევანს ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს. ორმოცდათოიან წლებში ლევანის მამის და მისი სამეცნიერო წრის მონდომებით და სოფლის ხელმძღვანელობის აქტიური დახმარებით, გაკეთდა სპორტული კომპლექსი: სტადიონი, საჭიდაო მოედანი, სავარჯიშო დარბაზები და დამხმარე ნაგებობანი. ჩამოყალიბდა შესანიშნავი საფეხბურთო გუნდი, რომელსაც შეფობას თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი უწევდა. ამის გამო სოფელში ზშირად სტუმრობდნენ გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელები და მათ საპატივცემულოდ პურ-მარილი ზშირად სართელების

ოჯახში იმართებოდა. ასე რომ, ბურთთან და ფეხბურთელებთან ურთიერთობა ლევანს ბავშვობიდანვე ჰქონდა. თვითონაც თამაშობდა ფეხბურთს. რაიონის „ოქროს თავთავის“ გათამაშება მოიგო, გახდა თბილისის ჩემპიონი, მაგრამ ტრავმის გამო ფეხბურთს მეათე კლასიდან თავი დაანება და სპორტის სიყვარულმა მხოლოდ მძლეოსნობაში შეაძლებინა დაბრუნება.

ლევანის მამა ხომ სულ ფეხბურთელებში ტრიალებდა. ის იმდენად ფეხბურთელი არ იყო, როგორც ფეხბურთის განვითარების ხელშემწყობი და ორგანიზატორი. მსუქანი კაცი გახლდათ და ამიტომ მოედანზე იშვიათად გადიოდა. ერთხელ საქართველოს პირველობაზე თელავში ადგილობრივ გუნდთან ჰქონდათ თამაში. გამარჯვების შემთხვევაში თელავის „გახეთი“ საქართველოს ჩემპიონი ხდებოდა, ხოლო ლევანის სოფლელებს, რომლებიც რაიონის სახელით გამოდიოდნენ, მეორე ადგილზე გასვლისათვის თამაშის ფრედ დამთავრებაც აწყობდათ. ძალიან მძიმე თამაში ყოფილა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, თამაში ჭიდაობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ფეხბურთსო. მწვრთნელს სწორი გადაწყვეტილება მიუღია და მეორე ტაიმში დაცვაში სათამაშოდ კოლა სართელი შეუყვანია. ალბათ იფიქრა, გაბარიტიანია და თავდასხმას შეაკავებსო. სოფლელებს თამაშის ბოლოს კუთხურის ჩამოწოდების უფლება მოუპოვებიათ და მთელი გუნდი თელაველთა საჯარიმოში ჩასულა. კოლაც ჩაძუნდულებულა და მეკარის საჯარიმოში დაუკავებია ადგილი. ჩამოწოდებული ბურთი ყველას გადასცდენია, კოლას ღიპზე მოხვედრია და თელაველთა კარში შეგორებულა. ამის შემდეგ თამაშში გოლი აღარ გასულა. კოლას ღიპის წყალობით თელაველებმა საქართველოს ჩემპიონობა დაკარგეს, ხოლო სოფლელებმა თელაველების ნასროლ ქვებს ძლიერ გამოასწრეს....

ლევანი ათვალიერებდა „დინამო-ატლანტიკის“ ოფისის ფორმი გამოფენილ კიევის „დინამოს“ საფეხბურთო ბატალიების ამსახველ ფოტოებს და უხაროდა, რომ კიეველებს

ასეთი მზრუნველი პატრონი ჰქავდა. თანაც გული ჰქონდა დამძიმებული, რომ მის საყვარელ თბილისის „დინამოს“, უპატრონობის გამო, მხოლოდ სახელიდა შემორჩენოდა. არადა, საბჭოთა კავშირის ყოფილი კლუბებიდან მხოლოდ ამ ორ საფეხბურთო გუნდს ჰქონდა მოპოვებული ევროპის თასი. ახლა კიევის „დინამო“ პატრონის წყალობით, ისევ აღმავლობის გზაზე მიდიოდა, ხოლო თბილისის „დინამო“ უპატრონობის გამო უფსკრულისკენ ეშვებოდა.

— აი, რა მოგვიტანა გაუთავებელმა კინ კლაობამ, — თავისთვის ჩაილაპარაკა ლევანმა და თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა.

— რა გატირებს, ტო? — შესძახა მისკენ მიმავალმა გენომ.

— არაფერი. ჩვენი გაუბედურებული ფეხბურთი გამახსენდა, — გაეცინა ლევანს და სიგარეტი ამოიღო ჯიბიდან.

— აბა, შენა ხარ რა! — თქვა გაკვირვებულმა ჭანკვეტაძემ,
— წავიდეთ ლვოვის მოედანზე, ამათ უნივერმალში საქონლის
ნიმუშები უნდა ვნახოთ.

„დინამო-ატლანტიკის“ საქონელი მეოთხე სართულზე იყო გამოფენილი. გენომდალევანმა დღისბოლომდეასორტიმენტის ნახევარი დაათვალიერეს და მხოლოდ რამდენიმე სახეობის საქონელი მოეწონათ. დათვალიერება მეორე და მესამე დღესაც გაგრძელდა. ერთი დღე მთლიანად ფასების დადგენამ წაიღო. ასე რომ, კვირის ბოლოს თვითმფრინავი დატვირთეს და სამრეწველო საქონლის პირველი პარტია თბილისში ჩამოიტანეს. გერმანული საქონლის თბილისის სავაჭრო ქსელში გამოფენა-გაყიდვამ გაამართლა. ქალაქს დაუტყო ევროპული ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შემოტანა. ლევანმა და გენომ კიევიდან წამოიღეს საქონლის ნიმუშები შუა აზიის სავაჭრო ქსელისათვის, რომელიც წარედგინა აღმა-ატის, ტაშკენტის და დუშანბეს წარმომადგენლებს. აღნიშნულმა პროდუქციამ შუა აზიაში მოწონება დაიმსახურა და შეკვეთებიც იქნა მიღებული საქონლის ყიდვა-გაყიდვის

და ბარტერული ოპერაციების წარმოებაზე. ლევანს აზიის მხარეზე მიმაგრებული პყავდა გამოცდილი კომერსანტი ვოვა საბაური. ბატონი ვლადიმერი ლევანზე თხუთმეტი წლით უფროსი გახლდათ. ისინი ცეკავშირის სისტემაში ერთად მუშაობდნენ. ლევანს ვლადიმერისგან ბევრი რამ ჰქონდა ნასწავლი. ხშირად მივლინებაში ერთად მიღიოდნენ და ერთმანეთის დიდი ნდობა ჰქონდათ. ვოვა წესიერი კაცი იყო. სხვისას არაფერს წაიღებდა, ტყუილი საერთოდ არ ეხერხებოდა. თუ ხუმრობაში სადმე ტყუილის თქმა უწევდა, მაშინვე სახეზე წითლდებოდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის საქმიან წრეებში „დიდი წონა“ ჰქონდა. აზიასთან მუშაობის ცენტრად ლევანმა და ვოვამ ყაზახეთის რესპუბლიკის ქალაქი ჯამბული აირჩიეს, რადგან ეს ქალაქი მდებარეობდა სამი რესპუბლიკის – ყაზახეთის, უზბეკეთის და ყირგიზეთის გზაგასაყარზე. ამასთან, პარტნიორთა გუნდიც ადგილობრივი თურქი მესხებისა და ჩეჩენებისაგან შედგებოდა. ეს ის თურქი მესხები და ჩეჩენები იყვნენ, რომელთა წინაპრებიც, ორმოციან წლებში, სტალინის ბრძანებით, დეპორტირებულები იყვნენ შეუაზიაში. ვოვა ახალი ჩამოსული იყო ჯამბულიდან და სასიხარულო ინფორმაციაც ჩამოეტანა. ჩინეთის საქმიანი წრეები მზად იყვნენ საქართველოზე გავლით ევროპის ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობაზე. ასე რომ, წრედი ნელ-ნელა იკვრებოდა. ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობას მოაგვარებდა გენო ჭანკვეტაძე, აზიისას – ვოვა საბაური, ხოლო ლევან სართელი ამ საქმიანობას გაუწევდა კოორდინაციას. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. იდეა, ევროპა-აზიის დერეფნის ანუ „აბრეშუმის გზის“ შესახებ, პრაქტიკულ განხორციელებას იწყებდა და ამ საქმეს სათავეში სამშობლოს ბედნიერი მომავლისთვის მებრძოლი ადამიანები ედგნენ, რომელთა ორგანიზაციის კარი ყველა თანამოაზრისათვის იყო ღრა.

XII

კოტე სეფერთელაძე, როგორც კომერციული ცენტრის დირექტორი, საქმიანობის ყველა ინფორმაციას ფლობდა. გარდა რესპუბლიკის გარე ოპერაციებისა, ასოციაცია „ლაშარმა“ ქვეყნის შიგნითაც გაშალა კომერციული საქმიანობა. ეს ყველაფერი კომერციული ცენტრის მეშვეობით ხორციელდებოდა. ერთხელ, როდესაც მმები სეფერთელაძეები და ლევან სართელი საწყობში საქონლის მორიგი აღწერის დოკუმენტაციას ეცნობოდნენ, კოტე სეფერთელაძემ საუბარი გაყიდული საქონლიდან მიღებულ შემოსავლებზე დაიწყო:

— ლევან, ჩვენს შორის მოგების განაწილებას როგორ აპირებ?

— როგორც წესია, — მოკლედ გასცა პასუხი ლევანმა, — თუ ოპერაცია კომერციული ცენტრის მიერ იქნა ორგანიზებული, წმინდა მოგების ორი მესამედი თქვენია, ერთი მესამედი ასოციაციის. აქამდე არ იცოდი, თუ პირველად ვსაუბრობთ ამ თემაზე?

— არა, ეგ ვიცი, — აუდელვებლად განაგრძო კოტემ. საუბრის ტონზე ეტყობოდა, რომ ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, — მე მაინტერესებს, ჯიბის ფული როგორ გაყიდვა ჩვენ შორის.

— აქამდე ჩემ და შენ შორის ფული როგორ იყოფოდა? — კითხვითვე უპასუხა ლევანმა.

— ორმოცდათი ორმოცდათზე.

— პიდა, ასევე იქნება ჩვენ ყველა საქმიანობაში. თუ მმები ვართ, მმები ვიყოთ. — თქვა ლევანმა და სკამიდან წამოდგა.

— მოიცა რა, დაჯექი ერთი წუთით, — შეაჩერა კოტემ, — დავამთავროთ ლაპარაკი.

— წამოდი რა, ოფისში გავაგრძელოთ, გეხალისება ამ საწყობში ჯდომა? — არ იშლიდა თავისას სართელი.

— ლევან, მოდი, მაშინ მოკლედ გეტყვი, რა, — თქვა კოტემ და თვითონაც ფეხზე წამოდგა, — თუ ჩვენი მოგება შუაზე

იყოფა, მაშინ საქონლის ნახევარს მე ავიღებ, თვითონ გავუკეთებ რეალიზაციას, ორგანიზაციის მოგებას ანგარიშზე შევიტან, ჯიბისას სახლში წავიღებ.

— ვერ გავიგე, ტო! — აღმოხდა ლეგანს და განცვიფრებულმა შეხედა კოტეს, — შენ არ აკონტროლებ ამ საქონლის რეალიზაციას, რა აღებაზე და გაყიდვაზე მელაპარაკება?!

— რა არის აქ, ტო, გაუგებარი, — საუბარში ჩაერთო უშანგი, — კოტე თავისას წაიღებს და ცალკე გაყიდის, შენი აქედან გაყიდება.

ლევანს გაეცინა. მიხვდა, რაც ჰქონდათ ძმებს ჩაფიქრებული, მაგრამ ისე ეჭირა თავი, ვითომ ვერ ხვდებოდა.

— კი, მაგრამ ... მე ასე გავიგე, შენ გინდა, კოტე, რომ შენი ასაღები თანხის საქონელი სხვა ადგილას გადაიტანო და იქიდან გაყიდო, ხოლო ჩემი ასაღები — ამ საწყობიდან, სწორად მივხვდი? — დასვა შეკითხვა ლევანმა და ძმებს თვალებში ჩახედა.

— ჰო, რა, — ჩაიღაპარაკა კოტემ და სართელს თვალი აარიდა. — კოტე! — მკაცრად მიმართა ლევანმა სეფერთელაძეს, — შენ კარგად იცი, ჩვენს ძმობაში არასდროს არაფერი ყოფილა დამალულ-დაფარული. ამ შემთხვევაში რაღაც ახალი ველოსიპედის გამოგონება გინდა, ძმაო. ეს იდეა შენი მოფიქრებული არ უნდა იყოს. თუ რამე გაქვს სათქმელი, პირდაპირ შითხარი, რა შორიდან მივლი, ტო! აქ არ არის, ძმაო, ყველაფერი, უპატრონე, გაყიდე და გავინაწილოთ მერე.

— სალარო ჩემს ხელში არ არის, ძმაო, რა უნდა გავინაწილოთ, — აშუწურდა კოტე და თან წამოწითლდა.

ლევანი საბოლოოდ მიხვდა, რაც ძმებს აინტერესებდათ. — რას ნერვიულობ, კოტე? — დაბალ ხმაზე დაიწყო ლევანმა, — დირექტორი კაცი ხარ, მოლარედ ხომ არ დაჯდები? მოლარე პირდაპირ ბანკთან მუშაობს, ფული კრედიტის დასაფარად ანგარიშზე შედის. ახალი ოპერაციისთვის თანხაა მოსამზადებელი. მერე რაც დარჩება, აქ არ არის, ჩვენს ხელში.

— კარგი, ძმაო, როგორც შენ იტყვი, ისე გავაკეთოთ, — ჩაიბურდლუნა კოტემ და ნერვიულად დაიწყო სასაქონლო ზედდებულების გადაფურცვლა.

ლევანი დღის მეორე ნახევარში მივიდა ასოციაციის ოფისში, მდივანი გაფრთხილა, არავინ შეეშვა მასთან კაბინეტში, ჩაჯდა სავარძელში და ფიქრებში ჩაიძირა. ისე დაძაბა გონება, რომ ნელ-ნელა თავისთვის დაიწყო ლაპარაკი:

— რა აქვთ, ნეტავ, ჩაფიქრებული მმებს? ნეტავ, რა უნდათ? რაღაც უბედურებას გადაგვერიან ესენი. საქონლის ცალკე წალება იმიტომ უნდათ, რომ ფული მთლიანად მოტეხონ. კრედიტზე მე და გელაშვილი ვართ პასუხისმგებლები, მაგათ ეს რაში ანალვლებთ. ვა შენ, ჩემო თავო. პირდაპირ წაგლეჯვაზე არიან გადასულები.

უცბად, თითქოს რაღაც ძალამ უბიძგაო, ტელეფონის ყურმილი აიღო და საწყობში გადარეკა:

- ალო! თემურ, ნავაჭრი რამდენი გაქვს?
- სამოცი ათას დოლარამდე იქნება.
- ბანკში არ მიგაქვს?
- ველაპარაკე ბანკის მოლარეს და მოხოვა, ორშაბათს შემოიტანე.

— არ გახვიდეთ არსად, ხუთ საათზე მანდ ვიქნები! — მოკლედ მოჭრა ლევანმა და ყურმილი დადო.

ხუთისაათისთვის ლევანითავისიმანქანით საწყობს მიადგა. მძღოლი მანქანაში დატოვა და სასწრაფოდ შევიდა შენობაში. სასაწყობო მეურნეობა კარგად იყო გამაგრებული. საქონელი მეორე სართულზე ეწყო. შესასვლელი კარი გისოსებში ჩაესვათ. საქონელი ასორტიმენტის მიხედვით ცალკ-ცალკე იყო დაწყობილი. ფულის შესანახი ცეცხლგამძლე სეიფი ფეხსაცმელების ყუთებით შეენიღბათ. ასე რომ, რამოდენიმე თანამშრომლის გარდა ფულის ადგილსამყოფელი არავინ იცოდა.

— რაღა მაინც და მაინც დღეს არ იღებს ბანკი ფულს? — შესვლისთანავე ჰკითხა ლევანმა საწყობის გამგეს.

— რა ვიცი, ბატონი ლევან, როგორც ჩანს, მოლარეს პირადი პრობლემა ჰქონდა და დღის პირველ ნახევარშივე წასულა სახლში. — დაიწყო ახსნა-განმარტების მიცემა თემურმა.

— მერე ამდენი ფულის დატოვება საწყობში სახიფათო არ არის? — შეეკითხა სართელი.

— აქედან ვინ ან როგორ უნდა წაიღოს რამე? მართლაც ცხრაკლიტურია. თან პირველ სართულზე მთელი ღამე ავტომატიანი დარაჯი დგას.

— თემურ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მაგ ფულს მე წავიღებ და ორშაბათს ერთად შევიტანოთ ბანკში, მე მგონი, ასე აჯობებს, არა?

— როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონი ლევან, ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — უპასუხა საწყობის გამგებ და სართელს ფულის მითვლა დაუწყო.

ლევანმა ფული ფქხსაცმლის ფუთში ჩაწყო და ისე გამოიტანა საწყობიდან. ფულის ასეთი შენიღბული გადაზიდვების დიდი ოსტატი იყო სართელი. იმ საღამოს ადრე დაწვა დასაძინებლად. თავი სტკიოდა. თავის ტკივილს დღევანდელ ნერვიულობას აბრალებდა. ექიმმა მკაცრად გააფრთხილა, ეცადე, არ ინერვიულოო, მაგრამ საქმიანი კაცი ამის გამკეთებელი არ იყო, ეს ექიმმაც კარგად იცოდა. ნერვიულობაზე სიგარეტის მოწევა დატვირთვას აათმაგებდა. სიგარეტს კი სართელი ვერ ელეოდა და ეს ღამეც კოშმარებში გაატარა, მხოლოდ დილით ჩაეძინა. ნახევარი საათი არ იყო გასული, რომ ტელეფონის ზარმა გააღვიძა. ტელეფონი დღე და ღამ გვერდით ჰქონდა, რადგან პარტნიორები ხან როდის ურეკავდნენ და ხან - როდის. ამჟამად საწყობიდან თემური რეკავდა:

— ბატონი ლევან! ბოდიში, რომ ასე ადრე დავრეკე, მაგრამ „ჩეპე“ გვაქვს, საწყობი გატეხს.

— მერე, პოლიცია გამოიძახეთ?! — უცბად გამოფენიზლდა ლევანი.

— კი, უკვე მოვიღნენ.

— კარგით, მეც გამოვდივარ.

სანამ საწყობამდე მივიდოდა, სართელს, ათასი რამ უტრიალებდა თავში. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გაეტეხათ შენობა, რომელიც მყარად იყო დაცული თვით ცოცხალი ძალითაც კი. ადგილზე ასეთი სურათი დახვდა: სათადარიგო კარის დაბლა გათხრილი იყო ვიწრო არხი, ამ არხით იყვნენ შემოსულები პირველ სართულზე, შემდეგ განუიარალებიათ დარაჯი, რომელსაც, თურმე, რატომდაც, ეძინა. შემდეგ შესაღუღებელი აპარატით გაუჭრიათ მეორე სართულის რკინის კარი. ყველაფერი ხელუხლებელი იყო, გარდა ფეხსაცმელების ყუთებისა, სადაც იდგა სეიფი. სეიფიც გაეჭრათ, როგორც ჩანს, სეიფის გაჭრაზე ელექტროდების დიდი რაოდენობა იყო დახარჯული. ლევანი მიზვდა, რომ ქურდები ფულის წასაღებად იყვნენ მოსულები. ამასთან, ზუსტად იცოდნენ ფულის ადგილსამყოფელი. წაღებული იყო რამდენიმე წვეილი ფეხსაცმელიდა დარაჯის ავტომატი. სართელი დარწმუნებული იყო, რომ აქ შინაურების ხელი ერია, მაგრამ ფაქტი არ ჰქონდა.

პოლიციელებმა აზომეს, გაზომეს ყველაფერი, ანაბეჭდები აიღეს და, როცა მორჩნენ ყველაფერს, შევიდნენ დარაჯის ოთახში, სადაც ლევანი და მისი თანამშრომლები ისხდნენ.

— ვერსია გაქვთ, ბატონებო? — შემოსვლისთანავე ჰკიოთხა სართელმა.

— გამოძიებით დავადგენთ რაღაც-რაღაცებს, — თქვა ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ უფროსი უნდა ყოფილიყო, — მაგრამ ყველაფერი დარაჯის ბრალია. მას ღრმა ძილით ეძინა და ისიც კი ვერ გაიგო, ყაჩაღები როგორ თხრიდნენ კარების ძირში ორმოს.

— ვითომ იქიდან შემოვიდნენ? — დაუსვა შეკითხვა ლევანმა.

— ფაქტი სახეზეა.

— მობრძანდით ერთი წუთით, ბატონო მაიორო, — ლევანმა ხელი მოხვია პოლიციელს და კარების ძირას გათხრილ არხთან მიიყვანა. იქვე საწყობის გამგის პატარა ბიჭი თამაშობდა. თემურს სახლში ბავშვის დამტოვებელი არ ჰყავდა და თან

წამოეყვანა. იქნებოდა ასე შვიდი-რვა წლის. ლევანმა ბიჭს დაუძახა, მოეფერა და სთხოვა:

— ბიძიკო, თუ მაგარი ბიჭი ხარ, გადი და კარების უქნიდან ამ არხით გამოძვერი. გამოძვრები?

— დიახ, — დაიმორცხვა ბავშვმა.

— აბა, მიდი და კანფეტები ჩვენზეა, — შეაგულიანა სართელმა.

— ბავშვმა ორი წუთი მაინც იწვალა, რომ გაჭრილი არხით საწყობში შემომძვრალიყო. რადგან კანფეტებს შეჰპირდნენ, დავალება წვალებით მაინც შეასრულა.

— ბატონო მაიორო, მე მგონი, ყველაფერს მიხვდით, ხომ? — ღიმილით მიმართა ლევანმა პოლიციელს, — აქ დიდი ადამიანი ვერ შემოეტეოდა.

— დიახ, სწორი ბრძანდებით, ეს ყველაფერი იმიტაციის მიზნით არის გაკეთებული, ყველაფერს გავარკვევთ, ბატონო ლევან, და დაგიკავშირდებით, — ამაყად წარმოთქვა მაიორმა, დაემშვიდობა ყველას და თავის თანამშრომლებთან ერთად წავიდა.

— ეე! შენ რის გამრკვევი ხარ, — თავისოვის ჩაილაპარაკა თემურმა, — ყველაფერი გაზომა და საიდანაც ვითომ უნდა შემოსულიყვნენ, ის არხი არ გაზომა. ეს ყაჩალების მპოვნელია?!

— მე კი დარწმუნებული ვარ, რომ აქ ყაჩალები არ ყოფილან, ვიღაც ჩვენიანია საქმეში გარეული, — თქვა ლევანმა და წასასვლელად მოემზადა.

ამ დროს საწყობს გელაშვილის მანქანა მოადგა.

— ბევრი წაიღეს? — შორიდანვე დაიძახა მან.

— ოთხი წყვილი ფეხსაცმელი, — უპასუხა ლევანმა.

— შაყირობ?

— ღალატია, ალექსანდროვიჩ, ღალატი. კიდევ კარგი გუშინ ფული გავიტანე, თორებ მაგრად გადავხტებოდით.

— აგაშენა ღმერთმა, ძლივს ამოვისუნთქე, — ამოთქვა ზაურმა და სკამზე ჩამოჯდა.

ათასნაირი ვერსია განიხილეს, მაგრამ ერთ კონკრეტულამდე მაინც ვერ მივიდნენ. ბოლოს დაიღალნენ ლაპარაკით და დაიშალნენ.

XIII

— რაზე გამაცდენინეთ ეს ხალხი, ტო! თქვე დეგენერატებო, მე ამ ხალხს ფული საიდან მივცე?! ეს ტუფლებიც თვითონ წამოუღიათ. ან კიდევ ტუფლი და ნიფხავი მინდა? — ყვიროდა გაცოფებული აჩიკო ცარციძე, — რა ნაკოლი მოიტანე, ტო! ვინა ხარ, შე ჩემა! შენი კისრიდან ამოვიღებ ამ ფულს!

შმები სეფერთელაძეები იდგნენ თავჩაღუნულები და ისმენდნენ აჩიკოს ღრიალს.

— ბიჭო! ეე! შენ გეუბნები! — ხელი მოჰკიდა კოტეს, — მოყევი რა მოხდა, ტო, თორემ დაგბრიდე ადგილზე! სად არის სამოცი ათასი დოლარი?! შე ტ . . . ო??

— აჩიკო, ბოდიშს ვიხდი, ძმაო, მე თვითონ გაოგნებული ვარ, — დაიწყო კოტემ აკანკალებული ხმით, — სამ საათზე, ნაღდად ვიცი, რომ სეიფში სამოცი ათას დოლარამდე ფული იდო. ექვსის ნახევარზე საწყობი დაიკეტა. არავის არაფერი არ წაუღია. იმ კრეტინმა ყარაულმა მითხრა, ლევანამ წაიღო ერთი წყვილი ფეხსაცმელიო. მე თვითონ არ ვიცი რა მოხდა.

— კრეტინი ის ყარაული კი არა, შენა ხარ და კიდევ შენ! — ახლა უშანგისკენ გაიშვირა ხელი, — მიდი, სანამ მე გავიკეთებ, შენ მოყოლა დაიწყე, გაიგე, ბიჭო?!

აჩიკომ ერთი დოზა გაიკეთა. კოტემ კი ჩატარებული ოპერაციის შესახებ „მოხსენების გაკეთება“ დაიწყო:

— კაროჩე, საწყობში სეიფში ჩემი თვალით ვნახე ის ფული. ადგილიც კარგად დავზევერე. ისიც ვიცოდი, რომ ბანკში ფულის წაღებას არ აპირებდნენ. ოთხის ნახევრის შემდეგ ექვსის ნახევრამდე ლევანის გარდა არავინ მისულა. მერე საწყობის გამგეც წავიდა. დამის თორმეტ საათზე შენ ხალხს შევხვდი და საწყობს მივადექით. უშანგიც იქ იყო. ყარაულმა გლაზოკში გამოიხედა, დამინახა, მე რომ ვიყავი და გააღო. დანარჩენები ნიღბებში იყვნენ. ყარაული მოვაყუჩეთ და დავიწყეთ საქმე. მერე ყარაული მივაყენეთ და არხი ვათხრევინეთ, რომ ვითომ

იქიდან შემოვედით. თუ ჩამიშვებ, მოგკლავ-მეთქი. მერე მაინც თავი დავიზღვიეთ და გავკოჭეთ. მეორე სართულის კარების გამოჭრა არ გაგვიჭირდა, მაგრამ სეიფმა დაგვტანჯა. თითქმის ორი საათი ვეჩალიჩეთ. ქვეყნის ელექტროლები დავწვით და ... ცარიელი აღმოჩნდა. გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა, უკვე თენდებოდა, ამიტომ ვერაფერი ვერ მოვასწარით, მარტო ავტომატი წამოვიდეთ და მოვშპით.

— მოშპი, თორემ შენც მილიონები გამოიტანე, შე იდიოტო! — აყვირდა აჩიკო და თან „ბორჯომის“ გახსნას შეუდგა, — ახლა წაეთრიე იმ შენი ნათლიის ოფისში და თავი ისე დაიჭირე, რომ არავინ არაფერი იყნოსოს. დანარჩენს მერე გეტყვი. უული მაინც გადასახდელი გექნება.

გელაშვილი და სართელი კოტეს ოფისში არ დახვდნენ. სიტყვა დაუტოვათ წენეთში, რესტორან „მაიკოში“ ვართ და იქ ამოვიდესო. სეფერთელაძე მაშინვე წავიდა წენეთში. გელაშვილი, სართელი და კიდევ პარტიის ორი წევრი შემოსხდომოდნენ სუფრას და სადილს გამრიელად შეექცეოდნენ.

— სიდედრსა ჰყვარებისარ! — შესძახა ლევანმა კოტეს.

— ჰა! გულზე ვეხატები, — გაიცინა კოტემ.

— მოდი, კოტე, მოდი, ჩამოჯექი, — მიმართა ზაურმა. — გელოდეთ, ძმაო, და რომ აღარ გამოჩნდი წამოვედით. სანამ ცხელია, გადაიდე, — „ოჯახურისკენ“ მიუთითა გელაშვილმა.

— თქვენ რა, დალევა დაიწყეთ? — გაუკვირდა კოტეს.

— მაღარიჩს გეახლებით, ჩემო ბატონო, — გაეღიმა ლევანს,

— კიდევ კარგი, ფული წავიღე იმ დღეს, თორემ მაგრად გადავხტებოდით.

— ჰო, ოფისში მითხრეს ყველაფერი. გადავრჩენილვართ, — სერიოზული გამომეტყველება მიიღო კოტემ, თან ლუდის ქილა გახსნა და მოწყურებული დაეწაფა, — კი, მაგრამ შენ იმ დღეს კიდევ მიბრუნდი უკან?

— ჰო, ბიჭო, რაღაც გულმა მიკარნახა. წავედი და ფეხსაცმლის ყუთით გამოვიტანე ფული. ხომ იცი, არ არის საჭირო, ყველამ ყველაფერი დაინახოს.

- ის ყარაულია მოსაკლავი. ასიანი შიგნიდან გაუღეს. ყარაული დაკითხეთ? — ვითომ სასხვათაშორისოდ იკითხა კოტებ.
- პოლიციამ დაკითხა, მაგრამ ხმას არ იღებს, მეძინაო.
- თუ არაფერი არ არის წაღებული, რაღა უნდა უთხრა? — ვითომ ხელი ჩაიქნა კოტებ.
- ეს ინციდენტი წაღებაზე უარესია, კოტე, ვიღაცა შიგნიდან ურევს და, სხვათა შორის, ძალიან ცუდად.
- შენი აზრით, ვინ უნდა იყოს? — იკითხა კოტებ.
- რა ვიცი, გამოჩნდება, არ დაიმალება. ყოველ შემთხვევაში უცხო არ იქნება. შინაურის ხელი ურევია. მოდი, ამაზე ნუღარ ვიღაპარაკებთ. ცოტა დავლიოთ რა, — თქვა ლევანმა და ჭიქები ღვინით შეავსო.
- მომავალ არჩევნებში თქვენი გამარჯვების სადღეგრძელო იყოს, ბიჭებო! — ხმამაღლა წარმოთქვა ახლად გაპოლიტიკოსებულმა გელაშვილმა და ჭიქა ბოლომდე გამოცალა.
- თუ ჩატარდა კი. — გაეცინა ერთ-ერთ პარტიელს.
- რატომ არ უნდა ჩატარდეს ვითომ? — იკითხა ლევანმა.
- აფხაზეთში ძალიან დაიძაბა სიტუაცია, არ არის გამორიცხული ომი დაიწყოს.
- ეგ გვინდა და ავმენდით. — ხელი ჩაიქნა ზაურმა და ლევანს ანიშნა ჭიქები შეავსეო.
- ლევანმა შეავსო სასმისები, ადგა ფეხზე, ჭიქა ყველას მიუჭახუნა და ხმამაღლა წარმოთქვა:
- მშვიდობას გაუმარჯოს, ხალხო. ომი არ გვინდა.
- ჩვენ რომ გვეკითხებოდნენ მაგას, რა გვიჭირს. — ჩაილაპარაკა გელაშვილმა.
- არა მგონია, ომამდე მივიდეს საქმე, — თქვა ერთ-ერთმა პარტიელმა, — შევარდნაძე ამას არ დაუშვებს.
- თუ ძმა ხარ, — გაეცინა კოტებს, — არ დაიჯერო ეგ ზღაპრები. პირიქით, ამათ ომი უფრო აწყობთ. შენ ეგ თქვი, ჩვენს საქმეს რა

ეშველება. ომი არ არის და ისე გვაყაჩალებენ. ომი რომ დაიწყოს, რა იქნება მერე, ჰა?

— ვნახოთ, ვნახოთ, მოკლე ხანში ყველაფერი გამოჩნდება. — დაასკვნა ლევანმა და ჭიქები შეავსო.

მიუხედავად იმისა, რომ მოქეიფენი გვიანობამდე სვამდნენ, კატემ დამატებითი ინფორმაციების მოძიება ვერ შეძლო, რადგან საქმეზე საერთოდ აღარ ყოფილა საუბარი.

XIV

დრო გადიოდა. თბილისში აგვისტოს ცხელი დღეები იდგა. ლევანი კაბინეტში იჯდა და საქონლის რეალიზაციის მასალებს ათვალიერებდა. ქალაქში მოსახლეობის ნაკლებობის გამო ვაჭრობა თითქმის არ იყო. ამასთან თურქეთიდან შემოტანილი დაბალი ხარისხის იაფფასიანი საყოფაცხოვრებო საქონელი მძაფრ კონკურენციას უწევდა გერმანულ პროდუქციას. თურქელი იაფი იყო და ეს იყო მთავარი ფაქტორი. სამაგიეროდ გერმანული რომ ძლებდა ორი წელი, თურქელი ორ-სამ თვეში ცვდებოდა. ლევანს სექტემბრის იმედი ჰქონდა. ამ თვეში ქალაქში მოსახლეობა ბრუნდებოდა და ვაჭრობის ტემპიც მატულობდა. ფოსტაში ორი დეპეშაც აღმოჩნდა. შუა აზიიდან სხვადასხვა დასახელების სასურსათო საქონელს სთავაზობდნენ ასოციაციას. ლევანმა კომერციული განყოფილების თანამშრომელი გამოიძახა და სასურსათო საქონელზე რუსეთის ბაზრის ფასები მოატანინა. შეადარა შუა აზიის ფასებს და რუსეთის იაფი აღმოჩნდა. ფასში ძირითადად ტრანსპორტისფაქტორიდომინირებდა. რუსეთიდან აფხაზეთის გავლით საქართველოში და თუნდაც ამიერკავკასიის ბაზარზე საქონლის შემოზიდვა იაფი ჯდებოდა. არადა მომავლისთვის, „აბრეშუმის გზის“ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, შუა აზიას მეტი პერსპექტივა ექნებოდა. ლევანი ერთგვარი დილემის წინაშე დადგა. ქართული გვარდიის ნაწილები აფხაზეთში უკვე შესულები იყვნენ, ვითომ სატრანსპორტო

მაგისტრალების დაცვის მიზნით, სინამდვილეში ამ „შესვლას“ ომის სუნი ასდიოდა, რაც რუსეთთან დამაკავშირებელ ძირითად სატრანსპორტო გზას გადაკეტავდა და შეა აზის საქმიან წრეებთან კავშირი არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიც გახდებოდა. გათვლების გაკეთება ამ ეტაპზე ძალიან ძნელი იყო, ამიტომ ლევანმა გადაწყვიტა ცოტა კიდევ მოეცადა და შეა აზიელ პარტნიორებს მოლაპარაკების გასამართად ჩამოსვლა შესთავაზა. ამ მიმოწერის ძირითადი მიზანი დროის გაწელვა იყო. ფოსტაში კიევიდან მიღებული ფაქსიც აღმოჩნდა. ფირმა „დინამო-ატლანტიკის“ პრეზიდენტი დარჩენილი საქონლის მოწოდებისთვის ასოციაციის წარმომადგენლის ჩასვლას მოითხოვდა. ერთი სიტყვით, საქმე თავზე საყრელი იყო, შესრულების ვადებიც შემჭიდროვებული. ზუსტი ანალიზის გაკეთება იყო საჭირო. როგორც კი ამ საკითხზე ფიქრი დაიწყო, შიდა ტელეფონიც აწკრიალდა. გელაშვილი თავისთან იხმობდა.

ზაურთან კაბინეტში ორი უცხო მამაკაცი იჯდა. ერთი ძალიან გამხდარი იყო, უშველებელი სათვალე ეკეთა, ხოლო მეორე საშუალო ტანის, ცოტა პუტკუნა. ზაურმა გააცნო სტუმრები, გამხდარს პავლიკა ერქვა, ხოლო პუტკუნას - ზაური, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ზედმეტსახელად ძმაკაცები ზუმბოს ეძახდნენ და ზაურიც ამ სახელით ეცნობოდა ყველას. ზუმბო ლევანს საიდანლაც ეცნო, მაგრამ ორჭოფობდა, შეიძლება კცდებიო, ამიტომ არაფერი უთქვაშს.

— ლევან! — დაარღვია სიჩურე გელაშვილმა, — როგორი კაცია ლორია? კახელი კაცი ხარ და პირდაპირ თქვი.

— მაგას კაცის გარდა ყველაფერი ჰქვია, — არც დაფიქრებულა, ისე გასცა პასუხი სართულმა, — რაც მაგან ჩვენ გაგვიკეთა, მას შემდეგ არც მინდა ვახსენო მაგის სახელი. რა მოხდა? რამე პრეტენზიები ხომ არა აქვს ვაჟაპატონს?

— მე ნაწილობრივ კი ვუთხარი ბატონებს, მაგრამ შენ თუ მოყვები თქვენს თავგადასავალს, უკეთესი იქნება, — თქვა

გელაშვილმა და ისეთი თვალებით შეხედა ლევანს, რომ აშკარად ეტყობოდა, ეს ბიჭები კეთილი სურვილებით არ იყვნენ მოსულნი და გელაშვილს დახმარება სჭირდებოდა.

ლევანმა კიდევ ერთხელ გაიხსენა მოსკოვიდან ფულის წამოღების ისტორია და ის ფაქტი, თუ როგორ იყოდა ამ ნაწვალები ფულით ლორიამ სახლი.

— ლორია არის ნაძირალა. მაგას სხვა სახელს ვერ მოუძებნი.
— დაასკენა ლევანმა.

— ის, პირიქით, გელაშვილზე ლაპარაკობს ცუდს, — ამოილო ხმა პავლიკამ, — ვეღარ გავიგე, რომელია სწორი.

— მე, რაც მაგ კაცის შესახებ ვიცოდი, მოგახსენეთ და აწი დასკვნების გაკეთება თქვენთვის მომინდვია, — არ ცხრებოდა სართველი.

ზუმბო კი ლევანს მიშტერებოდა. სართველმა მისი მზერა დაიჭირა, მაგრამ მაინც ვერ ხვდებოდა, საიდან იცნობდა.

— ბოდიშს ვიხდი, — მიმართა ზუმბომ ლევანს, — თქვენ ცეკავშირში ხომ არ მუშაობდით?

— დიახ.

— მიხეილ შანშიაშვილს ხომ არ იცნობდით?

— დიახ, ერთად ვმუშაობდით წლების განმავლობაში.

— აუუ! როგორ ვერ გიცანი, — აღმოხდა ლევანს, — მაგრამ მამასთან რომ მოდიოდი ხოლმე, მაშინ პატარა ბიჭი იყავი. ახლა გაზრდილხარ, სად მოღვაწეობ, ზუმბო?

— მე და პავლიკა ერთ-ერთი ლეგიონის წევრები ვართ და ხან რას ვაკეთებთ, ხან რას. ისე, ამ კაცის მე მჯერა, — მიუბრუნდა ზუმბო პავლიკას, — მამაჩემისგან ვიცი, ტყუილს არ იტყვის. ესე იგი მართლა უვარვისია ლორია.

— ზუმბო, თუ საიდუმლო არ არის, რა აინტერესებს ლორიას?

— რა აინტერესებს და ათი მილიონი კრედიტი, რომელიც გელაშვილის და მის მიერ იქნა აღებული, მთლიანად შეჭმულია. ის გელაშვილს სდებს ბრალს ამ საქმეში. რადგან შინაურები

გამოვდექით, არ დაგიმალავ და ათი ათას დოლარს ჩვენც გვიხდის, რომ გელაშვილი მოვკლათ.

— გელაშვილი რა ბაში-აჩუკია, ათი ათასი?! — მწარედ გაიღიმა ლევანმა, — მაგის სიკვდილი რას უშველის?

— რას უშველის, მმაო, და მთელი ბრალი მკვდარზე გადავა და ლორია გამომვრება საქმიდან, — დაასკვნა პავლიკამ.

— მერე ღმერთს რა პასუხს აძლევს?! — სიბრაზისგან სახე დაქმანჭა სართელს. ამით ბიჭებსაც მიანიშნა, რომ დიდ ცოდვას სჩადიოდნენ.

— თუ ჩვენზე რამეს ფიქრობ, მმაო, — დაუფიქრებლად წარმოთქვა პავლიკამ, — ჩვენ ეგოთი ცოლვები უკვე ჩადენილი გვაქვს და, იმ ტიგრანასი არ იყოს, გინდა ერთი ყოფილა და გინდა ასი, ჯოჯოხეთი მაინც გარანტირებული გვაქვს.

ლევანი განციფრებული უყურებდა პავლიკას. ასეთი საუბარი ადამიანის მოდგმისგან ჯერ არ მოესმინა. ღმერთის ასეთი უარყოფა მოკვდავი ადამიანისაგან არ სმენოდა არასდროს. ყურს და თვალს არ უჯერებდა. ეგონა, რომ მის წინ სატანა იჯდა. ისევ პავლიკას ხმამ გამოაფხიზლა:

— ზაურ, ლორიას ჩვენ მოვუკლით. უკვე იასნია, რომ არასწორ გზაზე დაგვაყენა. კიდევ კარგი, რომ დაგელაპარაკეთ და პირდაპირ არ შევასრულეთ დავალება.

— მადლობის მეტი რა მეტქმის, — ჩაურია საუბარში გელაშვილი.

— მაიცა რა, ჩემი მმა, — შეაწყვეტინა პავლიკამ, — მადლობას შენ სხვანაირად გვეტყვი. ჯერჯერობით ხუთი „პიღსტგოლნიკი“ გვჭირდება, კაცი იარაღს შეპირებულია და ფულსაც ელოდება. ამიტომ ორი მილიონი მანეთი სასწრაფოდ გვჭირდება. გაიგე, მმაო?!

გელაშვილმა პავლიკას დაქაჩულ თვალებს სახე მოარიდა და დასაკლავად განწირული კრავივით სართელს შეხედა. ლევანი მიხვდა, რომ ორი მილიონი სასწრაფოდ გადასახდელი იყო, თორებ ზაურს „განაჩენს“ გამოუტანდნენ. ათი მილიონი ლორიამ და გელაშვილმა შეჭამეს, ხოლო ლევანს აქედან ერთ-

ერთის გადარჩენისათვის საათივით აწყობილი საქმიდან ორი მილიონი უნდა ამოეღო და ვიღაც მკვლელებისთვის მიეცა. ადამიანური პრინციპებიდან გამომდინარე, სიტუაციის გამო, გენო ჭანკვეტაძის გულისთვის ოთხმილიონნახევარი მოხსნა ნავაჭრიდან, ახლა ორის მოხსნა მოუწევდა, რაც ზარალზე გაიყვანდა ასოციაციის ახლად დაწყებულ საქმიანობას. მაგრამ ადამიანის სიცოცხლე შეუფასებელი იყო და არც კი დაფიქრებულა სართელი. აიღო ყურმილი და საწყობში გადარეკა. დავალება მისცა, ერთ საათში ფული, თან მსხვილი კუპიურები, სასწრაფოდ მოეტანათ ასოციაციის ოფისში.

— ერთ საათში თანხა აქ იქნება, — თქვა ლევანმა, — ბოდიშს მოგიხდით, მე კაბინეტში გავალ და მალე შემოვალ.

— იყავიარწახვიდე, თუვინმესრამესაქმეაქვს, აქმოვნახავენ, — აკანკალებული ხმით მიმართა სართელს გელაშვილმა. თან ისეთი თვალებით შეხედა, რომ ფეხზე წამომდგარი ლევანი ისევ სკამზე დაეშვა და საუბრის თემის შეცვლა სცადა. ხან რა თემაზე წამოიწყო საუბარი, ხან-რაზე, მაგრამ პავლიკას და ზუმბოს ფულის გარდა არაფერი აინტერესებდათ. ბოლოს წამალმა იმბლავრა და პავლიკამ სავარაძელში ჩათვლიმა, ხოლო ზუმბომ ტელეფონზე ვიღაცას დაურეკა და ნახევარი საათი ყურმილი არ მოუცილებია.

საწყობის გამგე, თემური, დათქმულ დროზე ადრე მოვიდა. ლევანმა ორი მილიონი მიუთვალა ზუმბოს, ხელი ჩამოართვა და წარმატებები უსურვა.

პავლიკას და ზუმბოს წასვლიდან ორი წუთი არ იყო გასული, რომ გელაშვილმა თვალები გადაატრიალა და სკამიდან ჩამოცურდა. ლევანი მივარდა ტელეფონს, სასწრაფო გამოიძახა. იქვე მდგარ და გაოგნებულ თემურს დაავალა, სასწრაფოდ სანაპიროზე ჩასულიყო და თვითონ მოეყვანა სასწრაფო, თორემ ისინი, ალბათ, კიდევ ორი საათი არ მოვიდოდნენ. კაბინეტში მდივანი და პარტიის თავმჯდომარე შემოცვივდნენ, ზოგი ვალიდოლს ტენიდა გელაშვილს, ზოგი ნიტროგლიცერინს.

ზაური ცოტა აზრზე მოვიდა. ამ დროს თემურმაც მოიყვანა სასწრაფო. ნემსი გაუკეთეს, ჩაწვინეს მანქანაში საკაცით და წაიყვანეს კარდიოლოგიის ინსტიტუტში. ლევანი, რა თქმა უნდა, მანქანით გაჰყვა უკან.

რეანიმაციიდან გამოსულ ექიმს ლევანმა ხელმკლავი გაუყარა და ასი დოლარი ჩაუდო ჯიბეში. ექიმი ზრდილობის გულისთვის შეიშმუშნა, ვითომ არ უნდოდა ფულის აღება, მაგრამ ლევანმა უხერხულობის სცნის გათამაშება ბოლომდე არ აცალა და ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია სთხოვა.

— მწვავე სტენოკარდიაა, — დაიწყო ექიმმა, — სტრესი ცოტა უფრო ძლიერი რომ ყოფილიყო, შეიძლება განვითარებულიყო მესამე ინფარქტი, რაც ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი სიკვდილით დამთავრდებოდა. ალბათ, კარგა ხანს მოუწევს საავადმყოფოში წოლა. ხვალ ყველაფერი უფრო ზუსტად გვეცოდინება.

— თქვენი იმედი გვაქვს, ექიმო, — მორიდებით დაიწყო საუბარი ლევანმა, — ჩვენი მხრიდან რაც საჭირო იქნება, ყველაფერს გავაჩენთ. ხვალ დილით მე თვითონ მოგაკითხავთ.

ლევანი ექიმს დაემშვიდობა და მძღოლთან ერთად საავადმყოფოს კიბეებზე დაეშვა.

სახლში მისულს მეუღლემ ამბავი დაახვედრა. რომან კორკელიას დაერეკა სოხუმიდან. ხვალ დილით ვიქნები თბილისში და დამხვდესო. ლევანმა ტანსაცმელი გამოიცვალა, ტელევიზორს შეხედა, ეთერში „მოამბე“ გადიოდა. დიქტორი აჩქარებული გადმოსცემდა ინფორმაციას ეროვნული გვარდის სწრაფი რეაგირების კორპუსის მიერ აფხაზეთში ჩატარებული სამხედრო გადაადგილების შესახებ. ლევანი სავარძელში ჩაეშვა, ვითომ ინფორმაციის მოსასმენად, მაგრამ მაშინვე ჩაეძინა.

XV

რომან კორკელია, რომელიც დილის ცხრა საათზე ასოციაციის ოფისში იყო, გელაშვილის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციას უკვე ფლობდა და ლევანის მოლოდინში ვესტიბიულში გადი-გამოდიოდა.

— რომანს გაუმარჯოს! — შემოსვლისთანავე მიესალმა სართელი კორკელიას, — მუჭორუქ, წიე?

— რა იყო, კლავთ იმ კაცს? — კითხვითვე უპასუხა რომანმა.

— გადარჩა, გადარჩა, ჩემთ რომან. ახლა წავიდეთ ერთად და მოვინახულოთ.

— წავიდეთ, წავიდეთ, — აჩქარდა კორკელია.

ლევანი და რომანი ჩასხდნენ მანქანაში და დიღმისკენ გასწიეს. გელაშვილი კვლავ რეანიმაციაში იწვა, მაგრამ მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესებული ჰქონდა. ლევანმა და რომანმა მოახერხეს ნახვა, დიდხანს არ გაჩერდნენ. ზედმეტი ემოციები ავადმყოფისთვის სასიკეთოს არაფერს მოიტანდა. ისევ ოფისში მობრუნდნენ. ლევანმა დაწვრილებით უამბო კორკელიას გელაშვილის ავად გახდომის მიზეზი.

— მაგათ მასწავლი შენ მე? — გაიკვირვა რომანმა, — სულ სოხუმში არ დაბოდიალობენ ახლა? ეგ შობელძაღლები, სიცოცხლეს შეგაძულებენ კაცს. წამლის გაკეთების და კაცის მოკვლის მეტი არაფერი იციან.

— მერე რას ფიქრობთ, სოლომონოვიჩ? დიდხანს უნდა გააჩეროთ ეს ნაძირლები აფხაზეთში?

— არ ვიცი, ლევან, — დამწუხრებულმა თქვა რომანმა, — ისე მიჰყავთ საქმე, თავიანთი ქცევებით, მგონი, აფხაზებს გვიპირისპირებენ.

— თქვენ რას აკეთებთ? საპირისპირო ღონისძიებებს არ მიმართავთ? — ჩაეძია სართელი.

— რა უნდა გავაკეთოთ, აფხაზებს ხომ არ დავუწყებთ ფერებას?!

— აფხაზებთან საერთო ენა უნდა გამონახოთ, რომან, — დამრიგებლური კილოთი მიმართა კორკელიას სართელმა, — თუ არ გაერთიანდით, კიტოვანი თავისი უაზრო ქმედებებით აფხაზებს დაგიპირისპირებთ და ბოლოს მოგიწევთ აფხაზეთის დატოვება, თანაც სამარცხვინოდ.

— მაგი არ მოხდება, — მოკლედ მოჭრა რომანმა, — ამ მთავრობის კაცია კიტოვანი და ეს ხელისუფლება აფხაზეთში კონფლიქტურ სიტუაციას არ შექმნის.

— აბა, თბილისში როგორ შექმნა? — შეეკითხა სართელი, — შენ გვინია, ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა? არა, ბაზონო, აქ, როგორც ამბობენ, „დიდი პოლიტიკოსის“ ზელი ურევია, რომელმაც ბერლინის კედელი დაანგრია და ამის შემდეგ გადაწყვიტა, სიცოცხლის ბოლომდე ყველგან ყველაფერი დაანგრიოს. პროცესი თბილისიდან დაიწყო და მიჰყვება ნელ-ნელა ყველაფერს. ეს ყველაფერი მზადდება ანტიქრისტეს მოსვლის პერიოდისათვის. თუ თქვენ და აფხაზები ერთად დადგებით ამ ანტიქრისტების წინააღმდეგ, ყველაფერი კარგად დამთავრდება, ხოლო თუ არა და შეიძლება აფხაზეთი დავკარგოთ.

— არ მინდა დავიჯერო, რასაც შენ მეუბნები, — თქვა რომანმა, — მაშინ სახელმწიფოს მეთაური მოღალატეა?

— შენ როგორ ფიქრობ? თქვენთან არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს დალატია თუ არა? — გაეცინა ლევანს.

— ისე, ესნაგავი ხალხითუდაემატადადაემატა, მარადიორების რაოდენობა გაიზრდება და ეს იქნება დასასრულის დასაწყისი. ასეა ეს. სწორი ხარ, ხომ იცი.

— ამას ემსახურება ამ „პოდსტვოლნიკების“ ყიდვაც, — ამოიხსრა ლევანმა, — ჩვენი ხელით, ჩვენი ჯიბიდან ამოგვალებინებ ფული, გვაყიდინეს იარაღი, რომელიც ჩვენივე სამშობლოს და ჩვენივე ხალხის წინააღმდეგ უნდა გამოიყენოს ვიღაც ნაძირალამ, რომელიც „დიდი პოლიტიკოსის“ ხელში პატარა იარაღია.

აი, ასეთ ხალხს აგროვებენ თქვენთან, ამიტომ არის თქვენი და აფხაზების ერთად დგომა საჭირო. დამიჯერეთ, ძმებო.

— ეს ყველაფერი კარგი, ჩემო ლევან, მაგრამ თქვენი საქმე როგორ იქნება ამდენ მჭამელებში? ჯერ არ დაგიწყოათ და უკვე ზარალზე ხართ.

— გეთანხმები, — კიდევ ერთხელ ამოიოხრა სართელმა, — ველოდები, როგორ გადანაწილდება ძალები საქართველოში. ეს პარტიულებიც დიდ იმედს ამყარებენ არჩევნებზე. გვპირდებიან, „კრიშას“ გაგიკეთებოთ. შეიძლება ამ „პრისტუპნიკების“ შემოსევა მაგათი მეშვეობით გავაჩერო.

— თუ ისე არ წავიდა საქმე, როგორც შენ გინდა? — მოულოდნელად დაუსვა კითხვა კორკელიამ.

სართელს გაუცინა:

— მართლა გამომძიებელი ხარ რა. არ გამოვა ისე, როგორც ჩვენ გვინდა? აკუმულაციას გავუკეთებ მთელ თანხებს და იალა მოსკოვში. აბა, რა ვქნა? თითქმის ყველაფერი გათვლილია. თუ ასეთი ტემპით გავაგრძელეთ, გაზაფხულის პირზე ნახევარ მილიონ დოლარამდე მოგება უნდა მქონდეს.

— ესე იგი გასაქცევი გაქვს.

— ასე გამოდის. იქ დაველოდებით ჩვენთვის სასურველი ხელისუფლების მოსვლას სახელმწიფოს სათავეში და მერე შემოვალო.

— მერე სად არის სკანი პატრიოტიზმი, ნიკალაევიჩ? — გაეცინა რომანს, — ჩვენ გვეუბნები, აფხაზებთან ერთად დადექითო და შენ გარბიხარ საქართველოდან?

— მე საქმე, ანუ დღეს ინგლისურ ენაზე ბიზნესად რომ მოიხსენიებენ, გადამაქვს მოსკოვში. საკუთარი თავის გადასარჩენად კი არ მივდივარ. მე უნდა ვიშოვო და მოვახმარო ჩვენს ქვეყანას და ჩემს ოჯახს. აქ კი უკვე ფაქტის წინაშე დავდექით, რასაც ვშოულობთ, ყაჩაღების ჯიბეში გადადის და ისევ ჩვენი ხალხის საწინააღმდეგოდ არის

მიმართული. ცეკავშირში რომ ვმუშაობდი, მიწისძვრებით და მეწყერებით დაზარალებული მოსახლეობის გადარჩნის მიზნით, უამრავ თანხას ვდებდით მათი სახლების და ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის. არავის არ მოსვლია თავში, რომ იქიდან კაპიკი საკუთარი საჭიროებისათვის გამოეყენებინა. ამას ვინ იკადრებდა. დღეს კი ჩვენი დრო აღარ არის, ჩემო რომან. დღეს ნაძირლების დროა და, ალბათ, ამ საუკუნესაც ეგენი დამთავრებენ. მე გუშინ დიდი ცოდვა ჩავიდინე, იმ ყაჩალებს იარაღის საყიდელი ფული რომ მივეცი. ამით გადავარჩინე ერთი კაცის სიცოცხლე, ღმერთმა დაიფაროს ზაური, სამაგიეროდ საფუძველი შევქმნი მრავალი ადამიანის სიცოცხლის მოსპობისა. ღმერთი არ მაპატიებს ამას. ამიტომ, ჩემო რომან, ეს სიტუაციები რომ არ განმეორდეს, „წასვლა სჯობს აქ დარჩნასაო“, ხომ გაგიგია, ძმა?

— სადღაც სწორი ხარ, ხომ იცი, — სერიოზულად სთქვა რომანმა, — ესე იგი ღმერთის მედზე ვართ დარჩენილები.

— ამ უღმერთოებმა კომუნისტების დროს ყველაფერი გააკეთეს, რომ ღმერთი დაევიწყებინათ ჩვენთვის, — ხმამაღლა ალაპარაკდა ლევანი, — ახლა მოვიდნენ და ერის და ქვეყნის განადგურებას მიჰყვეს ხელი. მხოლოდ უფალი თუ გვიხსნის ამ სატანის მიმდევრებისგან.

სართელმა პირჯვარი გადაიწერა და უფალს გადარჩნა შესთხოვა.

— ამინ! — დაუდასტურა კორკელიამ და მანაც პირჯვარი გადაიწერა.

იმ საღამოს ლევანმა და რომანმა მსუბუქად ივახშმეს და კორკელია მატარებლით სოხუმში გაემგზავრა.

XVI

ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი წლის სექტემბერი საქართველოში, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით, ძალიან „ცხელი“ გამოდგა. აფხაზეთში სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა, ან თუ კონტროლდებოდა, მხოლოდ სხვისი ხელით. ეს სხვა კი ორივე მხარის, ქართველების და აფხაზების, საერთო მტერი იყო.

ქართველ პოლიტიკოსებს არ ეცალათ აფხაზეთისთვის. გაცხოველებული მზადება მიდიოდა საპარლამენტო არჩევნებისთვის და ყველა პარტია, არსებული თუ არარსებული, ერთმანეთში ვაჭრობდა. სახელმწიფო მეთაურთან ყველა ცალ-ცალება ცდილობდა ეროვნულობის იმიჯის შექმნას, რაც, მათი აზრით, პარლამენტში ადგილების რაოდენობის გაზრდის გარანტი იქნებოდა. არაფერს არ ერიდებოდნენ, განსაკუთრებით ერთმანეთის ჩაშვებას. სახელმწიფო მეთაურს კი ეს არ ანაღვლებდა. იგი ყველას თავს უქნევდა, ხოლო გულში რა ედო, ეს ძნელი გამოსაცნობი იყო ჩვენი ვაიპოლიტიკოსებისათვის.

გელაშვილის ავადმყოფობის გამო მთელი საქმე ლევანს დააწვა. პარტიას, რომელიც მათ „კრიშას“ წარმოადგენდა, წინასაარჩევნო მარათონისთვის ბევრი რამ სჭირდებოდა. ამ „ბევრ რამეს“ საკმაოდ ბევრი ფული უნდოდა. ამ ბევრ ფულს კი შოვნა, რაც არც ისე ადვილი იყო. ამიტომ, როგორც იტყვიან, სართელს თავის მოსაფხანი დრო არ ჰქონდა. პარტიის ხელმძღვანელობასთან ერთად აფხაზეთში ასკაციანი შეიარაღებული რაზმი გაუშვეს. მათი საკვები პროდუქტებით, ეგრეთ წოდებული, „მშრალი ულუფით“, უზრუნველყოფა მთლიანად ასოციაციაშ აიღო თავის თავზე.

ასე რომ, ლევანს გვერდში დგომა ისე სჭირდებოდა, როგორც არასდროს. სწორედ ასეთ „ცხელ“ სიტუაციებში ეკარგებოდა კოტე. სულ მის ძებნაში იყო, რადგან ბევრი რამ ისეთი კეთდებოდა, რაც სხვას არ უნდა სცოდნოდა.

სეფერთელაძებს საქმე ცუდად ჰქონდათ. აჩიკო ცარციძე არასწორი „ნაკოლების“ მიტანისთვის და საქმის შეუსრულებლობისთვის დამსჯელ ღონისძიებებზე გადავიდა. ძმები თავისთან, სახლში დაიბარა და როგორც კი კოტე და უშანგი მის ოთახში შემოიძურწნენ, მაშინვე უყვირა:

— ეე! თქვე იდიოტებო! სად არის შეპირებული მაყუთი! როცა საქმის გაკეთება არ შეგიძლიათ, არ უნდა შემპირდეთ.

უშანგი შეიშმუშნა, დალაპარაკება სცადა, მაგრამ ცარციძემ არ აცალა:

— შე დეგენერატო! ხმა არ ამოიღო! ორი დღის ვადას გაძლევ, ორასი ათასს მომიტან. მჭირდება სასწრაფოდ.

— საიდან მოვიტანო, აჩიკო? — თითქმის ჩაწყვეტილი ხმით ამოღერდა უშანგიმ.

— საიდანაც გინდა, მოიტანე, წადი, იქურდე, ხომ გინდა, ქურდი გახდე! თუ მაგის თავი არა გაქვს, მაშინ წადი, იბოზე! კაროჩე, რაც გინდა, გააკეთე, ორ დღეში ორასი ათასი მოიტანე! თუ ვადას გადააცილება, — თან საათზე დაიხედა აჩიკომ, — მოსატანი თანხა გაორმაგდება, ანუ გახდება..? ე, კოტე, შენ მათემატიკა კარგად იცი, რამდენი?

— ოთხასი ათასი, — თავჩაღუნულმა წარმოთქვა კოტემ და ცარციძეს თვალი ვერ გაუსწორა.

— ჰოო! სწორია. აბა, ახლა დაახვიეთ, დროს ნულარ დაკარგავთ!

ძმები ფერდაკარგულები წამოვიდნენ გლოდანიდან. სახლამდე ხმა არც ერთს არ ამოუღია. როდესაც მანქანიდან გაღმოვიდნენ, უშანგიმ კოტეს გასძახა:

— რა ვქნათ, ჰო! მოიფიქრე რამე, შენ ხომ შენს თავს შავი საქმეების „მოზგს“ უწოდებ.

— მე უკვე მოვიფიქრე. ჩვენს თავს ხომ არ გავიუბედურებთ? სამიზნე არის. მხოლოდ შენ შემსრულებელი უნდა მოძებნო. დანარჩენი სახლში ვილაპარაკოთ. — ჩაკეტა მანქანა კოტემ და ძმები სახლში შევიდნენ.

ლევანი სამსახურში დილით ადრე მივიდა. საქონლის მოწოდების თაობაზე გერმანელებთან სატელეფონო საუბარი ჰქონდა დანიშნული. ის იყო საუბარი დაამთავრა, რომ კაბინეტის კარები უშანგიძი შემოაღო, მან თან ვიღაც უცხო პიროვნება შემოიყვანა. ორივეს დილითვე მოესწროთ წამლის გაკეთება და მთვარეულებივით იდგნენ კარებთან. „ესენი კარგ საქმეზე არ არიან მოსულები“, — გაუელვა თავში სართელს, — „ესენი წამალს ორ შემთხვევაში იკეთებენ. ერთი, როდესაც კაიფი უნდათ, ხოლო მეორე, როდესაც ისეთ საქმეზე მიდიან, რომელსაც მიწოლა, წაგლევა, არაკაცობა სჭირდება“.

— დასხელით, ბიჭებო, — თავაზიანად მიიპატიუა ლევანმა, — ახლავე მდივანი მოვა და ყავას მოგაროვეთ.

— არაფერი არ გვინდა, ლევან, — დაიწყო უშანგიძი, — შენთან საქმეზე ვარ მოსული და უნდა დაგელაპარაკო.

— კი, ბატონო, გისმენ.

— გახსოვს, მე ლორიას ორასი ათასი რომ დავაწერე?

— როგორ არ მახსოვს.

— ისიც გახსოვს ხომ, შენ წინააღმდეგობა რომ გამიწიე? ჩვენი ფული არ არის, რატომ ტეხავო, მერე მე დამაწვება კისერზეო. ხომ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს. არასწორი რა გითხარი მაშინ?

— არასწორი ის მითხარი, რომ მე ის ორასი ათასი ამ კაცისთვის უნდა მიმეცა, — თქვა უშანგიძი და საჩვენებელი თითი უცნობისკენ გაიშვირა, რომელიც საფრთხობელასავით გაშეშებული იჯდა სკამზე და წამლისაგან ამღვრეული თვალებით ლევანს მიშტერებოდა, — მე ამ კაცის ვალი მაქვს, საიდან გადავუხადო, რაც არ მაქვს.

ლევანი მიხვდა, უშანგის საითაც მიჰყავდა საუბარი, ამიტომ აუღელვებლად მიუგო:

— მე როგორც ვიცი, ის ორასი ათასი ხუთ კაცზე ტყდებოდა და ამ კაცს ორასს როგორ მისცემდი?

— ეგ მე ვიცი, ძმაო, როგორ მივცემდი, — თავისას არ იშლიდა უშანგი, — შენ მე ამ საქმეში ხელი შემიშალე და ამიტომ მაგ ვალს, ანუ ორასი ათას მანეთს გადასცემ ამ კაცს.

მერე მიუბრუნდა უშანგი თავის „მევალეს“ და უთხრა:

— მერაბ, მმაო! ლევანას ჩემი ვალი აქვს ორასი ათასი მანეთი და გადაგიხდის.

ამის თქმა იყო, რომ უშანგი უცბად წამოხტა სკამიდან და კაბინეტიდან გავარდა. ლევანი ჯერ გაორნებული დარჩა, მერე წამოდგა, გარეთ გავიდა. დერეფანში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ისევ შებრუნდა, თან მხრებს იჩეჩავდა:

— სად გაქრა ეს კაცი? საინტერესოა.

— ეგ აღარ მობრუნდება, მმაო, — გამოსცრა კბილებიდან მერაბმა, - მაგან მე ვალი გადმომაბარა და შენ ეგ ფული უნდა ჩამაბარო.

— რა ფული, ტო? — გაკვირვებულმა შეხედა ლევანმა მერაბს.

— ორასი ათასი.

დატოვა სიტყვა მერაბმა და კაბინეტიდან გავიდა.

— გადაირია ეს ხალხი, — თავისთვის ჩაილაპარაკა გაოცებულმა სართელმა.

მთელი დღის განმავლობაში ლევანი ხან უშანგის ეძებდა, ხან კოტეს, მაგრამ მათ ასავალ-დასავალს ვერსად მიაგნო.

საღამოს ლევანმა გელაშვილი მოინახულა საავადმყოფოში. მოუყვა დილის ამბავი. გელაშვილს გაეცინა:

— მგონი შენმა ძმაკაცებმა გაგწირეს. მოსკოვიდან მოყოლებული ეჭვი მაგათზე მქონდა, მაგრამ არ ვამბობდი, ხომ არ ვცდები-თქო. მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ მაგათი ნაჩალიჩებია ყველაფერი. უნდა მისცე ეგ ორასი ათასი.

— გაგიუდი, ტო! რატომ უნდა მივცე? — წამოხტა სკამიდან სართელი.

— რატომ უნდა მისცედა ვიცი, ეგ მერაბი ვინც არის, ვერელია. გაუკეთე წამალი და სიგარეტისთვის კაცს მოკლავს. მაგის გადაკიდებას სჯობია, ხურჯინი გადაიკიდო. პატარა შვილები გყავს, რამე არ აუტეხოს.

ზაური ისეთი თავდაჯერებული ლაპარაკობდა, ლევანი თითქმის დარწმუნდა, რომ ფული მართლა გადასახდელი იყო. მაგრამ მაინც არ იშლიდა თავისას:

- არა, ზაურ, მაგას არ გავაკეთებ, ვინ არის მაგათი კაზიოლი.
- გაჩერდი-თქო, ლევან, თუ ძმა ხარ, ორასი ათასის გულისთვის ოჯახს ნუდაღუპავ, — მხარზე ხელიდაადო ზაურმა სართელს, — მაგის მეტი არ დაგვიკარგავს? სამაგიეროდ მიხვდი, ვინ არიან შენი ძმაკაცები.

— ვერ ვიჯერებ და მომკალი. — ხმის კანკალით წარმოთქვა ლევანმა, თვალებზე გაშლილი ხელები აიფარადა იქვე კედელთან ჩაიმუხლა. რამოდენიმე წუთის შემდეგ წამოდგა, გელაშვილს მხარზე ხელი გადახვია, შეხედა ისე, რომ ხმა არ ამოუღია. ასე კარგა ხანს უყურეს ერთმანეთს. ბოლოს სართელი დაემშვიდობა და საავადმყოფოს კიბებზე დაეშვა.

მანქანაში უკანა სავარძელზე დაჯდა, სიმწრისგან თვალზე ცრემლი მოადგა და ფიქრებში ჩაეფლო. მოსკოვის და მოსკოვიდან ჩამოსვლის ყველა ეპიზოდს სხვა თვალით შეხედა და დარწმუნდა, მის გარშემო დალატის წრე იკვრებოდა, ამას აკეთებდა ის ხალხი, რომელთაოვისაც ლევანს ბევრი სასიკეთო საქმე პქონდა გაკეთებული. თავისთვის იკლებდა და მათ აძლევდა. და, აპა, მოიმკა კიდეც. მიიღო სამაგიერო.

- ვაი შენ, ჩემო თავო, — ამოიოხრა ლევანმა.
- ბატონო ლევან! ცუდად ხომ არ ხართ? — მოესმა მძღოლის შეწუხებული ხმა.

— არა, არა, — გამოერკვა ლევანი, — სახლში დროზე მიმიყვანე.

სახლში შესვლა და ტელეფონის ზარის ხმა ერთი იყო. მერაბის ხრინწიანი ხმა რომ გაიგონა სართელმა, კინაღმდ გული აერია.

— ფული დღესვე მჭირდება, ჩემი ძმა! — პირდაპირ საქმეზე გადავიდა მერაბი.

— მერაბ! ახლა შემოვედი სახლში, ხვალ დიღით ჩემთან სამსახურში გადოგცებ თანხას. თანაც იცოდე, ეს ფული ჩემი გადასახდელი არ არის.

— ეს ჩემი საქმე არ არის, უშანგის ჩემი ვალი აქვს და გინდა შენ გადამიხადე და გინდა იმან, ფული დღესვე მინდა. გაიგე, ძმაო!

— თითქმის კივილზე გადავიდა მერაბი.

ლევანი მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევის შედეგად საქმე უფრო გართულდებოდა. თან გელაშვილიდან დაწყებული თითქმის ყველა ახლობელმა ურჩია, ეს უული გადაეხადა და სეფერთელაძეები საბოლოოდ ჩამოეცილებინა. ამიტომ სართელმა მშვიდად უპასუხა:

— სად გადმოგცე და რომელ საათზე? ერთ საათში დამირეკე და მითხარი.

ისე დაახეთქა ლევანმა ყურმილი, რომ მეორე ოთახიდან სოფო გაფითრებული გამოვარდა.

— რა მოხდა, ლევან?

— არაფერი, საწყობში ორასი ათასი დანაკლისი აღმოჩნდა და ვერ იგებენ ვინ წაიღო. — სხარტად უპასუხა ლევანმა, მაგრამ თვალი აარიდა.

სოფომ კარგად იცოდა თავის ქმრის ხასიათი და ქცევები. პასუხის დროს, როდესაც სახეს მალავდა, ეს ნიშნავდა, რომ ტყეილს ამბობდა.

— ფრთხილად იყავი! არაფერში არ გაყო თავი, თორუებ შენს ოჯახს არავინ უპატრონებს.

— კარგი რა, სოფო, ჩემი საქმისა მე ვიცი.

ლევანმა საწყობის ბიჭებს დაურეკა. შეხვდა. ზუსტად ერთ საათში მერაბმა დარეკა. ადგილი დათქვეს. დამის თერთმეტ საათზე გადასცა თანხა და გამობრუნდა. ნერვები დაწყევეტაზე ჰქონდა. მიხვდა, რომ მთელი თავისი ნაცნობობის და ურთიერთობის პერიოდში სეფერთელაძეებს ის მხოლოდ გამოსაყენებლად სჭირდებოდათ. მწარედ გაახსენდა თავისი ძმის სიტყვები: „ეგ შენი კოტეა თუ ვიღაცა, არ მომწონს. თუ დროზე ჩამოსცილდები მაგას, დიდ ტვირთს მოიხსნი“. მაგრამ ლევანი მართლა კახელობდა, ვირზე იჯდა და არ ჩამოდიოდა. აგურ, მოიმკა კიდევ თავისი ნამოქმედარი. ყველაზე რთული კი ის იყო, რომ უამრავი ოპერაცია ჰქონდათ ერთად დაწყებული. ყველაფერი ერთმანეთზე იყო გადაბმული და გადაჯაჭვული, ამიტომ სეფერთელაძეების გათიშვა ამ საქმიდან შეიარაღებულ იმს გამოიწვევდა მათ შორის. საქმისაღმი დიპლომატიური

მიდგომა იყო საჭირო, მაგრამ როგორ? აი, ამ კითხვაზე უჭირდა პასუხის გაცემა.

მთელი ღამე ვერ დაიძინა. დილით ადგა, მბლოლს არ დაელოდა და ოფისში ფეხით წავიდა. რუსთაველის პროსპექტზე მიმავალი, ხალხის სახეებს უკვირდებოდა. ისინი აღარ ჰგავდნენ იმ ხალისიან ადამიანებს, როგორც ეს უწინ ლევანს ეჩვენებოდა. დიდი ხანია ფეხით არ უვლია და ადამიანების ეს სახეცვლილება უცბად მოხვდა თვალში. ნაღვლიანი, სევდიანი გამომეტყველება. უმრავლესობა თავდახრილი მოდიოდა, თითქოს რაღაცას ჩაჰკირკიტებდა. ნაცნობის დანახვაზე ის მხიარული რეაქცია აღარ ჰქონდათ, როგორც ადრე. თითქოს ყველა დაბერებულიყო, დიდი და პატარა, კაცი და ქალი. გარემოც რაღაც ნაცრისფერი იყო. ლევანს ისეთი წარმოდგენა შეექმნა, რომ ქვეყანა სადღაც უფსერულისკენ მიექანებოდა. ქაშვეთის ზარების რეკვამ გამოაფხიზლა. პირჯვარი გადაიწერა და ეკლესიისკენ გასწია. შესვლისთანავე აშკარად იგრძნო, რომ რაღაც ტვირთი მოეხსნა. თვალი მაშინვე დედა ღვთისმშობლის ფრესკისკენ გაექცა, „რა ლამაზი ღვთისმშობელი დაგვიხატა ლადო გუდიაშვილმა. შეხედავთუ არა, როგორი სასოწარკვეთილიც გინდა იყო, მაშინვე გაწყნარებს,“ – გაიფიქრა ლევანმა. იესო ქრისტეს ხატის წინ დადგა და ჩურჩულით „მამაო ჩვენოს“ წაკითხვა დაიწყო.

რამდენიმე სანთელი დაანთო, უფალს და წმინდანებს სამშობლოს და ოჯახის გადარჩენა შესთხოვა, გამოვიდა ეკლესიიდან და სამსახურისაკენ ფეხით გასწია.

ოფისში პირველი მივიდა, ჩაიკეტა კაბინეტში და წინა დღის ფოსტის გარჩევა დაიწყო. ნახევარი საათის შემდეგ კაბინეტში კოტე შემოვიდა.

– სად დადიხარ, ტო? – ჰკითხა ლევანმა ისე, რომ თავი არ აუწევია.

– ახლობელს ავარია მოუვიდა და გუშინ მთელი დღე დასავლეთში ვიყავი. გვიან ჩამოვედი, ასე დამის სამ საათზე, – დაზეპირებულივით ჩამოაყალიბა სეფერთელაძემ.

— მერე ამ დილაადრიან რას მორბოდი სამსახურში, ვერ გამოიძინე?

— რა ვიცი, არ დამეძინა.

— ჰოო, ესე იგი ახალი არაფერი იცი, არა? — ჰკითხა ლევანმა და თან სახეზე მწარე ღიმილმა გადაუარა.

— არა! — გაიკვირვა კოტემ, — მოხდა რამე?

— შენმა ძმამ ორასი ათასი დამაწერა და მეც დავიწერე, იმიტომ, რომ შენი ძმაა, — თქვა ლევანმა მოკლედ და დაწვრილებით მოუყვა გუშინდელი ამბავი.

ლევანი ლაპარაკობდა. თან ბოლთას სცემდა კაბინეტში და მალულად კოტეს რეაქციას აკვირდებოდა. სეფერთელაძე არტისტობდა, მაგრამ ქცევები და მიმიკები ვერ გამოსდიოდა ბუნებრივად, რამაც ლევანი დაარწმუნა, რომ კოტემ ყველაფერი იცოდა.

— შენც კაი ტიპი ხარ. რას აძლევდი, ტო! — შეჰყვირა კოტემ და სკამიდან წამოხტა.

— აბა, რა მექნა? — თვალი თვალში გაუყარა ლევანმა, — ის ვიშიბალა რომ მომიყვანა. იცი, ის ვინ არის?

კოტემ უარის ნიშანდ თავი გაიქნია.

— ვერის საძმოდან არის. ფულის კიარა, უბრალო მიზეზის გამო კაცს კლავს. გადაეცხრილა ჩემი ოჯახი? თუ რა გამეკეთებინა? შენ და შენი ძმა ორივე დაიკარგეთ.

— მე რა შუაში ვარ, ლევან?! — ხელები გაშალა კოტემ, — ჩემს ძმას თავისი ცხოვრება აქვს, მე ჩემი. მე როგორ ჩავერევი მის საქმეში.

— გამოდის, რომ, — გაეცინა ლევანს, — ჩემმა ძმამ, გიორგიმ, შენ რომ მოსაკლავად გაგიმეტოს, მე არაფერი უნდა ვუთხრა? თუმცა ჩემი ძმა ამას არასდოროს გააკეთებს. თან იცოდე, ამ დაკარგული ორასი ათასის დაფარვაში შენი კომერციული ცენტრიც გაიღებს თავის წილს.

— ეგ როგორ, ტო?

— აი ეგრე, ჭრელად.

— მე, ძმაო, არაფრის საქმის კურსში არ ვიყავი და ფული რატომ უნდა გავიღო?! — ანერვიულდა კოტე. ეს უკვე მართლა აღარ მოეწონა.

— მაშინ კიდევ გისვამ კითხვას, - თვალებში შეხედა ლევანმა კოტეს, — მე და შენ მოგებას როგორ ვიყოვთ?

— ორმოცდაათი ორმოცდაათზე.

— აგაშენა ღმერთმა! რადგან მოგებაში ერთად ვართ, წესი ასეთია, წაგებაშიც ერთად უნდა ვიყოთ. ასეა?

— ეგ მასეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საქმე შენ უჩემოდ გადაწყვიტე და მე წილში არ შემოვალ.

— რა, არ გჯერა, რომ შენმა ძმამ როასი ათასი დამაწერა?

— მე კიდევ გეუბნები, რომ ჩემს ძმას თავისი საქმე აქვს, მე კი ჩემი. მე იმის საქმეებში არ ვერვი. გუშინდელ სიტუაციას რომ შევსწრებოდი, მე ფულის გაცემაზე უარს ვიტყოდი, — თქვა კოტემ და კარისკენ წავიდა.

— მოიცა, მოიცა, სად გარბიხარ??!

— საქმე მაქვს რა, ლევან, არ მცალია.

— ყველა საქმე, რომელიც შენ გაბარია, კოტე, ჩემი მოტანილია და მე უფრო ვნერვიულობ მათ ღროულად მოგვარებაზე, ვიდრე შენ. ამიტომ ჯობია, შენ უშანგი მოძებნო და დაელაპარაკო.

— მე კიდევ გიმეორებ, ლევან, უშანგი საქმეებთან არავითარი კავშირი არა მაქვს.

— კარგი, ძმინ წადი, თავისუფალი ხარ და ისე ნუ გააკეთებ, რომ ჩვენი ამდენი ხნის ახლობლობა წყალში გადაყარო.

კოტე ხმამოუღებლად გავიდა კაბინეტიდან.

ლევანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სეფერთელაძეები ასოციაციის ტოტალურ დატერორებაზე გადავიდნენ, ვინაიდან ასე უფრო მოკლე გზით იშოვიდნენ დიდ ფულს.

ლევანმა სიგარეტი გააბოლა, სავარძელში ჩაჯდა და ღრმად ჩაფიქრდა. საფიქრალი მართლაც ბევრი ჰქონდა.

აჩიკო ცარციძემ მოტანილი ორასი ათასიდან ორმოცდაათი ათასი უშანგის გადაუგდო და თან დააყოლა:

— ეგ თქვენ გაინაწილეთ, რომ არ იფიქროთ, აჩიკო ლორიაო.
შენ კიდევ, კოტე, იმ ასოციაციაში თუ ფირმაში რისთვის ხარ?!
იმუშავე, ძმაო, რაც მეტს ავიღებთ, მით მეტი შეგვხვდება.

— მგონი რაღაცას ხვდება ლევანა, — ჩაილაპარაკა კოტემ.

— რასაც უნდა იმას მიხვდეს. ბოლო-ბოლო თავს გავუხვრეტ
და ეგ არის, — დაიწყო კივილი აჩიკომ და ხელი ავტომატს
მოავლო.

სამივემსიცილიდაიწყო. ბოლოს დაემშვიდობნენ ერთმანეთს,
სეფერთელაძეები ჩასხდნენ მანქანაში. უშანგიშ ათი ათასი
ცალკე გადადო მერაბისთვის, ოცი ათასი კოტეს მისცა, ოცი
თვითონ ჩაიდო. ხელები მოიფშვნიტა, საზურგებელ გადაწვა და
კოტეს გადაულაპარაკა:

— წავედით, ძმაო, ეს ერთი და სხვა მრავალი.

კოტემ თავი დაუქნია. გულში მაინც მცირეოდენ სინანულს
გრძნობდა ძმაკაცის გაწირვის გამო, მაგრამ ფულის მოხვეჭის
უინმა და სურვილმა ეს პატარა გრძნობა, რომელიც სინდისის
გამოძახილს ჰვავდა, უცბად ჩაკლა. ჩააგდო მაგნიტოფონში
კასეტა და ძმებმა სიმღერ-სიმღერით გააგრძელეს გზა.

XVII

მომხდარი ამბის შემდეგ სართელი სამსახურში თთქმის
აღარ დადიოდა. ნერვები მუდმივად დაძაბული ჰქონდა, იმის გამო,
რომ საბოლოოდ დარწმუნდა კოტეს დალატში. ამდენი წლის
ურთიერთობაილახებოდა. ამურთიერთობის უკანნათელმირონობა,
ოჯახები და უამრავი საერთო ნაცნობი იდგა. ერთი ხელის მოსმით
ყველაფრის მიტოვება ძალიან მტკივნეული იყო.

ლევანის დღის რეჟიმი ასეთი იყო: დილით ტელეფონით
უკავშირდებოდა ხოლმე თავის მდივანს, თუ რაიმე დოკუმენტი
იყო ხელმოსაწერი, სახლში გამოაგზავნინებდა, გადახედავდა,
ხელს მოაწერდა, ასოციაციის ამბებს იკითხავდა, მერე
დაჯდებოდა მანქანაში და საავადმყოფოდან გამოსული

გელაშვილის სანახავად მიდიოდა. ზაური უპპე სახლში იყო და ექიმმა ოთახებში სიარულის უფლებაც მისცა. გელაშვილთან ორი-სამი საათი ჩერდებოდა. ათას რამეზე საუბრობდნენ. შემდეგ ისევ სახლში მიდიოდა, პრესას კითხულობდა და ტელევიზორს უყურებდა. ერთხელაც სახლში რომ მობრუნდა, მეუღლემ ცუდი ამბავი დაახვედრა, სოფლიდან დარეკეს, თქვენი სახლი გატეხეს და ჩამოხედეთ.

რაც მამა გარდაეცვალა, მას მერელევანი სახლს დაკეტილს ტოვებდა მეზობლების ანაბარა. მეზობლები ყურადღებას კი აქცევდნენ, მაგრამ დამე ქურდს ლევანის გულისთვის თავს არ შეაკლავდნენ.

თითქმის მოხსნილი ნერვიული სტრესები სართელს კვლავ განუახლდა. სიმწრისგან ტვინში სისხლი მოაწვა. სასწრაფოდ მძღოლი გამოიძახა და ოჯახთან ერთად სოფელში წავიდა.

ქურდები სახლში ბაღის მხრიდან იყვნენ შესულები. ყველა ოთახის მინა ჩალეჭილი იყო, საძინებლის კარადები – დამტკრეული. თითქმის ყველაფერი, კოვზიდან დაწყებული ბავშვის სათამაშოებით დამთავრებული, წაეღოთ. მაცივარი, ტელევიზორი, საწოლები ვერ წაეღოთ, ეტყობა სიღიდის და სიმძიმის გამო.

ეზოში ლევანის ძმა შემოვიდა.

– ბევრი რამეა წაღებული? – იკითხა შორიდანვე.

– თითქმის ყველაფერი, კოვზები და ჩანგლებიც კი, – გადმოსძახა ლევანმა.

გიორგიმ ყველაფერი ძირის-ძირამდე დაათვალიერა. მას მახვილი, დაკვირვებული თვალი ჰქონდა. მაშინვე დაინახა ბავშვის პატარა სათამაშო, რომელიც მეზობლის ღობესთან ეგდო. აშკარად ჩანდა, ქურდები იქიდან იყვნენ გადმოსულები.

– ძირფესვიანად არის ყველაფერი ნაქექი, – თქვა გიორგიმ,
– როგორც ჩანს, მთელი ღამე უმუშავიათ. ეს მეზობლებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ, მაგრამ რატომდაც არაფერს ამბობენ.

— სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, ხომ გაგიგია? — დაასკვნა ლევანმა, — შენ ეგა თქვი, აწი რა ვქნათ, ეგენი რაც დარჩა იმის წასაღებადაც მოვლენა.

— რა ვქნათ, ლევან, და... სხვა გზა არ არის, ყოველდღიურად დაგხედავ ხოლმე. ამაღამ აქ არავინ აღარ მოვა, წავიდეთ ჩემთან, ცოტა დავისვენოთ, ცოტაც დავლიოთ და ნელ-ნელა ნერვებიც დავიწყიაროთ.

იმ ღამეს ლევანმა ცოტა დალია, მაგრამ ისე დათვრა, რომ მეორე დღეს შუადღისით ძლივს გაიღვიძა.

პარტიის თავმჯდომარემ კაცი გამოუგზავნა ლევანს, სასწრაფოდ ჩამოდიო. არჩევნებამდე ერთი კვირა რჩებოდა. იცოდა სართელმა, რომ სადღელამისო სამუშაო ელოდა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო. აითრია, როგორც იქნა, წელი და თბილისის გზას დაადგა.

პარტიის შტაბ-ბინაში დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. ლევანი უყურებდა ადამიანებს, რომლებიც აქეთ-იქით სიარულის მეტს არავერს აკეთებდნენ და უკვირდა, ამდენ სკამის მაძიებელს სად დაიტევდა ქვეყანა. ამ პატარა პარტიაში სკამის იმდენი მაძიებელი იყო და დიდ პარტიებში რა იქნებოდა. ამ ხალხიდან ერთი-ორი იქნებოდა საქართველოს გულშემატკივარი, დანარჩენი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა. დადიოდნენ გაზუნთული ტანსაცმლით, წვერგაუპარსავები, ზოგი წამალზე „იჯდა“. მათ შემხედვარეს გული აგერეოდა. ესენი აქ სკამებისთვის დარბონენ და აფხაზეთში კი მართლა ბევრი ვაჟკაცი უშვერდა ტყვიას შებლს. აშკარად ეტყობოდა ნაძირალას ნაძირლობა. ბევრი ეს სახე რამდენიმე წლის შემდეგ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოექცეოდა. წვერსაც გაიპარსავდა, საუკეთესო ტანსაცმელსაც ჩაიცვამდა, მაგრამ იმ სიბინძურეს, რაც სულში ედო, არ ჩამორეცხავდა, რაღვენ მისი ჩამორეცხვა არ დაჭირდებოდა.

უძილო ღამეებისა და დიდი ფულის დახარჯვის შემდეგ ათას ცხრას ოთხმოცდათორმეტი წლის თერთმეტი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა ტაშ-ფანდურის ქვეშ ჩაიარა და

ყველა პარტიას ქვეყნის პარლამენტში ერგო იმდენი ადგილი, რაც სახელმწიფოს მეთაურთან წინასწარ იყო შეთანხმებული.

საქართველოს ისტორიაში დასაბამი მიეცა ახალ მიმდინარეობას, რომელსაც სახელად პარლამენტარიზმი ერქვა და, რომელსაც სახელმწიფოს მეთაურთან ერთად, მათივე თქმით, ორი ათას წლამდე საქართველო უნდა აეყვავებინა.

XVIII

არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ, როდესაც გამოცხადდა ოფიციალური შედეგები, ლევანს დაევალა, რომ რამდენიმე პარტიის პარლამენტარისათვის გაემართა ბანკეტი. ლევანმა ორმოცდაათ კაცზე ბეთანიაში ისეთი პურ-მარილი გააწყობინა, „ჩიტის რძეც“ არ აკლდა. ბანკეტს სხვა პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. მასზე მოწვეული იყვნენ ქეთევან ბაგრატიონი და მისი მეუღლე, პრინცი ორსინი.

როდესაც სტუმრები სუფრას მიუსხდნენ, რატომდაც ქეთევანის და მისი მეუღლის წინ არავინ დაჯდა, ალბათ, არ სურდათ პურ-მარილის დროს ზედმეტი შეზღუდვები. ლევანმა ეს „თავისუფალი“ ადგილი დიდი სიამოვნებით შეავსო და საპატიო სტუმრების მომსახურების მისიაც თვითონ იკისრა

— ბატონო ლევან, ძალიან განვიცდი, რომ ასე წუხდებით ჩვენთვის, — დამტკრეული ქართულით წარმოთქვა ქეთევანმა.

— რას ბრძანებოთ, ქალბატონო ქეთევან! ჩემი წინაპრები საუკუნების განმავლობაში ემსახურებოდნენ მეფეებს. მე ამის საშუალება მომეცა ორი საუკუნის შემდეგ და ამ შანსს გავუშვებ ხელიდან?! — ამაყად თქვა სართელმა და ქეთევანს ბოკალი შამპანიურით შეუვსო, ხოლო პრინცს, მისივე თხოვნით, მანავის მწვანე დაუსხა.

პრინცი ორსინი რომის პაპის შთამომავალი გახლდათ. ძალიან წარმოსადეგი, არისტოკრატიული შეხედულების მამაკაცი

იყო. ცოტა-ცოტას და ჩქარ-ჩქარა სვამდა. როდესაც ლევანმა ხაშლამით სავსე თევზი გაუწოდა ხორცის გადასაღებად, პრინცს სახე შეეცვალა, მაგრამ ქეთევანმა გაფანტა უხერხულობა:

— ბატონო ლევან, ჩემი მეუღლე ვეგეტარიანელია და ამიტომ ხორცს ვერ გეახლებათ. ბოდიშს ვიხდით.

„ამხელა კაცი და ვეგეტარიანელი?“ — გაიფიქრა გაკვირვებულმა ლევანმა, — „ხედავ შენ, რას შვრება კომბოსტო და სტაფილო!“

საუბარი ნელ-ნელა იუმორში გადაიზარდა. ერთი საათის შემდეგ ისე შინაურულად საუბრობდნენ მეუე და გლეხი, გეგონებოდათ, ერთად გაზრდილები არიანო. ქეთევანმა კვლავ აღუთქა დახმარება ლევანის ასოციაციას საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში. დაპირდა, რომ ახალი წლიდან დაკავშირებდა განვითარებული ქვეყნების საქმიან წრებითან და ქვეყნისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებინებდა.

პურ-მარილმა მაღალ მამულიშვილურ დონეზე ჩაიარა. ისეთი სადღეგრძელოები ისმებოდა, იფიქრებდი, აქედან გასულს საქართველო გაბრწყინებული დაგხვდებოდა. ყველა ულევ პატრიოტიზმს ამჟღავნებდა, მამულის ზედმეტი სიყვარულისგან ტიროლენენ კიდეც, მაგრამ გულში ვის რა ედო, ეს მხოლოდ უფალმა იცოდა.

ლევანი სახლში გვიან მიგიდა. მეუღლეს არ ეძინა.

— გენოდ დარეკა ბერლინიდან, არ დაიძინოს, ნახევარ საათში დავრეკავო, — უთხრა სოფომ ლევანს, ბოდიში მოუხადა და საძინებელში შევიდა.

ათ წუთში ტელეფონიც აწკრიალდა.

— ჰო, გენო, პრივეტ! რას შვრები, ტო?

— სასწრაფოდ ჩადი კიევში, სასტუმრო ჩემთვისაც დაბრონე, მე ორ-სამ დღეში მანდ ვიქნები. დარჩენილი საქონელი სასწრაფოდ უნდა წავილოთ, თორებ გერმანელებმა შეიძლება კონტრაქტი გაგვიწყვიტონ აფხაზეთში დაწყებული ომის გამო. ხვალვე თუ გადაფრინდები, კარგს იზამ. კიევში რომ ჩამოვალ, დანარჩენს იქ მოგიყვები ... დავაი, მეტი დრო არა მაქვს.

ლევანი უცბად გამოფხიზლდა. აღარ იცოდა, რომელი საქმე გაეკეთებინა. ზაური ავად იყო და ვერ მიხედავდა აქაურ საქმეებს. კოტეს, ჯერ ერთი, არაფერს აღარ დაავალებდა, გინდაც დაევალებინა, ის მხოლოდ სათავისოდ იმუშავებდა. კიევში სხვა გაეგზავნა, ამ საქმის გამკეთებელი ასოციაციაში არავინ ეგულებოდა. მთელი დამე სიგარეტის მოწევასა და ფიქრებში გაატარა. მხოლოდ გამთენისას ჩათვლიმა.

სართელსერთ საათშიგაელვიძა. სასწრაფოდ წამოდგა, წვერი გაიპარსა. წვერის გაპარსვა ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული. ქვეყანა რომ დაქცეულიყო, სახლიდან წვერგაუპარსავი არ გავიდოდა. და თუ ეს მოხდებოდა, მთელი დღე ცუდ ხასიათზე იყო და ეგონა, რომ პირდაუბანელი დადიოდა. ჩაიცვა. ცოლ-შვილს, რომელთაც ისევ ეძინათ, აკოცა, ტაქსი გააჩერა და გელაშვილის სახლისკენ აიღო გეზი.

— რა არის, კაცო, ხაში ხომ არ მაქვს, ამ დილაადრიან რომ დამადექი?!?

— ისე კი ვარ პახმელიაზე, მაგრამ ხაშისთვის ნაღდად არ მცალია.

— რა მოხდა, აღარ იტყვი? — შეიპატიჟა ზაურმა სახლში და თან პასუხის მოლოდინში ინტერესით შეხედა.

ლევანმა ყველაფერი აუხსნა და ისიც უთხრა, რომ სასწრაფოდ უნდა წასულიყო კიევში.

— ზაურ, ასოციაციაში ვერარავის ვერ ვენდობი, თუ შენ შეგიძლია სახლიდან უხელმძღვანელო საქმიანობას, იმ შემთხვევაში მე წავალ, თუ არა და გამოსავალის მოძებნაში უნდა დამეხმარო.

— შენ წადი, — უპასუხა ზაურმა ისე, რომ არც დაფიქრებულა, — აქ მე მივხედავ ყველაფერს. რაც ძირითადი იყო, არჩევნები, მოგვარებულია და სხვა ისეთი სასწრაფო ასოციაციაში გასაკეთებელი არ არის. ასე, სამ დღეში გავალ სამსახურში, მანამდე თუ რამე იქნება ხელმოსაწერი, სახლში მომიტანონ. წადი, შენ გაემზადე მივლინებისთვის და დღეს თუ არა ხვალ გადაფრინდი.

ლევანმა მძღოლი გამოიძახა და ასოციაციის ოფისში გაემგზავრა. მისვლისთანავე მდივანს დავალება მისცა, მივლინების საბუთები გაემზადებინა. აეროპორტში დარეკა. რეისი მეორე დღისთვის იყო დაგეგმილი. ასე რომ, მშვიდად შეიძლებოდა მომზადება. ლევანი მივლინების საბუთებს ათვალიერებდა. მოულოდნელად შიდა ტელეფონმა დარეკა. პარტიის თაგმჯდომარე თავისთან სთხოვდა. ლევანი შევიდა თაგმჯდომარის კაბინეტში, მიესალმა ყველას და იქვე ჩამოჯდა.

— გავიგე, კიევში მიდიხარ, — უთხრა თაგმჯდომარემ.

ლევანს გაუკვირდა, ასე უცბად როგორ მიურბენინეს ამბავიო. თანხმობის ნიშნად თავი დაუქწია:

— რით შემიძლია გემსახუროთ?

— ჩვენი პარტიის ორ წევრს უნდა წამოსვლა. ჩვენს უკრაინელ კოლეგებთან პოლიტიკური კონსულტაციები გვაქვს გასამართი და, თუ თქვენი ასოციაცია აქაც დახმარების ხელს გამოგვიწვდის, არც ჩვენ დავრჩებით ვალში, — მშვიდად წარმოთქვა ეს სიტყვები პარტიის თაგმჯდომარემ და ლევანს შეხედა.

— მზად ვართ, დაგეხმაროთ, ბატონო ჩემო, — სწრაფად უპასუხა ლევანმა, — მხოლოდ ამ ორი კაცის გვარი დამიწერეთ, რომ ბილეთები და სასტუმრო დავჯავშნო.

— ლაშა გელბაზიანი და გელა ჩიხრაძე.

— კი, ბატონო.

გვარები ჩაიწერა სართელმა და თავის კაბინეტისკენ წავიდა. ლევანი ჩაჯდა სავარმელში და ფიქრებში წავიდა:

„გელბაზიანი, ჩიხრაძე. ორივე სეფერთელაძეების და ცარციძის ხალხია. რა უნდათ კიევში? უკვე კუდში დამდევენ. რას ვაკეთებ? სად მივდივარ? მალე, ალბათ, ტუალეტში გამომყვებიან. უარი რომ ვთქვა, მაშინ თაგმჯდომარეს უნდა ავუხსნა მიზეზი. ის არ დაიჯერებს და ცილისმწმებლის სახელი დამერქევა“.

ზაურ გელაშვილს დაურეკა. აუხსნა ყველაფერი. ზაურმაც არ ურჩია საქმის გართულება. პირიქით, გაიხუმრა, — „ცოტას გაგართობენ“.

ლევანმა დაჯავშნა ბილეთებიც და სასტუმროც. შემდეგ მდივანი გამოიძახა და ჰკითხა:

— მივლინების საბუთებს რომ ბეჭდავდი, ვინმემ ნახა?

— დიახ, ბატონო ლევან, კოტე სეფერთელაძე კითხულობდა, როდესაც ვბეჭდავდი და, საერთოდ, როდესაც საბეჭდი მანქანის ხმას გაიგებს, მოდის და მეკითხება, რას ბეჭდავო.

— ჰო, კარგი, კარგი, — ღიმილით მიუგო სართელმა, — უბრალოდ, ბავშვობიდანვე ცნობისმოყვარეობით არის დაავადებული.

მები, როგორც ჩანს, ლევანის გარშემო ყველაფერს აკონტროლებდნენ. სართელი ხანდახან ფიქრობდა, მიეტოვებინა ყველაფერი, მაგრამ ამდენი სახელშეკრულებო ურთიერთობისთვის რა ექნა. როგორც ადგილობრივ, ისე საგარეო ბაზარზე თორმეტი ხელშეკრულება მოქმედებდა. ლევანის საქმიდან გასვლა, ან ამ საქმების სხვა ფორმაში გადატანა, არეულ-დარეულობას გამოიწვევდა. ეს ყველაფერი საქმის გაფუჭებასთან ერთად, ლევან სართელის იმიჯს შელახვდა. ამიტომ ცდილობდა სართელი, რაღაც სხვა მოეფიქრებინა. ბოლოს გადაწყვიტა, გენო ჭანკვეტაძესთან კონსულტაციების შემდეგ მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება.

საღამოს, ლევანი რომ სამივლინებო ბარგს ალაგებდა, კოტე და უშანგი სეფერთელაძეები აჩიკო ცარციმესთან ბინაში საგარმლებზე მოკალათებულიყვნენ და მომხდარი მოვლენების შესახებ ანგარიშს აბარებდნენ შეფს.

— ლაშა და გელა მიპყვებიან კიევში ლევანას, — წყნარად ლაპარაკობდა კოტე, - ყველა ნაბიჯს გაუზომავენ და დაუთვლიან, თუ ჭკვიანად არ იქნება, შეიძლება წაარტყან კიდეც.

— კი, მაგრამ რა პრიჩინით გააყოლეთ, ტო? — იკითხა აჩიკომ, — სად პოლიტიკა და სად ტანსაცმელი?

— ვითომ ადგილობრივი კოლეგა-პოლიტიკოსების ნახვა
სურდათ და იდეების ურთიერთგაცვლა, — ჩაიხითხითა უშანგიმ.

— კარგად მოგიფიქრებიათ, — მოუწონა აზრი აჩიკომ, — იქ რა
უნდა გააკეთონ რო?

— ჩვენ ჩამოტანილი საქონლის არც რაოდენობა ვიცით, არც
ფასები, — გააგრძელა საუბარი კოტემ, — ლაშა და გელა ამას
ყველაფერს დაადგენენ, მერე ლევანა თუ რამეში მოგვატყუებს,
საქმეს გავურჩევთ და დავაჯარიმებთ.

აჩიკოს ისეთი ხარხარი აუტყდა, კინაღამ სავარძლიდან
ამოვარდა. მმებმაც მხარი აუბეს. ეს რა კარგი რამე
მოგიფიქრებია, აჩიკოს როგორ ესიმოვნაო. აჩიკო უცებ
შეჩერდა, სერიოზული სახე მიიღო და ჩვეული ხრინწიანი
კივილით განაგრძო:

— თქვე იდიოტებო! დეგენერატებო! ლევანა ეგეთი სულელი
ნახეთ, რომ ამ თქვენზე უარეს კრეტინებს კარტი გაუხსნას?
ბიჭო, რამეს რომ აკეთებთ, ჯერ მკითხეთ რა. მაგ საქმიდნ არ
ვიცი თქვენ რამდენს ელოდებით, მაგრამ მე ხუთი ათას დოლარს
მომიტანთ.

— მაიცა, აჩიკო, რომ არ გამოვიდეს? — შიშნარევი ხმით
ამოლერდა უშანგიმ.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, უშანგი! გინდა გამოიყვანე, გინდა
არა, მე ჩემსას მომიტან.

მმები იმ ღამეს გლდანიდან ისევ გულჩათხობილები
წამოვიდნენ.

XIX

კიევის რეისი უამინდობის გამო რამდენჯერმე გადაიდო. ბოლოს შედგა და ოვითმფრინავი კიევის „ბორისპოლის“ აეროპორტში შუალამისას დაჯდა.

მიუხედავად იმისა, რომ ღამის სამის ნახევარი იყო, ფირმა „დინამო-ატლანტიკის“ აღმინისტრატორი სტუმრებს აეროპორტში დახვდა. ასეთი ეტიკეტები საბჭოთა კავშირის სავაჭრო სისტემაში მომუშავე ლევანისთვის უცხო იყო, მაგრამ სართელი პარტნიორობის ევროპულ სტანდარტებსაც იცნობდა და ამიტომ არ გაჰქიმირვებია მასპინძლების ასეთი კეთილშობილური ქცევები. ლევანმა ფირმის აღმინისტრატორს ყურადღებისათვის მადლობა გადაუხადა, გელასთან და ლაშასთან ერთად „მერსედესის“ უკანა სავარძელზე მოთავსდა და ფირმის აღმინისტრატორს საუბარი გაუბა. ვინაიდან „ბორისპოლის“ აეროპორტი კიევიდან შორს არ არის, მანძილი უცბად გაიარეს და ინტურისტ „რუსს“ მიადგნენ. ინტურისტი კიევის „დინამოს“ კომპლექსის ტერიტორიაზე იყო განლაგებული და საკმაოდ დიდი და კომფორტული სასტუმრო გახლდათ. ფირმის აღმინისტრატორმა ყველა ფორმალური საკითხი სტუმრებთან ერთად მოაგვარა, მიაცილა ნომრებამდე, ძილი ნებისა უსურვა და წავიდა.

— გაც! ხედავ, ლაშა, როგორ დაგვხვდნენ? — ჩაილაპარაკა თავისთვის გელამ და თან გასაღებით ნომრის კარი გააღო. მერე ჩანთა საწოლზე მოისროლა და განაგრძო, — ესე, ტო, მამაჩემი არ დამხვედრია, ჯარიდან რომ ჩამოვედი.

— ეტყობა, ლევანს დამსახურება აქვს მათ მიმართ და ისინიც არ აკლებენ პატივისცემას, — თქვა ლაშამ და ლევანს შეხედა.

— არავითარი დამსახურება, ბიჭებო, — სხარტად უპასუხა ლევანმა და თან ჰალსტუხი შეიხსნა, — ეს ცივილიზებული ბიზნესის ეტიკეტის ერთ-ერთი საფეხურია, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში დიდი ხანია მიღებულია, ჩვენ კი ახლა ვსწავლობთ.

— კაცო, შენ გამაგიუებ, — თავისას არ იშლიდა გელა, — ამ საქონელზე ხალხი თავპირს იმტვრევდა, რომ ეყიდათ, შენც ხვალ მიხვალ და ხვეწნას დაუწყებ, რომ დროულად მოგცენ საქონელი. ესე იგი, უნდა ეხვეწო. ელემნტარულია, კაცი შესახვეწად ჩამოხვედი და ვისთანაც ჩამოხვედი, აეროპორტში გხვდება შუაღამისას მერსედესით და თან სასტუმროში გაწყობს. პროსტო, ლევან, ერთმანეთში არა ჯდება, რა.

სართელს გაეღიმა. ამათთან კამათს და ახსნა-განმარტებას აზრი არ ჰქონდა. ლევანი უკვე დარწმუნდა, რომ ლაშა და გელა გამოყოლეს კონტროლისათვის. ისინი ჩამოსვლისთანავე მიზეზებს ეძებდნენ. ამიტომ სიტუაცია არ დაძაბა და ღიმილით უთხრა ბიჭებს:

— კარგით, დანარჩენზე ხვალ ვიღაპარაკოთ, ახლა კი დამე მშვიდობისა. ხვალ მე გაგაღვიძებთ.

— მაიცა, ტო! — გაკვირვებულმა მიმოიხედა გელამ, შენ რა, აქ არ იძინებ? თუმცა, როგორ დაიძინებ მარტო ორი საწოლია. სამიანი აგელო, რა?!

— ამ ინტურისტში სამადგილიანი ნომრები არ არის, გელა, — აუსნა ლევანმა, — არის ერთადგილიანი და ორიანი. ამიტომ მე ორი ნომრით იქით ვიცხოვრებ.

— ჰო, კარგი, ლევან, დავაი დავისვენოთ, — დაწყნარდა გელა და სართელი გააცილა.

— ნახე, ტო, რა გააკეთა?! — არ იშლიდა თავისას გელა, — თავიდანვე მოგვტეხა.

— აუ, შენ ვინა ხარ, ტო? — გაეცინა ლაშას, — აუცილებელია, შენთან იყოს ნომერში?

— კანებნა. ტელეფონზე ბაზარი უნდა უკონტროლო.

— მაიცა რა, საბუთები და საქონელი აქ არ არის, — არ იშლიდა თავისას ლაშა.

— საბუთები და ტავარი არა? — ხელები გაშალა გელამ, — ძალიან გესმის ვაჭრობა. ესენი, ბიჭო, ძველი შუპები არიან, ისე გაგაცურებენ, ვერ გაიგებ.

— ჰო, კარგი, კარგი, დავიძინოთ.

ლევანი შევიდა თავის ნომერში. პალტო და პიჯაკი გაიხადა, წამოწვა საწოლზე და ფიქრებს მიეცა:

„ისევ კუდები. დაუმტკიცე ახლა შენ ამ დეგენერატებს, რომ არაფერს არ იპარავ. გაგებაში არ არიან. ესენი ტვინს შემიჭამენ. ესე იგი კოტეს ერთი სული აქვს, გაიგოს, რა ხდება აქ. წამოიყვანდა კაცი და თავისი თვალით ანახებდა, რომ არავინ არაფერს არ იპარავს აქ, მაგრამ რად გინდა? წამოათრევდა თავის შავად გადაკრასკულ ძმას, ის რაღაცას მოიპარავდა ფირმაში და ყველაფერი დამბრალდებოდა მე. გენო დროზე მაინც ჩამოვიდეს, ერთად რაღაცას მოვიფიქრებთ“.

ლევანს ისე ჩაეძინა, ვერც გაიგო. როგორც ინათა, მაშინვე გაეღვიძა. ალბათ, ორიოდე საათი თუ ეძინა. ადგა, ფანჯრიდან გაიხედა და გაუხარდა, მისი ნომრიდან კიევის „დინამის“ სტადიონი ხელისგულივით მოჩანდა.

— აქედან ფეხბურთსაც უყურებს კაცი, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

სარბენ ბილიკებზე ხალხი ვარჯიშობდა. გაახსენდა ახალგაზრდობა. კარგი იყო სპორტი. კიევში და კიევის ოლქში ხშირად ჩამოდიოდა სპორტულ შეკრებებზე და შეჯიბრებებზე. შეუდარებელი იყო ის დრო. სპორტულ ბაზებზე საბჭოთა კავშირის და ევროპის სოციალისტური ქავენების ლამაზი და ჯანმრთელი ახალგაზრდობა იკრიბებოდა. ჯანმრთელ ადამიანში კი, როგორც იტყვიან, ჯანმრთელი სული ტრიალებს. იყო ვარჯიშები, შეჯიბრებები, სიყვარული და კიდევ ბევრი რამ, რაც დღევანდელ ახალგაზრდობას ძალზე აკლდა.

ლევანმა შხაპი მიიღო, მოწესრიგდა. საათს დახედა. უკვე ცხრა იყო. სპორტული პიუსმოები ჩაიცვა და წავიდა ბიჭების გასაღვიძებლად. ხუთი წუთი მაინც აკაკუნა კარზე. არავინ გააღო. შემდეგ ტელეფონით დაურეკა და, როგორც იქნა, გააღვიძა.

— აუუ, ლევან, რომელი საათია, ტო, რომ გვაღვიძებ? — საყვედურით უთხრა ლაშამ.

- ათი დაიწყო.
- ცოტას დავიძინებთ კიდევ და მერე წავიდეთ.
- თერთმეტამდე ძირითად ოფისში უნდა მივიდეთ, — აუხსნა ლევანმა დღის წესრიგი, — თუ თქვენ ძილი გინდათ, მაშინ იძინეთ და მე წავალ მარტო.
- ვერ გავიგე. ეს რა ბრძანებაა? — ნაწყენი კილოთი დაიწყო ლაპარაკი ლაშაძ.
- ლაშა, შენი ჭირიმე, მე ბრძანებებს არ ვიძლევი. მით უმეტეს, თქვენი მისამართით, ამის უფლება მე არ მაქვს. აქ ჩამოვედი სამუშაოდ. საქმე კი იწყება დილიდან. გარობა და დროსტარება საღამოთი ვიცი. სხვათა შორის, კარგად რომ გამომდის დროსტარება და ქეიფი, მაგაშიც დარწმუნდებით. ახლა კი კეთილი ინგებთ და თხუთმეტ წუთში მზად იყავით, — მოკლედ მოჭრა ლევანმა და ყურმილი დაკიდა.
- სხვა გზა არ არის, — თავისთვის ლაპარაკობდა ლევანი,
- ამათ თუ ასე არ მოექცი, თავზე დამასხდებიან. ამათ უნდა გავაგებინო, რა არის მუშაობა. უნდა გაიგონ, რომ ფული ჰაერზე არ იშოვება.
- სასტუმროს ნომრის ღირებულებაში დილის საუზმეც შედიოდა. ლევანმა ჯერ კიდევ გამოუფხაზლებელი ლაშა და გელა რესტორანში შეიყვანა, ისაუზმეს, შემდეგ ჩასხა ტაქსიში და სამივენი ფირმის ძირითად ოფისში წაგიდნენ. ტაქსი ოფისთან გაჩერდა, ლევანმა უკან მოიხედა, რომ ბიჭებისათვის ეთქვა ჩავიდეთო და გაშეშდა. ლაშას და გელას თავი ერთმანეთზე მიედოთ და ისე ტკბილად ეძინათ, რომ ცოდვა იყო მათი გაღვიძება. „ასე უნდა ვათრიო ესენი წინ და უკან. რა დავაშავე“, — გაიფიქრა ლევანმა, გააღვიძა ბიჭები და ტაქსი გაუშვა. ლაშა და გელა იდგნენ ტროტუარზე და ვერ გაეგოთ, საით უნდა წასულიყვნენ.
- ბიჭებო, ცოტა გამოუფხაზლდით, სირცხვილია, ფირმის პრეზიდენტს უნდა შეგხვდეთ, — გააფრთხილა ლევანმა ორივე, — თუ არ შეგიძლიათ, მაშინ მე მარტო შევალ.
- არა, არა, ჩვენც მოვდივართ.
- სხვა რა გზა ჰქონდათ, ამისთვის იყენე წამოსულები

ლევანმა ფირმის პრეზიდენტს, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის, კრავჩუკის, ახლობელი იყო, დიდი მადლობა გადაუხადა მისი და ასოციაცია „ლაშარის“ მიმართ გაწეული დახმარებისათვის. მან აღნიშნა, რომ ფირმა „დინამო-ატლანტიკი“ ასოციაცია „ლაშარის“ ერთ-ერთი ძლიერი პარტნიორია „აბრეშუმის გზის“ და მისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების საქმეში. ამიტომ ქართული მხარე დიდ იმედს ამყარებდა მათზე.

ფირმა „დინამო-ატლანტიკის“ პრეზიდენტმა, თავის მხრივ, ასოციაცია „ლაშარის“ და, განსაკუთრებით, მის ვიცე პრეზიდენტს, ლევან სართელს, დიდი მადლობა გადაუხადა თანხების დროულად გადმორიცხვის თაობაზე, ამასთან, ჰკითხა, სასტუმროსთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა ხომ არ ჰქონდა, გამოთქვა დიდი სურვილი ერთობლივი საქმიანობის გაგრძელებისა და სამრეწველო საქონლის შერჩევის მიზნით, სოხოვა, რომ მოლაპარაკება გაეგრძელებინა ფირმის კომერციული ცენტრის დირექტორთან. გამოიძახა ცენტრის დირექტორი და დაავალა, რომ დაწყოთ მუშაობა საქართველოს მხარესთან. პრეზიდენტმა სტუმრებს ბოდიში მოუხადა და დაემშვიდობა.

ლევანმა და კომერციული ცენტრის დირექტორმა მოილაპარაკეს, რომ საქონლის შერჩევა მეორე დღეს დილით დაეწყოთ. ასორტიმენტი იმდენად დიდი იყო, რომ ერთი დღე და დასვენებული გონიერი სჭირდებოდა.

— წავიდეთ, ბიჭებო! — გასძახა ლევანმა თავის „გუნდს“, — წამოდით, კრეშატიკზე გავისეინოთ და მერე კარგად წავიქეიფოთ. აღვნიშნოთ კიევში ჩვენი ჩამოსვლა.

— ლევან, მაიცა, ტო! — ხელი მოკიდა გელაშ სართელს, — ამ დილადრიან იმისთვის წამოგვყარე, რომ მოგვესმინა შენ და ის უკრაინელი მადლობებს როგორ უხდიდით ერთმანეთს?

— ჯერ ერთი, ეს უკრაინელი არ არის, ებრაელია. მერე მეორე, მე ვიცავ ყველა იმ ეტიკეტს, რომელიც საქმის დაწყებას სჭირდება. გაიგე, ძმაო?

— ვერაფერიც ვერ გავიგე, — ბურდღუნებდა გელა და უკან
მისდევდა ლევანს.

— მაშინ სხვანაირად აგიხსნი, — თქვა ლევანმა და შეჩერდა,
— თქვენ, პოლიტიკოსები, რაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო,
სულ ერთსა და იმავეს გაიძახით, საქართველოს გაუმარჯოს! ამ
„გაუმარჯოს“ ძახილით, ჯერჯერობით, ნგრევის მეტი არაფერი
გაგიკეთებიათ.

— არა, ბიჭო, და გამსახურდიას გაგულავებდით
საქართველოში, — ჩაერთო საუბარში ლაშა.

— გამსახურდიას ხალხმაც მარტო ჭამა და ნგრევა იცოდა და
თქვენც გეხოთები ხართ, — ორივე მხარეს გამოუტანა განაჩენი
ლევანმა, — პოლდა, ჩემო ბატონო, ეს დანგრეული ვინძებ ხომ
უნდა ააშენოს. აი, ის ხალხი ვართ სწორედ ჩვენ, ვისაც ქვეწის
აშენება განუზრახავს, ანუ დღეს „ბიზნესმენებს“ რომ ეძახიან.
ჩვენ საქმიანობის განხორციელების ჩვენებური კულტურა
გვაქვს. შენს პარტნიორთან ძალიან თავაზიანი დამოკიდებულება
უნდა გქონდეს, რადგან ის გჭირდება, იმას სჭირდები, რომ
ორივეს საქმე გაკეთდეს და მოგება ვნახოთ. ხომ გაგიგია, „ხელი
ხელს ბანს, ორივე კიდევ პირსაო“.

— რად უნდა ეგრე შორიდან მოვლა, — არ თმობდა
პოზიციებს გელა, — მოგცეს დროზე საქონელი. შენ შენთვის, ის
თავისთვის.

— ეეჲ! ეგრე არ არის, ძმაო, — აჯიჯლინდა ლევანი, — იმ „ქეთო
და კოტესი“ არ იყოს, „იყიდე, გაყიდე, რა ქარვასლაა“. მე ეს
ფირმა ხვალაც მჭირდება და ამიტომ მასთან ცივილიზებული
ქვეწების წესებით უნდა ვიმუშაო.

ამ საუბარ-საუბარში ბიჭები კრეშატიკზე, ანუ მარტო
კიევის კი არა, მთელი უკრაინის ცენტრალურ პროსპექტზე
გამოვიდნენ.

— აი, ამათი „რუსთაველის პროსპექტი“! — თქვა ლევანმა და
სიგარეტი გააბოლა.

— ჰო! ჰო! რა გოგოები არიან! — წამოიყვირა აღტაცებისგან ლაშამ და ხელები თავზე შემოიწყო.

— აბა, კიდევ გეძინება, ლაშა? — გაეცინა ლევანს.

— რა დამაძინებს, ლევან, ვიბრიდები. რამდენი არიან, თან რა ლამაზები, ტო!

— ჯერ ორი საათია, სუპერ ლამაზმანები ახლა იღვიძებენ და ცოტა მოგვიანებით ნახავ, აქ რა ვარსკვლავთცვენა იქნება, — ცეცხლზე ნავთი დაასხა ლევანმა.

ლაშა ახალგაზრდა კაცი იყო, სისხლი სხვებზე მეტად უდუღდა. თან უცხო ქვეყნებში ნამყოფი არ გახლდათ. სახლში ჩაკეტილი რევოლუციონერებმა პირდაპირ ქუჩაში გამოიყვანეს და დროშების უაზრო ფრიალში ჩამოუყალიბეს აზროვნება. ამიტომ გასაკვირი არ იყო, ცისარტყელას ფერებში ვნებით აქსებულმა კრეშატიკმა შოკში რომ ჩააგდო ასეთი ახალგაზრდა კაცი. ვნებისაგან გათანგულს ცრემლები მოსდიოდა თვალებიდან. ლევანმა და გელამ ერთმანეთს გადახედეს და უსიტყვოდ გაუგეს. იმ საღამოს ლაშას თავისივე ასაკის კიეველი გოგონა გააცნეს, დატოვეს ორივენი ნომერში, ხოლო თვითონ რესტორანში ჩავიდნენ და გვიანობამდე ისხდნენ სუფრასთან.

დილით ლევანმა სამუშაო ჩვეული გრაფიკით დაიწყო. ბიჭების ნომერში რომ შევიდა, ლაშა უკვე ჩაცმული დახვდა, ხოლო გელას უმინა.

— რას შვება, არ მოდის? — ჰკითხა ლევანმა ლაშას.

— ასე თქვა, თქვენ წადით, მე კოლეგა პოლიტიკოსებს გავუგლი და ისევ სასტუმროში დაგბრუნდებიო.

— წავედით მაშინ, — თქვა ლევანმა და ორივენი წავიდნენ ფირმის კომერციულ ცენტრში საქონლის სანახავად.

ფირმის კომერციული ცენტრი კიევის ცენტრში, ოხსართულიან შენობაში იყო განლაგებული. შენობაში შესვლისთანავე სხვა სამყაროში ხვდებოდი. ეს იყო ევროპულ ყაიდაზე გაკეთებული „სუპერმარკეტი“, სადაც საბჭოური არაფერი დარჩენილიყო, გარდა სასაუბრო ენისა. ლევანს ეს

„სუპერმარკეტი“ უკვე ნანახი ჰქონდა და ამიტომ პირდაპირ ადმინისტრაციისკენ წავიდა. პატარა მანძილის გავლის შემდეგ იგრძნო, რომ ლაშა არ მოსდევდა. მოტრიალდა და დაინახა, ლაშა იდგა დარბაზის შუაგულში და აქეთ-იქით იყურებოდა. ლევანი მიუახლოვდა, ხელი ჩასჭიდა და თან გადაულაპარაკა:

— ამის დათვალიერებას მოასწრებ, ჯერ ქაღალდებიდან დავიწყოთ.

— ისე მაგარი რამეა, ლევან, ესეთი საკუთარი უნდა გქონდეს. თბილისში პირველი კაცი იქნებოდა.

— გვექნება, — დააწენარა ლევანმა, — თუ ჭკვიანურად მივუდგებით საქმეს და, რაც მთავარია, ერთმანეთს.

ლაშას ლევანის ეს ბოლო სიტყვები არ მოეწონა, გაიფიქრა, ვინმებ ხომ არ ჩაგვიშვა, ხომ არ იცის, რომ მის შესამოწმებლად ვართ წამოსულებიო.

კომერციული ცენტრის ადმინისტრაციაში სტუმრებს უქვე ელოდნენ. ცენტრის დირექტორმა ლევანს საქონლის ნიმუშები და ფასები დაახვედრა. სართელი კარგა ხანს ჩაჰატირკიტებდა საბუთებს და თან ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ნიმუშებს ათვალიერებდა. ბოლოს საბუთები გვერდზე გადადო და ცენტრის დირექტორს თავაზიანად მიმართა:

— ბატონი იგორ, საყოფაცხოვრებო ტექნიკის ყიდვაზე მე შემიძლია, დღესვე უარი განვაცხადო.

— რატომ, ლევან ნიკალაევი! შესანიშნავი გერმანული ტექნიკა ხელმისაწვდომი ფასებით, — თქვა იგორმა და დისტანციური მართვის პულტით ამავე ფირმის გამოშვებული ტელევიზორი ჩართო, — შეხედეთ რა ფერებია, ეკრანის დიაგონალი ნორმალურია, რას უწუნებთ?

— იგორ მიხაილოვიჩ! — ლინჯად დაიწყო ლევანმა, — საბჭოთა პერიოდში, როდესაც უცხოური საყოფაცხოვრებო ტექნიკა შემოგვქონდა, ყველა სპეციალურად დამზადებული იყო საბჭოთა კავშირისთვის და ეწერა კიდეც ზედ „დამზადებულია სსრკ-სთვის“.

კომერციული ცენტრის დირექტორს გულიანად გაეცინა და, როდესაც დაწყინარდა, სართელს მოუბრუნდა და ჰკითხა:

— ლევან ნიკალაევიჩ, საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს და მომწოდებელი საქართველოს და უკრაინას ხომ არ დააწერს ზედ, — დაამთავრა თუ არა წინადადება დირექტორმა, კვლავ სიცილი დაიწყო, თან ლაშას ანიშნა, შემომიერთდიო.

ლაშას გაეცინა. როგორც იქნა, მისი დროც დადგა. საქმე პოლიტიკას ეხებოდა. თან არ მოეწონა დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქე ლევან სართელი ხშირად საბჭოთა კავშირს რომ ახსენებდა. ხელი მსუბუქად დაარტყა მხარზე და უთხრა:

— რა გჭირს, ლევან? რაღა დროს საბჭოთა კავშირია. მე მგონია, შენ თქამედოროვე ბიზნესს აწვებოდი. ვერ გავიგე, რა ხდება?!

— ბატონებო! — აუდელვებლად განაგრძო სართელმა, — ჯერ აგიზნით იმპორტულ საყოფაცხოვრებო ტექნიკას რატომ ეწერა „დამზადებულია სსრკ-სთვის“. ვინაიდან ჩვენი ქვეყნების ტერიტორიაზე გაუმართავი ელექტრო ქსელი იყო განლაგებული, ხშირი იყო დენის ჩართვა-გამორთვა, რაც ძაბვის ცვალებადობას იწვევდა და ელექტრო ტექნიკა გამოჰყავდა მწყობრიდან. ამიტომ იაპონიის, გერმანიის ან რომელიმე განვითარებული ქვეყნის ელექტრო ქსელისთვის განკუთვნილი ტექნიკა ჩვენთან ვერ ივარგებდა, მას სჭირდებოდა სხვადასხვა დამცავი მოწყობილობა, რაც უკეთდებოდა კიდეც და იგზავნებოდა საბჭოთა კავშირში. დღეს საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ დარჩა ის უვარესი ელექტროქსელი, რომელიც მოუცვლელობის გამო კიდევ უფრო დაზიანდა. გამომდინარე აღნიშნულიდან, როდესაც თქვენს მიერ მოწოდებულ ტელევიზორს ჩემი ასოციაციის მაღაზიები გაყიდიან მოსახლეობაზე, ისინი შეიძლება დაიწვას ერთ თვეში, ან ერთ კვირაში. ხალხი ამას ძაბვის ვარდნას კი არ დააბრალებს, არამედ მას, ვინც ეს ტელევიზორი ჩამოიტანა და მათ მიჰყიდა. ეს ყოველივე ჩემს ფირმას შეულახავს იმიჯს, რაც მე არ მაწყობს. ამიტომ ვამბობ უარს. რაც შეეხება ფეხსაცმელს და

ტანსაცმელს, ამ საკითხს დამოუკიდებლად ვერ გადავწყვეტ. ორ დღეში ჩემი პარტნიორი ჩამოდის ბერლინიდან და ერთობლივად მომზადებულ წინადაღებებს წარმოგიდგენთ. ისე, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ნიმუშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქონელი დაბალი ხარისხისაა, ხოლო ფასები საკმაოდ მაღალია.

იგორს, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა ლევანის ასეთი პასუხი, მაგრამ რას იზამდა, ვაჭრობა ვაჭრობა იყო, ყველაფერი უნდა აეწონ-დაეწონათ. ამიტომ იმ დღეს ამით დაკმაყოფილდნენ. დამშვიდობებისას იგორმა ჰყითხა ლევანს, სასტუმროში რაიმე პრობლემები ხომ არ ჰქონდათ. ლევანმა მადლობა გადაუხადა მასპინძელს ესოდენ დიდი ყურადღების გამოჩენისთვის და ორშაბათს დილის ათ საათზე დაუთქვა შეხვედრა.

XX

გენო ჭანკვეტაძე ბერლინიდან კვირას მოფრინავდა. ლევანმა დაზუსტების მიზნით მაინც დარეკა ბერლინში. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ლევანმა სთხოვა, ყურადღებით მოქსმინა, რასაც ეტყოდა:

— გენო, ეს ორი კაცი, მგონი, გადასამოწმებლად გამომაყოლეს. ყველაფერში ძვრებიან. ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ ვცდები-მეთქი. ხომ იცი, ნათქვამია, „ცუდი საქმის გამკეთებელმა ერთი ცოდვა ქნა, დამბრალებელმა — ათასიო“. ჩამოდი დროზე, შენ ესეთ რამებში უფრო ნათელი თვალი გაქვს.

— ლევან, მაგათ რაღაც სატყუარა დაუგდე.

— რა სატყუარა, ტო?

— მაგალითად, შემთხვევით საქალალდე დატოვე მაგათთან ნომერში რამე სიაფაზდი საბუთებით. თუ ნაქექი იქნება, ესე იგი, რაღაცას ეძებენ ან რამე მაგდაგვარი. ხომ მიმიხვდი? — დაარიგა ჭკუა გენომ, — იგორას საქონელი როგორი აქვს, ნახე?

— ვნახე, მაგრამ არ მომეწონა, თბილისში ეგ არ გაიყიდება, დალიან „დიშოვია“.

— ახლა მე ვგზავნი ახალ პარტიას და მე მგონი, აქედან ავარჩევთ რაღაცას. კაროჩე, ჩემი გრაფიკით, კვირას საღამოს უნდა ვიყო კიევში. აბა, დროებით, შესვედრამდე.

ლევანმა ყურმილი დადო. აიღო თავის ტყავის საქაღალდე, რომელიც სულ თან დაპქონდა. გუშინ გელაშ ვითომ ხუმრობით, მაგრამ მაინც დაინტერესებულმა უთხრა: „ლევან, რა სულ თან დაგაქვს ეგ პაპკა, ხომ არ გეშინია, რომ ვინმემ მოგპაროსო?“. საქაღალდიდან ამოიღო დოკუმენტაცია და შიგ არაფრისმთქმელი ძველი გამოგზავნილი ფაქსები და საქონლის ყიდვა-გაყიდვის მასალები ჩააწყო. აიღო საქაღალდე და ბიჭების ნომრისკენ წავიდა. ნომერში მარტო ლაშა იყო. გელა ჯერ არ ჩანდა.

— ვაჲ, ლევან, სად იყავი, ტო? — წამოიძახა ლაშამ პაპკიანი ლევანის დანახვაზე.

— ბერლინს ველაპარაკე. რაღაცები იყო დასაზუსტებელი, — თქვა სხვათა შორის, საქაღალდე მაგიდაზე დადო და იქვე სკამზე ჩამოჯდა, — გელა არ მოსულა?

— არა, ეტყობა ნახა ის ხალხი. სანამ ეგენი ლაილუის მორჩებიან, შეიძლება დადამდეს კიდეც.

არ გასულა ათი წუთი, რომ გელამაც შემოაღო კარები. კარგ ხასიათზე იყო. მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ეს კარგი ხასიათი წამლისგან მოღილდა.

— ეგ საღდა იშოვე, ტო? — ჰკითხა ლევანმა გელას.

— კტო იშჩიტ, ონ ვსეგდა ნაიდოოტ! — მოკლედ გასცა კითხვას პასუხი გელამ, გადაწვა საწოლზე და თვალები მიღულა.

„ამის გაჩერვები მაკლდა აქ“, — გაიფიქრა ლევანმა და მჩვარივით საწოლზე მიგდებულ გელას შეხედა. ლაშამ ეს ჩვეულებრივ სიტუაციად მიიღო.

— მიხედე. არაფერი დაუმართოს, მე ჩემს ნომერში ვიქწები, — თქვა ლევანმა და ნომრიდან გამოვიდა. საქაღალდე კი ნომერში დატოვა.

გელა არავისთან არ წასულა შესვედრაზე. თავის კოლეგა პოლიტიკოსებს ტელეფონზე ელაპარაკა და ამით მოამთავრა მათთან საქმე. დანარჩენი დრო წამლის ძებნას მოანდომა.

შემთხვევით ნახა თავისი ნაცნობი კიევში მოხეტიალე ქართველ ბიჭებში. იმან კიდევ წამალი აყიდინა, თვითონვე გაუკეთა. სანაცვლოდ პურ-მარილი აკისრებინა და მერე დასასვენებლად გამოუშვა ნომერში.

ლევანი ხვდებოდა, გელა და ლაშა თუ დიდხანს დარჩებოდნენ კიევში, მათი შენახვა საქმაო ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. ლაშას სულ ქალებისკენ და მაღაზიებისკენ გაურბოდა თვალი, გელას კი ყოველდღე წამალი სჭირდებოდა.

„ამათ რა ფული ეყოფათ?“ — ფიქრობდა ლევანი, — „წამალი იაფი სიამოვნება არ არის. თუ ჩვენ ორი-სამი კვირა აქ მოგვიწია გაჩერება, მთელი ფირმის მოგება ამათ დასჭირდებათ. ჩამოვიდეს გენო, იქნებ რაიმე მოვიფიქროთ ერთად.“

ლევანმა ორი-სამი საათი ნომერში იწრიალა. ხან წამოწვა, არ დაეძინა, ხან თბილისში დარეკა ტელეფონზე. მერე შხაპი მიიღო, ჩაიცვა და ბიჭებთან წავიდა, სავახშმოდ უნდა ჩაეყვანა ბუფეტში ან რესტორანში, სადაც მოისურვებდნენ, არჩევანი მათზე იყო. როდესაც ნომრის კარებს მიუახლოვდა, შიგნიდან ხმამაღალი საუბარი შემოესმა:

— მე რა ვიცი, რა უნდა გავაკეთო, გელა, — თითქმის ყვიროდა ლაშა, — ლევანის და ფირმის დირექტორის საუბარს ბოლომდე ვუსმინე და ვერაფერი გავიგე. ამ ქაღალდებში რა წერია, ამასაც ვერ ვიგებ. თავი სად არის ან ბოლო, გაგებაში არა ვარ.

— რა იცი, შეიძლება მერე გავაისწიოთ რამე, — ალაპარაკდა თავისი ხრინწიანი ხმით გელა, — რაღაცაში გამოვიჭერთ. უშანგი და კოტე პრიჩინას ეძებენ, ეს პრიჩინა ჩვენ უნდა მივაწოდოთ, დანარჩენს თვითონ მოუკლიან. რა ვიცი, თავი მოიკალი, პაპკაში ექნება რამე საჩვენო საბუთებიო და მანდაც არაფერი არ აღმოჩნდა.

— მე მგონი, ამ კაცს ტყუილად ვამოწმებთ. აფერისტს სახეზე ეტყობა ყველაფერი. ჩემი აზრით, ლევანა წესიერი კაცი უნდა იყოს, — თქვა ლაშამ და სიგარეტს მოუკიდა.

— ეგ სიტყვები არ გაიმეორო, — წამოიყვირა გელამ, — მე შენზე გაცილებით უფროსი ვარ და ამ საქმეში მეტი გამეგება.

როგორი წესიერიც არ უნდა იყოს კაცი, მასში შენ ცუდს უნდა ექცებდე, რომ რაღაცაში გამოიჭირო. თორემ, ჩემი ძმა, შენ ესე ფულს ვერ იშოვი. გაიგე, ბიჭო! სინანულის გრძნობა არ უნდა გაგაჩნდეს. ახლა ეგ საბუთები ისევ მაგ პაპკაში ჩააწყე და ისევ თავის ადგილას დადე, რომ იმან არ იეჭვიანოს.

ლაშამ საბუთები ისევ საქალალდეში ჩაალაგა, მაგიდაზე ისევ იმავე ადგილას დადო და თან თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მე თქვენი ვერაფერი გავიგე, ძმაო, პარტიის პოლიტიკური პროგრამა ქვეყნის გაძლიერებასა და აღმავლობას ითვალისწინებს, თქვენ კი იმ ხალხს აყაჩაღებთ, ვინც ეს საქმე უნდა გააკეთოს. თან ამას გვასწავლით ჩვენ, ახალგაზრდა თაობას.

— ბიჭო! ეე! ავოე! შენ რეებს ბოლიალობ, ტო?! — წამოიწია საწოლიდან გელა, მაგრამ წამლისგან იმდენად მომჩვარული იყო, რომ ისევ საწოლზე დაეცა, — ეე! შენ, ძმაო, ფულის შოვნა თუ გინდა, უგრეა. ეს პარტიიბი დროშებს რომ აფრიალებენ, შენ გვინია, სამშობლოს ბედი აწუხებთ?! კუჭი უხმებათ, ძმაო, შიმშილით. სახლი უნდათ, კარი უნდათ და ბოლო-ბოლო, გულავი უნდათ. ეს ჩემისა, — უცნაური ხმით წამოიყვირა გელამ და ხელი ლევანის ნომრისკენ გაიშვირა, — სულ იმ რაღაცა აბრეშუმის გზაზე რომ ლაპარაკობს და ყველას ყურები გამოგვიჭედა თავისი იდეებით, ეგ აბრეშუმის გზა არის თუ ჭია, გააძლობს ჩემს ოჯახს?!

აქ უკვე ლაშამ ვედარ მოითმინა. საქალალდეს დაავლო ხელი, ამოილო ფურცლები, გელას ცხვირწინ აუფრიალა და გამწარებულმა უთხრა:

— აი, კონტრაქტი გერმანელებთან. აი, მიმოწერა ჩინეთთან და შუა აზიის რესპუბლიკებთან. ეს კაცი ყველაფერს დიდი მონდომებით აკეთებს და შედეგებიც არის. გერმანიიდან იმპორტი უკვე მუშაობს. მალე შუა აზიიდან დაიძრება საქონელი. შენ დღევანდელ მოლაპარაკებას რომ დასწრებოდი, ესე აღარ ილაპარაკებდი.

— შენ, ძმაო, ჩემსკენა ხარ თუ იმისკენ, — აყვირდა გელა, — შენ აქ იმიტომ წამოგიყვანე, რომ მაგ კაცს კუდში სდიო და

ნაკოლები მოაგროვო. არ დამიწყო პატრიოტიზმის თემაზე ლაპარაკი. მე, ძმაო, ჭამა-სმა მინდა, წამალი მინდა და შენ მეუბნები, აბრეშუმის გზა გიშველისო. მიდი რა, საქმეს მიხედე, თან ლევანას დაურეკე, გვშია-თქო.

ლევანი იდგა სასტუმროს ნომრის კარებთან და თავს ძლივს იკავებდა. უნდოდა, შევარდნილიყო ნომერში და კარგად მიეშვა ეს არაკაცები. მაგრამ იცოდა, რომ მას გაამტყუნებდნენ. ამ საუბრის მოწმე არავინ იყო, გარდა ამ ორი არაკაცისა. იდგა გაშეშებული. ბოლოს მოიკრიბა გონება და კარებზე დაკაკუნა:

— აქა ხართ, ლომებო?

— ჟო, მოდი, ლევან, — გამოსძახა გელამ, — სად დაიკარგე, ტო?

— ცოტა წავუძინე, დალლილი ვიყავი, — იცრუა სართელმა, — არა გშიათ? წავიდეთ, ვიგახშმოთ.

ვახშმობაშ მშვიდობიანად ჩაიარა. ბევრი არ დაულევიათ. მალევე ამოვიდნენ რესტორნიდან. ლევანმა თავის საქალალდე აიღო, ძილი წებისა უსურვა ბიჭებს, განმარტოვდა ნომერში და ფიქრებს მისცა თავი:

„ვეღარ გამიგია, ყველა ზელს მიშლის და წინ მეღობება. ხომ არ შევცდი, რომ დავიწყე ამ პროექტის განხორციელება. ევროპა-აზიის დერეფანში კომერციული საქმიანობის დაწყება, სახელდობრ, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები, ერთ წელიწადში უკეთ საგმაო მოგებას მოგვცემს. ეს ხომ დიდი დრო არ არის? რა უნდა ამ ხალხს? რატომ დამდევენ ასე კუდში. მიღებული მოგება ხომ ყველას გაუნაწილდება. ამ ინფრასტრუქტურის განვითარებით ყველა რაღაც ობიექტს შეიძენს და მშიერი არავინ იქნება. ეს ხომ მე სახალხოდ განვაცხადე. სხვა რაღა გავაკეთო? ამ პოლიტიკურ პარტიებში ხომ უმრავლესობა ნაძირალაა, ეს კარგად ვიცი, მაგრამ მაგათთან, საქმიანობის თვალსაზრისით, უმუალო კავშირები ხომ არ მაქვს? რა უნდა უნდოდეთ ჩემგან? ვისი დავალებით მოქმედებენ? ეეჲ!.. მარტო უნდა დამეწყო მუშაობა, გენოსთან და ვოვასთან ერთად ყველაფერს მოვაბამდი თავს. ამხელა

ასოციაციაში ვინ ვისზე მუშაობს, გაიგე შენ. მაგრამ უკან ვერაფერს დააბრუნებ, თავი უკვე გაყოფილი მაქვს ყულფში და ოოგორმე უნდა გავითავისუფლო. ძნელი იქნება ეს ყველაფერი. კოტემ აჩიკო ცარციძე მოათრია, ამ უკანასკნელმა – პოლიტიკოსები, გელაშვილმა ზუმბო და პავლიკა აიკიდა. წვრილფეხობა რომ არ ჩავთვალოთ, ეს სამი დიდი მჭამელი ჩვენს საქმიანობას სიკეთეს არ მოუტანს. ასე რომ, ღმერთის ანაბარა ვრჩებით“.

– ღმერთო, შენს სახელს დიდება! – ხმამაღლა წარმოთქვა ლევანმა, პირჯვარი გადაიწერა და ფანჯარაში გაიხედა. ბადრი მთვარე კიევის „დინამის“ სტადიონს დასდგომოდა ზევიდან, მთელი არემარე დღესავით განათებული იყო. ლევანს გასეირნება მოუნდა, მაგრამ გაახსენდა იგორის გაფრთხილება, ღამე კიევის ქუჩებში ფეხით სიარულს მოერიდეო. საწოლზე წამოწვა და მაშინვე ჩაეძინა.

ამდენი ნერვიულობით ლევანს დაღლილს გაეღვიძა. ფეხზე რომ წამოღვა, მუხლი ეკვეთებოდა.

– რა ჯანდაბა მჭირს? ახლა ავადმყოფობის დროა?! – თავის თავს უჯავრდებოდა და თან სპორტულ პიჟამოს იცვამდა.

იმ დღეს ნომრიდან არ გასულა, გელა და ლაშა გახლნენ, რომ ნახეს, ლევანი შეუძლოდ იყო, მაშინ მოინდომეს ქალაქში გასეირნება. შაბათი დღე იყო და რა უნდა ეგეთებინათ. ლევანს ფული გამოართვეს, ბაზრობაზე ოჯახისთვის რაღაცები გვინდა ვიყიდოთ. მიატოვეს ავადმყოფი კაცი და წავიდნენ. სართელი გრძნობდა, რომ სიცხე ჰქონდა. სართულის მორიგეს დაურეკა, თერმომეტრი მოატანინა, სიცხე გაიზომა, ოცდაცხრამეტზე იყო ასული. შემდეგ ფული მისცა და წამლებიც მოატანინა. კარგი ქალი იყო სართულის მორიგე, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ცხელი ჩაი ნომერში მოჰქონდა ლევანთან. ორჯერ მოიდინა ოფლი სართელმა. სველ ზეწრებსაც თვითონ იცვლიდა. ასე რომ, საღამოს ცხრა საათისთვის ცოტა შვება იგრძნო და ჩაეძინა. სიზმარი ნახა: ლამაზ მინდორზე მიდიოდა. გარშემო ყველაფერი

ია-ვარდებით იყო მოფენილი. მარცხენა მხარეს ეკლესია გამოჩნდა. ძალიან ლამაზი ქვით იყო ნაგები. ლევანმა შესვლა და სანთელის დანთება გადაწყვიტა, მაგრამ რაღაც ძალამ არ გაუშვა. არც ლევანმა გაუწია წინააღმდეგობა, მხოლოდ პირჯვრის გადაწერით დაკმაყოფილდა და გზა განაცრძო, თუმცა შინაგანი ძალა ეკლესიისკენ ეწეოდა. რადგან სართელმა გადაწყვიტა წინ წასულიყო, აღარ მობრუნდა და გზა განაცრძო. შორს სადღაც დედის სახეს მოჰკრა თვალი, ისიც ეკლესიისკენ მიბრუნებას ანიშნებდა. ლევანი იმდენად იყო მონდომებული წინსვლისთვის, რომ აღარც დედის თხოვნას დაჰყება და თავაწეულმა გაიარა ყვავილოვან მდელოზე, ენით აუწერელ სიამოვნებას გრძნობდა. უცებ აღმართი გამოჩნდა. მთაზე შეფენილ ხასხასა მწვანე ბალახზე ყაყაჩოებით მოფენილი ბილიკი მიკლაგენებოდა მაღლა, მწვერვალისაკენ. ლევანი შეუდგა ამ ბილიკს, ნელა მიჰყვებოდა ყაყაჩოებიან გზას. თავიდან დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ეს ყველაფერი, მაგრამ ნელა-ნელა სისხლისფერი ყაყაჩოები სისხლს დაემსგავსა. ლევანს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სისხლის მდინარეში მიაბიჯებდა, გზა უფრო და უფრო შავდებოდა. ერთი სული ჰქონდა, ჩქარა აევლო აღმართი, რომ მაღლე სამშვიდობოზე გასულიყო, მაგრამ სისხლისფერი ყაყაჩოების მდინარეში ფეხი უცურდებოდა. შველას ითხოვდა და არავინ შველიდა. უკან მოიხედა, აღარც მწვანე ბალახი ჩანდა და აღარც ეკლესია, ყველაფერი შავ ფერს დაეფარა. ლევანმა ვიღაცის ხელის შეხება იგრძნო, იფიქრა, მეშველაო. ამ უცნობმა, რომელიც არ ჩანდა, აიყვანა სართელი მთის მწვერვალზე და რას ხედავს ლევანი – წინ დიდი უფსკრულია, რომელსაც დასასრული არა აქვს. გარშემო სიბნელეა, არაფერი აღარ ჩანს, მხოლოდ იგრძნობა იმ უჩინარი ვიღაცის სიახლოვე. ლევანი დგას მთის წვერზე და გრძნობს, რომ მიწა ფეხებიდან ეცლება. შველას ითხოვს, მისი ხმა არავის ესმის, ვეღარ ყვირის, რაღაც ძალა ხელს უშლის. უცებ ზურგში ძლიერი დარტყმა იგრძნო და მთის წვერიდან

თავით გადაეშვა უკუნეთ სიბნელეში. აშკარა იყო, იმ უცნობმა ძალამ გადააგდო, დიდხანს ეშვებოდა ლევანი სიბნელეში, მშველელი არსაიდან ჩანდა. მიხვდა, რომ განწირული იყო და ჯოჯოსეთისკენ მიექანებოდა. უცებ საყრდენი იგრძნო. თითქოს ვიღაცამ ხელებზე დაიწვინა და ზევით წამოიყვანა. ნელა-ნელა სინათლე გამოჩნდა. ლევანი უცნობ ქალს ჰყავდა პატარა ბავშვივით ხელებზე გადაწვენილი. ქალს მრგვალი ქართული სახე ჰქონდა, თეთრი მოსახვევი უმშვენებდა თავს, შავი თვალ-წარბი ჰქონდა და თვითონაც შავებში იყო ჩაცმული. ლევანმა ის ვერ იცნო. ქალმა ჯერ მკაცრი გამომეტყველებით შეხედა, შემდეგ გაუღიმა და დატუქსა:

— ბავშვი, რომელიც დედას არ დაუჯერებს, ყოველთვის თავ-პირს წაიმტვრევს. შე უბედურო, როდემდე უნდა იყო ხელით სათრევი!

ქალის სიტყვები კახური კილოკავით იყო წარმოთქმული. ლევანი პირველად ხედავდა მას, ხმაც უცნობი იყო. ვინა ხარო, უნდა ეკითხა სართელს, მაგრამ გამოეღვიძა. მთლიანად ოფლში ცურავდა. ერთი კომპლექტი თეთრული კიდევ ჰქონდა. გამოცვალა ზეწრები. მერე აბაზანაში შევიდა. ცხელ წყალში ჩაწვა. დაიბანა. სასწრაფოდ შეიმშრალა. მაცივარში უკრაინული არაყი „ტრიპერცა“ ჰქონდა. ერთი ჩაის ჭიქა დალია და ახალგამოცვლილ თეთრულში ჩაწვა. სიზმარი კარგად ახსოვდა. ქალის სახე განსაკუთრებით ჩაებეჭდა გონებაში, მაგრამ ვერ მოდიოდა აზრზე ვინ იყო. ამ ქალის, გაცნობამდე კიდევ ცხრა წელიწადი იყო გასასვლელი. ლევანმა საათს შეხედა, დილის ხუთი საათი სრულდებოდა. გაიფიქრა, რა დაიძინებსო, მაგრამ არაყმა თავისი გაიტანა და ჩათვლიმა. დაახლოებით ორი საათის შემდეგ გაიღვიძა. სიცხე აღარ ჰქონდა, რაღაც განსაკუთრებულ სიმსუბუქეს გრძნობდა. გონებაც დაწყნარებოდა. ადგა. წვერი გაიპარსა, მოწესრიგდა. შიმშილი აწუხებდა, არადა ნომერში არაფერი ჰქონდა. სართულის მორიგემ მოაკითხა. ჯანმრთელობის მდგომარეობა

აინტერესებდა. ლევანმა დიდი მადლობა გადაუხადა ყურადღებისა და დახმარებისათვის. ჯიბეში ფულიც ჩაუდო. ქალი კინაღამ გაგიყდა, — მე ამისთვის არ მოგსულვარო. ლევანმა დააწყნარა, უკრაინულად ჰკითხა:

— უკას პოდობაიუტსია ქვიტი?

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია. ან რომელი ქალი იტყოდა უარს ცვავილების სიყვარულზე.

— ვითომ თქევნთვის ლამაზი თაიგული მეყიდოს, — ღიმილით უთხრა სართულის მორიგეს ლევანმა და ოთახიდან გააცილა.

სართელს ძალიან ესიამოვნა ესოდენ დიდი ყურადღება უცხო ტომის ადამიანისაგან. გელამ და ლაშამ არც მოაკითხეს. უბრალოდ, არც დაურეკეს. ისევ თვითონ მოიკითხა. ნომერში დარეკა. ყურმილი გელამ აიღო და ხრინწიანი ხმით ძლივს ამოილუღლუღა:

— გისმენთ.

— ცოცხლები ხართ, ტო?

— ვაკ! ლევან, შენა ხარ, სად ხარ, ტო?

— აქა ვარ, ნომერში. მოვირჩინე თავი, როგორც იქნა. დიდი სიცხე მქონდა.

— აუ, შენ მართლა ცეულად იყავი, არა? სლაგა ბოგუ, რომ გამოკეთებულხარ, — ყოველგვარი ემოციების გარეშე თქვა გელამ, — ლევან, წამო რა, მაგრად მეთოხლავება. ვჭამოთ რა?

— კარგი, გამოვალ, — წყნარად უკასუხა ლევანმა და ყურმილი დადო.

ლაშა ვერ გააღვიძეს. გადაწყვიტეს, ნომერში ამოეტანათ მისთვის საუზმე. გელას სახე მაგრად ჰქონდა არეული. ეტყობა, გუშინ დიდი დოზა მიეღო. ლევანი ბევრ ნარკომანს იცნობდა გელასნაირს. წამალი რომ ჰქონდათ გაკეთებული, ჭამის დროს ძღომას ვერ იგებდნენ. ახლაც მებუზეტე ქალს თვალები შუბლზე აუკიდა, როდესაც დაინახა, რომ გელამ, ამ გამხდარმა კაცმა, ერთი შემწვარი ქათამი შესანსლა და მეორეზე გადავიდა. ლევანმა მხოლოდ ჩაი დალია. ძალიან შიოდა, მაგრამ ვერ ჭამდა ვერაფერს. ლაშასთვის საუზმე აიღო და ისევ ნომერში დაბრუნდნენ. ლაშა

საწოლზე ჩამომჯდარიყო და თავი ხელებში ჰქონდა ჩადებული.
ლევანი მიზვდა, რომ საქმე კარგად ვერ იყო.

- რა მოხდა, ლაშა? – ჰკითხა ლევანმა.
- ჩემი სიმამრი გარდაიცვალა. ახალგაზრდა კაცი იყო.
- რით გარდაიცვალა?
- ინფარქტი. კაროჩე, სასწრაფოდ უნდა წავიდე.
- ვიზიარებ შენს მწუხარებას, – მიუსამძიმრა ლევანმა ლაშას და მხარზე ხელი დაადო. – ყველა ადამიანი, მით უმეტეს, ახალგაზრდა, ცოდვაა სიკვდილისთვის.

გელამ და ლაშამ გადაწყვიტეს, ერთად წასულიყვნენ
თბილისში. ლევანმა იგორს დაურეკა, სთხოვა როგორმე ორი
ბილეთი ეშვევა. ერთ საათში იგორმა დარეკა სასტუმროში და
შეატყობინა, რომ აეროპორტში ბილეთებს დაახვედრებდნენ.
ლევანმა ბიჭებს გზის ფული მისცა და გაისტუმრა.

ლევანმა გელაშვილთან დარეკა სახლში, რომ ბიჭების
წამოსვლა შეეტყობინებინა. სახლში უთხრეს, სამსახურშიაო.
დარეკა სამსახურში, ვიღაც უცხომ აიღო ყურმილი.

- რომელი ხარ? – ჰკითხა ლევანმა.
 - ვინ გნებავთ თქვენე? – იკითხა უცხო ხმამ.
 - შენ რომელი ხარ, კაცო? ლევანი ვარ სართელი.
 - ივლიანე ვარ, ბატონო ლევან, – მორიდებული ხმა გაისმა
ყურმილში.
 - ვინ ივლიანე, კაცო?
 - ტაბატაძე.
 - გამაგიშებ შენ, კაცო! ვინ ივლიანე ტაბატაძე ხარ? – ლამის
გაცოფდა ლევანი.
 - ზაურისთან რომ ვზივარ ხოლმე.
 - ააა ... შენ იმ ოთხეულის წევრი ხარ?
 - დიახ!
- ლევანმა, როგორც იქნა, ამოისუნთქა.
- ივლიანე! სად არის ზაური?
 - გევიდა და დეიბარა, მალე მოვალო. თუ ვინმეტ დარეკოს,
ჩეიწერეო.

— ჰოდა ჩაიწერე! გელა და ლაშა დღეს გამოფრინდებიან კიევიდან და მაგათ ახლობლებს დაურეკოს, რომ დახვდნენ აეროპორტში. ჩაიწერე?

— აპა რავა.

— ივლიანე, თუ კაცი ხარ, მითხარი, ზაურის რა ხარ შენ?

— მთლად შორებელი ნათესავი არ ვარ. ახლობელი ვარ მისი.

— ააა ... ალბათ, სამსახური შეგპირდა, არა? — ჩაეძია ლევანი.

— არა, ადრე ფული ჩამაღებია საქმეში, კაი მოგებას ვნახავთო. ასე არიან დანარჩენი სამი კაციც, ჩემთან ერთად რომ ზიან აქანე. ველოდებით აგერ უკვე ორი წელიწადია. ხანდახან პურის ფულს გვაძლების ხოლმე.

— ბევრი გაქვთ ჩადებული, ივლიანე?

— ჩემი ასე შვიდი ათას დოლარამდე იქნება. ოთხივეს თანხა ასე ორმოცდათი ათას დოლარამდეა.

— კი, მაგრამ ამდენი ფული საიდან გქონდათ?

— რაცხა-რაცხები გავყიდეთ სახლიდან და ზაურიას ჩამოვუტანეთ. ასტე გვითხრა, მუშაობა ალარ დაგჭირდებათ, ეს ფული იმდენ მოგებას მოგცემთო.

— მერე გაქვთ ამდენი მოგება? — არ ეშვებოდა ლევანი.

— ხომ გითხარით, ხანდახან პურის ფულს გვაძლებს. ახლა გვითხრა, თქვენი ფული გერმანიაში გადავრიცხე და იქიდან რომ საქონელი შამოვა, გემართებით წელშიო.

— ჰო, ალბათ, — სიტყვა გაუწყდა ლევანს.

— ალო!

— კარგი, კარგი, ჩემი ივლიანე, ალბათ, ეგრე იქნება, როგორც ზაური ამბობს. კაი კაცი ხარ, რომდამელაპარაკე. აბა, კარგად იყავით, მოკითხვა ზაურს, — დაამთავრა ლევანმა და ფურმილი დადო.

— დააა ... ეგეც ახალი ამბავი, — თავისთვის დაიწყო ლევანმა ლაპარაკი და თან ოთახში ბოლოთის ცემას მოჰყვა, — გელაშვილის ერთი აფიორაც გაიასწიდა. ფუ! სად გაყავი, ლევან სართელო, თავი?! ამდენი აფერისტი და ნაძირალა ერთად სად შეიკრიბა? როგორ გინდა იარო ამ ლაბირინთებში?

ჩაჯდა სავარძელში და ჭერის მიაპყრო მზერა. ვერაფერს ვერ ფიქრობდა, უფრო სწორედ ალარ უნდოდა, რომ ეფიქრა.

XXI

გენო ჭანკვეტაძე საღამოს რვა საათისთვის უკვე სასტუმროში მოვიდა. კარგა ხნის უნახავი მეგობრები გადაეხვივნენ ერთმანეთს და კითხვას კითხვით პასუხობდნენ.

— წამოდი, შენს ნომერს გაჩვენებ, შხაპი მიიღე, გამოიცვალე და მერე ვილაპარაკოთ.

— ჰო, რა, ოორემ აღარ შემიძლია, მგონია, რომ მთელი ქვეყნის ჭუჭყი მე მაქვს აკრული. როდემდე უნდა ვიაროთ მოსკოვის გავლით. არ შეიძლება, დიდ ქალაქებში მაინც იყოს პირდაპირი რეისები უცხოეთიდან.

— გაწვალდი, ეტყობა, არა?

— იცი როგორი შეგრძნება გეუფლება, ლევან, იქიდან აქეთ რომ მოდიხარ?

— როგორი? — გაეცინა ლევანს.

— როგორი და ფუმფულა, სუფთა ლოგინიდან კანალიზაციაში რომ ჩაგაგდონ. ბერლინიდან მთელი კომფორტით წამოვედი. არც აეროპორტში, არც თვითმფრინავში არავთარი დაღლილობა. როგორც ჩამოვედი შერემეტიევოში და იქ დაიწყო ის კანალიზაცია. აღარ მინდა ლაპარაკი, რა.

— ამათ რა უჭირთ, — გაეცინა ისევ ლევანს, — ბარდაკი შენ ჩვენთან უნდა ნახო. შენ რამდენი ხანია, რაც ბერლინში ხარ, ბედნიერი კაცი ხარ, რომ არ უყურებ იმ სიბინძურეს, რაც საქართველოში ხდება. მიდი, მიდი, მოწესრიგდი, მერე რესტორანში ჩავიდეთ და ვილაპარაკოთ.

— არა რა, ლევან, რესტორანი არ მინდა, — შეეხვეწა გენო, — თუ მმა ხარ, ნომერში მოატანინე რამე და თავისუფლად დაგვსხდეთ.

— ხარაშო, კაი, ბრატ.

ლევანი დატრიალდა. კაი ხალხისთვის, მით უმეტეს, მეგობრებისთვის წყალში გადავარდებოდა. ნაძალადევად არაფრისგაკეთებაარ უყვარდა. ძალიან კი ეწყინალაშას სიმამრის გარდაცვალება, მაგრამ სხვა მხრივ მათი წასკლა გაუხარდა,

რადგან ასეთ დაძაბულ სიტუაციას ბოლომდე ვერ გაუძლებდა და რაღაც უბედურებას მოახდენდა. ეს კი მისი მოწინააღმდეგის წისქვილზე დაასხამდა წყალს.

ლევანი ბუფეტში ჩავიდა. იყიდა სხვადასხვა საჭმელი. ძირითადად უკრაინულს არჩევდა, რადგან მასაც და გენოსაც ერთი ჩვევა ჰქონდათ, როცა მიდიოდნენ უცხო ქვეყანაში, სხვებივით საქართველოდან არ მიჰქონდათ საგზალი, აღგილობრივ ნაციონალურ კერძებს მიირთმევდნენ. იძღნად დიდი იყო ლევან სართელის ლტოლვა უცხო ქვეყნების ნაციონალური კერძებისკენ, რომ უზბეკეთში, ჯიზაკის ოლქში, კორეელების მიერ ძალლის ხორცისგან მოშზადებულ შურპასაც კი გაუსინჯვა გემო.

ნომერში სახელდახელო სუფრა გააწყო ლევანმა. უკრაინული სალა, უკრაინული გლეხური წესით დამზადებული ბეჭვი, სხვადასხვა მწნილი, უკრაინული შავი პური, ტრესკის ღვიძლი, სათალის ბუტერბოლები, უკრაინული „ბუჟინინა“ და, რაც მთავარია, უკრაინული წიწაკის არაყი „ტრიპერცა“.

გენოც შემოვიდა ნომერში.

— ს ლიოგგიმ პარამ, გენოჯან! — მიეგება ლევანი, „ტრიპერცა“ ჭიქებში ჩამოასხა, გენოს მიაწოდა და მერე თავისი ჭიქა მიუჭახუნა.

— გაჲ! გაჲ! ლევანჯან, მართლა რა საარყე ზაკუსკა მოგიტანია. მოდი, ჩემს ჩამოსვლას გაუმარჯოს, შენს აქ დახვედრას.

— ხაი ჟივე! — უკრაინულად შესძახა „გაუმარჯოს“ ლევანმა და „ტრიპერცანი“ ჭიქა გამოსცალა.

სამ-სამი ჭიქა რომ დალიეს და ცოტა დანაყრდნენ, ლევანი დაწვრილებით მოუყვა გენოს, რაც ამ სამი თვის განმავლობაში გადახდა.

— შენს ჩამოსვლას ისე ველოდი, როგორც უდაბნოში გზაბნეული ადამიანი ოაზისის გამოჩენას. რა ვქნათ, რა მოვიფიქროთ?

— საქმე უფრო სერიოზულად ყოფილა, ვიდრე მე მეგონა,
— ჩაფიქრდა გენო, — შენც, ჩემი არ იყოს, მაგარი ბედი გაქვს,

ვისაც სიკეთე გაუგეო და ჩააცვი, იმან გაგხადა. აქ მეორე საკითხია, საქმე რომ გავაჩეროთ, პარტნიორებს დავკარგავთ და ჩავიძირებით. პირველ შემთხვევაშიც ჩაძირვა გველოდება, მაგრამ გადარჩნის შანსი მაინც არის. ამიტომ, თუ ლოგიკურად ვიშველებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მეორე ვარიანტს ისევ პირველი სჯობს, იქნებ გაგვიმართლოს და ამ როგორ ლაბირინთში გავჭრეთ.

— მეც მაგ დასკვნამდე მივედი. თუმცა ამდენი ნაძირალას გვერდის აქცევა ძალიან გაჭირდება. სიზმარი ვნახე ცუდი. უფსკრულისკენ მივექანებოდა და ვიღაც ქალმა გადამარჩინა.

— ღვთისმშობელი იქნებოდა, — თქვა გენომ და პირჯვარი გადაიწერა.

— ღვთისმშობლის მადლი შეგვეწიოს, მაგრამ ის ქალი წმინდა მარიამს არ ჰყავდა. ისეთი სახე არსად მინახავს.

— კარგი რა, შენც გჯერა სიზმრების, — ხელი ჩაიქნია გენომ და ჭიქები შეაგსო, — მოდი, ჩვენი დედების მოგონება იყოს იმ ქვეყნად. ნათელში ამყოფოს უფალმა მათი სულები.

— ამინ! — წარმოთქვა ლევანმა და ფეხზე დგომით ჩამოცალა სასმისი.

ბიჭებს მეტი აღარ დაულევიათ, მეორე დღეს კომერციულ ცენტრში იყვნენ მისასვლელები. გვიანობამდე ისაუბრეს და მერე დაისვენეს.

მეორე დღეს გენო და ლევანი მთელი დღის განმავლობაში ახლადშემოზიდული საქონლის ნიმუშებს არჩევდნენ, მაგრამ არც ეს საქონელი გამოღვებოდა თბილისისთვის. ამიტომ კვლავ მოცდა იყო საჭირო. გენოს და ლევანს სამი კვირა მოუწიათ ლოდინი, სანამ მათთვის მისაღები საქონელი შემოვიდა. მანამდე კიეველი პარტნიორები ქართულ მხარეს სთავაზობდნენ, საქონლის მაგივრად ფული აეღოთ, მაგრამ გამოცდილმა ბიზნესმენებმა უარი თქვეს ფულის აღებაზე.

— თბილისში თითქმის ყველა კომერციულმა პარტნიორმა იცის, რომ საქონელი უნდა ჩავიტანოთ. ხელცარიელები

რომ ჩავიდეთ, ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ, ჩვენს იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებს, — კომერციული ცენტრის ხელმძღვანელობას სიტუაციას უხსნიდა გენო.

— არჩევანი თქვენზეა, — თქვა იგორმა, — ჩვენ მზად ვართ საქონლის ღირებულება დოლარებში გაგისტუმროთ. ეს თქვენთვის უკეთესია, ინფლაცია თქვენზე იმუშავებს, ან რაიმე საქმეში ჩადებთ.

— ისე, ღმერთს არ უნდა, რომ ჩვენ საქონელი წავიღოთ. ალბათ, ასეა საჭირო, — ჩაერთო საუბარში ლევანი, — იმიტომ გვიჯანჯლებს საქმეს. მაგრამ დაარწმუნებ ჩვენი ასოციაციის წევრებს, რომ ამდენი ლოდინის შემდეგ რაღაც არ გვაქვს ნაჩალიჩები. მაშინვე აფერისტის იარლიყს მოგაკერებენ. ის სიზმარი მაინც არ მასვენებს, გენო.

— კარგი, ლევან, რა, შეეშვი ამ სიზმრებს, — უთხრა გენომ და მხარზე ხელი დაარტყა, — საქონელი მიგვაქვს და ეგ არის.

დაიქირავეს „ან-26“ ტიპის თვითმფრინავი და დაიწყეს დატვირთვა. საქონელი იმდენი იყო, აღარ ეტეოდა. ბოლოს ჩატენეს ყუთები და, როგორც იქნა, დაკეტეს ბორტი. ეკიპაჟის მეთაურმა ლევანი იხმო და თვითმფრინავის ცხვირისკენ გაახედა. ეს უკანასკნელი ძალიან დაბლა იყო დაწეული.

— ეს იცი, რას ნიშნავს? — პკითხა ლევანს.

ლევანმა მხრები აიჩეჩა.

— შეიძლება ვერ ავფრინდეთ, ნორმაზე მეტია ჩატვირთული, — თქვა ეკიპაჟის მეთაურმა ისე, რომ სართელისთვის არ შეუხედავს.

— ეგ როგორ? — იკითხა გაკვირვებულმა ლევანმა.

— აი, ეგრე ჩვეულებრივ, ამდენ ტვირთს ვერ ასწევს.

— მაშინ რა ვქნათ? — არ ეშვებოდა ლევანი.

— უნდა გადმოვტვირთოთ. — დაბალ ხმაზე ჩაილაპარაკა მეთაურმა და თვითმფრინავისკენ წავიდა.

ლევანმა ჯიბეები მოისინჯა. ასდოლარიანი ამოილო და ეკიპაჟის მეთაურს ჯიბეში ჩაუდო.

- ახლა ავფრინდებით, უფროსო?
- შეიძლება რაღაცის მოფიქრება, მთავარია, მიწიდან ავიწიოთ. ყოველ შემთხვევისთვის გულის გასამაგრებლად არაყი მაინც წამოიღეთ.
- ამასობაში გენოც გამოჩნდა.
- სად იყავი, ტო? — ჰკითხა ლევანმა.
- ცოტა ზაკუსკა ვიყიდე მაღაზიაში და ნახე, ამერიკული სპირტი, სუფთა იქნება. ამბობენ, პეპსი-კოლაში ერევა კარგადო. თან შეხედე, ეკიპაჟის წევრები ექვსნი არიან, ჩვენც ორნი, ჭამა ხომ გვინდა?
- გვინდა, — დაუდასტურა ლევანმა. თან ეკიპაჟის მეთაურის ნაამბობი გადასცა.
- ფული ხომ მიეცი, რაც მთავარია, ჰოდა გავფრინდებით, — ჩაილაპარაკა გენომ და ტრაპზე შედგა, — ე! მაიცა, ტო! რომ ჩამოვარდეთ?
- რა ვიცი, პირობა დადო, არ ჩამოვვარდებითო.
- გენომ ხელი ჩაიქნია და თვითმფრინავში შევიდა.
- ეკიპაჟის წევრებმა თვითმფრინავი ასაფრენ ზოლზე გაიყვანეს, ააღებინეს სიჩქარე, თვითმფრინავი ჰაერში აიწია, მაგრამ ისევ მიწაზე დაეხეთქა.
- რა მოხდა? — დაუძახა ეკიპაჟის მეთაურს ლევანმა.
- არაფერი, გერ ავფრინდით, მეორედ უნდა ვცადოთ. — ოლიმპიური სიმშვიდით უპასუხა ეკიპაჟის მეთაურმა.
- გენომ ფერი დაკარგა. ნერწყვი გადაყლაპა და ილუმინატორში დაიწყო ცქერა.
- მეორე ცდა შედეგიანი აღმოჩნდა და თვითმფრინავმა გეზი მარიაპოლისკენ აიღო, სადაც მფრინავებს საწვავი უნდა ჩაესხათ. როგორც კი თვითმფრინავი ჰაერში გასწორდა, გენომ და ლევანმა პურ-მარილის გაშლა დაიწყეს. ერთ-ერთმა მფრინავმა ოსტატურად გაურია სპირტი და პეპსი-კოლა ერთმანეთში, ჩამოასხა და გარდა ეკიპაჟის მეთაურის მოადგილისა, ყველამ დაღევა დაიწყო.

მარიაპოლიდან თვითმფრინავმა გეზი თბილისისკენ აიღო და ორ საათში თბილისის აეროპორტში დაჯდა. იმ პერიოდში თვითმფრინავები თბილისის აეროპორტიდან ძალიან იშვიათად მოძრაობდნენ და ამიტომ აეროპორტში თითქმის სიცარიელე იყო. სპირტმა და პეპსი-კოლამ თავისი გააკეთა და ლევანი კარგად გაბრუული ჩამოვიდა თვითმფრინავიდან. გენო ძლივს ჩამოიყვანეს, ხოლო ეკიპაჟის წევრები ერთმანეთს ვერ სცნობდნენ.

საქონელი საწყობის თანამშრომლებმა ჩამოტვირთეს. ორ სატვირთო მანქანაში ვერ ჩატიეს, ამიტომ მსუბუქ მანქანებში გადაანაწილეს.

გენო და ლევანი გელაშვილმა მიიყვანა სახლებამდე. გზაში საქმეზე არ ულაპარაკიათ. შეხვედრა მეორე დღისთვის საწყობში დათქვეს.

XXII

იმ ღამეს, როდესაც გენო და ლევანი კიევიდან თბილისში მოფრინავდნენ, გლდანში აჩიკო ცარციძესთან სტუმრობდნენ კოტე, უშანგი, გელა და ლაშა. საუბარი ისევ და ისევ ასოციაცია „ლაშარს“ შეეხებოდა. კოტე და უშანგი მომხდარი ინციდენტის გამო ასოციაციაში ვეღარ მიღიოდნენ. ახლა მით უშეტეს, როდესაც ლევან სართელი ჩამოვიდა, ისინი იქ საერთოდ ვეღარ გამოჩნდებოდნენ. კოტეს კი ჰყავდა ასოციაციაში თავის „ნასედებები“, მაგრამ მათ ძირითად დოკუმენტაციასთან ხელი არ მიუწვდებოდათ. ერთადერთი გზა ინფორმაციის მიღებისა იყვნენ პარტიის თანამშრომლები გელა და ლაშა. ეს უკანასკნელნი კი თავის მხრივ უარს ამბობდნენ კოტესთან და უშანგისთან თანამშრომლობაზე იმ მოტივით, რომ მათი მოწოდებული „ნაკოლები“ იყო მცდარი. აჩიკოსგან ითხოვდნენ, რომ ძმები, გელას და ლაშას სასარგებლოდ, ხუთი ათასი დოლარით დაუჯარიშებინა. ამ ფულიდან, რა თქმა უნდა, ნახევარი აჩიკოსი

იქნებოდა. ცარციძემ უსმინა ორივე მხარეს და ბოლოს თვითონაც ჩაერთო საუბარში:

— გელა, შენ სულ ჩხუბით იცი ლაპარაკი. ორი სიტყვით ამიხსენი, რაში ადანაშაულებთ ამ ხალხს?

— გეტყვი, მმაო, მოკლედ და კონკრეტულად, — წყნარ, დაბალ ხმაზე დაიწყო საუბარი გელამ, — კოტემ და უშანგიმ მითხრეს, რომ ლევანა სართელს გავყოლოდი კიევში იმ მიზნით, რომ მაგის თითოეული ნაბიჯი გამეკონტროლებინა. წავედით. გვერდიდან არ ვცილდებოდი. შენ წარმოიდგინე, აჩიკო, ხუთი დღე წამალი არ გავიკეთე, არაფერი გამომრჩეს-თქო. ლევანას ჩვენთან არაფერი დაუმალავს, მმაო. სადაც მიდიოდა, მივყავდით. ზედ გადაგვევა, რაც სიმართლეა, სიმართლეა. ეგრე არ არის, ლაშა?

ლაშამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— დაუე, ერთხელ პაპკა დარჩა რა, აი ის, ქალალდებს რომ აწყობენ შიგნით. სულ გავჩითეთ, ვერაფერი ისეთი ვერა ვნახეთ, რომ ეჭვი შეგვეტანა. წაგვიყვანა, წამოსალები ტავარი გვაჩვენა. ფირმის ხალხი გაგვაცნო. სულ ღიად მუშაობდა. ფულს ხარჯავდა. მე დღემდე ხმას კიდევ არ ვიღებდი. იცი რატომ, აჩიკო? კოტემ მითხრა, ეგ აუცილებლად უსაქონლო ოპერაციას გააკეთებს და ისე ჩამოვაო.

— ეგ უსაქონლო რაღაა? — იკითხა აჩიკომ.

— ეგ რა ყოფილა, იცი, აჩიკო? — განაგრძო გელამ, — თურმე ტავარის მაგივრად ფულს აიღებს, იმ თავისას მოხსნის, აქ ჩამოვა და იტყვის, საქონელი არ მომეწონა და არ წამოვიღეო და რაღაცას გააფორმებს. ჰოდა, რომ გავიგე თვითმფრინავით საქონელი მოაქვთო, ჩვენი ბიჭები გავგზავნე აეროპორტში. წადით, დახვდით, თან ნახეთ, მართლა ტავარი ჩამოვიდა თუ არა-თქო. წელან დამირეკეს, იმდენი ტავარი ჩამოიტანეს, მანქანებში ვერა ტევენო. ჰოდა, იმიტომ დამაგვიანდა აქ მოსვლა. ახლა რა ვქნა, ტო? მივიდე ლევანასთან და ვუთხრა, ფული უნდა აგახიო, იმიტომ, რომ კაი ბიჭი ხარ-თქო? პროსტო, პრიჩინა არა მაქვს, აჩიკო, თორემ შენ კარგად იცი, ფულის გულისთვის ერთ ადგილზე მ... ა გინდა ლევანა იყოს და გინდა-მიშა.

— მიშა ვინდაა, ტო? — იკითხა გაოცებულმა აჩიკომ და ყველას თვალებში შეხედა.

— აი ის, ტო, კაცს მჭადის სახელი დაავიწყდაო, — ლაპარაკობდა და თან ხელებს იქნევდა გელა, — საბჭოთა კავშირი რომ დაშალა.

— ააა ... გარბაჩოვი? — გაეცინა აჩიკოს, — როგორ გეტყობა, რომ პოლიტიკოსი ხარ. რა მექსიერება გაქ, შე ჩემა, საიდან გაიხსენე.

— კიდევ ერთი რამე, აჩიკო, — თქვა გელამ და ვენაში ახალგაკეთებული წამლის ნანემსარზე ცხვირსახოცი მაგრად გაიჭირა, — ესეთ საქმეზე მე ამ ძმებთან ურთიერთობას ვწყვეტ, იმიტომ, რომ ფრაერები არიან. თან მე, ძმაო, გელაშვილი მყავს გასაწერი. რამდენიმე მანეთი პარტიის ფული გადაურიცხია სადღაც, როგორც ჩანს, ვალები ჰქონდა. ამათ, კოტემ და უშანგიმ, ჩემი გამისწორონ და ის ლევანა თავისი ასოციაციით თქვენთვის მიჩუქნია.

კოტემ და უშანგიმ ერთმანეთს გადახედეს. არც ერთს ფერი არ ედო სახეზე. თავის დაგებულ მახეში თვითონ გაებნენ. კოტე კანკალმა აიტანა. ფინია ძალლივით შეჰყურებდა აჩიკოს და ელოდა, რა განაჩენს გამოუტანდა შეფი.

აჩიკო წამოდგა და ნელა გავიდა საძინებელში. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მოსამართლე გავიდა განაჩენის გამოსატანად. აჩიკომ საძინებელში წამალი გაიკეთა. ცოტა ხანს წამოწვა, სიგარეტი გააბოლა, როგორც კი წამალმა მოქმედება დაიწყო, ხელი წამოაკლო თავის მოუცილებელ ატრიბუტს, „აქ“-ის მარკის ავტომატს, გამოვარდა ბიჭებთან, ავტომატი დაუმიზნა და არაადამიანური ხმით იყვირა:

— სეფერთელაძეებო, თქვენი დედა . . . ! ერთხელ თქვენი გაკეთებული საქმე მაჩვენეთ, თქვე დედა . . . ! ახლავე ჩაგცხრილავთ.

კოტე და უშანგი მუხლებზე დაეცნენ და ცალკ-ცალკე ბლაოდნენ:

— არ დაგეხოცო, აჩიკო, ოჯახები არ დაგვიობლო!
გეხვეწებით...

გელა ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ცარციძეს და ავტომატი
ხელიდან გამოართვა. მჭიდრი გამოიღო, შიგ ტყვიები არ ეწყო.
არც ავტომატში აღმოჩნდა ტყვია. შეხედა აჩიკოს და გაეცინა.

— რა გაცინებს, ტო? — დაიკნავლა ცარციძემ, — ამათზე ტყვიას
გავაფუჭებ? ესენი კონდახით უნდა ცემო ან კიდევ სხვა რამით,
თუმცა არც ეს არის მაგათზე გასასვრელი.

გელამ ავტომატი კედელზე მიაყუდა. აჩიკო ბარბაცით
მივიდა სავარძელთან და როგორც იქნა, ჩაჯდა. ერთი თვალი
დახუჭული ჰქონდა, მეორე ღია. წამლის გაკეთების დროს ასე
მოსდიოდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გახელილი
თვალი დაეხუჭებოდა, ხოლო დახუჭული გაეხილებოდა და ასე
გრძელდებოდა მანამდე, სანამ წამალი თავის მოქმედებას არ
დაამთავრებდა.

— უშანგ! — იყვირა აჩიკომ.

— გისმენ, აჩიკო, — ამოიგმინა უშანგიმ და ყურები ცქვიტა.

— ფულს როდის მისცემ ამ ბიჭებს?

ეს უკვე განაჩენი იყო.

— აჩიკო, ხომ იცი ჩვენი მდგომარეობა. რა დღეში ვართ...

— რაში მაინტერესებს მე შენი მდგომარეობა, შენ რა დღეში
ხარ, სულ ერთ ადგილას მკიდია. გეგითხები, ფულს როდის
მისცემ ამ ბიჭებს?

— აჩიკო, ხომ იცი მე, უშანგი და კოტე უცხოები არა ვართ
ერთმანეთისთვის, — საუბარში ჩაერთო გელა და სცადა
სეფერთელაძეების მდგომარეობის შემსუბუქება, — ერთი-ორი
თვის შემდეგ იყოს, ჩვენ ძალიან არ გვეჩარება. მაგრამ ორ
თვეს ნუ გადააცილებთ, თორემ ჩვენ ხომ იცით, პოლიტიკოსები
ვართ და პარლამენტში აღებული ხელფასებით ოჯახებს ვერ
შევინახავთ.

— კაროჩე, ცოტას მეც დაგიმატებთ და ამათ ფულსაც და
ჩემსასაც თებერვლის ბოლომდე მოიტანთ. გაიგეთ?! — იყვირა

აჩიკომ, ორივე თვალი ფრთხილად გაახილა და უშანგის მიაშტერდა.

— გასაგებია, — ერთხმად უპასუხეს ძმებმა და ამოისუნთქეს.

უკვე ონდებოდა, როდესაც აჩიკო ცარციძის საცხოვრებელი კორპუსიდან ოთხი მამაკაცი გამოვიდა. ისინი ჩასხდნენ მანქანებში და ქალაქისკენ წავიდნენ.

XXIII

მიუხედავად სიმთვრალისა და დაღლილობისა, სახლში მისულ ლევანს თვალი არ მოუხუჭავს. მამის მოსვლა რომ გაიგეს, ბავშვებსაც გაეღვიძათ და რა მომიტანეს ძახილით დასდევდნენ ლევანს. სართელი ცოლ-შვილს მოესიყვრულა, ისაუბრეს, იცინეს. ბავშვებს საჩუქრები ჩამოურიგა. მერე შხაპის მიღება გადაწყვიტა. აბაზანიდან გამოსულმა საათს შეხედა, უჩე დიღის შვიდი საათი სრულდებოდა. რვაზე საწყობში უნდა ყოფილიყო. ჩაიცვა, მანქანა გამოიძახა და წავიდა სამსახურში, ისე, რომ თვალი არ მოუხუჭავს.

საწყობში ბიჭებს მთელი ლამე ემუშავათ და თითქმის ყველა საქონელი დაეხარისხებინათ. საწყობის გამგემ, თემურმა, ანგარიში წარუდგინა ლევანს. შედარებისას ხუთი წყვილი ფეხსაცმელი აკლდა. თემური უხერხულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ლევანმა დაამშვიდა:

— ნუ ნერვიულობ, შეწე არ ვიჰჭვიანებ, ნეტა ყველა შენისთანა ერთგული იყოს. სატვირთო მანქანების გარდა რამდენ მსუბუქ მანქანაში გადანაწილდა საქონელი?

— ჩემი მანქანის ჩათვლით, რვაში, — უპასუხა თემურმა.

— აბა, რა გინდა, შე კაი კაცო, კიდევ ნამუსიანად მოუპარავთ, — გაეცინა ლევანს და თემურს მხარზე ხელი წამოარტყა.

საწყობის გამგემ შვებით ამოისუნთქა. თემური მართლა წესიერი კაცი იყო. დაუკითხავად არაფერს გააკეთებდა, ამიტომაც ლევანი მას ყოველთვის ენდობოდა.

ერთ საათში გელაშვილი და ჭანკვეტაძე მოვიდნენ. გელაშვილმა დაათვალიერა საქონელი, მოეწონა და რეალიზაციის დაწყებაზე ბრძანებაც გასცა. ლევანი დაწვრილებით მოუყვა ზაურს კიევის ამბებს.

— ზაურ, თუ ასე კუდში მდიეს შენმა პოლიტიკოსებმა და მივლინებაში მაგათ მოვლა-პატრონობაზე ვიზრუნე, მე ყველა საქმეს წაგებით დავასრულებ, — გამოოქვა საყველური ლევანმა,

— მე ტურისტული საქმიანობა ჯერ არ დამიწყია.

— რატომდაც მაგათი დამოკიდებულება ჩვენს მიმართ აღარ მომწონს, — ჩაილაპარაკა გელაშვილმა.

— რატომ, აღარ ვჭირდებით? — საუბარში ჩაება გენო, — გითხარით, ძმაო, გავლენ პარლამენტში და მერე მოგვისვრიან-თქო. არ დამიჯერეთ და აგერ შედეგი.

— მთლად მასე არაა, გენო, მარა მაინც გაცივდა ურთიერთობები, — აღელვებული ლაპარაკობდა გელაშვილი.

— მაგათ არ მოეწონათ ლეგიონის ბიჭებთან ჩვენი დაახლოება. კიდეც წამომძახა პარტიის თავმჯდომარევ ერთი კვირის უკან ვითომ ხუმრობით, „რავა, ორიენტაციას ხომ არ იცვლიო, გელაშვილო?“. წადი და უმტკიცე შენ მაგას, რომ ისინი თანამშრომლობისთვის კი არა, მოსაკლავად მოვიდნენ.

— რაც არის, არის, — ხელი ჩაიქნა სართელმა, — შევცვალოთ საუბრის თემა. შუა აზიდან რა ისმის?

— შემჭამა, კაცო, იმ ვოვა საბაურმა. ვინ არის, თუ ძმა ხარ? დღეში ათვერ რეკავს ტაშკენტიდან.

— რაო, რა მინდაო? — ჩააცივდა ლევანი.

— როდის ჩამოხვალ შუა აზიაში, კონტრაქტია გასაფორმებელიო. მე ვუთხარი, კაცო, ჩამოვა ის ხალხი და გამოუშვებ-თქო. აწი რაღას წახვალთ, ახალი წელი მოდის. ბარემ ჩაიაროს ახალმა წელმა და მერე გაემგზავრეთ.

— მეც უნდა წამოვიდე შუა აზიაში? — იკითხა გაკვირვებულმა გენომ.

— აბა?!

— თუ მა ხარ რა, ლევან, მე მიმაგრებული ვარ ევროპაზე და იმ ჩუჩმეკებში ვერ წამოვალ, — ასწია ხელები ჭანკვეტაძემ და საწყობში დაიწყო სიარული.

— გენო, — დაუძახა ლევანმა, — მოლი, კაცო, აქ. ერთად წაკიდეთ, მომებმარე საკონტრაქტო პირობების დამუშავებაში. ჩინელებს, კორელებს, უზბეკებს და ყაზახებს უნდა შევხვდეთ. მარტო ცოდვა ვარ, ტო. მერე წადი იმ შენს ევროპაში და იმუშავე. აზიაში მე ვიმუშავებ ვოვასთან ერთად.

— არ გადაინაწილეს მსოფლიო, — გაეცინა გელაშვილს, — ამერიკას ვის ამაგრებ, სართელო?

— ამერიკას, თუ გინდა, გჩუქებ შენს საგვარეულოს, მაინც ბევრნი ხართ.

— რატომ? მთელი მსოფლიო ამერიკაში გარბის და შენ უარს ამბობ?

— ჩემო ზაურ, ამერიკელი შენ არაფერს მოგცემს და, თუ დაგეხმარა, ორმოცდათჯერ და ასჯერ მეტს წაგარომევს. ისე შეგახრამუნებს, ვერ გაიგებ.

— ეს შენი დასკვნაა? — იკითხა ლიმილიოთ ზაურმა.

— არა, ბატონო. ჯერ კიდევ თავის დროზე შენი საყვარელი პრეზიდენტის მშობელმა მამამ, კონსტანტინე გამსახურდიამ, თქვა: „ამერიკელები მეოცე საუკუნის კანიბალები არიანო“, — გაიგე, ბრატ ?!

— პოო, კარგი, კარგი, შენი იყოს ექვსივე კონტინენტი.

ხელი ჩაიწია და მაგიდისკენ დაიძრა, სადაც საწყობის გამგე საქონლის ნიმუშების გამოფენას იწყებდა. ისედაც, როდესაც ვინმე გამსახურდიას გვარს ახსენებდა, იქაურობას მაშინვე გაეცლებოდა ხოლმე, რადგან არ უნდოდა კონფლიქტური სიტუაციის შექმნა. ყველამ იცოდა, გელაშვილი ყოფილი ზეიადისტი იყო და ამ თემაზე მასთან საუბარს ერიდებოდნენ.

რამდენიმე დღეში ვოვა საბაურიც ჩამოვიდა შუა აზიადან. შეიკრიბნენ ასოციაციის ოფისში გენო, ვოვა, ლევანი და ზაურთან, კაბინეტში, დაიწყეს საქმეზე საუბარი. როგორც გაირგა, შუა აზიის მხარეს მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი, აქტიურად ჩაბმულიყო ევროპა-აზიის დერეფნის, „აბრეშუმის

გზის“, საქმიანობაში. როგორც საბაური ამბობდა, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა იოლი არ ყოფილა. სანამ ჩვენი პოლიტიკოსები ერთმანეთთან ომით იყვნენ გართულნი, თურქეთის ეკონომიკურმა სამსახურებმა შეა აზის ბაზარი ფაქტობრივად დაიპყრეს და რუსეთის გავლით, ნოვოროსიისკიდან ბორნების და გემების საშუალებით საქონლის ურთიერთგაცვლას აწარმოებდნენ შეა და ცენტრალური აზის ქვეყნებთან. რომ არა ვოვას და ლევანის სომები პარტნიორების ძალისხმევა და აქტიური ჩარევა, შეა აზის საქმიანი წრები საქართველოსკენ პირს არ იბრუნებდნენ. დღეს სომხეთს საქართველო წყალივით სჭირდებოდა, რადგან აზერბაიჯანთან ომის გამო ის, ფაქტობრივად, იზოლირებული იყო და „იკვებებოდა“ მხოლოდ საპატიო გზით, რაც, ჯერ ერთი, ძვირი უჯდებოდა და, მეორე, კვების პროდუქტების შეზიდვა ძალიან მცირე მოცულობით ხდებოდა. უგზობამ შიმშილის პირას მიიყვანა სომები ხალხი. საქართველო იყო ერთადერთი გზა, რომლის გავლითაც სომხეთი შეძლებდა მიეღო ტვირთი საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით. ლევანის და ვოვას სომები პარტნიორებს, რომლებიც ტაშკენტსა და ალმათაში ცხოვრობდნენ, საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ ადგილობრივ სახელისუფლო და საქმიან წრეებზე. ასე რომ, ეს მომენტი ხელიდან გასამვები არ იყო. ამ ეტაპზე შესაძლებელი იყო ბრინჯის და ფერფლის წამოლება, ხოლო შემდეგ კი სხვადასხვა ასორტიმენტის სამრეწველო და სასურსათო საქონლის გადმოტვირთვა, როგორც ამიერკავკასიის და წინა აზის რესპუბლიკისათვის, ასევე ევროპისათვის. ვოვამ საუბარი რომ დაამთავრა, ლევანს შეხედა. მისგან ელოდა კომენტარს ჩატარებული მუშაობის შესახებ. ლევანმა ჩაახველა და დაიწყო:

— ეს ყველაფერი შესანიშნავია, ვოვას ნაყოფიერად უმუშავია, შეა აზის საქონელზე მოთხოვნაც დიდია და საქონლის მოძრაობის სქემაც პროფესიულ დონეზეა შედგენილი, მაგრამ ფულს რა ვუყოთ?

— ჰმ! — გაეცინა გელაშვილს, — შენი მიკვირს, ლევან, რაც კიევიდან ჩამოხვედი, ვერ აზროვნებ თუ რა ხდება? რამდენი სჭირდება საქმის დაწყებას?

— ასი მილიონი რუბლი მაინც, — უპასუხა საბაურძა.

— მერე, მარტო საწყობში ორას ორმოცდაათ მილიონს ვერ ამოიღებ? — ემოციებს ვეღარ იკავებდა გელაშვილი,

— ორმოცდაჩვიდმეტი მილიონი ანგარიშზე გვიდევს და გადარიცხე, როცა გინდა...

— სტოპ! სტოპ! აი, სწორედ მაგაშია საქმე, ვეღარ გადარიცხავ, — თქვა ლევანმა, წამოდგა ფეხზე და კაბინეტში სიარულს მოჰყვა.

— დაჯექი რა, თუ მმა ხარ? — აბობოქრდა გენო ჭანკვეტაძე, — რა ჩვევა გაქვს, ტო, ეს სიარული, თვალები დამეღლება ხოლმე. ვაჲ! ვინ არის ეს კაცი!

— გაიგე, ალექსანდროვიჩ, რა გითხარი? — თავისას აგრძელებდა ლევანი და ისევ წრეს უვლიდა კაბინეტს.

— ვითომ რატომ ვერ გადავრიცხავთ, რა ჩვენს ფულს ნომერი არა აქვს, თუ სხვანაირი რუბლია? — არ ცხრებოდა გელაშვილი.

— იმიტომ ვერ გადავრიცხავ, რომ ახალი წლიდან ფულის გადარიცხვა დსთ-ს სივრცეში შეუძლიათ მხოლოდ იმ ქვეყნებს, ვინც ამ ლეგენერატული თანამეგობრობის წევრები არიან. ჩვენებმა ვინაიდან უარი თქვეს დსთ-ში გაწევრიანებაზე, ფულს ყაზახეთში ვერ გადარიცხავენ. მსოფლიო საბანკო სისტემაში კი ჩვენ და შეუა აზის ქვეყნები ჯერ ჩართულები არა ვართ. ერთი ვარიანტი რჩება, ნაღდი ფული ჩაიტანო, რისი გამკეთებელიც მე არა ვარ მოსკოვის შემდეგ. თან რამდენი „მეშოკი“ უნდა აიკიდო, ეგეც საკითხავია, ისე უბერავს ინფლაცია. დოლარის შოგნა ჩვენს ბაზარზე ძნელია. ამ გადახურდავებაში იმდენს აგებ, რაც საქონელში უნდა მოიგო, ესე იგი, აზრი არა აქვს.

— ბარტერირომგავუკეთოთ? — ჩაერთო საუბარში ჭანკვეტაძე,
— მივცეთ, მაგალითად, კონიაკი ან პორტვეინი?

— არა, გზებზე ყაჩალობა მიღის, განსაკუთრებით სასმელზე,
— იუარა ვოვაჩ.

— იქნებ სომხებს დავაფინანსებინოთ? — წამოიძახა ლევანმა.

— გეუბნები, რა, — გაშალა ზელები გელაშვილმა, — რაც
კიევიდან ჩამოვიდა, თავის მატორზე ვეღარ არის. ბიჭო, სომეხი
შენს სასარგებლოდ რამეში ფულს ჩადებს, მაგის გულისთვის
კალათბურთს არ თამაშობენ.

ამით გელაშვილმა ჩათვალა, რომ თავის უვიცობა საბანკ
საქმეებში გაანეიტრალა. თან ის ხომ პოლიტიკოსობდა და
როგორ არ უნდა სცოდნოდა, რომ საქართველოს დსთ-ს
სივრცეში არ გაახარებდნენ. ლევანისთვის მიცემული
შენიშვნით, ეგონა, რომ რაღაც ქულები ჩაიწერა, მაგრამ მისი
სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან სართელმა პასუხის
დამთავრებაც არ აცალა, რომ მიახალა:

— რომ მოშივათ, დააფინანსებენ.

— ჰო, კარგი, მოვრჩეთ ეს საკითხი, — ზელი ასწია
გელაშვილმა, — სასწრაფოდ გაყიდეთ ორმოცდაათი-სამოცი
მილიონის საქონელი. ფული, ყოველი შემთხვევისთვის, მზად
გგქნდეს, დაგელოდოთ მოვლენების განვითარებას, ამასობაში
ახალი წელიც გადაივლის და დავიწყოთ შუა აზიასთან მუშაობა.
სხვა საკითხები არის კიდევ?

— ერთი საკითხი დარჩა, — ზელის აწევით ოქვა ლევანმა.

— არ მითხო ახლა, ვიღაცას ფეხსაცმლის ან ტანსაცმლის
მუქთად წალება უნდაო, ისედაც ამდენი გავეცით საჩუქრად, —
ცხარობდა გელაშვილი.

— არა, ბატონო ზაურ, დაწერარდით, — გაეცინა ლევანს, —
ერთმა ჩემმა ახლობელმა დამირეკა, ზვალ ღორის დაკვლაზე
ვართ დაპატიჟებულნი. რას იტყვით, ხომ არ სჯობს, საქმეები
ერთი-ორი დღით გადავდოთ და დავისვენოთ.

გელაშვილის კაბინეტში დიდი უივილ-ხივილი ატყდა.
ყველა თანახმა იყო, წასულიყვნენ ღორის დაკვლაზე და ცოტა
წაექეიფათ.

XXIV

ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი წლის ოცდარვა დეკემბერი თოვლის თანხლებით გათენდა. მთელი თბილისი თოვლის საბურველში იყო გახვეული და თან ბარაქიანად ბარდნიდა. ლევანი სახლში მარტო იყო. ცოლ-შვილი წინა დღით გაამგზავრა სოფელში. ახალ წელს ტრადიციულად სოფელში ხვდებოდა, მამისეულ სახლში. ახლა კი მონატრებული იყო ახალი წლის შეხვედრას სოფელში. ოთხმოცდათორთმეტის ახალ წელს მოსკოვში შეხვდა და არსად გახედვა არ სურდა.

დღე ნელ-ნელა იკრებდა ძალას და მშვიდად, ოთარ რამიშვილის სიმღერისა არ იყოს, „არყისფრად თენდებოდა“. ლევანმა მძღოლს დაურეკა. ჯერ ჰკითხა, თუ შეიძლებოდა ამ თოვლში სიარული. თანხმობის მიღების შემდეგ დაავალა, ვოვასთან და გენოსთან გაევლო, ჩაესვა მანქანაში და მერე გამოსულიყო მასთან. გელაშვილს დაურეკა. ზაური მზად იყო, თავისი მანქანით მოღიოდა, სანადირო თოვიც მოჰქონდა, ქედნებზე უნდა ვინადირო. ლევანმა პირადი ნივთების ჩალაგება დაიწყო. სოფოს ყველაფერი ერთ ადგილას დაელაგებინა, რომ ლევანს გადაეხედა, თუ რამე თვითონ გამორჩა, ლევანს დაემატებინა. სოფელში ერთი კვირა აპირებდა დარჩენას, დასვენება უნდოდა. მისთვის ძალიან დაძაბული გამოდგა ათას ცხრაასოთხმოცდათორმეტიწელი. თითქმის სულმივლინებებში მოუწია სიარული. ყოველდღიურმა დაძაბულობამ თავისი პკალი დატოვა მის ჯანმრთელობაზე. ამიტომ რამდენიმე დღე დასვენება მალამოსავით წაადგებოდა ორგანიზმს. ძალების აღდგენას უცბად ახერხებდა, მაინც ძველი სპორტსმენი იყო და ჯერ ჯანი მოსდევდა.

ლევანმა ერთი საათი იბოდიალა, იბოდიალა და, როგორც იქნა, მოემზადა. საათს დახედა. ცხრა სრულდებოდა. ამ დროს მანქანის სიგნალიც შემოესმა, გადაიხედა აივნიდან, — ახლავე ჩამოვალო, — გადასძახა, კარები გაიხურა და კიბეებზე დაეშვა.

როგორც კი სადარბაზოდან გამოვიდა, მის მანქანას უკან გელაშვილის მერსედესიც მოადგა მთელი თავისი არსენალით. ლევანმა მანქანაში ჩაიხედა და გაეღიმა, გელაშვილს წინა სავარძელზე თოფი მიეყუდებინა, ხოლო თავისი ცოლის ძმა უკან დაესვა. „ეტყობა იჩხუბეს და დასაჯა“ ასეთი დასკვნა გააკეთა სართელმა. გურამს მიესალმა, ხოლო ზაურს დაუძახა:

— ალექსანდროვიჩ! რა არის, საომრად მიდიხარ?

— გარეული მტრედები იცის შენთან, სოფელში და ცოტას გავერთობი.

— თუ გექნება მაგის დრო, კი ბატონი, — უთხრა ლევანმა და ჩაჯდა მანქანაში. „მექელეხები“ გზას გაუდგნენ. ეს სიტყვა კახეთში მიღებულია, რადგან ღორის დაკვლას მეორენაირად „ღორის ქელებს“ ეძახიან.

„მექელეხები“ მშვიდობიანად ჩავიდნენ სოფელში და ლევანის ძმის, გიორგის, სახლს მიადგნენ, სადაც უნდა შემდგარიყო მთელი წლის ნალოლიავები, სიმინდით, ქერით, კორმით, შრატით და სხვა სპეციუცეპტებით გასუქებული ღორის დაკვლა.

თოვდა და თოვდა. არ აპირებდა გაჩერებას. თოვლი რომანტიულს ხდიდა ამ დღეს. მასპინძლები სტუმრებს დიდი სიხარულით შეხვდნენ. გიორგის ოჯახობას ყველაფერი მზად ჰქონდა პურ-მარილისათვის. ლევანმა სახლის კუთხესთან გამართული საარყე ქვაბიც შენიშნა და გიორგის გასძახა:

— არაყი უნდა გამოხადო?

— ჰო! ერთი-ორი ქვაბი ჭაჭა კიდევ დარჩა და ბარემ დღეს გამოვხდი, თან სამწვადე ნაკერჩხალიც მუდმივი გვექნება.

— გენო! ვოვა! — აყვირდა ლევანი, — მოღი, ტო, ნახეთ, დვაინო პრაზნიკი გვაქ. მოდით, კახეტინსკი ზაოტი გაჩვენოთ.

ბიჭები მოგროვდნენ არყის ქვაბთან, რომელიც გამოსახდელად წინასწარ შეტხადებული იყო. ცეცხლის ანთების პატივი გენოს მიანიჭეს. იმანაც შეიფერა და სანთებელით ქვაბის ქვეშ დაყრილ შეშას ცეცხლი მოუკიდა. ყველამ ერთხმად შემოჰკრა მხურვალე ტაში და ისეთი

ოვაციები გამართეს, ლამის ციდან მომავალი ფიფქებიც კი გაჩერდნენ, „ეს რა ხდებაო!“.

ამ დროს ღორის დამკვლელი დათოც გამოჩნდა, მის გარეშე ლევანის საახლობლოში არ იკვლებოდა არაფერი. დათო ახალგაზრდა კაცი იყო, ცნობილი მონადირე, დაუღალავი, ენერგიული. ოსტატურად იცოდა საქონლის, ღორის, ცხვრის დაკვლა. ელვისებურად ატყავებდა. დაჭრიდა, დაახარისხებდა. მოსახარშს მოსარშავდა, შესაწვავს შეწვავდა, კარგადაც დათვრებოდა და მერე მშვიდად მიდიოდა სახლში. სტუმრები დათოს კარგად იცნობდნენ, ხშირად ხვდებოდნენ პურ-მარილებზე. ამიტომ შორიდანვე ხელის აწევით მიესალმნენ. შემდეგ მოიკითხეს და პირველი შეკითხვაც მისცეს:

— მწვადი როდის გვექნება, დავით?

— ახლავე, ერთ საათში. თქვენ მანამდე ღვინო ჩამოასხით, — გაუცინა დათოს და დანები გარეთ სახელდახელოდ დადგმულ მაგიდაზე დააწყო.

მოვლენები სწრაფად განვითარდა. მთელი წლის ნალოლიავები „ქუცია“ გამოაბრძანეს თავისი საღორიდან, დათომ ოსტატურად წამოაქცია, დანა დაარტყა პირდაპირ გულში და საწყალმა ღორმა ნახევარი დაჭყივლება ძლივს მოასწრო, ისე განუტევა საფშვინველი. მხოლოდ უკანა ფეხებს იქნევდა და ფხოჭნიდა თოვლს. თოვლი სისხლით შეიღება.

ღორის დაკვლის დროს ყველას ოცნებაა, რომ იმ დროს თოვლი იყოს მოსული, რადგან სისხლით შეღებილი თოვლის დანახვა ბევრს განუმეორებელ სიამოვნებას ანიჭებს.

ბიჭებმა ადუღებული წყალი მოიტანეს. ხის ტახტზე დადებულ ღორს ზედ გადასხეს, მერე ჯვალოს ტომრები გადაფარეს. ჯაგარი რომ კარგად დალბა, ტომრები მოაცილეს და კანიდან ჯაგარის გაცლა დაიწყეს. შემდეგ გატრუსეს, დაბანეს, გაასუფთავეს და დათომ ღორის შიგნეულის ამოღება დაიწყო. როგორც გაჭრა ღორის მუცელი, მაშინვე ელენთა ამოაჭრა, კახეთში ელენთას ფიწიხს უწოდებენ და ლევანს მიაწოდა, თან მიაძახა:

— დანარჩენი შენ იციო.

ლევანმა ხმაამოულებლივ გაასწორა ნაკვერჩხალი. ელენთას ანუ ფიწის მარილი დააყარა და ნაკვერჩხალზე დააგდო. იქვე მდგარი პატარა მაგიდა არყის ქვაბთან მოაჩოჩა. გამოიტანა პური, ყველი, მწნილი, დაჭრილი ხახვი, ღვინო, ჭიქები. შემდეგ ელენთა მეორე მხარეს გადაატრიალა. წელში რომ გაიმართა, არყის ქვაბს შეხედა, არაყს უკვედენადაეწყო, ბოთლში ჩამოასხა და გასაციებლად იქვე, თოვლში ჩადო.

შემწვარი ელენთა ნაკვერჩხლებიდან აიღო, რამდენიმე ნაკვერჩხალი, რომელიც ზედ აჰყვა, ხელით მოაცილა, პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭრა და დიდსა და პატარას, ყველას არყის ქვაბთან მდგარ მაგიდასთან უხმო.

ლევანის დაძახებაზე ყველანი არყის ქვაბისკენ დაიძრნენ. მარტო გელაშვილი დადიოდა სახლის უკან ჯარისკაცის მამასავით თოფვადაკიდებული და გარეულ მტრებებს ელოდა.

— მოდი, კაცო, რა ნადირობა აგიტყვდა ამ გაგანია თოვლში? — გასძახა სართულმა და თან ხელი დაუქნია.

— გაჩერდი, თუ მმა ხარ, — არ იშლიდა თავისას ზაური, — რა გესმის შენ ნადირობის.

— შენ რომ გესმის, იმიტომაა, რომ თოფის გადატენვას ვერ ასწრებ, — უთხრა სართულმა და არყის ქვაბთან შეკრებილმა ბიჭებმა სიცილი დააყარეს გელაშვილს, — მოდი, ამაზე კარგი ნანადირევი რაღა უნდა ჭამო.

გელაშვილს გაეცინა, ხელი ჩაიქნია და მაგიდისკენ წამოვიდა. ლევანმა ღვინოც ჩამოასხა ჭიქებში და არაყიც. მერე არყის ჭიქას მოჰკიდა ხელი და მიმართა თანამენახებს:

— აგერ, მმაო, ვისაც გნებავთ, ღვინო მიირთვით, სუფთა რქაწითელია, ვისაც გნებავთ, არაყი, ახლახანს თოვლში გავაციე და ვისაც გნებავთ, ცხელი არაყი, რომელიც თქვენს გვერდით მოჩუხჩუხებს. მე კი ტრადიციულ სადღეგრძელოს შემოგთავაზებთ. თქვენს მობრძანებას გაუმარჯოს ამ ტკბილ, ლამაზ, ქართულ ოჯახში და აქვე დავამატებ, აი, ასეთი „ქელებები“ ამ ოჯახში არ მოშლილიყოს. გაგიმარჯოთ, მმებო!

ლევანმა არაყი ელვისებურად გადაქრა, ერთი ნაჭერი ფიწიხი
მიაყოლა და დათოს გასძახა:

— დავით! წამოდი და სუკები წამოიღე რა!

— მოძაქ, მოძაქ, ნიკალავიჩ.

დათომ დანაპირები შეასრულა და სუკებს თაფლა სუკებიც
მოაყოლა. სანამ ბიჭები სადლეგრძელოს მიირთმევდნენ, ლევანმა
სუკები შამფურებზე წამოაგო და ნაკვერჩხალზე დადო.

სუფრას გიორგის მეუღლე, მზია, მოუახლოვდა და სინზე
დადებული მრგვალად მოხარშული დედალი მოიტანა თავისი
ნიორწყლით.

— მზია! ეს ქათამი რაღად გინდოდა, ამდენი ხორცია, რატომ
შეწუხდი? — უსაყველურა გენომ.

— აბა, სადა გაქვთ ხორცი? — ჰკითხა მზიამ გენოს.

გენომ მიმოიხედა და მაგიდაზე ყველის, მწნილის, ხახვის და
პურის მეტი არაფერი იყო. მწვადი კი იწვებოდა, მაგრამ ხორცის
დეფიციტი რაღაცით ხომ იყო შესავსები.

— აი, ხედავ, რა ჭკვიანი წინაპრები გაყავდა, — თქვა გენომ და
ქუდი გაისწორა, — ახლა მივხვდი, რატომ არის ნათქვამი: „ძროხა
დაკლეს, ქათამი დააკლესო, ღორი დაკლეს, ქათამი დააკლესო...“.
თურმე სუფრაზე ხორცის მოსალოდნელი დეფიციტი რომ
შეივსოს, მაინც აუცილებელია ქათმის დაკვლა.

ლევანმა შემწვარი სუკები დიდ ჯამში ჩაყარა, მოაყარა
ბლომად ხახვი, დააფარა სახურავი, ხელში რამდენჯერმე
გადაატრიალ-გადმოატრიალა და ჩასაორთქლებლად არყის
ქვაბის სახურავზე შემოდგა. ამ შეალედში მრგვალად
მოხარშულმა დედალმა თავისი ფურქცია შეასრულა და ბიჭებს
მწვადის მოსვლამდე ერთი-ორი ჭიქა დაალევინა.

თოვა ნელ-ნელა შეჩერდა, წვრილადლა ბარდნიდა. ლევანმა
მწვადების ახალი პარტია დააწყო ნაკვერჩხალზე, აიღო არყით
სავსე ჭიქა, მაღლა ასწია და წარმოთქა.

— ბიჭებო! ვისაც ღორის დაკვლაზე პურ-მარილი უყვარდა და
დღეს აღარ არიან, ყველას ხსოვნა-მოგონებისა იყოს. ნათელში
ამყოფოს ღმერთმა იმ ქვეყნად.

ეს ჭიქაც დიდი სიამოვნებით ჩამოცალა ლევანმა, ჯამს სადაც შემწვარი სუკები ჰქონდა ჩალაგებული, თავი ახადა და მწვადის მადის მომგვრელმა სუნმა ყველა თანამეინახე საქეიფოდ განაწყო. დათოს და გიორგის ღორი მთლიანად დაეჭრათ. ხერხემალი მოსახარშად უკვე შემოდგმული იყო ცეცხლზე. ღორის ლორთები ცალკე იხარშებოდა. სამწვადე ბლომად იყო დაჭრილი და მხოლოდ მჭამელს ელოდა.

— ლევან! — დაიძახა გიორგიმ.

— ბატონო!

— ახლა მანდ ქეიფს მორჩით და სახლში შევიდეთ, სუფრა უკვე გაშლილია.

— რა სუფრა, ტო? — იკითხა გენომ.

— ჩვეულებრივი სუფრა, პური ხომ უნდა ვჭამოთ, — მთელი სერიოზულობით განაცხადა გიორგიმ.

— მაშ ახლა ჩვენ რასა ვშვრებით? — ასევე მთელი სერიოზულობით იკითხა უკვე კარგად შეზარხოშებულმა გენომ.

— გენოჯან, ახლა ჩვენა ვსაუზმობთ, — განუმარტა ასევე არყისგან გათამამებულმა ლევანმა, — გოგლას „ნატვრის ხე“ ხომ გახსოვს. იქ, მგონი, ღვინჯუას ათქმევინა, თუ ვის, აღარ მახსოვს, „კარგი საუზმე ცოლის მზითვებსა სჯობიაო“.

— ჰოდა, აბა, შიგნით რა მინდა, — თავისაზე იდგა გენო, — კაროჩე, მე და ლევანამ არაყი უნდა გამოვხადოთ, თქვენ სადაც გინდათ, წადით.

— მეც არყის გამოხდა მინდა, — ხითხითებდა აღაულაუებული ვოვადათან კარგად მოზრდილ სუკის ნაჭერს მიირთმევდა, — ახლა რომელი კაცი შევა სახლში. ეს თოვლი ხვალაც კი არ იქნება.

ასე რომ, სახლში საპურმარილოდ შესვლა დროებით გადაიდო. სახლში პურ-მარილის გაგრძელების მსურველებმა მაინც შეიცოდეს ცოლის მზითვეს მჯობი საუზმის მოყვარული კაცები და შიგნით გაშლილი სუფრიდან ცოტა ხაჭაპური და „ცოცხალი“ მიართვეს. გიორგის ეგონა, ეს ნობათი არყის ქვაბის კაცებს, როგორც მათ შეარქვეს, ესიამოვნებოდათ, მაგრამ პირიქით, საწინააღმდეგო შედეგი გამოილო.

— ლევან! — ღიმილნარევი გაბრაზებით დაიყვირა გენომ, — შენს ძმას უთხარი, სუფრას ნუ გვიფუჭებს, რა. ღორის მწვადებზე ხაჭაპური და თევზი მინდა, ტო. ეგეთი ჟესტოკი რათა ხარ, გოგიჯან.

გენომ ტუჩები საგულდაგულოდ გაიწმინდა და გიორგის შუბლზე აკოცა.

— აუ! — ხელები გაშალა გიორგიმ, — ესენი უკვე კარგად არიან. ის სად არის, ჩემი ძმა.

— გელაშვილს დასდევს. გავიდა, თქვა, ახლავე მოვალო.

ამის თქმა იყო და სახლის ეზოდან ლევანმა თოფმოკიდებული ზაური ხელგავით გამოიყვანა. ზაური არ სვამდა, ლევანი კი უბევე კარგად იყო და ხუმრობის ხასიათზეც მოსულიყო. როგორც კი არყის ქვაბის კაცებს ძიუხლოვდა, მაშინვე დაიწყო:

— ეს ვინ არის, ტო! — თან ხელი გელაშვილისკენ გაიშვირა, — ყარაულივით დგას სახლის უკან და ცაში იყურება. ამისი ხასიათი რომ ვიცი, ის ქედნებია თუ მტრედები, რომ არ გამოჩნდნენ, ქათმებზე გახარჯავს ტყვია-წამალს. ათი წუთია, ვუხსნი, რომ ქათმის ხორცი აღარ გვინდა-თქვა. ვერ გავაგებინე და აგერ მოგიყვანეთ, ბატონო, იქნებ თქვენ დაგიჯეროთ.

ყველამ ერთხმად გადაიხარხარა. ბოლოს გელაშვილს თოფის კონფისკაცია გაუკეთეს და, ვინაიდან არც სვამდა და არც ჭამდა, ურჩიეს, შესულიყო სახლში, დამჯდარიყო ღუმელთან და ბიჭების შესვლამდე ადგილიდან ფეხი არ მოეცვალა.

ყოველ წუთ წუთში ახალ-ახალი მწვადი მოდიოდა სუფრაზე. არყის ქვაბის კაცები არაყს აღარ სვამდნენ, ყველანი ღვინოზე გადავიდნენ. არყის სმის შემდეგ ღვინო წყალივით მიდის. ვეღარც გემოს იგებ, ვერც გრადუსს და ვერც ზომას. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ერთი მხრიდან ცეცხლზე ხარ მიფიცხებული, მეორე მხარეს გცივა. კიდევ ერთი საათის განმავლობაში არყის ქვაბის გარშემო ღვინის სმა, მწვადის ჭამა, შალახო და ჩქარი ტაში არ შეწყვეტილა. ბოლოს არყის ქვაბის კაცები მიხვდნენ,

რომ სახლში შესვლა სჯობდა. გიორგის ბოდიში მოუხადეს, მართალი კაცი ყოფილხარ, დაჯდომა და ისე ქეიფი სჯობსო და შევიდნენ სახლში.

გიორგის სახლის პირველ სართულზე, ერთ-ერთ ოთახში ბუხარი ჰქონდა გაკეთებული და პურ-მარილს ყოველთვის აქ შლიდა. ახლაც, დაახლოებით, თხუთმეტ-ოც კაცზე იყო სუფრა გაშლილი. რა გინდა სულო და გულო, იქ რომ არ ყოფილიყო. ათასნაირი სალათა და მწნილეული, ხაჭაპურები, შემწვარი და მოხარშული ქათმები, საცივი, თევზეული და სხვა. ბუხარში მწვადი იწვებოდა, ოთახში საამო ოხშივარი და სითბო ტრიალებდა. არყის ქვაბის კაცებს სითბო ძალიან ესიამოვნათ. ბუხარს მიეფიცხნენ. ლევანმა გენოს შეხედა და უთხრა:

— ჩემი გენო, ახლა გამოჩნდება, ვის რამდენი გვაქვს დალეული.

— რავა? — იმერულად იკითხა გენომ.

— ამ სითბოსგან ნელ-ნელა ჩვენი ორგანიზმი გალლვება და არყის და ღვინის მიძინებული გრადუსები, თერმომეტრში რომ ვერცხლისწყალი იწევს ხოლმე ზევით, ასე ავა თავში. მერე უცბად ბახ! „გასტეხს ქვასა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა, ლბილისაო“.

— მერე ჩვენ ქვები ვართ, ტო! — ენის ბორბიკით თქვა გენომ.

— შენი არ ვიცი, გენოს ვენაცვალე, მაგრამ ჩვენზე, კახელებზე, ამბობენ, ხეები არიანო და მოდი, ცეცხლისგან ცოტა შორს დავჯდები, რომ არ წამეკიდოს, თორემ დავიწვები. მერე შენ დამწვარი ძმაკაცი გინდა?

— წყალს დაგასხამ, ლევანჯან. — ახარხარდა გენო.

— არ მიშველის, ტო.

— რათა, ძმაო.

— იმიტომ, რომ იეთმი მიყვარს, — თქვა ენის ბორბიკით ლევანმა, თავი მაღლა ასწია და წაიმდერა, — წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია.

— ვაჰ! ეგ მართლაც მაგარი კახელი ყოფილა, რომ წყალშიც ვერა ქრებოდა.

ლევანმა გენოს ხელი მოჰკიდა, სუფრასთან საპატიო ადგილას დასვა. ყველა სტუმარი თვითონ მიაცილა სუფრამდე. მერე მოპირდაპირე მხარეს დადგა, ხელი ხელს შემოჰკრა და დაიძახა:

— რა ლამაზები ხართ, კაცო, ფიროსმანაშვილის ნახატებივით არ იყურებით. აბა, ერთი ჭიქები შეავსეთ, ერთი სადღეგრძელო უნდა ვთქვა, — თავის ჭიქები თვითონ ჩამოასხა ღვინო ლევანმა და გააგრძელა, — ამ ჭიქით საქართველოს იმ ოცდაცამეტ გმირს გაუმარჯოს, რომელიც, სადაც არ უნდა ვიყოთ, თან დაგვყვება. საუკუნოვანი ქარ-ცეცხლი გამოიარა, მაინც ცოცხალია და ჩვენს გრძნობა-გონებას მალამოსავით ედება. ჩვენს ანბანს, ჩვენს დედა ენას გაუმარჯოს, ხალხო.

ლევანმა ბოლომდე გამოცალა ჭიქა და ახლად შემოტანილი მოხარშული ხერხებლის მოზრდილი ნაჭერი გადმოიღო. გემრიელად შეჭამა და თან დააყოლა:

— ჰო, ჰო, ამას რომ შეჭამ, რაღა მოგკლავს, კაცო.

სუფრის წევრები გემრიელად შეექცეოდნენ ხერხემალსა და ღორის ღოროთებს, თან გემრიელ და სურნელოვან რქაწითელს აყოლებდნენ. საქმაოდ შექარხოშდნენ. სითბომ თავისი გაიტანა და ბახუსი გაბატონდა სუფრაზე. ამდენ ცხიმიან ხორცს მარტო ღვინო ველარ ანეიტრალებდა და ამიტომ მოქეიფენი მწნილებს მიეძალნენ. ლევანს სუფრის წევრები ნელ-ნელა აკლდებოდა. ვინც გარეთ ითხოვდა გასვლას, უკან აღარ ბრუნდებოდა, გიორგი, მათივე თხოვნით, მეორე სართულზე აცილებდა მათთვის გაშლილ ლოგინში მოსასვენებლად. ბოლოს ძმები, ლევანი და გიორგი შემორჩნენ სუფრას. გიორგი ცოტას სვამდა, რადგან მასპინძელი იყო და ამდენი ხალხი ჰყავდა მოსავლელი.

— ლევან, წადი ახლა, შენც დაისვენე და ხვალ გავაგრძელოთ, — სთხოვა გიორგიმ ძმას.

— კაი, ძმაო, რალაპარაკია, — ამოღერდა ლევანმა და წაუმდერა,
— წავედი და წავედი, ღვინომ გამათამამა... შენს სახლის წინ
მოვედი, მომისურე დარაბა...

გიორგიმ ძმას ხელი გადაჭვია, საწოლამდე მიაცილა და
ძილი ნებისა უსურვა.

იმ ღამემ მშვიდად ჩაიარა.

მეორე დღეს თოფის გასროლის ხმამ გამოაღვიძა ლევანი.
წამოხტა და დაიყვირა:

— გიორგი! გიორგი!

— რა არის, ლევან? — პირველი სართულიდან ამოსძახა ძმამ.

— ვინ ისვრის, ტო?

— გელაშვილი ნადირობს. მგონი, მოკლა რაღაც.

— შინაური თუ გარეული? — იკითხა ლევანმა და თან
ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო.

გარეთ გასულმა სართელმა ყურებამდე გაღიმებული
გელაშვილი დაინახა, რომელსაც ორი ქედანი მოეკლა.

— აჰა! კიდევ გამაშაყირებ? — უთხრა ლევანს ზაურმა და
ქედნები ფეხებთან დაუყარა, — ერთი გასროლით ორივე.

ლევანმა ქედნებით გადაატრიალა, მერეგადმოატრიალა,
თავი გაიქნია და თქვა:

— საწყალი. ერთს კი მოხვედრია, მაგრამ მეორეს არაფერი
ეტყობა. ალბათ, გული გაუსკდა. კაროჩე მაგარი სტრელოკი
ხარ რა.

ასე რომ, არყის ქვაბის კაცებს საუზმედ ქედნის ხორციც
დაემატათ და საღამომდე კიდევ კარგად იქეითეს. შემდეგ
ლევანმა და გიორგიმ სტუმრები გააცილეს, მიალაგ-მოალაგეს
ყველაფერი. ადრე დაწვნენ დასაძინებლად, რაღგან ორ დღეში
ახალი წელი მოდიოდა და მოსამზადებლები იყვნენ. ახალ წელს
გიორგის ოჯახს ყოველთვის დიდი სტუმრიანობა ჰქონდა.

ახალი წლის დღეები ლევან სართელმა ძმასთან, გიორგის ოჯახში გაატარა. მართლა გაეთიშა დროებით ამ ცხოვრებას, საქმეზე არც ფიქრობდა და არც ლაპარაკობდა. ათი დღის განმავლობაში სოფლის ცხოვრებით ცხოვრობდა. აშკარად ეტყობოდა სოფელს და მის მოსახლეობას, დღითიდლე როგორ იცვლებოდნენ. ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ის სითბო და სიყვარული აღარ გააჩნდათ, რაც ადრე ჰქონდათ. სოფელში მასიურად დაიწყო მოსახლეობის მიერ ნავთობის კუსტარული გამოხდა ბეჭინის და სალიარის მიღების მიზნით, რომელსაც შემდეგ ჰყიდდნენ. მოსახლეობის ნაწილი თურქეთში სავაჭროდ მიმოსვლას ამჯობინებდა. ერთი სიტყვით, სოფელში წარმოიშვა შეძლებული ახალი ფენა, რომელიც, ფულის შოვნის მიზნით, არაფერს არ ერიდებოდა. ამან ადამიანებში ზნობრივი დაქვეთება გამოიწვია. წიგნიერებამ, რომლითაც ერთ დროს განთქმული იყო სოფელი, უკანა რიგებში გადაინაცვლა და იგი უცოდინრობამ და უზნეობამ შეცვალა, რაც საბოლოოდ განუკითხაობაში გადაიზარდა. სოფელში დაიწყო მასიური ყაჩაღობები. ხალხს დაღამების ეშინოდა. ყველა ოჯახს სახლში დამოუკიდებელი თავდაცვითი სისტემა ჰქონდა მოწყობილი. არადა მათ დასაყაჩაღებლად გადამთიელი არ მოდიოდა. ამ საქმეს თანასოფლელებივე აკეთებდნენ, რომლებიც კარგად შენიდბულები მოქმედებდნენ. ამის შეჩერება თითქმის შეუძლებელი იყო. პოლიცია თავის თავს ვერ იცავდა, ხოლო ადგილობრივი სახელისუფლო ორგანოები, პირადი უსაფრთხოების გამო, ბევრ რამეზე ხუჭავდნენ თვალს. ერთი სიტყვით, სოფელი უფსკრულისკენ მიექანებოდა. ასე იყო მთელ საქართველოში.

ლევანი თბილისში ძველი ახალი წლის შემდეგ ჩამოვიდა. ოფისში გამოიძახა ყველა მოქმედი ფირმის ხელმძღვანელი და

ანგარიშების ჩაბარება დაიწყო. ვაჭრობა ახალი წლის დღეებში გაჩერებული იყო. ეს ტრადიციულად ასე იყო ყოველთვის. იანვრის ოციდან კი ნელ-ნელა იწყებოდა და ჩვეულ კალაპოტში დგებოდა. ნავაჭრი სულ თექქსმეტ მილიონამდე იყო. წლის შედეგები ლევანმა გელაშვილს გააცნო და შეშფოთება გამოთქა:

— ასე წინ ვერ წავალთ, მარკეტინგული სამსახური სულ ჩავარდნილია. მე სულ აქეთ-იქით ვარ გამოკიდებული, გენო ბერლინშია, ვოვა ჯაბბულში ან ტაშკენტში, აქ კაცი არ არის პატრონი. საქართველოში ჩვენი მუშაობა საწყობის დონეზეა დასული.

— ის სად გყავს, სეფერთელაძე? — იკითხა ზაურმა.

— რა ვიცი. მაგასთან მე კავშირი გავწყვიტე იმ ამბების შემდეგ. ან გინდაც აქ იყოს, რას გაგიკეთებს?

— მაშინ შეუა აზიდან რომ ჩამოხვალ, ვინმე ნორმალური მოვძებნოთ და ჩავაბაროთ ეგ სამსახური. ბოლო-ბოლო შენი რესპუბლიკაში არყოფნის პერიოდში რომ მაინც უხელმძღვანელოს საქმეს.

ლევანი დაემშვიდობა ზაურს და სახლში წავიდა. თავს კარგად ვერ გრძნობდა. ამდენმა სმამ თავისი გაიტანა და ორგანიზმს დასვენება სჭირდებოდა. როგორც კი შევიდა ბინაში, ტელეფონმა დარკა. ლევანმა ყურმილი აიღო.

— ლევანი მინდოდა? — გაისმა ყურმილში უცნობი ხმა.

— მე ვარ, გისმენთ.

— ჩვენ ის ხალზი ვართ, სოფელში შენი სახლი რომ გავტეხეთ. ფული გვჭირდება, ძმაო, და ხელი უნდა გაგვიმართო.

— ვერ გავიგე? სახლი გამიტეხეთ, გამძარცვეთ და კიდევ ფული იქით უნდა მოგცეთ? — იყვირა ლევანმა და სიბრაზისაგან ერთიანად გაწითლდა.

— არ მოგვცემდა ცეცხლს წავუკიდებთ შენს სახლს სოფელში. სულ დაგიწვავთ ყველაფერს. შიგ მაინც არავინ ცხოვრობს და ხანძრის ჩაქრობითაც თავს არავინ შეიწუხებს.

— იცი, რას გეტყვი, ბიჭო? — ხმას აუწია ლევანმა, — ხვალ შევხვდეთ, ერთი-ერთზე დავილაპარაკოთ და ყველაფერი გავაიასნოთ.

— მე შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, ათი ათას დოლარს გადაგვიხდი და სპაკონად დავშორდებით ერთმანეთს.

— რა ათი ათასი დოლარი, შენ თავი ხომ არაფრისთვის მიგირტყია?! — დადო ყურმილი ლევანმა და ჩაიბურდლუნა, — გიურა ეს შობელძაღლი.

— დღეს სულ ასე რეკავს, — უთხრა სოფომ ლევანს, — არ მომწონს მაგის საუბარი, რაღაც უბედურებას არ გადაგვიდოს.

— კარგი რა, სოფო, მაგისთანები ოფისში დღეში თხუთმეტი თუ ოცი რეკავს, ყველას რომ ყური უგდო....

ზარი კვლავ აწერიაღდა.

— გისმენთ, ლევანი ვარ.

— ლევან, მე არ გეხუმრები, — ისევ ის ხმა გაისმა, — ჩვენ მარტო სახლის დაწვით არ დავქმაყოფილდებით. ისე რომ, გადაიხადე და შენ შენთვის და ჩვენ ჩვენთვის.

— ბიჭო, წადი ეგ ზღაპრები ბებიაშენს მოუყევი. ათი ათას დოლარს ითხოვ და სახლიდან დახურულ ჩუსტებს და ბავშვის სათამაშოებს იპარავ? მაგარი ქურდი ყოფილხარ, — ირონიით უთხრა ლევანმა.

— რა ბავშვის სათამაშოები? რა ჩუსტები? — გაისმა გაოცებული ხმა.

— აბა, სახლი ჩვენ გავტეხეთო და გავქურდეთო, ხომ ამბობ? ქურდი რომ დახურულ ჩუსტებს მოიპარავს და ბავშვის სათამაშოებს, იმას ათი ათასი დოლარი როგორ უნდა მივცე. აქ მეორედ აღარ დარეკო და, საერთოდ, არსად არ გადამეფარო, თორემ სხვანაირი ლაპარაკიც ვიცი მე.

ლევანმა ყურმილი დადო, „ტტ“-ს სისტემის რევოლვერი მოიხსნა და კარადის თავზე შემოდო. არ უყვარდა იარაღის ტარება, მაგრამ ამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა

აიძულა, თავდაცვის მიზნით თან ჰქონოდა. კარადის თავზე კი იმიტომ დებდა, რომ ბავშვისთვის ზელმისაწვდომი არ ყოფილიყო.

სოფოს ნერვიულობა აშკარად ეტყობოდა.

— ლევან, არ მომწონს ეს ზარები და რა ვქნა.

— რა არის, სიყვარულო, რამე ხომ არ გაკადრეს!

— არა, პირიქით, ძალიან ზრდილობიანად მელაპარაკებიან.

მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ერთ-ერთი ზარის დროს უშანგის ხმა შემომესმა. იმის შემდეგ ვფიქრობ, ხომ არ მომეჩვენა-თქო.

— არ არის გამორიცხული, რომ მაგ საქმეში ბმები სეფერთელადები იყვნენ გარეულები, ეგენი ფულის გულისთვის სატანასაც შეეკვრებიან, — უთხრა სოფოს ლევანმა, ხელი მოჰკვია და აკოცა, — შენ არაფერზე არ ინერვიულო.

სოფო კი დააწყნარა ლევანმა, მაგრამ თვითონ მთელი დამე არ ეძინა. სიგარეტს სიგარეტზე აბოლუტურად. ეს არ ჰქავდა იმ ზარებს, ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში ვითომ აფეთქებით და ათასი სისულელით რომ იმუქრებოდნენ. ამ ზარის უკან ვიღაც შინაური იდგა, რომელიც ლევანის ყოფაცხოვრებას კარგად იცნობდა. არც სოფოს ვერსია იყო გამორიცხული, მაგრამ ყველაფერს დამტკიცება სჭირდებოდა. ასე ხელაღებით ხელს ვერავის დაადებდი.

ამდენ ფიქრში ლევანს დაათენდა. სავარძელში ჩაჯდა და ჩასთვლიმა.

დილით ვოვამ მოაკითხა ლევანს. სართელმა საბაური სახლში შემოიპატიუა. სოფომ ყავა მიართვა მამაკაცებს.

— რა ხდება, ვოვა? — იკითხა სართელმა.

— ტაშკენტიდან დამირეკეს. იანვრის ბოლომდე თუ არ ჩამოხვალო და კონტრაქტს მაინც არ გაგვიფორმებთ, სხვა პარტნიორის ძებნას დავიწყებთო.

— ვაკ! რა ხდება, ტო?! — გაიკვირვა ლევანმა, — აქამდე ჩვენ ვეხვეწებოდით და ახლა ეგენი გვაგლეჯენ კალთებს.

— მე მგონი, ლევან, მაგ საქმეში სომხების ზელი ურევია. ფქვილი ქვეყანაში მხოლოდ თვითმფრინავით შედის. განა რამდენი უნდა შეიტანონ, რომ მთელი რესპუბლიკა დააკმაყოფილონ? — თქვა ვოვამ და ყავა მოსვა, — წუხელ სულ მაგაზე ვფიქრობდი. თვითონ ჩვენმა სომებმა პარტნიორებმა არ დარეკეს. ეს ჩვენი „ავლაბარაც“ ხმას არ იღებს. ხომ იცი, იმათ რომ დაიწყონ მოლაპარაკება ჩვენთან, ჰგონიათ, რომ სომხეთში ფქვილის გასატანად დიდ ფულს მოვთხოვთ. ამიტომ ფახოს დაარეკინეს.

— ფახო რომელია? — გაიკვირვა ლევანმა.

— ჯამბულში რომ ცხოვრობს, თურქი მესხია წარმოშობით, ერთხელ მოსკოვში „როსიაში“ გაგაცანი, თუ გახსოვს.

— რა ვიცი, ალბათ, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს.

— ჰოდა, მაგასდაარეკინეს, რომჩვენ სომხებზეარ გვევჭიანა. მე მგონი, შენი ვარაუდი მართლდება. სომხები დააფინანსებენ ფქვილის ოპერაციას. — დაამთავრა ვოვამ და ლევანს თვალებში შექედა.

სართელი წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოიარა, ხელები მოიფშნიტა, გაიღიმა და ვოვას აღფრთოვანებულმა უთხრა:

— ჩვენმა ტაქტიკამ გაამართლა, ვოვა. აი, რა არის დერუფანი. ჩვენ ავამუშავებთ „აბრეშუმის გზას“. ძირითად პროექტებზე ორი რესპუბლიკის მოსახლეობის დაქმაყოფილება რამხელა მოგებას მოგვცემს, თან, რაც მთავარია, ხალხი გვეყოლება კმაყოფილი.

ლევანმა ფურმილი აიღო და გელაშვილს დაურეკა. ყველაფერი მოუყვა და მივლინებაში წასვლის ნებართვა სთხოვა. ზაურმა, რა თქმა უნდა, დასტური მისცა. გენოს დაურეკა, უთხრა, მოემზადეო. მესამე დღეს გადაწყვიტეს წასვლა.

XXVI

თბილისისაეროპორტშიისეიყოარეულითვითმფრინავების ფრენის გრაფიკი, რომ წინასწარ ბილეთს ვერ აიღებდი ვერც ერთი მიმართულებით. უფრო სწორედ, არ აიღებდი, რადგან შეიძლება, ბილეთი ხელში შეგრჩენოდა და უკანაც არავის დაებრუნებინა. ამიტომ ლევანმა, გენომ და ვოვამ გადაწყვიტეს, აეროპორტში აერჩიათ მარშრუტი. როგორც ადგილზე გაირკვა, ფრენა მოსკოვის მიმართულებით არ იყო და ორი-სამი დღე შეიძლება არც ყოფილიყო. კველაზე რეალური ვარიანტი თბილისი-ბაქოს მარშრუტი რჩებოდა. ბაქოდან შუა აზიაში გადაფრენა შეიძლებოდა.

დღის ორი საათისთვის ბაქოში იყვნენ. ერთადერთი რეისი, რომელიც ბაქოდან შუა აზიაში სრულდებოდა, ბაქო-ალმა-ათა იყო და ისიც მეორე დღის საღამოს უნდა გაფრენილიყო. სხვა რა გზა ჰქონდათ, ბილეთები აიღეს და ის ღამე ბაქოს ინტურისტში გაათიეს. მეორე საღამოს ბაქოდან ალმა-ათაში გაფრინდნენ. ის ღამე აეროპორტის სასტუმროში გაჩერდნენ და დილით კიზილ ორდას გავლით ტაშკენტში ჩაფრინდნენ, ხოლო ტაშკენტიდან ტაქსით ჩიმკენტის გავლით ჯამბულში ჩავიდნენ. სასტუმროში შესულმა ლევანმა ჩანთა საწოლზე დააგდო, თვითონაც გადაწვა და ამოიხრა:

— ეგეც შენი „აბრეშუმის გზა“, ხომ არის დაკლაკნილი აბრეშუმის ჭიასავით. ათრიე შენ აქეთ-იქით ნაღდი ფული. როგორი სათრევია? აქედან თბილისამდეც თუ კიდევ ასე ვიარეთ, სული არ ჩამყვება თან.

ვოვამ დაურეკა პარტნიორებს, ჩამოვედით, ცოტას დავისვენებთ და მერე შევხვდეთო. ეს მერე თითქმის მთელი დღე გაგრძელდა, რადგან ბიჭები ძალიან დაღლილები იყვნენ და საღამოს ძლივს გაიღვიძეს. მალე პარტნიორი ფირმის წარმომადგენლებიც მოვიდნენ. ერთი იყო თურქი მესხი, ერთი — უზბეკი, ერთი — ყაზახი და ერთიც ყირგიზი. მასპინძლობა

თურქმა მესხმა, ფახომ იკისრა. მან სახლში მიიპატიუა სტუმრები. კერძო ბინაში ცხოვრობდა ფახო. როგორც ყველა მუსლიმანს, მასაც სახლზე ფარეხი ჰქონდა მიღმული და, მიუხედავად იმისა, რომ ფული თავზე საყრელი ჰქონდა, მანც უამრავი ცხვარი ჰყავდა. მათი სუნი ყველგან იგრძნობოდა. სტუმრები მათვის განკუთვნილ ოთახში მიიპატიუეს, სადაც არც მაგიდა იდგა, არც-სკამები, არც-ავეჯი. იდგა დაახლოებით ნახევარი მეტრი სიმაღლის ფართო ტახტი, რომელზეც მუთაქები ეწყო. სტუმრებმა, როგორც წესია სახლში შესვლისას ფეხსაცმელები გაიხადეს. ლევანი ახლა მიხვდა თავის შეცდომას, ზონრიანი ფეხსაცმელები არ უნდა ჩაეცვა. ვოვას შეხედა. ვოვამ ჩაიცინა. შემდეგ სტუმრებიდა მასპინძლები ტახტზე ავიდნენ და მუთაქებზე ფეხმორთხმულები დასხლნენ. მასპინძლი შემოსასვლელ კარებში დადგა და დიასახლისის მოწოდებულ ჭურჭელს და საჭმელებს ტახტზე აწყობდა.

— მაიცა, ტო, ის ქალი რატომ არ შემოდის? — ჩაუჩურჩულა გნომ ლევანს.

— მუსლიმანური წესით უფლება არა აქვს, — უპასუხა ლევანმა და ანიშნა, აქ ასეთი შეკითხვებისაგან თავი შეეკავებინა.

ფახომ სტუმრებს აღმოსავლური ტკბილეული შესთავაზა, თან მათვის საგანგებოდ მოტანილი არაყი ჩამოუსხა. თვითონ ერთი ჭიქა დაისხა, სტუმრების ჩამოსვლა ადლეგრძელა, მაგრამ არ დალია, სარწმუნოება მიკრძალავსო.

გენომ, ვოვამ და ლევანმა ერთ ბოთლ არაყს ათ წუთში მოუღეს ბოლო. ფახომ მეორე ბოთლი დადგა სუფრაზე.

— ფახო! — მიმართა ვოვამ თურქ მესხს, — შენ ხომ იცი, ჩვენ საიდან ვართ?

— ვიცი, იქიდან, სადაც ერთ დროს ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ.

— პოდა, შენი წინაპრები რომ მოვიგონოთ, ამიტომ თითო-თითო ბოთლი ნუ მოგაქვს სუფრაზე. სამი ერთად დადგი, რომ გულს გაუხარდეს.

ყველამ სიცილი დაიწყო და დაძაბული სიტუაციაც განიმუხტა. ფახოს ცხელი შურპა შემოაწოდეს. იმანაც პირველი თევზი გენოს მიაწოდა.

— ლევან, ეს რა არის? — ჩურჩულით ჰკითხა გენომ ლევანს.

— შურპა.

— შურპა რაღაა, ტო?

— ცხვრის სოუზი.

— აუცილებლად უნდა ვჭამო?

— მაშ.

— ვაჲ, იქნებ არ მინდა, ტო?

— ეწყინებათ. შენი თავი ბერლინში ხომ არ გვონია?

— ააა...

გენომ შურპა ძლივს შეჭამა.

ოთახის კარები ღიად იყო დარჩენილი და სამზარეულოს ნაწილი ჩანდა. გენომ თვალი მოჰკრა, რომ ოჯახის დიასახლისმა ქვაბიდან ხინკლის მაგვარი რამ ამოიღო.

— ეგ რა არის, ნიკალაევიჩ? — ჩაუჩურჩულა ლევანს.

— ამათი ხინკალია. მანტი ჰქვია. განსხვავება ის არის, რომ ცხვრის ხორცისგან კეთდება და პილპილის მაგივრად ზედ ბაბბის ზეთს ასხამენ.

ამის თქმა იყო და დიასახლისმა ბლომად მოასხა ზეთი სინზე ამოღებულ მანტის.

— აუ ... არ დაასხა, რა? მაგ ზეთს ცუდი სუნი აქვს, — თავისთვის თითქმის ტირილით ჩაიღაპარაკა გენომ.

ლევანმა მუჯლუგუნი წაჰკრა, გაჩერდიო. საერთოდ გენოს ასეთი ახირებები საჭმელზე ყველგან ჰქონდა. რესტორანში ხომ ოფიციანტები შეკლული ჰყავდა. თითოეულ კერძზე ისეთ შეკითხვას უსვამდა, რომ ამის მოსმენას დიდი მოთმინება სჭირდებოდა. მაგალითად, „ეს ხორცი განიერ ტაფაზეა შემწვარი? ამ ოჯახურს იმერეთის წიწაკა აქვს გარეული თუ გურიის, კარტოფილი დენის ქურაზეა შემწვარი თუ გაზქურაზე“ და ასე შემდეგ. ახლა მანტი რომ შეჭამა, სხვა წიკები დაეწყო.

ფეხმორთხმით ვეღარ უძლებდა ჯდომას. ეს ლევანსაც უჭირდა, რადგან მუცელი უშლიდა ხელს და საერთოდ, შეუჩვეველი იყო ასეთ ჯდომას. ლევანმა ბოლოს ვეღარ გაუძლო, აიღო მუთაქა, ლუარსაბ თათქარიძესავით წამოგორდა ტახტზე და ისე გააგრძელა ჭამა-სმა.

ბოლოს უზბეგური სუფრის მშვენება, ფლოვი მოიტანეს. სტუმრებმა ოჯახს მადლობა გადაუხადეს პატივისცემისათვის, მეორე დღისთვის დათქვეს შეხვედრა და წავიდნენ სასტუმროში.

როგორც მეორე დღეს გაირკვა, ასოციაცია „ლაშარის“ ხელმძღვანელობას მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა კორეა-ყაზახეთის ერთობლივ საწარმოსთან, რომლის სათაო ოფისი განლაგებული იყო ქალაქ ჯამბულში. თითქმის ყველა უცხოური ფირმა თავისი ოფისების განლაგებას ამ ქალაქში ცდილობდა, ერთი უბრალო მიზეზის გამო, ჯამბული მდებარეობდა სამი რესპუბლიკის, ყაზახეთის, უზბეკეთის და ყირგიზეთის საზღვრების გადაკვეთაზე და მანევრირებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო.

როგორც კი ქართველებმა ფირმის ოფისის ზღურბლს გადააბიჯეს, გენო გაჩერდა და გაოცებულმა წარმოსთქა:

— აი, ნახე, ევროპაა, ტო!

მართლაც, ოფისი თანამედროვე მოთხოვნების დონეზე იყო გაკეთებული და ყველა პირობა იყო შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის. ფირმის კორეელმა პრეზიდენტმა ქართველები მაშინვე მიიღო და ფორმალური გაცნობა-მოკითხვის შემდეგ, პირველ რიგში, საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ისურვა ინფორმაციის მიღება. მას აშეოთებდა აფხაზეთში დაწყებული ომი, რომელსაც შეეძლო ნებისმიერი კონტრაქტის ფორს-მაჟორულ მდგომარეობაში გადაყვანა. ლევანმა აუხსნა, რომ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები ქვეყნის აღმოსავლეთ ზონაში საქონლის გადაადგილებისათვის საშიში არ იყო და ერთობლივ მუშაობას ეს ხელს არ შეუშლიდა.

კორეელმა მაინც შეიკავა თავი საქონლის კონსიგნაციის წესით ან ბარტერული გაცვლით გადატვირთვაზე და მოითხოვა თავდაპირველად ასპროცენტიანი გადარიცხვა. ლევანმა აუხსნა, მიუხედავად იმისა, რომ მას თანხა გააჩნდა, მაინც ვერ გადმორიცხავდა პოლიტიკური გართულებების გამო.

— ბატონო ლევან, — თქვა ფირმის პრეზიდენტმა და ქართველებს კორეული წარმოების სიგარეტი შესთავაზა, — ფქვილის ყიდვის თაობაზე სერიოზული მოთხოვნა აქვთ სომხეთის წარმომადგენლებს. ხომ არ სჯობდა, მათ შეხვედროდით და ერთობლივი წინადაღება მოგემზადებინათ.

— კი, ბატონო, გამოვნახავთ ოპტიმალურ ვარიანტს და გეახლებით.

ამის შემდეგ განიხილეს კიდევ რამდენიმე პროექტი ევრაზის დერეფნის შესახებ, მაგრამ მთავარი მაინც ერთმანეთის მოსინჯვა იყო. ფირმებს ერთმანეთისათვის უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათ შეეძლოთ საქმის გაკეთება. ეს შესაძლებლობები მოისინჯებოდა ფქვილის მოწოდების ოპერაციაში.

იმავე საღამოს შედგა შეხვედრა სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან. როგორც საუბრიდან გაირკა, სომხეთს ფქვილის მარაგი თითქმის ამოწურული ჰქონდა. რკნიგზის ტრანსპორტით სომხეთისკენ მომავალ ყველა ტვირთს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში აჩერებდნენ და საკუთარი ქვეყნისთვის იყენებდნენ. ესეც ომის წარმოების ერთ-ერთი ტაქტიკური მეთოდი იყო.

— ჩვენ სხვა გზა არა გვაქს, ბატონებო, — აღელვებული ლაპარაკობდა სომხეთის ფირმა „არმენის“ პრეზიდენტი ლევონ გრიგორიანი, — ქართველები უნდა ამოგვიდგეთ მხარში. ბოლოს და ბოლოს, ქრისტიანები ვართ და გაჭირებაში უნდა დავუდგეთ ერთმანეთს გვერდში. ჩვენ გვაქს შესაძლებლობა, რომ დავაფინანსოთ ორი ათასი ტონა ფქვილის გადატვირთვა. ქართველები გადარიცხვების შესაძლებლობას მოკლებულნი ხართ დასთ-ში გაუწევრიანობის გამო. ამიტომ ფული ჩვენი, გზა თქვენი.

— რას გულისხმობთ? — შეეკითხა ლევანი ლევონს.

— ჩვენ ორი ათასი ტონა ფქვილის თანხას გადავრიცხავთ ყაზახეთში და უზრუნველვყოფთ ამ ტვირთის თბილისამდე ტრანსპორტირებას. აზერბაიჯანში საქართველოსკენ მომავალ ტვირთს არ აჩერებენ. შემდეგ თქვენ თბილისიდან ათასი ტონა ფქვილის გადამისამართებას გააკეთებთ სომხეთში, რაშიც ხუთას ტონა ფქვილს უსასყიდლოდ დაგიტოვებთ, ხოლო ხუთასში, ბარტერული გაცვლის ანგარიშში, კონიაკს გადმოვუტკირთავთ კორეა-ყაზახეთის ერთობლივ ფირმას.

— ეს ყველაფერი გასაგებია და მისაღებიც, — საუბარში ჩაერია გენო, — მაგრამ აზერბაიჯანის მხარეში რომ გაიგოს ჩვენი ფირმის სომხეთიან მუშაობის ამბავი, ჯერ ერთი, გზას ჩაგვიკეტავს და, რაც მთავარია, საერთაშორისო მასშტაბით იმიჯს შეგვიღახავს.

— ამიტომ გიტოვებთ ხუთას ტონა ფქვილს უსასყიდლოდ, — თქვა ლევონ გრიგორიანმა და სიგარეტს მოუკიდა.

— ხელშეკრულებას ვინ გააფორმებს კორეა-ყაზახეთის ფირმასთან? — იკითხა ლევანმა.

— სამივე მხარე მოვაწერთ ხელს, — მოკლედ მოჭრა გრიგორიანმა.

— მე მოვითხოვ აღნიშნული ხელშეკრულების სრულ კონფიდენციალურობას, — განაცხადა ლევანმა, — მიმიხვდით, ალბათ, მუსლიმანური სამყაროდან ინფორმაციის გაუზვა ადვილი მოსალოდნელია. ამიტომ ვთხოვ სომხეთის წარმომადგენლობას, ამ საკითხზე უშუალოდ დაელაპარაკოს მომწოდებელს. რაც შეეხება ჩვენს საბოლოო პასუხს, ხვალ დილით მოგახსენებთ.

გენომ, ვოვამ და ლევანმა სასტუმროში დაბრუნებამდე მიიღეს გადაწყვეტილება, დასთანხმებოდნენ სომხების მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, თუ, რა თქმა უნდა, ეს ოპერაცია ერთჯერადი არ იქნებოდა.

— ლევანჯან, შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცე? — ჰკითხა გენომ სართელს.

— რა ხდება?

— აი, ლევანსა და ლევონს შორის რა განსხვავებაა. ესა სომხური სახელია თუ ქართული?

სამივემ გულიანად გაიცინა და დასასვენებლად ნომრებში წავიდნენ.

დილით ლევანმა ლევონ გრიგორიანს დაურეკა და დასტური მისცა ოპერაციის ჩატარებაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათი ურთიერთობები შემდგომშიც უნდა გაგრძელებულიყო. ნახევარ საათში გრიგორიანმა ლევანს გადმოურეკა და ორ საათზე კორეელების ოფისში სთხოვა მისვლა.

ოფისში საკმაოდ დიდხანს იმუშავეს ხელშეკრულების პროექტზე. ბოლოს, როგორც იქნა, სამივე მხარემ მიაღწია შეთანხმებას და დამის თორმეტ საათზე ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. სომხეთის მხარეს ერთი კვირის ვადაში უნდა უზრუნველეყო თანხის გადმორიცხვა და შემდეგ დაიწყებოდა ვაგონების დატვირთვა. ლევანი დამის ორი საათისთვის მივიდა სასტუმროში. დაღლილი იყო. ერთი სული ჰქონდა, ნომერში შესულიყო და დაეძინა. ნომრის კარი ღია დახვდა. გენო და ვოვა ისხდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. გაუკვირდა, ბიჭებს რომ არ ეძინათ თავ-თავის ნომერში.

— ვაჲ! დამის თევა გადაწყვიტეთ? — შესვლისთანავე იკითხა ლევანმა.

— ლევან, სოფომ დარეკა თბილისიდან. ზის და ტელეფონთან გელოდება, სასწრაფოდ გადარეკე.

— რა ხდება, ცუდი რამე ხომ არ მოხდა?

— არ ვიცი, ჩვენ არ გვეუბნება.

ლევანმა აკრიფა ტელეფონზე სახლის ნომერი. სოფომ უცბად აიღო ყურმილი:

— ლევან! შენა ხარ?

— ჰო, რა ხდება?

— შენ რომ გირეკავდნენ ტელეფონზე ფულის თაობაზე, ხომ გახსოვს?

— პო, მერე?

— სოფელში გიორგის სახლზე გაუკეთებიათ თავდასხმა. ჯერ ბავშვის მოტაცება სდომებიათ. რომ არ გამოსვლიათ, ავტომატიდან უსვრიათ და მზიას მიღიმეტრებში ასცდენია ტყვიები. ახლა აქ რეკავენ და მეუბნებიან, ახლაც არ გადაიხდის ფულს შენი ქმარიო. უნდა ჩამოხვიდე, ლევან, მეშინია.

— ნუ გეშინია. არ ინერვიულო, წამოვალ და მივხედავ. ბავშვებს მოკიდე ხელი და სოფელში წადით.

— არ წავალ არსად. შენ დაგელოდები.

— კარგი, ხვალ წამოვალ.

— ცივმა ოფლმა დამასხა, ამათი დედა... ვინ არიან, გამაგებინა მაინც.

გენომ ყველაფერი იცოდა. უბრალოდ, არაფერი თქვა, სანამ ლევანი არ დაელაპარაკა სოფის.

— ლევან! რადგან ხელშეკრულება ხელმოწერილია და საქმის ტექნიკური მხარე დარჩა მოსაგვარებელი, მე და ვოვამ მოვილაპარაკეთ, რომ მე და შენ წავიდეთ თბილისში, ხოლო ვოვა დარჩება და საქონლის გადატვირთვას უხელმძღვანელებს. რას იტყვი?

— სხვა გზა არ არის, — ხელი ჩაიქნია ლევანმა, — ტელეფონით გვექონდეს კავშირი.

— ხვალ თვითმფრინავი ჯამბული-ალმა-ათა თორმეტ საათზე მიფრინავს. ალმა-ათაში გადაჯდომა მოგიწევთ, — თქვა ვოვამ, — ახლა დავისვენოთ, ხვალ ფახოს დავურეკავ და აეროპორტში გაგიყვანთ.

ლევანს მთელი დამე არ დაუძინია. სიგარეჭს სიგარეჭზე ეწეოდა. ერთის მხრივ დამშვიდებული იყო, რომ თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მეორეს მხრივ, ვერ გაეგო, ვინ უნდა ყოფილიყო ეს გარეწარი, რომელიც ასე გუდში დასდევდა ლევანს და სიცოცხლეს უმწარებდა.

ლევანი და გენო ყველას დაემშვიდობნენ და ჯამბულიდან ალმა-ათაში გადაფრინდნენ. ალმა-ათიდან გურიევში. გურიევიდან სოჭში. აქ კი დამის გათევა მოუწიათ, რადგან

რეისი სოჭი-ქუთაისი მეორე დღეს იყო დაგეგმილი. თბილისზე რეისები საერთოდ არ მოძრაობდა. დამე კერძო ბინაში გაათეს, აფხაზებთან კონფლიქტს მოერიდნენ. მეორე დღეს, ხუთი საათისთვის, ქუთაისში ჩაფრინდნენ. მათი ჩასვლა და ქუთაისი-თბილისის ბოლო და ერთადერთი რეისის გაფრენა ერთი იყო. სასწრაფოდ ტაქსი დაიქირავეს და თბილისისკენ გამოემართნენ. ლევანს ამ გზაზე დიდი ხანია რაც არ ემგზავრა. ცენტრალურ გზაზე მოძრაობა შეუძლებელი იყო. მძღოლი ერთ ორმოს რომ აცილებდა მანქანას, მეორეში ვარდებოდა. ასე რომ, თბილისში ჩამოსვლას თითქმის ექვსი საათი მოანდომეს. როგორც კი ლევანი სახლში შევიდა, ცოლ-შვილის მოკითხვაც ვერ მოასწრო, რომ ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

- ისინი არიან, — უთხრა სოფომ და თავი მკერდზე მიადო.
- მითვალთვალებდნენ ეს შობელმაღლები?! — გაბრაზდა ლევანი და ყურმილი აიღო, — ალო!
- მოგვილოცავს მშვიდობით ჩამობრძანება. ალბათ გაიგებდი ყველაფერს. — საუბრობდა ვიღაც ხრინწიანი ზმით, — დარწმუნდი, რომ ყველაფერზე წამსვლელები ვართ?!
- ვინა ხართ, გამაგებინეთ?! — ბოლმა ყელში მოაწვა ლევანს.
- მაგას მერე გეტყვით, ფულს რომ გადაგვიზდი. დაგვიანებისათვის კიდევ ორი ათას დოლარს დაამატებ. ესე იგი, სულ თორმეტი ათასი დოლარი. ყოველი დღის დაგვიანებამ შეიძლება შენი ახლობლების სიკვდილი გამოიწვიოს.
- მისმინე... — დაიწყო ლევანმა, მაგრამ უცნობმა ყურმილი დადო.

ლევანი სოფოს გადაეხვია. დააწყნარა. კიდევ ერთხელ მოაყოლა თავიდან ბოლომდე მომხდარი ამბავი. სოფომ ახალი მხოლოდ ის თქვა, რომ ერთ-ერთი საუბრის დროს შემოესმა უშანგი სეფერთელაძის ხმა. მაშინვე დაუყვირა, უშანგი მალაპარაკეთო, მაგრამ ტელეფონი გაუთიშავთ. ამის შემდეგ ლევანის მძღოლს ნომრის ამომცნობი ტელეფონი მოუტანია, მაგრამ ყველა ზარი ავტომატიდან ფიქსირდებოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა მისამართის დადგენას.

— ლევან! გავყიდოთ ყველაფერი და მივცეთ ეს ფული, თორებ ვინძეს მოკლავენ.

— ჩემთვის რომ ესროლათ, მაგათ კაპიტანი არ მივცემდი, მაგრამ ნახეს ჩემი სუსტი წერტილი და იქიდან მაწვებიან. ესე იგი, შინაური უდგათ უკან.

ლევანმა საწყობის გამგეს დაურეკა და უთხრა, ხვალისთვის ათი ათასი დოლარი გაემზადებინა.

— ბატონი ლევან, — მორიდებით უთხრა თემურმა, — ხუთამდე მოვუყრი თავს, მეტს ჯერჯერობით ვერა.

— კი, მაგრამ რა ხდება. მე ვიცი, რომ საქონელი კარგად იყიდება?

— გუშინ გელაშვილმა წაიღო თხუთმეტი ათასი დოლარი და ფიზიკურად მეტი აღარ დარჩა.

— კარგი, რაც არის, ეგ ამომიტანე, — მისცა დავალება ლევანმა და ყურმილი დადო.

შემდეგ გელაშვილთან დარეკა. კიდევ კარგი, იმ თხუთმეტიდან ხუთი კიდევ დარჩენოდა ზაურს. ლევანმა სიტუაცია აუხსნა და სთხოვა, დაეთმო ხუთი ათასი.

— კარგი, წაიღე, მე მერე მივცემ.

— კი, მაგრამ შენ ვიღას აძლევ ფულს?

— მერე გეტყვი რა.

დადო თუ არა ყურმილი ლევანმა, გვლავ აწკრიალდა ტელეფონი. სოფო შეშინებული გამოვარდა საძინებლიდან. მას უკვე ეტყობოდა, რომ ტელეფონის ზარზე შიშის გრძნობა ეუფლებოდა. ლევანმა დააწენარა მერელე და მერე ყურმილი აიღო. ისევ ისინი იყვნენ. ლევანმა პირდაპირ მიახალა:

— ფული ვის გადავცე?

— ვინმე კაი ბიჭი დაგვისახელე ან ვერელი, ან ვაკელი, ან ნახალოვეკელი, ან სხვა უბნელი და შევთანხმდეთ.

— აჩიკო ცარციძეს იცნობ?

— ვისა?

— აჩიკო ცარციძეს, — გაუმეორა ლევანმა.

— ვიცნობ, მე მგონი. კაროჩე, დაგირეკავ, — უცნობმა ყურმილი დადო.

ლევანი მიხვდა, რომ ტელეფონზე დიდხანს არ ლაპარაკობდნენ. მაინც ეშინოდათ აყვანის. ადგილსაც ხშირად იცვლიდნენ. სხვადასხვა ავტომატებიდან ირეკებოდა ზარი.

— სოფო, თუ შეაძავლად აჩიკო აირჩიეს, ესე იგი, საქმეში სეფერთელაძეები ურევიან.

ათ წუთში დარჩეკეს.

— თანახმა ვართ. ხვალ აჩიკოსთან დატოვეთ ფული და ჩვენ მისგან წავიღებთ. მაგრამ ხომ იცი, ბეჭ შუტოკ.

— წადი შენი ... — მიაგინა ლევანმა, — ამის შემდეგ ჩემსკენ და ჩემი ახლობლებისკენ აღარ გამოიხდო, თორემ შუტკებს მერე გაჩვენებ. გაიგე, ბიჭო!

ბოლო სიტყვები უცნობს აღარ გაუგონია, რადგან ტელეფონი გათიშა.

ლევანმა ათი ათასი დოლარი აჩიკოს მიუტანა სახლში და სიტუაცია აუზინა.

— ვიცი, დამირეკეს, — უთხრა აჩიკომ, — ვინ არიან, ტო? არ იცნობ?

— აბა, საიდან? რომ ვიცნობდე, აქ ხომ არ მოვიდოდი?

აჩიკომ მთელი თავისი არტისტიზმი გამოავლინა ლევანის წინაშე, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ თურმე ძალიან შესტკიოდა გული სართელის ოჯახზე და დაეხმარებოდა.

ლევანი ყველაფერს მიხვდა. სეფერთელაძეებმა კიდევ ერთხელ გაწირეს. ამჟამად უკვე სასიკვდილოდ. კოტე საერთოდ აღარ ეკარებოდა არც ლევანს და არც მის ოჯახს. სართელმა გადაწყვიტა, სეფერთელაძეებთან საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი.

მერე სოფელში ჩავიდა, ნახა ნატყვიარები. მზიას სადღაც ათ მილიმეტრში ასცდენოდა ტყვია. ადამიანის ასეთი გაწირვა მხოლოდ სატანას თუ შეეძლო. ადამიანები ღმერთს თანდათან შორდებოდნენ. ეს კი დამღუპველი იყო მთელი ერისთვის და, რა თქმა უნდა, საქართველოსათვის.

XXVII

აჩიკო ცარციძემ მმები კოტე და უშანგი სეფერთელაძეები, გელა და ლაშა თავისთან, სახლში დაიბარა, აღებული ათი ათასი დოლარი მაგიდაზე დააგდო და ოთხივეს განუცხადა:

— ათას-ათას დოლარს თქვენ დაამატებთ, მე ხომარ მოვთხოვდი ლევანას. საკუთარ თავს ხომ არ გავყიდიდ.

— აქედან, მმაო, ორი ათას ხუთასი ხომ მეკუთვნის? — დაიწყო გელამ, — ჰოდა, აგერ ათასს ვტოვებ და ათას ხუთასი მიმაქვს. ჩვენგან კიდევ რამე, გინდა აჩიკო? გვეჩარება რა?

— არაფერი, თავისუფლები ხართ.

გელა და ლაშა სასწრაფოდ გავიდნენ ბინიდან, სეფერთელაძეებმა სესხად ფული არ მოგვთხოვონ.

აჩიკომ რვა ათას ხუთასი დოლარი მაგიდიდან აიღო და იქვე მდგარი ბუფეტის უჯრაში ჩააგდო. შემდეგ შემობრუნდა და მმებს მიმართა:

— ათას დოლარს როდის მოიტანთ?

მმებს ენა დაებათ და თავები ჩალუნეს.

— როდემდე უნდა გინახოთ, თქვენი ... — აყვირდა აჩიკო, — ორ დღეში ფული არ იქნება და თქვენს თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ. შენ კიდევ ჭურდობა გინდა არა, უშანგი? ჰა! ჰა! ჰა...

სეფერთელაძეები დამარტულები გამოვიდნენ აჩიკოს ბინიდან. კოტეს ფერი აღარ ედო სახეზე.

— ახლა რა ვქნათ, უშანგი? ლევანასთან არაფერი პრიჩინა აღარ გვაქვს. თქვენი მოქმედებით სამსახურიც დამაკარგინეთ, — ნერვიულობისგან ძლივს ლაპარაკობდა კოტე, — სად წავიდე?

— ჯერჯერობით სახლში და მერე ვნახოთ, — თქვა უშანგიმ და ბოლმისგან აწითლებულ სახეზე ხელისგულები დაიდო.

ლევან სართელი სოფლიდან ორი დღის შემდეგ ჩამოვიდა. მივიდა ოფისში და პირდაპირ გელაშვილის სანახავად გაემართა.

— რა ქნი? — შესვლისთანავე ჰკითხა ზაურმა ლევანს.

— გადავიხადე. აბა, ფულის გულისთვის ძმას ხომ არ მოვაკვლევინებდი, ასე რომ, რაც მოგება უნდა ამეღო, წყალს გავატანე, მგონი, იქით მაქვს დასადები, — ჩაიქნია ხელი ლევანმა, — შენ რაღა გჭირს?

— არაფერი.

— როგორ არაფერი, საწყობიდან ფული აგიღია.

— მერე გეტყვი, რა.

ლევანმა აღარ დააძალა. როგორც ჩანს რაღაცის გახმაურება არ უნდოდა გელაშვილს. როდესაც ზაურის კაბინეტიდან გამოდიოდა, დაინახა, მისაღებში იმ ცნობილი ოთხეულიდან სამნი ისხდნენ მხოლოდ. ლევანი სამივეს მიესალმა, მოიკითხა. მერე კი ჰქითხა:

— ივლიანე რა უყავით, კაცო?

— ივლიანე რუსეთში წევიდა. კაი საქმე შესთავაზეს. თავის ფული კი მისცა ზაურიმ და იქნებ რამეს მევეწიოო, — უპასუხა ასაკით ყველაზე უფროსმა.

— ძალიან კარგი. კარგად მეყოლეთ, აბა. — დაემშვიდობა ლევანი უკვე „სამეულს“. მისთვის ყველაფერი გასაგები გახდა. გელაშვილს ბელი ვალების გასტუმრება დაუწყია.

„ეს კარგ დღეს არ დამაწევს მე“, — გაიფიქრა ლევანმა,

— „როგორც ჩანს, ვალები ბევრი აქვს. რა ვქნა? ღალატი ღალატზეა. რა მოვიფიქრო, აღარ ვიცი“.

ერთი კვირის შემდეგ ვოვამ დარეგა ჯამბულიდან და სასიხარულო ამბავი ამცნო ლევანს, — ფქვილით დატვირთული პირველი ათი ვაგონი უკვე წამოვიდა საქართველოსკენო.

ლევანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. პატარა ბავშვივით უხაროდა, რომ ქვეყნის სურსათით მომარაგებაში თავის წვლილს შეიტანდა. დაჯდა კაბინეტში და თვითონ შეუდგა რესპუბლიკის სასურსათო კომისიის სახელზე წერილის წერას. მიმართვაში დაწვრილებით განიხილა გაფორმებული კონტრაქტის უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნისათვის და, რაც

მთავარია, სტრატეგიული დანიშნულების კვების პროდუქტების შემოზიდვის თავისებურებანი. სატრანზიტო გზის გამოყენებით რესპუბლიკაში კაპიკებში შემოდიოდა ფქვილი. წერილი დააბეჭდინა, მაგრამ მის აფიშირებაზე თავი შეიკავა. რამდენიმე დღეში ვაგონები შემოვიდოდა და ფქვილის მიღების საბუთებით კომისიის სხდომაზე მისვლა უფრო დამაჯერებელი იქნებოდა.

სამი დღის შემდეგ კიდევ დარეკა ვოვამ. კიდევ ათი ვაგონი გადმოუტევირთავთ. როგორც კი პირველი ათი ვაგონი შემოვიდა თბილისის რკინიგზის სატვირთო სადგურში, ლევანმა აიღო რკინიგზის ზედდებულები, გელაშვილს მთავრობის სასურსათო კომისიის თავმჯდომარის სახელზე დაბეჭდილ წერილზე მოაწერინა ხელი, მიღებაზე ჩაეწერა და დანიშნულ ღროს გამოცხადდა კომისიაზე.

სანამ კომისიის სხდომა დაიწყებოდა, კომისიის წევრები და მოწვეული ორგანიზაციები კომისიის თავმჯდომარის მოსაცდელში იყრიდნენ თავს. ლევანი თითქმის ყველას იცნობდა. აქ იყვნენ ცეკვაშირის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების ძველი და ახალი თანამშრომლები. მათგან უმრავლესობა თავის დროზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულის მოპარვის მეტს არაფერს აკეთებდა, ახლა რას მოღვაწეობდნენ, ლევანმა ეს არ იცოდა. ერთი იმაში იყო დარწმუნებული, რომ უანგაროდ ნაბიჯს არ გადადგამდნენ. სწორედ ამათი ეშინოდა სართელს. მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ ქვეყნისათვის კარგ საქმეს აკეთებდა და უარის თქმა თითქმის გამორიცხული იყო.

კომისიის სხდომა დაიწყო. ასოციაცია „ლაშარის“ საკითხი ბოლოს უნდა განეხილათ. ორი საათის ლოდინის შემდეგ სართელი კომისიაზე გამოიძახეს. ლევანმა თავის მოხსენებაში დაწვრილებით აღწერა შექმნილი სიტუაცია და დამამტკიცებელ მასალად, თბილისის სატვირთო სადგურში შემოსული ვაგონების სატრანსპორტო ზედდებულები წარმოადგინა.

კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, რომელსაც ლევანი არ იცნობდა, მოხსენების დამთავრებისთანავე წამოიძახა:

— ფქვილი სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტია და ჩვენ მას სომხეთში არ გადავტვირთავთ.

— ბატონო, თქვენ ალბათ ვერ გამიგოთ, — ხელმეორედ დაიწყო ახსნა ლევანმა, — ეს ფქვილი არის სომხეთის რესპუბლიკის მიერ ნაყიდი და იმის გამო, რომ ჩვენ ათასი ტონა გავატაროთ მათ ქვეყანაში, გვიტოვებს ხუთას ტონა ფქვილს, ხოლო ხუთას ტონას — ვცვლით კონიაკზე. ამასთან, ფქვილის გადმოტვირთვის და ტრანსპორტირების ხარჯებს ჩვენ არ ვიხდით.

— როგორც გინდა იყოს, ჩვენ ფქვილს სომხეთში ვერ გავუშვებთ, — თავისაზე იდგა კომისიის წევრი.

— ახალგაზრდავ, — მიმართა ლევანს პურპროდუქტების მინისტრის მოადგილემ, — დავუშვათ და მოგცათ კომისიამ ნებართვა ფქვილის სომხეთში გატანაზე, სახელმწიფო ამით რას იგებს?

— ხომ აღვნიშნე, ბატონო, — თქვა სართელმა, — ათასი ტონა ფქვილი რჩება რესპუბლიკაში, აქედან ხუთასი ტონა უსასყიდლოდ.

— კარგით, გასაგებია, — განაგრძო მინისტრის მოადგილემ, — ამ ხუთასი ტონიდან იცით, რომ ნახევარი სახელმწიფო პურის საცხობებს უნდა მისცეთ, ისიც გადარიცხვით.

— ნახევარს კი არა, ოთხმოც პროცენტს მივცემთ, — უპასუხა ლევანმა, — ოცი პროცენტი ჩვენთვის საკმარისი იქნება, რომ ასეთი ოპერაციები სისტემატიურად ვაწარმოოთ, რაც ბრუნვაში საკმარი მოგებას მოგვცემს.

მინისტრის მოადგილე გაჩუმდა. კომისიის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველას ეგონა, რომ კერძო სტრუქტურის წარმომადგენელი ასეთ გარიგებაზე არ წავიდოდა, ამიტომ სათქმელი აღარაფერი იყო, თანხმობა უნდა მიეცათ. მაგრამ სამშობლოს მოღალატეებს რა დალევს. კომისიის იგივე წევრი, რომელიც თავიდან ძალიან აქტიურობდა, ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა განაცხადა:

— ფქვილი საქართველოდან არ გავა.

კომისიის სხდომა დამთავრდა. სართელი ცუდ გუნებაზე დადგა. დიდხანს იბოდიალა თავმჯდომარის მისაღებში. კომისიის თავმჯდომარემ იგი არ მიიღო. ლევანმა ბოლოს ხელი ჩაიქნა და დერეფანში გამოვიდა. დერეფანში არავინ აღარ იყო. მხოლოდ ერთი კაბინეტიდან ისმოდა ხმამაღალი საუბარი:

— გაგიჟდი! მაგას ომ დღეს უფლება მისცე, შემოზიდავს და შემოზიდავს ფქვილს. გაგიხდება მონოპოლისტი და მერე შენ რა გეშველება. რას შვრებიან იმ მოსკოვის კრედიტზე?

— ათ დღეში დაჯდება ალმა-ათის აგროსამრეწველო ბანკში, — უპასუხა მეორე ხმამ.

— ჰოდა, დაიწყეთ ხორბლის დამზადება, როგორც შევთანხმდით, — თქვა ისევ პირველმა ხმამ.

ლევანმა ხმების მიხედვით ვერ გაიგო, ვინ და ვინ საუბრობდა. ერთი კი ნამდვილად იცოდა, რომ ორივე მთავრობის კაცი იყო.

ამ შეთქმულებას კერძო სტრუქტურების მისამართით მოჰყვა ის შედეგი, რომ თითქმის ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკის მოსახლეობა, რიგში საათობით მდგომი, ყიდულობდა და მიირთმევდა მდარე ხარისხის პურს, რომელიც, ძირითადად, საფურაუე ხორბლის ფქვილისგან იყო გამომცხვარი, ხოლო ქაღალდზე პირველი ან მეორე კლასის მაგარი ხორბალი იყო გაფორმებული, რაც ფულის მოხსნის ცნობილი მეთოდია. შედეგი კატასტროფული გახდლათ. რამდენიმე კაცმა დიდი ფული იშოვა, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა, უვარგისი პურის ჭამის გამო, კუჭის სხვადასხვა დაავადებით დასწეულდა.

XXVIII

ლევან სართელი ორი დღე შოკირებული იყო. ის ვერ წარმოიდგენდა, რომ ხელისუფლება ქვეყნისთვის ასეთ სასიკეთო საქმეზე უარს ეტყოდა. რაც მთავარი და მტკიცნეული იყო მისთვის, პარტნიორებთან შერცხვა, ბიზნესის წრეებში ამას „გადაგდებას“ ეძახდნენ. მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ვერ შეასრულა. ასეთ შემთხვევაში პარტნიორს ის უნდა დაეჯარიმებინა. როგორც შუა აზიელი, ისე სომეხი პარტნიორები მიხვდნენ, რომ ეს ყველაფერი ლევანის ბრალი არ იყო და ამიტომ მხოლოდ გადმოტვირთული ფქვილის საფასურის ანაზღაურება მოსთხოვეს ქართულ მხარეს. ლევანმა ნელ-ნელა დაიწყო თანხების გადარიცხვა, მაგრამ ეს საქმეც ნელი ტემპით მიდიოდა. რესპუბლიკაში შექმნილი რთული კრიმინოგენული სიტუაცია და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელ სიტუაციას არ ქმნიდა, ამიტომ ფქვილის რეალიზაცია ნელა მიმდინარეობდა. აფხაზეთში ომი მდგრინვარებდა. ასოციაცია, „ლაშარი“ აქტიურად მონაწილეობდა საქველმოქმედო ღონისძიებებში. სამაჩაბლოში და აფხაზეთში დაღუპული რამდენიმე მეომრის ოჯახს ეხმარებოდნენ. აფხაზეთში, ფრონტზე აგზავნიდნენ სურსათს, ომისთვის საჭირო სხვადასხვა ინვენტარის შესაძენად თანხას რიცხავდნენ სპეციალურად გახსნილ ანგარიშებზე. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდნენ, რაც მოეთხოვებოდათ ზურგში მყოფ ადამიანებს.

ორშაბათს ლევანი კაბინეტში იჯდა და ანგარიშებს ანალიზს უკეთებდა. ტელეფონმა დარეკა. ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელი იყო.

— უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი, ასოციაცია „ლაშარია“?

— დიახ, — უპასუხა სართელმა.

— ზაურ გელაშვილს სად ვნახავთ?

— ალბათ, თავისთან იქნება, კაბინეტში, — უთხრა ლევანმა და ტელეფონის ნომერი უკარნახა.

— მაგ ნომერზე დავრეკეთ. მდივანმა გვიპასუხა და გვითხრა, რომ მოსკოვშიაო.

— სად? მოსკოვში? — განცვიფრდა სართელი.

— როგორ, თქვენ, მისმა მოადგილემ, არ იცით, ასოციაციის პრეზიდენტი სად არის? — უფრო დიდი განცვიფრება გამოხატა ბანკის მმართველმა.

ლევანმა შიდა ტელეფონზე გადარეკა გელაშვილის მდივანთან. მდივანმა იგივე დაუდასტურა. წერილი დამხვდა მაგიდაზე.

— მართლა წასულა, — თქვა ლევანმა და ბანკირს შეეკითხა, — მე ვერ დაგეხმარებით?

— თუ თქვენ არ იცით, თქვენი უფროსი სად დადის, ალბათ, არც ის გეცოდინებათ, რომ ასი მიღლიონი კრედიტი აქვს აღებული ჩვენგან და კრედიტის გადახდის ვადა უკვე ორი კვირაა გავიდა. თქვენ უკვე ვადაგადაცილებაზე ხართ წასული და მოიფიქრეთ რამე.

— მე საქმის კურსში არა ვარ, ბატონო, — ძლივს ამოთქვა ლევანმა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — გაისმა ყურმილში და ბანკის მმართველმა ყურმილი დადო.

ლევანი წამოხტა და ზარის მიცემის მაგივრად მდივანს უყირა:

— ბუღალტერი დამაკავშირეთ სასწრაფოდ!

მდივანმა დავალება სწრაფად შეასრულა და ხუთ წუთში ბუღალტერი ლევანთან იჯდა კაბინეტში.

— კი, მაგრამ მე ბანკიდან უნდა ვიგებდე, რომ თქვენ გელაშვილთან ერთად კრედიტი გამოიტანეთ? — აღელვებული ლაპარაკობდა ლევანი და თან ბოლთას სცემდა კაბინეტში.

ბუღალტერი, ქალბატონი ელენე, თავჩალუნული იჯდა. როდესაც გაღიზიანებული სართელი ცოტა დაწყნარდა, როგორც იქნა, ბუღალტერმა დაიწყო საუბარი:

— ბატონმა ზაურმა მითხრა, რომ ამის შესახებ ის თვითონ გეტყოდათ, ბატონო ლევან. მაგრამ ჩანს, მწარედ მომატყუა.

— ფული სად არის ახლა? — თითქმის იყვირა ლევანმა.
— გამოიტანა და თვითონ დაიტოვა. დანარჩენი არაფერი ვიცი.
— ნუთუ გაიქცა? — თავისთვის ჩაილაპარაკა ლევანმა და
ბუღალტერს მიაშტერდა.

— მე სხვა არაფერი ვიცი, ბატონო ლევან. არ მეგონა, თუ
გელაშვილი თქვენ საქმის კურსში არ ჩაგაყინებდათ.

ქალბატონი ელენე ძალიან განიცდიდა შექმნილ სიტუაციას.
ლევანი მიზვდა, რომ ის გელაშვილმა მწარედ მოატყუა.

ლევანმა გელაშვილის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნო.
მოსკოვში თითქმის ყველა მის ნაცნობთან დარეკა, მაგრამ მის
შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მეუღლემ ლევანისგან გაიგო
ზაურის გაუჩინარების ამბავი. მან ეჭვიც კი გამოთქვა ქმრის
შესაძლო მოტაცების შესახებ.

— ლამარა, რატომ გვონია, რომ მოიტაცეს? — ჰკითხა ლევანმა
ზაურის მეუღლეს.

— დაახლოებით ათი დღის წინ ვიღაცებმა დარეკეს და
საკმაოდ დიდი თანხა სთხოვეს. ჩემთვის არაფერი უთქვამს.
მარტო იმაზე ჩხუბობდა, ამზელა თანხას ვინ მისცემს, სულ
გადაირია ეს ხალხიო. მას შემდეგ ამ თემაზე არაფერი უთქვამს.
სხვა არაფერი ვიცი, — თქვა ლამარამ და ცხვირსახოცით
თვალიდან ცრემლი მოიწმინდა.

— ვაპოვით, ლამარა, არ ინერვიულო, — დააწყნარა ლევანმა
ქალი. თუმცა კარგად იცოდა, რომ გელაშვილი ბანკის ვალის გამო
გაუჩინარდა და შესაძლოა, გარკვეული დროის განმავლობაში
არც გამოჩენილიყო. ამასთან, სართელი ხვდებოდა, კიდევ სხვა
რაღაც ხდებოდა გელაშვილის თავს, თორებ მარტო ბანკის
ვალის გამო ის არ გაიქცეოდა.

ლევანმა ლამარა ოფისიდან გააცილა და ისევ კაბინეტში
შემობრუნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაიღო კარიდა კაბინეტში
ზუმბო და პავლიკა შემოვიდნენ.

— ლევანს გაუმარჯოს! — ხრინწიანი ხმით წამოიკივლა
პავლიკამ და ზუმბოს ხელი რომ არ შეეშველებინა, ალბათ,

წაიქცეოდა. ეტყობოდა წამლის დოზა მეტი მოსვლოდა. ბიჭებმა ლევანს ხელი ჩამოართვეს და იქვე, სკამებზე ჩამოსხდნენ.

— ლევან! — დაიწყო ზუმბომ, — ზაურა სად არის, ტო?

ლევანმა მხრები აიჩეჩა:

— ახლა გავაცილე მისი მეუღლე აცრემლებული, ყველგან დაგრეკეთ და ჯერჯერობით კვალს ვერ მივაკვლიეთ. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ესეც არ ვიციოთ.

— შენი აზრით, სად უნდა იყოს? — ჰკითხა ზუმბომ ლევანს და თვალი თვალში გაუყარა. ეს იმას ნიშნავდა, გაერკვია სართელი მართალს ამბობდა თუ არა.

— მდივანთან წერილი დაუტოვებია, მოსკოვში წავდიო. რამდენიმე დღის უკან ბანკიდან დამირეკეს, ასი მიღიონი კრედიტი გაუტანია ადრე, მე აზრზე არ ვიყავი. ძალიან გამოუგალ სიტუაციაში ვარ. საქონელი ნელ-ნელა იყიდება. ინფლაციაშ წომ დაგვაქცია. ყოველივე ამას დაემატა ზაურის გაუჩინარება. რა ვქნა, არ ვიცი.

— ესე იგი, ლევან, ნაღდად არ იცი, სად არის? — გაიმეორა ჰკითხვა ზუმბომ.

— ნაღდად, ძმაო, — თქვა ლევანმა და ზუმბოს თვალებში შექედა, — არ გჯერა ჩემი?

— ესე იგი, აგვეთესა, სიმონ? — ხმა ამოიღო პავლიკამ და ერთი თვალი გაახილა.

— რა ხდება? — იკითხა სართელმა. იცოდა, რომ პავლიკა და ზუმბო ოფისში ტყუილად არ მოვიდოდნენ.

— შენთვის არაფერი უთქვამს? — ჰკითხა ზუმბომ ლევანს.

— არა, რა ხდება? — გაიკვირვა ლევანმა.

— ორას ორმოცი ათასი დოლარი უნდა ჩაერიცხა ჩვენთვის, — თქვა ზუმბომ.

— ორას ორმოცი ათასი? — გაოცდა ლევანი, — საიდან? ეს, დაახლოებით, ასოცი, ასოცდაათი მიღიონი მანეთია.

— რა ვიცი, აბა, საიდან? ამიტომ დროზე იპოვე, თუ არა და შენ მოგიწევს ამ საქმის გაკეთება, — ამაყად წარმოთქვა ზუმბომ და ფეხზე წამოდგა.

— თანხა ძალიან დიდია, მაგის შოვნის შანსიც კი არ არის, — ხელები გაშალა ლევანმა.

— ლევან! მე გაფრთხილებ, ჩვენთან ტყუილი არ თქვა, თორებ დაჯარიმდები. ხომ იცი, ვინც ვართ? — თითო დაუქნია პავლიკამ სართულს.

— რაც არა გვაქვს, არა გვაქვს, — თავისაზე იდგა ლევანი.

— ლევან! — ხმას აუწია ზუმბომ, — შენი ანგარიში უკვე გაკონტროლებულია და ანგარიშზე სამასი ათას დოლარამდე გიდევს, ხოლო ორას ორმოცდაათი ათასამდე საქონელი გიწყვია. ასე რომ, ჩვენ ვერ მოგვატყუებ.

სართული მიხვდა, რომ რომელიღაც თანამშრომელმა ინფორმაცია გასცა. ამ დალატს ნამდვილად არ მოელოდა. მაგრამ ახლა ამის გარჩევის დრო არ იყო. რაღაც უნდა ეღონა თავის დასაცავად, რადგან ტყუილში დაჭერა ჯარიმის ტოლფასი იყო. ამ ყაჩალებს შენი კონფიდენციალობა სულ არ აინტერესებდათ. ლევანი თავს იჭერდა, რომ აღელვება გარეგნულად არ შეტყობოდა, ამიტომ აუდელვებლად წარმოითქვა:

— ბანკი, კრედიტის დაფარვის მიზნით, ანგარიშებს ყადაღას დაადგეს და ეს თანხა, რაც თქვენ დაასახელეთ ავტომატურად მოიხსნება. ამიტომ გითხარით, ფული არა გვაქვს-თქმ, — სცადა სიტუაციიდან გამოსვლა ლევანმა.

ამის თქმა იყო და ზუმბომ და პავლიკამ იარაღები ამოილეს. ორივემ გადატენეს „მაკაროვები“ და წინ, მაგიდაზე დაიდეს. შემდეგ პავლიკა შემოუბრუნდა ლევანს და ხმადაბლა უთხრა:

— აირჩიე ან ეს და ან გადარიცხვა. გაიგე, ბიჭო!

ლევანმა თავი ჩაღუნა. კარგად იცოდა, რომ ესენი უკან არაფრთხე დაიხევდნენ, რადგან ადამიანის სისხლში კარგა ხანია, გასვრილი ჰქონდათ ხელები. ახლა მიხვდა, რატომ გადაიკარგა გელაშვილი. ლევანი დიდხანს არ დაფიქრებულა, გამოიძახა ბუღალტერი და სთხოვა, თანხა გადაერიცხა ამ ბატონების მიერ მითითებულ ანგარიშზე.

— ქალბატონო, ბანკში ჩვენ გამოგყებით, — მიაძახა ზუმბომ ბუღალტერს, როდესაც ის კაბინეტიდან გადიოდა.

— როგორც გენებოთ.

ლევანი ხმას არ იღებდა. სისხლი ტვინში ასხამდა. თავს იკავებდა უმაღლეს დონეზე და ეს უფრო უშლიდა ნერვებს.

— ლევან! — უხერხული სიჩუმე ზუმბომ დაარღვია, — არავისთან არაფერი, თორემ ხომ იცი, ჩვენ შემსრულებლები ვართ.

— ვიცი, — მოკლედ მოჭრა ლევანმა და სიგარეტს ცეცხლი გაუკიდა, — ჩვენ რა გვეშველება? ამდენ ვალებს რა გადაიხდის.

— რა ვქნათ, ძმაო. ნუ შეგვპირდებოდა ზაური და ჩვენც არ მოვითხოვდით, — თქვა ზუმბომ და იარაღი „კაბურაში“ ჩადო, — პავლიკას დასამუშავებლად კოჯრის ტყეში უნდოდა შენი წაყვანა, მაგრამ მე უარი ვუთხარი, რადგან, ჯერ ერთი, ძველი სიკეთე მახსოვს და, მეორეც, ვიცოდი, რომ უარს არ გვეტყოდი. ჩვენი დახმარება როდესაც დაგჭირდება, იცოდე, რომ გვერდში დაგიდგებით. ეს ფული კი გელაშვილის გადასახდელია და ის დაფარავს.

ამასობაში ბუღალტერმა თანხის გადარიცხვის დოკუმენტაცია შემოიტანა. ლევანმა დახედა და ერთ-ერთი ცნობილი ბანკის დასახელება ამოიკითხა. მაშინვე მიხვდა, რომ ამ ბანკში დასაფუძნებელი თანხა ირიცხებოდა, ხოლო ბანკი მის წინ მჯდომი ყაჩაღების ხელში ვარდებოდა.

ლევანმა ბიჭები აუღელვებლად გააცილა, მათ ყველა დაპირებაზე დაეთანხმა და მარტო დარჩა კაბინეტში. მარცხენა მხარეს, მკერდის არეში, ტკივილი იგრძნო, ენის ქვეშ ვალიღოლი ჩაიდო და სავარძელში გადაწვა. საბედნიეროდ, ტკივილმა მალე გაიარა. მერე თავის ტკივილი დაეწყო. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ თავი უნდა გასკდომოდა. ბოლოს ამანაც გაუარა და ტკივილებისგან დაღლილს სავარძელში ჩაეძინა.

XXIX

ლევანმა, როგორც იქნა, ყაზახი და სომები პარტნიორების დავალიანებები გაისტუმრა, ნაწილი ნაღდი ფულის გადახდით, ნაწილი საქონლით. გელაშვილი კვლავ არ ჩანდა. ვოვა საბაური შეუა აზიაში იყო წასული, ხოლო გენო ჭანკვეტაძე - ბერლინში. ასე რომ, სართელი მარტო იყო დარჩენილი და ძლივს აუდიოდა საქმეებს.

მმებმა სეფერთელაძეებმა საერთო ნაცნობი გამოუგზავნეს, აინტერესებდათ, ლევანის ძმის, გიორგის ოჯახში სროლის ამბავი, ჩვენზე ხომ არ ეჭვიანობსო. ლევანმა მოკლე პასუხი შეუთვალა: „ვინც ეს გააკეთა, ღმერთი გასცემსო პასუხს“ და ამით აგრძნობინა, რომ მათთან ურთიერთობა საბოლოოდ გაწყვიტა. სართელმა კარგად იცოდა, რომ ძმები სეფერთელაძეები არ მოასვენებდნენ. მათ საბოლოოდ ჩამოსაცილებლად პავლიკას და ზუმბოს „გვერდში დადგომა“ გაახსენდა და, ამ უკანასკნელთა ნებართვით, შეუთვალა სეფერთელაძეებს, რომ ასოციაცია პავლიკას და ზუმბოს „კრიშის“ ქვეშ მუშაობდა, რამაც ელვისებური შედეგი გამოიღო და ძმები სათოფეზე აღარ ეკარებოდნენ არც ასოციაციას და არც ლევან სართელს.

„ვაის გავეყარე და უის შევეყარეო“, ასე მიდიოდა ლევანის საქმე. სეფერთელაძეები კი ჩამოიშორა, მაგრამ ზაურ გელაშვილის წყალობით ისეთი „მჭამელები“ შეიძინა, რომ ასოციაცია უკვე სულს ღაფავდა. მიუხედავად ამისა, ლევანს დაგევმილი საქველმოქმედო ღონისძიებები არ შეუწყვეტია. ერთადერთი, რაც ვეღარ შესძლო, ეს პენსიონერებისათვის ყოველდღიურად ხუთას-ხუთასი ცალი პურის დარიგება იყო. ეს საქმე პურის ქარხანასთან თანხის გადარიცხვის წესით ჰქონდა აწყობილი, მაგრამ სართელმა ვეღარ „გაქაჩა“, ჯერ ერთი, თანხების დეფიციტის გამო, მეორე – ბრუნვაში კუპონის შემოსვლამ ფინანსური ოპერაციების წარმოებაში ერთგვარი ქაოსი შეიტანა და მესამე – ასოციაციის ხელმძღვანელობა ფრონტის სურსათით და სხ-

ვადასხვა საჭირო ინვენტარით მომარაგებისათვის გამოყოფილ თანხებს ვერ შეეხებოდა, მას ჭაბუ ჰქონდა დადებული. მხოლოდ ერთი გამონაკლისი დაუშვა, როდესაც თავისი სოფლის საბავშვო ბაღს გადაურიცხა გარკვეული თანხა. ესეც ბავშვების დიდა სიყვარულმა და ბაღში არსებულმა გაუსაძლისმა მდგომარეობამ გააკეთებინა. ფრონტზე განუწყვეტლივ იგზავნებოდა ფქვილი, კარტოფილი, დაკონსერვებული ბოსტნეული, თევზის კონსერვები, ჭანსაცმელი. ბოლოს ტყვიაგაუმტარი ჟილეტებიც შეიძინეს და გააგზავნეს სოხუმში. ესენი კი აგზავნიდნენ, მაგრამ დანიშნულების ადგილას თუ ჩადიოდა, ეს ასოციაციისთვის ცნობილი არ იყო. ტვირთის მიღება-გაგზავნას სამთავრობო ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ და ლევან სართელს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მათ საქმიანობაში ეჭვი შეეტანა. ისინი ხომ, კერძო სტრუქტურაც და სამთავრობო ორგანიზაციებიც, სამშობლოს თავდაცვის საქმიანობას ემსახურებოდნენ. თუმცა, ლევანის კოლეგები სხვა ასოციაციებიდან და ფირმებიდან, ხშირად გამოთქვამდნენ პრეტენზიებს სამთავრობო დაწესებულებების მისამართით. ფრონტიდან ჩამოსული მებრძოლების საუბრებიდან ირკვეოდა, რომ მათ ბევრი რამ აკლდათ. ესე იგი, აქედან გაგზავნილი დახმარება, როგორც ჩანს, სადღაც შუა გზაში „იკარგებოდა“. ლევანი ამას არ იჯერებდა:

— ქართველი ამას არ გააკეთებს. როგორ შეიძლება, ქართველი მებრძოლი ფრონტზე სისხლისაგან იცლებოდეს და მას მეორე ქართველმა დახმარება არ მიაწოდოს. ჭორებსა ხართ აყოლილნი და სხვა არფერიო, — ფიქრობდა ხოლმე.

ერთ-ერთმა ცნობილი ფირმის პრეზიდენტმა, რომელიც, ამასთან ერთად, საკმაოდ გავლენიანი პიროვნებაც გახლდათ, ლევანს საქმიან შეხვედრაზე ასეთი რამ უთხრა:

— ეჰ, ჩემო ლევან, ეს მე, შენ და კიდევ რამდენიმე ჩვენისთანამ ვიციოთ, რომ ნაღდ კაცურ საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ჩვენს დევნას დაიწყებენ ამ მართლაც მამაშვილური საქმის კეთების გამო და შეიძლება ისე გაგვაქრონ, რომ ჩვენს

შვილებს ჩვენი საფლავიც არ დარჩეთ დასატირებლად. მაცხოვრის სიტყვებისა არ იყოს, – „განიყვნეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა ჩემსა განიგდეს წილი...“ და, თუ თვალები მაინც შეგვარჩინეს სატირლად, ჩვენთვის ესეც დიდი მიღწევა იქნება.

მანამდე კი ბევრი მამულიშვილის გული დაიფერფლება.

ლევანზე ამ სიტყვებმა განსაკუთრებული ემოციურობით იმ-ოქმედა. ეს პიროვნება მძღენად გამოცდილი და განათლებული გახლდათ, რომ მისი სიტყვების დაუჯერებლობა არ შეიძლებოდა. ლევანმა თავისი აზრი მაინც გამოთქვა.

– ღმერთი ხომ ხედავს ყველაფერს, ჩემი ბატონო? ის სახიერი, კაცთა მოყვარე, სამართლიანია და წესიერ ადამიანებზე განსაცდელს არ დაუშვებს.

– სწორედ წესიერ ადამიანებზე უნდა დაუშვას განსაცდელი, რომ მომავალი თაობებისათვის ის სიკეთისა და სამართლიანობის ხატად წარმოჩინდეს, თორემ გარეწარის მოწამეობრივი სიკვდილი შენ სადმე წაგიკითხავს ან გაგიგონია? მათ შესახებ მხოლოდ ასე იტყვიან: „ჩასაძალებელი იყო და ჩაძალლდაო“, – თქვა ლევანის „დიდა“ კოლეგამ და თან დაამატა, – შენი მიკვრს, ლევან, აქამდე საქართველოში რომ შემორჩი და არ გაიქცი აქედან?

– რატომ უნდა გავიქცე?

– აბა, ასე გინდა, თანდათან გძარცვონ და სიკვდილის პირას მიგიყვანონ?

– აქაური კაპიკი გერჩივნოსო, ხომ გაგიგონიათ? – გაეცინა ლევანს, – არა მგონია, ბოლომდე ასე გაგრძელდეს, – თან ბავშვები პატარები მყავს და მინდა, დაწყებითი განათლება სამშობლოში მიიღონ. ვნახოთ, ომი დამთავრდეს, იქნებ უკეთესობისკენ შეიცვალოს ცხოვრება.

– შენი საქმისა შენ იცი, მე კი გირჩევდი, გაასწრო ამათ და უკეთეს მომავალს იქ, უცხოეთში, დაელოდო. საკმაო კაპიტალ-საც დააგროვებ და შენი ბიზნესით შემოზვალ სამშობლოში.

ისე დამაჯერებლად იყო ნათქვამი ეს სიტყვები, რომ ჭკვიანი კაცი იმ დღესვე მიიღებდა ქვეყნიდან წასვლის გადაწყვეტილებას, მაგრამ სართელი თავისი კახური სიჯიუტის გამო ამის გამქობელი არ იყო. მას მაინც სწამდა, რომ ხელისუფლება ხალხს არ გასწირავდა.

აფხაზეთში მიმდინარეომინელ-ნელა ვიღაცის მიერ დადგმულ სცენარს ემსგავსებოდა. ქართველები აიღებდნენ რომელიმე სოფელს ან სტრატეგიულ პუნქტს და იმავე დღეს მთავარ-სარდლის ბრძანებით დაატოვებინებდნენ. ასეთმა მოქმედებებმა სისტემატიური ხასიათი მიიღო და სწორედ ეს გახდა იმ ეჭვის საფუძველი, რომ ვიღაც გარედან კარნახობდა ორივე მხარეს თავის პირობებს. ფრონტის წინა ხაზზე, ძირითადად, პატრიოტი ადამიანები იბრძოდნენ. მათი უმრავლესობა მტრის ტყვიისაგან განგმირული დაცა ბრძოლის ველზე, ხოლო მარადიორები და მათზე მიტმასნილი ნაძირალები ნელ-ნელა ჩამოვიდნენ თბილისში და აფხაზეთის ომის მონაწილის სახელით თავისი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯას მიჰყევს ხელი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გვარდიის და „მხედრიონის“ ეგრეთწოდებული „მეომრები“. ისინი შეესივნენ ორგანიზაციებს, ფირმებს, საწარმოებს, მაღაზიებს იმ მიზეზით, რომ, როდესაც ისინი აფხაზეთში სისხლს ღვრიდნენ, ესენი აქ ფულს შოულობდნენ. დაიწყო დიდი განუკითხაობის პერიოდი. მძარცველები ოჯახებში უვარდებოდნენ ხალხს და რაც ხელში მოხვდებოდათ, გამოპეონდათ. არ ერიდებოდნენ არც კაცის მოკვლას. ეს მათთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ აგაზაკების ძირითადი ნაწილი ის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც დღევანდელმა ხელისუფლებამ სახელმწიფო გადატრიალებისთვის დაგეშა. ისინი მომზადებულნი იყვნენ სამოქალაქო ომისთვის ზვიადისტური მთავრობის წინააღმდეგ. გადატრიალებამ, რომელიც ისტორიაში თბილისის ომის სახელწოდებით შევიდა და სულ რამდენიმე დღე გასტანა, ვერ დააკმაყოფილა სისხლის სმისთვის მომზადებული ახალგაზრდების „მოთხოვნები“. ისინი,

ხელისუფლების სათავეში სისხლით მოსულ მთავრობას ბუ-მერანგივით უკან რომ არ შემოტრიალებოდნენ, მაქსიმალურად „დასვეს“ წამალზე და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სა-მარადიოროდ გაუშვეს. შემდეგ აფხაზეთში „ანადირეს“ და „ამ-არადიორეს“. აფხაზეთიდან უკუქცეულებმა, სამეგრელის გად-აუარეს და ბოლოს თბილისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დაიწყეს „ჯირითი“.

ვინაიდან ხელისუფლებას აფხაზეთში ომი ჯერ დამთავრებუ-ლი არ ჰქონდა, თავის გაზრდილი მარადიორების განადგურებას ვერ შეძლებდა, ამიტომ ამჯობინა, მათთვის თავისუფლება მიეცა და დროის გაყვანის მიზნით, საკუთარი ხალხი შეეჩერებანა სა-ჯიჯგნად. ამ უთანასწორო ბრძოლას კახეთში ლევანის ორი ძლიერი ფირმა შეეწირა. ეს ის ფირმები იყო, რომლებიც ასოცი-აცია „ლაშარის“ მუდმივ მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენ-და. ამას დაემატა ის, რომ პავლიკას და ზუმბოს ძალდატანებით სართელს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ სტრუქტურაში, ვითომ აფხაზეთის ომის საჭიროებისათვის, გადაარიცხინეს ასი ათასი დოლარი, რამაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ასო-ციაციის ფინანსურ მდგომარეობას.

საქმიანობის გაგრძელება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა.

ლევანმა თავისი მანქანის, „გაზ 24-10-ის“, გაყიდვა გად-აწყვიტა. ეს გადაწყვეტილება მან ორი მიზეზის გამო მიიღო. პირველი – ქალაქში ბევრმა იცოდა, რომ ეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნაქონი მანქანა იყო და ცოტა აღმაც-ერად უყურებდნენ, რამდენჯერმე ზვიადისტებმა აფეთქებაც კი დაუპირეს. ყველას ვერ აუხსნიდი, რომ ეს მანქანა პრეზიდენტ-მა ზვიად გამსახურდიამ ლევან სართელის პირველ ფირმას საჩუქრად უძღვნა. უმრავლესობას ეგონა, რომ იგი ყაჩაღური გზით ჰქონდა ლევანს მოპოვებული. მეორე მიზეზი კი ლევანის პირადი ფინანსური მდგომარეობა გახლდათ. ამდენი ტერორის შემდეგ მისი ოჯახის ბიუჯეტიც დაცარიელდა და ელემენტა-რულად კვების ფული სჭირდებოდა. ზემოთ აღწერილი სიტუ-

აციის გამო მანქანის გაყიდვა საქართველოში და, მით უმეტეს, თბილისში, ათას მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა და ამიტომ ლევანმა მანქანის რეალიზაცია აზერბაიჯანში გადაწყვიტა. ამის-ათვის ლევანმა მარნეულის რაიონის ერთ-ერთ სოფელში თავის ძველ კომერციულ აგენტს ჩააკითხა. ამ კაცს ნაღია ერქვა და ყიდვა-გაყიდვის საქმეშიც კარგად ერკვეოდა.

ლევანის ჩასვლა ნაღიას და მისი ოჯახის წევრებს ძალიან გაუხარდათ. ნაღიას ცხვარი დაეკლა, ჩამოეკიდა ხეზე და ატყავებდა. ლევანმა ნაღიას მეუღლეს საჩუქრები გადასცა და ოჯახის უფროსს გასძახა:

- საიდან იცოდი, რომ უნდა ჩამოვსულიყვავი?
- არა, კასო, მე და ჩემმა ღმერთმა, საიდან ვისოდი?
- აბა, ცხვარი შენთვის დაიკალი?
- დღეს ჩვენი პრაზნიკია, ლევან, და ცხვარი უნდა დაკლას მუსლიმანმა.
- რა „პრაზნიკი“ გაქვთ ამისთანა?
- კურგან ბაირამია, კასო, როგორ არ ისი?
- აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე, ნაღი, თქვენი პრაზნიკები? — გაეცინა ლევანს.
- როგორ, ყოველ ზაფხულში, დამზადების დროს, ცხვარს გიკლავდით ბიჭებს, არ გახსოვს? — გაიკვირვა ნაღიამ და თან თავისი ოქროს კბილები გამოაჩინა.
- მაიცა, მაიცა, გამახსენდა, ეს ის პრაზნიკია, დალევა რომ არ შეიძლება?
- ჰო, ჰო, ეგ არი, კურგან-ბაირამი, — გაეხარდა ნაღიას და ლევანს აკოცა, — შენ დალიე, კასო, დალევა ჩემთვის არ შეიძლება.
- მადლობთ, ნაღი, მაგრამ დასალევად არ ჩამოვსულვარ. საქმე მაქვს შენთან. ხელს არ შეგიშლი, შენ იმუშავე, მე კიდევ მოგიყვები.

ლევანმა ნაღიას მანქანის გაყიდვის შესახებ უთხრა ყველაფერი, თან სთხოვა, რომ ეს საქმე დაეჩქარებინა და პატივს სცემდა. ნაღიამ თავი მოიკლა, ჩემსა და შენს შორის ფულზე ლაპარაკი როგორ შეიძლებაო, მაგრამ ლევანმა კარგად იცოდა,

თათარი უფეულოდ საქმეს ხელს არ მოკიდებდა და ამიტომ წინასწარ შესთავაზა საკომისიო გადასახადი. დიდი ყოფმანის შემდეგ ნაღია დასთანხმდა. შემდეგ მასპინძელმა ცხვრის ხორცი ლიდ ქვაბში ჩაჭრა, ცეცხლზე შემოდგა და ლევანი აივნის ქვეშ სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიიწვია ჩაის დასალევად.

სიცხეში ჩაის დალევა ლევანს ძალიან არ უყვარდა, მაგრამ მასპინძელს ხათრი ვერ გაუტეხსა, ცალ ხელში ჩაის ჭიქა დაიჭირა, მეორეში შაქრის ნატეხი და ნელ-ნელა დაიწყო ჩაის წრუპვა.

ნაღიაგარეგნულადგულჩათხრობილიკაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სინამდვილეში კი, რომ დაიწყებდა ლაპარაკს, ვერ გააჩერებდი. ახლაც მოხსნა გუდას პირი და ხან აზერბაიჯანის ამბებს უყვებოდა ლევანს და ხან მარნეულის. ლევანიც ხან უსმენდა და ხან არა. ამასობაში ეზოში მდგარი ბროწეულის ხის ძირში ოთხი ბავშვი შეიკრიბა წიგნებით ხელში, გადაშალეს წიგნები და კითხვა დაიწყეს. ლევანი ჯერ ბავშვებს უყურებდა, მერე ნაღიას შეხედა და ჰკითხა:

— კაცო, ეს ბავშვები სკოლაში სიარულის დროს არ იკლავენ სწავლით თავს და ამ შუა ზაფხულში რა სწავლა-განათლება აუტყდათ?

— ეგენი მოლას ელოდებიან, კასო.

— ვინ მოლას?

— ერთი ბავშვი გამოაგზავნეს ჩვენს სოფელში თურქეთიდან, დიდი რომ გამოვა, მოლა იქნება რა. ხოდა, ბავშვებს ასწავლის ჩვენს სარწმუნოებას.

— მარტო თქვენს სკოლაში გამოგზავნეს? — დაინტერესდა ლევანი.

— არა, კასო, ყველა სოფელში მარნეულის, გარდაბანის, ბოლნისის და საღაც ჩვენი ხალხია, რა.

— ყველანი თურქეთიდან არიან გამოგზავნილნი?

— მაშ, კასო, სამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭები არიან. ახლა მაგათ თურქეთში, საღაცა სწავლობენ რა, მოლას სკოლაში, დასვენებები აქვთ და ერთი ოთხასამდე ბავშვი საქართველოშია

გამოგზავნილი, რო ჩვენი ხალხს ლოცვა ასწავლონ. აგე, მოდის კიდეც ეს ტურქი.

ეზოში თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ბიჭი შემოვიდა. ნაღიამ დაუძახა და ლევან სართელი გააცნო. ბიჭს სახეზე მკრთალი, მოყვითალო ფერი ედო. ლევანს თვალი თვალში გაუყარა. სართელმა მის თვალებში სისასტიკე ამოიკითხა, რასაც მუსლიმანური ქვეყნების ახალგაზრდობას ისლამის მასწავლებლები ბავშვობიდანვე უნერგავდნენ, რათა შემდგომში მათ, ალაპის სახელით, არ გასჭირვებოდათ განსხვავებული სარწმუნოების ქვეყნების, განსაკუთრებით კი ქრისტიანული სახელმწიფოების დაპყრობა. ეს ახალგაზრდაც, რომელიც ორივე ხელით ყურანს ჩასჭიდებოდა და, ერთი შეხედვით, ვითომ უწყინარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ამ მისით იყო ჩამოსული საქართველოში.

ახალგაზრდამ ნაძალადევი ღიმილით ლევანს ბოდიში მოუხადა, მაგრამ ზელი არ ჩამოურთმევია, რადგან ყურანზე ჰქონდა მაგრად ჩაჭიდებული, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ლოცვის დაწყების წინ ქრისტიანს არ შეხებოდა. შემდეგ მიუახლოვდა თავის მოსწავლეებს, რომელთა რიცხვი ერთი-ორად გაზრდილიყო და ისეთი მხიარული სახით შეხვდა, ასეთი სახეცვლილება მხოლოდ სპეციალური მისით გამოგზავნილ ადამიანებს თუ შეეძლოთ. რამდენიმე წუთის შემდეგ ისეთი ხმამაღალი კივილი მორთეს, რომ ლევანს ბათუმის ცენტრში აშენებული მინარეთი და იქაური მოლას წიგილი გაახსენდა. ლევანმა უყურა, რა გულმოლებინედ სწავლობდნენ საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელი ბავშვები საუგუნეების განმავლობაში საქართველოს დამაზრული სარწმუნოების საფუძვლებს ქართველების პოლიტიკური მტრის – თურქეთის მიერ გამოგზავნილი მომავალი მოლების მეშვეობით. მწარედ გაეღიმა და ფიქრებში წავიდა:

„ყოჩალ, ქართველებო! ჩვენ ერთმანეთს ვხოცავთ, ვჭამთ და ვჯიჯვნით. ამ დროს აბაშიძე აჭარაში გვიმზადებს ისლამის სულიერ მამებს, ხოლო ქვემო ქართლის რაიონის გამგებლები აქ, ახლა, მგონი, თურქული უნივერსიტეტის გახსნასაც აპირებენ,

ავშენებულვართ და ეგ არის. ჩვენი ეკლესიის სულიერ მამებს რომ პყითხოთ, ღმერთო, მაპატიე, მხოლოდ ტაძარში წარმოებული ყოველდღიური ღოცვით თუ დაგამარცხებთ ჩვენს მტრებსო. ამათ მარტო ღოცვით ამოძირკვავ? შენი სამშობლოს მიწაწყალზე, თითოეული ზის ქვეშ, მოლას გიზრდიან. რამეს უზამ, ერთ ამბავს ატეხენ მსოფლიო მასშტაბით, საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევაო და საწყალ მუსლიმანს ავიწროებენ. ქართველი, რამდენიც გინდა, გაულიტე, გამკითხავი არ არის. ამაზე თუ ფიქრობენ ჩვენი ეკლესიის ხელმძღვანელები... ნეტავ, ფეხი მომტეხოდა და აქ არ ჩამოგსულიყავი...“

— ღევან, ხორცი გადაიღე, კურგან-ბაირამისათვის გაზრდილი ცხვრისაა, — ნაღიას ხმამ გამოაფხიზლა ლევანი.

ხორცით სავსე სინი ისე ახლოს მიეტანა მისთვის ნაღიას, რომ ღევანმა ხორცის გადაღებაზე უარი ვეღარ თქვა. ერთი ნაჭერი გადმოიღო და თევზზე დადო.

— მიირთვი რა, კასო, გემრიელი ხორცია, — ამალებდა ნაღია სტუმარს.

ღევანს არ უნდოდა ამ ხორცის ჭამა, მაგრამ მიზეზიც ვერ მოეფიქრებინა, ზრდილობინი უარი რომ ეთქვა მასპინძლისთვის. ბოლოს მიუბრუნდა ნაღიას და ნაწყენი კილოთი უთხრა:

— რა შებერტყილიც იყავი, ის დარჩი, რა!

— რათა, კასო?

— ჯერ ჩაით და შაქრით გამომჭყიბე და ახლა მეუბნები, ხორცი ვჭამო, არა? — უთხრა ღევანმა ნაღიას და ხორცით სავსე სინი იქეთ მიაწოდა. — შენ დაიწყე, მეც მაღაზე მოვალ და შემოგიერთდები.

ნაღიამ რამდენიმე ნაჭერი გადაიღო და გემრიელად დაიწყო ხორცის ჭამა. ღევანს ძალიან უნდოდა, აპყოლოდა მასპინძელს, მაგრამ ახალგაზრდა მოლების შემყურებს, ყველაფრის ხალისი დაეკარგა. ზრდილობის გულისთვის ცოტა ხანს კიდევ დაჰყო სუფრასთან, მერე დაემშვიდობა მასპინძლებს და თბილისში წამოსასვლელად მოემზადა. გამოსვლისას თურქმა პატარა მოლამ თავისი სასტიკი მზერა გამოაყოლა. ეს შენიშნა ლევანმა და

როდესაც მანქანით ნაღიას სახლს გამოსცდა, პირჯვარი გადაიწერა, თან თავისთვის თქვა:

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, გიბრძანებ, სატანავ, განვედ ჩემგან.

მბოლომა ლევანს მიჰპაძა და, ღმერთის წყალობით, ის დღე მათვის მშვიდობიანად დასრულდა.

ლევანის მანქანა, როგორც იქნა, გაიყიდა ბაქოში. ბოლო დროს არაფერში ბედი არ წყალობდა. ფასები მაშინ დაეცა, როდესაც მანქანა გასაყიდად გაიტანეს. სამი ათას ზუთას დოლარად ძლივს გაყიდეს. ამის შემდეგ ახალი პრობლემა წარმოიშვა. ლევანს სანდო წყაროდან ინფორმაცია მოუვიდა, რომ მის „მერსედესზე“ მხედრიონელები იწყებდნენ „ნადირობას“. იმ დროს „მერსედესის“ მარკის მანქანები იშვიათობას წარმოადგენდა და ამიტომ მისი მსურველიც ბევრი იყო. ლევანმა სასწრაფოდ გადამალა „მერსედესი“ და ასოციაციის კუთვნილ „09“-ზე გადაჯდა. მიუხედავად ამდენი თავდასხმისა, ასოციაციას მაინც შემორჩა ხუთი „09“, ოთხი „კამაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანა და ორიც „ვილისი“.

ლევანის ასოციაცია კატასტროფული ტემპით მიექანებოდა უფსკრულისაკენ. გელაშვილი კვლავ არ ჩანდა. ბანკს ეს უკვე აღარ აინტერესებდა და როგორც ასოციაციის ხელმძღვანელს, ლევანს სთხოვდა გატანილი ასი მილიონი რუბლის დაფარვას, რა თქმა უნდა, თავისი პროცენტებით. ვინაიდან ქვეყნაში კუპონის მიმოქცევაში გაშვების შემდეგ ინფლაციამ არნახული ტემპებით იმატა, ლევანმა დაიწყო სასწრაფოდ სარეალიზაციო, არამაღლუჭქებადი საქონლის და უძრავი ქონების შესყიდვა, რომ ბანკის ვალი დაეფარა. გელაშვილი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცოდა. ლევანი გრძნობდა, რომ ის ცოცხალი იყო, მაგრამ სად იპოვიდა. სამოცდათხუთმეტი ათასი დოლარი ზაურს ლევანის პირადი ვალი ჰქონდა. როგორც გაირკვა, სხვების ვალიც დაუდია, რომლებიც მოსაკლავად დასდევდნენ. ესეიგი, მართლა გაქცეული იყო და იმალებოდა.

სექტემბრის ერთ მშვენიერ დილას, როდესაც ლევანი სახლი-დან გამოსასვლელად ემზადებოდა, ტელეფონის ზარმა დარეკა და პოი, საოცრებავ – გელაშვილი.

– ცოცხალი ხარ, ალექსანდროვიჩ?! – ჰკიოთხა ლევანმა და იქვე მძღარ სავარძელში ჩაჯდა, – სად დაიკარგე, კაცო, რომ მი-მატოვე ასე მარტო?

– აი, მორჩება ომი და ჩამოვალ, – ომახიანად თქვა გელაშვილმა.

– რომელი უუკოვი ან როკასოვსკი შენა ხარ, ომის დამთავრე-ბას რომ ელოდები?

– მაშაყირებ, ლევან, ეს დავიმსახურე შენ თვალში? – განაწყ-ენებული კილოთი დაიწყო საუბარი ზაურმა.

– ზაურ! დაანგრიე და მოსპე ეს წვალებით შექმნილი ასო-ციაცია, მერე გაიქეცი და კიდევ აქეთ გესაყვედურობ? – ასეთი უსამართლობისაგან ხმა აუკანკალდა სართელს, – ძალლადაც არ ჩაგვაგდე, რომ დაგერეკა, ცოცხალი იყავი თუ მკვდარი, ან სად ხარ საერთოდ, ეგეც არ ვიცით.

– სად ვარ და მოსკოვში. აქ ვეწევი ჩემს ბიზნესს, აპა მაგათ შევაჭმევინებდი თავს?!

– მე რაღას მერჩოდი, ამდენი ხანია შენს ვალებს ვიზდი, ამაზე თუ გითვიქრია როდისმე? – ჰკიოთხა ლევანმა და სიმწრის-აგან ფეხზე წამოდგა.

– სამას ორმოცი ათასი დოლარი მარტო ზუმბომ და პავლიკამ წაიღეს და ას მილიონ დაგალიანებაზე ბანკი მირეკავს ყოველ-დღე. თუ შენ ამას ფულს არ ეძახი?

– ჩამოვალ და გადავიზდი. მაგ ზუმბოს და პავლიკას გადაეცი, ნუ იმუქრებიან, სროლა დასწრებაზეა-თქო.

– როდის ჩამოდიხარ ბოლო-ბოლო?!

ლევანის ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა. გელაშვილმა ტელე-ფონი გათიშა. სართელი ერთი საათის განმავლობაში ელოდა მისგან ზარს, მაგრამ უშედეგოდ. თვითონ მისი არც ტელეფონი იცოდა და არც მისამართი. შემდეგ ზაურის მეუღლეს დაურეკა. იფიქრა, შეიძლება იქ დარეკაო. ახლა გელაშვილის მეუღლე

გაგიქდა, თუ ცოცხალია, რატომ სახლში არ რეკავსო და ლე-ვანს დაუბარა:

— რომ დარეკოს ვაჟბატონმა, გადაეცი, გაყრაზე შემაქვს საბუთები. — ლამარამ მაშინვე გათიშა ტელეფონი.

ერთი სიტყვით, ცოლიც და ქმარიც ლევანს უწყრებოლნენ, კაცს, რომელიც მათ ვალებს იხდიდა. ხალხი სასწაულად იცვ-ლებოდა. რაც კი უარყოფითი იყო ადამიანში ჩადებული და აქამდე თავშეკავების ძალისხმევით იფარებოდა, ცხოვრების ასეთმა შემობრუნებამ ყველაფერი ზემოთ ამოატივტივა. თუ ამდენი ბოროტება და შური არსებობდა ადამიანებში, ამას ვე-რავინ წარმოიდგენდა თუნდაც სამი-ოთხი წლის წინ. გავიხსე-ნოთ 1989 წლის ცხრა აპრილი. ერთ მუშტად შეკრული ქართ-ველობა. ტრაგედიას ყველა ერთნაირად განიცდიდა. მას შემდეგ ხომ ოთხ წლიდადზე ცოტა მეტი იყო გასული. იგივე ადამი-ანები ერთმანეთს მოსაკლავად დასდევდნენ. გაუტანლობასა და ბოროტებაზე ხომ საუბარი აღარ შეიძლება, ის ყოველ ნაბი-ჯზეა ჩაბუდებული და ზეიმობს ბოროტი. სატანა ყოველთვის მოხარულია აღმიანთა უღმერთობის.

ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტი წლის ათი სექტემბრის შემ-დევ აფხაზეთში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. საქართ-ველოს ამ ულამაზესი კუთხის დაკარგვით თვითონ ქართველების გარგებული ნაწილი იყო დაინტერესებული, თუ მართლა აფხ-აზეთის შეიარაღებული ძალების დამსახურება იყო ზედიზედ რამდენიმე სტრატეგიელი პუნქტის დაკარგვა, ამის გარკვევი-სათვისა ამ გავანია ომში არავის ცვალა. ძირითად მიზანს სოხუმის დაცვა, გაძლიერება და შემდეგ შეტევაზე გადასვლა წარმოად-გენდა, რაშიც გარდა მებრძოლებისა, აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ ზურგის როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სამსახურებს. ამ მიზნით, ლევან სართელი, როგორც ერთ-ერთი ფინანსურად ძლიერი კერძო სტრუქტურის ხელმძღვანელი, დაიბარეს მთავრობაში, რომელიც ყოფილი ცენტრალური კომიტეტის შენობაში მდებარეობდა. ლევანი ამ შენობაში კო-

მუნისტების დროს ხშირად დადიოდა. ამ ბოლო დროს კი სულ ერთხელ გახლდათ, სასურსათო კომისიის იმ ავბედითსხდო-მაზე, სადაც მისი წამოწყებული, ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე ჩანასახშივე ჩაკლეს „ერის ეკონომიკის მამებმა“.

ლევანს შეხვედრამდე საკმაო დრო ჰქონდა დარჩენილი და ამიტომ შენობაში გაისეირნა. კომუნისტების შემდეგ აქ თითქმის არაფერი არ იყო შეცვლილი. თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანებიც კი. კაბინეტებიდან მხოლოდ პროლეტარიატის ბელადის, ლე-ნინის სურათი იყო ჩამოხსნილი და მის ადგილას ზოგან შევარდნაძის და ზოგან ილია ჭავჭავაძის სურათები ჩამოეკიდათ. ილიას სურათი, ალბათ, იმიტომ, რომ ამ ხელისუფლების ეროვნული იერსახე გარეგნულად მაინც წარმოეჩინათ. კაბინეტებში ისევ ის ხალხი მუშაობდა, ვინც კომუნისტების დროს საქმიანობდა. ში-გადაშიგ ახლებიც იყვნენ გარეულები. მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში, საუბარში და სხვა ჩინოვნიკურ მანერებში მხოლოდ ერთი რამ შეცვლილიყო. თუ ადრე ისინი ერთმანეთს „ამხანაგო-თი“ მიმართავდნენ, ახლა ეს სიტყვა „ბატონოთი“ შეეცვალათ, მაგრამ შინაურულ მიმართვებში მაინც „იჩებით“ საუბარი იყო მოდაში. ლევანმა ბევრი ძველი ნაცნობი ნახა, ესაუბრა. აფხაზე-თის თემა ამ „ცკ“-ს ნაშიერებს არ აინტერესებდათ. მათი საუ-ბრის ძირითადი თემები იყო: ბირჟაზე კუპონი ან რუბლი როგორ ხურდაგდებოდა დოლარზე. ვის რომელი იმპორტული საქონელი შემოჰქონდა. ფირმა ავტომანქანები რა ღირდა. ვის რამდენი „ბუტკა“ ჰქონდა თბილისში და ასე შემდეგ. ლევანი მიდიოდა „ცკ“-ს დერეფანში და ფიქრობდა:

„ამათთვის სულ ერთია, აფხაზეთი საქართველოში იქნება, თუ სხვა ქვეყანაში. ამ მშობელგანათლებულებმა პირადი მიზ-ნებისათვის ისე გაყიდეს საინგილო, სოჭი, ტაო-კლარჯეთი, რომ გული არ შეტოკებიათ და აფხაზეთს არ გაყიდიან? მგო-ნი, ფიქრობენ, დროზე მორჩეს ეს ომი, რომ, რაც შესაჭმელია საქართველოში, ისიც გამოვხრათ და მერე გინდ ძალლი ყოფილა და გინდ ძალლის პატრონიო“.

ლევანს ერთი ასეთი ეპიზოდი გაახსენდა თავის ყმაწვილკა-ცობიდან: როგორც ყველა ყმაწვილი საქართველოში, სარ-თელიც თავის დროზე „გიუ-პოეტობდა“ და ლექსებს წერდა. ერთხელ ერთმა ახლობელმა ლევანს თავის ლექსებთან ერთად „ხელი დაავლო“ და იმ დროის ერთ-ერთ ცნობილ და გავლე-ნიან პოეტთან მიიყვანა.

— ჩემი ახლობლის ბიჭია, წერს და წერს ამ ლექსებს. იქნებ შე-გემოწმებინათ. მართალია, საქართველოს ბევრი შესანიშნავი პო-ეტი ჰყავს თქვენი თამადობით, ბატონო ჩემო, მაგრამ, ხომ გაგიგო-ნიათ, რუსებს აქვთ ნათქვამი: — „კაშუ მასლომ ნე ისპორტიშო“.

ორივეს გაეცინა. იმ საზოგადოებისათვის ღირსმა პოეტმა მარჯვენა ხელი შუბლზე შემოიდო და დაიწყო ლევანის „ნა-ჯახირევის“ კითხვა. პირველი ლექსი რომ წაიკითხა, ციკლი-დან „წინაპრები“, ლევანს შუბლზე მიდებული ხელის ქვემოდან ძკაცრი ტონით ჰკითხა:

— ვინ არიან, ბიჭო, ესენი?

— ვინ, პატივცემულო? — ფეხზე წამოდგა ლევანი.

პოეტმა ახედა ლევანს, საჩვენებელი თითით დაწერილ ლექსზე მიუთითა და ხელმეორედ გაიმეორა:

— ვინ არიან ესენი, აქ რომ გიწერია, — „ყბააზვეულთა ურიცხვ ბრძოებმა სისხლით შეღებეს დარიალანი“.

სართელი მიხვდა, რომ კომუნისტების პოეტს სიტყვა „ყბააზ-ვეული“ არ მოეწონა, იმასაც მიხვდა, ვისზე იყო საუბარი, მა-გრამ ამის გაგება ლევანისაგან უნდოდა. ლევანს რომ ეთქვა, ამ სიტყვაში „ბილშევიკები“ იგულისხმებანო, იცოდა, რომ მიღება პოეტთან მაშინვე დამთავრდებოდა, ამიტომ იცრუა და ამაყად წარმოთქვა:

— ამ სიტყვაში „ნაროდნიკებს“ გვულისხმობ, პატივცემულო.

— მერე შენ არ გასწავლეს, რომ მარქსისტული იდეების პირველი გამავრცელებლები „ნაროდნიკები“ იყვნენ? — თვალებ-ის ბრიალით ჰკითხა პოეტმა.

აქ უკვე ვეღარ მოითმინა ლევანმა და პირდაპირ მიახალა:

- პოდა მეც მაგას არ ვწერ, რომ მაგათ დაგვლუპეს-თქო?
- დაგიჭერენ ბიძია და მერე იძახე ციმბირში „ყბააზვეულები“,
- წარმოსთქვა ღიმილით კომუნისტების პოეტმა, ლევანის ახლობელს თენგიზ ჩანტლაძის მილიციელივით გადახედა და მზერით აგრძნობინა, ხომ ხედავ, შენი გულისთვის არ დავიჭირეთ.
- მერე თავის პოეტ-კაკებეშინიკობა დროებით გვერდზე გადადო და გააგრძელა, — აბა, ვნახოთ, ლირიკაში რა ჩიტი ხარ.
- იკითხა, იკითხა, ბოლოს რგეული დახურა და ისევ ლევანს მიუბრუნდა:
- არ გამოვა არაფერი.
- რატომ? — იკითხა ლევანმა.
- შენი პოეზია მუხრან მაჭავარიანის პოეტური იდეების ზე-გალენას განიცდის.
- მერე მაგაში ცუდი რა არის, პატივცემულო?
- შენ, ბიძია, ამ ქვეყანაზე არ ცხოვრობ? — გაცხარდა კომუნისტების პოეტი, — ერთხელაც იქნება, მართლა დაგავლებუნ ხელს და მიგაბრძანებენ სადაც ჯერ არს. გაიგე?
- ლევანმა ისეთი სახე მიიღო, კითომ ვერ გაიგო და გაურკვევ-ლობის მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით თავის ახლობელს შეხედა. ახლობელი წამოდგა, კომუნისტების პოეტს დიდი ბოლიში მოუხადა, რომ ასე ძვირად დირებული დრო დააკარგვინა ასეთი უხეირო ლექსების კითხვით, დაეშშვიდობა, თან პურ-მარილზე დაპატიჟა, ძალიან დაგვიძველდაო და ლევანთან ერთად დროულად დატოვა პოეტის კაბინეტი. რედაქციას რომ გამოსცდნენ, ახლობელმა უსაყველურა სართელს:
- ბიჭო, თუ ასეთი ანტისაბჭოთა ლექსები გქონდა, ვერ თქვი?!
- კი, მაგრამ შენ ხომ წაიკითხე?
- მერე?
- მერე რა არის მანდ ანტისაბჭოთა.
- რა ვიცი, მე მაგდენი კი არ ვიცი, — თავის თავს უსაყველურა ლევანის ახლობელმა.

— პოდა თუ არ იცი, მმაო, თავი დაანებე ამ კაგებეშნიკ პოეტ-ებთან ურთიერთობას და ნაღდი პოეტების ლექსები იკითხე. თუ არ გაქვს, მე გათხოვებ წიგნებს.

— რად მინდა. მე და პოეზია? — გაეცინა ახლობელს, — აბა, მაგათ როგორი ლექსები მოსწონთ?

— როგორი? — გაეცინა ლევანს — დაახლოებით ასეთი:

გლეხმა თავის ძალლს

დაარქვა ბათურა,

ბინაში ანათებს

ილიჩის ნათურა.

ჩვენ ავაშენებთ

ქვეყნად კომუნიზმს

და მოვსპობთ

ყველგან იმპერიალიზმს.

ორივემ კარგად იცინეს მაშინ.

ამ ამბის გახსენებაზე „ცპ“-ს შენობის დერეფანში მიმავალ ლევანს ისევ ღიმილი მოადგა სახეზე. „მგონი, ისევ ამათი დრო მოდის“, — გაიფიქრა ლევანმა და იმ განყოფილების კარი შეა-ღო, სადაც დაიბარეს.

— ბატონი ლევან სართელი თქვენ ბრძანდებით? — ჰკითხა შარვალ-კოსტუმში გამოწყობილმა სიმპათიურმა მამაკაცმა.

— დიახ, — ლევანმა ხელი ჩამოართვა კაბინეტის პატრონს და ხელის ჩამორთმევაზე მიხვდა, რომ ისიც ძველი კომუნისტური ნომერ კლატურის წარმომადგენელი იყო.

— ბატონო ლევან! — დაიწყო განყოფილების უფროსმა, რომელმაც თავისი თავი ლევანს გიორგით გააცნო — მე აღარ აგიხსნით, რა ხდება აფხაზეთში, რადგან ეს ყველა ნორმალურ-მა ადამიანმა იცის. თუ სოხუმს „პადკრეპლენია“ არ მივეცით, დღე-დღეზე დაეცემა.

— ჩვენ, ბატონო გიორგი, — აქტიურად ჩაერთო საუბარში სართელი, — ფრონტის მომარაგების თაობაზე დიდი ხანია ვმუშაობთ და, სხვათა შორის, საქმაოდ ბევრი რამ გვაქვს გაგზა-

ვნილი, როგორც სურსათი, ფინანსები, ასევე სხვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებები.

— ყველაფერი ვიცით, ბატონო ლევან, ამიტომ გიხმეთ ჩვენთან. თქვენს გარდა იყვნენ და დაბარებულნი არიან კიდევ სხვა მომქმედი ასოციაციები და ფირმები. ჩვენ ყველასთან გვაქვს ერთი სათხოვარი, უფრო სწორედ, ეს სამშობლოს მოწოდებაა და არა ჩვენი...

— მოკლედ მითხარით, თუ შეიძლება, — შეაწყვეტინა სართელმა.

— ფრონტს იარაღი სჭირდება, — მოკლედ მოჭრა გიორგიმ.

— ჩვენ ამ საქმეში როგორ დაგეხმარებით, როდესაც იარაღთან არავითარი შეხება არა გვაქვს, — გაიკირვა ლევანმა.

— შეხება იარაღთან ჩვენ, ხელისუფლებას გვაქვს, გვჭირდება თქვენი ფინანსები და ორგანიზაცია, — განმარტა გიორგიმ. მან კარგად იცოდა, რომ საქმიან ადამიანებთან მოკლე და კონკრეტული საუბარი იყო საჭირო, — მხარში დადგომის სანაცვლოდ მთავრობა შემდგომში გარევეულ „პრივილეგიებს“ მისცემს იმ ორგანიზაციებს, ვინც ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

— ბატონო გიორგი, ჩვენ „პრივილეგიები“ არ გვაინტერესებს. ჩვენ, პირველ რიგში, როგორც ქართველებს, ჩვენი სამშობლოს ბედ-ილბალი გვაწუხებს და, თუ რამე შეგვიძლია, ყველაფერს გავაკეთებთ მისი გადარჩნისათვის.

— კეთილი, ბატონო ლევან. თქვენგან სხვა პასუხს არც მოველოდი, — კომპლიმენტი გაიმტა მთავრობის კაცმა, თითქოს დიდი წნის ნაცნობი იყო მისოთვის ლევანი, ან ძალიან ბევრი რამ იცოდა მისი საქმიანობის შესახებ.

გიორგიმ საქალალდე ხელში აიღო და ლევანს სთხოვა, გაჰყოლოდა. ისინი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ერთერთ მოადგილესთან, ანუ ვიცე-პრემიერთან შევიდნენ. ლევანმა იცნო ეს პიროვნება, მისი სახელიც გაახსენდა — არჩილი. ისიც ძველი კომუნისტური გვარდიის წარმომადგენელი გახლდათ. გიორგიმ წარუდგინა ლევან სართელი და მოკლედ გააცნო საქმის არსი.

— თქვენ მიბრძანდებით იარაღის ჩამოსატანად? — იკითხა ვიცე-პრემიერმა.

— ბატონო არჩილ, მე ამ საქმეში კომპეტენტური არ გახლავარ, — დაიწყო საუბარი ლევანმა, — ჩვენს ასოციაციას იარაღის ყიდვა-გაყიდვაზე საქმიანობა კანონმდებლობით აკრძალული აქვს, ამიტომ ამ დარგის სპეციალისტები არ გვყავს. ჩვენ შეგვიძლია, მთავრობის დავალებით, თანხა გადავრიცხოთ დანიშნულების ადგილზე და თქვენგან შერჩეულ სპეციალისტს, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი ორგანიზაციის ბეჭედი ვანდოოთ ოპერაციის ჩასატარებლად.

— კეთილი, თქვა ვიცე-პრემიერმა, სიგარეტი მაგრად მოქაჩა და გიორგის მიუბრუნდა, — გამოიძახეთ თავდაცვის სამინისტროდან სპეციალისტი, დააკავშირეთ ბატონ ლევანთან და მოაგვარეთ ყველაფერი ხვალ თორმეტ საათამდე. თქვენ კი, ბატონო ლევან, დღესვე დაიწყეთ ლიცენზის გაფორმება.

— კი ბატონო, რაც ჩემზეა დამოკიდებული, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი უმოკლეს ვადებში იქნება გაკეთებული, ოღონდ ჩვენს სამშობლოს ემველოს.

გიორგიმ და ლევანმა ერთობლივი საქმიანობით მეორე დღის თორმეტ საათამდე ყველა საკითხი მოაგვარეს. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს გადასცეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ბეჭედი და გაამგზავრეს იარაღის ჩამოსატანად.

ასოციაცია „ლაშარი“ სულ დაფავდა, მაგრამ ბოლო კაპიკებიც კი სამშობლოს კეთილდღეობისათვის იქნა გაღებული. ეს ასოციაციის ყველა წევრმა არ იცოდა, რადგან მას სახელმწიფო საიდუმლოს გრიფი ედო. თანხების გაცემა სხვა დანიშნულებით გაფორმდა, მაგრამ ამას ლევან სართელისათვის არავთარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საქმე ეხებოდა სამშობლოს დაცვას, აფხაზეთის ყოფნა-არყოფნას. მის ადგილას, ალბათ, ყველა ქართველი ასე მოიქცეოდა. ორგანიზაციის ბუღალტერმა, რომელიც მთლიანად საქმის გურსში იყო განსახორციელებელი ოპერაციის შესახებ, ლევანი გააფრთხილა, რომ შეიძლება ეს

ოპერაციები შემდეგ მათ წინააღმდეგ გამოეყენებინათ, მაგრამ ლევანი ერთგვაროვნად პასუხობდა:

— ვინდა უნდა გამოიყენოს ჩვენს საწინააღმდეგოდ, მთავრობიდან მოდის ეს დავალება.

— ბატონო ლევან, ჩემი მოვალეობაა, გაგაფრთხილოთ, დანარჩენი თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, — ასევე ერთგვაროვანი იყო ბუღალტრის პასუხი.

XXX

ათას ცხრას ოთხმოცდაცამეტი წლის ოცდაშვიდ სექტემბერს სოხუმი დაეცა. საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი შავი ლაქა გამოჩნდა, რომელიც ერთმანეთის გაუტანლობით, სამშობლოს დალატით და ათასნაირი სიბიძურით იყო გაუღენთილი. ქვეყნის მთავარსარდალი ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გამოიქცა, ხოლო თავისი ხალხი დასაკლავად მტერს მიუგდო.

კიდევ ერთხელ დარეცა საქართველოში გლოვის ზარმა.

ლევანმა ეს ამბავი თბილისის ერთ-ერთ სამშობიაროში გაივი. იქ თავის ახლობელთან იყო მისული, რომელიც წუთი-წუთზე ელოდებოდა ბავშვის გაჩენას. „ომის დროს ბიჭები იბადებიანო“, ნათქვამია, და ასეც ყოფილა. ბიჭი დაიბადა. მშობლებისთვის ის პირველი შვილი იყო. დაარქვეს პაპის სახელი, ვარლამი. ბიჭის მამამ ჩანთიდან კონიაკი და პლასტმასის ჭიქები ამოიღო. კონიაკი ჭიქებში ჩამოასხა და თქვა:

— სულ იმას ვოცნებობდი, როდესაც ჩემი შვილი დაიბადებიდა, სამშობიაროს ეზოში შამპანურის ბათქაბუთქი ავტეხოთქო. მაგრამ ჩვენი ერისთვის ამ სამგლოვიარო დღებში კონიაკის გახსნაც კი მეუხერხულება და პლასტმასის ჭიქებიც იმიტომ წამოვიდე.

— რას იზამ, შენს ადგილას ყველა წესიერი კაცი ასე მოიქცოდა. ვარლამის დაბადებას გაუმარჯოს! — წარმოთქვა სადღეგრ-

ძელო ლევანმა და კონიაკით სავსე ჭიქა ბოლომდე ჩამოცალა, — ასე მტერი დაეცალოს საქართველოს და ქვეყნის ბედნიერები-სათვის მებრძოლი ქალები და ვაჟები შესძენოდეს!

— იმ ღამეს სამშობიაროში თითქმის სულ ბიჭები დაიბადნენ.

მანქანით სახლისკენ მიმავალი ლევანი ხმას არ იღებდა. მიშტერებოდა ნახევრად ჩაბნელებულ ქალაქს და სიგარეტს აბოლებდა, უცებ მუჟლიის, სოფოს ხმამ გამოარკვია ფიქრებიდან:

— ლევან, რაზე ფიქრობ?

— ჩემი მოკლე ჭეუით, დღეს და დღეის შემდეგ დაბადებული ადამიანები დაიწყებენ საქართველოს აღმშენებლობისათვის ზრუნვას. ჩვენი თაობა არაფრის გამკეთებელი აღარ არის. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნგრევის მეტი არაფერი შეგვიძლია. ჩვენი პირადი გამორჩენის მიზნით, ეშმაკს ნებისმიერ დროს მივყიდით სულს. ამიტომ ღმერთი ჩვენგან ყოველთვის შორს არის.

— წინა მთავრობა რომ ყოფილიყო, ეს ამბები ხომ არ მოხდებოდა? — ამაყად წარმოთქვა სოფომ.

— მერე, სად არის თქვენი წინა მთავრობა?

— სად, ბატონო და, სანამ არ გარეკეს ამ ქვეყნიდან, მანამდე არ გააჩერეს სროლა.

— ისინი რატომ გარბოდნენ?

— იმიტომ გარბოდნენ, რომ ისისხლი არ დაღვრილიყო, — არ ცხრებოდა სოფო.

— არა, ბატონო, ვერ დაგეთანხმები. მაშინ იმ მთავრობას რომ წინააღმდეგობა გაეწია ამათვის, კიდევ შეიძლებოდა ქვეყნის გადარჩენა.

— ესე იგი, ლევან, შენ თბილისის ომის დროს ისისხლის ღვრის მომხრე იყავი?

— რა თქმა უნდა, მხარეების შეიარაღებული შეტაკება უსისხლოდ არ დამთავრდებოდა და რამდენიმე ადამიანი შეეწირებოდა ამ ომს, როგორც ეს ცხრა აპრილს მოხდა. სამაგიეროდ, თავიდან ავიცილებდით აფხაზეთში ამდენი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილს და კიდევ რა იქნებოდა ამის შემდეგ, ღმერთმა თუ

იცის მხოლოდ. ძველ საქართველოში ასეთ ოთულ სიტუაციაში ერის რომელიმე გამოჩენილი მოღვაწე ხალხის კეთილდღეობისათვის სიკვდილსაც კი არ ერიდებოდა. გასახსენებლად დემეტრე თავდადებულიც კმარა და მრავალი და მრავალი. იმიტომ, რომ ისინი ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ და მისდევლენ უფლის გზას. მაცხოვარმა ჩვენი გადარჩენისათვის დაიკლა თავი. ესენი კი კურდლებივით არიან. ერთი მთავრობა საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით კურდლელივით გაიპარა თბილისიდან, ხოლო მეორე – სოხუმიდან. ორივე შემთხვევაში ხალხი ფეხზე დაიკიდეს და შენ მაგათან რაიმე სიკეთეს უნდა ელოდე?

მანქანაში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

იმ დამეს ლევანმა ვერ დაიძინა. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ძალიან აინტერესებდა, იარაღმა სოხუმამდე ჩაასწრო თუ ვერა. ამ საკითხზე მთავრობაში დარეკვას ერიდებოდა. გააფრთხილეს, რომ ეს ყველაფერი საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. არც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ჩანდა. ასე მიჰყვებოდა დღე დღეს.

ერთი თვის შემდეგ თავდაცვის სამინისტროდან ორგანიზაციის ბეჭედი ლევანს სხვისი ხელით გამოუგზავნეს, ხოლო ის პიროვნება, რომელმაც ბეჭედი წაიღო, არ ჩანდა. ბეჭდის მომტანს ლევანმა მაინც ჰკითხა:

– როგორ დამთავრდა ოპერაცია?

– მე საქმის კურსში არ ვარ, ბატონო. მხოლოდ ის ვიცი, რომ დავალება შესრულდა.

– ძალიან კარგი. ჩვენ მეტი არაფერი გვაინტერესებს, – უპასუხა ლევანმა უცნობს და ბეჭედი სეიფში ჩადო.

ცოტა გულზე მოეშვა. გაიფიქრა, – „ალბათ, დადგება დრო და მთავრობიდან თვითონ მოგვცემენ შესაბამის ინფორმაციასო“.

ლევან სართელი აქაც ცდებოდა.

ლევანმა არ იცოდა, რომ დგებოდა ის პერიოდი, როდესაც ლევანი და მისთანები სახელმწიფოს აღარ სჭირდებოდა. მათ თავისი მისია შეასრულებინეს. ახლა ხელისუფლებაში პროფესიონალი

იურისტები, ეკონომისტები და სხვადასხვა დარგის სპეციალ-ისტები აღარ სჭირდებოდათ. მათ ადგილებს დაიკავებდნენ ჩვეულებრივი საბჭოთა ჩინოვნიგები, კომკავშირელები, რომელთაც შენება არ ეხერხებოდათ, კომუნისტური იდეოლოგის საფუძ-ველზე აღზრდილებმა, მხოლოდ ნგრევა და წაგლეჯვა იცოდნენ.

საქართველოს ისტორიაში იწყებოდა შავი დრო ...

XXXI

აფხაზეთიდან მოყოლებული მთელ საქართველოს სიგრძე-სიგანეზე კვამლი ასდიოდა. რაც შეცვლილი მთავრობით გაუბედურებულ ქეყანაში გადარჩა, მას კრიმინალური დაჯგუფებები აჩანაგებდნენ. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ვერ გაიმარჯვა აფხაზეთის ომში და ჯარს შეპირებული ტრაფერი ვერ მოაპოვებინა, გამოსავალი მაინც მოძებნა: ამ უკანასკნელის მოსაპოვებლად დამშეულთა და გადარეულთა ჯოგი, რომელსაც თვითონ რატომ-დაც ჯარს ეძახდა, საკუთარ მოსახლეობაზე მიუშვა. ყჩაღები მარჩენალ ძროხას აღარ უტოვებდნენ ოჯახს, იმ მიზეზის გამო, რომ ისინი აფხაზეთში მათთვის უშვერდნენ ტყვიას შებლს.

ლევან სართელმა, რომელიც გაოგნებული იყო ამდენი უბედურებით, დროებით ქალაქიდან გასვლა გადაწყვიტა და ცოლ-შვილთან ერთად სოფელში ჩავიდა.

თუ რამეს ასდიოდა კვამლი საქართველოში, ალბათ, მის სოფელთან ვერც ერთი ვერ მოვიდოდა. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ნავთობის გამოხდაზე იყო გადასული. მთელი ღამის განმავლობაში შავი კვამლი დასტრიალებდა სოფელს თავზე. ოცდაოთხი საათის განმავლობაში წარმოებდა გამალებული მოლაპარაკება ნავთობის ნედლეულის შესყიდვისა და გამოხდილი ბენზინის, ან სალიარკის გაყიდვის თაობაზე. ზოგს ამ საქმეზე გაჭირვებამ მოაკიდებინა ხელი, რომ ლუკმაპური

მიეწოდებინა შვილებისათვის, ზოგისთვის ის ფულის მოხვეჭის წყაროდ ქცეულიყო. სოფელში საზოგადოებრივი იერარქია დარღვეულიყო და მოსახლეობა დიდი უფსკრულისკენ მიექანებოდა. ერთ დროს თავისი ზნეობრიობით განთქმული უბნები, სოფომის და გომორის გზას დასდგომოდნენ. არც გამკითხავი ჰყავდათ ვინმე, რადგან ყაჩაღების შიშით ყველა გათითვაცებულიყო და საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით, გუნდრუკს უკმერდა იმას, ვისაც შეეძლო იმავე ღამეს ნიღაბაფარებულს მისი ოჯახი გაეუბედურებინა.

ეს ყველაფერი ხდებოდა იმ ველზე, სადაც არა ერთხელ გადაწყვეტილა საქართველოს ბედი, სადაც არა ერთხელ გალეწილა სისხლის კალოები ქართველი ერის გადარჩენისათვის. დღეს კი ქართველები თვითონ კლავდინენ და აყჩაღებდნენ ერთმანეთს, ერეოდნენ სიძვის მორევში და არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ სოფელში მომავალი თაობა უნდა გაზრდილიყო, რომლის უზნეობაზე პასუხი ისევ მშობელს მოეკითხებოდა და ბუმერანგივით შემოუტრიალდებოდა ჩადენილი უბედურებანი.

ლევანმა ჩასვლისთანავე ცოლ-შვილი სახლში დატოვა და მშობლების საფლავი მოინახულა, სანთლები დანთო, შემდეგ შევიდა იქვე მდებარე მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიაში, მაცხოვარსა და ღვთისმშობელს დაუნთო სანთლები, დაიჩოქა და ლოცვა აღავლინა უზენაესის წინაშე. საქმაო ხანი ლოცულობდა სართელი, შემდეგ ადგა, კვლავ პირჯვარი გადაიწერა, მამა, ძე და სული წმინდა ახსენა, გამოვიდა ეკლესიიდან და იქვე, საფლავებთან, ნაცნობ ადამიანს მოჰკრა თვალი. ნაცნობი უღიმოდა. ლევანმა შორიდან ხელი აუწია მისასალმებლად და მისკენ დაიძრა. თან რცხვენოდა. იმდენად გაწყვიტა კავშირი სოფელთან, რომ ხალხს კი სცნობდა სახეზე, მაგრამ ვინ იყო, ან რა ერქვა, აღარ ახსოვდა. ახლაც ამ დღეში იყო. მიღიოდა შესახვედრად და თავის თავს საყვედურობდა. სართელს მოეჩვენა, თითქოს გზა გაგრძელდა. როგორც იქნა, მიუახლოვდა ნაცნობს, მაგრამ,

მიახლოებისთანავე, ლევანი რაღაც ძალაშ გააჩერა. ისე ძლიერ გააჩერა, რომ ნაცნობამდე დარჩენილი ორი-სამი ნაბიჯი ვეღარ გადადგა. თავი ასწია, მის გაგვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. შორიდან ეს კაცი სხვის ჰგავდა, ახლა კი, თითქოს სახე იცვალა, უკვე სხვა იყო. უცნობი-ნაცნობი იქვე საფლავის ქვაზე ჩამოჯდა და ლევანს დასაჯდომად მოპირდაპირე მხარეს დადებული საფლავის ლოდი მიუთითა.

სახტად დარჩენილი ლევანი ჩამოჯდა ქვაზე, უცნობ-ნაცნობს თვალებში შეხედა, ისეთი ლამაზი თვალები ჰქონდა ამ ახალგაზრდა კაცს, რომ მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ქალს შეშურდებოდა. ლევანმა გაუღიმა უცნობ-ნაცნობს და შეეკითხა:

— ვინ ხარ შენ?

— შენთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს. სამაგიეროდ, მე ვიცი, რომ შენ ლევანი ხარ, სართელი.

— დიახ, — უპასუხა ლევანმა და თავი რატომდაც მონუსხულად იგრძნო, — თქვენ აქაური ბრძანდებით?

— თქვენობით ნუ დამელაპარაკები, თორემ წავალ, — ღიმილით უპასუხა უცნობმა-ნაცნობმა.

ლევანი მიხვდა, რომ თავის წარმომავლობაზე უცნობი საუბარს თავს არიდებდა და საუბრის თემა შეცვალა.

— მშობლების საფლავი მოვინახულე. ღვთისმშობლის ეკლესიაშიც დიდი ხანია სანთელი არ მქონდა დანთებული და ცოტა ვიღოცე კიდეც.

— მაინც, ჯერჯერობით, არაფერი არ გეშველებათ არც შენ და არც შენს სოფელს, — მოკლედ მოჭრა უცნობმა-ნაცნობმა და შემდეგ კვლავ გაუღიმა ლევანს.

— რატომ, ძალიან ცუდი ხალხი ვართ?

— ადამიანები ღმერთის გაჩენილები არიან და ისინი ცუდებად არ იბადებიან, ისინი ცუდები ხდებიან არასწორი ცხოვრების გამო. შენ და შენი სოფლელები ერთმანეთთან ჩხუბში, ინტრიგებში იძექ ძალას ხარჯავთ, რომ ყველა მოსული კაცისათვის ადვილი

დასამორჩილებლები ხდებით. თქვენს სოფელში, თქვენი უსუ-სურობით, ბევრმა ჩამოსულმა მოიწყო თავისი ცხოვრება, იშოვა დიდი ფული და წავიდა. თქვენ კი აზლა ერთმანეთს ებრძვით. დაისვით მოლა თავზე და იმის კარნახით დადიხართ.

- მე მოლასთან არავითარი კაგშირი არა მაქს, — იწყინა ლევანმა.
- სამაგიეროდ, შენს ახლობლებს აქვთ და მალე იწვნევენ თავიათ ნაძოქმედარს.
- ვინ ახლობლებს? — ჩაეძია ლევანი.
- მაგაზე სხვა დროს, — შეცვალა საუბრის თემა უცნობმა— ნაცნობმა, — სანამ არ დააქციე შენივე ხელით შექმნილი ასოცია-ცია უაზრო ქველმოქმედებით, მანამდე არ მოისვენე ხომ?
- ცუდი რა გავაკეთე? — აენთო ლევანი, — ქვეყანას და ხალხს რომ ვეხმარებოდი?

— რომელ ქვეყანას ეხმარებოდი? ქვეყანას კი არ ეხმარებოდი, შენ ეხმარებოდი ქვეყნის მთავრობას, რომელიც შენივე ხელით, შენივე წვალებით ნაშოვნი ფულით განადგურებინებდა საკუთარ სამშობლოს და ხალხს.

- რა სისულელებს მეღაპარაკები?! — ხმას აუწია ლევანმა და წამოხტა.

— დაჯექი! — უყვირა უცნობმა-ნაცნობმა და მერე ღიმილით განაგრძო, — ცხრა აპრილის შემდეგ, თითქმის ოთხნახევარი წლის განმავლობაში, საქართველოში მესამე მთავრობა მოვიდა. რა გააკეთეს მათ ქვეყნის დანგრევის, ადამიანების დახოცვის მეტი. შენ და შენისთანები კი ამაში ხელს უწყობდით.

- ესე იგი, შენ ამბობ, რომ ამ სამი მთავრობიდან არც ერთი ქვეყანას არ წაადგებოდა?

— ფაქტი წინ გიდევს და მე მეკითხები?

— გამოდის, რომ მე სატანას დავუდექი გვერდში? — ჩაილა-პარაკა ლევანმა და თავი ჩაღუნა.

— ამაში შენი მომავალი ცხოვრება გაგცემს პასუხს, — ღი-მილით უთხრა უცნობმა-ნაცნობმა, — ხოლო შენი გაცემული

თანხიდან ათი პროცენტი, როგორც ეს ბიბლიაშია დაწერილი, შენი სოფლის სულიერი, ეკლესიური განვითარებისათვის რომ მოგეხმარებინა, დღეს ეს სოფელი ამ დღეში არ იქნებოდა.

— მაშინ მირჩიე, როგორ მოვიქცე? — ჩაეძია ლევანი.

— წარსულს ვეღარ მოაბრუნებ, მომავლისთვის კი შენ დარიგება არ გჭირდება, ჭკუა და გონება გიჭრის, თუ კვლავ სატანას არ მიეკედლე.

— გეთანხმები, ბევრი შეცდომა დავუშვი, — დაღონებულმა თქვა სართელმა, თავი დაბლა დასწია და ხელისგულები დაიდო ზედ, — რაღაც მაინც მირჩიე, შენც ხომ ადამიანი ხარ?! — აიხედა ლევანმა და მის წინ საფლავის ქვა, სადაც უცნობი-ნაცნობი იჯდა, ცარიელი დახვდა. მიმოიხედა სასაფლაოს ბოლოში იდგა უცნობი-ნაცნობი.

ჰეი! მოიცა! — შესძახა ლევანმა, მაგრამ უცნობი-ნაცნობი ალ-ვის ხეს ამოეფარა. ლევანი გაიქცა ხისკენ, მაგრამ მის უკან არავინ იყო.

მხოლოდ მაღლა, იქვე მდგარი ცაცხვის ტოტზე უცნაური სილამაზის ჩიტი შემომჯდარიყო და განსხვავებულ ხმაზე გალობდა.

მეორე წიგნის დასასრული.

ნიგნი მესამე

„მაცხოვნე მე, ღმერთო, რამეთუ
მოაკლდა წმინდაი, რამეთუ შემცირდეს
ჭეშმარიტებანი ძეთა კაცთაგან“
(ფსალმუნი, კანონი მეორე 11.1)

I

დღისით და დამით გარე კახეთის რამდენიმე სოფლის თავზე შავი ღრუბელი იდგა, ხოლო ყოველ წუთს ამ ღრუბელს მიწიდან ახალ-ახალი შავი კვამლი ემატებოდა. სოფლები წიგნებში წაკითხულ და კინოფილმებში ნაჩვენებ ჯოჯოხეთს მოგაგონებდათ. თითქმის გვერდი-გვერდ მიწყობილი ნავთობის გამოსახდელი ქვაბებისათვის ერთიანად მიეკიდებინათ ცეცხლი და მის გარშემო მოფუსფუსე ადამიანები ეშმაკებს უფრო წააგავდნენ, ვიდრე საქმოსნებს. თითქოს ჯოჯოხეთი ამოსულაო დედამიწაზე. ქვაბებში „კუპრი“ იხარშებოდა, აქედან გამოდენილი კვამლი ცისკენ მიისწრაფოდა და თუ ღრუბელს მთიდან მონაბერი ქარი მოუსწრებდა, ხომ სხვაგან წაიღებდა და თუ არა, ისევ იმ ცოდვილი სოფლების მიწას უბრუნდებოდა. ადამიანები კი არ ჩერდებოდნენ, ცეცხლს უფრო და უფრო ალვივებდნენ, ცოდვას ცოდვაზე უმატებდნენ, ფულის შოვნის წყურვილმა დიდსა და პატარაში გაიღვია. ყველაფერი დაავიწყდათ, სამშობლო, ეკლესია, ხატი, რჯული... დაიწყო უზნეოთა და უმეცართა როკვა სამინელი.

სიბნელემ, ცეცხლმა და ფულმა ადამიანებს დაავიწყა ყველაფერი. სოფელი დღისით ჩვეულებრივ მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა. როგორც კი შებინდდებოდა, იწყებოდა ნავთობით დატვირთული სატვირთო მანქანების მოძრაობა, ნარკოტიკებით გაბუჟებული, ავტომატმომარჯვებული მცველების ღრიალი და გნიასი. კარგად რომ დაღამდებოდა და ადამიანები თავიანთ

სახლებში გისოსებს მიღმა დაწვებოლნენ დასაძინებლად, იწყებოდა ჯოჯოხეთის მეორე და მთავარი მოქმედება. სოფელში მოსახლეობის დაყაჩაღებაზე რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა. ჩვეულებრივ ხდებოდა სახლებში შევარდნა, ადამიანების „გაუ-თოვება“, ცემა, კვლა, ქონების წარმევა და ათასი უბედურება... ცეცხლი კი მუდმივად გიზგიზებდა და იხარშებოდა ცოდვის „კუპრი“. დილა ისევ ჩვეულებრივ მშვიდად იწყებოდა. ამ ცოდვის ორომტრიალში სატანა უფრო და უფრო ბობოქრობდა, ძლიერდებოდა. ქართველების ურთიერთმომაულების, შურიანობის და რაც მთავარია რწმენის დაკარგვის შედეგად, აგარიანთა ძველ და ახლადგამოჩეკილ, ეგრეთწოდებულ ნათელმხილველებს გაეხარათ. მატერიალურად უზრუნველყოფილი, მაგრამ სულიერად დაცემული ქართველების რიგები აგარიანთა მკითხავებთან დღითიდლე გეომეტრიული პროგრესით იზრდებოდა. მათ კი მეტი რა უნდოდათ, ჩვენი უმეცრებით მიეცათ საშუალება, რომ ქრისტიანების განადგურების უმტკივნეულო პროცესი დაეწყოთ და საუკუნეებით უზდენენლი იცნება აღესრულებინათ. დიდი სიფაქიზით უზადებდნენ ქართველებს ერთმანეთის დასაღუპად ნაირ-ნაირ ჯადოებს და თან დააყოლებდნენ:

— არ იფიქრო, თითქოს მე შავი მაგია ვარ, არა მე თეთრ მაგიას ვემსახურები და მხოლოდ სიკეთის დათესვა მინდა ადამიანებში.

ერთი რჩებოდა გაუგებარი, თეთრ და შავ მაგიას შორის რა განსხვავებაა, მაგია ხომ ჯადოქრობა და მჩხიბაობაა და ის ჯერ კიდევ მოსეს მიერ იქნა დაგმობილი.

აგარიანთა მოლებმა და ჯადოქრებმა დაქცევის პირამდე მიიყანეს სოფლის მოსახლეობა, ოჯახები დაანგრიეს, გადაკიდეს ერთმანეთს. იმდენად გაითქვეს სახელი, რომ ახლადშექმნილ ხელისუფლებაში, ხალხის გვამებზე გადასვლით მოკალათებულმა ნაძირალებმა „აატალახეს“ მკითხავთა სახლის კარები. შაპაბასისა და აღა-მაპმადხანის მოდგმა საწადელს აღწევდა. ერთ დროს მათი მრისხანე მტერი „გიურჯი“ იჩოქებდა მის წინაშე და მოყვასის გაუბედურებით, თავის თავის და ოჯახის გაბედ-

ნიერებას სთხოვდა. მოლაც და მჩხიბავიც თავის მხრივ ქართველობას აღაპის მადლის გადმოფრქვევას ჰპირდებოდა, სურებს უკითხავდა, რაღაც ნივთების ტარებას ურჩევდა. უამრავი ადამიანი ჩამოდიოდა მათთან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მკითხავებთან მოხვედრის სურვილით ცოცხალი რიგებიც კი ჩამოყალიბდა დამის თევით.

ბოლნისის სიონის ტაძრის ქვაზე ამოკვეთილია „აპა ვაჭმე დღისა მისთვის რომელი მოიწა ჩვენდა“. ხუთას ორ წელს, სამგორის ველზე ვახტანგ გორგასალმა საკუთარი და მრავალი მამულიშვილის სიცოცხლის ფასად გაანადგურა სპარსეთის ლაშქარი, რათა ესნა საქართველო ურჯულოებისაგან. საციქნის, შუალა და კოხია გორებში ჩამარხულ მეომართა ძვლები სირცხვილისაგან შეტოკებულან, მათი სულები განცვიფრებული უყურებდნენ ქართველების მიერ სამგორის ველზე გაჩაღებულ ვაკხანალიას. უმრავლესობას ორგიის ეს ერთ-ერთი ღმერთი უწამებიათ, ხოლო მათ შორის „წარჩინებულებს“ აღაპიც ზედ დაუმატებიათ, ხელს მოგვიმართავსო. მუცელ-ღმერთობის და ზნეობრივი გადაგვარების ზღვარზე მისულა ქართველი კაცი, ღმერთის მიერ მიცემული ტვინით აზროვნებაზე უარი უთქვამთ და კუჭით მიღებული გადაწყვეტილება გაუხდიათ ცხოვრების ნორმად.

ღმერთმა „თავის უფლად“ გააჩინა ადამიანი და მას იმისთვის მისცა დედამიწაზე ცხოვრების თავისუფლება, რომ გამოეცადა თითოეული ადამიანის სული გაჭირვებაში. თუ გასულ საუკუნეებში ქართველი მართლმადიდებელი ღმერთის მიერ დაწესებულ კანონებს მკაცრად იცავდა, ბოლო უამში მცხოვრებ ქართველობაზე ამას ვერ იტყოდი. მათ ქცევაში ფარისევლობას მკვიდრი საძირკველი შეექმნა. ადამის მოდგმის უმრავლესობა ცდილობდა უფლის მიერ მასზედ დაშვებული განსაცდელი მოყვასისათვის მოეხვია თავს, მასზედ გაეწმინდა ხელი, რათა ღმერთის მიერ მინიჭებული „თავის უფლებით“ უზრუნველად დამტკბარიყო ამქვეყნიური ცხოვრებით. შედეგმაც არ დააყოვნა

და ხალხი საშინელი სენით, ამპარტავნებით დაავადდა, ხოლო დამდაბლებული სული სხვა აღმსარებლობის მატარებელი ადა-მიანების საჯიჯგნი გახდა.

ლევან სართელი სოფელში იშვიათად ჩადიოდა, რადგან სარ-წმუნო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, მისი დაყაჩ-ალება იყო გათვალისწინებული. სახელმწიფოსა და ათასნაირი ნაძირლის მიერ დაჯიჯვნილი და გაკოტრებული ბიზნესმენი, ბევრს ჯერ კიდევ მიღიონერი ეგონა და მსუევე ლუკმის გაშვება არ უნდოდა ხელიდან. ამ განსაცდელს ყოველ ნაბიჯზე გრძნობ-და ლევანი, მაგრამ მისი უშიშარი ბუნებიდან გამომდინარე, სოფელში ჩასვლისას მაინც ჩნდებოდა საზოგადოებაში, ხოლო დამეს სად ათევდა ეს მხოლოდ მასპინძელმა ოჯახმა იცოდა. დაყაჩალების მიზნით მისი სახლი რამდენჯერმე გატყდა. რად-გან სართელს ვერ პოულობდნენ, სახლში რაც ხელში მოხვდე-ბოდათ ყველაფერს ამტვრევდნენ.

სოფელში ხალხის გაუბედურება კიდევ დიდხანს გაგრძელ-დებოდა, რომ არა ორგანოს თანამშრომლებისა და ერთ-ერთი ყაჩაღური დაჯგუფების შეტაკება. ორგანოს მუშაკების გამა-ფრთხილებელი გასროლის შემდეგ, ყაჩაღებმა სასიკვდილო ცეცხლი გახსნეს. ორმხრივი სროლა დიდხანს არ გაგრძელდა. ოოგორც ნაძირლებს სჩვევიათ, ყაჩაღებმა თვითგადარჩენის მიზნით თავიანთი თანაგუნდელი ზურგში ტყვიის სროლით სიცოცხლეს გამოასალმეს და თვითონ გაქცევით თავს უშვე-ლეს. ამ ინციდენტმა სოფელში დიდი მითქმა-მოთქმა გამოი-წვია. ზოგი ორგანოს თანამშრომლებს ამტყუნებდა, ზოგი კი – ყაჩაღებს. მაგრამ ამ ამბის შემდეგ სოფელში ყაჩაღობა მნიშ-ვნელოვნად შემცირდა.

II

გვიან შემოდგომის ერთ-ერთ სუსტიან დღეს ლევანი სოფელში ჩავიდა. იმ ღამეს ძმასთან დარჩა ღამის გასათევად. გიორგის ძალიან გაუხარდა ძმის დანახვა. მაშინვე ვახშმის თადარიგი დაიჭირა და მწვადის შესაწვავად ბუხარში ცეცხლი ააგიზგიზა.

— სანამ შეშა ჩაიწვება, წამოლი ჩემს ახალ თავდაცვით სისტემას გაჩვენებ. — ღიმილით უთხრა გიორგიმ ძმას და მეორე სართულზე აიყვანა.

მეორე სართულის ფანჯრებიდან, სახლის მიმდებარე ტერიტორია ყველა მიმართულებით კონტროლდებოდა. ყველა სათვალთვალო სექტორთან სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღი იდო ისე, რომ ოპერატორების თვალსაზრისით და ცნობილი პრინციპით „სროლა დასწრებაზეა“, გიორგის მომგებიანი პოზიციები ეკავა.

— ღმერთმა დაგვიფაროს და გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, მაშინ რას შვრები? — იკითხა ლევანმა.

— ორ წუთში სახლის უკან მდებარე სათადარივო გასასვლელიდან გამყავს ოჯახი, ესეც გათვლილია. — მტკიცედ უპასუხა გიორგიმ.

— ყოჩალ, ძმაო, ნამდვილად ამტკიცებ, რომ მეომართა მოდგმილან ხარ, — შეწუხებული ხმით წარმოოქმა ლევანმა, — როდემდის უნდა ვიგერიებდეთ საკუთარი მოყვასის შემოტევას, როდემდის!?

ძმებმა კიდევ ერთხელ გადახედეს თავდაცვით სისტემას, პატარ-პატარა ცვლილებები შეიტანეს მის განლაგებაში და შემდეგ ბუხრის ოთახს დაუბრუნდნენ. შიგნით სასიამოვნო სითბო ტრიალებდა, შეშაც ჩამწვარიყო, ასე რომ, ნაკვერჩხალი ხორცით დახუნძლულ შამფურებს ელოდა. მზიას სუფრა გაეშალა. გიორგიმ შამფურები ბუხარში სახელდახელოდ მოწყობილ მაყალზე დააწყო, სუფრას მიუჯდა, დაღვინებაში შესული რქაწითელი ჭიქებში ჩამოასხა, ძმის ჩამოსვლის სადღეგრძელო ხმამაღლა წარმოოქმა და ჭიქა ბოლომდე ჩამოცალა.

— რა კარგად ამბობს ის მოხუცი „ლიმილის ბიჭებში“ „ღვინო კი არა მზეთა მზეი“, — გაღიმებულმა თქვა გიორგიმ, — ცოტა ხანში ეს ღვინო თოფის გავარდნაზე უარესი იქნება.

— რქაწითელისაგან რომ ღვინო დგება, ეგეთი დედამიწის ზურგზე არსად არის, გაგვიმარჯოს! — თქვა ლევანმა და ღვთიური სითხით სავსე ჭიქა ბოლომდე ჩამოცალა, — ვაჲ, კაცო! მაგარია ხო იცი, ძანა ქლიბავს ყელსა. ერთ ლიტრას ვერ გაექცევი.

— მაგარია, მაგარი. — ამბობდა გიორგი და თან შამფურებს ატრიალებდა.

— მერე, ძმაო, მაგარი რომ არის და ამ მაგარი ღვინით რომ დათვრები, ის შენი თავდაცვითი სისტემა როგორ უნდა აა-მუშაო? — იკითხა ლევანმა.

— ჯერ ერთი-ორი ჭიქაც დავლიო, — გაეცინა გიორგის — მერე თვითონ ამუშავდება — ჩამოასხა ღვინო, ასწია ჭიქა და ხმამა-ღლა წარმოთქვა:

— ჩვენს მტერს გაუმარჯოს! იმასაც შია და იმიტომ ყაჩაღობს. რა ქნას?

— ალბათ ქართველის მეტი ამ სადღეგრძელოს არავინ იტყვის, — გაეცინა ლევანს, — დასტური შენს სადღეგრძელოს, ვაუას ტყუილად ხომ არ უთქვამს „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო“.

ამინ! ძმაო, ამინ!

III

ათას ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი წლის დეკემბრის ერთ საღამოს, ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიაზე მიტმასნილ ნაძირალებთან საქმის გარჩევიდან, ეგრეთ წოდებულ „რაზ-ბორკიდან,“ სახლში მობრუნებულ ლევანს მეუღლემ ახალი ამბავი დაახვედრა:

— ზაურის მეუღლემ დარეკა, გელაშვილი მოსკოვიდან ჩამოვიდაო.

— მაშაყირებ, სოფო? — თქვა გაკვირვებულმა ლევანმა და გახდილი ქურთუკი სკამზე გადაკიდა.

— ღმერთმა დამიუფაროს მე შენი დაცინვა დავიწყო. აგერ ტელეფონი და დაურეკე თუ გინდა შენი უფროსის ხმის გაგონება, — გაეცინა სოფოს და ლევანს ტელეფონის ყურმილი თითქმის ყურზე მიადო.

სართელმა ნომერი აკრიფა. ყურმილი ზაურის მეუღლემ, ლამარამ აიღო. დიდი მოკითხვა-გამოკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ გელაშვილი ლევანს ხვალ თერთმეტ საათზე ზუმბოს და პავლიკას ოფისში შესვედებოდა.

— დაიწყო ახალი „რაზბორკა,“ — ამოიხვნეშა ლევანმა, — შეიძლება გავარდეს კიდეც.

— რა გავარდეს, ბიჭო!؟ არ გამაგიქო. — აფორიაქდა სოფო.

ლევანი უცებ გამოერკვა, სოფოსთან არ უნდა წამოსცდებოდა ეს სიტყვა და მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით იქვე სცადა გამოსწორება:

— ლუკმა სოფო, ლუკმა. ხომ გაგიგია „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“.

— ააა... როგორ ვერ მივხვდი, — ნაძალადევად გაელიმა სოფოს, — იმ ლუკმაში ის სამოცდათხუთმეტი ათასი დოლარი იგულისხმე აღბათ, გელაშვილს რომ მართებს შენი, ხომ?

ლევანს ამ სიტყვებზე ხასიათი წაუხდა. რა ძალა ედგა გელაშვილის ვალებს რომ იხდიდა. სანამ ფული არ გაუთავდა არ გაჩერდა,

ორმოცდახუთი ათასი ისევ ვალი დარჩა, ისე რომ, იმ სამოცდათხუთმეტის გადახდას გელაშვილისთვის არავითარი შეღავათი არ გაუწევია, ხოლო ლევანს კი სახლში პურის ფული აღარ ჰქონდა. „ჩემნაირი შტერი და დოყლაპია თუ დაიბადება კიდევ ამ ქვეყანაზე,“ ხშირად უბრაზდებოდა ხოლმე თავის თავს სართელი, მაგრამ ნათქვამია „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიან“.

მეორე დღეს ლევანი დათქმულ დროს გამოცხადდა ზუმბოს და პავლიკას ოფისში. ეს უკანასკნელი უკვე „დიდი ხალხი“ იყვნენ. თითოეულ მათგანს ჯერ მარტო ათი ათასი დოლარის ტანსაცმელი ეცვა და სამკაულები ჰქონდათ ასხმული, თან ორ-ორი იარაღით, „მერსედესის“ ფირმის გარდა მანქანას არ სცნობდნენ. ისხდნენ გაკრიალებულ ოფისში და ორ-ორი კაცი იცავდა. მომსახურე პერსონალი, ეგრეთწოდებულ „პაბეგუშკებზე“ რომ არ ვიღაპარაკოთ, საკმაოდ ბევრი იყო. მოხრილები შემოდიოდნენ კაბინეტში. შეფის პატარა მოძრაობაზეც კი ხვდებოდნენ, რას ისურვებდა იგი.

ლევანი ზუმბოს კაბინეტში შევიდა. ზუმბო ყოველთვის ზრდილობიანად და დიდი პატივისცემით ხვდებოდა ლევანს, ან რატომ არ შეხვდებოდა, ეს ყველაფერი სართელის ფულით ჰქონდა შეძენილი. ახლაც დიდი სიყვარულით მოიკითხა ზუმბომ ლევანი, გადაკოცნა, შინაურულად გაესაუბრა. ფარისეველი იყო ზუმბო. მის უკან მკვლელი იმალებოდა. მოჩვენებითი თავაზიანობა ნიღაბი იყო. ნებისმიერ დროს შეეძლო ამოელო იარაღი და ნებისმიერ ადგილას გულგრილად მოეკლა ადამიანი. იცოდა, რომ მას პასუხს არავინ მოსთხოვდა. ამიტომ ლევანი მის ყველა ქცევებს ოლიმპიური სიმშვიდით იტანდა, „მალა აღმართსა ხნავსო“ – ნათქვამია.

კაბინეტში პავლიკა შემოვიდა. ცირკის მასხარასავით აჭრელებული ტანსაცმელი ეცვა. თვალები გადმოკარკლული და დაელმებული ჰქონდა. წამლისაგან ისე იყო გათიშული, რომ ლევანი ვერ იცნო.

– პავლიკ! ლევანი ვერ იცანი? – ღიმილით შეეკითხა ზუმბო.

პავლიკამ ლევანს შეხედა, გაფიორებულსა და დაელმებულს პირიდან გადმოსული დუჟი თითქმის ყვითელი პალსტუხის შუა ნაწილამდე ჩამოსვლოდა. დიდხანს უყურა ლევანს. მერე დუჟი პალსტუხით მოიწმინდა, გაექანა სართელისაკენ, გადაეხვია და ძლივს ამოთქვა:

— მმაო, როგორ გაზდილხარ, ვერ გიცანი, ტო.

ლევანმა ნაძალადევი ღიმილი შეაგება ამ ნაძირალასა და კაცის ჟკველს. სართელი დასანახავად ვერ იტანდა ნარკო-მანებს, მაგრამ აქ სიტუაციის ოდნავი გამწვავებაც კი შეიძლება ცუდად დამთავრებულიყო და ამიტომ ისევ მოთმინება ამჯობინა. კაბინეტში კიდევ სამი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. სართელი მათ შორიდან იცნობდა, მათი გამოჩენით მიხვდა, რომ დღეს გე-ლაშვილს საქმე ცუდად წაუვიდოდა.

ზუთი წუთის შემდეგ ზაურიც გამოჩნდა.

კახეთში იციან თქმა „საფლავიდან „პერერივზე“ ამოსულსა ჰგავსო.“ ამ წუთში ზაურს სწორედ ეს სიტყვები შეეფერებოდა. გამხდარი, გაფიორებული, წელში მოხსრილი და ერთიანად და-ჩიავებული იყო. ნაძალადევი მისალმებისა და მოკითხვის შემ-დეგ ზუმბომ გამოაცხადა:

— ტახისაც დაველოდოთ, მალე უნდა მოვიდეს და მერე დავი-წყოთ.

ტარიელი, ზედმეტსახელად ტახი, კოჯრიდან იყო. რამ-დენიმე წლის წინ ერთ-ერთმა ახლობელმა ლევანთან მიიყვანა „ჩალიჩა ბიჭია, საქმეში გამოგადგებაო.“ ლევანმა ახლობელს ხათრი ვერ გაუტეხა და ტახის პატარ-პატარა საქმეებს აძლევ-და, თუმცა ხედავდა, რომ მისი ნდობა ბოლომდე არ შეიძლე-ბოდა. ასოციაციაში მუშაობისას ტახიმ ისევ მიაკითხა ლევანს. მაგრამ მიხვდა, რომ გელაშვილი უფრო ადვილად მოსატყუე-ბელი იყო, მას დაუახლოვდა და ლიდ საქმეებში ჩართვა სთხ-ოვა. ლევანმა ზაური რამდენჯერმე გააფრთხილა, მაგრამ გე-ლაშვილს ისე ჰქონდა „შეტოპილი“ ტახისთან, თან თითქმის მთელი ზაფხული ცოლ-შვილით კოჯორში ისვენებდა და ურთ-იერთობის წაყვანაშიც ტახიმ მოიპოვა უპირატესობა. შემდეგ

ლევანის გვერდის ავლით რაღაც-რაღაც საქმეებიც დაიწყეს და ისე „ჩაეხუტენ“ ერთმანეთს, რომ ტახი ლევანისკენ აღარც იყერებოდა. ბოლოს რაღაცმი ვერ შეთანხმდნენ. ამის გამო ისხდნენ ზუმბოს კაბინეტში და ელოდებოდნენ ტახის.

აი, ისიც გამოჩნდა.

ორ მეტრამდე სიმაღლის იყო, ტარაკანის ფერი ედო სახ-ეზე. თვითონაც არ იცოდა რა ეროვნების იყო, თუმცა თავის თავს ქართველებს მიაკუთვნებდა. ვინც სჭირდებოდა ღიმილით ესალმებოდა, ვინც არა — უბლვერდა. ახლაც ასე მოიქცა ზუმ-ბოს და პავლიკას ლამის ფეხები დაუკოცნა, ხოლო დანარჩენებს ზევიდან გადახდა.

— დავიწყოთ დროზე, — თქვა ზუმბომ და თან საათს დახედა, — მთავრობაში მელოდებიან და არ მინდა, რომ დამაგვიანდეს.

— მომცეს, ძმაო, ჩემი ოცდათხუთმეტი ათასი დოლარი და დავამთავროთ! — წამოიყვირა ტახიმ და ხელი გელაშვილისკენ გაიშვირა.

— რაძენი? — იკითხა გაკვირვებულმა ზუმბომ.

— ოცდათხუთმეტი, — დაბალ ხმაზე გაიმეორა ტახიმ. თან ზუმბოს თვალებში შესციცინებდა, რამე ხომ არ ეწყინაო, — ხო, რა, ოცდათხუთმეტი.

ზუმბომ სერიოზული იმიჯის შესაქმნელად ჩვეულებრივი მინისგან დამზადებული სათვალე ხელის ნელი მოძრაობით მოიხსნა, მაგიდაზე დადო, ტახის წარბებშეკრულმა შეხედა და დაბალ ხმაზე ნაწყენი კილოთი მიმართა:

— ტახი გვაშაყირებ!

— არა, ზუმბო, შვილებს გეფიცები, ოცდათხუთმეტი ნალდად მოსატანი აქვს. თუ არა თვითონ თქვას, ძმაო.

— ტახი! — ხმას აუწია ზუმბომ, — ამ კაპიკების გულისათვის შემაკრებინე და მომაცდენინე ამდენი ხალხი!?

— მე ... მე მ..მ.. — ენა დაება ტახის, აქეთ-იქეთ დაიწყო ცქერა, იქნებ ვინმებ სიტყვა შემაწიოსო. მაგრამ ამაოდ, არავინ ხმას არ იღებდა.

— ზაურ! შენ რას იტყვი!? — მკაცრი ტონით მიძართა ზუმბომ გელაშვილს.

გელაშვილი სკოლის მოსწავლესავით ფეხზე წამოდგა, გაფითრებული და წელში მოხრილი მთელი სხეულით კანკალებ-და, მცირე პაუზის შემდეგ დაიწყო:

— ტახის ვალი მე არ მაქვს, მაგაზე იმდენი პატივი მაქვს ნაცემი და იმდენი ფული აქვს წაღებული, გინდა საქონლით და გინდა ნაღდით, რომ აქეთ აქვს მოსაცემი. მარტო სამი მანქანა მაქვს მაგაზე ნაჩუქარი.

— რაო!? — წამოხტა ტახი და ისეთი სახე მიიღო, რომ სახელს ნამდვილად ამართლებდა, — იმას ყველაფერს, რასაც შენ ჩუქიდი ჩემს ოჯახს და მე, არ ითვლება. ის ნაჩუქარია ე, გაიგე, ბიჭო!?

— როგორ, შენც ხომ მაჩუქე ის ოციათასიანი მერსედესი, — არ ცხრებოდა აკანკალებული ზაური, — სამაგიეროდ მე საწყობიდან საქონელი გაგატანე.

— ეგ არ ითვლება! — ხმას აუწია ტახიმ და თან ზუმბოს შეხედა.

ზუმბოს გაეცინა.

გაცინებული ზუმბო რომ დაინახა ტახიმ, იფიქრა, ეგ არის და ჩემს მხარეზეაო, ამოიღო „მაკაროვი“, ეცა გელაშვილს და მხ-ეცივით დაიწყო ღრიალი:

— ტვინს დაგანთხევინებ, შე დედაო! ფული მოიტანე დროზე!

— ტახი! წყნარად, — თქვა ზუმბომ და მისმა დაცვამ ავტომატები შეათამაშა.

ავტომატების ჩახმახების ხმაზე ტახიმ ფერი დაკარგა და ხმის ამოუღებლად დაჯდა სკამზე.

— ლევან, შენ რას იტყვი? — მოუბრუნდა ზუმბო სართელს.

— ყოველივე მოსმენილის და მომხდარის შემდეგ ჩემს სათქმელს აზრი აღარა აქვს, — წყნარად დაიწყო ლევანმა, — როგორც ჩანს, ზაურს საწყობიდან წაღებული, ჩვენი ფულით ნაყიდი ოცი ათასი დოლარის საქონელი ტახისათვის უჩუქებია და ტახი იქით სთხოვს კიდევ ფულს, მე ვის მოვთხოვო, ვეღარ გავიგე, იქნებ თქვენ დამაკალიანოთ, თან ამ გაუბედურებულ კაცზე ფულის მოთხოვნაც არ მიმაჩნია სწორად.

— აგაშენა ღმერთმა, სწორი კაცი ხარ, — ამოისუნთქა ზუმბომ,— ახლა ამ კაცს ფული რომ მოვთხოვოთ, გული გაუსკდება. ისედაც ჩეჩინებს დაუყაჩაღებიათ მოსკოვში და ძლივს შემოასწრო საქართველოში. თან, ბიჭებო, ამ კაპიკებზე ლაპარაკი არ ღირს. ახლა მეჩეარება, თუ მაინც და მაინც საქმის გარჩევა დაგჭირდებათ რომელიმე „სამმოდან“ მოგცემთ ხალხს და ისინი მოგიგვარებენ ამ საქმეს.

ზუმბო და პავლიგა თავის დაცვასთან და ტახისთან ერთად გამოვიდნენ შენობიდან, ჩასხდნენ მანქანებში და წავიდნენ, როგორც ზუმბომ თქვა, მთავრობაში. ოფისის კიბეებთან ერთმანეთის პირისპირ ლევანი და ზაური დარჩნენ. დიდხანს უფრებდნენ ერთმანეთს. ბოლოს სიჩურე ლევანმა დაარღვია:

— გული როგორა გაქვს, ალექსანდროვიჩ?

— ცუდად, ჩემო ლევან, ცუდად. ამათ ხელში როგორ ვიქნები, დამაქციეს, გამაუბედურეს.

— მერე ვის აბრალებ, შე კაი კაცო, — თქვა ლევანმა, — წახვდი, დაიკარგე, შენი ნამოქმედარიდან გამომდინარე დაგვიქციეს წვალებით და დიდი შრომით ნაშენი ორგანიზაცია.

— მე რა შეაში ვარ? — შეიცხადა გელაშვილმა.

— აბა, ვინ არის შეუაში? ანდერძი რომ დაუტოვე ორივეს, ორას ორმოცი ათასს და ასი ათასს ჩაგირიცხავთო, რა უფლებით აკეთებდი ამას? ტახის რომ ჩუქნიდი წვალებით ნაშოვნ ასოციაციის საქონელს. კრედიტს იღებდი და სად მიგქონდა კაცმა არ იცოდა. კიდევ შენ ამბობ, არა ვარ შეუაშიო?

გელაშვილმა თავი ჩაღუნა. აშკარად შეეტყო, რომ ცუდად გახდა. ლევანმა ტაქსი გააჩერა, სახლამდე მიაკილა, ჩააბარა ოჯახს და ხმაამოუღებლად უკან გამობრუნდა. რა უნდა მოემოქმედა აღარ იცოდა. გელაშვილისთვის კიდევ ერთი ხმამაღალი სიტყვა რომ ეთქვა, შეიძლება ეს კაცი ხელში შემოკვდომოდა. დადუმებული ჩამოვიდა მანქანიდან, სახლში არ წავიდა, რადგან ძალიან ანერვიულებული იყო და არ უნდოდა ეს დარდი ოჯახსაც გადასდებოდა. იქვე სახლთან ახლოს სკვერში შევიდა, სკამზე ჩამოჯდა და ფიქრებში ჩაიძირა. მის თვალშინ კიდევ

ერთხელ გაიელვა ახლო წარსულმა. როგორ გაიცნო ზუმბო და პავლიკა, როგორ დაქციეს მისი ორგანიზაცია, ლევანის-გან წართმეული ფულით დააფუძნეს ბანკი „შვიდეული“, რომლის ეგრეთ წოდებული „კრიშა“ მაშინდელი კრიმინალური მთავრობის ხალხი იყო. ბანკი გასცემდა კრედიტს, შემდეგ თავისივე ხალხით აყაჩაღებდა კრედიტის ამღებს, ეს, რაოქმა უნდა კრედიტის დაუბრუნებლობას იწვევდა, რაც საბოლოოდ კლიენტის მთელი ქონების ხელში ჩაგდებით მთავრდებოდა. „შვიდეული“ იმდენად გაძლიერდა, რომ პოლიტიკაში შესვლა გადაწყვიტა, ეს კი უკვე „ზევით“ აღარ აწყობდათ, ვინაიდან „შვიდეულის“ დამფუძნებლები ცნობილი პიროვნებები იყვნენ. პირდაპირი გზით მათი მოშორება ხალხში ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებს გამოიწვევდა, ამიტომ „ზევით“ მათ წინააღმდეგ ისტორიულად აპრობირებული მეთოდი გამოიყენეს. „შვიდეულს“ სხვადასხვა ფონდების უზრუნველყოფისათვის გამოიყვენეს ოცდახუთ მილიონამდე აშშ დოლარი, რაც გათვლილი იყო მათ დაშლაზე. მათი ფსიქოლოგიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ისინი ფულის გაყოფისას ერთმანეთს დაუბირისპირდებოდნენ და ამ კინკლაობაში აუცილებლად დაასუსტებდნენ ერთმანეთს. დასუსტებული „შვიდეული“ კი ხელისუფლებისათვის საშიში აღარ იქნებოდა. სწორედ დიდი ფულის მორეგში ტრიალის გამო მიაჩნდა ზუმბოს ოცდათხუთმეტი ათასი დოლარი კაპიკებად. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ფული ჰქონდათ და შეეძლოთ საკუთარი სიამოვნებისათვის დღეში ასი-ორასი ათასი დოლარიც „გადაეგდოთ“, გაჭირვებული კაცი რომ მისულიყო მათთან და პურის ფული ეთხოვა, კაპიკს არ მისცემდნენ, თუმცა რაღა შორს წავიდეთ, აქ არ არის ლევან სართელი, რომელიც ახლახანს გამოერკვა ამ მწარედ მოსაგონარი ამბებიდან. სახლში საჭმელი არ ჰქონდა.

ლევანი ადგა სკამიდან, იქვე მდგარ ტელეფონის ჯიხურთან მივიდა და პროდუქტის საყიდელი ფულის სესხების მიზნით ნაცნობის ტელეფონის ნომერი აკრიფა.

IV

მმები სეფერთელაძეები აღარ ჩანდნენ. ლევანთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტეს. აღარ აინტერესებდათ სართელი. მას ხომ ფული აღარ ჰქონდა. დაყაჩალებულ სახლში არაფერი ეგულებოდათ და კედლებს ხომ არ დაშლიდნენ. სანერვიულო ის ჰქონდათ მხოლოდ, რომ აჩიკო ცარციძე ვერ მოიშორეს. აჩიკო მათ ყველა ნაბიჯს აკონტროლებდა და ფულის „შეწერვით“ სისხლს უშრობდა. მმებმა მისი მოშორება გადაწყვიტეს, მაგრამ როგორ და რა გზით, ეს ჯერ არ ჰქონდათ მოფიქრებული.

ერთ შშვენიერ დღეს, როდესაც მმები მანქანით ქალაქში საშოვარზე დახეტიალობდნენ, ყველანაირი „ქსელის“ დამხლართველ-მა კოტებ წამლისგან გაიღში წასულ უშანგის გადაულაპარაკა:

— აჩიკოს შუბლი რომ გაუხსრიტოთ, რა აზრისა ხარ?

— ჰმ!... რაა?! — წამოიკნავლა ცალთვალდახუჭულმა უშანგიმ, თან ისე ძლიერ შეთამაშდა სავარძელში, რომ კინაღამ მანქანის საქარე მინა გატეხა. დარტყმისაგან თავი ეტკინა და ძაღლივით წეტუტუნი დაიწყო, — გიუი ხარ, ტო, მაგას რა მოკლავს.

— რა და ცხრა გრამიანი. — მშვიდად უპასუხა კოტებ.

— მერე და ის ცხრა გრამიანი შენ უნდა ესროლო თუ მე?

— არც შენ და არც მე. — არ ცხრებოდა კოტე.

— მა ვინ? ტო!

— ვინ და მერაბამ. იმას ხომ ვერ იტყვი, ჯერ კაცი არ მოუკლავსო. მივცეთ ათასი დოლარი და თუ გინდა დედამისის თავს მოგიტანს.

— მაიცა რა, კოტე, ზღაპრებს ნუ ყები, ტო. აჩიკო ქურდების ძმაა, მაგის მკვლელობას ეგრე ადვილად, თან ათას დოლარად არავინ მოკიდებს ხელს. — უკვე გამოფხიზლებული კაცის ხმით დაიწყო საუბარი უშანგიმ. ეტყობა მინაზე თავის მირტყმამ დადებითი შედეგი გამოიღო.

— ათას დოლარს მე ვიშოვი, — მშვიდად განაგრძობდა კოტე, როგორც ჩანს აჩიკოს მოკვლის იდეა მას დიდი ხანია აწუხებდა, — შენ აჩიკო ვინმეს ბინაში უნდა შეიტყუო, ნარკოტიკის დიდი დოზა გაუკეთო და მერაბა გააკეთებს დანარჩენს.

— ბახ! ბახ! ბახ! და მორჩა არა? — თვალდაჭიუეტილი უყურებდა უშანგი კოტეს და თან ყოველი ბახ-ის თქმის შემდეგ ტაშს შემოჰკ-კრავდა ხოლმე, — უცბათ მოამთავრე ხომ!? გიუ ხარ, შე ჩემა.

— აბა, მაშინ სიცოცხლის ბოლომდე გინდა, რომ გდიოს და ფული გაწეროს არა? — წყნარად ლაპარაკობდა კოტე და თან გზას გაპყურებდა, — მაშინ, მმაო, გადაიბარე ეგ შენი ცარციძე და მარტო შენ მოუარე ვითომ მაგ შენ „მძას“.

— რა უნდა გადავიბარო, ტო! — შეეშინდა უშანგისა მართლა არ დამტოვოს მარტო და უცბად შეცვალა აზრი, — პროსტო მერაბამ რო ააცდინოს?

— არ აცდენს, ხომ იცი ეგ კანტროლკას ყოველთვის აკეთებს.

— ხო, ეგ კარგი, მა ბინა?

— ბინა უნდა იქირავო, მაგის ფულსაც გიშოვი, ერთოთახიანი გეყოფა, ერთი თვის ბინის ქირას წინასწარ გადავიხდით, — თქვა კოტემდა მანქანას სიჩქარე გამოუცვალა, — მხოლოდ ეს ყველაფერი სხვისი ხელით უნდა გაკეთდეს, რომ ტრუპი ჩვენ არ აგვიდონ.

— ვის ვაქირავებინო, შე ჩემა? გიუ ხარ?!? — გაბრაზდა უშანგი.

— ვის და ნარკომანი მმაკაცების მეტი ვინ გყავს.

— მმაკაცი გავწირო?

— ჰა! ჰა! ჰა! ჯერ არ გავიწირია, — ახარხარდა კოტე, — უკუ-თესი იქნება, ერთი ნარკომანით ნაკლები იქნება ამ ქვეყანაზე.

— კაროჩე, კოტე, ხვალ მელაპარაკე რა. — შეეხვეწა უშანგი და მანქანის სავარძელზე გადაწვა.

მეორე დღეს მმებმა მოქმედება დაიწყეს. უშანგის ერთ-ერთ მმაკაცს ერთოთახიანი ბინა აძებინებს საბურთალოზე. იმასაც გაუხარდა წამლის გასაკეთებელი ადგილი გვექნებაო, თან ფულს სხვა იხდისო და ას დოლარად მიცკვიჩის ქუჩაზე მე-5 სართულზე დაიქირავა ბინა. უშანგიმ ოპერატიულობა მოუწონა და მუქთა წამალი თავისი ხელით გაუკეთა. ეს დიდი პატივი იყო.

აჩიკო ცარციძის მიტყუება ბინაში ვერ ხერხდებოდა. ხან რა უშლიდათ ხელს, ხან რა. მეორე ახალი წლის დღეები დაემთხვა და აჩიკო ქალაქში არ გამოჩენილა. უშანგიმ მესამე თვის ქირა რომ გადაიხადა, კოტე გაუწყრა, დაემუქრა ორმაგად დაგაწერ

კისერზეო. როგორც იქნა თებერვალში წამალს მოწყურებული ცარციძე მიიყვანეს ბინაში. აჩიკო აფორიაქებული ჩანდა, უშანგის უღრენდა. რაღაც ორი ათას დოლარს ედავებოდა.

— კარგი რა, აჩიკო, ხომ იცი ჩემთან არ დაგეკარგება, თავს იკატუნებდა უშანგი.

— მე ვატყობ, რომ შენ და შენ ძმას ჩემი ხელით მოგიწევთ სიკვდილი, ორივე მატყუარა ბოზიშვილები ხართ, თქვენი დედა.! — იგინებოდა აჩიკო და თან ვენას უშერდა შპრიცმომარჯვებულ უშანგის.

— ჴო, კარგი რა, აჩიკო, — იგრიხებოდა უშანგი, — ცოტაც და ყველაფერი დაგავიწყდება.

— წადი შენი! მიდი დროზე გააპეთე, მოვკვდი კაცი.

„არც ეგ არის შორს“, გაიფიქრა უშანგიმ და წამალი ვენაში შეუშვა.

აჩიკოს დიდმა დოზამ უცბად მოწყვიტა კისერი.

უშანგიმ რაზეც კი ხელი ჰქონდა მოკიდებული ყველაფერი დიდი ყურადღებით აკრიფა. საგანგებოდ მომზადებული ბინის გასაღები საკეტს მოარგო, შიგ ჩატოვა და სწრაფად დაეშვა კიბებზე. იქნებოდა დამის თერთმეტი საათი. ქალაქი ჩაბნელებული იყო. სეფეროთელაძე ტელეფონის აპარატთან მივიდა. ეს აპარატი წინასწარ ჰქონდა მოსინჯული, იცოდა, რომ მუშაობდა, აკრიფა მერაბის ნომერი და მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა:

— გააგრძელე.

დამის თორმეტ საათზე მერაბი ფრთხილად შევიდა ბინაში. სავარძელში მთვლემარე აჩიკო ცარციძეს ფანჯრიდან მთვარე ანათებდა. მერაბმა მაყუჩიანი რევოლვერი დაუმიტნა და მარცხენა საფეხქელში მოარტყა ტყვია. აჩიკო ტყვიის დარტყმისაგან ოდნავ შეტოკდა. მერაბმა თავის დაზღვევის მიზნით მეორედაც ესროლა აჩიკოს. შემდეგ სავარძლიდან იატაკზე გადააბრუნა და აუჩქარებლად დატოვა ბინა.

საბურთალოზე სუსხიანი ქარი ქროდა. გაყინული მთვარე სევდიანად დასცექეროდა ადამიანთა ცოდვებით დამძიმებულ დედამიწას.

V

ბანკი „შვიდეულის“ დამფუძნებლები, მათი ლიდერების ზუმბოს და პავლიკას ხელმძღვანელობით, მთავრობიდან დაშვებული ოცდახუთი მილიონი დოლარის „განაწილებით“, ხოლო ასოციაცია „ლაშარის“ „პატრონი“ პარტია, ეგრეთწოდებული „კრიშა“, „სხვადასხვა ფირმების მეშვეობით ბანკიდან კრედიტების აღებით იყვნენ დაკავებულნი და პარტიის წევრების, მათ შორის პარლამენტარების ყურადღება სახელმწიფო პოლიტიკის გაჯანსაღებისაკენ კი არ იყო მიმართული, არამედ ბირჟებისაკენ, სადაც ხელისუფლების მიერ გასაცოდავებული ქართული კუპონის ინფლაცია კატასტროფულად იზრდებოდა და მოსწრებაზე იყვნენ, რაც შეიძლება მეტი დოლარი მოეპოვებინათ საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის.

ამ ორი ყაჩაღური გაერთიანების, ბანკი „შვიდეულის“ და პოლიტიკური პარტიის, კრიმინალური დაჯგუფებების და მოქმედ მთავრობის მიერ დატერორებული ასოციაცია „ლაშარი“, სულს ღაფავდა. მას ფაქტობრივად შეწყვეტილი ჰქონდა ფუნციონირება და დარჩენილი კრედიტორების ვალების ღაფარვას ცდილობდა ისევ საკუთარი ქონების ხარჯზე.

ლევან სართელმა ოფისი დახურა და ასოციაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას სახლიდან აგრძელებდა.

ზაურ გელაშვილს ცოლი გაეყარა, სახლიც წაართვა, დარჩენილი ქონებაც და ავადმყოფი ადამიანი ქუჩაში გამოაგდო. ზაური საცხოვრებლად ძმასთან გადავიდა.

ლევან სართელი და გენო ჭანკვეტაძე საქმიანობას უკვე არაორგანიზებული წესით აგრძელებდნენ და შემხვედრი კომერციული ოპერაციებით ირჩენდნენ თავს. ერთხელ, როდესაც ლევანი და გენო სართელის ბინაში ისხდნენ და ბულგარეთიდან ფაქსით გამოგზავნილ კომერციულ წინადადებას იხილავდნენ, ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ლევანმა ყურმილი აიღო.

— გისმენთ!

- ბატონი ლევან სართელი მინდოდა. — იკითხა უცნობმა ხმამ.
- მე გახლავართ, ბატონ.
- ბატონო ლევან, მე ზაურ ქორიძე გახლავართ, რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი.
- რა დავაშავეთ, ბატონო ზაურ? — ჰკითხა განცვითრებულმა ლევანმა.
- არაფერი. უბრალოდ შემსვედრი საჭიროებისათვის რამდენიმე კითხვაზე უნდა გვიპასუხოთ. უფრო ფორმალობასთან გვაქვს საქმე, ისეთი არაფერია. ხვალ ათ საათზე საშვი დაშვებული იქნება და გთხოვთ მობრძანდეთ.
- კი ბატონო, — ლევანმა ყურმილი დადო და გენოს შეხედა, — ესხილა გვაკლიდნენ, — და გენოს გადასცა გამომძიებლის ნათქვამი.
- მე ეგეთი რაღაცები არ მიკირს, ლევან, ძალუებმა ნასუფრალზე იციან მოსვლა.

გენო და ლევანი დიდხანს ბჭობდნენ, რით უნდა დაინტერესებულიყო პროკურატურა. მნიშვნელოვანი დარღვევები ასოციაციის მუშაობაში არ ყოფილა. თუ ვინმეს აინტერესებდა ასოციაციიდან რაიმე საქმის წარება, ესეც გამორიცხული იყო, ვინაიდან საქმეები „ლაშარს“ აღარ ჰქონდა, შემსვედრი შემოწმებაც გამორიცხული იყო იმიტომ, რომ ბანკი „შვიდეული“ და ყოფილი „მფარველი“ პოლიტიკური პარტია შესანიშნავად გრძნობდნენ თავს. ბევრი იფიქრეს, მაგრამ ვერაფერზე ვერ მიიტანეს ეჭვი. ბოლოს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რაღაც გაუგებობობასთან ჰქონდათ საქმე.

მეორე დღეს, დილის ათ საათზე სართელი მივიდა პროკურატურაში. ზაურ ქორიძემ ლევანი ძალიან კულტურულად მიიღო. სართელმა კარგად იცოდა ორგანოს თანამშრომლების ქცევები. როდესაც მათ მოქალაქისაგან ინფორმაციის მიღება სურდათ, ისე დატკბებოდნენ, რომ უცოდველი კრავები გეგონებოდათ, ხოლო როდესაც თავისას მიაღწევდნენ, ურჩხულს ემსგავსებოდნენ და მიზნის მისაღწევად ყველა სიბინძურის ჩადენაზე მიდიოდნენ.

განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ზაურ ქორიძე ასე ორმოცდათი წლის კაცი იქნებოდა. დაბალი, ჯმუხი აღნაგობისა იყო. მრგვალი სახე და გამელოტებული თმა მას უფრო ასაკოვანს წარმოაჩენდა. ცბიერი თვალები ჰქონდა. ლეგანი მაშინვე მიხვდა, რომ საქმე არც ისე იოლად იყო, როგორც ქორიძემ ტელეფონით აუწყა. ზაურმა ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო:

— ბატონო ლევან სერიოზული კაცი ჩანხართ და დოკუმენტები რომ არ მენახა ვერ დავიჯერებდი თუ თქვენ სამშობლო არ გეყვარებოდათ.

— რა ბრძანეთ! რა — ხმა ჩაუწყდა ლევანს და გაფართოებული თვალებით მიაშტერდა გამომძიებელს.

— უბრალოდ სირცხვილია, — განაგრძობდა ქორიძე, — ომგა-მოვლილ, ეკონომიკურად დასუსტებულ ქვეყანას გადასახადებს რომ არ უხდით. როგორ უნდა იარსებოს ან სახელმწიფომ და ან ხალხმა, მით უმეტეს ლტოლვილებმა. არ მეგონა დღეს თუ ამას ქართველი გააკეთებდა.

ლევანი სიმწრისაგან ხმას ვეღარ იღებდა. თითქოს რაღაც ბურთი გასჩეროდა ყელში. თან უყურებდა ამ ბურთივით მრგვალ ნაძირალას და ერთი სული ჰქონდა მივარდნოდა და სკამიანად ფანჯრიდან გადაევდო. ბოლოს მოთოკა ნერვები და მშვიდად დაიწყო საუბარი:

— ბატონო ზაურ, თქვენ ალპათ არასწორი ინფორმაცია გაქვთ ჩემზე და საერთოდ ჩვენი ასოციაციის საქმიანობაზე, ვინაიდან ყოფილა შემთხვევები და ძალიან ხშირად, რომ დაუმთავრებელი ოპერაციის სახელმწიფო გადასახადიც კი წინასწარ გადაგვიხდია ბიუჯეტში.

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, — გაეცინა ქორიძეს, — აი საბუთი, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ. — თქვა გამომძიებელმა და ლევანს წინ ზაურ გელაშვილის მიერ ხელმოწერილი ბრძანება დაუდო.

სართელმა ჩაიკითხა ბრძანება, სადაც ნათლად ეწერა, რომ ასოციაცია „ლაშარმა“ სამი მსუბუქი ავტომანქანა და რამდენიმე

დასახელების ელექტროსაქონელი გადასცა პოლიტიკურ პარტიას. აღნიშნული მანქანებით რომ მართლა პარტიის წევრები დადიოდნენ, ეს იცოდა ლევანმა, მაგრამ თუ ამის შესახებ ბრძანებაც იყო ხელმოწერილი, ეს ნამდვილად ცნობილი არ იყო მისთვის.

— ბატონო ზაურ, ამ ბრძანებას პირველად ვხედავ, — მშვიდად თქვა სართელმა, როგორც ჩანს გელაშვილმა ჩემი მივლინებაში ყოფნის პერიოდში მოაწერა ხელი.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, — იქედნურად გაეცინა ქორიძეს, — თქვენ ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი იყავით და ისევე აგებთ პასუხს აღნიშნული ნივთების და მანქანების ყიდვა-გაყიდვაზე, როგორც გელაშვილი.

— გელაშვილი დაკითხეთ უკვე? — ჰკითხა ლევანმა.

— ვერ ვპოულობთ და როგორ დაკითხავთ, — გაიკვირვა გამომძიებელმა, — იქნებ თქვენ გვაპოვნინოთ?

— მე კარგა ხანია მასთან კავშირი აღარ მქონია, ამიტომ მისი ასავალ-დასავალი, მეუღლესთან გაყრის შემდეგ, არ ვიცი, — იცრუა ლევანმა, რადგან გელაშვილის აქ მოყვანას შეიძლება საქმე სულ სხვაგვარად შეეტრიალებინა, — მაინც რამდენი არის გადასახდელი ბიუჯეტში?

— ოთხას ორმოცდათი დოლარის ექვივალენტი კუპონებში.

— სხარტად წარმოთქვა ქორიძემ.

— აბა, გელაშვილის მოძებნა საჭირო აღარ იქნება, მაგას ჩვენ დაფურავთ მის მაგივრად, ავადმყოფი კაცია, არ მინდა ინერვიულოს.

— ჰა! ჰა! — გადაიხარხარა გამომძიებელმა, — ჩვენ მხოლოდ ჯერ ერთ-ერთი ეპიზოდი ვნახეთ თქვენს საქმიანობაში და დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ სხვა ოპერაციების წარმოების დროსაც ანალოგიური მდგომარეობა გექნებათ.

აქ კი ლევანმა ვეღარ მოითმინა.

— ბატონო ზაურ, თქვენ ჩვენს საქმიანობას არ იცნობთ და ძალიან გოხოვთ, შეურაცხყოფას ნუ მოგვაყენებთ. ჩვენ იმდენი საქველმოქმედო ლონისძიებები გვაქვს სახელმწიფოს და ჩვენი ხალხის სასარგებლოდ განხორციელებული, რომ...

— არ მაინტერესებს თქვენი ქველმოქმედებები, — ზიზღნარე-
ვი ხმით წამოიყვირა ქორიძემ, — თქვენ სახელმწიფო მოატყუეთ
და ჩვენ ამას გამოვიძიებთ. მანამდე კი თქვენი ასოციაციის ქონე-
ბას ყადაღა დაედება და ძიების დამთავრების შემდეგ სახელმ-
წიფო გადასახადების დაფარვა მოხდება ამ ქონებით, ხოლო
რაც დარჩება ისევ უკან დაგიბრუნდებათ. თქვენ ჯობია გელაშ-
ვილი მოძებნოთ. მანამდე კი, რაც სატრანსპორტო საშუალე-
ბები გაქვთ ჩვენს საჯარიმო ავტოსადგომშე უნდა გააჩეროთ.
გაიგეთ ამხა... — უცბათ ტუჩებზე ხელი მიიფარა ქორიძემ და
პაუზის შემდეგ განაგრძო, — ბატონო ლევან!

ამ ნაკომუნისტურმა ნაძირალამ, იქვე მჯდომ თავის თა-
ნაშემწეს რაღაც ანიშნა თავით, ისიც უცბათ გავარდა გარეთ და
ორი ახოვანი ახალგაზრდა შემოიყვანა კაბინეტში. ქორიძემ კი
განაგრძო:

— ეს ბიჭები ობეხესიდან არიან. წახვალთ ერთად და ყველა
მანქანას აქ მოიყვანო. ხოლო რასაც ვერ მოიტანო ადგილზე
დაადგებთ ყადაღას არსებული წესების დაცვით. შეუდექით საქმეს.

ლევანი გაოგნებული გამოვიდა პროკურატურიდან. რაც მან
იქ ნახა და მოისმინა დადგმულ სცენარს უფრო გავდა. თვი-
ოთონ გამომძიებელზე უკეთ იცოდა თავისი დარღვევები, მაგრამ
სახელმწიფოსთან დავალიანება ნამდვილად არ ჰქონდა. ამ მან-
ქანების პარტიაზე გადაცემის ბრძანება არ იცოდა, თან ის უკ-
ვირდა, პროკურატურამ საიდან მოიპოვა ეს დოკუმენტი, ვინ
მისცა. ბევრი რამ საეჭვო იყო. ასოციაცია „ლაშარის“ საბანკო
დავალიანებებს რომ ისტუმრებდა, ლევანმა ასოციაციის კუთვ-
ნილი უძრავ-მოძრავი ქონება ასოციაციაშივე შემავალ ფირმე-
ბის ბალანსზე გადაიტანა, რათა ვალების გადაუხდელობის
შემთხვევაში მისი კონფისკაცია არ მოეხდინათ. ვერ მოასწრო
მხოლოდ ორი „უიგულის“ მარკის ავტომანქანის გასხვისება
და ამიტომ იძულებული გახდა მოსალოდნელი გართულებების
თავიდან აცილების გამო, ორგანოს მუშაკებისთვის ეს ტრანს-
პორტი გადაეცა. მანქანები იმავე დღეს წამოიღეს და პროკუ-

რატურის ავტოსადგომზე გააჩერეს. თან ლევანის თვალწინ
ლუქები დაადეს, რათა პრეტენზია მის უკანონოდ დაყადაღებაზე
არავის გასჩენოდა.

დაიწყო გაუთავებელი ძიება და დაკითხვები.

ლევანმა ზაურ გელაშვილი ვერსად მოძებნა. ცამ ჩაყლაპა
თუ მიწამ არავინ იცოდა. პარტიის თავმჯდომარემ ლევანს
შემოუთვალა, პროგურატურა ჩემსკენ არ გამოუშვა, ისედაც
პოლიტიკურ სკანდალში ვარ გახვეული და ცეცხლზე ნავთის
დასხმა არ მაწყობსო.

გამოძიებამ ბიუჯეტში თანხების გადაუხდელობის ფაქტები
არ დაადასტურა. პირიქით, ასოციაციას სახელმწიფოსათ-
ვის იმდენი ფული ჰქონდა გადარიცხული, რომ ერთი ასეთივე
მსხვილი ასოციაციის გადასახადებს დაფარავდა. მიუხედავად
ამისა ქორიძემ ძიებას სხვა მიმართულება მისცა და ფართო
მასშტაბიან რევიზიად გადააქცია. ლევანს ეჭვი გაუჩნდა, რომ
ძიების უკან ვიღაც იღგა, ვინც აკვალიანებდა ორგანოს მუ-
შაკებს. სეფერთელაძეებზე ვეღარ იეჭვიანებდა, ვინაიდნ მათ
ასოციაციის ძირითად დოკუმენტებთან შეხება კარგა ზანია
აღარ ჰქონდათ. ძიება აშკარად ვიღაცის კარნახით მიღიოდა,
თორემ ამ გამომძიებლებს იმდენი ტვინი არ ჰქონდათ, რომ
ისეთ წერტილებში „დაერტყათ“, რომელიც მტკივნეული იყო
ორგანიზაციისათვის. ლევანი და გენო უკვე მერამდენედ თათ-
ბირობდნენ, რათა გამოსავალი მოეძებნათ, მაგრამ ვერაფერი
მოიფიქრეს. ახლაც გენოსთან ისხდნენ ბინაში და ბჭობდნენ;

— რა გამოდის, გენო, — თავისთვის ლაპარაკობდა ლევანი,
— ან მე უნდა ჩამეშვა ეს საქმე ან შენ, ან ბუღალტერს და ან
გელაშვილს. ზაური დაკარგულია, ქალბატონი ელენე ამას არ
იკადრებს არასდროს. შენ ახლა ჩამოწვედი გერმანიიდან. ესე
იგი დავრჩი მე.

გენო სიცილისაგან კინაღამ სკამიდან ჩამოვარდა.

— სამ იგრაეტ, სამ ტანცუეტ. შენი საქმე ეგრეა, ძმაო. ბოლოს
ხომ იცი გაირკვევა ყველაფერი. — თქვა გენომ, თმაზე ხელი გა-

დაისვა და გააგრძელა, – ნიკალაევიჩ! ფულია გადასახდელი და ყველაფერი მორჩება, ტო. სამი თვეა ვეღარ მოვიშორეთ ეს შობელძაღლები, უკვე ზაფხული დაიწყო.

– მერე ფული სად არის რო? – ხელები გაშალა ლევანმა.

– უნდა ვიშოვოთ, ლევანჯან, თორემ ესენი თუ მომწოდებლებზე გავიდნენ, უბრალოდ ამათი იქ მისვლა, გინდაც არაფერი შეამოწმონ, ჩვენა სირცხვილია. ხომ გესმის, რასაც ვგულისხმობ?

– სწორი ხარ. ხალხმა პატივი გვცა, ჩვენთან იმუშავა და შენ ძაღლები დააყენო თავზე. ყველაფერს რომ თავი დაანებო, შემდგომში ქართველებს აღარ გაიკარებენ და ამის მიზეზი ჩვენ ვიქწებთ.

– საღოლ! ტოჩკაში მოარტყი. – ხელები გაშალა გენომ და ღრმად ამოისუნთქა.

ზაურ ქორიძემ ფულთან დაკავშირებით ისე შორს დაიჭირა თავი, თითქოს თავის დღეში ქრთამი არ აეღოს. ეს საქმე ობეჭესის ბიჭებს ჩააბარა და დიდი ვაჭრობის შემდეგ ათი ათას დოლარზე შეთანხმდნენ. ლევანს კაპიკი არ ჰქონდა. გენომ ორი ათას მოუყარა თავი. დანარჩენი ისესხეს და იმდღესვე გადასცეს ქვეყნის „აღმშენებლობაზე“ ფიქრით დღენიადაგ ტვინ და გულ-დამძიმებულ ორგანოს მუშაკებს.

რევიზის შედეგების გასაცნობად ორი დღის შემდეგ დაიბარეს სართელი. დანიშნულ დროს სართელმა შეაღო ზაურ ქორიძის კაბინეტის კარი და ჰით, საოცრებავ! გელაშვილი ზის მისადგმელ მაგიდასთან და ქორიძეს ესაუბრება.

– როგორც იქნა გამოჩენდა თქვენი პრეზიდენტი. – ახარა ქორიძემ სართელს.

– ყოფილი პრეზიდენტი. – შეუსწორა ლევანმა და გელაშვილს ხელი გაუწოდა.

გელაშვილმა თვალი ვერ გაუსწორა ლევანს და საუბარი გამომძიებელთან განაგრძო:

– ჰოდა, ბატონო ზაურ, როგორც დამირეკა ჩემმა ბიჭმა, მაშინვე ჩამოვედი. აგრე თუ რამე გაინტერესებთ მოგცემთ ახსნა-განმარტებას.

— ისე აღარ არის საჭირო, ბატონმა ლევანმა ყველაფერი მოაწესრიგა, მაგრამ ფორმალობისათვის მაინც დაგკითხავთ.

— ალექსანდროვიჩ! სად იყავი მაინც ამისთანა მოუსავლეთში?

— ჰკითხა ლევანმა გელაშვილს.

ზაურმა პასუხი არ გასცა, ვითომ ვერ გაიგო. ლევანი ახლა გამომძიებელს მიუბრუნდა:

— ბატონო ზაურ, მანქანებს როდის გამატანთ?

— ლევან, მოდი ასე გავაკეთოთ. ზაურ გელაშვილთანაც მოვრჩებით დაკითხვებს და ჩვენ თვითონ დაგირეცავთ.

სართელი დაემშვიდობა ორივე ზაურს და წავიდა სახლში. სიტუაცია არ მოეწონა. რაღაცას ეჭვობდა, მაგრამ დასკვნის გაკეთება მაინც ვერ შეძლო. ძალიან უმძიმდა ფაქტების გარეშე ადამიანზე რაიმეს დაბრალება. ყოველივე ეს დიდ ცოდვად მიაჩნდა.

ლევანი ერთი კვირა ელოდა პროკურატურიდან ზარს, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს თვითონ დარეცა. ყურმილი ქორიძემ აიღო.

— ბატონო ზაურ, ლევან სართელი მოგესალმებათ, როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ, ჩემთ ლევან, თქვენ როგორ გიკითხოთ?

— არა მიშავს. თქვენი ზარის მოლოდინში ცოტა დავიდალე. — გაეხუმრა ლევანი.

— კი, მაგრამ გელაშვილი არ დაგიკავშირდათ?

— არა.

— საოცარია, — გაიკირვა ქორიძემ, — მანქანები მან წაიღო და გვითხრა, რომ დაგიკავშირდებოდათ.

— არ დამკავშირებია. კი, მაგრამ ჩემს გარეშე რატომ გაატანეთ?

— უფლება არა გვქონდა. ის ხომ ჯერ კიდევ ასოციაციის პრეზიდენტია. ალბათ დაგიკავშირდებათ. თქვენ არ ინერვიულოთ, ბატონო ლევან. — დაარიგა ჭკუა სართელს და დაუკიდა ყურმილი.

ლევანმა და გენომ გადატრიალეს მთელი ქალაქი და გელაშვილის კვალს ვერსად მიაგნეს.

— ახლა მიხვდი, ლევანჯან, ვინ იდგა ამ საქმის უკან? — თქვა გენომ სიცილით და ლევანს მხარზე ხელი დაარტყა.

— დაა! აფერისტ ნეშჩასტნი! ახლა მივხვდი, მმაო, რატომ დასდევდა ამდენი ხალხი მოსაკლავად. არადა რამდენჯერ გადავარჩინე ეგ უბედური სიკვდილს, — ჩაიქნია ხელი ლევანმა, — ალალი იყოს.

თუ როგორ განხორციელდა ეს ოპერაცია ლევანმა და გენომ არ იცოდნენ. ყველაფერს ცოტა მოგვიანებით შეიტყობენ.

VI

როგორც იქნა სახელმწიფოს მეთაურმა თავისი გაიტანა და ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი წლის ოცდაოთხ აგვისტოს საქართველოს პარლამენტს შხურვალე ტაშის გრიალში მიაღებინა საქართველოს კონსტიტუცია, ისეთი რედაქციით, როგორიც თვითონ სურდა. ამ დოკუმენტით შევარდნაძემ კიდევ უფრო დააჩქარა ომგამოვლილი, გავერანებული, გაპარტახებული და სიღატაკისაგან დაჩიავებული საქართველოს უფსკრულში გადააჩევის პროცესი. დედა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ასე უსირცხვილოდ გაწირვისათვის, უფალმა მასვე მოუვლინა განსაცდელი და იმავე წლის ოცდაცხრა აგვისტოს სასწაულად გაასწრო „იმელი“-ის შენობასთან მომხდარ აფეთქებას, რომელიც შემდგომში სახელმწიფო მეთაურზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტად მოინათლა. სინამდვილეში კი ამ საქმეში უფლის ხელი ერია, რითაც ღმერთმა კიდევ ერთხელ გააფრთხილა იგი, რომ ქვეყნის ნერევა შეეჩერებინა. არ მოკლა, რამეთუ მისცა დორ და საშუალება ცოდვების მონანიებისა და საქმის სასიკუთოდ შემობრუნებისათვის. ღმერთის კეთილ ნებას იგი კვლავ არ დაემორჩილა და ჯერ კიდევ სისხლში მოსვრილმა მიიღო წინადაღება ახლად შექმნილი პარტიისაგან, მისი პრეზიდენტად არჩევის შესახებ. ეს პარტია საქართველოს მოქალაქეთა კავშირი გახლდათ, რომელსაც ხალხმა ხუმრობით საზამთროს პარტია შეარქვა. ვინაიდან იგი მწვრთეთა პარტიის ინიციატივით შეიქმნა, გარედან საზამთროსავით მწვანე იყო. პარტიის შიგნით კომუ-

ნისტების უმრავლესობა საზამთროს გულის ფერს, წითელს ნიშნავდა, ხოლო კურკები შიგადაშიგ კრიმინალური ელემენტების ანუ შავების პარტიაში ყოფნას ადასტურებდა.

ტერორისტული აქტის განხორციელება უშიშროების შეფს დააბრალეს, რამაც გიორგაძის ქვეყნიდან გაქცევა გამოიწვია. მისი მფარველობის ანუ „კრიშის“ ქვეშ მყოფი ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს დაშლის საფრთხე დაემუქრა.

დაიწყო ქვეყნაში ძალთა და სფეროთა ხელახალი გადაწყილება. ახლადშექმნილმა მოქალაქეთა კავშირმა თავის რიგებში გააერთიანა კომუნისტების ძველი და ახალი გვარდის წარმომადგენლები. ეროვნულ მოძრაობაში გადაბარგებული სკამის მაძიებლები და მედროვეები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ კომკავშირელები, რომლებმაც ქვეყნაში წყობილების შეცვლის გამო ვერ მოასწრეს ასპარეზზე გამოსვლა და თავი ვერ გამოიჩინეს თავისი დიდი „მასწავლებელივით“ ქვეყნის ნგრევის საქმეში. რაც შეეხება კომუნისტების სხვადასხვა ჯიშის და რჯულის აგენტურას, აგრეთვე ეგრეთწოდებულ დამსახურებულ „ნასედებებს“, „მათ მოქალაქეთა კავშირის “მამების“ მითითებით გააძლიერეს არსებული პარტიები და შექმნეს ახალიც, რომელიც შემდეგ მორჩილი ოპოზიციის როლს შეასრულებდა. ერთი სიტყვით, ამ მოძრაობისთვის შორიდან რომ შეგეხედათ, გაგახსენდებოდათ ცნობილი სიტყვები: „ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი წინ მოექცევაო“.

ყველა ამ ზნედაცემულმა, ტვინდაკოჭლებულმა და ანტიეროვნულმა ძალებმა, საკუთარი მატერიალური უზრუნველყოფის და კეთილდღეობის სანაცვლოდ, ერთობლივად დაიწყეს შევარდნაძის ნათესაობის, მისი კლანის გაძლიერება.

ანტიქრისტეს უკვე ტახტს უმზადებდნენ ტაძარში დასაჯდომად.

კიდევ ერთხელ დაიწყო საქართველოში უმეცრებისა და უზნეობის პერიოდი. ქვეყანა ახლადამღვრუულ ღვინოს დაემსგავსა, როდესაც ლექი ზედაპირზე ამოდის და მის დაწმინდავებას

გარკვეული პერიოდი სჭირდება. ისტორიისათვის კი ოცი და თუნდაც ორმოცდათი წელიწადი არაფერია. ის მხოლოდ ზღვაში წვეთია.

სახელმწიფო მეთაურს რომ ჩამოეყალიბებინა თავისი სახელმწიფო მართვის კლანური სისტემა, პირველ რიგში უნდა მოესპონ კრიმინალური დაჯგუფებები და ის ბიზნესმენები, ვინც ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებდა და გაეწმინდა გზა საზღვარგარეთ მყოფი თავისი ხალხისათვის, რომლებმაც არეულობისა და ომის დროს, თავისი „ბაბუს“ ხელშეწყობით, ყაჩაღური გზით გაიტაცეს ფული და ახლა ამ გაორმაგებული კაპიტალის დაბანდება სურდათ საქართველოში. აგრეთვე უნდა გაწმენდილიყო ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი, უცხოური მდარე ხარისხის საქონლის შემოსატანად, ანუ ბაზრის გაყიდვაზე ცხადდებოდა ტენდერი. ვინც ამ საქმეს წინ აღუდგებოდა ანუ ხელს შეუშლიდა ქვეყანაში „შევარდნაძის ეკონომიკის“ განვითარებას, რომლის საბოლოო მიზანი მასიური უმუშევრობა და ქვეყნის დაქცევა იყო, იგი განადგურდებოდა, უკეთეს შემთხვევაში დატოვებდა სამშობლოს. ეს პროცესი შენიდბული ფორმით უკვე ორი წელია მიმდინარეობდა, რაც ლევან სართელის და სხვა პატრიოტ ბიზნესმენთა მაგალითზე ჩვენთვის უკვე ცნობილია. ახლა კი, ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი წლიდან იწყებოდა ღია პროცესი საღი აზროვნების საბოლოო განადგურებისათვის.

ანტიქრისტე თავისი მოციქულებით ღიად დაიძრა ტაძრისაკენ. წესიერი ხალხის მოშორება მათთვის პრობლემა არ იყო. მას მხოლოდ ფეხებში ებლანდებოდნენ თავისივე ხელით შექმნილი კრიმინალური დაჯგუფებები, რომელთა თარეში მისთვის უკვე მიუღებელი იყო. ასეთ ერთ-ერთ ძლიერ და საშიშ ჯგუფს წარმოადგენდა ბანკი „შვიდეული“, სადაც რამდენიმე თვეა, რაც გადაგდებული იყო „განხეთქილების ვაშლი“ ოცდახუთი მილიონი დოლარის სახით და რომელსაც უკვე მოჰყვა მისი ერთ-ერთი და მთავარი დამფუძნებლის, კორპარას თავისივე მანქანაში აფეთქება, ხოლო ჩვენთვის ცნობილი პავლიკას –

პარიზის ერთ-ერთ ფეშნებელურ სასტუმროში სიკვდილი. იგი თავის აპარტამენტებში იპოვეს შუბლგახვრეტილი. „შვიდეულის“ კიდევ ერთი წამყვანი წევრი ყუფარიძე, რომელსაც ზედმეტსახელად შევარღნაძის „ავრორას“ ეძახდნენ, საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს. მისი მცველი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო თვითონ ხერხემლის მძიმე დაზიანება მიიღო და სამუდონდ მიეჯაჭვა საწოლს. მეოთხე მსხვერპლი კოლია ზედგენიძე, როგორც ამბობენ წამალში „გაიპარა“ თუ „გააპარეს“ ეს ვერავინ დაადგინა. მეხუთე – ვალტერ ცომაია და მეექვსე ენვერ შაყულაშვილი კოჯრის გზაზე ხეზე მიყუდებულები და შუბლგახვრეტილები იპოვეს.

ყველაზე დიდ გავლენიან და ავტორიტეტულ „შვიდეულის“ წევრს ზუმბოს არავინ აწუხებდა. მხოლოდ ერთხელ დაურეკეს ტელეფონზე და თავისი ჯგუფის წევრების სიკვდილში ვიღაც უცნობმა ბრალი დასდო და ამასთან ერთად დაუსახელა ევროპის ერთ-ერთი პრესტიული ბანკი, სადაც მას ხუთი მილიონი დოლარი ჰქონდა ანგარიშზე შენახული.

ზუმბო ამ ზარმა ოდნავ შეაფიქრიანა.

ლევან სართული ბანკ „შვიდეულში“ იშვიათად მიდიოდა. მომხდარი ამბის შემდეგ მიზანშეწონილად ჩათვალა მისულიყო ზუმბოსთან და მიესამძიმრებინა. ზუმბო ჩვეული თავდაჭერილობით შეხვდა ლევანს. მოკითხვის შემდეგ ზუმბომ ჰკითხა სართულს:

– რა არის, პროკურატურამ ჩამოგიქრილათ?

– მაგრად. ვალებშიც გაგვჭედა, შენ საიდან იცი?

– შემთხვევით გავიგე. ჩემი ახლობელი მუშაობს მანდ „ვაჟიაკებში“ და ასოციაცია „ლაშარი“ რომ ახსენა მერე დავინტერესდი.

– პო, ვერ გავიგეთ, ვინ მოგვაყენა პროკურატურა, – სევდიანი ხმით თქვა ლევანმა, – მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ ჩვენი თანამშრომელი უნდა ყოფილიყო.

– მეც ახლა გავიგე ეგ ამბავი და აღარ დაგირეკე. არ მინდოდა გენერვიულათ. თან ფული უკვე გადახდილი გქონდათ. – გაეცინა ზუმბოს.

— რა გაიგე? ვინ იმუშავა? — გამოცოცხლდა ლევანი.

— სამწუხაროდ კი.

— ვინ ზუმბო? — ფეხზე წამოდგა ლევანი.

— ზაურ გელაშვილს შეუტანია საჩივარი გენერალური პროკურორის სახელზე, — სიცილით ყვებოდა ზუმბო, — დამაყაჩაღესო, ყველაფერი წამართვესო და იქნებ დამეხმაროთ დაბრუნებაშიო. ჩვენზეც უყბედია რაღაც-რაღაცები, მაგრამ პროკურატურამ ჩვენი გამოძახება ვერ გაბედა.

ლევანი კინაღამ ჭკუიდან შეიშალა. ყველაფერს წარმოიდგენდა და ამას კი ვერა, რომ ზაური იჩივლებდა. სართელმა გაიარ-გამოიარა ზუმბოს კაბინეტში. მერე შეჩერდა ფანჯარასთან, რომელსაც სქელი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული და გაკვირვებულმა თქვა:

— იმიტომ მუშაობდნენ ასე აწყობილად პროკურატურა და ობებეესი, შესანიშნავი გზის გამკვალავი ჰყოლიათ.

— ვერსად ვერ იპოვეთ, ტო?

— სად იპოვო. ალბათ ამოთხარა ორმო და ზედ მიწა დაიყარა.

— თქვა ლევანმა და ხელი ჩაიქნია, — წასულ საქმეს აღარაფერი ეშველება. შენ რას შვრები.

— რა ვიცი, ვართ აწრიალებული.

— ფრთხილად იყავი, ზუმბო, ესენი აღარ ხუმრობენ. — უთხრა ლევანმა და ისევ ფანჯარასთან მივიდა. ხელით ფარდა გასწია, რათა ეზოში გადაეხედა. ფარდის გაწევა და სროლის ხმა ერთი იყო. შუშა მთლიანად ჩამოიფშვნა. ლევანი კი ინსტიქტურად გადახტა უკან და სათათბირო მაგიდის ქვეშ აღმოჩნდა.

ზუმბო ხელში რევოლვერმომარჯვებული მაგიდას ეფარებოდა, მაგრამ როგორც ჩანს მოსახდენი უკვე მოხდა. მივიდა ლევანთან ხელი მოჰკიდა, გამოიყვანა მაგიდის ქვეშიდან და უთხრა:

— ეს მე მესროლეს. შენ კი ღმერთმა გადაგარჩინა.

ბანკის დაცვა სროლის ხმაზე ამოვარდა კაბინეტში და გაოგნებულები ზუმბოს ბრძანებას ელოდნენ. ზუმბოს წარბიც არ შეუხრია, ბიჭებს შეხედა და მშვიდად უთხრა:

— ლევანი სახლამდე მიაცილეთ. მერე წელოსანი გამოიძახეთ და შუშა ჩასვით.

სართელი სახლში ჩვეულებრივ შევიდა. არაფერი შეიმჩნა. მერე გენოს დაურეკა:

— ჭანკვეტაძე! ცხელ თონის პურზე და გუდის ყველზე რას იტყოდი?

— ვაჲ! კაი რამეა, ტო. — გაეხარდა გენოს, — მერე სად არის რო?

— მანქანით გამომიარე, სოფელში ჩავიდეთ და ცოტა გავეთი-შოთ ამ ცხოვრებას.

VII

ლევანმა გენოს გზაში ყველაფერი უამბო, რაც ბანქში გადახდა. თან სოფოვა არავისთან წამოსცდენოდა, განსაკუთრებით სოფოვთან.

— გადარჩენილხარ, ტო, — თქვა მოსმენილისაგან გაოგნებულ-მა გენომ, — ესე იგი ზუმბოს ყოველ ნაბიჯზე დასდევენ. მასთან აღარ მიხვიდე, გამშე დაანებე თავი.

— არც ახლა ვაპირებდი მისვლას, მაგრამ მაგათი ამბები მაინ-ტერესებდა, თან ხომ ნახე გელაშვილის ღალატიც გავიგეთ.

— ჰო, ბიჭო, გელაშვილის ღალატი გიშველიდა თუ გაგაგ-ორებინებდნენ დუბარას, — თქვა გაბრაზებულმა გენომ და სიგარეტს მოუკიდა, — რა ხალხთანა გვაქვს საქმე, ვინ არიან ესენი, ტო?! გაგაგიუებენ კაცს.

საუბარში გართულები ისე მიუახლოვდნენ სოფელს, რომ გონს მხოლოდ შესასვლელში მდგარმა დიდმა ტრაფარეტმა მოიყვანა, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა სოფლის სახელი.

სოფელში გვიანი შემოდგომის თბილი დღეები იდგა. ეს ის პერიოდია, როდესაც მზე ნელა-ნელა კარგავს სითბოს და დღის განმავლობაში მხოლოდ სამი-ოთხი საათი თუ შეიძლება მზეზე

გათბობა. სწორედ ამ პერიოდში მივიღნენ სოფელში გენო და ლევანი. სოფლის მოსახლეობაც გარეთ იყო გამოშლილი და მზეს ეფიცხებოდა. სოფელში მოსავალი უკვე აეღოთ. ახლად მოჭრილი ჩალა მოსახლეობას ეზოების წინ დაეხვავებინა და ნელ-ნელა, ტაატით ეზიდებოდნენ სათივეებში. ზოგი შემის ჭრით იყო გართული. ხალხი გამოსაზამთრებლად ემზადებოდა. ლევანი ხელის აწევით ესალმებოდა თანასოფლელებს. სიჩუმე გენომ დაარღვია:

- რაზე ჩამოვედით, ტო?
- ცოტა დავლიოთ რა, თორემ გავგიუდები, — უპასუხა ლევანმა,
- მგონი ახლა მოვედი გონზე, ჯერ ვერ გავაცნობიერე რა მოხდა.
- სად წავიდეთ?
- ჩემს სიმამრთან ავიდეთ. კარგი საფერავი დაუდგა. პურსაც გამოგვიცხობენ და სიდედრი, ქალბატონი ელენე დედალსაც დამიკლავს, ხომ იცი ჩემთვის არაფერს იშურებს.
- ჰოო, მაგარი ქალია სემიონოვნა, — დაადასტურა გენომ, რომელიც ლევანის სიდედრ-სიმამრს კარგად იცნობდა, — შენ მართლა მაგრად უყვარხარ. თან ძალიან ემოციური ქალია.
- გეთანხმები, ძალიან კარგი ქალია. მერე იცი, ეგ ვისი დამ-სახურებაა?
- ვისი?
- ჩემი სიმამრის, — ამაყად წარმოთქვა ლევანმა, რომელსაც სიმამრი ძალიან უყვარდა, — მან მთელი თავისი ცხოვრება შრო-მაში და კაცურ კაცობაში გალია, იმიტომაც მიყვარს მაგასთან პურ-მარილი, რადგან მის მიერ მოწვდილი ლუკმა ალალმარ-თალი შრომით არის შექმნილი.
- ამასობაში ლევანის სიმამრის სახლსაც მიადგნენ, მწ-ვანეში ჩაფლული პატარა სახლი და ეზო დანახვისთანავე კარგ ხასიათზე აყენებდა ადამიანს. მოხუცი ცოლ-ქმარი დღის გან-მავლობაში სახლის წინ განლაგებულ დამხმარე სათავსოებში ფუსფუსებდნენ ხოლმე. რა არ პქონდათ იქ: საქათმე უამრავი დედალ-ვარიათი, საძროხე-კარგად მოვლილი მეწველი ძროხ-

ებით და დასაკლავად გამზადებული მოზვრებით, საღორე-საშობაოდ გასასუქებლად დაყენებული ღორებით, სასიმინდე, სათივე და კიდევ ათასნაირი სათავსო, რომელიც სოფლად გლეხი კაცის ყოფა-ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მთავარი კი მარანი იყო, თავის ქვევრებით, ღვინით სავსე ბოცებით, ჭერზე ჩამოკიდული ხახვისა და ნივრის გალებით, თაროებზე გაწყობილი ათასნაირი დაკონსერვებული პროდუქტებით და მრავალი და მრავალი სხვა. მარნის გვერდით კოხტად მოეწყოთ სათონე, რომლის ეშნითაც ჩვენი გმირები თბილისიდან აქ ჩამოვიდნენ. საოცრება კი ის იყო, რომ თონეში მოხუცებს ფიჩხი საგულდაგულოდ ჩაელაგებინათ და მასზე წაკიდებული ცეცხლი საამოდ ბრიალებდა, ხოლო ხმელ ფიჩხს სასიამოვნო ტკაცატკუცი გაპქონდა.

— გამარჯობათ, უფროსებო! — ჯერ კიდევ მანქანიდან გად-მოსძახა გენომ მასპინძლებს. შემდეგ მანქანიდან გადმოვიდა, ორივეს გადაეხვია, აკოცა და ხმამაღლა გააგრძელა — ჩვენს გულში იჯერით, კაცო, კაკრაზ ცხელი პურის საჭმელად წამო-მიყვანა ლევანამა.

— ჰოდა ძალიანაც კარგად უქნია ლევანსა, — შეაგება სიტყვა სართელის სიმამრმა, ვარლამმა სტუმრებს, — მაგას მამამი-სივით განვითარებული ყნოსვა აქვს, თანაც გუმანითა გრძნობს პურ-მარილი სად იშლება და გულიც იქით მიუწევს. აბა, თქვენ მოსგლას გაუმარჯოს, ჩვენ აქ დახვედრასა.

— აბა, სიმამრო, გუდის ყველი გააქ? — თქვა ლევანმა და გად-აეხვია ვარლამს.

— გუდისაცა მაქ და საქონლისაც, თქვენ ოლონდ მოითხოვეთ.

— ჰოდა, გენოს ვენაცვალე, აგვწყობია საქმე. წამოდი, ჩვენ სანამ თონე გახურდება სამწვადე ვიყიდოთ.

სანამ გენომ და ლევანმა სამწვადე მოიტანეს, ქალბატონ ელენეს დედალი დაეკლა და უკვე ხარშავდა. ლევანმა თონის გვერდზე მაგიდა დადგა. იქვე ახლად მოჭრილი ხის კუნძები მოა-ჩოჩა, რომელიც შესანიშნავად გასწევდა სკამების მაგივრობას. მაგიდას თეთრი სუფრა გადააფარეს, ზედ კიდევ ცელოფნის სუ-

ფრა დაადეს, რომ წითელ ღვინოს არ დაელაქავებინა. სუფრის გაშლა კაცებმა დაიწყეს, რადგან ქალბატონი ელენე და მისი რძალი ცომის დაგუნდავებით იყვნენ დაკავებულნი. თან სტუმრებს ბოლიშს უხდილენ, „როგორ გამუშავებთო.“ ღევანი და გენო ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან თავად შესანიშნავ გურმანებს, სუფრის გაშლა ერთობ დიდ სიამოვნებას ანიჭებდათ.

ვარლამმა დოქებში ჩამოსხმული საფერავი გამოიტანა და მაგიდაზე დადგა. ღევანმა თევზებზე ლამაზად ამოღებული კომბოსტოსა და მწვანე პომიდვრის მწნილი მიუმატა სუფრას. გენომ ლამაზად დაჭრილი გუდის ყველი დაამატა. იქვე ახლად ამოყვანილი ჭყინტი ყველიც გააჩინეს. სამწვადეც უცბად დაჭრა ლევანმა, გენომ შამფურებზე აასხა, ვარლამმა კი ახლად განელებულ ნაკვერჩხალზე დააწყო. დედალიც ამოიღეს ქვაბიდან და ნიორწყალიც მიუმარჯვეს.

— დედალი სიძეს დააჭრევინეთ, წესი ეგეთია, — დაიძახა სათონედან სიღედრმა და პირველი ლავაში ჩააკრა თონეში.

— თავი დამანებეთ, თუ მმა ხარ, არ ვიცი დედლის დაჭრა, ვეღარ გაიგეთ? — აწიწმატდა ღევანი და მაყალზე შამფურები გადატრიალა.

ამასობაში გენომ ჭიქებში საფერავი ჩამოასხა. ისეთი ფერი იყო და თან ისეთი ქაფი მოიყნა ზედაპირზე, რომ მაძღარ კაცსაც კი სიამოვნების ურუანტელი დაუკლიდა ტანში. ღევანმა შამფურებიდან ჯამებში ჩაყრილ მწვადს მრგვლად დაჭრილი ხახვი მოაყარა და მეორე ჯამი ზედ დაახურა. კარგა ხანს ატრიალა ჯამები, რათა ხახვის გემო ხორცში გამჯდარიყო. მერე მოხადა ჯამს, მწვადით სავსე ჯამის დადგმა და მაგიდაზე თონიდან ამოღებული ლავაშის დადება ერთი იყო.

— ვახ! შენ გენაცვალე! — შესძახა სიამოვნებისაგან აღტკინებულმა სართელმა, — ექვსიანზე ტუზივით არ დაეცა ეს ბემურაზი. აპა! გენოს ვენაცვალე, ეგ არის და იელოველების „ვზლიოტნაია პალასა!“

— რაა? — თვალები გაუფართოვდა გენოს, შესაჭმელად გამზადებული მწვადის ნაჭერი ზელში გაუშეშდა, — რა „ვზღლიოტნაია პალასა“, რის „პალასა“, რაო?

— რა ვერ გაიგე, ტო! — გაეღიმა ლევანს, — ამას წინათ იეღოვთ ელები გორის ციხიდან არ გაფრინდნენ. ჰოდა, ეგ არის და გორის ციხე, თანამედროვე იეღოვურ ენაზე ასე ითარგმნება.

გენოს პურიც, ყველიც და მწვადიც ერთად გაუვარდა ზელიდან და კინალამ პირში ჩადებული ლუქმაც ყელში გაეჩხირა. მერე სიცილი აუტყდა და ძლივს გააჩერეს.

— ეგ საიდანლა მოიფიქრე, ვინა ხარ შენ. არ გაგიგონ, თორემ გაგლახავენ იეღოველები. — თავს ვეღარ იკავებდა სიცილისაგან ჩაბჟირებული გენო.

— ჩუმად იყავით, — დატუქსა სტუმრები ქალბატონმა ელენემ, — ჩვენს მეზობლად ჩამოსახლებული იმერლების ორი ოჯახი იეღოველები გახდნენ და არ ეწყინოთ, შვილო.

— აგაშენა ღმერთმა! — შესძახა ლევანმა, — კაკრაზ, მაგათ კიდევ „ვზღლიოტნაია პალასას“ იალნოს მთაზე გავუკეთებ ან წალმიანში და იქიდან პირდაპირ დავით გარეჯისაკენ გავაფრენთ. იქ კიდევ ჩვენი ბერები ისევ ქრისტიანობაზე მოაქცევენ. ეგრე არ არის, ძმებო?

წალმიანიდან დავით გარეჯშიო, რომ გაიგო გენომ, ახლა ამაზე ჩაბჟირდა და ძლივს მოასულიერეს. ცოტა სული რომ მოითქვა, ლევანს სიცილისაგან თვალცრემლიანმა გადახედა და უთხრა:

— კარგი რა, შე ჩემა, ღმერთი არა გწამს, ერთი ლუქმა მაინც შემაჭამე, დავიხრჩე კაცი.

— კარგი, კარგი, ახლა სერიოზულად ვისაუბროთ, — დინჯად წარმოოთქვა ლევანმა. საფერავით სავსე ქაფმოკიდებული ჭიქა ასწია და განაგრძო, — ამ ჭიქით უფალი ვადიდოთ და ვთქვათ ისე, როგორც დაწერილია: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

— ამინ! — ერთხმად წარმოთქვეს თანამეინაზეებმა და ისე გამოცალეს ჭიქები, თითქოს რამდენიმე დღის მწყურვალები ყოფილიყვნენ.

— მართლა კარგი ღვინო გქონია, ბატონო ვარლამ, — შეაქო ოჯახის უფროისი გენომ და პატივისცემის ნიშნად შებლზე აკოცა.

— გვალვიანი ზაფხული იყო და ყურძენი ტკბილი გამოვიდა. მართალია ცოტაა, მაგრამ მართლა კარგი ღვინო დადგა, — სია-მაყით თქვა ვარლამმა და თან დააყოლა, — ღმერთმა შეგარგოთ.

კახეთში თონესთან პურის ჭამა და ქეთიფი დიდად არ ჩამოუ-ვარდება ორ ძირითად კახურ დღესასწაულს — ღორის დაკვ-ლას და „ზაოტობას“. თანაც თუ ღორის დაკვლაზე და „ზაო-ტობაზე“ შეგიძლია ნებისმიერი სასმელი დალიო, თონესთან მხოლოდ წითელი ღვინო ისმება კარგად, რადგან ცხელ პურზე, გუდის ყველზე და მწინილზე საფერავი მალამოსავით ედე-ბაორგანიზმს და დედის რძესავით ერგება ადამიანს. სწორედ ამ თემაზე მიღიოდა საუბარი თონესთან შემოკრებილ მოქეთვებს შორის, რომ მათ ორი მეზობელი შემოემატათ სუფრაზე, ერთი იმერელი და მეორე კახელი. იმერელმა არაყი მოითხოვა, ცოტა აცივდა და გამახურებსო. კახელმა, რომელსაც საფერ-ავით სავსე ჭიქა ეჭირა ხელში, გაკვირვებულმა შეხედა იმერ-ელ მეზობელს და უსაყვედურა:

— რას ამბობ, ო? მამალი ვირი და მაკე!? საფერავი სუფრაზე გედგეს და არაყსა თხოულობდე, შენ სახლიდან რო გამოხველ თავი კედელზე ხო არ მიარტყი, ო!

— ხო, ხო, ხო დეიწყო ახლა ვირებზე და კედლებზე ლაპარაკი, — აწიწმატდა იმერელი, — რა გესმის შენ პურ-მარილის.

ლევანმა იცოდა ამათი საუბარი თუ გაგრძელდებოდა, ერთ-მანეთს არ დაუთმობდნენ და სიტუაციის განმუხტვის მიზნით ვედრო გადმოაბრუნა და შემოჰკრა ხელები:

— აბა, ბიჭებო, შალახო და ჩქარი ტაში! შენ დაუკა!

საცეკვაოს გაგონებაზე აწრიალდნენ მოქეთვენი. ყველამ ერთად დაიწყო როკვა, იცოდა თუ არ იცოდა ცეკვა. კარგად შეზარხოშე-

ბულმა გენომ თავისი ჩვეული იღეთების ჩატარება დაიწყო. გასწორდა, თავზე შემოიდგა ღვინით სავსე ბოთლი და ნელი მოძრაობებით დაიწყო ბალდადურის ცეკვა. უზიზელი ბოთლს თავზე ვერ იჩერებდა, ხოლო მოვრალს ეს კარგად გამოსდიოდა.

სანამ მოქეიფენი ცეკვაში თავის ოსტატობას აჩვენებდნენ, ვარლამმა თონეში მიმქრალი ნაკვერჩხალი გადაქექა და შიგ მოზრდილი გოგრა ჩადო და ნაკვერჩხალი ისევ მიაყარა, თან დააყოლა:

— უზმოზე თონეში შემწვარი გოგრა მალამოსავით ედება ნასმურევ ორგანიზმს.

გენომ ცეკვა დამთავრა, ბოთლი ჩამოიღო თავიდან, ღვინო ჭიქაში ჩამოასხა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ამ ჭიქით, ბიჭებო, ლევანას გაუმარჯოს, ამდენ ქარ-ცეცხლში გამოიარა და ისევ ვაჟაცურად უმკლავდება ამ წუთი-სოფელს.

ლევანმა გენოს თვალებში შეხედა, თითქოს ეუბნებოდა არაფერი წამოგცესო. მართლაც ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. გენო მიუახლოვდა ლევანს, ჩვეულებისამებრ შუბლზე აკოცა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ხომ იყი, მმაო, რომ მე არაფერი არ წამომცდება, მთავარია შენ არ ინერვიულო. აბა, მოდი ვახტანგური დავლიოთ მე და შენ.

ბიჭებმა ვახტანგური დალიეს, სამჯერაც აკოცეს ერთმანეთს და ლევანს უცბად თავბრუ დაეხვა. გენო მიხედა ყველაფერს. ლევანი საწოლამდე მიიყვანა და სანამ კარგად არ ჩაეძინა არ მოსცილებია. მერე ისევ ეზოში ჩავიდა, თონის გვერდზე შუალამებდე „ტაშთანდური“ არ გაჩერებულა.

დილით ლევანი თავის ტკივილმა გააღვიძა. გუშინდელი სტრესისაგან ჯერ გამოსული არ იყო, თან ცოტა „პახმელიაც“ აწუხებდა. ადგა ეზოში ჩავიდა და თითქმის ერთი საათი იარა, იქნებ სუფთა ჰაერზე სიარულმა მიშველოსო, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ჩანდა მოუღლოდნელი სროლისგან მიღებული სტრესი სამუდამოდ დარჩებოდა მის ორგანიზმში. ეს კი მომავალში ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედებდა.

VIII

მოქალაქეთა კავშირის მიერ სახელმწიფო მეთაურის გაპრეზ-იდენტების შემდეგ, ამ უკანასკნელმა ისევ მოქალაქეთა კავშირის თანადგომით დაიწყო რეპრესიები საკუთარი ხალხის მიმართ. განსაკუთრებული იერიში თბილისის წინააღმდეგ უნდა განხორციელებულიყო. თბილისისა და თბილისელების დამორჩილების მიზნით, სახელმწიფო მეთაურს, ახლა კი უკვე პრეზიდენტს, თავისი პროგრამა ჰქონდა შედგენილი. ქალაქელი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად, უნდა მოშლილიყო და განადგურებულიყო თბილისელის ინსტიტუტი, რომელიც საკმაოდ ფესვმოკიდებული იყო ქალაქში და აბალანსებდა მდგომარეობას. ამ ინსტიტუტის მოშლისათვის, აუცილებლობას წარმოადგენდა ქალაქში კრიმინალური მდგომარეობის უფრო დაძაბვა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან მოსახლეობის თბილისში ჩამოყვანა, სხვანაირად თბილისის დამორჩილება შეუძლებელი იქნებოდა. ახლანდელ პრეზიდენტს ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პერიოდში ჩამოჰყავდა რაიონებიდან მორჩილი ინტელიგენციის წარმომადგენლები, აქცევდა კომპარტიის წევრებად, აძლევდა თანამდებობებს და იყენებდა მათ ყარაჩოხელების მემკვიდრეების ანუ თბილისელების ინსტიტუტის მოსასპობად. შეგარდნამის მიერ დაქირავებულმა ინტელიგენციამ თბილისელებს საფუძველი შეურყია. ახლა კი მათი ვიგინდარა შვილები ჩაუყენა კრიმინალებს სათავეში ეგრეთწოდებული „პალაუენის“ დასაყენებლად. უბანი უბანს აღარ ჰგავდა, ქალაქი-ქალაქს. თბილისიდან თბილისელი გარბოდა, ხოლო სოფლიდან ჩამოსული ადამიანების ნახევარი კრიმინალების ხელში ვარდებოდა და ისედაც თბილისელებზე გამწარებულები აწიოკებდნენ ქალაქს. „პანონიერმა ქურდებმა“ საკუთარი ტყავის გადასარჩენად აიღეს „გუდა-ნაბადი“ და უმრავლესობამ „დიდ“ რუსეთს მიაშურა. ადგილზე დარჩენილების დიდი ნაწილი კრიმინალებს შეეკვრნენ და ერთობლივად დაიწყეს

ქალაქის ძარცვა და განადგურება. ოუმცა ქურდისთვის რა უნდა მოგეკითხა, თავის სახელიდან გამომდინარე, ქრისტეს ათი მცნებიდან მეექვსე და მერვე მცნებას დღეში რამდენჯერმე არღვევენ, გარეგნულად კი პირჯვარის გადაწერას ვერ მოასწრებდი. ერთი სიტყვით იწყებოდა ის დრო, რომელზედაც დაწერილია სახარებაში „. . . და მოგიძულებთ ყველა ხალხი ჩემი სახელისა გამო. და მრავალი შეცდება მაშინ და გასცემენ ერთმანეთს და მოძულებენ ერთურთს და მრავალი ცრუწინასწარმეტყველი აღდგება, და აცდუნებენ მრავალთ. და ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განედება სიყვარული. ხოლო ვინც ბოლომდე დაითმენს, იგი ცხონდება.“ (მათე 24, 6-13.)

ანტიქრისტეს ტახტის მოსამზადებლად დიდი ფუსფუსი იყო პრეზიდენტის გარემოცვაში. ვინც ანტიქრისტეს მოციქულების პარტიაში ანუ მოქალაქეთა კავშირში ვერ მოხვდა, თავის პარტიას ქმნიდა, ან კიდევ სატანისკენ გადახრილი პოლიტიკურ პარტიებს ეტმასნებოდა. ასეთი კი სოკოებივით მრავლდებოდნენ საქართველოში.

ტიროდა დედა ღვთისმშობლის წილზედრი ქვეყანა.

რაიონებში მოსახლეობის დასაქმება საერთოდ არ ხდებოდა. ამის გამო, ლუკმაპურის საშოვნელად, სოფლის მოსახლეობა მასიურად დაიძრა თბილისისაკენ, სადაც უმუშევარს უმუშევარი მიემატა, უსაქმურს-უსაქმური, ქურდაცაცას-ქურდაცაცა, მეძავს-მეძავი და აღსრულდა ცნობილი პოეტის სიტყვები: „ვცხოვრობ თბილისში და თბილისში დავვეძებ თბილისში“.

დაიწყო ქართველების და საქართველოს სიბინძურები და სიბნელეში ჩახრიბის პერიოდში.

მოქალაქეთა კავშირმა აქტიურად დაიწყო ანტიქრისტესათვის ტაძრისაკენ მიმავალი გზის გაწმენდა.

ლევან სართელი სოფელში ვერ ჩერდებოდა, რადგან ერთეული ადამიანები კვლავ აფრთხილებდნენ, რომ მასზედ თავდასხმა მზადდებოდა ფულის გამოძალვის მიზნით. ბევრს ლევანი ჯერ კიდევ შეძლებული ეგონა. ქალაქში გული არ უჩერდე-

ბოდა. ამას ყველაფერს თან დაერთო თავის არეში საშინელი ტკივილები, რომელიც ზუმბოს კაბინეტში მიღებული სტრესის შემდეგ განვითარდა. ახალმა ტრავმამ, სამი წლის წინ ავარიის შედეგად მიღებული ტკივილები განუახლა. მაშინ ხომ ლევანმა, ექიმის დაუინებული თხოვნის მიუხედავად, მკურნალობის კურსი არ დაამთავრა და აი, შედეგიც სავალალო მიიღო. განტვირთვის მიზნით გენოსთან მიდიოდა ხშირად. მეგობრები რამდენიმე საქმეს ერთად აწარმოებდნენ, რათა ლუკმა-პურის ფული ეშოვათ. ამის გამო ხშირად უწევდათ ხეტიალი ქალაქში ხან მანქანით და ხან უმანქანოდ.

ერთხელ დიდუბეში ყოფნისას საქმესთან დაკავშირებით ტელეფონზედარეკვა უნდოდათ, მაგრამ ახლო მდებარე სატელეფონო ავტომატები არ მუშაობდა, ამიტომ იქვე ხილბოსტნეულის მაღაზიაში გამყიდველს სოხოვეს დაგვარეკინეთო:

— ტელეფონის აპარატი გამგის კაბინეტშია და იქ მიბრძანდოთ. — თავაზიანად უპასუხა გამყიდველმა ქალბატონმა და ხელით კაბინეტისაკენ მიუთითა.

გენომ და ლევანმა შეაღეს გამგის კაბინეტი და ჰოი, საოცრებავ! სამუშაო მაგიდის მისადაგმელზე გაშლილ სუფრასთან ზის ზაურ გელაშვილი, ხელში უჭირავს არყით სავსე ჭიქა და ხმამაღლა რაღაცას უმტკიცებს მის პირდაპირ მჯდომ მისივე ასაკის მამაკაცს. კარის გაღებისთანავე ორივემ შემოსასვლელისაკენ გაიხედეს. გელაშვილს თვალები გაუფართოვდა, ფერი დაეკარგა და არყით სავსე ჭიქაც ხელში გაეყინა. განცვიფრებულმა დაბალ ხმაზე ერთი სიტყვა წაიღულლულა;

— რავა!?

არანაკლებ გაურკვევლობაში ჩავარდნენ გენო და ლევანი, რას წარმოიდგენდნენ, კაცს, რომლის ძებნაშიც ხუთი თვის განმავლობაში მთელი ქალაქი გადაატრიალეს, თვალწინ ხელავდნენ. ლევანმა თვალები დახუჭა და რამდენიმე წამის შემდეგ გაახილა, ეს რეალობა იყო, არავითარი მოჩვენება.

— ალექსანდროვიჩ! შენ ხარ თუ მეჩვენება? — ჰკითხა ლევანმა ზაურს. გელაშვილმა ჭიქა მაგიდაზე დადგა, მელოტ თავზე ხელი გადაისვა, ღრმად ამოისუნთქა და დამწუხრებულმა წარმოისთქვა:

— მაინც მომაგენით ზომ? ერთს ნუ დამამადლით და მითხარით, ვინ ჩამიშვა?

— ბებიაშვილმა აკვირინემ! — პირდაპირ მიახალა გენომ და თან სიცილი დაიწყო, — ტელეფონი გვჭირდებოდა და შემოვედით, თორემ ამ მაღაზიასთან მილიონჯერ ჩამივლია და არასდროს აქ შემოსვლა არ მიფიქრია.

გელაშვილს არ სჯეროდა გენოს ნათქვამის, მაგრამ ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მაღაზიის გამგე ჯიმ-შერმა, რომელიც ზაურის მაძიდაშვილად გაეცნო სტუმრებს, სუფრასთან მიიპატიქა გენო და ლევანი. მათ ზრდილობის გულისთვის თითო ჭიქა არაყი დალიეს, მერე ბოლიში მოუხადეს ჯიმშერს და გელაშვილთან საუბრის მიზეზით განმარტოება მოითხოვეს. მაღაზიის გამგე უსიტყვოდ დაემორჩილა თხოვნას და კაბინეტი დატოვა.

— გული როგორა გაქვს, ალექსანდროვიჩ? — შეეკითხა ლევანი.

— ახლა შენ ჩემი გულის საკითხავად არ მოხვიდოდი აქ, — გაეღიმა უკვე დაძაბულობისაგან ლოფებაწითლებულ გელაშვილს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა, რომ გენო და ლევანი მაღაზიაში შემთხვევით შემოვიდნენ, — ხანდახან მახსენებს ხოლმე თავს.

— ისე რამდენჯერ გიმკურნალე, ტო, შედეგიც სახეზეა, სვამ, ჭამ და კიდევ ახალ-ახალ რამეებსა სწავლობ.

— შენი დიდი მადლობელი ვარ, ლევან, რომ რამდენჯერმე გადამარჩინე, მაგრამ ახალი მე არაფერი მისწავლია.

— გისწავლია, გისწავლია, ალექსანდროვიჩ. — არ ეშვებოდა ლევანი.

— მაინც რა? — ნიშნის მოგებით ჰკითხა ზაურმა

— ძ-ს ჭამა კამოსავით.

გელაშვილმა თავი ჩაღუნა და თითქოს დაპატარავდა. ლევანი კი აგრძელებდა:

— მაინც რამდენის შეჭმა დაგჭირდა, რომ შენი სიცოცხლის მომნიჭებელი, ძალებისათვის საჯიჯგნად მიგეგდო.

— ვერ გაუძელი, ლევან, — განაგრძო ზაურმა, — სხვა გზა არ მქონდა.

— რატომ, ჭამაში გეცილებოდა ვინმე?

— გაჭირვება. გამიჭირდა ძალიან, ბავშვს ჭამა ხომ უნდოდა?

— მერე ჩემს მეტი სამიზნე ვერ ამოირჩიე?

— მე... მე... მე... მეგონა, — ენა დაება გელაშვილს, — რომ პროგურორები პოლიტიკოსებზე გავიდოდნენ.

— ზაურ, სულ როგორ უნდა იტყუებოდე, შენს განცხადებაში პოლიტიკოსებზე საერთოდ არაფერს წერდი, ისევ ჩვენზეა საჩივარი, ვინც შენ სიცოცხლე გაჩუქა.

გელაშვილმა როგორც კი გაიგო, რომ ბიჭებმა განცხადების შესახებ ყველაფერი იცოდნენ, უფრო დაპატარავდა და მთელი ორგანიზმით აკანკალდა.

— მანქანები სად წაიღე!? — ხმას აუწია ლევანმა.

— ერთი მე მომცეს, მეორე თვითონ წაიღეს.

— ვითომ რათაო?

— ამოღებული თანხებიდან ორმოცდაათი პროცენტი უნდა მიმეცა, ასეთი იყო წინასწარი შეთანხმება.

— ესე იგი, ჩვენ რომ ათი ათასი დოლარი მივიტანეთ, ხუთი ათასი შენ მოგცეს? — ჩაეძია გენო.

— არა! — თავი ასწია გელაშვილმა და გაოგნებულმა შეხედა გენოს, — მე მხოლოდ ორი ათასი მომცეს, ასე მითხრეს ოთხი მოიტანესო.

— გადაუგდიხარ, ალექსანდროვიჩ, — ჩაეცინა ლევანს, — ხომ ხედავ, ძალებს აღარ უნდა ენდო. ახლა ხომ დარწმუნდი, კამო რომ ხარ?

გელაშვილმა თავი ჩაღუნა. ლევანი ფეხზე წამოდგა, ჩვეულებისამებრ გაიარ-გამოიარა კაბინეტში, მერე თავჩალუნულ და დაჩიავებულ გელაშვილს შეხედა, მოუახლოვდა, ხელი დაადო და უთხრა:

— ზაურ, იცოდე, ღმერთი ამას არ გაპატიებს. ახლა ეს მითხარი, ჩემს პირად ვალს სამოცდათხუთმეტი ათას დოლარს როდის დამიბრუნებ?

გელაშვილმა თავი ასწია და დაბალ ხმაზე ჩაილულლულა;

— ხომ იცი, ლევან, რომ ვალს არ შევირჩენ და დაგიბრუნებ.

ტყუილს კიდევ შენთან არ ვიტყვი.

— მანქანას რა უქენი? — ჰკითხა ლევანმა.

— გავყიდე, ხომ გითხარი ფული მჭირდებოდა.

— და შენ მეუბნები, ტყუილს არ გეტყვიო, არა? შენი მანქანა აქვე მეორე ქუჩაზე გაქვს გაჩერებული. ეგრე არ არის, გენო?

— ლევანი გენოსაკენ მიბრუნდა და თან თვალი ჩაუკრა. გენოს გაეცინა და გელაშვილისაკენ ანიშნა. ლევანმა გაიხედა ზაურისაკენ და ის ისევ თაგრძინდობული და დაპატარავებული იჯდა სკამზე. ესე იგი ლევანის მიერ მოფიქრებული ეს ტყუილი მართალი გამოდგა, — ეპ! ალექსანდროვიჩ, შენ სული ბოლომდე მიგიყიდია ემმაკისათვის, უფალმა განსაჯოს შენი საქციელი.

ლევანმა გენოს ხელი მოჰკიდა, ჯიმშერს დაემშვიდობნენ და გამოვიდნენ მაღაზიიდან, იქვე მდებარე ჩიხში მართლა იდგა ასოციაცია „ლაშარის“ გუთვნილი ავტომანქანა, რომელიც გელაშვილს პროკურატურამ „გადაუგდო“.

გენოს ნერვები აეშალა. ლევანმა დააწყნარა.

— ადამიანი, რომელიც მატერიალური სიმდიდრის მოხვეჭისათვის მოყვასს გასწირავს, მას უფალი გამოუტანს განაჩენს. ჩვენი ჩარევა აქ უკვე საჭირო აღარ არის, ცოდვას ცოდვას ნუ მივუმატებთ.

— ისე ჩვენი აზრები როგორ ემთხვევა ხოლმე ერთმანეთს, — გაეცინა გენოს, — დარეკვა რომ დაგვავიწყდა.

— სამაგიეროდ კამოს მეტკვიდრე ხომ გაჩვენე.

— ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი წლის ბოლო თვე იწურებოდა. ხალხი გაფაციცებით ემზადებოდა ახალი წლის შესახვედრად. ბევრს ჯერ კიდევ დიდი იმედი ჰქონდა ახლად არჩეული პრეზიდენტის.

IX

ლევანი ახალ წელს სოფელში შეხვდა. ახალი წლის დამეს მარტო სოფელში იმდენი ტყვია გავარდა, რომ ერთ აფხაზეთის ომს მოიგებდა ჭკვიანი მხედაროთმთავარი. ყველა ოჯახში საახალწლო სუფრა იყო გაშლილი. ღმერთს დაშორებული სოფლელები იმდს ახალ წელს წარმოთქმულ სადღეგრძელოებზედა ამყარებდნენ.

ნერვიულობისაგან გათანგული და გაბუჟებული ლევან სართელი ვეღარ ზომავდა რამდენს სვამდა. სასმელი არ ათრობდა. ეს უფრო ნერვებს უშლიდა, მაღალ გრადუსიან სასმელებს ეტანებოდა. ორი დღე იწვალა ასე. მესამე დღეს ისე დათვრა, ორი დღე ვეღარ გამოფხიზლდა. თან თავის ტკივილი არ ასვენებდა არც მთვრალს და არც ფხიზელს. დადიოდა გამოშტერებული და მხოლოდ ნაძალადევი ღიმილით ინარჩუნებდა ნორმალური ადამიანის იერსახეს. ვეღარ იგებდა რა სჭირდა. მთელი ორგანიზმი ეწვოდა, თითქოს ვიღაცას ადუღებულ კუპრში ჩაუგდიაო.

ახალი წლის მეოთხე დღეს, დილით, ლევანს რაღაც ძალამ უბიძგა, რომ ღვთისმშობლის ეკლესიაში წასულიყო. სართელიც დაჟყვა ამ უხილავ ძალას და მარტო წავიდა სასაფლაოზე. ღვთისმშობლის ეკლესიას შორიდან შეხედა, პირჯვარი გადაიწერა, შიგნით რატომდაც არ შევიდა და იქვე თავისი მშობლების საფლავთან ჩამოჯდა. დაახლოებით ასე ათი წუთი იჯდა უაზროდ თავჩაქინდრული. უცებ ზურგიდან უცხო ხმა მოესმა, რომელიც თითქოს ზარივით ქუხდა:

— არ იკადრე ეკლესიაში შესვლა?

ლევანმა შემობრუნება სცადა, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ გააჩერა.

— არ შემობრუნდე! — გაისმა იგივე ხმა, — შენ არა ხარ ღირსი, რომ მე შემომხედო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეკლესიში შესვლას არ კადრულობ.

— მე მაინც ვერ მიშველის ეკლესია და რა აზრი აქვს. — თქვა ლევანმა და კვლავ სცადა შემობრუნება. არაფერი გამოუვიდა.

— ტაძარს თუ არ მიაკითხე, შენ არაფერი გეშველება. შენ არ იცი რა გჭირს.

— რა მჭირს?

— რა და ჯადო გაქვს გაკეთებული.

— რაა? ჯადო? ჰა! ჰა! ახა! — ახარხარდა ლევანი, — ნუ მელა-პარაკები ამ სისულელეს.

— შენ სისულელე გგონია, მაგრამ არა ხარ სწორი, მის-მინე, რასაც გეტყვი, მერე გამიხსენებ. ორნახევარი წლის წინ, როდესაც შენი სახლი გატეხეს და ბევრი რამ მოიპარეს, ეს შემთხვევითობა არ გეგონოს, ის წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილი ოპერაცია იყო. ეს ამბავი ერთი მოლასაგან დაიწყო, რომელიც ამ სოფლიდან არც თუ ისე შორს ცხოვრობს. ჯადოს შემკვეთი კი ქართველია, არც ისე შორეული შენთვის, შავი გუ-ლის მქონე ადამიანი. მძარცველებს სწორედ მის მიერ ჰქონდათ დავალებული ჯადოგაკეთებული ქონის წასმა შენი სახლის ოთახების კედლებზე.

— ვინ არის ის ჩემი „არც ისე შორეული“, რომელმაც ეგ შენი ჯადო თუ რაღაც გააკეთა? — შეაწყვეტინა სიტყვა ლევანმა უც-ნობს, რომელიც მისთვის უხილავიც იყო, ვინაიდან ვერ ხედავდა.

— მაგის თქმის უფლება მე არ მაქვს, რადგან ეს განსაცდელი უფლისაგან არის დაშვებული.

— მერე რა შევცოდე მე უფალს, რომ ასეთი განსაცდელი მომივ-ლინა. მე ისეთი არაფერი დამიშავებია. — ხმას აუწია ლევანმა.

— შენ ასე გგონია, მაგრამ ადამიანები დღის განმავლობაში იმდენ ცოდვას სჩადიან, რომ ხშირ შემთხვევაში თვითონაც ვერ ხვდებიან.

— მე რა დავაშავე ის მითხარი, სხვა არ მაინტერესებს. — არ იშლიდა თავისას ლევანი.

— ბიბლიაში წერია „ვინც უყვარს უფალს, მასგე ზრდის, ხოლო შოლტით სცემს ყველას, ვისაც ძედ იღებს“.

— და ამიტომ უნდა გამაუბედუროს?

— სანამ უფალთან არ მიხვალ ახლოს, სულ ასე იქნები და უარესსაც მოგივლენს.

— არა მჯერა მაგ ზღაპრების. ერთი ვიცი, რომ უფალი არ გამწირავს, რადგან მისი გაჩენილი ვარ მეც და სხვებიც. ღმერთი ერთია ყველა ადამიანისთვის, ვინც კი დედამიწაზე ცხოვრობს, უბრალოდ აღმსარებლობა სხვადასხვა.

— აი, აქ უშვებ შენ კიდევ ერთ შეცდომას.

— რა შეცდომას? — ნიშნის მოგებით ჰკითხა ლევანმა.

— აღმსარებლობა ერთია მხოლოდ ჭეშმარიტი, მართლმა-დიდებლობა, მამა, ძე და სული წმინდა.

— დანარჩენი ვის ემსახურება?

— ანტიქრისტეს. მაგრამ იცოდე ანტიქრისტე ვერ გაბატონდება დედამიწის მხოლოდ სამ წერტილში: საქართველოში, ერთა-დერთ ქვეყანაში, რომელიც მარიამ ღვთისმშობლის წილზედრია და სადაც ქრისტეს კვართია დაფლული, კიევ-პეტრის მონასტერში და ოპტინის უდაბნოს მონასტერში, რომელშიც მოღვაწეობდა რუსეთის უდიდესი წმინდანი სერაფიმე საროველი.

ლევანი ხმას აღარ იღებდა, რაღაც უცხო გარემოცვაში გრძნობდა თავს. უხილავი და უცნობი ხმა კი განაგრძობდა:

— ლევან! გახდი ეკლესიური, თუ გინდა, რომ დაცული იყო ბოროტისაგან.

— არ ვიცი. — ამოილუღლუღა სართელმა, — არა მჯერა ჯა-დოების და ასეთი რაღაცების.

— მე ჩემი სათქმელი ვთქვი. იცოდე, ეშმაკი მხარზე გაზის და ცუდი გზით წაგიყვანს.

— დამენახვე ვინა ხარ!? — მოთმინებას კარგავდა ლევანი.

— ჭეშმარიტება, სართელო, რომელსაც შენ ჯერ ვერ გაიგებ და როდესაც მხად იქნები მის შესაცნობად, მაშინ მიხილავ. მხოლოდ მაშინ როგორი მოხვალ ჩემთან, ამის თქმის უფლება მე არა მაქვს.

ლევანმა უცებ შვება იგრძნო და მაშინვე შებრუნდა იქით, საიდანაც ხმა მოდიოდა, მაგრამ ვერავინ დაინახა. აქეთ ეცა, იქით, მაგრამ ირგვლივ სამარისებული სიჩუმე ჩამომდგარიყო. ეპლესისაკენ გაუშტრიდა ლევანს თვალი. ღვთისმშობლის პატარა ეკლესია მის თვალში გაზრდილიყო, თითქოს ცისკენ მიიწევდა. სართელი გრძნობდა, რომ პატარავდებოდა, შეეშინდა, ძალ-ღონე მოიკრიბა და სასაფლაოს გასასვლელისაკენ გაიქცა. გზაში სამჯერ წაიქცა, მაგრამ უკან აღარ მობრუნებულა. გზაზე გამოსულმა შვებით ამოისუნთქა, ამ დროს საიდანლაც ჩუმი ხითხითი შემოესმა და თავის ტკივილი გაუძლიერდა. სახლამდე ძლიგს მიაღწია. სახლში მისული ადგილს ვერ პოულობდა, რაღაც ცუდი წინათვრძნობა ჰქონდა. მეორე სართულიდან მოქეიფეთა ხარხარი ისმოდა. ლევანი ავიდა მეორე სართულზე, შეუერთდა მოქეიფებს და ბახუსის სამყაროში ჩაიძირა.

X

ლევან სართელი თბილისში იანვრის შუა რიცხვებში ჩავიდა. დაუკავშირდა თავის პარტნიორებს, ქალაქური ამბები იკითხა. ერთი და იგივე პასუხები იყო: სიბნელე, პურის რიგები, ყაჩაღობა და ქაოსი. სეფეროთელაძეები არ ჩანდნენ, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, მათ შესახებ არაფერი ისმოდა. ბანკი „შვიდეულის“ გარშემო ატეხილი აუიოტაჟი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ძალოვან სტრუქტურებში საჩივარი საჩივარზე შედიოდა. ბანკი შემმოწმებლების ვიზიტებს ვერ აუდიოდა. ზუმბი სამსახურში იშვიათად ჩნდებოდა. იცოდა, რომ დასდევდნენ.

გენო და ლევანი რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. ბევრი ისაუბრეს, მძველეს თუ რა გზას დასდგომოდნენ, რომ რაღაც საქმე დაეწყოთ, მაგრამ რა საქმესაც დაიწყებდნენ, ყველაფერი უგულმა ტრიალდებოდა. არაფერი არ აეწყო, ლევანს თავის ტკივილები უძლიერდებოდა, ისე იტანჯებოდა, რომ ზოგჯერ

თვითმეგლელობაზეც კი ფიქრობდა. ექიმთან მიიყვანეს, სისხლძარღვთა შევიწროვება დაუდგინეს. სასწრაფოდ სამკურნალო იყო, მაგრამ მკურნალობის ფულის უქონლობის გამო, საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა მომავლისათვის გადადო.

თებერვლის დასაწყისში ბანკი „შვიდეულის“ გარშემო დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ზუმბო დაიჭირეს. მუდამ ფრთხილი ზუმბო წინასწარ გრძნობდა, რომ მის გარშემო რაღაც ხდებოდა, ამის გამო იარაღსაც აღარ ატარებდა, მაგრამ ორგანოს მუშაკებს არ გასჭირვებიათ დაკავების მიზეზის მოძებნა. გააჩერეს მანქანით მიმავალი ზუმბო, ოსტატურად ჩაუგდეს იარაღი მანქანაში და ამის გამო მიაბრძანეს პოლიციაში, სადაც მისი მისამართით მოქმედების სცენარი უკვე დაწერილი იყო, ხოლო კომუნისტების უბეში გამოზრდილ ორგანოს მუშაკებს ამის შესრულება არ ეშლებოდათ. წინასწარი დაკითხვების შემდეგ, გაამწესეს ცნობილ №5 იზოლატორში, რომელიც ორთაჭალაში მდებარეობს. ორთაჭალის ეს ტერიტორია საქართველოს საპატიმროთა სისტემის ცენტრს წარმოადგენს. წინასწარი გამოძიების იზოლატორთან ერთად აქ განლაგებულია სასჯელადსრულების დეპარტამენტი, მსჯავრდებულთა და პატიმართარესპუბლიკური სამკურნალო დაწესებულება, რომელიც ხალხში „რესაბალნიცის“ სახელწოდებით არის ცნობილი და №1 საკურობილე, რომლის ზედმეტი სახელია „კრიტი“.

ეს ტერიტორია წარსულში წარმოადგენდა თბილისის გარეუბანს, დაფარული იყო ტყეებით, ხოლო ტყისგან გამოთავისუფლებულ მინდვრებზე მოსახლეობას მოჰყავდა სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. ათას ცხრაასიან წლებში ამ ტერიტორიის ნაწილი, ანუ დღევანდელი ციხეების ტერიტორია შეუსყიდია ბაქოელ კაპიტალისტს მანთაშოვს, სადაც აუშენებია საქსოვი ფაბრიკა, სასაწყობო მეურნეობები და უჩუქებია თავისი სიძისათვის, ვინმე მირზოევისათვის. აღნიშნული ტერიტორიიდან ხუთასი მეტრის დაშორებით, შავნაბადას მთის ძირში, მირზოევს ძველი ქართული აუშენებია

ძალიან ლამაზი საცხოვრებელი სახლი (ახლანდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოსპიტლის ტერიტორია) და მოწყობილი ჰქონია იმ დროის მოთხოვნილების შესაბამისად, გაუშენებია ულამაზესი ბაღები, მოუწყვია აუზები, საჯინიბოებია. შევნაბადას მთიდან, დაახლოებით კილომეტრნახევარი სიმაღლიდან, თიხის მიღებით ჩამოუყვანია სასმელი წყალი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ბოლშევიკებმა, სხვა ბევრ სიმდიდრესთან ერთად, ეს ადგილებიც გადათელეს და მას სადამსჯელო ოპერაციებისთვისაც იყენებდნენ. მიმდინარეობდა ათასობით ადამიანის დახვრეტა და საერთო საფლავებში ჩაყრა, ვინაიდან ეს ადგილი ადამიანთა სისხლით გაიუღინთა და ცოდვილ ადგილად იქცა, ბოლშევიკებმა იცოდნენ, რომ არავინ გაუკარებოდა და ამიტომ გადაწყვეტეს მირზოვის საქსოვი ფაბრიკა და საწყობები გადაეკეთებინათ ციხის ტიპის შენობებად, მისი შემდგომი ფუნქციონირებისათვის და 1927 წელს მაშინდელი მთავრობის მითითებით, მსჯავრდებულთა კონტიგენტი და მთლიანად ციხის ადმინისტრაცია მეტეხის კომპლექსიდან გადმოყვანილი იქნა ორთაჭალაში, დღევანდელი ეგრეთწოდებული „ქრიტის“ და „იზოლატორის“ ტერიტორიაზე. მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში იქვე მახლობლად სამთავრობო რეზიდენციაც აშენდა და ასე დგას ეს ცოდვის შენობები ცოდვიან მიწაზე, ხოლო მათი საძირკველი უდანაშაულოდ დახვრეტილი ადამიანების ძვლებია. ამ ცოდვის შენობების ერთ ნაწილში ქურდული კანონებია გაბატონებული, ხოლო მეორეში – საქართველოს ძარცვისა და განადგურების გადაწყვეტილებებს იღებენ.

ზუმბოს იზოლატორში შესვლის შესახებ ქურდულ სამყაროს ინფორმაცია, ეგრეთწოდებული „ქსივა“, უკვე მიღებული ჰქონდა და სულმოუთქმელად ელოდა ამ „მსუყელუკმას“, მაგრამ ციხის ადმინისტრაციამ ზუმბო თავისთვის დაიტოვა და დასამუშავებლად ცალკე კამერაში ჩაკეტა. რა თქმა უნდა, ზუმბო უპატრონო არ იყო და მის გასათავისუფლებლად გარედან მუშაობდნენ, თუმ-

ცა ამდენი ბრალდებების მოხსნას საკმაოდ დიდი ფული სჭირდებოდა, რომლის მოგროვება მოკლე დროის მონაკვეთში თითქმის შეუძლებელი იყო. ამის გამო ციხის „დამსჯელმა ექსპედიციამ“ დაიწყო მისი დამუშავება. ზუმბო ვაჟაპურად უძლებდა წამებას. ორგანოს მუშაკებს მათი ბიზნესი იმდენად არ აინტერესებდა, როგორც „შვიდეულის“ მიერ ჩადენილი ყაჩაღობები და მკვლელობები, მაგრამ ჯერჯერობით შედეგს ვერ აღწევდნენ.

— კარცერში ჩააგდეთ და რამდენიმე დღეში „ჭკუაზე მოვა“ — უკანასხეს მეციხოვნებს „ზევიდან“.

— ვერ გაუძლებს. — იყო პასუხი “ქვევიდან”

— ჯანდაბამდის გზა პქონია, თუ ვერ გაუძლებს! თქვენ გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებიან.

— ზუმბო კარცერში შეაგდეს. კარცერის სიგრძე ასე მეტრანასევარი იქნებოდა, სიგანე ერთი მეტრი. კუთხეში იატაკი ამოეჭრათ და შიგ წნევით ჩადიოდა წყალი, კედლის გასწვრივ ფიცარი იყო მიჭყდებული, რომელიც ერთდროულად სკამის მოვალეობასაც ასრულებდა და საწოლისასაც. მაგრამ ზუმბოს, თავისი სიმაღლის გამო ზედ დაწოლა გაუჭირდებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, კარცერში წყლის ჭავლი ოცდაოთხი საათი არ ჩერდებოდა და ასევე არ ქრებოდა ცხვირწინ ჩამოკიდებული ნათურა. ეს ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი ადამიანის გონებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის. ზუმბომ ორი დღის შემდეგ იგრძნო, რომ მალე სიგიურმდე მივიდოდა და ზედამხედველის მეშვეობით ახლობლებს შეუთვალა, რომ თუ კარცერიდან ვერ გამოიყვანდნენ, რაც შეიძლება მეტი გაზეთები შეეგზავნათ მისთვის, რათა გონება ხმაურიდან კითხვაზე გადაეტანა. კარცერიდან გამოიყვანაზე უარი უთხრეს, მაგრამ საკმაოდ დიდი ფულის საფასურად გაზეთების მიწოდების ნება დართეს, მხოლოდ იმ გაზეთებს უგზავნიდნენ, სადაც მის შესახებ სტატიები არ იყო გამოქვეყნებული, რადგან იმდენი ტყუილ-მართალი ეწერა, რომ შეიძლება ზუმბო მათი წაკითხვის შემდეგ

მართლა შეშლილიყო ჭკუიდან. ზუმბოს კი გაზეთები ხმაურისა-გან თავდაცვის მიზნით უნდოდა, ვიდრე წასაკითხად. მართლაც გაზეთის წაკითხვას იწყებდა სათაურიდან და ამთავრებდა გაზეთის ბოლოში მითითებული რედაქციის შემადგენლობით და მისამართით. თუ ახალი პრესის მოწოდება გვიანდებოდა, ხშირად ერთი და იგივე გაზეთს რამდენჯერმე კითხულობდა. ასე რომ, ნელ-ნელა ჭკუიდან გადადიოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ დღეში ოჯჯერ ან სამჯერ დაკითხვაზე გაჰყავდათ და კარ-გად ნაცემ-ნაბეგვს აბრუნებდნენ კარცერში.

მიუხედავად ასეთი არაადამიანური მდგომარეობისა შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის მუშაკებმა ზუმბოს-გან საჭირო ინფორმაცია ვერ მიიღეს.

„ზევიდან“ წამების გაორმავების განკარგულება გასცეს. პა-სუხი ასეთი იყო:

- შემოგვაკვდება და საერთოდ ვერაფერს ვერ გავიგებთ.
- პასუხისმგებლები ყველაფერზე თქვენ იქნებით! — მოკლედ უპასუხეს „ზევიდან“.

ზუმბოს ახლობლებმა ბევრი ჩალიჩის შემდეგ მოახერხეს და პატიმარი მსჯავრდებულთა და პატიმართა რესპუბლიკურ საა-ვადმყოფოში, ეგრეთწოდებულ „რესბალნიცაზე“ გადაიყვანეს.

ამ დაწესებულებაში მხოლოდ პატრონიანი პატიმრები ხვდებოდნენ, ვინაიდან ამ „ფუფუნებას“ საკმაოდ დიდი თანხა სჭირდებოდა.

ცოცხალ-მკვდარი ზუმბო ერთოვიანი წამების შემდეგ საა-ვადმყოფოს პალატაში გონდაკარგული იწვა საწოლზე და მდგო-მარეობიდან ვერ გამოჰყავდათ.

XI

გაოგნებული ლევან სართელი იჯდა საქუთარი სახლის ლოჯიაში, მიშტერებოდა ტელევიზორს, მაგრამ მისი გონება სხვაგან იყო გადართული. მის გარშემო ეს ჯადოსნური წრე ნელნელა ვიწროვდებოდა და თან მოჰქონდა სისხლი და სიკვდილი. საქმეზე სიარული ეზარებოდა, ყოველთვის დიდ ბიზნესთან შეჭიდებულ სართელს პატარ-პატარა საქმეების კეთება ნერვებს უშლიდა, ვერ აქმაყოფილებდა და ეს უფრო უარყოფითად მოქმედებდა ისედაც მის დაძაბულ გონებაზე. ლევანს ოთხმოციანი წლები გაახსენდა, როდესაც თავისი სამსახურის სისტემის ორგანიზაციებში პირველმა გააფორმა ხელშეკრულება საქონლის ბარტერულ გაცვლაზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მართალია ხელშეკრულების საერთო თანხა მაინცდამაიც დიდი არ იყო, შეადგენდა ერთ მილიონ სამასი ათას დოლარს, მაგრამ ამ ხელშეკრულებით დასაბამი მიეცა ცეკავშირის პირდაპირ კავშირებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

შტატების მხარეს წარმოადგენდა საქართველოს ყოფილი მოქალაქე, თბილისელი, სოლოლაკში დაბადებული და გაზრდილი ებრაელი სიმონ მოშიაშვილი, რომელიც საქართველოში საიმონ მოშელის სახელითა და გვარით დაბრუნდა. სიმონი იმ ებრაელთა რიცხვში იყო, ვინც საქართველოდან, ანუ საბჭოთა კავშირიდან გასვლა მოახერხა სამოცდაათიანი წლების დასაწყისში. ბრესტის საბაჟო-გამშვებ პუნქტში სიმონი განსაკუთრებით გაჩრიაკეს, რადგან მისმა გადამეტებულმა თავაზიანობამ რუს მებაჟეებში უჭვი გამოიწვია. ჯერ სულ გააშიშვლეს და სპეციალურ შემოწმებაზე გაატარეს, შემდეგ ჩემოდანი და ფეხსაცმელები ჩამოართვეს, უნდა გავსინჯოთო. მატარებლის გასვლამდე ჩემოდანი მიუბრუნეს, ხოლო ფეხსაცმელები არა. როგორც კი საზღვარზე გადავიდნენ, სიმონმა ჩემოდანი გახსნა და გაოცდა, ქვებით იყო სავსე. ასე რომ, მოშიაშვილი ვენაში ფეხშიშველი და გაძარცვული ჩავიდა. რომ არა იქაური ებრაელ-

ების დახმარება, სიმონი ისრაელამდე ვერ ჩააღწევდა. ებრაელთა ქვეყანაში მაშინვე გაჭრობას მოკიდა ხელი და ერთ წელიწადში უკვე წვენების ქარხანა შეისყიდა, რომელმაც მთელ ქალაქში მონოპოლია მოიპოვა, ვინაიდან გამოშვებული სხვადასხვა სახის წვენები იყო გაცილებით იაფი, მისი კონკურენტების ანალოგიურ პროდუქციასთან შედარებით, რასაც სიმონმა საბჭოთაში ნასწავლი აფიორებით მიაღწია. შაქრის მაგივრად წვენებში სახარის ურევდა. ისრაელის საზოგადოება ასეთ რამეს ვერ წარმოიდგენდა და სიმონიც სამი წლის განმავლობაში მთელი დატვირთვით მუშაობდა. ბოლოს გაუგეს, მაგრამ სიმონი, ანუ სამონ მოშელი უკვე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე გახდდათ და ნიუ-იორკში, მეტუთე ავენიუზე საკუთარი ოფისი და მაღაზიები ჰქონდა გახსნილი.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალამ შეძლებული, მდიდარი ადამიანი გახლდათ, სამშობლოზე მონატრებული, განმარტოებისას თბილისზე და მშობლიურ სოლოლაკის ნახვაზე ოცნებობდა. და აა, საზღვრების გახსნამ მას საშუალება მისცა ჩამოსულიყო თბილისში. ერთი კვირის განმავლობაში უბნიდან არ გამოდიოდა. ყველას ეფერებოდა, გარდაცვლილების საფლავები მოინახულა, გაჭირებულებს დაეხმარა. შემდეგ საქმეზე გადავიდა და ლევან სართელიც მაშინ გაიცნო. მიუხედავად ხელშეკრულების მარტივი სქემისა, მისი გაფორმება მოლაპარაკებიდან ერთი კვირის თავზე შედგა. ლევანს სამონის განრიგებით სტამბოლში უნდა გადაეტვირთა ბიაზი, ხოლო სამონს სანაცვლოდ პარიზიდან უნდა მოეწოდებინა პარფიუმერია.

— ბატონო ლევან, თუ ამ ოპერაციას თქვენმა ორგანიზაციამ წარმატებით გაართვა თავი, მე უფრო დიდ საკონტრაქტო პირობებს შემოგთავაზებთ. — თქვა მოშელმა და თავისი ხელმოწერა ხელშეკრულებაზე ბეჭდით დაადასტურა.

— შევეცდებით, მისტერ საიმონ, რომ არ შევრცხვეთ, — უპასუხა ლევანმა და ხელი მაგრად ჩამოართვა თავის ამერიკელ პარტნიორს, — ჩვენ ამ საქმეში პიონერები ვართ და ვფიქრობთ, რომ გამოცდილების გაზიარებაზე უარს არ გვეტყვით.

იმ დამეს სასტუმრო „ივერიის“ მეთექვსმეტე სართულზე, საიმონ მოშელის საპატივცემულოდ გამართული ბანკეტი სულ „მრავალეამიერისა“ და „ჰავანა გილას“ ჰანგებზე ჩატარდა.

მეორე დღეს მოშელი გააცილეს აეროპორტიდან მოსკოვში, საიდანაც იგი ნიუ-იორკში უნდა გადაფრენილიყო, ხოლო ლევანმა ტაშკენტისაკენ აიღო გეზი და ვოვა საბაურთან ერთად თურქეთში გასაგზავნი ბიაზი თვითონ შეარჩია. შემდეგ დატვირთეს ვაგონებში და ნოვოროსიისკის გავლით სტამბოლში გააგზავნეს. ოპერაციის დახვეწილად ჩატარების მიზნით, ლევანი თვითონ გაემგზავრა სტამბოლს და გაგზავნილი საქონელი თვითონ ჩააბარა მიმღებს. მაშინვე დაურეკა მოშელს, რომელმაც ლევანს ორ დღეში შეხვედრა პარიზში დაუნიშნა, რათა საქართველოში გამოსაგზავნი პარფიუმერიის ასორტიმენტი თვითონ შეერჩიათ.

ლევანი სტამბოლიდან პარიზში გაფრინდა. ნოემბრის მზიანი დღეები იდგა. სართელი პირველი კლასის სალონში იჯდა და ილუმინატორიდან იცქირებოდა. იგი მიფრინავდა თავისი ოცნების ქალაქში. საბჭოთა კარჩაკეტილობამ რამდენ რამეს მოსწყვიტა მისი თაობის ადამიანები. მაინც რა იყო ხალხის ასეთ სიბრძეები ჩამწყვდება. მართლაც დიდი საკოცენტრაციო ბანაკი იყო საბჭოთა კავშირი. აგერ უკვე ერთი წელია გაიხსნა საზღვრები და მაინც როთული იყო საბჭოთა კავშირიდან სხვა ქვეყნებში წასვლა. ლევანს მივლინება უადვილებდა ასეთ მოძრაობას, თან საიმონ მოშელი ოპერატიულად აკეთებდა ვიზებს. ახლაც ის ელოდებოდა პარიზის აეროპორტში. თან ენის ბარიერი ბევრ რამეში შეუშლილა ხელს. სოფლის სკოლებში ფრანგულ ენას კი ასწავლიდნენ, მასწავლებლებიც შესანიშნავი ჰყავდათ, მაგრამ თვითონ ლევანი არ სწავლობდა ამ ენას და მასწავლებელს და სკოლას რა უნდა ექნა. შხოლოდ „ბონურ“ და „ორევუარ“ იცოდა. ეს უშველიდა საქმეს? იმ კახელისა არ იყოს, მვიდ ენაზე რომ დაელაპარაკა უცხოელი და ვერაფერი გააგებინა. ცოლმა უთხრა:

— შე მიწადასაყრელო, ერთი ენა მაინც გესწავლა, ინდე გამოგადგებოდა.

— მაგაი გამაადგა, რო? — უპასუხა შვილი ენის მოსმენისაგან დაღლილმა მიხომ.

ლევანს გაეცინა. თვითონაც ხომ კახელი იყო. მაგრამ მას თავი ქუდში ჰქონდა. აეროპორტში საიმონი ელოდებოდა.

თვითმფრინავი რომ მოექცა პარიზის თავზე, აქ უკვე ლევანს ყველაფერი დაავიწყდა, იმდენად ჩაეფლო ამ სილამაზის ცქერაში. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ყველაფრის ერთად დანახვა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. თვითმფრინავი დაეშვა აეროპორტში და ნახევარ საათში უკვე ლევანი და საიმონი აეროპორტის გასასვლელიდან გამოვიდნენ, ჩასხდნენ მანქანაში და ქალაქისკენ წავიდნენ.

— ბატონო ლევან, ხომ ნორმალურად იმგზავრეთ? — ჰკითხა საიმონმა ლევანს.

— შესანიშნავად.

— ახლა ვისადილოთ, მერე ცოტა დავისვენოთ სასტუმროში და შემდეგ დამის პარიზს დაგათვალიერებინებთ, თქვენ, რამდენადაც ვიცი, პირველად ხართ ამ ქალაქში.

— კი. ქალაქის დათვალიერება ნამდვილად მინდა, მაგრამ სადილი არა. პირველი კლასით ვიფრინე და ნაირ-ნაირი საჭმელები მოჰქონდათ. ასეთი შეგრძნება მაქვს, რომ ხვალამდე არ მომშივა.

— საიმონს გაეღიმა, ლევანს მხარზე ხელი მსუბუქად დაარტყა და უთხრა:

— როგორც გენებოს. მაშინ პირდაპირ სასტუმროში წავიდეთ.

მოშელმა ტაქსის მძღოლს ფრანგულად რაღაც გადაულაპარაკარაკა. როგორც შემდეგ გაირკვა, სასტუმროს მისამართი უთქვამს. საიმონმა შვილი ენა იცოდა: ივრითი, ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ესპანური.

ტაქსი ვოლტერის ქუჩაზე ოთხსართულიან ლამაზ შენობასთან გაჩერდა. ეს იყო ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო, რომლის ყველა ადგილი სისუფთავისაგან ბზინავდა. საიმონს ლევანისთვის ცალკე ნომერი დაექირავებინა. ნომერში შესვ-

ლისთანავე სართელმა ისეთი სიმყუდროვე იგრძნო, რომ მაშინვე დასვენება მოუნდა. ნომერი უფრო მეცხრამეტე საუკუნის სტილში იყო მოწყობილი. სართელმა და მოშელმა შეხვედრა საღამოს რვა საათისათვის დანიშნეს სასტუმროს ვესტიბიულში. ვინაიდან ბიჭებსმენისთვის დროის ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, ლევანს პატარა მაღვიძარა მივლინებაში ყოველთვის დაპქონდა. ახლაც მომართა, ისრები გადაიყვანა საფრანგეთის დროზე, შემდეგ ჩაეშვა ბუმბულიან ლოგინში და დაღლილს უცად ჩაეძინა.

საღამოს რვა საათზე სართელი სასტუმროს ვესტიბიულში ჩავიდა. საიმონი რესტორნის კართან იდგა და ლევანს ანიშნა მისულიყო მასთან.

— ვივახშმოთ, ლევან, და მერე წავიდეთ.

— როგორ გაწუხებთ, ბატონო საიმონ.

— ეგ მეორედ აღარ მითხრა. მე და შენ, მაპატიე, რომ შენობით მოგმართავ, მაგრამ ჩვენ უკვე პარტნიორები ვართ და ამის უფლება გვაქვს.

— სწორი ხარ, ჯობია თქვენობით საუბრის უხერხულობა მოვხსნათ. ისე, თქვენი და ჩვენი წინაპრები უფალს შენობით მიმართავნ და ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრა.

— ეგ, ჩემო ლევან, რუსიფიკაციის შედეგია, მაგრამ ამაზე საუბარი აღარ გვინდა. რას მიირთმევ? — ჰკითხა მოშელმა სართელს და მენიუ გაუწოდა.

ლევანმა მენიუ გადამალა, ისევ დახურა, საიმონს გაუწოდა და თან ღიმილით უთხრა:

— ისე გადავშალე, თითქოს ფრანგული წერა-კითხვა სხაპასხუპით ვიცი. ლამარა აბულაძე სულ ამას ჩამჩიჩინებდა, მაგრამ „არა შეჯდა მწყერი ხესაო“ ხომ გაგიგია.

— ლამარა აბულაძე ვინ არის?

— ჩემი ფრანგულის მასწავლებელი.

— მასწავლებელმა რა ქნას თუ შენ სწავლა არ გინდა, — გაეცინა საიმონს, — ამათ კარგად იციან ბაყაყის ბარკლების მომზადება, შენ ხომ არ გეზიზლება.

— არა. პირიქით, მოსკოვში ვჭამე პირველად. ხოლო შეუაზიაში უდაბნოში ბაყაყებით გაციებულ კუმისს ვსვამდი ხოლმე, — თქვა ლევანმა. ისიც უნდოდა ეთქვა, ბავშვობაში იორზე ბიჭები ბაყაყებს როგორ ატყავებდნენ და მერე ისევ წყალში უშვებდნენ, მაგრამ ამ მოგონებებისაგან თავი შეიკავა, — ასე რომ, ნაზი მჭამელი არ გახლავართ, ბატონო ჩემო.

— აბა, მაშინ შევუკვეთოთ და თან ზედ თითო ჭიქა სიდრიც დაგაყოლოთ.

პარტნიორებმა ივახშმეს, გამოვიდნენ სასტუმროდან, იქ-ირავეს ტაქსი და გეზი ტრიუმფალური თაღისკენ აიღეს.

— ეიფელის კოშკის ცნობა არ გაგიჭირდება. ეს ნაგებობა ისეა მორგებული პარიზზე, რომ თითქმის ყველა მაცხოვრებლის ფანჯრიდან ჩანს. დღისით ეს არმატურის გროვა, ღამე საქორწილოდ მორთული პატარძალივით გამოიყერება.. — დაიწყო საიმონმა და ეიფელის კოშკის ისტორია თავიდან ბოლომდე მოუყვა ლევანს.

ლევანმა ეს ისტორია წიგნებიდან იცოდა, მაგრამ მოშელი ისე ემოციურად ჰყვებოდა, რომ სართელს მოეჩვენა, თითქოს პირველად ისმენდა ამ ამბავს. ამასობაში მიუახლოვდნენ ტრიუმფალურ თაღს, რომელიც ასევე გაბრწყინებული იყო განათებით და მის გაგრძელებაზე მოჩანდა გაბრდღვიალებული შანზელიზე, პარიზის მშვენება თავისი განუმეორებელი სილამაზით და ელიტარული მაღაზიებით, სადაც შესვლას და რაიმე ნივთის შეძენას მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ქალი ნატრობდა. შანზე-ლიზეს გავლის შემდეგ, გამოჩნდა ელისეს მინდვრები, თავისი განსაკუთრებული სიმწვანის მქონე ბალახით, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთ ქალაქში არ არის.

ლევანს ყოველთვის აინტერესებდა, რატომ უწოდებდნენ თბილის „პატარა პარიზი“. ახლაც სულ ამის ძიებაში იყო და მიაგნო კიდეც. ვიწრო ქვაფენილით მოკირწყლული ქუჩები, სამსართულიანი, ოთხასართულიანი სახლებით ნამდვილად წააგავდა თბილისის ქუჩებს და უფრო გიზიდავდა თავისკენ, რადგან მასში რაღაც მშობლიურს ხედავდა.

მეორე დღეს, პარფიუმერიის მწარმოებელმა ფირმამ შეხვედრა ორ საათზე დანიშნა. საიმონმა ისარგებლა მომენტით და ლევანს გემით სენაზე გასეირნება შესთავაზა.

— მდინარიდან პარიზი უფრო სხვანაირი ჩანს.

მართლაც ასე იყო. გემიდან ლევანმა ქალაქი სხვა კუთხით დაინახა. განსაკუთრებით მოეწონა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც რაღაც განსაკუთრებული სილამაზით არის შემოჭრილი სენაში. ყველაფერი მოეწონა სართელს, გარდა ერთისა, გიდი, რომელიც ტურისტებს აცნობდა პარიზის ღირსშესანიშნაობებს, თითქმის ყველა ენაზე ლაპარაკობდა, გარდა რუსულისა. ქართულზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ თავს იმ კახელის სიტყვებით იმშვიდებდა: „მაგან გამაადგა რო?“.

არ მოეწონა კიდევ ერთი რამ. ქალაქში მოსიარულე ადამიანებიდან სამოცდაათი პროცენტი შავი იყო. ზანგების რაოდენობა არა მარტო პარიზში, არამედ საფრანგეთში კატასტროფულად იზრდება.

დანიშნულ დროს საიმონი და ლევანი პარფიუმერიის მომწოდებელ ფირმაში გამოცხადდნენ. ლევანმა, როგორც კი ფეხი გადადგა ფირმის კარების ზღურბლზე, მაშინვე სამუშაო ფორმაში ჩადგა. ფირმაში ყველაფერი თითქმის ისეთივე იყო, როგორც საბჭოთა კავშირის სავაჭრო ორგანიზაციებში, მაგრამ განსხვავება მაინც იგრძნობოდა. პირველი, რაც თვალში მოგხვდებოდა, ეს სისუფთავე იყო, მეორე — კომპიუტერული სისტემა აქ დიდი ხნის წინ დაინერგა და ყველანაირი ანგარიში მასზე ხდებოდა, ხოლო ჩვენთან ჯერ კიდევ ხმარებიდან არ იყო ამოღებული ხის საანგარიშო, ანუ ეგრეთწოდებული „ჩოტკი“ და კიდევ სხვა მრავალი წვრილმანი.

ლევანმა და საიმონმა შეარჩიეს საქართველოში გასაგზავნი პარფიუმერიის სახეობები, გააფორმეს შესაბამისი დოკუმენტაცია და წავიდნენ სასტუმროში, რათა საქართველოში გადაეცათ ინფორმაცია. გაფორმებული ხელშეკრულების ბრწყინვალედ შესრულების გამო, ლევანმა მიიღო დავალება, რომ საიმონ მო-

შელთან გაეგრძელებინა პარტნიორობა და შეკერილი ნაწარმის ბარტერულ გაცვლაზე გაეფორმებინა ხელშეკრულება, მაგრამ ამ ოპერაციების დასაწყებად მოშელი პარტნიორის მივლინებას ითხოვდა ან ნიუ-იორქში, ან კიდევ ტაივანში. ბოლოს ნიუ-იორკში წასვლა გადაწყდა. სართელისათვის მივლინების ასეთი გაგრძელება მოულოდნელი აღმოჩნდა, ამიტომ თავის ხელმძღვანელობას ნებართვა სთხოვა მივლინებისათვის საჭირო თანხები პარტიუმერიის მომწოდებელი ფირმის ანგარიშიდან აეღო. დასტური ოპერატიულად მიიღო ფაქსით და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრება მეორე დღისთვის დაიგევმა.

პარიზის აეროპორტიდან ნიუ-იორკის მიმართულებით სამგზავრო „ბოინგი“ დილით აიჭრა ცაში და საღამოს უკვე აღგიღზე მშვიდობიანად დაეშვა. საიმონმა ლევანი სასტუმროში არ გაუშვა.

— ამ ქალაქში ვცხოვრობ, ლევან, და თბილისური ბუნებიდან გამომდინარე, მე შენ სასტუმროში გაგიშვებ? არ გრცხვენია? — რბილი საყვედური უთხრა მოშელმა სართელს.

— უხერხულია ოჯახის შეწუხება, საიმონ, არ იშლიდა თავი-სას ლევანი, — თან ოჯახში პირველად მოვდივარ და ხელცარი-ელი როგორ შემოვიდე.

საიმონმა გულიანად გადაიხარხარა:

— რა ხართ ეს ქართველები. — უთხრა მოშელმა და ლევანს ტაქსის კარები გაუღო.

ლევანი უკან სავარძელზე დაჯდა, საიმონი წინ. უკვე საკმაოდ დაღამებული იყო. ლევანმა მძღოლის მხოლოდ სილუეტი შეამჩნია. ტაქსისტი ისეთი შაგი იყო, რომ სახეს ტანისაგან მხოლოდ მოხაზულობით თუ გაარჩევდი. დაიძრა მანქანა. ქალაქში შესვლისთანავე თვალისმომჭრელი რეკლამების რიგები და შენობების ტყეები დაიწყო. ასეთი რამ ლევანს არსად ენახა. პარიზი ხომ ასევე იყო განათებული ღამით, მაგრამ მას სილამაზე და მშვენიერება ახლდა თან, ნიუ-იორკი კი რაღაც ცეცხლმოკიდებულ ბორბალს ჰგავდა, რომელიც ვიღაცის ან რაღაცის გასაჭყლეტად აეგორებინათ. უშიშარ ლევანს უცებ შიშის გრძნობა გაუჩნდა.

მის თვალში ეს სილამაზე ჯოჯოხეთს უფრო მოგაგონებდათ, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ნათქვამია, ყველაფერმა მიჩვევა იცისო. ლევანი მალე გაუშინაურდა შენობების ამ ტყეს, უშველებელ ცათამბჯენებს, სხვადასხვა ფერის რეკლამებს.

საიმონ მოშელი მანპეტებში ცხოვრობდა. ეს ადგილი ჩვენ-ებურად ნიუ-იორკელთა „ვაკეა“. აქ შეძლებული ხალხი ცხოვ-რობს. საიმონი სამ სართულიან კერძო სახლში ცხოვრობდა, ჰყავდა მეუღლე, სამი შვილი, ერთი ძალლი და სამი კატა. სტუმ-რის დანახვა ოჯახის წევრებს ძალიან გაუხარდათ. ყველანი დიდი ყურადღებით განეწყვნენ მის მიმართ. მაშინვე გააცილეს სტუმრებისათვის განკუთვნილ ოთახში, რათა დაბინავებული-ყო და მოწესრიგებულიყო. ლევანს სახლის პროექტი ძალიან მოეწონა. შემდეგ იგი ამ პროექტის, მხოლოდ შემცირებული სახით, სახლის მშენებლობას საქართველოში ჩამოსვლისთა-ნავე დაიწყებს. საიმონმა სახლი საგულდაგულოდ დაათვა-ლიერებინა, შემდეგ ივახშემს და ყველანი დასაძინებლად თავ-ის ოთახებში განაწილდნენ.

დილის ცხრა საათზე სართელი საიმონ მოშელის ოფისში იჯდა. ოფისი ასევე პრუსტიულ ჭურაზე ჰქონდა მოშელს, მას საქმიან წრეებში მეხუთე ავენიუდ იცნობდნენ. ოთხ ფირმასთან მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდა. ხელშეკრულებას საქართ-ველოში შეკერილი ნაწარმის მიწოდების თაობაზე გვიან დამით მოეწერა ხელი. ტაივანში წარმოებული საქონელი საკმაოდ იაფი ჯდებოდა, რადგან ნედლეული ადგილზე ჰქონდათ, ხოლო მუშა-ხელის ანაზღაურება ძალიან დაბალი იყო. საბჭოთა კავშირში, სა-დაც იმპორტული საქონლის მუდმივი დეფიციტი იყო, ტაივანის პროდუქცია კარგად იყიდებოდა. სანაცვლოდ ლევანის ორგანიზა-ციას საიმონის ფირმის შუამავლობით, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გერმანიაში უნდა მიეწოდებინა თხილი.

ლევანი სულ ორი დღით იყო ნიუ-იორკში ჩასული, ამი-ტომაც სამუშაო დღე ძალიან დატვირთა, რადგან სურდა მეო-რე დღე ქალაქის დასათვალიერებლად გამოეყენებინა, მაგრამ

თბილისში დარეკვის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. სართელი სასწრაფოდ უნდა გაფრენილიყო ჰამბურგში, რადგან საქართველოდან გადატვირთულ თხილს შემოწმებისას რადიაციის მაღალი მაჩვენებელი აღმოაჩნდა. ეს პოზიცია უშუალოდ ლეგანის განყოფილებას ეხებოდა და პროდუქციის ხარისხზეც პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა.

ასე რომ, ბრწყინვალედ შესრულებული კომერციული ოპერაციების აღმასვლა დროებით შეჩერდა. ლევანი ოფისიდან საიმონის თანხლებით პირდაპირ აეროპორტში წავიდა და ბედზე ჰამბურგის მიმართულებით რეიის დილის სამ საათზე მიფრინავდა. ლევანსაც და საიმონსაც არ ესიამოვნათ მდგომარეობის ასე შემოტრიალება.

— გული მწყდება, რომ ქალაქის დათვალიერება ვერ მოვასწარი. — ამბობდა ლევანი და თან ახლადაღებულ ბილეთს პასპორტში დებდა.

— მე შენზე ძალიან მწყდება გული, რომ ნორმალური მასპინძლობის გაწევა ვერ მოვასწარი, — დაღონებული საუბრობდა საიმონი, — ნიუ-იორკს ახლოს რომ გაიცნობ, ასეთი უხეში აღარ მოგეწვენება, მაგრამ რას იზამ, მეორედ რომ ჩამოხვალ, მაშინ დაწყნარებულად დავათვალიერებთ ყველაფერს.

— ოქეი! — ჩაუინგლისურ-ჩაუმერიკულა ლევანმა, — ოჯახის წევრებს დიდი მაღლობა გადაეცი ჩემგან და ყველას გეპატიუებით საქართველოში, — გადაეხვია საიმონს, შემდეგ დიპლომატი აიღო და თვითმფრინავში შესასვლელი ექსკალატორისაკენ დაიძრა.

რომ არა „ბოინგის“ შესანიშნავი კომფორტი და მომსახურე პერსონალის მზრუნველობა, შეიძლება სართელს ამდენი ფრენის გამო მართლა გაეფრინა. ერთი საათი იფხიზლა, ივახშმა, მერე კი მოეშვა და ჰამბურგამდე ისე ეძინა, რომ გვერდი არ შეუცვლია.

ჰამბურგი — გერმანიის უდიდესი ქალაქია. იგი ჯერ კიდევ კარლოს დიდმა მეცხრე საუკუნეში დააარსა, როგორც ციხესიმაგრე. დღეს კი ჰამბურგი, ქვეყნის წამყვანი ნავსადგური, საგარეო ვაჭრობის, მრეწველობის, საბანკო და სადაზღვევო

საქმის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია. ქალაქში არის ყავის, შაქრის, კაუჩუკის, თხილის და არაქისის სასაქონლო ბირჟები. ქვეყანაში შემოზიდული თხილის კონცენტრაციაც აქ ხდებოდა. პამბურგი გაშენებულია მდინარე ელბის ნაპირებსა და გუნდულებზე. მდინარე ალსტერისა და ელბის შესართავში მდებარეობს საქმიანი ცენტრი, რომელიც შედგება აღტშტადისა (ძვ. ქალაქი) და ნოიშტადტისაგან (ახალი ქალაქი). პამბურგის სავაჭრო-სამრეწველო ნაწილია ელბერშტადტი, რომელიც მოიცავს ნავსადგურის ტერიტორიასა და მიმდებარე კვარტლებს. ლევან სართელის ვიზიტიც სწორედ ელბერშტადტში იყო დაგეგმილი.

თვითმფრინავიდან ჩამოსულმა ლევანმა აეროპორტშივე გადააზურდავა დოლარი მარკაზე, დაიქირავა ტაქსი, „მიმინოსავით“ დაზეპირებული მისამართი უთხრა ტაქსისტს და გერმანულის დიდი მცოდნესავით გაიჭიმა უკანა სავარძელზე. თან იმას ნატრობდა მძღოლს არაფერი ეკითხა. „კიდევ კარგი თბილისელი მძღოლებივით ცნობისმოყვარენი არ არიან“, – ფიქრობდა ლევანი, – „თორემ რა მეშვეოლებოდა. ისე ჩემი სოფლის მაცხოვრებელმა კაცმა, ისიც გერმანელების მეზობელმა, ერთი სიტყვა არ უნდა ვიცოდე?“ მაგრამ იმ კახელის სიტყვებით ინუგეშებდა თავს: „მაგაი გამაადგა რო?“

სავაჭრო-სამრეწველო ცენტრში მისულ ლევანს ენობრივი ბარიერის პრობლემა მოეხსნა, რადგან იქაური თანამშრომლები რუსულად შესანიშნავად საუბრობდნენ.

გერმანელებმა სართელი გერმანული თავაზიანობით მიიღეს და მაშინვე სავაჭრო-სამრეწველო ცენტრის ლაბორატორიაში მიიწვიეს. ლაბორატორიაში შესვლისთანავე ლევანს თვალში ეცა იდეალური სისუფთავე, ყველაფერი სარკესავით პრიალებდა. ჩაცვეს თეთრი ხალათი და ერთ-ერთ კაბინეტში შეიყვანეს. სამუშაო მაგიდასთან მაღალი, მკაცრი გამომეტყველების, სათვალიანი შუა ხნის მამაკაცი იდგა. ლევანს მაგრად ჩამოართვა ხელი და დამტვრეული რუსულით უთხრა:

— მე გახლავართ ფრიდრიხ მაიერი. ლაბორატორიის რადიოლოგიური სექტორის მთავარი მენეჯერი.

— ლევან სართელი, — თავაწეულმა უპასუხა ლევანმა და თან გერმანელს თვალი თვალში გაუყარა.

— დაბრძანდით, ბატონო სართელო, — თავაზიანად უთხრა გრიდრიხმა ლევანს და სავარძელზე მიუთითა.

ლევანი ნელა ჩაეშვა სავარძელში და უკვე ხვდებოდა, რომ მძიმე საუბარი ელოდა მაიერთან.

— ბატონო ლევან, არ გვეგონა თუ რუსები თავის წარმომადგენელს გამოაგზავნიდნენ, თან ასე აპერატიულად.

— ქართველები, ბატონო ფრიდრიხ, — გარეგნული თავშეკავებით უპასუხა ლევანმა და თან სისხლი მოაწვა თავში. არ უყვარდა, როდესაც უცხოელი პარტნიორები ქართველებს რუსებად ნათლავდნენ.

— ბოდიშს გიხდით, მე მეგონა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლისათვის რუსად წარმოჩენა საამაყო იქნებოდა.

ლევანმა ნერვების მაქსიმალური მოთოკვით, სასაუბრო თემა უცბად შეცვალა:

— იქნებ საქმეზე ვისაუბროთ, ბატონო მაიერ, თორემ ეროვნული საქმეების განხილვა შორს წაგვიყვანდა და დაგვაკარგინებდა იმ ძვირფას დროს, რომელსაც გერმანელები ასე უფრთხილდებით.

მაიერს მაშინვე შეეტყო, რომ შენიშვნა „ათიანში“ მოხვდა და თანაშემწერ ქალბატონის მიერ ხუთი წუთის წინ მოტანილი საქაღალდე გადაშალა. ამოიღო დოკუმენტი, ლევანს გაუწოდა და დაბალ ხმაზე მიმართა:

— თქვენგა ასეთი ხარისხის თხილის გამოგზავნას არ ველოდით.

ლევანმა ანალიზის პასუხები სწრაფად ჩაიკითხა. რადიაციის გარდა ყველა მაჩვენებელი ნორმაში ჯდებოდა. რადიოლოგიურ შემოწმებას საქართველოში არ ატარებდნენ, ვინაიდან ასეთი რამ პრაქტიკაში არ ჰქონდათ. არც ახლა ჩაუტარებიათ, მიუხედავად იმისა, რომ ლევანმა და მისმა კოლეგებმა ჩერნობილის აფეთქების შემდეგ ეს საკითხი მთავრობის წინაშე დააყენეს.

კომუნისტური ცენტრალური კომიტეტიდან და მინისტრთა საბჭოდან პასუხი ერთგვაროვანი იყო: „საბჭოთა კავშირში რადიაცია არ არის, ამიტომ შემოწმებისათვის განკუთვნილი ხარჯები სჯობს სხვა საქმეს მოვახმაროთ“. ყველაფერი გასაგები იყო, რომ ჩერნობილის აფეთქებით გამოწვეული შედეგები საზოგადოებისათვის დახურული უნდა ყოფილიყო.

გერმანია საბჭოთა კავშირი არ იყო, ამიტომ მის ტერიტორიაზე რადიაციულად დაზიანებული პროდუქტის შეტანისათვის სოლიდური ჯარიმის გადახდა იქნებოდა საჭირო. ეს თანხა გადასახდელად კი ისევ საქონლის ექსპორტიორ ორგანიზაციას დააწვებოდა კისერზე. მაგრამ მთავარი ეს არ იყო. ასეთ სიტუაციაში ორგანიზაციის მიმჯიდვილად უცხოურ ფირმებთან, რასაც გაკოტრებამდე მიჰყავდა ბევრი სერიოზული დაწესებულება.

ჩერნობილის აფეთქებით გამოწვეულმა ტალღამ გრიგალივით გადაუარა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს. დაბინძურდა ჩაი, დაფნა, თხილი, ციტრუსი და მეტ-ნაკლებად თითქმის ყველაფერი. ეს ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ხელისუფლება დუმილს ამჯობინებდა. პირიქით, რადიაქტიული ზონებიდან დაბინძურებული პროდუქტის კონცენტრაციას ახდენდა მოსკოვის ბაზებში და შემდევ რესპუბლიკებში ანაწილებდა. ეს ინფორმაცია ლევანს მოსკოვიდან თავისმა კოლეგებმა მიაწოდეს კონსპირაციულად, ამიტომ მან თავის ხელმძღვანელობას უარი უთხრა მოსკოვიდან ათი ათასი ტონა ხორცის მიღებაზე. უფროსისაგან კი სასტიკი საყვედური მიიღო ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების შეუსრულებლობისათვის. „რადიაციულია თუ არ არის რადიაციული, ეს შენი საქმე არ არისო“ მოუჭრეს მოკლედ, მაგრამ სართელისა და მისი კოლეგებისაგან ისეთ გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ, რომ ბოლოს პოზიციები დათმეს, მაგრამ კომუნისტები ხომ ცხრათავიანი დევებივით იყვნენ. აქ რომ თავი მოაჭრეს, ახალი თავი სხვა ორგანიზაციაში მოიბეს და იქიდან შემოიტანეს, დაურიგეს ხორციელდინატებს, ათ კილოგრამ ხარისხიან ხორცში ერთი კილოგრამი

რადიაქტიული ხორცი შეურიეს და ვითომც აქ არაფერიაო, მისგან წარმოებული ძეხვი, სოსისი და ნახევარფაბრიკატების რეალიზაცია ჩევულებრივი წესით გააგრძელეს სავაჭრო ქსელში. ლევანს და მის კოლეგებს სადაც მიუწვდებოდათ ხმა, ყველგან მიაწოდეს ინფორმაცია მომხდარის შესახებ, მაგრამ ხალხმა ეს მორიგ ჭორად ჩათვალა, რადგან ხელისუფლება არაფერს აცხადებდა აღნიშნულის თაობაზე.

აი, ახლა კი, აქ პამბურგში სართელი, როგორც ექსპორტიორი ორგანიზაციის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ოფიციალურად აწერდა ხელს რადიაქტიული ნივთიერებებით დაბინძურებული თხილის უკან გადმოტვირთვის დოკუმენტს და თან მოწმე გახდა თუ როგორ გააგზავნა პამბურგის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრმა სტოკჰოლმის სარბიტრაჟო სასამართლოში საარჩევლი აღნიშნულის გამო.

ლევან სართელს ნერვიულობისაგან ფერი არ ედო სახეზე. რამდენი ადამიანის შრომა ჩაიყარა წყალში ხელისუფლების უგუნურებით. ვინც არ იცის, რა შრომატევადია თხილის დამზადება, დახარისხება და მისი საექსპორტო კონდიციამდე მიყვანა, ის ამას ვერ გაიგებს. ლევანმა ეს შესანიშნავად იცოდა და ამიტომ ნერვიულობისაგან აღვილს ვერ პოულობდა. ცენტრის თანამშრომლებს სთხოვა, თუ იყო შესაძლებლობა, რომ თბილისში დაერცეკა. უარი არ უთქვამთ, მაშინვე დააკავშირეს. ლევანმა სიტუაცია აუხსნა ხელმძღვანელობას. პასუხი ასეთი იყო:

— წამოიღე დოკუმენტები და მერე გადაფრინდი ლენინგრადში. იქაც ანალოგიური მდგომარეობაა. ოთხი ვაგონია გაჭედილი პორტში. ვლადივოსტოკი თხუთმეტ მანეთს გვიხდის, თან ტრანსპორტსაც თვითონ აანაზღაურებს. მათი წარმომადგენელი იქ დაგვხვდება, გაუფერმე ხელშეკრულება და გადამისამართე ვაგონები. გაიგე?

— გასაგებია, — უპასუხა ლევანმა და ყურმილი დაკიდა. იმავე დამეს ლევანი პამბურგიდან გაფრინდა ლენინგრადში. მთელი დამე თვალი არ მოუხუჭავს. ვერ იგებდა კომუნისტების

გადაწყვეტილებებს. ოთხი ვაგონი თხილის განადგურება გაცილებით იაფი ჯდებოდა, ვიდრე მისი ტრანსპორტირება შორეულ აღმოსავლეთში. მაგრამ ტყუილზე დაფუძნებული ქვეყანა, ისევ ტყუილით ამჯობინებდა ცხოვრებას. საქმის გახმაურებას ერჩივნა, ისევ თავისი ხალხი მოეწამლა და თან ზედმეტი ხარჯი გაეღო: „მაინც რას უძლებს ეს ქვეყანა და ხალხი“. – ფიქრობდა ლევანი, – „ახლა ამ თხილს გააგზავნიან ვლადივოსტოკში. თხუთმეტი მანეთი პლიუს გზა, მოგება, სადღაც თხილის ფასი ოც მანეთს მიაღწევს. ოც მანეთად ვლადივოსტოკში თხილს არავინ არც გაყიდის და არც იყიდის, იმიტომ, რომ შუა აზიიდან იაფად შეიტანენ. ესე იგი, ამ თხილს ისევ მაგადანში გადატვირთავენ და ჩასახლებებში გაყიდიან. იქ ფულის მეტი რა აქვთ. ჯერ ციხეებში დატანჯეს ის ხალხი, ახლა კიდევ რაღაციული თხილით გაასუქებენ. მაგარი ქვეყანა გვაქვს.“

ლევანი ლენინგრადში დილით ჩაფრინდა ტაქსი დაიქირავა და პირდაპირ სასტუმრო „პრიბალტისკაიაში“ წავიდა. სართელი ლენინგრადში ჩასვლისას ძირითადად ამ სასტუმროში ჩერდებოდა. იგი ფინეთის ყურეს გადაჰყურებდა. თანამედროვე სტანდარტებით აშენებული სასტუმრო იყო და რატომლაც ლევანი თავს ყოველთვის მყუდროდ და მშვიდად გრძნობდა. ახლაც მონახა თავისი ნაცნობი ადმინისტრატორები და პორტიერები. კარგი ნომერიც შეურჩიეს. ნომერში შესვლისთანავე, მიიღო შეხაპი და ჩაწვა ლოგინში. ექვსი საათი გაუნძრევლად ეძინა. მერე თითქოს რაღაც ძალამ გამოაღვიძა. ტელეფონი აიღო და თბილისში თავის მოადგილეს დაურეკა:

– ხვალვე დახურეთ დარჩელის, ორსანტიისა და ანაკლიის დამამზადებელი პუნქტები და საერთოდ დასავლეთ საქართველოში თხილის დამზადება საექსპორტო მიზნებისათვის შეაჩერეთ. მთელი ძალები საინგილოში გადაისროლეთ და გააძლიერეთ ტყის თხილის დამზადება. კალიბრი საშუალოდ თექვსმეტი მილიმეტრი.

— ნიკალაევიჩ, არ გამოვა. უანამ დარეკა უნგრეთიდან თვრამ-ეტიანზე დაბალი არ იყოს, კაროჩე კრუპნი გამოუშვიო.

— კრუპნი მ. . . . ს მაგას, რადიაციაა, რადიაცია ვეღარ გაი-გო მართლა მაგ ჩემის თვრამეტიანმა, თუ უნდა თექვსმეტიანს მოვცემთო თუ არა და პაშლა ანა კაროჩე თუ უნდა, მე დამირეკოს, — თქვა ლევანმა და ტელეფონის ნომერი უკარნახა.

შემდეგ რკინიგზაში დარეკა და ვაგონების ადგილმდებარება იკითხა. თხილით დატვირთული ვაგონები პორტის სათადარიგო ლიანდაგზე იყო გაჩერებული.

— თქვენი დედა , — იყვირა ლევანმა და ყურმილი დააგდო, — პორტში რა უნდა, ტო. ტენიანობას აკრეფს და სულ ჩალპება. რა ტუპოი ნაროდია, ამათი

შემდეგ ვლადივოსტოკის წარმომადგენელის ძებნა დაიწყო და როგორც იქნა მიაგნო. ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ სასტუმ-როში ცხოვრობდა. რადგან მას ნომერში ტელეფონი არ ჰქონდა სართულის მორიგეს დაურეკა და ასეთი პასუხი მიიღო:

— ორი საათის წინ სპირტი და ტომატი შეიტანა ნომერში და მას შემდეგ არ გამოსულაო.

ლევანი მიხვდა, რომ სპირტის და ტომატის მოყვარულ კაცს ის დღეს ვეღარ ნახავდა და მორიგეს თავისი ტელეფონის ნო-მერი დაუტოვა, ხვალ რომ გამოფხიზლდება დამირეკოსო.

ლევანმა კარგად იცოდა, სპირტისა და ტომატის დალევის მე-თოდი და ამიტომ აღარ შეუწუხებია უცნობი პარტნიორი. სპირ-ტის დალევა ტომატით სართელს მოსკოვში ერთმა ფიზიკის პროფესორმა ასწავლა. უნდა აიღო ნახევარი ჭიქა ტომატი და დაასხა ზევიდან სპირტი. ვინაიდან სპირტის კუთრი წონა ტომ-ატისაზე ნაკლებია, იგი მოექცევა ზევიდან. დალევისას ჯერ სპირტი მიდის, შემდეგ მიჰყევება ტომატი და ფაქტიურად ზიზ-ლისა და ყოველგვარი ცუდი გემოს გარეშე სვამ სპირტს, თან ტომატი ეგრეთწოდებული „ზაკუსკის“ ფუნქციასაც ასრულებს. ასეთი წესით დალევის დროს, მსმელი სმის ზომას ვერ საზ-ღვრავს, ამიტომ ხშირ შემთხვევაში ეს პროცედურა გათიშვით

მთავრდება. შემდეგ ამათ გინდა რადიაქტიული თხილი აჭამე და გინდა სუფთა, მაინც ვერაფერს გაიგებენ. სწორედ ეს პქონდათ კომუნისტებს დაჭერილი საბჭოთა ხალხის უმრავლესობაში და ამიტომ საკუთარი ინტერესების დასაცავად ხალხზე იწმენდნენ თავიანთ ბინძურ ხელებს.

ლევანმა ის საღამო სასტუმროში თავის ძველ ნაცნობებთან ერთად გაატარა, ხოლო დილით ვლადივოსტოკელ „სპირტ-ტომატოვიჩს“ დაადგა სასტუმროში. სართელი მართალი აღმოჩნდა. გალეშილი რუსი ძლიერ მოიყვანა გონზე. წამოაყენა, ჯერ საქმე გააკეთებინა, ხოლო შემდეგ დაალევინა და ისევ თავის სასტუმროში მიიყვანა. თვითონ კი დამის რეისით თბილისში გადმოფრინდა...

სართელი კი იჯდა თავის ბინის ლოჯიაში, უცქერდა ტელევიზორს, მაგრამ მისი გონება სხვაგან იყო. კომერციაში ამხელა მასშტაბებით მომუშავე ბიზნესმენს, ლუქმაპურის საშოვნელი ფულისთვის ერთი ბაზრობილან მეორუში სიარული უწევდა და ისიც ორი-სამი საათი, ხოლო დანარჩენ დროს სახლში იჯდა უაზროდ.

ტელევიზორში ქეთევან ბატონიშვილის ვიზიტს უჩვენებდნენ. ლევანს გაახსენდა მისი დაპირებები იტალიის ბიზნესმენებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების შესახებ. მაგრამ ყველაფერმა როგორც იტყვიან „ჩაილურის წყალი დალია“. საქართველოში გლეხსაც და მეფესაც თავისი ინტერესები პქონდათ და მის მისაღწევად არაფერს ერიდებოდნენ.

ლევანს ფიქრები ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა. ყურმილი აიღო. გენო იყო საზზე.

- გაიგე, ბიჭო?
- რა?
- გელაშვილი მომკვდარა წუხელ.
- ვაჲ! არ ვიცოდი, ტო, ღმერთმა აცხონოს, გულმა დაცხო.
- ხო რა.
- გამოიარე მანქანით და გავიდეთ. სად არის დასვენებული?

— დედამისთან დიღომში. მაგისმა ცოლის ძმამ დამირეკა. ლევანთან ვერ გავედიო. კაროჩე მზად იყავი, გამოგივლი და ავიდეთ, მივუსამბიმროთ.

მიუხედავად ლევანისადმი ზაურის არაკაცური მოქმედებისა, მისმა სიკვდილმა სართელზე ძალიან იმოქმედა. შეეცოდა გელაშვილი, მაგრამ რას იზამ, ყველაფერი უფლის ნებით ხდება.

გენო და ლევანი მივიღნენ სამბიმარზე. ზაურის დედას და შვილს მიუსამბიმრეს, წამოსვლისას გელაშვილის ბიჭმა, რომელიც ცხრამეტი წლისა იყო, სართელი გააჩერა და მორიდებით ჰკითხა:

— ლევანი ბიძია, მამაჩემის ვალებს მე ხომ არ მომთხოვთ?

ლევანს თვალზე ცრემლი მოადგა და ძლივს ამოთქვა:

— არა, შვილო, შენ რა შუაში ხარ.

ბიჭს აკოცა შუბლზე და გენოსთან ერთად სადარბაზოს კიბეებზე დაეშვა.

XII

ზაურ გელაშვილის სიკვდილის შემდეგ ყველა მისი მევალე ტელეფონით სართელთან რეგავდა და ფულს სთხოვდა. ზოგი მოკვლით ემუქრებოდა, ზოგი ქურდით და ათასი სისულელით. განსაკუთრებით მათი ძველი „ნაცნობი“ პოლიტიკოსები აქტიურობდნენ, რომელთაც გამოტანილი კრედიტების განიავებით, საარსებო სახსარი აღარ ჰქონდათ და ღობე-ყორეს მოდებულნი, სხვადასხვა ბინბური გზებით ფულის გამოძალვაზე მუშაბდნენ, სადამდისაც კი ხელი მიუწვდებოდათ. ლევანის კიეველი „პოლეგები“, გელა და ლაშა ცოცხლებში აღარ იყვნენ. გელა, კრედიტების განიავებისათვის საზღვარგარეთ გაიქცა და იქიდან მკვდარი ჩამოასვენეს. როგორც ამბობდნენ „წამალში გაპარულა“, ესე იგი ზედმეტი დოზის მიღების შედეგად გარდაცვლილა. ლაშამ კი, დიდი ფული რომ ნახა, როგორც ჩანს

ვერ გაუძლო და ჭკუიდან შეიშალა. ორჯერ დააწვინეს ფსიქი-ატრიულ ში, მაგრამ ვერაფერი უშველეს.

გელას და ლაშას ეგრეთწოდებულმა „კოლეგებმა“ ლევანი ქურდან საქმის გარჩევაზე დაიბარეს.

სართელი მივიდა შეხვედრაზე, მაგრამ საუბრის დროს, თუ ამას საუბარი ერქვა, ვერაფერი გაიგო თუ რას ითხოვდნენ „პოლიტიკოსები“. თითქმის ყველას წამალი ჰქონდა გაკეთებული და ყველა ერთად ლაპარაკობდა. ის, ვინც ლევანს ქურდად გააცნეს, წამლისაგან გაბრუებული ხანდახან წამოხტებოდა ხოლმე და ჩახლებილი ხმით ერთი და იგივეს ყვიროდა:

— მე აქ ოპერა არა მაქქს, გაჩუმდით თქვენი!

ამ ყვირილსა და ღრიანცელ ში გაიარა ორმა საათმა და საქმის გარჩევა ერთი გვირით გადაიდო. ლევანმა მაინც ვერ გაიგო, რა უნდოდა ამ ხალხს.

ლევანი ამ შემთხვევამ თითქოს გამოაფხიზლა და გადაწყვიტა, ძირეულად გარკვეულიყო თანამედროვე ქურდული სამყაროს ავკარგიანობაში და ამ მიზნით თავის ძველ ნაცნობს, მალხაზ წულუკიძეს დაურეკა. სთხოვა, რომ კონსულტაციების მიზნით შეხვედროდა.

მალხაზი ლევანის ასაკის კაცი იყო. წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. სწორედ ამ უნივერსიტეტში გაიცნეს ლევანმა და მალხაზმა ერთმანეთი სპორტული დელეგაციების ერთ-ერთი შეხვედრის დროს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მალხაზი ცამბირში გაანაწილეს, კოსმოსური კვლევის ერთ-ერთ ინსტიტუტში, რაღაც გაუგებრობების გამო, ორი წელი ციხეში იჯდა. ახლაც სადღაც მუშაობდა. ხოლო თუ რა სამსახურს ეწეოდა, ამის შესახებ მისმა ახლობლებმაც არაფერი იცოდნენ. მალხაზი უცოლო იყო. მაღალი, გამხდარი, სასიამოვნო გარეგნობის კაცი გახლდათ. ლამაზი სახე ჰქონდა. უკან გადაწეული ჭაღარაშერეული თმები მის გარეგნობას უფრო მეტ სიდარბასისლეს მატებდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ნამდვილად თავადური წარმოშობის კაცი იყო.

ლევან სართელი და მალხაზ წულუკიძე მეორე დღეს ვაკის პარკში შეხვდნენ ერთმანეთს. დიდი ხნის უნახავმა ნაცნობებმა გადაკოცნეს ერთმანეთი. მოკითხვა-გამოკითხვის შემდეგ იქვე ახლადგახსნილ ბარში შევიდნენ, ოფიციანტს მსუბუქი საუზმე და სასმელი მოატანინეს და შეხვედრის სადღეგრძელოც დალიეს.

— ლევან, შენ რაღაც გაუგებრობაში მოხვდი ალბათ, თორემ მე კაი ხანი არ გაგახსენდებოდი. — დაიწყო დაბალ ხმაზე საუბარი წულუკიძემ.

— ჰო, დაახლოებით ასეა, — გაედიმა ლევანს, — ლაბირინთებში გასვლა გამიჭირდა, ისეთ ბარიერებს წავაწყდი, რომ თუ კონსულტაციები არ ავიღე, ისე გზას ვერ გავიკვლევ. ამიტომაც შეგაწუხე, ჩემო მალხაზ.

— რით შემიძლია დაგეხმარო. — თქვა წულუკიძემ და გონება დაძაბა მოსასმენად.

— ქურდული სამყაროს შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცი. არადა ისე მომრავლდნენ, რომ ვეღარ ვიგებ ბიზნესმენები უფრო ბევრი ვარო თუ ეგნი. თან ჩვენს საქმეებში აქტიურად ერევიან. შენ, რამდენადაც მე ვიცი, მაგ სამყაროს კარგად იცნობ. იქნებ მეც გამათვითცნობიერო.

— ამ თემაზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ შენ უარს ვერ გეტყვი. თანაც გატყობ, ვიღაც არ გასვენებს. მაინც საიდან დავიწყოთ?

— აი, მაგალითად, — ლევანმა აიხედა ზევით, თითქოს კითხვას ეძებსო, — ვინ არიან უგრეთწოდებული „კანონიერი ქურდები“?

გონებაგახსნილმა და უაღრესად განათლებულმა მალხაზ წულუკიძემ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და დაფიქრების გარეშე დაიწყო:

— კანონიერი ქურდი, ჩემო ლევან, ეს არის ავტორიტეტი სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროდან, რომელიც კოლეგიალურად აღიარებულია დამნაშავეთა სამყაროს სხვა ლიდერების მიერ და გავლილი აქვს „კურთხევის“ ცერემონიალი. კანონიერ ქურდთა საზოგადოებაში მისთვის ქურდული უფლებამოსილების მინიჭებისათვის. „კურთხევას“ ატარებს

სულ მცირე ორი-სამი ქურდი მაინც, ისინი მსჯელობენ „კანდი-დატის“ კრიმინალური გზის შესახებ, იხსენებენ რით გამოიჩინა თავი. რწმუნდებიან, რომ იგი ქურდული ტრადიციების ერთგულია, აქვს ქურდული ტრადიციების შეკავშირების უნარი, სწორად და „სამართლიანად“ ჭრის კონფლიქტებს, სარგებლობს ასლოლუტური ავტორიტეტით თანამოაზრეთა შორის და შეუძლია „ობშიაკის“ ანუ საერთო თანხის ორგანიზაცია, განხილვის დროს ირკვევა მთავარი — ხომ არ იყო შემჩნეული „კანდიდატი“ სამართლდამცავ ორგანიზაციებთან კავშირში, მუშაობდა თუ არა იგი სახელმწიფო დაწესებულებებში. თუ ყველაფერი დადებითად შეფასდა, შემდეგ ხელის მტევნებს გადააჭდობენ ერთმანეთს და დამნაშავეთა სამყაროსადმი ერთგულების ფიცს წარმოოქვამენ. ბოლოს თანამეგობრობაში მიღებულ ზედმეტ-სახელს არქმევნ. ცნობა ამ „კურთხევის“ შესახებ ქურდული ფოსტით ვრცელდება მთელ ქვეყანაში.

— მაიცა, მაიცა, მახო, — შეაწყვეტინა სიტყვა ლევანმა წულუკიძეს, — შენ ისე მიაყარე, თავში გადახარშვას ვერ ვასწრებ, ალბათ ბლოკნოტი და კალამი უნდა წამომელო, რომ ჩამეწერა.

— შენ ეგნი არ გჭირდება, ისედაც ნათელი გონება გაქვს, მაგრამ არ გირჩევ შენი იდეების განხორციელებას კრიმინალურ სამყაროში, რადგან ის ყოველთვის შენთვის წამგებიანად დამთავრდება. ღმერთმა დაგიფაროს და შეიძლება კატასტროფულადაც.

— რაც არის არის. — ამოიხრა ლევანმა, — რაც გიწერია, ხომ იცი, არ აგცდება. მოდი ჩვენ თემას ნუ გადავუხვევთ, შენ ეს მითხარი, კანონიერი ქურდი შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი?

— კანონიერი ქურდი არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი და უფლება არ აქვს ჩაერიოს სახელმწიფო პოლიტიკაში, — უპასუხა მალხაზმა და განაგრძო, — არ შეიძლება მუშაობდეს, არ უნდა თანამშრომლობდეს ხელისუფლებასთან, არ შეიძლება, რომ ხულიგნობდეს ან ჩაიდინოს რაიმე ძალადობა, არ აქვს უფლება იმსახუროს ჯარში, არ უნდა მისცეს ჩვენება

გამომძიებელს, პროგურორს. ძველი ქურდული ტრადიციების მიხედვით კანონიერ ქურდს არ შეიძლება ჰქონდეს სახლი, ოჯახი, პირადი ქონება...

— სტოპ, სტოპ, მაიცა, — აწრიალდა ლევანი, — მა ეს სასახლები, მანქანები რატომ აქვთ?

— მე შენ ჯერ გიყვები იმას, რაც მათი კანონებით არაა „დაშვებული“ და „დამტკიცებული“, ხოლო შემდეგ ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ სრულდება ეს „კანონები“.

— ბოლიში, ბატონო, — თავი დახარა ლევანმა, მერე ღვინით სავსე ჭიქა ასწია, მიუჭახუნა მალხაზს და თავაწეულმა წარმოთქვა, — წესიერ ხალხს გაუმარჯოს, ქალაქში ოდესლაც ყარაბოსელებს რომ ეძახდნენ.

— ამინ, — დაუდასტურა წულუკიძემ, — აი, იმათი კანონები მართლა სამართლიანი იყო. — ჭიქა ჩამოცალა, ლევანს შეხედა და ჰკითხა, — გავაგრძელო?

— დიახ, ბატონო, — დაუდასტურა ლევანმა და მოსასმენად მოემზადა.

— ქურდები ყველანაირად ცდილობენ მოახდინონ ხალხის ცხოვრებაზე გავლენა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე, ქურდმა უნდა იქურდოს, თუ გინდა ნაქურდალი წვრილმანი იყოს — ჭიქარტიც, კბილის საწმენდი და ერთი ცალი ლურსმანიც, ქურდები ცდილობენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გამოვიდნენ მხილოდ კალენდარული სასჯელის მოხდის შემდეგ, რადგან ასეთი ფაქტი მათთვის ითვლება ღირსეულ ქცევად. კანონიერი ქურდები თავიანთი ზეგავლენით სძალავნებ მსჯავრდებულებს პროდუქტებს და სხვა ფასეულობებს, პერიოდულად ახორციელებენ ფულის შეკრებას და ქმნიან საერთო თანხას „ობშიაკს.“

— როგორც მე ვიცი, — ჩაერთო საუბარში ლევანი, — ციხეში მათი საცხოვრებელი პირობები დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს სხვა პატიმრების ყოფაცხოვრებისაგან.

— ძველი ქურდული წესების თანახმად, აღნიშნული კატეგორია უნდა ცხოვრობდეს საერთო საცხოვრებელში და არ უნდა განსხვავდებოდეს სხვა მსჯავრდებულთა ცხოვრებისაგან, მა-

გრამ ახლა პირიქითაა. კანონიერი ქურდები აწყობენ მათთვის ცალკე საცხოვრებელ კუთხეს, აქვთ ცალკე ინსტრუმენტები, პირადი კარადა კვების პროდუქტებისა და ტანსაცმლის შესანაზად, ტელეფონი და სხვა. ცდილობენ შეიქმნან ცხოვრებისათვის კომფორტული პირობები დანარჩენი მსჯავრდებულებისაგან განსხვავებით. კანონიერი ქურდები უარს აცხადებენ დაასუფთაონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი, გარეცხონ თავიანთი ტანსაცმელი, მოამზადონ საჭმელი. ამას ყველაფერს აკეთებინებენ სუსტი ყოფაქცევის მსჯავრდებულებს, ხმირ შემთხვევაში ეგრეთწოდებულ „ქათმებს“

— ქათმები ვინდა არიან, ტო? — იკითხა ლევანმა

— ქათმები ეს ადამიანთა ის კატეგორიაა, რომელთაც ციხის გარეთ ცისვერებად იცნობენ. ისინი ციხეში ცხოვრობენ ცალკე და მათ სხვა მსჯავრდებულთა მოთხოვნის შესაბამისად ამუშავებენ „გამოძახებით“. მათ ქალურ სახელებსაც არქმევენ: „ქეთი“, „საბრინა“, „სინდი“, „კასანდრა“, „ნაომი“. ხოლო ყველაზე ბანძს „მაყვალა“. „ქურდული კანონმდებლობით“ ქათმებს არ აქვთ უფლება იკვებონ საერთო საზოგადოებრივ სასადილოში, ისარგებლონ საერთო საყოფაცხოვრებო ობიექტებით.

— ვაჲ! რამდენი სიბინძურე ხდება ამ ქვეყანაზე, მახოჯან. ეგეთი რამეები ციხეებში რომ ხდებოდა კი ვიცოდი, მაგრამ „ქათმები“ თუ ერქვათ... ეგ ნაღდად არ გამიგია. ჯანდაბას მაგათი თავი, შენ ეს მითხარი, ფულის განაწილების დროს „ქურდი“ არ იპარავს, ან საქმების განაწილებას სამართლიანად თუ ახდენს?

— „ობშიაკის“ თანხები ნაწილდება კანონიერი ქურდების კოლექტიური გადაწყვეტილებით. ეხმარებიან გაჭირვებაში ჩა-გარდნილ ქურდულ ლიდერებს, საპყრობილები და რესპუბლიკურ სააკადმიკოფოში მყოფ კანონიერ ქურდებს, საჭიროების შემთხვევაში მათ ოჯახებს და ასე შემდეგ. კანონიერი ქურდების მიერ მიღებულია, რომ „ობშიაკის“ თანხიდან ნაწილი გამოყონ ადმინისტრაციის თანამშრომლების მოსასყიდად. საერთო თანხიდან ფულის მოკლება ქურდული ჯგუფის გადაწყვეტილების

გარეშე ისჯება მკაცრად. რაც შეეხება მათ მიერ საქმის წარმოებას და განაწილებას, ეს არც თუ მარტივი პროცესია.

— როგორ? — გაეცინა ლევანს, — თავისი პოლიტბიურო ჰყავთ?

— შენ გეცინება და აქ მთელი იერარქიული საფეხურებია, — განაგრძო მალხაზმა, — კანონიერი ქურდები ვალდებული არიან პერსონალურად მოაწყონ შეკრება, „სხოდკა,“ სადაც არჩევენ სხვადასხვა საკითხებს, აწყობენ სასამართლო სხდომას, ზოგიერთი პირის გამტყუნებას ან გამართლებას, ან კანონიერ ქურდები დამტკიცებას. ასეთ ღონისძიებებს კანონიერი ქურდები ხშირად აწყობენ რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ასევე სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად კანონიერი ქურდები პერიოდულად იკრიბებიან, როგორც საქართველოს, ისე თანამეგობრობის სახელმწიფოების მასშტაბით. ასეთი შეკრებები უცხოეთის ქვეყნებშიც ხშირად იმართება. ქურდული „წესდების“ დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს ისიც, რომ ისინი დროის შესაბამისად ცვლიან თავიანთი მოქმედების წესებს და ფორმებს. ამიტომ მათი „წესდება“ ბევრ ნაწილში არ არის მდგრადი. ქურდული ლიდერები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აწყობენ არალეგალურ არხებს, ქურდული ფოსტის, კორესპონდენციის შეტანისათვის. ირჩევენ ან ნიშნავენ ქურდულ ლიდერებს, „მაყურებლებს“, კანონიერი ქურდი ყველაფერს სხვისი ხელით უნდა აკეთებდეს, უშუალოდ არ უნდა მონაწილეობდეს დანაშაულში და უნდა გაუფრთხილდეს ქურდული იდეების „გეთილშობილების“ კომპრომეტაციას. ამიტომაა, რომ მათ ყოველთვის გარს აკრავთ შემსრულებელთა წრე. კანონიერი ქურდები სწრაფად იცვლიან ტაქტიკას გარემოებათა მიხედვით. ისინი სიმკაცრეს და ანგარიშის გასწორებას აწარმოებენ განდგომილების მიმართ. ქურდულ კანონზე უარის თქმა დალატის ტოლფასია და სასჯელი ერთია — სიკვდილი. ვინც ქურდულ წესებს არ იცავს, მკაცრად ისჯება, ამიტომ კანონიერი ქურდები ერიდებიან კონფლიქტებს, ერთ-

მანეთის ავტორიტეტის შერყევას, ისინი გარეგნულად მამაცი, მკაცრი, ურყევი და თვითდაჯერებული ადამიანის სახეს ქმნიან. მშიშარა და სულით დაცემული ავტორიტეტი კარგავს უფლებამოსილებას. კანონიერი ქურდი ანგარიშიანია, ამისათვის გამუდმებული კონფლიქტი აქვს გარემოცველ სამყაროსთან. ქურდული ავტორიტეტისათვის აუცილებელია მუდმივი ინფორმაცია ჰქონდეს გარე ვითარებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დამნაშავეთა სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე კონტროლის საშუალებას დაკარგავს და საბოლოო ჯამში – თავის მოქმედების სფეროში გავლენასაც. კანონიერი ქურდი ყოველგვარ საკუთრებას გარეგნულად უგულვებელყოფს, მას არა აქვს საკუთრების უფლება, მაგრამ მას შეუძლია განუსაზღვრელად, როგორც სურს, ისე ისარგებლოს დამნაშავე ელემენტების საკუთრებით, რაც ხშირად პრაქტიკაში მთავრდება სისხლიანი კონფლიქტებით. მათ ეზიზლებათ რეკეტი და რეკეტიორები, ისინი ახლოს არ იკარებენ მოკლე ჭკუის ხალხს. ამიტომ კანონიერი ქურდის „მომწყვდევა“ ხშირად ძუ მგელის დაჭერაზე უფრო ძნელია. ისინი ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან, საზოგადოებისაგან შორის იჭერენ თავს, საზოგადოებრივ ყველა კანონს უგულვებელყოფენ, აღიარებენ მხოლოდ შიდა ძმობას, თუმცა უამთა ცვლით ბევრი რამ იცვლება მათ ქცევაში.

მალხაზი აქ შეჩერდა, სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან, სანთებლით მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ჭიქები ღვინით შეავსო, შემდეგ ასწია ჭიქა და დამწუხრებულმა თქვა:

– ქურდების ამ ახალმა თაობამ იმსხვერპლა ჩემი ახლობელი. კაი ბიჭი იყო ვაჟა ჩაჩავა, ხსოვნა იყოს მისი.

ლევანმა ჭიქა მიუჭახუნა მალხაზს და ხმის ამოუღებლად ჩამოცალა სასმისი. შემდეგ სიგარეტი გააბოლა და ჰკითხა წულუკიძეს:

– რატომ მოკლეს?

– ძმაკაცი არ ჩაუშვა და იმიტომ.

– მერე სად არის ქურდული სამართლიანობა?

— მეც მანდა ვარ სწორედ. ძველი თაობის ქურდი ასეთ რამეს არ გააკეთებდა. სხვანაირად არ გამიგო, თითქოს ზელი აუკანკა-ლდებოდა კაცის მოკვლაზე. მან კარგად იცოდა, რომ სხვა ქურ-დები ამ ნაბიჯს არ მოუწონებდნენ. უკიდურეს შემთხვევაში „სხ-ოდებაზე“ უნდა გადაეწყვიტათ ასეთი საკითხი.

— შენი აზრით, რატომ გააკეთეს ეს?

— იმიტომ, რომ ძველი ქურდული ტრადიციების მომხრეები თანდათანობით თმობენ პოზიციებს. ამავე დროს, სულ უფრო დიდ როოლს თამაშობს დამხაშავეთა სამყაროს ლიდერების, უბირატესად კავკასიური წარმოშობის, ახალი „გენერაცია“. ეს „რეფორმატორები“ არც ისეთ მეთოდებს უარყოფენ, როგორიცაა: ძალადობა, რეკეტი, ქრთამის მიცემა და სხვა. მათ სამართალდამცავ ორგანოებთან და საერთოდ სახელმწიფოსთან ბრძოლის პოლიტიკური მეთოდებითაც შეივსეს არსენალი. მაგრამ კანონიერი ქურდები ყველაფერს ამას აკონტროლებენ, გადადიან ახალ „რელიებზე“, ამასთან რჩებიან „ტრადიციონალისტებად“, რომლებიც ახორციელებენ, როგორც სამედიატორო და შსაჯულის როლს კრიმინალურ დაჯგუფებებში, აგრეთვე კომერციულ ორგანიზაციებში და არჩევენ სადაცო საკითხებს. მათ შეუვალ ავტორიტეტზე ლაპარაკობს და ხასიათებიან ის დამნაშავეები, რომლებიც აღნიშნული ტრადიციების სულისკვეთებით არიან აღზრდილი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მსხვილ საწარმოო რაიონებში, სადაც მნიშვნელოვანი აღვილი უჭირავს კომერციულ მოღვაწეობას, ქურდული ძალაუფლება სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური ძალაუფლების პარალელურად არსებობს და ეს აღნიშნული ვითარება გამომდინარეობს დამნაშავეთა სამყაროს წესებიდან. მეწარმეები ცდილობენ, როგორც წესი გარანტირებული ჰქონდეთ დამნაშავეთა სამყაროს „მეუფეთა“ მხარდაჭერა. თუ კი რეკეტიორებისაგან თავის დაცვა გახდა საჭირო, ამ შემთხვევაში კანონიერი ქურდი, ესე იგი მეწარმის მფარველი, საქმეს არჩევს საკმაოდ მაღალუფექტურად.

— ბოდიშს ვიხდი, მახო, — შეაწყვეტინა საუბარი წულუკიძეს ლევანმა, — ჩვენ რომ გვირჩევენ საქმეს ეს ვიცი, მაგრამ თვითონ

თავიანთ წრეში თუ არიან ასეთი მკაცრები და ვითომ „სამართლიანები“ როგორც ამას ჩვენ გვაჩვენებენ?

— ჩემო ლევან, — გაეღიმა მალხაზს, — შენ ახლა ინტერვიუსათვის მომიყვანე თუ რაიმე პრობლემის გადასაჭრელად? მაგრამ სანამ დავკონკრეტდებოდეთ მაგ თემასაც შევეხოთ. ქურდი ვალდებულია ემსახუროს კანონიერი ქურდების საძმოს ინტერესებს. სამართლიანი არის საქმეების გარჩევისას, ეხმარება იმათ, ვინც სასჯელს იხდის და იცავს ტრადიციულ წესებს. დამნაშავეთა სამყაროს ძლიერებისა და თავის დაცვის საიდუმლო იმაშია, რომ ქურდები ვალდებულნი არიან მხარი დაუჭირონ ერთმანეთს, იზრუნონ უფროს ავტორიტეტებზე. ქურდული კანონით, სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც ხელს აღმართავს ქურდზე, მოსპობის ღირსია. ქურდული სამყარო ფლობს საიდუმლოებებს და მათი მოქმედების სფერო მკაცრად გასაიდუმლოებულია. ქურდები მკაცრად იცავენ კონსპირაციის წესებს. კიდევ ერთი იცოდე, კანონიერ ქურდებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ეროვნებათშორის კონფლიქტებთან, მათი ბრალი არ არის კავკასიაში ან სხვა ადგილებში სისხლის ღვრა. ამ შემთხვევაში ვინც ომებში ჩაერია, მთელი სამმოს წინაშე ჰასუებს აგებს. ისინი საკუთარ თავს ზნეობრივად რიგით მოქალაქეებზე მაღლა აყენებენ. ისინი არც ერთმანეთს დალატობენ და არც თავის პრინციპებს. ქურდული კანონმდებლობა და მათი ტრადიციები უმკაცრესად მოითხოვენ თანამოძმების დასჯას ორპირობისათვის. ამას ქურდული სამყარო ვერ იტანს, რადგან ეს დამნაშავეთა სამყაროს დალატია. ქურდული იდეიდან გამომდინარეობს მათი იდეოლოგია და მასზე აგებულია დაუწერელი კანონები. მათთან მიღებულია ზედმეტსახელით მიმართვა. ეს თვითნებური „პასპორტია“. გვარი კარგავს თავის აზრობრივ დატვირთვას, მით უმეტეს, რომ ორგანოს მუშაკები მათ ძირითადად გვარით იცნობენ. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ქურდული ლიდერები, დანაშაულის გამო, ცდილობენ იყვნენ ჩრდილში. ცდილო-

ბენ მოაჩვენონ თავი ადმინისტრაციას, როგორც ლოიალურები. ქურდული ლიდერები ცალკე შემთხვევაში ანუ კრიტიკულ მომენტებში, ცდილობენ გაუწიონ დახმარება ადმინისტრაციას, თუმცა ეს ეწინააღმდეგება მათ მორალს და წესებს. ძალიან დიდ საშიშროებას წარმოადგენს ქურდული ლიდერების მოქმედება ოპერატიული ვითარების გართულების დროს. ისინი ცალკეულ შემთხვევაში შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად უბიძგებენ კონტიგენტს მასიური უწესრიგობისაკენ, თუმცა ეგრეთწოდებული „პალაუენის“ გართულება მათ პრაქტიკაში არ იწერება. ძალიან მყაცრია მათი სადამსჯელო კანონები. თუ „საქმის“ გარჩევის დროს ქურდს დაუმტკიცეს ქურდული წესის დალატი, ახლო დამოკიდებულება სამართალდამცავ ორგანოებთან, მას ელის სიკვდილით დასჯა. ამ შემთხვევაში შეკრებაზე „განახენის“ გამოწანის შემდეგ, გათამაშდება კარტი თუ რომელმა ქურდმა უნდა მოიყვანოს გადაწყვეტილება სისრულეში. თუ რომელიმე უარი თქვა „განახენის“ აღსრულებაზე, მას ჩათვლიან გამყიდველად და მოხდება მის მიმართ ანგარიშსწორება. კანონიერ ქურდებს ისე არ ეშინათ სახელმწიფო კანონების დარღვევის, როგორც დამნაშავეთა სამყაროს წესების, რადგან ეს წესები ითვალისწინებს დაუნდობელ სანქციებს. ქურდულ გადაწყვეტილებებზე ტერიტორიული სივრცე და დროის ფაქტორი არ მოქმედებს, ადრე თუ გვიან, ან სადაც არ უნდა იმყოფებოდეს „დამნაშავე“, „განახენი“ მოყვანილი იქნება სისრულეში. ამასთან ერთად, შემდგომში ამ „სასამართლოს“ შემადგენლობა უნდა იქნას ინფორმირებული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის შესახებ. კანონიერი ქურდები ცდილობენ მხარი დაუჭირონ ერთმანეთს. სხვისი უბედურების ნიადაგზე დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელი ქურდულ უფლებას ვერ მიიღებს. ისინი დაწესებულებებში, ციხეებში ცალკეულ დანაშაულებრივ დავალებებს აძლევენ „კარგ ბიჭებს“ და ამით ცდიან მათ. თანდათანობით ასეთი შემოწმებით ისინი შეჰვავთ თავიანთ რიგებში. ქურდულ სამყაროს თავისი იერარქიული

კიბე გააჩნია: „ბაცნობა“, „ყაჩალობა“, „კაი ბიჭობა“, „ზონის მაყურებლობა“ და ბოლოს კი პიკი „კანონიერი ქურდი“.

— ჰა! ჰა! კაი რამეა, მე და ჩემთა ღმერთმა, — გადაიხარხარა ლევანმა. — ნოდარ დუმბაძეს რა კარგად დაუწერია, ხომ გახსოვს:

„ხუთი წელია წიგნი თვალით არ მინახია,
ახია მასზედ წიგნი ღროზე ვინც არ დახია,
გუშინ ვიყავი კუკიაზე საყომარბაზოდ,
იქ ქურდი კოლა, პრაფესორის გვერდით მარხია.“

— შენ გგონია პროფესორი მეტ საფეხურზე ადის: სტუდენტი, ასპირანტი, მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი. ხუთი ხუთზეა, ტო!

— ისე მაგარი შედარება მოარტყო, ხომ იცი, — გაედიმა მალხაზს, ჭიქები შეავსო, ლევანს მიუჭახენა და ხმადაბლა წარმოთქვა:

— ეს ჩვენ ახალგაზრდობის წლებს გაუმარჯოს, რომელმაც ბევრი სიხარული და ბევრი ტკივილიც მოგვიტანა.

— გაუმარჯოს! დასტური, მახო, — ჩამოცალა ლევანმა ჭიქა და განაგრძო, — დავუშვათ და ქურდს აღარ უნდა ქურდობა, ამის შესახებ მაგათ კანონებში თუ წერია რამე?

— კანონიერი ქურდის ცხოვრებისეული დაძაბულობა, მისი დანაშაულებრივი გზა, სასჯელადსრულების სისტემაში ხანგრძლივი ყოფნა და სხვა ფსიქოლოგიური და სოციალური სირთულები, მას იძულებულს ხდის უარი თქვას ადრე მის არჩეულ ტრადიციებზე, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს „თამაშიდან“ გამოსვლის წესი, საკითხი ირჩევა „ავტორიტეტულ“ ქურდების შეკრებაზე და თუ მიიჩნევნ მდგომარეობას სამართლიან მოთხოვნად, სურვილი იქნება დაკმაყოფილებული. კანონიერ ქურდებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში „ტრადიციული“ წესების უსიტყვო შემსრულებელნი იყვნენ, არ აქვთ ფაქტიურად და ფსიქოლოგიურად საშუალება ასე უცებ მოახდინონ გარდატეხა თავის პიროვნებაში, მოიხსნან დანაშაულებრივი კომპლექსი. მისი გარდატეხის დადებითი

მიმართულების გზა ძალზედ დიდი და ოთულია. თუ ქურდი დადებითად მსჯელობს, ეს მხოლოდ დასაწყისია მისი საზოგადოებისაკენ შემობრუნებისა. ძალზე ბევრია ფაქტები, როდესაც კანონიერი ქურდები დროზე შემობრუნდნენ ჯანმრთელი ცხოვრებისაკენ და გახდნენ ქვეყნის სასახლო პირები. უფრო მეტია ფაქტები, როდესაც კანონიერი ქურდები სავალალოდ ამთავრებენ თავიანთი ცხოვრების ბოლო წლებს და ბევრ მათგანს არ სურს, რომ თავისი შვილი გაჰყვეს მამის გზას. აი, ასეა, ჩემო ლევან, ისეთი რთულია და ხშირ შემთხვევაში არაკაცური და არაქრისტიანული მათი გზა, რომ ქურდების უმრავლესობას არ სურს, რომ მათი შვილი გაჰყვეს ამ გზას.

— ყველა ნორმალური ადამიანი ასე გააკეთებს, — დაეთანხმა სართელი მეგობარს, — როგორც მე მივხვდი, არც მომქმედ კანონიერ ქურდს აწყობს ეს საქმე, მაგრამ მათი მომქმედი „კანონმდღებლობა“ აიძულებს, რომ ბოლომდე ერთგული დარჩეს. ასეთი „საქმიანობა“ ადამიანს ახალგაზრდულ წლებში იზიდავს, ქრისტიანულ ენაზე ამას ხიბლი ჰქვია, როდესაც ადამიანი ფიქრობს, ამ შემთხვევაში „კაი ბიჭის“ პოზიციიდან, რომ ის კარგად იქცევა, ჰქვიანი და ნიჭიერია. ეს ყველაფერი ემყარება სულიერ ამპარტაცნებას, ანუ ცოდვას, რომლითაც პირველი ანგელოზი დაეცა. გამოდის, რომ მათი მოქმედება ეშმაკისეულია და სიკეთეს არ მოუტანს ადამიანებს. ამ უკანასკნელთა გასამართლების უფლება მხოლოდ ღმერთსა აქვს და არა სატანას. შენ, ჩემო მაღაზაზ, ისიც გეცოდინება, როგორი წესით აწყობენ კანონიერი ქურდები ადამიანთა ეგრეთწოდებულ „გასამართლებას“?

— კი, მეტ-ნაკლებად, — უპასუხა წულუკიძემ, — ქურდული კანონით ყველა პატიმარი ვალდებულია ზონაში მისვლისას ახსნას ჩადენილი დანაშაულის მიზეზი. პრაქტიკით დადგენილია, რომ პატიმარი ქურდებთან უფრო მეტი გულწრფელობით ხსნის თავის დანაშაულს, ვიდრე სასამართლოს წინაშე. ზონის „სასამართლო“ კოლეგიაში ერთიანდებიან ზონაში მყოფი „კაი ბიჭები“, ხოლო საბოლოო სიტყვა „მოსამართლეს“ ანუ ამ

შემთხვევაში ქურდს ეძლევა, რომელსაც ეგზაგნება „ქსივა“, რის საფუძველზეც იგი აკეთებს საბოლოო დასკვნას. ნებისმიერ შემთხვევაში პატიმარი ვალდებულია დაემორჩილოს ქურდის „განაჩენს“ სწორედ ამაზეა დამოკიდებული იგი „კაი ბიჭად“ დარჩება თუ „გაფუჭდება“. ქურდებმა წინასწარ იციან, რა მიზ-ეზით ზვდება პატიმარი კოლონიაში, თუმცა აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ფორმით ჩაიდინა დამნაშავემ დანაშაული. ქურდული კანონმდებლობით თუ პატიმარი ქალ-იშვილის გაუპატიურებაზე არის გასამართლებული, დამნაშავე საზღაურად გაუპატიურებული იქნება დაწესებულებაში, ხოლო ტიტულად „პეტუხის“, პომოსექსუალისტის წოდებას იღებს. მოკლედ ნებისმიერი დანაშაული ითხოვს ქურდების წინაშე ახ-სნას, მნიშვნელობა არა აქვს მის სიმძაფრეს, ნემსის ქურდიდან დაწყებული, ნამოქმედარი უნდა გამარტოს, წინააღმდეგ შემთხ-ვევაში მას „დაჩმორება“ ელის. არსებობს ისეთი ფაქტორე-ბიც, რომლებსაც არც ახსნა შველის. მაგალითად, მკვლელობა ქურდული გაგებით ყოვლად დაუშვებელია ფულის, ქალის ან ტანსაცმლის გამო, ანუ „კაი ბიჭი“ ამას არ უნდა კადრულობდეს. კანონიერ ქურდებში დაშვებულია რეკომენდაციის, პროტექციის გაწევა. თუ ქურდმა პროტექცია გაგიწია, ამ შემთხვევაში შენი უფლებები ხელშეუხებელია. პატიმრის ახსნა-გამარტება თუ არ გამართლდა და აშკარად ცრუობს, ამ შემთხვევაში სასჯელი გაუპატიურებაა, ცემა, ღამის საათებში შეიძლება დამნაშავეს სამართებელი გადაუსვან ან დანით „დაშტირონ.“ ამ საქმის შემ-სრულებლები “კაი ბიჭები” არიან. კანონიერი ქურდები თვლიან, რომ ზონის ცხოვრება მწარეა, მაგრამ რეალობას ვერ გაექცევი, როცა ზონის “ხელისუფლების” მოვალეობას ასრულებს ქურდი, კოლონია კი სახელმწიფო სამყაროს პრიორიტეტია, ძლიერი ყოველთვის ჩაგრავს სუსტს. ქურდული გაგებით, ფული ჯო-ჯოზეთს ანათებს. კოლონიებში, ციხეებში ფული ყველაფერს წყვეტს. ფულით განისაზღვრება შენი მდგომარეობა. თუ ფული გაქვს, კარგს ჰამ და კარგს სვამ. თუ ფული არ გაქვს „ბალან-

დასაც“ შეჭამ და „ქათმებთანაც“ დაწვები. აი, ასეთია მათი სასა-მართლო და აღმასრულებელი „ხელისუფლება“.

— მაგრამ ეს სასამართლო და აღმასრულებელი „ხელისუ-ფლება“, როგორც შენ უწოდებ, მუდმივი ხომ არ არის ზონაში? ზოგი ქურდი თავისუფლებაზეა, ზოგი გადაპყავთ. მე მაინტერ-ესებს გარდამავალი პერიოდი როგორ რეგულირდება ზონაში.

— თუ კანონიერი ქურდი თავისუფლდება კოლონიდან კალენდარული წესით ან სხვა საფუძველზე, ზონა რომ არ „გაწითლდეს“, რაც დიდ უბედურებას, ქაოსს ნიშნავს, საჭიროა ქურდთან ერთად „მაყურებლის“ ყოფნა, რომელიც ვალდე-ბულია დაუკავშირდეს თავისუფლებაში მყოფ ქურდს და რჩევა ჰქითხოს. შემდეგ მოიქცევა ისე, როგორც ქურდი ეტყვის. ხშირ-ად დროებით „მაყურებელი“ უნდა დაელოდოს „კაი ბიჭის“ მოსვლას. ქურდული კანონმდებლობისადმი თავდადება იმაში მდგომარეობს, რომ თუ „მაყურებელიც“ ახლო მომავალში თავ-ისუფლდება კანონიერად, მას არ აქვს უფლება დატოვოს ზონა „უპატრონოდ“, ის უნდა დაელოდოს „კაი ბიჭის“ მოსვლას, ან ჩაიდინოს რაიმე დანაშაული და გაიხანგრძლივოს „სროკი“, ან ადმინისტრაციასთან შეთანხმებით რჩება კოლონიაში, რადგან მასზეა დამოკიდებული კოლონიის სიტუაცია, ქურდები ღრმად არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი სამყარო უფრო სუფ-თა და პატიოსანია, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრება. ქურ-დობაზე პრეტენზიას ყველა „კაი ბიჭი“ აცხადებს და თვლიან, რომ ქურდობა თანდაყოლილი კი არ არის, არამედ ის უნდა მოი-პოვო, რის გამოც ეკლიან გზაზე უნდა იარო, ციხეები „ხეხო“, „მაგრამ მთელი სიამოვნება ისაა, ამას რომ მიაღწევ და ამაყად გადმოხედავ შენს სამფლობელოს, ამაშია მთელი „მუდამი“. ასე თვლიან კანონიერი ქურდები, სწორედ ეს „მუდამია“ ის ხიბლი, რომელიც შენ საუბარში ახსენე, ერთ-ერთი უდიდესი ცოდვის – ამპარტავნობის საფუძველთა საფუძველი. ეს ქურდებს არაფრად მიაჩნიათ, თუმცა ზოგიერთი მათგანი თავს დიდ მორწმუნედ თვ-ლის, მაგრამ ამ თემას ცოტა მოგვიანებით შევეხოთ.

— კარგი, გეთანხმები, რელიგიურ საკითხებზე მოგვიანებით ვისაუბროთ, — თქვა ლევანმა და თან ჭიქები შეავსო ღვინით, — მაგრამ შენ ერთი ეს მითხარი, ამ ბოლო დროს ქურდულმა ტრადიციებმა ცოტა „პერესტროიკა“ ხომ არ განიცადა?

— ცოტა კი არა, საკმაოდ. ძველი ქურდული წესების მიხედვით, სამოცდაათიანი წლების ბოლომდე ქურდის ტიტულის მოპოვება შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც „კანდიდატს“ მინიმუმ ერთი წელი მაინც ექნებოდა გატარებული ციხეში. ძველი „ქურდული“ სამყაროს წარმომადგენლები ამჟამად გამოოქამენ სინანულს, რომ ძველი ტრადიციები ირლვევა და ამჟამად ინათლებიან ქურდული წესებით ისეთებიც, ეკლიანი მავთული კინოშიც რომ არ უნახავთ. ტრანსფორმაცია განიცადა ოვით ქურდული ნათლობის რიტუალმაც. წინათ იკრიბებოდა ათი-თხუთმეტი ქურდი, მათ შორის აუცილებლად ისინიც, ვინც ახალ „კანდიდატს“ წარუდგენდა „სხოდკას“ და მომავალში გარკვეულწილად პასუხს აგებდა მისი მოქმედებების გამო. ისინი განიხილავდნენ „კანდიდატის“ ბიოგრაფიას, მის ხასიათს, ოვისებებს, ნებისყოფას, ნიჭეს. თუ დამსწრენი დარწმუნდებოდნენ, რომ ეს ადამიანი ღირსეულად გააგრძელებს მათ ტრადიციებს, იწყებოდა ფიცის მიღების რიტუალი. დამნაშავეთა ასეთი „ძმა“ დაახლოებით ასეთ ტექსტს წარმოთქვამდა: „პატიმრად ყოფნისას მტკიცედ გადავწყვიტე, დავადგე ქურდობის გზას და თანასწორთა წინაშე ვფიცავ, რომ ვიქები ღირსეული ქურდი, არასოდეს ვითანამშრომლებ ჩეკისტებთან.....“ და ასე შემდეგ. ახლად ნაკურთხ ქურდს ყველა სათითაოდ მიულოცავდა და და ყველაფერი ეს ზომიერი პურ-მარილით გვირგვინდებოდა. თანამედროვე ეტაპზე ქურდულ სამყაროში შეღწევა ძალზედ გაიოლდა, რის ძირითად მიზეზსაც წარმოადგენს მერყევი ლეგენტების მოხვედრა „სამმოში“. ამას მოწმობს ის, რომ ქურდული ნათლობა მიმდინარეობს ერთი-ორი ქურდის თანდასწრებით და როგორც წესი არა დარიბულ ატმოსფეროში, არამედ ფეშნებელურ რესტრორნებში. ამასთან, კანონიერი ქურდის გვირგვინის მოპოვება შეუძლია ყველას, ვინც კი ამისათვის გარკვეულ

თანხას გადაიხდის. ბოლო წლებში ასეთი წესით მონათლული ქურდების დიდი ნაკადის ექსპორტი ხორციელდებოდა საქართველოდან თანამეგობრობის ქვეყნებში. კანონიერი ქურდების უარგონული სიტყვები ზუთი ათას სიტყვასა და გამონათქვას მოიცავს და ძირითადად რუსული ტერმინოლოგით გამოითქმება, ანდა ებრაულ-ბოშური ფუტე აქვს. ამიტომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ქურდული სამყარო აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის ქურდული სამყაროს „სამართალმემკვიდრედ“ და ქართველმა ქურდებმაც რუსეთს მიაშურეს, რა თქმა უნდა, ლიდერობაც ხელთ იგდეს. ამან ქართულ ქურდულ სამყაროში „პადრების“ ერთგვარი დეფიციტი გამოიწვია, რის გამოც ქურდულ თავყრილობებზე ავტორიტეტები იძულებულნი გახდნენ ქურდულად „ეგურთხებინათ“ ბევრი ჯერ კიდევ გამოუცდელი ქურდული ტრადიციების მატარებელი პირი, რომელთა უმრავლესობამ გაღატაგებულ თანამემამულეთა ძარცვას შედარებით მდიდარი უცხოელების გაქურდვა არჩია და რუსეთსა და ევროპას მიაშურა. აღნიშნულმა გარემოებამ საგრძნობლად შეასუსტა ქართული ქურდული სამყარო. ჩვენში გავრცელებულმა კორუფციამ თავისი ქნა – ფულის შოვნის, ქურდობისაგან შედარებით უსაფრთხო გზები გამოაჩინა. რატომ უნდა გადაიტყვაოს მუცელი კაცმა ბინაში გადაძრომით ან სიცოცხლის საფასურად რისკზე წავიდეს, როცა შეუძლია რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში შევიდეს და უმაღლესი ორგანოების კაბინეტში მოთავსდეს და მერე იშოვე ფული, გინდა ხალხის და გინდა ბიუჯეტის ძარცვით.

– გამოდის, რომ „ქურდული სამყარო“ გაიხლიჩა, – ჩაერთო საუბარში ლევანი, – „კანონიერი ქურდები“ სიტუაციას ვეღარ აკონტროლებენ, ანუ მათი სიტყვებით რომ ვთქვათ „პალაენიას“ ვერ აყენებენ. მათ ხომ მკაცრი მოთხოვნები აქვთ. მაშ, რაშია საქმე?

– ძველი ქურდული მკაცრი წესებით, ქურდს ევალებოდა შეესრულებინა შემდეგი რამდენიმე მოთხოვნა:

უპირველესი – ქურდობის როგორც იდეის მკაცრი დაცვა, ამ ძირითადი პრინციპის დარღვევისათვის ქურდს ვერავინ გაამა-

როლებდა, თუნდაც დამნაშავეს შეცდომა დაშვებული ჰქონოდა სიმთვრალეში ან მძიმე ავადმყოფობისას.

ქურდს არ უნდა ჰქონოდა არავითარი საზოგადოებრივი თუ ოჯახური ფუნქციები. სამართლიანობა უნდა დაეცვა საკუთარ კოლეგებთან მიმართებაში. დაუშვებელი იყო ქურდის მიერ ქურდის შეურაცხყოფა, მით უმტეს სხვათა თანდასწრებით. იკრძალებოდა კოლეგის გაქურდვა.

არავითარი კონტაქტი არ უნდა ჰქონოდა სამართალდამცავ სისტემასთან, განსაკუთრებით იკრძალებოდა სასამართლოში მოწმედ ან მოსარჩელედ გამოსვლა.

საპატიმრო ადგილებში სავალდებულო იყო ქურდული კანონებით წესრიგის დაცვა. პირველი შესაძლებლობისთანავე აუცილებელი იყო ციხიდან გაქცევა.

ახალგაზრდათა შორის საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარება, მათი მოზიდვა და დაინტერესება ქურდული სამყაროთ, ამის განხორციელება შეიძლებოდა როგორც მათრახით, ასევე მოფერებით.

იკრძალებოდა პოლიტიკაში ჩარევა.

სასურველი იყო აზარტული თამაშების კარგი ცოდნა.

ქურდული საერთო სალაროს, „კატიოლის“ ან „ობშიაკის“ მუდმივი შევსება.

ძველი ქურდული წესით იკრძალებოდა კოლონიაში, ციხეებში ქურდის ფუფუნებაში ცხოვრება. ის ჩვეულებრივი პატიმრის ყოფაცხოვრებისაგან არ უნდა განსხვავებულიყო.

ძველი ქურდული წესით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყოველგვარ სიმბოლიკას, განსაკუთრებით სვირინგებს, დაღებს. მონათლულ ქურდს უფლება ჰქონდა დაემშვენებინა სხეული შესაბამისი ნახატით. ძირითადად ეს იყო: რვაქიმიანი ვარსკვლავი, დანაგაყრილი გული და ჯვარში ჩახატული ტუზი, ნებისმიერი „მასტის“. თუ მსგავს სვირინგს ციხეში არაქურდს აღმოუჩენდნენ, ქურდული კანონით მას მკაცრი საჯელი ელოდა. „მონათლული“ ხშირად იკეთებდა წარწერას „ნე ზაბუდუ მატრადნუიუ“ მაგრამ ეს არა მშობელი დედისადმი სიყვარულს,

არამედ ქურდული ტრადიციებისადმი ერთგულებას ნიშნავდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ბეჭედიც, რომელსაც უწინ ჩვეულებრივი კალისაგან ამზადებდნენ, რომელიც შემდეგ ოქრომ შეცვალა და იკეთებდნენ მარჯვენა ხელის არათითზე. კიდევ ერთი: გარდაცვლილ ქურდს საფლავში დანას, არყით სავსე ბოთლს და კარტის დასტას აყოლებდნენ.

ძველი ქურდული წესის მიხედვით, ქურდი არასოდეს არ უნდა მოიხიბლოს თავისი კოლეგის ქალით, არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს და, ნათესავი თუ უბრალოდ მეგობარი, როდესაც ქურდისათვის მატერიალური დახმარების გაწევა სურთ და ამ მიზნით მის ოჯახში მიდიან, არასოდეს არ უნდა უფრონ კოლეგის დას, მეუღლეს. თვალი უნდა მოარიდონ, სწრაფად უნდა გადასცენ დახმარების საგანი და სწრაფადვე გამობრუნდნენ უკან. საერთოდ, ქურდულ სამყაროში ქალი მეორე, შესაძლოა მესამე ხარისხოვან ადამიანად ითვლებოდა, მაგრამ მათ გამო ბევრი ქურდი გაფუჭებულა.

ძველი ქურდული წესებით ქურდს ეროვნება არ გააჩნია. ის მხოლოდ და მხოლოდ ქურდია, მორჩა და გათავდა. თან ესეც იცოდე, ციხეში სიტყვას „კანონიერი ქურდი“ არავინ იტყვის, ამბობენ „რამკიანიაო“.

— ესე იგი, — შეაწყვეტინა საუბარი ლევანმა მალხაზს, — მთელი მათი ეგრეთწოდებული კოდექსი ძირითადად ამ ცამეტი მოთხოვნის გარშემო ტრიალებს.

— უნდა ტრიალებდეს, ლევან, მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ზოგი რამ კი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის.

— მაინც რას გულისხმობ?

— ქურდული სამყაროს ლიდერებს, ყოველ შემთხვევაში მათ უმრავლესობას, ჩადენილი აქვთ მძიმე დანაშაულებრივი ქმედებები-ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, ძალადობა, ქურდობაზე აღარ ვლაპარაკობ და სხვა. ამავე დროს იწერენ პირჯვარს, ატარებენ წმინდანთა ხატებს, ჯვარცმას და თავს წარმოგვიდ-

გენერმორტუნებად. ეს ყველაფერი ხომ ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მათი ქმედებიდან გამომდინარე, ათი მცნებიდან მეექვსე და მერვე მცნებებს აშკარად არღვევენ. მაში როგორდა უნდა იწამონ მაცხოვარი?

ლევანი დაფიქრდა, ახლა უკვე მას უნდა გაეცა ამ კითხვაზე პასუხი. სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან, გააბოლა და დაიწყო:

— იესო ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი გოლგოთაზე ორ ავაზაკ-თან ერთად აწამეს ჯვარზე. მანამდე კი ებრაელებმა კიდევ ერთ ავაზაკზე, ბარაბაზე გაცვალეს იესო. ამიტომ არის, რომ მას შემდეგ ისრაელი დაეხეტება გზააბნეული დედამიწის ზურგზე თავიანთი გამოხსნილი ბარაბას გზით. ქრისტესთან ერთად ჯვარცმული ერთ-ერთი ავაზაკი, რომელმაც შეიცნო თავისი დანაშაული სიკვდილის წინ მიმართავს მაცხოვარს: „იესო, გამიხსენე, როცა შენს სასუფეველში მოხვალ“. ხოლო „იესომ უთხრა მას: „ჭეშმარიტად გეუბნები, შენ დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში.“

„შავი სამყაროს“ წარმომადგენლების გაგებით, ვინაიდან ქრისტე და ავაზაკი ერთად შევიდნენ სამოთხეში, მათ ანუ შავი სამყაროს წარმომადგენლებს შეუძლიათ ბევრი რამ შესცოდონ, შემდეგ მოინანიონ, რადგან შემთხვევა ასეთ სიტუაციაში სამოთხეში მოხვედრის, მათ გოლგოთაზე უკვე ჰქონდათ.

— მერე წინასწარ გამიზნული ცოდვების ჩადენა უფრო მკაცრად არ ისჯება უფლის მიერ?

— აგაშენა ღმერთმა, ზუსტად ის წარმოთქვი, რის თქმასაც ვაპირებდი. როგორც შენ ამბობ და ასეც არის, თუ „არა კაც კლა“, „არ იქურდო“ წინასწარ არის მათ „კოდექსში“ დარღვეული, ისინი არც სხვა მცნებების დარღვევას მოერიდებიან.

— მაშინ, ჩემო ლევან, დასკვნა ერთია, ან უფლის გზა უნდა აირჩიო ან ბარაბასი. აქვე ჩემს აზრს გეტყვი, მაგათი გაკეთებული საქმე მე ჯერ არ მინახავს. თუ გააკეთებინ კიდევ, მხოლოდ სათავისოდ. თქვენთან კახეთში კარგად ამბობენ „ბევრი ვეცადე შენთვინა, ძლივ გამოვიდა ჩემთვინაო.“

ლევანმა ჭიქებში ღვინო ჩამოასხა, ფეხზე წამოდგა, წულუკიძესაც ანიშნა „წამოდექიო,“ ისე გასწორდა და მოემზადა, რომ კაცი იფიქრებდა გრძელი მონოლოგის კითხვა უნდა დაიწყოს, ჩაახველა, მალხაზს ჭიქა მიუჭახუნა და თვალცრემლიანმა წარმოსთქა:

— ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენ და ყველა ღმერთის მიერ გაჩენილი ადამიანი, რომ ამ ქვეყანაზე ბარაბას გზით ვიაროთ, დიდება უფალს! ჩემო მალხაზ. უფლის გზას და მასზე მიმავალ ადამიანებს გაუმარჯოს.

— ამინ! — უპასუხა ასევე თვალცრემლიანმა წულუკიძემ და ჭიქები ბოლომდე ჩამოცალეს.

XIII

იზოლატორიდან „რესპალნიცაზე“ უგონოდ გადაყვანილი ზუმბო, ნელ-ნელა გამოჰყავდათ მდგომარეობიდან. ექიმებმა იცოდნენ რა, რომ დიდი ფულის პატრონი იყო, ნაბიჯს არ დგამდნენ წინასწარ გადახდის გარეშე. ზუმბოს თავისი ძლიერი ორგნიზმიც წამოეხმარა და ერთ თვეში ფეხზე დადგა. ამასობაში მისი პატრონები გარედან ჩალიჩობდნენ თითქმის ყველა სამსახურებში, რომ ზუმბოსათვის ციხეში ყოფნა შეემსუბუქებინათ. ბოლოს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მას მე-5 იზოლატორში აღარ დააბრუნებდნენ და დაკითხვები მხოლოდ გენერალური პროკურატურის „ვაჟინიაკების“ ნაწილში გაგრძელდებოდა. ზუმბომ ამოისუნთქა. მას იზოლატორს რომ უხსენებდნენ გამუდმებული წყლის ჩხრიალი, ოცდაოთხი საათი ანთებული ნათურა და ფიცარზე საგანგებოდ ჩაჭედებული ლურსმნებიანი ხელჯოხებით ცემა ახსენდებოდა. წინა დღეს გააფრთხილეს, რომ მეორე დღისათვის პროკურატურაში უნდა წაეყვანათ დაკითხვაზე. ზუმბომ მომზადება დაიწყო და ყოველი შემთხვევისათვის „შტირის“ წალება მაინც გადაწყვიტა.

საბადრაგო მანქანა, როდესაც ცენტრალურ გზაზე გამოვიდა, პორკურატურის ნაცვლად, გეზი ისევ მეხუთე იზოლატორისაკენ აიღო. ზუმბომ იფიქრა, შეიძლება მოედნის გავლით აპირებს წასვლასო, მაგრამ, როდესაც მანქანა იზოლატორის ჭიშკარს მიადგა, აქ უკვე ყველაფერი ნათელი გახდა. ზუმბომ იცოდა, რომ წამებას ვერ გაუძლებდა. სასწრაფოდ მოიძია ტანსაცმელში შენიღბულად გადამალული „შტირი“ და ამოულებლად გადაისვა მუცელზე მარცხნიდან მარჯვნივ. მანქანაში სისხლის გუბეები დადგა. აფორიაქებული ბადრაგი ჯერ კიდევ აზრზე არ იყო მოსული. რას წარმოიდგენდნენ, რომ სულ ხუთის სავალ გზაზე ასეთი შემთხვევა მოხდებოდა. საბადრაგო მანქანამ, ახლა უკვე მთელი სისწრაფით გეზი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმართულებით აიღო.

საბედნიეროდ ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა, მაგრამ მის მკურნალობას მინიმუმ სამი-ოთხი თვე დასჭირდებოდა.

ამ ინციდენტმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა „ზევითაც“ და „ქვევითაც“. სიტუაციის ასეთ შემობრუნებას არავინ მოელოდა.

სახელმწიფო კანცელარიაში, ერთ-ერთ პრესტიულ კაბინეტში ორი მაღალიჩინოსანი საუბრობდა. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც ეტყობოდა, რომ ჩინით უფრო დაბალი გახლდათ თავი ჰქონდა ჩაღუნული და ხელის მტევნებს ნერვიულად ატრიალებდა ერთმანეთში. მეორე კი – კაბინეტში ბოლთას სცემდა და დაბალ, მაგრამ აღელვებულ ხმაზე საუბრობდა:

– ის ბადრაგი უნდა ჩაყარო იზოლატორში და ყველას ფრჩხილები დააძრო. ხუთმა კაცმა ხუთას მეტრზე პატიმრის გადაყვანა ვერ შეძლო, არა და იზოლატორში ყველაფერი მომზადებული იყო დასაკითხად, ჩვენი გათვლებით ერთი საათის წამების შემდეგ უკვე ალაპარაკდებოდა.

– რაუდენიჩ! – სცადა საუბრის დაწყება ჩინით დაბალმა.

– შენი ხმა არ გავიგო! შანშიაშვილისაგან ინფორმაციას ამოიღებ. თუ არა და მერე შენს თავს დააბრალე. ჩვენ უნდა ვიცოდეთ გაყიდული იარაღიდან ფული სად წავიდა და აფხაზეთზე

გამოყოფილი ოცდახუთი მილიონიდან თხუთმეტი მილიონი უკვალოდ სად არის გამქრალი.

— ყველა მოწმე მკვდარია, რაუდენიჩ, — მოიკაკვა „დაბალი“, — ეს ზუმბო თუ რაღაც ჯანდაბაა ხმას არ იღებს.

— როდა, რა ფულსაც ვეძებთ ეს შენ კარგად იცი, ისიც კარგად იცი ეს ფული ვისია, თუ ვერ იპოვი შენი დასაღები გახდება.

„დაბალი“ სულ დაპატარავდა.

— შენ კარგად იცი, — მშვიდად განაგრო „მაღალმა“ — რომ ის ოცდახუთი მილიონი დოლარი მაგ შვიდეულში ჩაგდებული იქნა „განხეთქილების ვაშლის“ ფუნქციის შესასრულებლად, რამაც შედეგიც წარმატებულად გამოიღო და შვიდეულმა თითქმის ამოხოცა ერთმანეთი. ეს კერძო ფული იყო, ისიც იცი ვისი. ამიტომ სასწრაფოდ დასაბრუნებელია.

— ვერაფურს ვერ ვტვინავ, რაუდენიჩ, და მოდი თუ გინდა მომკალი. — ამოიხენეშა „დაბალმა“ და შებლი თითქმის მაგიდას დაადო.

— შენ პატიმარი ვერ გადაგიყვანია ხუთას მეტრზე და რისი მომტვინავი ხარ. კარგად მომისმინე ახლა! — შინაურულად თქვა „მაღალმა“ და „დაბალმაც“ ყურები ცეკვიტა, — ჩვენ ინფორმაციას ისევ მაგისგან თუ მივიღებთ, ჩვენი ბედი რომ არ მოკვდა. სანამ ევ გამოჯანმრთელდება, მანამ თქვენ ერთი კაცი გეორლებათ დასამუშავებელი. მისი დამუშავება და დაკითხვები ისე უნდა აწარმოოთ, რომ შემდეგ დაპირისპირების დროს ზუმბო უკვე ფეხზე იყოს, აი, აქ შეიძლება რაღაც ინფორმაცია დავიჭიროთ. ეს კაცი ინფორმაციის მატარებელია „შვიდეულის“ ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. ამასთან გაითვალისწინე მომენტებში ისეთი ფრთხილია, შეიძლება ნებისმიერი რანგის აფერისტი გააცუროს, მაგრამ ზოგჯერ თავისი გულკეთილობისა და მიამიტობის გამო ისეთ გამოუსწორებელ შეცდომებს უშვებს, რომ სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლები არ გააკეთებენ. ის ოცდახუთი მილიონი მაგის ასოციაციაზე იყო გამიზნული, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ეს მას სიკეთეს არ მოუტანდა და ასოციაციის ანგარიშზე დასმული თანხის გადასმა უცბად ბანკი „შვიდეულის“ ანგარიშზე მოახდინა.

— ებრაელია, რაუდენიჩ? — იკითხა „დაბალმა.“

— არა, კახელია. ლევან სართელი. მითითება რომ გვქონდა პატრიოტი ბიზნესმენების ბლოკირების, ხომ გახსოვს?

— ნამდვილად, რაუდენიჩ!

— ჰოდა, აი, მაშინ მოხდა მაგის გაკოტრებაც, თორემ ეგენი რომ მიგვეშვა, დღეს თურქეთის, ირანის და საერთოდ წინა აზიის საქონელი საქართველოს ბაზრიდან განდევნილი იქნებოდა. შენ ძალიან კარგად იცი ეს ქვეყნები სამომხმარებლო ბაზრის დაკავებისათვის რა თანხებს გვიხდიან, ეს კიდევ გაგვიხდა პატრიოტი, გინდა თუ არა ქვეყანაში საკვებად ვარგისი პროდუქტი უნდა შემოვიდესო და კინალამ პურის ბიზნესი ჩაგვიგდო. მასე არ უნდა-თქო და რაღაც პატარა მიზეზის გამო, საქმე „ვაჟნიაკებში“ გადავუგდე, იქ კიდევ ზაურა ქორიძემ თავ-ბედი აწყევლინა. ახლა შენ დაიბარე შენთან ქორიძე და სართელის დამუშავება დაიწყეთ, კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, მიუდექით ამ საქმეს ძალიან სერიოზულად.

— ნამდვილად, რაუდენიჩ! — ამოისუნთქა „დაბალმა“ და ახლა უფროსის წინაშე ფეხზე მდგარი მოიკაკვა. კომუნისტური იერარქიის სახელმწიფო მოხელეები მლიქენელობასა და მასთან დაკავშირებულ არტისტიზმში კაცობრიობის თითქმის ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის წარმომადგენლებს ათი თავით წინ უსწრებდნენ. ეს სახელმწიფო მოხელეც ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელიც გადემოკრატებულ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში დემოკრატივით დადიოდა. თავაწეული გამოვიდა სახელმწიფო კანცელარიის შენობიდან, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან დაავალეს, რომ ვიღაც დაეჭირა, ვიღაც მოეკლა. ოღონდ თვითონ ყოფილიყო კარგად და ნებისმიერ ბინძურ საქმეზე წამსვლელი იყო.

....„მოქალაქეთა კავშირი“ ტაძრისაკენ მიმავალ გზას უსუფ-თავებდა ანტიქრისტეს...

XIV

გენო ჭანკვეტამედა ლევან სართელი თბილისში ლევანის ბინაში
მაგიდასთან ისხდნენ და რაღაც კონტრაქტს ჩაჰკირკიტებდნენ.

— დიდი მოცულობაა, გენო, „ზევიდან“ თითს დაგვიქნევენ.
თან თურქული ფქვილი, გული მერევა მაგათზე. ბიზანტიელების
დედა... მაგათ, რომ ეგ შესანიშნავი ქვეყანა დაუთმეს.

— მაიცა, მაიცა ახლა ნუ გაუბერე შენ და ისტორიაში ნუ გად-
ახტი, — აწიწმატდა გენო, — მოელი ყოფილი საბჭოთა კავშირი
„ფათოლლის“ ფქვილს ჭამს და წუწუნი არ დაუწყიათ. რაც შე-
ეხება დიდ მოცულობას ჩვენც პატარა პარტიებით შემოვიტან-
ოთ, ვინ გაიგებს?

— გაიგებს, მა რას იზამს, ტო, — ანერვიულდა ლევანი, — ამ
შობელძაღლებს ბაზარი იმ დონეზე აქვთ გაჯერებული, რომ
ზედმეტი პროდუქტის შემოზიდვას ბარომეტრივითა გრძნობს
და ფასებს ურევს. თანაც ის თურქი პატარ-პატარა პარტიებში
ფასებს არ დააკლებს.

— მაგ საკითხებს მე მოვუვლი, შენ ფულზე იმუშავე თუ ძმა
სარ. — დააწყინარა გენომ ლევანი და კონტრაქტის მუხლების
კითხვა განაგრძო.

— თანხა რამდენი გვინდა?

— ორმოცდათექვსმეტი ათასი დოლარი წინსწრებით, დანარ-
ჩენი კონსიგნაციის წესით, დაახლოებით მილიონამდე.

— კაცო, გენო, შენი მიკვირს, გარანტიები არა გვაქვს, რომ
გადაგვადონ?

— ლევან, მაგათან წლების განმავლობაში ვმუშაობთ, იაღლ-
იში არ გაუკეთებიათ, ახლა მით უმეტეს სიძე-სიმამრი გახდნენ,
ვარიანტი არ არსებობს.

— მაშინ თანხას შენს ანგარიშზე დავსვამ სტამბოლში და პი-
რადად აკონტროლე ხარჯვა, რისკიც მინიმალური იქნება.

— კი ბატონო.

— მაგრამ ფული ვის გამოვართვათ?

— დატრიალდი, ტო, ქვეყანა ხალხს იცნობ, გაერო-მაეროებ-ში, საპარტნიორო ფონდებში და კიდევ ვინ იცის სად.

— თუ გადაგვყარეს მაგ აჭარლებმა, ტრიალი მერე ნახე შენ. მაგრამ რას იზამ, ძმაო, მშივრები ხომ არ დავიხოცებით, მართლა ჭამაზე გამახსენდა, — თქვა ლევანმა და თან საათს დახედა, — ვისადილოთ, თორებ გამბვრა სული, სოფო! გვაჭამე რა რამე.

სოფოს მეორე ოთახიდან გამოსვლა შეაგვიანდა, ბოლოს როგორც იქნა გამოჩნდა, ხასიათზე არ ჩანდა. გენობ და ლევან-მა ორივემ ერთად შეხედეს და თითქმის ერთი და იმავე დროს ჰკითხეს:

— რა არი, სოფო, მოხდა რამე?

— უშანგი სეფერთელაძე და ვიღაც მერაბი ავარიაში მოყოლილან და ადგილზევე გარდაცვლილან, ახლახანს დარეკეს. ლევან, მერაბი ვინ არის?

— ეგ არის ვინც არის, ქილერია. ჩვენგან ერთხელ ფული წაიღო. გახსოვს?

— ჰოო, გამახსენდა.

— მოყნენ ავარიაში თუ მოაყოლეს, ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, — თქვა გენობ, — მაგათ იმდენი ცოდვა ედოთ კისერზე, ღმერთმა აქამდე ცოცხლები რომ ატარა საკვირველია.

— ღმერთმა აცხონოს მათი სულები, დიდია უფალი, ყველას აქეს საშუალება, რომ ამ ქვეყნიდან გასგლამდე მოინანიონ ცოდვები. მაგათ ეს გააკეთეს თუ არა, არავინ იცის.

— ისე, ლევან, შენ ვინც ცუდი გაგიკეთა, ყველა იბრიდება, ტო, — თქვა გენობ და სიგარეტს მოუკიდა, — რაღაც ღვთიური ძალაა შენში.

— ეჭ, კარგი რა, გენო, შენი შაყირი მინდა კიდევ, ჩემზე ცოდვილი ადამიანი ამ დედამიწის ზურგზე თუ კიდევ დადის, ეჭვი მეპარება, — თქვა ლევანმა და ლოვიაში დაიწყო წინ და უკან სიარული, — ერთი აზრი მომივიდა თავში, ეკლესიაში უნდა წავიდე, უფალს სანთელი დავუნთო და შევვედრო, რომ ამ ხალხს, ვინც მე ცუდი გამიკეთა, სიკვდილით ნუ დასჯის, ან გაჭირვება ან

რაიმე ამქვეყნიური სატანჯველი აჩვენოს, იქნება ჭკუაზე მოვიდნენ და გამოსწორების გზას დაადგნენ.

— წავიდეთ, — შეუერთდა ლევანის წინადაღებას გენო, — მეც დავანთებ სანთელს, რაც შეეხება შენს ბოლო აზრს, რომ უფალი შანსს აძლევს ადამიანებს ცოდვების მონანიებისა, როგორ არ აძლევს, მაგრამ ზოგიერთი ისეთი ახვარია, მაგათ მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს.

ლევანი და გენო ოც წუთში სამების ეკლესიაში იყვნენ. გენომ ერთი დიდი სანთელი იყიდა და ღვთისმშობლის ხატთან დაანთო, ხოლო ლევანმა სამი საშუალო ზომის სანთელი დაანთო უფლის ხატთან და სთხოვა, რომ მისი მისამართით ცოდვის ჩამდენი ადამიანების მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანა შეეწყვიტა. გენო და ლევანი კარგა ხანს იყვნენ ეკლესიაში, შემდეგ გამოვიდნენ, ჩასხდნენ მანქანაში და აჭარლებთან შესახვედრად წავიდნენ.

გოგი უივაძე, გენოს და ლევანის პარტნიორი, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის მკვიდრი გახლდათ. ერთი შეხედვით სადამ ჰუსეინს წააგავდა, თუ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის შარვალ-კოსტუმშა და ჰალსტუხში გამოაწყობდით. რუსეთსა და თურქეთში ხანგრძლივი მივლინებების გამო, მის ქართულ საუბარს ხან თურქული და ხან რუსული აქცენტი გასდევდა. როგორც კი გენოს და ლევანს დაინახავდა, უივაძე მაშინვე ტელეფონის ყურმილს იღებდა და თავის სიმამრს თამაზ კონცელიძეს ესაუბრებოდა სტამბოლში. ამ უკანასკნელს იქ დიდი ოფისი ჰქონდა და გოგის გადმოცემით საქმეები კარგად მისდიოდა. თამაზი და გოგი ხანგრძლივი პარტნიორობის შემდეგ ერთმანეთის მძახლები გახდნენ, გოგიმ ცოლად თამაზის ქალიშვილი მოიყვანა, თუმცა ასაკში საკმაოდ დიდი განსხვავება იყო, მაგრამ ეს არც ერთ ოჯახში არ იგრძნობოდა, გარეგნულად ყველანი გახარებული იყენენ ახალგაზრდა ოჯახის შექმნით. დამძახლებამ, თავის მხრივ უკვე სიძე-სიმამრის ბიზნესის სფეროების გაფართოება გამოიწვია. ახლა გოგი სიმამრს ელაპარაკებოდა სტამბოლში და ფქვილის მოწოდების ნიუანსებს უთანხმებდა.

მოლაპარაკების შემდეგ სახელშექრულებო პირობები ორივე მხარემ დაადასტურა და შესაბამისი დოკუმენტიც შედგა. სტამბოლში გოგი და გენო უნდა წასულიყვნენ. ლევანს სტამბოლიდან მოწოდებულ გენოს პირად ანგარიშზე უნდა ჩაერიცხა ორმოცდათექვსმეტი ათასი დოლარი, ფქვილის გადმოტვირთვის წინასწარი სამუშაოების ჩასატარებლად, ხოლო თანხა უნდა გახარჯულიყო გენოს პირადი კონტროლის ქვეშ.

გენო და გოგი სტამბოლში სექტემბრის დასაწყისში გაემგზავრნენ, ერთი კვირის გამავლობაში, მათ მიერ მოწოდებულ ანგარიშის საფუძველზე, ლევანმა ორმოცდათექვსმეტი ათასი დოლარი, რომელიც თავისი ნდობის ქვეშ საპარტნიორო ფონდიდან ჰქონდა აღებული, გენოს ანგარიშზე გადარიცხა, ხოლო თვითონ დაიწყო სასაწყობო მუურნეობების ძებნა საქონლის მისაღებად.

დღე დღეს მისდევდა, კვირა-კვირას, მაგრამ სტამბოლიდან დაპირებების მეტი არაფერი ისმოდა. მივლინებაში წასვლის ერთი თვის თავზე ლევანმა გენოს ტელეფონით დაურეკა სტამბოლში:

— გენო, ბევრსა ვფიქრობ ამ საქმეზე და რატომლაც მგონია, რომ ეგ სიძე-სიმამრი არაფრის გამკეთებლები არ არიან.

— რა ვიცი, ლევან, თამაზი ამჟამად მოსკოვშია და ყოველ მეორე დღეს მიკავშირდება, ბოდიშებს მიხდის ოპერაციის დაგვიანებისათვის, დღე-დღეზე ჩამოვალ და დავიწყოთო.

— ჰოდა, შენც ფული უკან გადმორიცხე და როცა ჩამოვა მერე გადავრიცხოთ ისევ.

— ფული როგორ გადმოვრიცხო, უკვე მივეცი.

— რაო! — თითქმის იკივლა ლევანმა და კინალამ ყურმილი ხელიდან გაუვარდა, — სად? როდის? რატომ? — მიაყარა კითხვები სართელმა.

— როგორც ანგარიშზე დაჯდა, იმავე დღეს გაიტანეს, საქმეს ვიწყებთო.

— კაროჩე, გენო, გადავხტით, ფული რამ მიგაცემინა, ტო!?

— არა, ლევან, გამორიცხულია, სერიოზული ხალხია, შენ ხომ იცი, მე აქედან ისე არ წამოვალ.

სართელი გენოს აღარ უსმენდა, ახლა მას მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში, თუ როგორ ამოელო ეს დაკარგული ფული. ჯერჯერობით მოცდა არჩია, იქნებ რამე შეიცვალოსო, მაგრამ ერთი თვის გასვლის შემდეგ, კონცელიძე ისევ მოსკოვში იჯდა, ჩვეულებრივი სიმშვიდით ბოლიშებს უხდიდა გენოს, პირდებოდა მალე ჩამოსვლას და საქმის დაწყებას. უივაძე გენოსთან ერთად ვითომ ელოდებოდა სიმამრის ჩამოსვლას და ასე მიყვებოდა დღე დღეს, კვირა კვირას და თვე თვეს, ალბათ ეს ყველაფერი დაუსრულებლად გაგრძელდებოდა, რომ გოგი უივაძისთვის კრიმინალებს არ ჩაეყითხათ სტამბოლში ძველი ვალების მოსაკითხად. უივაძე მაშინვე საქართველოში გამოიქცა, მიატოვა გენო ჭანკვეტაძე ბედის ანაბარა და რომ არა გენოს ძველი ნაცნობობა, შეიძლება ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრებულიყო. როგორც კი გაიგო ლევანმა უივაძის ჩამოსვლა საქართველოში, მაშინვე ქობულეთში გაემგზავრა. სოფელ ხუცუბანში ასვლამდე ბაზარში შეიარა სიგარეტის საყიდლად. ლევანს ამ პერიოდში უქიმისგან სიგარეტის მოწევა აკრძალული ჰქონდა, ამიტომ ეწეოდა „კენტს“, ისიც „სუპერ ლაიტს“. სიგარეტის გამყიდველს ისე გაეხარდა კლიენტმა ეს სიგარეტი ორი ბლოკი რომ შეიძინა, რადგან ქობულეთში ამ სიგარეტს არავინ ყიდულობდა, ხალისიანად გამოელაპარაკა სართელს, ლევანმაც საპასუხო კითხვა დაუსვა:

- სიძე-სიმამრს კონცელიძე-უივაძეს თუ იცნობ?
- მაგ აფერისტებს ვინ არ იცნობს, მთელი ქობულეთის ვალები აქვთ.

ლევანს სიმწრისაგან ტანში გააურჟოლა. ორი კაცი გამოაგზავნეს მათი საქმიანობის გადასამოწმებლად ქობულეთში და ორივემ დადებითი დახასიათება ჩაიტანეს თბილისში სიძე-სიმამრის საქმიანობის შესახებ. ეს უცნობი კი ასეთ შეფასებას აძლევდა კონცელიძე-უივაძის ტანდემს სულ უცხო პიროვნებასთან.

- მართლა აფერისტები არიან, კაცო? თუ მაშაყირებ? — ღიმილით გაუმჟორა კითხვა სართელმა სიგარეტის გამყიდველს.

— აგერ პურს გეფიცები, — თქვა სიგარეტის გამყიდველმა და იქვე მდგარ პურის გამყიდველის წინ გაშლილ პურებს დაადო ხელი, — მაგენი ჩემი მეზობლები არიან და შენ მასწავლი მაგათ. ხუსკაი ცეცხლაძე ისე მეისროლეს სამას ათას დოლარში, დღესაც მოსაკლავად დასდევს, მარა რად გინდა, ვერ პოულობს, და თუ საიდუმლო არ არის, თქვენ რამდენში გადაგადეს?

— ჩვენ ჯერ არ დაგვიწყია მათთან მუშაობა, — იცრუა ლევანმა, — მოსაკითხად ჩამოვედით, გვინდა გავიგოთ ვინ არიან.

— აპა გადარჩენილ ხართ და აგია, არ გეეკარო მაგათ, მალე ის ჯიბიდან გაგარდნილი კონცელიძე ამ თავის სიძესაც დააჭერინებს.

— ეგ როგორ?

— როგორ და მაგ გაფუჭებულ კაცს, კონცელიძეს, თურქების ვალი ჰქონდა ოთხმოცი ათასი დოლარი. ვერ იხდიდა. თურქი მოსაკლავად დასდევდა. ამ დროს მოსკოვიდან ახალი ჩამოსული იყო უივაძე, რაცხა მოპარული თუ მოტაცებული ფული ჰქონდა, უთხრა კონცელიძეს მომათხოვე შენი თხუთმეტი წლის გოგო და ვალს გაგისტუმრებო. ამ აბდალმა, არც დაფიქრებულა, გამეიყვანა სკოლიდან ბოვშვი და ოუფვანა სახლში. ვალი რომ გეისტუმრა და ცოტა ჭკვაზე მეგიდა, მერე მიხვდა, რომ შვილი გაყიდა და დოუწყო ბრძოლა თავის სიძეს. რაფერც ჩვენ გევგეთ, ვინცხა თბილისლებთან გუუფორმებიათ ხელშეეკრულება. ხელი უივაძეს მოაწერინა, ხოლო თვითონ ფული წუულია და მოსკოვში დიმალა. იციან თბილისლები არ შეარჩენენ უივაძეს გადაგდებას და დააჭერინებენ, კონცელიძე კი თავის შვილს მოკიდებს ხელს და სახლში წეიყვანს.

— ან ხელმეორედ გაასხვისებს. — დაამთავრა წინადადება ლევანმა.

ბაზრიდან სართელი დამდუღრული გამოვიდა, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. პირადი ანგარიშსწორების მიზნით პარტნიორების გამოყენება, ასეთ რამეს ბიზნესის ვერც „პროფესორი“ ვერ გათვლიდა. გულში მაინც იმედის პატარა ნაპერწკალი ჰქონდა, იქნებ მთლად ასე არ არისო, მაგრამ საუბელუროდ ყველაფერი მართალი იყო.

ლევანმა ტაქსი დაიქირავა და დაადგა სოფელ ხუცუბნის გზას. ხუცუბანი თითქმის ქობულეთზე მიბმული, მაგრამ საკმაოდ დიდი სოფელია, გაშლილია მდინარე კინტრიშის ორივე ნაპირზე და აშკარად ეტყობოდა, რომ აქ კომუნისტების დროს საქმიანობა „დუღდა“. უიგაძის სახლი თითქმის სოფლის ბოლოში იდგა, ორ-სართულიან, ნახევრად გარემონტებულ სახლს ეტყობოდა, რომ პატრონი არ ჰყავდა. ლევანი გოგი უიგაძესთან შესახედრად სახლის სხვა შესასვლელიდან შეიყვანეს. სართელი მიხვდა, რომ იგი მევალეებს ემალებოდა. უიგაძე დიდი ხნის მონატრებული ძმასავთ შეხვდა ლევანს. უმტკიცებდა ერთი და იგივეს ასჯერ, რომ მისი სიმამრი მათ არ გადააგდებდა, ის არ იყო ასეთი და ისეთი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

— გოგი, — დაიწყო ლევანმა, — შეიძლება მე ძველმოდური ბიზნესმენი მიწოდო, მაგრამ პირდაპირ გეტყვი, არა მჯერა არც შენი და არც შენი სიმამრის.

— რატომ? — ვითომ გაოცდა უიგაძე.

— იმიტომ, რომ ვის გაუგია პარტნიორი შუა გზაში მიატოვო, შენ აქეთ საქართველოში გამოიქცე და შენი სიმამრი — მოსკოვში. ამას სხვაგარად, ბოლიშს ვიზდი და, უზნეობა ჰქვია.

— ლევან, ჩვენ გენო დროებით დავტოვეთ სტამბოლში. რა-დაც პრობლემები შეგვექმნა და სულ მალე ყველანი ისევ იქ შე-ვიკრიბებით.

— რაღაც მეეჭვება თქვენ სტამბოლში ჩახვიდეთ.

— რატომ? — გაეღიმა უიგაძეს და სიგარეტს მოუკიდა.

— იმიტომ, რომ თქვენ იქიდან გამოიქცით.

— ჰა! ჰა! ჰა! — ნაძალადევი სიცილი დიდხანს გააგრძელა გოგიმ, — ვიღაცამ არასწორი ინფორმაცია მოგაწოდათ, ლევან. ეს ასე არ არის.

— თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ დაუტოვეთ გენოს სასტუმროს ვალი რვაასი დოლარი გადასახდელად? შენი სიმამრის ოფისის გადასახდელი თანხა შვიდი ათას დოლარს შეადგენს და შენობის მეპატრონები შენ ცალკე გეძებენ და შენს სიმამრს

ცალკე. ვიღაც ჩეჩენის ვალი გქონიათ ოთხი ათასი დოლარი. ისინი ცალკე დაგეძებენ კიდევ. ამას ყოველივეს რას დაარქმევდი?

აქ უივაძეს აშკარად შეეტყო, რომ სახე შეეცვალა, ეს ინფორმაცია თუ სართელს ექნებოდა, ამას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ თაღლითი რის თაღლითია, თუ მდგომარეობიდან გამოსავალი ვერ ნახა. უივაძემ სიგარეტი ძალიან ნელი მოძრაობით ჩააქრო საფერფლები, შემდეგ წელში გასწორდა და დინჯად დაიწყო საუბარი:

— ეს ვალები ნამდვილად არის დარჩენილი, მაგრამ ჩავაძლთ და გადავიხდით. ეს იმათ ჩვენზე უკეთ იციან. თურქები ჩვენ გვენდობიან. აი, ნახავ, ლევან, ყველაფერი როგორ კარგად დამთავრდება.

— ის კაცი გამომაყვანინეთ სტამბოლიდან, მერე ჩემი ფული დამიბრუნეთ და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ თქვენი თურქებიც და თქვენი მძახლობაც.

ლევანი ქობულეთიდან იმ პირობით წამოვიდა, რომ ერთ კვირაში უივაძე ყველა საკითხს დაარეგულირებდა და ერთმანეთს ტელეფონით დაუკავშირდებოდნენ.

XV

„აჭარის დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ — ასეთი სიტყვები გაგიჩნდებოდა გონებაში, მას შემდეგ, რაც ჩოლოქის გამშვებ პუნქტს მიადგებოდი. შემოწმება ხდებოდა ყველა იმ პროცედურების დაცვით, რაც ერთი ქვენიდან მეორეში გადასვლისათვის იყო გასავლელი. მხოლოდ ერთი განსხვავებით, შეიძლება საბუთები სისრულეში ყოფილიყო, მაგრამ მებაჟეს ან პოლიციელს არ მოსწონებოდი და საერთოდ არ შეგიშვებდა აჭარის ტერიტორიაზე. ყველა გამშვებ პუნქტს რომ გაივლიდი, შემდეგ ქობულეთის რკინიგზის სადგურამდე უნდა გაგევლო ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე გრძელი ქუჩა, რომლის სიგრძე დაახ-

ლოგბით თოთხმეტ კილომეტრს უდრის. გზაზე შეგხვდებოდა ხუთი ან ექვსი საგზაო პოლიციის პუნქტი, რომელთა თანამშრომლებისთვის, იმ მიზეზით, რომ თქვენ უკვე სუნთქავდით ქობულეთის ჰაერს, საპატივცემულოდ ათი ლარი მაინც უნდა დაგეტოვებინათ, თუ არა და შეიძლება თავი პოლიციის განყოფილებაში ამოგეყოთ, საიდან გამოშვებაც უფრო ძვირი ჯდებოდა.

ვინაიდან აჭარის ტერიტორიაზე დამოუკიდებლად საპრეზენტო საქმეების მოგვარებაც საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ლევანს საახლობლო წრიდან გააცნეს ერთი შეახნის ქობულეთელი კაცი, კუკური ბერიძე, რომელსაც ფხიზელ მდგომარეობაში ძალიან სიმპათიური მამაკაცის შეხედულება პქონდა, ხოლო არაფხიზელ მდგომარეობაში საერთოდ აუტანელი იყო. მიუხედავად ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისა, ვინც მას იცნობდა, ყველა დიდ პატივს სცემდა. ერთი ამას ხსნიდნენ იმით, რომ იგი წარმოადგენდა „აბგ“-ს (აბაშიძე-ავტონომიის მეთაური, ბლადაძე-მისი სიდედრი, გოგიაზიძე-მისი მეუღლე) სრულუფლებიან წევრს, ხოლო მეორენი-მისი შინაგანი კაცური ბუნებით.

— კუკური ბერიძისათვის რომ გეკითხათ, სადაური ხარო, სწრაფად და უყოფანოდ გიპასუხებდათ — ქობულეთელიო.

— როგორ ქობულეთელი, ესე იგი აჭარელი?

— არა, ქობულეთელი.

— ესე იგი გურული?

— არა ქობულეთელი.

— კი, მაგრამ ეს ქობულეთლები ცალკე კუთხეა?

— მაგი შენ გაარკვიე, ძამა.

— გურულების ენაზე რომ უქცევ, ეს რას მივაწეროთ?

— რას და დედა მყავდა გურული, ჩხაიძის ქალი იყო ცხონებული, ასე რომ, თუ ჩემი ანატომიაც გაინტერესებს, წელს ზეით გურული ვარ, წელს ქვეით აჭარელი.

— ახლა არ თქვი, აჭარელი არ ვარო?

— მონათლული ვარ ჭო აჭარულად წელს ქვეით, დაა.

— ისე კაი გასაძლები იქნები, კუკურა, შენ ოჯახში.

— რავა არ უნდა გამიძლონ? გითხარი დედაჩემი ჩხაიძის ქალი იყო-თქო. ორი ძლიერი გვარია გურიაში, ერთი სიხარულიძე, ხოლო მეორე ჩხაიძე, თუ სიხარულიძის ქალმა მდელოზე მოფ-სა, იქნებალახი ერთი წელი არ ამოვა, ხოლო თუ ჩხაიძის ქალ-მა ქნა ეგი — ხუთი წელი ბალახის ნასახს ვერ ნახავ.

ნელა-ნელა ალბათ ხვდები, მკითხველო, რა პიროვნება უნდა ყოფილიყო კუკური ბერიძე. გეგონებოდა სიმხიარულე მისი მოგონილი ყოფილიყოს, არ მოგაწყენდა. არ ჰქონდა, იშოვიდა და უპატივცემულოდ არ დაგტოვებდა, იუმორით აღსავსე და გულჩილი კაცი იყო. ზოგჯერ იმდენს ტიროდა სიმთვრალეში, რომ მეორე დღეს მოშარდვა უჭირდა. ერთი სიტყვით კაცი იყო, რომელსაც გამოსაცნობად, ილიას თქმისა არ იყოს, წინ კაცურის დამატება არ სჭირდებოდა. კიდევ ერთი უცნაური თვისება ჰქონ-და, თვეში ერთხელ ოთხასი-ხუთასი გრამი სისხლი რომ არ გამოელო ორგანიზმიდან, შეიძლება მის სიცოცხლეს საფრთხე შექმნოდა. ქობულეთის საავადმყოფოში ყოველთვე ექიმებთან დაახლოებით ასეთი დიალოგი იმართებოდა:

— დაგვანებე, კუკურა, თავი ახლა, არ გვინდა სისხლი.

— გამეიღე ახლა სისხლი თუ არა მოგვეტები და ჩემი დასა-ფლავების ხარჯები მთლიანად შენ დაგაწვება.

— არ მოკვტები.

— მოვაკტები, გელაპარაკები მე შენ! — აქ წამოენთებოდა ხოლ-მე კუკური და ექიმებიც შეცვლიდნენ საუბრის ტონს.

— სად წევიღო მერე მაი სისხლი?

— გადოუსხი ვინცხას გაჭირვებულს უფასოდ, მე ფულს ხომ არ გთხოვ.

— ვის გადოუსხა. შენნაირი გადარეულები აკლია კიდევ ქობ-ულეთს?

ბოლოს, რა თქმა უნდა, გამოუღებდნენ ბერიძეს სისხლს და ისიც გათავისუფლდებოდა ზედმეტი ემოციებისაგან. ამის შემდეგ, ფული ჰქონდა თუ არ ჰქონდა, იწყებოდა გადაბმული ქეიფები.

კუკურის გაცნობაც ლევანთან სწორედ ერთ-ერთი ასეთ პატარა სუფრით აღინიშნა. როგორც კი სუფრას მიუსხდნენ, კუკურიმ არყით შეავსო ღვინის ჭიქები, რადგან პატარა ჭიქას თურმე ბავშვობიდან ვერ იტანდა და ამის შესახებ სახლში თურმე წიგნიც ჰქონია, მიუჭახუნა ლევანს, თან დააყოლა:

— ჩვენს გაცნობას გუუმარჯოს, კახელო!

ასეთი ანალოგიური პროცედურა გაიმეორა კიდევ ორჯერ, შემდეგ უკვე თითქმის ერთბოლარაყდალეულმა და შეღაუღა-ჟებულმა კუკურიმ შემოსძახა:

— ჩემი სამშობლო გურიაა...

ეს ნიშნავდა ორ რამეს. ერთი იმას, რომ კუკური ბერიძის მიერ სტუმრისათვის გაშლილი სუფრა გახსნილად იყო გამოცხადებული, ხოლო მეორე — იგი აღიარებდა, რომ მისი სამშობლო მაინც გურია იყო. თუმცა ლევანის და კუკურის ერთობლივი ძალისხმევით მაინც გაარკვიეს, რომ ქობულეთელები აჭარლები არ არიან, ისინი მიეკუთვნებიან გამაჰმადიანებულ გურულებს.

კუკური ბერიძემ ლევანი საკუთარ ოჯახში მიიპატიუა. მას შესანიშნავი მეუღლე და ორი ახლად დაქორწინებული ვაჟი ჰყავდა. მის ოჯახს ემსახურებოდა რუსი ივანე, რომელიც წარმოშობით კურსკიდან იყო, აյ მოსამსახურედ მუშაობდა და ოჯახის მთელ შავ საქმეს ის უძღვებოდა. რუსების დასაქმების ეს ტრადიცია საქართველოს ზღვისპირეთში კომუნისტების დროიდან მოდიოდა. ოჯახების უმრავლესობას ციტრუსებიდან მიღებული შემოსავალი იმდენად დიდი ჰქონდათ, რომ მის მოსავლელად მოსამსახურის და მით უმეტეს მოხეტიალე რუსების დაქირავება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. რადგან კომუნისტების დროს ყოველივე ეს ადამიანის ექსპლოატაციას ნიშნავდა და ისჯებოდა კანონით, ქართველებმა ამას გამართლება მოუძებნეს იმ მოტივით, რომ ასეთი ახლო ურთიერთობანი უფრო „ამტკიცებდა“ ხალხთა შორის მეგობრობას, განსაკუთრებით რუს და ქართველ ხალხებს შორის. კუკურის ივანე ძალიან ძლიერი მუშა იყო. ასი გრამი არყისათ-

ვის შეეძლო ერთი ჰექტარი მიწა დაებარა, ან გაეთოხნა, ან საკ-
მაო რაოდენობის შეშა დაეჭრა და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით კუკური ბერიძეს ოჯახი შესანიშნავად ჰქონდა
აწყობილი. მუდამ მოქეიფე და სტუმრის მოყვარე კაცი ცოტა უფუ-
ლობას განიცდიდა და ხშირად ნერვიულობდა ხოლმე ამის გამო.

რამდენჯერმე ერთად დათრობის შემდეგ, კუკური მივიდა იმ
დასკვნამდე, რომ ლევან სართელი თითქმის მისი ჭკუისა იყო.

— ისე, კახელო, მთლად ჩემი ჭკუისა თუ არა, არც ბევრი აღარ
გიკლია ჩემამდე.

— მერე, მაგით რა გინდა თქვა?

აფერი, დაა, ვიაროთ ჩოლოქიდან სარფამდე და ვატ.....თ
როგორც გვინდა. მერე ბაბუს დააწინაურებენ და ჩვენც გავატ.....თ
ჩოლოქს იქით და ვივლით ასე ამ დუნიაზე.

ბოლოს კუკური ბერიძემ ლევან სართელს მისცა იმის უფლე-
ბა, რომ თუ ვინმე მანქანით გააჩერებდა, ან საღმე კონფლიქტურ
სიტუაციში ჩავარდებოდა, თავის დაღწევის მიზნით ესარგებ-
ლა მისი სახელით, რასაც ლევანი მართლა ხშირად აკეთებდა
და კუკური ბერიძის სახელით მთელს აჭარის ტერიტორიაზე
„მწვანეზე“ დადიოდა.

XVI

მიუხედავად კუკური ბერიძის და ლევან სართელის ერ-
თობლივი მცდელობისა, გოგი უივაძისა და მისი სიმამრისაგან
დაპირებების მეტი ვერაფერი მოიპოვეს. უივაძე ყველაფერს
თამაზ კონცელიძეს აბრალებდა, ეს უკანასკნელი სატელეფონო
საუბრის დროს თავის თავზე იღებდა ვალის გადახდას და ასე
ერთი და იგივე საუბრებით დღე დღეს მისდევდა და ყოველივე ეს
უფრო „წყლის ნაყვას“ ჰყავდა, ვიდრე საქმის კეთებას.

— მაგენი ამას დოუსრულებლად გააგრძელებენ, — უბნებოდა
კუკური ლევანს, — ეს უივაძე ჩეიკეტა სახლში, მაგის სიმამრი
რასაც ლაპარაკობს, ერთი სიტყვა არაა დასაჯერებელი.

— რა ვქნათ აბა, კუკური?

— შენ პირველ რიგში ის შენი მმაკაცი გადმეიყვანე თურქეთიდან, ტყვილა ზის იქ. მერე საქმე აღვძრათ და იქნებ ასე მივაღწიოთ რამეს.

— წაგალ თბილისში, მოვაგვარებ ყველაფერს და ჩამოვალ მერე. აქ თუ რამე ცვლილება მოხდა კი შემატყობინებ.

ლევანი თბილისში წამოვიდა. ისესხა ათასი დოლარი და გენოს გაუგზავნა სტამბოლში. ლოდინისაგან ღონებიხდილმა გენომ როგორც იქნა ჩამოაღწია თბილისამდე. მმაკაცები დიდხანს საუბრობდნენ. გენოს მთელი ორგანიზმი დაძაბუნებული ჰქონდა. ის ხომ დიაბეტით იყო დაავადებული და ოთხი თვის განმავლობაში ურეუმიმ ცხოვრებამ ჯანმრთელობა შეურყია.

— თან სულ აფერისტების კრუგში ვიყავი, ტო. კიდევ არ მჯერა, რომ გადამაგდეს.

— ახლა მაგაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, — თქვა ლევანმა და სიგარეტს სანთებელა მოუმარჯვა, — ჩვენ ქობულეთში უნდა ჩავიდეთ, იქ უკვე მაგ საქმეზე ხალხი მყავს დაყენებული. ერთიორი დღე დაისვენე და გავიდეთ.

დეკემბრის შუა რიცხვები იქნებოდა გენო და ლევანი მანქანით ქობულეთისაკენ მიდიოდნენ. მთელ საქართველოში თოვდა. ჩოლოქაძე ნორმალურად იარეს. ქობულეთისაკენ მიმავალ გზაზე საგზაო ინსპექტორი გადაუდგათ და მანქანის გაჩერება სთხოვა. გენომ საბუთების ამოსაღებად ჯიბისაკენ წაიღო ხელი.

— გაჩერდი, გენო, — უთხრა ლევანმა.

— მაიცა, ტო, საბუთები არ ვაჩვენოთ?

— რაშია საქმე, უფროსო, — გასძახა მანქანიდან ლევანმა.

— რაშია საქმე არ იცი? თბილისელები ქობულეთში ჩამოხვედით, უკვე აქაურ პაერს სუნთქავთ და ერთი ათი ლარი არ უნდა დატოვოთ?

— მოიცა, შენ გვაბრიყვებ თუ მართლა ამბობ? — ჰქითხა ლევანმა.

— ვგავარ ახლა მე ხუმარა კაცს? — კითხვითვე უპასუხა ინსპექტორმა, — თქვენი საბუთები მომეცით, — მიუბრუნდა გენოს, — დანარჩენს განყოფილებაში ვილაპარაკებთ.

— ე, ბიჭო, შენ ინსპექტორი ხარ თუ ვიღაც შვანცკი, — ეს ბოლო სიტყვა ლევანს კუკურისგან ჰქონდა ნასწავლი, — არ უნდა გვკითხო, ვისთან მივდივარო, ვისი სტუმრები ვართ?

— ვისთან უნდა მიდიოდეთ, — ცინიკურად გაეღიმა ინსპექტორს. ეტყობოდა სიტყვა „შვანცკის“ მნიშვნელობა არ იცოდა, — თბილისელი თბილისელია.

— კარგი მაშინ, — თქვა ლევანმა, — იყოს ეგ საბუთები შენთან და ჩემი მასპინძელი გამოიგზავნის კაცს მაგის წასაღებად.

— ბოლო ბოლო ვისთან მიდიხარო ამისთანასთან? — ისევ აგრძელებდა ცინიკურ საუბარს ინსპექტორი.

— კუკურა ბერიძეს იცნობ?

ინსპექტორს ჯერ ყბა ჩამოუვარდა, შემდეგ დაიბნა, საბუთები აკანკალებული ხელით მიაწოდა გენოს და თან დააყოლა:

— არავერი წამოგცდეთ მაგ სულელთან ჩემზე, თვარა არ მაქ მაგის თავი.

ამის თქმა იყო და ინსპექტორი ისე გაქრა იმ არე-მარედან, რომ გენომ და ლევანმა თვალი ვერ მოკრეს.

— კი, მაგრამ ეს კუკურა ვინ არის ამისთანა ბუა? — იკითხა მომხდარისაგან განცვიფრებულმა გენომ.

— ნახევარ სათში გაიცნობ და დასკვნები შენ თვითონ გააკეთე.

თოვამ უფრო უმატა. ზღვა ბობოქრობდა. ხარბად ყლაპავდა მისკენ მიმავალ თოვლის ვეება ფიფქებს. როდესაც ხუცუბნი-საკენ გადაუხვიეს და კინტრიშის ხეობას შეუდგნენ, არე-მარე სულ გადათეთრებული იყო.

— ჩვენი თოვლი არ არის ასეთი ლამაზი და კარგი, — თქვა ლევანმა.

— რატომ?

— დღეს თეთრი და ლამაზია, ხვალ უკვე დნობას დაიწყებს და გამავდება. თოვლი რუსეთშია კარგი და ლამაზი. როგორც იტყვიან თოვლი იცის თოვლური.

თოვლმა და რუსეთმა ლევანს ნორილსკის მივლინება გაახსენა.

ათას ცხრაას ოთხმოცაან წლებში ლევანის განყოფილებას დაევალა მოსკოვის, ლენინგრადის, უკიდურესი ჩრდილოეთის

და შორეული აღმოსავლეთის კოოპერაციული და სტრატეგიული ობიექტების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგება. მოსკოვის და ლენინგრადის მომარაგებას თავისუფლად აწარმოებდნენ, ხოლო შორეული აღმოსავლეთის და უკიდურესი ჩრდილოეთის მომარაგება მაღლუჭებად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ბევრ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ძირითადი პრობლემა საქონლის ტრანსპორტირება იყო. კრასნოიარსკის მხარეში არის მსოფლიოში ერთ-ერთი უკიდურესი ჩრდილოეთი ქალაქი ნორილსკი, სადაც დიდი სამთო-მეტალურგიული ცენტრია, რომელიც მუშაობს აღილობრივ სულფიდურ სპილენზიკელის მაღანზე. არის სამთო-მეტალურგიული კომბინატი ლითონდასამუშავებელი და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები, აგრეთვე რამდენიმე გასაძლუმლოებული დახურული ორგანიზაცია. ქალაქში იმდროს ორასი ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა.

ვიღაცას „ცენტრში“ ძალიან ბევრი ფიქრის შემდეგ თავში მოუვიდა, რომ ნორილსკის მშრომლები მოემარაგებინა ცოცხალი ვიტამინებით. ამ ვიტამინების შემცველ პროდუქტებში მაინცდამაინც პომიდორი აირჩიეს და დაავალეს საქართველოს კოოპერაციას მისი გადატვირთვა. იმ პერიოდში აღნიშნულ ოპერაციებს ლევანის განყოფილება ავტო და სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით აწარმოებდა. ასეთ დიდ მანძილზე ეს სატრანსპორტო საშუალებები პომიდორს, როგორც მაღლუჭებად პროდუქტს, ვერ გადაზიდავდა, ამიტომ ლევანმა მოსკოვს ასეთი სქემა შესთავაზა: მოსკოვამდე პომიდორი გადაიტვირთებოდა ავტორეფრეჟერატორებით, ხოლო მოსკოვიდან თვითმფრინავით. ეს უკანასკნელი კი იმდენად ზრდიდა პროდუქციის ფასს, რომ ერთი კილოგრამი პომიდორის გასაყიდი ფასი თხუთმეტ მანეთამდე აღწევდა, რაც საბჭოთა მშრომელებისათვის მიუწვდომელი იყო. მაგრამ კომუნისტებს გაიაფების გასაცარი მეთოდები ჰქონდათ. „ზევიდან“ მიღებული დავალების შესასრულებლად საბიუჯეტო სახსრებს ცნობილი „რუბიკუბიკივით“ ატრიალებდნენ. ამ შემთხვევაშიც პომიდორის

ოპერაციას სოლიდური დოტაცია ამოუყენეს გვერდში და მისი საცალო გასაყიდი ფასი ხუთი მანეთი დაამტკიცეს, მაშინ, როდე-საც თბილისში პომიდორი სამი მანეთი ღირდა. ლევანის განყო-ფილებამ ოპერაცია ბრწყინვალედ შეასრულა და ნორილსკის ორგანიზაციას სამასი ტონა პომიდორი ყველა საჭირო სტან-დარტების დაცვით მიაწოდა. ნორილსკიდან პასუხს არ დაუგვი-ანია და ფულის გადმორიცხვის მაგივრად საქამაო დიდი დეპეშა მოვიდა, რომელიც სავსე იყო მადლობებით. საქართველოს მხა-რებ ნორილსკის ორგანიზაციას რამდენჯერმე გაუგზავნა საგა-დასახადო დავალება ფულის გადმორიცხვის თაობაზე, მაგრამ როგორც რუსები იტყვიანი: „ნე ოტვეტა, ნე პრივეტა“. ბოლოს დაევალა ლევანს, რომ წასულიყო ნორილსკში და ამოედო ეს თანხები. უკვე დეკემბრის თვე იყო, კაცის დასჯა თუ გინდოდა, ამ დროს უნდა გაგეშვა იგი ჩრდილოეთში. ლევანმა ფეხი ითრია, ხან რა მოიმზეზა, ხან რა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ის და დამზადების ბაზის ორი თანამშრომელი გადაფრინდნენ მოსკ-ოვში, ხოლო იქიდან კი სპეციალური რეისით-ნორილსკში. როგორც კი სტიუარდესამ გამოაცხადა, რომ ისინი მალე დაეშვე-ბოდნენ ნორილსკის აეროპორტში, სადაც ჰაერის ტემპერატურა მინუს ორმოცდახუთი გრადუსია, ლევანი დაბმული რომ არ ყო-ფილიყო სავარძელზე, ალბათ შიშისაგან გადმოვარდებოდა. თან თანამშრომელმა უთხრა, რომელიც ნორილსკში უკვე მესამედ მოდიოდა, რომ ესენი მინუს ორმოცდახუთზე ქვევით ტემპერა-ტურას აღარ აცხადებენო, ასე, რომ იგულისხმე მინუს ორმოც-დათხუთმეტი მაინც იქნებაო. ლევანმა ახლა ფერი საერთოდ და-კარგა. თავისი იუგოსლავიური „დუბლიონკა“ საგულდაგულოდ ჩაიცვა და შეიკრა, საგანგებოდ ნაყიდი ბეწვის ყურებიანი ქუდით ისე დაიბურა თავი და სახე, რომ მხოლოდ ცხვირი და თვალე-ბი უჩანდა. ასე თოვლის პაპასავით ჩავიდა თვითმფრინავიდნ. აეროპორტიდან რომ გამოვიდნენ ერთი რამ გაახსენდა, გვერდზე გავიდა და გადააფურთხა, მართლა ჰაერში გაიყინა.

— სწორი ყოფილა, — ჩაიბუტბუტა თავისთვის.

— მოხდა რამე, ნიკალაევიჩ? — შეეკითხა თანამშრომელი.

— დროზე სასტუმროში წავიდეთ, თორემ გავიყინე კაცი.

მიღიოდნენ ქართველები ამ თოვლიან ქალაქში და განცვი-ფრებულები იყურებოდნენ მანქანის ფანჯრებიდან. მთელი ქალაქი საგულდაგულოდ შეთეთრებული იყო. ყველა შენობას ნამქერისგან დამცავი ნაგებობა ჰქონდა გაკეთებული.

— ესე იგი აქ გვარიანი ქარები ეცოდინება. — თქვა ლევანმა.

— ქარი როცაა, ქალაქში ყველაფერი წივის, — უპასუხა უკვე გამოცდილმა თანამშრომელმა.

— აბა, ამათ პომიდორი კი არა, პროპერტი უნდა გამოვუგზავნოთ, იქნება ქარი გააჩეროს, — ღიმილით წარმოთქვა ლევანმა, — ჩემი სოფლის ქარი ამასთან ალბათ სასიამოვნო სიოდ გამოჩნდება.

ყველამ ერთად გაიცინეს

— ЧТО ВЫ СМЕЕТЕСЬ РЕБЯТА? — შეეკითხა ტაქსის მძღოლი

— У вас очень белый город. — უპასუხა ლევანმა.

— Вы на девчат посмотрите они еще белее.

— Ох, ох, ох вот это надо обязательно посмотреть. —

თქვა ლევანმა და თავისიანებს მიუბრუნდა. — თქვენ, მმაო, ორგორც პროფესიონალი პამიდორისტები, წახვალთ სავაჭრო ორგანიზაციებში, ხოლო მე როგორც თბილი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმარი, სასტუმროში გავივლი აკლიმატიზაციას, რაღაც განსაკუთრებული ფერის გოგონები გვყავსო, ხომ გაიგეთ რა თქვა.

ბიჭებს სართელის გადაწყვეტილება არ მოეწონათ, მაგრამ რას იზამდნენ, უფროსი იყო. აი აქ, ნორილსკში ლევან სართელმა პირველად თავის სამსახურებრივი მოღვაწეობის პერიოდში და აქვე ვიტყვით უკანასკნელად „ბოროტად“ გამოიყენა საკუთარი თანამდებობა. ნორილსკში სასტუმროდან გარეთ არ გამოსულა. სამი დღე დალევისა და გართობის მეტი არაფერი გაუკეთებია, ხშირად იტყოდა:

— რა ვქნა, მმაო, ორმოცდათხუთმეტი გრადუსი ყინვა ჩემთვის ბევრია და არც თეთრ დათვებთან სეირნობაზე მიოცნებია არასდროს.

სამაგიეროდ სამსახურიდან მოსულ თავის თანამშრომლებს ნაირ-ნაირ პურ-მარილებს და გოგონებს ახვედრებდა ხოლმე.

საქმე ხუთიანზე გააკეთეს, ყველა თანხა გადმორიცხეს. წამოს-ვლის დღეს სართელი ისევ შეითუთა თავის „დუბლიონკასა“ და „უმანკაში“, ტაქსით მივიდა აეროპორტში, შემდეგ შეძვრა თვითმფრინავში და მოსკოვში რომ ჩამოვიდა, შუა დეკემბერში თავი თბილ ქვეყნებში ეგონა. მაშინ წარმოთქვა პირველად: „თურმე სამოთხეში გვიცხოვრია და არ ვიცოდიო“.

ამასობაში გენო და ლევანი კუკური ბერიძის სახლსაც მიადგნენ. სახლიდან კუკურის ცნობილი სიმღერის „ჩემი სამ-შობლო გურიაა.....“ ჰანგები ისმოდა. ის იყო ლევანი გადმოვიდა მანქანიდან, რათა ჭიშკარი გაედო, რომ უცებ სახლის მხრი-დან ავტომატის ჯერი აკაკანდა. გენო მანქანაში გადაწვა, თან ლევანს უყვიროდა „დაწეეჭიო“. სართელს სასაცილოდ არ ეყო კუკურის ეს ქცევა, რადგან უკვე მიჩვეული იყო. გაფითრებული გენო გადმოვიდა მანქანიდან და ლევანს ჰკითხა:

- ამ კაცს ვეყრდნობით აქ?
- დიახ, ბატონო.
- სწორი არჩევანია, შეიძლება გვეშველოს.

კუკურიმ გაცხელებული და დაბოლებული ავტომატი თავის ბიჭს მიაწოდა, სტუმრისაკენ ბანცალით წამოვიდა და თან რა-ღაცას ბურტყუნებდა.

— კახელო! ჩამო უკვე, ჩამო? — ამოიღო ზმა როგორც იქნა ბერ-იძემ, — ღვინო თუ ჩამეიტანე, თვარა მოგბეტი კაცი არყოს სმით.

— ჩამოვიტანე კუკურა, ჩამოვიტანე, თან ნაღდი კახური. — უპა-სუხა სართელმა, კუკურის ხელი მაგრად ჩამოართვა და ჩაეხუტა.

— იმფერი ღვინო ზომ არ ჩამეიტანე, ამას წინ რომ გქონდა, — აგრძელებდა მთვრალი ბერიძე თავისას.

- რა? ცუდი ღვინო იყო? — შეიცხადა ლევანმა.
- არა, ცუდი რაგა იყო, მარა უნიტაზი გამიშავა, ძლიერს გავათე-თრეთ, რა შავი იყო მაინც ის..... ღვინოს რაგა შევაგინო ახლა.
- ეს ღვინო თეთრია კუკურა, ასე რომ, ყველაფერი წესრიგ-ში იქნება, — გაეცინა ლევანს და საბარგულიდან ორი ოცლი-ტრიანი ბოცა ამოიღო.

— ზურიკელა! მოი აქ! — დაუძახა თავის ბიჭს კუპურიმ, — აი ღვინო შენ ჩეიბარე და უპატრონე. ივანა არ გააკარო ზედ, თვარა ხომ იცი, რას შობა? სვამს და მერე წყალს ასხამს შიდ. გაიგე!?

— გევიგე, ხო გევიგე, — აჯიჯლინდა ზურიკელა, — ორ დღეში აი ღვინოს კი მოუღებთ ბოლოს და მერე აღარ დაგჭირდებათ სტოროჟი.

კუპური როგორც იქნა დააწყნარეს, დააძინეს. გენომ და ლე-ვანმაც წაუძინეს ორი-სამი საათი და საღამოს ყველანი უკევ ფორმაში იყვნენ. წავიდნენ უივაძესთან. ბევრი ისაუბრეს, იკა-მათეს, მაგრამ ახალი გადაწყვეტილება ვერაფერი მიიღეს. ისევ თამაზ კონცელიძისაგან ელოდნენ ინიციატივას. სპეციალურად ქობულეთის ტელეგრაფშიც ჩავიდნენ, ელაპარაკნენ, იმანაც იმ-ედები მისცა მალე გავასწორებთ ანგარიშსო.

გენო და ლევანი ქობულეთში ერთი დღე გაჩერდნენ. შემ-დეგ თბილისში წამოვიდნენ, რადგან საპარტნიორო ფონდი თანხის დაფარვას ითხოვდა და რაღაც იყო მოსაფიქრებელი. პარტნიორობა, პარტნიორობაა, მაგრამ ორმოცდათექვსმეტი ათასი დოლარი, ორმოცდათექვსმეტი ცენტი ხომ არ არის, რომ არ გადაგახდევინონ. მაგრამ ფონდში მისულებს სულ სხვა საკითხზე მოუწიათ საუბარი. საპარტნიორო ფონდის თანამ-შრომლებს გადაემოწმებინათ გენოს და ლევანის მონათხობი ოპერაციის ჩაგრადნის თაობაზე. რა თქმა უნდა, ყველაფერი სი-მართლე გამოდგა, მაგრამ აინტერესებდათ ერთი რამ, რატომ არ უჩიოდნენ მეორე მხარეს ჩვენი კომერსანტები.

— მაგით რაიმე სარგებელი იქნება? — იკითხა გენომ.

— ყოველ შემთხვევაში საპარტნიორო ფონდის გამგეობა დარწმუნდება, რომ თქვენ მათთან დანაშაულებრივი ალიანსი არ გაკავშირებთ.

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ. — შეურაცხყოფილი კა-ცის იერით წარმოთქვა გენომ.

— მაშინ რაღას ელოდებით, აღძარით საქმე და ჩვენც ცოტას კიდევ გადროვებთ.

საპარტნიორო ფონდიდან გამოსული ლევანი და გენო ისე ჩასხდნენ მანქანაში, ხმა არც ერთს არ ამოუღია. ბოლოს სიჩუმე ლევანმა დაარღვია:

— რა ვქნათ, ტო?

— ძველი „წერებიანი“ გამოთქმაა: „კაცობაზე ხელი აიღეთ და ბოზობა დაიწყეთ“. რა ვიცი, აბა, ლევან, შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთი ახლობელი მუშაობს, დიდი კაცია, შენც იცნობ იმას, მივალ კონსულტაციებს ავიღებ და რასაც მეტყვის ისე გავაკეთოთ.

— კარგი მაშინ, ეგრე ვქნათ, იქნებ რამე გვეშველოს.

მეორე დღეს, კონსულტაციების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე დაიწერა განცხადება მომხდარის თაობაზე, რომელიც ოპერატიულად გადაიგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგომი რეაგირებისათვის. თან ამ საქმეს თბილისიდან ერთ-ერთი მაღალჩინოსნის „ზარი“ მიჰყვა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან.

XVII

ზუმბოს გამოჯანმრთელების პროცესი დაიწყო. რესპუბლიკის პროკურატურის „ვაჟნიაკების“ სექტორი თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა.

ათას ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის თებერვლის ერთ მშვენიერ დღეს ლევან სართელის ბინაში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყურმილი ლევანმა აიღო:

— ბატონო!

— უკაცრავად, ბატონი ლევან სართელი მინდოდა.

— გისმენთ, ლევანი ვარ.

— გამარჯობათ, ბატონი ლევან, ალბათ ხმაზე ვეღარ მიცანით, მე რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, ზაურ ქორიძე გახლავართ.

— ოოო... გამარჯობათ, ბატონო ზაურ, — ნაძალადევი თავაზიანობით უასუხა ლევანმა, — ხმა კი მეცნო, მაგრამ ვერ მოვედი უცბად აზრზე, ხომ კარგად ბრძანდებით? რამ შეგაწუხათ, რით შემიძლია დაგეხმაროთ.

— დიდი არაფერი, ჩემთ ლევან, ადრე რომ საქმე გვქონდა, მისი დასკვნა გვაქვს დასაწერი და გვინდა რომ დაგვესწროთ, ხომ იცით, შეიძლება რამე გამოგვრჩეს, მე მგონი არ დამზარდები.

— არა, ბატონო ზაურ, როგორ გეკადრებათ, როდის გეახლოოთ.

— დღეს თუ შეძლებ, ასე თორმეტი საათისათვის კარგი იქნება, მანც ჩვენი გასაკეთებელია და რაც მალე მოვრჩებით, ჩვენთვის უკეთესია.

— კარგით, შევთანხმდით, დღეს თორმეტ საათზე გეახლებით.

— ლევან, საშვი დაშვებული იქნება.

— გმადლობთ. — თქვა წყნარად ლევანმა და ყურმილი დაკიდა.

აწრიალდა სართელი, ათასმა აზრმა გაურბინა თავში, მაგრამ არც ერთ მათგანზე არ გაჩერდა მისი გონება. იფიქრა, ალბათ მართლა დასკვნისათვის ვჭირდებიო. ის იყო გასვლას აპირებდა, რომ სოფოც მოვიდა სახლში. მშობელთა კრებაზე იყო სკოლაში.

— რა ხდება? — ჰკითხა ლევანმა.

— ისეთი არაფერი, ბავშვებმა ცოტა სწავლას უნდა მოუმატონო. შენ რას გამოწყობილხარ? მიდიხარ სადმე?

— ჰო, პროკურატურაში, რაღაც დასკვნა გვაქვს დასაწერი ძველ საქმეებზე და გვჭირდებიო.

— მაგათი არ მჯერა. რაც მაგათ შენ გაგიკეთეს, მას შემდეგ ერთი სიტყვა არ არის მაგათგან დასაჯერებელი. ფრთხილად იყავი.

— ჰო, კარგი, კარგი, დაწყნარდი, ყველაფერი რიგზე იქნება.

— თქვა ლევანმა, სოფოს აკოცა, გაიხურა კარი და დაეშვა სადარბაზოს კიბეებზე.

პროკურატურის მისაღებში თთქოს ელოდებოდნენო, შესვლა და საშვის ხელში შეჩეჩება ერთი იყო. ლევანმა საკონტროლო-გამშვებ პუნქტში რომ გაიარა, იქაც უცბად გაუშვეს. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, ზურგს უკან მოესმა, როგორ

გადასცა მორიგემ ვიღაცას ერთი სიტყვით „შემოვიდა“. ლევანს ეს ზედმეტი „ფურადღება“ არ ესიამოვნა, მაგრამ უკან დასახევი გზა უკვე მოჭრილი პქონდა.

როგორც კი შევიდა ზაურ ქორიძის კაბინეტში, ეს უკანასკნელი ისეთი პირქუში გამომეტყველებით შეხვდა, რომ ლევანს გაუკვირდა კი არა, იქით შეეცითხა:

— რა გჭირო, ბატონო ზაურ? ვინმებ გაგაბრაზათ?
— ეს მე რა მჭირს? — თქვა ქორიძემ და უფრო შეჭმუხნა წარბები,
— ეს შენ რა გჭირს, რომ კაცი მეგონე და ნაძირალა ყოფილხარ.

ლევანს ძალიან არ ესიამოვნა ქორიძის ასეთი შეფასება და ცოტა გაბრაზებული ტონით უთხრა:

— ვერ გავიგე?
— ახლა, ცოტა ხანში გაგაგებინებთ. ჯერ შენი მოტყუება იყო აქ საჭირო, რომ არ გაქცეულიყავი.

ამის თქმა იყო და ქორიძის კაბინეტში კიდევ სამი მამაკაცი შემოვიდა. ლევანმა სახეზე იცნო ისინი. ორნი ზაურის კოლეგები, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლები იყვნენ, ხოლო მესამე, ახალგაზრდა ბიჭი დაკითხვის ოქმს წერდა ხოლმე.

— ეს არის? — მისალმების მაგივრად იკითხეს გამომძიებლებმა და აათვალიერ-ჩათვალიერეს „მსხვერპლი“.

სართელი იჯდა გაოგნებული და ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის გარშემო. ქორიძემ ნელი მოძრაობით აიღო მის წინ მაგიდაზე დაგდებული საქალალდიდან ერთი ფურცელი, გაუწოდა ლევანს და პკითხა:

— ეს შენი ფირმის ბეჭედია?
ლევანმა დაათვალიერა ბეჭედი და მასთან ერთად სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებული, რომელიც სამას სამოცდათორმეტი ათასი დოლარის ღირებულების იარაღის მოწოდებას ადასტურებდა პრალიდან თბილისში.

— ბეჭედიც ჩემი ფირმისაა და თანხაც ჩვენ გადავრიცხეთ იარალის შემოსატანად. — თქვა ლევანმა და ფურცელი უკან, ქორიძეს დაუბრუნა.

— მერე? — გაბრაზდა ზაური.

— მერე რა. ეს ამბავი უკვე ქვეყანაში იცის და თქვენ ახლა გაიგეთ?

— როგორ, შენს ფირმას იარაღის შემოტანის უფლება არა აქვს, თან ერთი ფაქტურით ზუთი ბორტია შემოზიდული, სულ მარცხენა იარაღი. რას ჰგავს ეს?

— იარაღის ექსპორტ-იმპორტის უფლება რომ ჩემს ფირმას არ აქვს, ეს კველაზე კარგად მე ვიცი, მაგრამ სოხუმის დაცემამდე ათი დღით ადრე სახელმწიფო კანცელარიაში მიღებული იქნა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ამ უფლებას გვაძლევდა ყველა იმ ფირმას და ორგანიზაციას, ვისაც შეეძლო ესოდენ მძიმე წუთებში დახმარებოდა სამშობლოს.

— მოიცა, მოიცა, ნუ გაუბერე! — შეაწყვეტინა ქორიძემ, — დიდი პატრიოტივით რომ ლაპარაკობ, ერთი ბორტი უნდა შემოგეტანა და შენ ზუთი შემოიტანე. ეგ რას მივაწეროთ.

— მე არც ერთი ბორტის შემოტანაში არ მიმიღია მონაწილეობა და მით უმეტეს მის განაწილებაში, ბეჭედი და უფლებამოსილება ერთ-ერთ ვიცე-პრემიერთან შეთანხმებით თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს მიეცა. არც ამ პიროვნების და არც დოკუმენტის ნომრის დასახელების უფლება მე არ მაქვს. მე მხოლოდ თანხა გადავრიცხე და ბეჭედი გავცი, დანარჩენი რა გაკეთდა, არ ვიცი.

— სართელო! შენ თუ გეონია, მაგ პატრონიანი ხალხის დასახელებისაგან თავის შეკავება, შენ სარგებელს მოგიტანს, ძალიან ცდები, ისინი თავს უშევლიან და შენ ციხეში ამოგალპობენ, — დაემუქრა ქორიძე.

— ბატონი ზაურ, ძალიან გთხოვ ჩემს შეურაცხყოფას და დაშინებას თავი დაანებოთ, თუ თქვენ იმაში მაღანაშაულებთ, თუ რატომ დავეხმარე სამშობლოს, ძაშინ მე სათქმელი აღარაფერი მაქვს.

— ბიჭო! ეე! — გაცხარდა ქორიძე, — შენ იცი, რომ ის იარაღი, რაც შენი ფულებით შემოიზიდა, არც ერთი არ წასულა ფრონტზე.

— მერე ეგ ჩემი ბრალია თუ თქვენი?

— ჩვენ რა შუაში ვართ?

— აბა, ორგანოს თანამშრომლები თქვენა ზართ და თქვენს
მიერ დროულად უნდა აღკვეთილიყო ეგ ქმედება.

— ეს რა ძალიან ბევრს ლაპარაკობს, ზაურ? — იკითხა ახლად
შემოსული გამომმიებლებიდან ერთ-ერთმა, — ეტყობა არ იცის,
პროკურატურას პადვალში რა ცივი ოთახები აქვს.

— ეს იმდენს იზამს, — ალაპარაკდა ქორიძე, — რომ პირდაპირ
მესუთე იზოლატორში ამოყოფს თავს, იმ თავის ძმაკაცთან ფუ-
ლებს რომ ურიცხავდა, თან ლევანს შეხედა, აინტერესებდა, რა
რეაგირება მოჰყვებოდა ამ სიტყვებს.

სართელი არც განძრეულა. ის სხვაგან იყო ფიქრებით. აშკა-
რა იყო, რომ მისი მისამართით დიდი შანტაჟი მზადდებოდა. ვი-
ღაცა აპირებდა მასზე ხელის შეწმენდას.

— შენ გელაპარაკებიან! — ხელი წამოკრა მხარზე სართელს
ქორიძემ.

— გისმენთ.

— ზაურ შანშიაშვილს შენ ჩაურიცხე ორას ორმოცი ათასი
დოლარი ბანკის დასაფუძნებლად.

— იარაღის ქვეშ ჩამარიცხინეს.

— ვინ? ზუმბომ არა? — თვალები გაუბრწყინდა ქორიძეს. ეგ
არის და კომპრომატი მოვძებნე შანშიაშვილის წინააღმდეგო.

ლევანი მიხვდა, რომ კომპრომატები ზუმბოს წინააღმდეგ
მზადდებოდა. უკვე ყველაფერი გასაგები იყო. საჭირო იყო, რაც
შეიძლება ნაკლები ელაპარაკა ზუმბოს საწინააღმდეგოდ. ნები-
სყოფა მაქსიმალურად დაძაბა და მშვიდად უპასუხა:

— არა, პავლიკამ.

— ეგ პავლიკა ვინდაა?

— ზუმბოს ძმაკაცი იყო, პარიზში მოკლეს.

ქორიძეს სახე დაელრიჯა და ბაგებიდან გამოსცრა:

— ახლა შენ მკვდრებზე ააგებ შენს პასუხებს და იცოდე,
ფრთხილად იყავი.

მართლაც ასე იყო. ყველა ძირითადი ოპერაციების ირგვლივ
მომხდარი ინციდენტები ლევანმა მკვდრებს გადააბრალა.

— აბა, ეს ზაურ შანშიაშვილი ანუ ზუმბო შენთან რისთვის და-
დიოდა.

— მოადგილე იყო ჩემი და აბა სად წავიდოდა.

— რაო? მოადგილეო? ვის აშაყირებ შენ.

— მე არავის არ ვაშაყირებ, — თქვა ლევანმა, — რატომ კადრუ-
ლობთ ამას.

— მაგ ყაჩაღს რა უნდოდა შენს მოადგილედ!? — აყვირდა
ქორიძე.

— თავის თავი თვითონ დანიშნა, — უპასუხა ლევანმა, — ისე
ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ არ დამნიშ-
ნავენო. ეს იყო მაგის ტერორი ჩვენი ფირმის მიმართ. — თითქმის
ანგელოზად წარმოაჩინა ზუმბო ლევანმა.

— იცოდე, დღესვე ჩავატარებ ჩხრეკას შენს სახლში, სადაც
ფირმის საბუთები გაქვს. თუ არ აღმოჩნდება ბრძანება ზუმბოს
მოადგილებაზე, ციხეში ამოგალპობ! — დაემუქრა ლევანს
ქორიძე.

დაკითხვა კოდევ რამდენიმე საათს გაგრძელდა. მაგრამ
სართელისაგან საჭირო ინფორმაციას ვერ იღებდნენ. ისე გამ-
ოყვანა ლევანმა ქორიძე მოთმინებიდან, რომ ზაური წამოხტა,
სკამს დავლო ხელი და რომ არა ერთ-ერთი გამომძიებლის შუა-
ში ჩადგომა, მომარჯვებულ სკამს სართელს დააფშვნიდა თავზე.
ლევანი კი დიდი თავშეკავებით იტანდა შეურაცხყოფას. ბოლოს
როგორც იქნა დამთავრდა დაკითხვა. ლევანს ოქმზე ხელი მოაწ-
ერინეს. შემთხვევით სართელმა საათს დახედა. ცხრა იყო დაწყე-
ბული, ესე იგი დაკითხვა ზუსტად რვა საათს გაგრძელდა.

— თავისუფალი ვარ? — იკითხა ლევანმა.

— შენ თავისუფალი კარგა ხანს არ იქნები, — უპასუხა
დაბოლმილმა ქორიძემ, — ახლა ჩვენი ბიჭები გამოგყვებიან სახ-
ლში, ჩხრეკას ჩაგიტარებენ და მერე ისევ უკან მობრუნდებით.
უნდა ვიმუშაოთ.

ლევანს ხმა არ ამოუღია. ახლა შეპასუხება მხოლოდ სიტუა-
ციას დაძაბავდა. ამათი მუშაობა კი სართელმა იცოდა, რასაც ნიშ-
ნავდა. ამას მუშაობა კი არა, ნამდვილი სახელი, დამუშავება ერქვა.

ორი ახალგაზრდა ბიჭი გამოაყოლეს ლევანს სახლში. ლევანმა გზაში სთხოვა ბიჭებს, ისე მოქცეულიყვნენ, რომ მეუღლე და შვილები არ შეეშინებინათ. მართლაც თანამშრომლები ნორმალურად იქცეოდნენ. გადაქექეს ყველაფერი და საეჭვო ვერაფერი ნახეს. ბოლოს დოკუმენტები მოითხოვეს. ლევანმა ბრძანება ზუმბოს მოადგილედ დანიშვნაზე მაშინვე აჩვენა, ხოლო დანარჩენი დოკუმენტები კარადის ზედა თაროზე ეწყო და შესთავაზა მე თვითონ ჩამოგაწვდით.

გამოუცდელმა ორგანოს თანამშრომლებმა ამის უფლება მისცეს ლევანს. სართელმაც რაც აწყობდა ის მოაწოდა იქიდან, რაც არა და კარადის უკან ჩააცურა. ეს უკვე რისკი იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. თანამშრომლებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ გადაემოწმებინათ კარადის ზედა თაროები. სასწრაფოდ ყურმილი აიღეს, ქორიძეს დაურეკეს და ჩხრეკის ანგარიში ჩააბარეს. ზაურმა ყურადღებით მოუსმინა თანამშრომელს და შემდეგ უთხრა:

— უფრო რთული ოპერატიული ვითარება შეიქმნა. მაგისთვის ამაღამ არ გვცალია. დატოვეთ სახლში და ზვალ ათ საათზე აქ იყოს, თავი არ გვაძებნინოს.

ღმერთმა კიდევ ერთხელ გადმოხედა ლევან სართელს.

როგორც კი ორგანოს მუშაკები სახლიდან გავიდნენ, ლევანმა მოიცადა ათი წუთი და მერე შურდულივით გაგარდა გარეთ. „კუდის“ შიშით კორპუსებით სხვა ქუჩაზე გავიდა, დაჯდა ტაქსში და გენოს დაადგა სახლში. პატარა თათბირის შემდეგ ორივენი ქალაქიდან გავიდნენ და ერთ-ერთ ახლომდებარე რაიონში ახლობლების მშვეობით შეხვდნენ ერთ-ერთ მაღალ-ჩინოსანს. მან ლევანს ყურადღებით მოუსმინა და შემდეგ დინჯად, აუჩქარებლად დაიწყო:

— მე მაგ საქმეს კარგად ვიცნობ. რადგან შენ უშუალო შეხებაში არ ხარ მაგ ბანკოან, მაგრამ მაინც ახლოს იცნობ ზუმბოს, ყველა ვარიანტში დაგამუშავებენ და ისეთ რამეზე მოგაწერინებენ ხელს, რაც როგორც ზუმბოს, ისე შენს საწინააღმდეგოდ

იმუშავებს. მე კი ვიცი, რომ შენ მართალი კაცი ხარ. ამიტომ ახლავე დატოვე ქალაქი, თუ გაქვს საშუალება რესპუბლიკაც და არ გამოჩნდე, სანამ საქმე ბოლომდე არ დამთავრდება.

— ესე იგი დავიძალო? — იკითხა ლევანმა.

— ამას სახელი შენ თვითონ დაარქვი. მე ჩემი სათქმელი გითხარი. — თქვა მაღალჩინოსანმა, სტუმრებს ბოდიში მოუხადა და ოთახიდან გავიდა.

გენო და ლევანი ისე ჩამოვიდნენ თბილისში, არც ერთს ხმა არ ამოუღია. ბოლოს სიჩუმე ისევ გენომ დაარღვია:

— რა ვქნათ, ტო?

— უცხოეთში წასასვლელი ფული მე არა მაქვს და არც არავინ მყავს ისეთი, რომ შემიფაროს. ისევ სჯობს აჭარაში წავიდე და პარალელურად ჩვენს საქმესაც მივხედო.

— შენ გვინია, თუ მოიწადინეს იქ ვერ მოგაგნებენ?

— მეც ისე გავაკეთებ, რომ თუ საშიშროებას ვიგრძნობ, თურქეთში გადავალ. მაგრამ არა მგონია, მაქამდე მივიდეს საქმე. ახლა მე ოჯახი უფრო მადარდებს. სოფელში უნდა გადავიყვანო, თორემ იქ გული გამისკდება ამათზე დარდით.

— მაშინ ეს ყველაფერი ხვალვე უნდა გაკეთდეს, შენ კი ამაღამ უნდა წახვიდე.

ამასობაში ლევანის ბინასთანაც მივიდნენ. სოფოს არ ეძინა. გენომ და ლევანმა სიტუაცია აუხსნეს. ყველაფერი უკვე ასჯერ „აწონილი“ და „გაზომილი“ იყო. ლევანი სასწრაფოდ მოქმდა და წასასვლელად. სოფომაც დაიწყო ჩაბარგება, თან ცრემლად იღვრებოდა.

კიდევ ერთი ქართული ოჯახი იყრებოდა ქალაქიდან. საფუძველი აყრისა სამშობლოს სიყვარული იყო.... „მოქალაქეთა კავშირი“ დიდი მონდომებით უსუფთავებდა გზას ანტიქრისტეს ტაძრისაკენ.

ლევანი და სოფო დიდი ხანი იყვნენ ჩახუტებულნი. შემდეგ ლევანმა მძინარე ბავშვებს აკოცა, ჩაჯდა მანქანაში და გენოსთა ერთად გავიდნენ ქალაქში.

— ამ შუაღამისას რითი უნდა წახვიდე აჭარაში?

— ნავთლურიდან ღამე ჯართით დატვირთული მანქანები და ავტობუსები გადის. მაგათ თუ გავყვები, თორემ სხვა ტრანსპორტი იქით ღამე არ დადის. დილით წასვლა გვიანია ჩემთვის. დილით ჩოლოქს გადასული უნდა ვიყო.

სართელს ბედმა გაუდიმა. ბოლო ავტობუსს მიუსწრო. მბლოლმა კაცის წაყვანაზე ჯერ ხელები გაასავსავა, მაგრამ მერე დაყაბულდა, რომ გაიგო ლევანიც კახელი იყო. თვითონ წნორიდან გახლდათ და ექვსი კახელი კლიენტი თავის ჯართიანად მიჰყავდა აჭარაში. ავტობუსში ექვსი სკამი იყო მხოლოდ, დანარჩენი ამოღებული ჰქონდა და მის ადგილას ჯართი ეყარა. ჯართში გამოუნახეს სართელს დასაჯდომი და დასაწოლი ადგილი და გაუდგნენ გზას. გწო დილით ლევანის ცოლ-შვილს ჩაიყვანდა სოფელში და ბავშვებიც სწავლას იქ გაგრძელებდნენ.

ლევან სართელი ჩაჯდა ჯართში და მაშინვე თავის თავი ამ ხელისუფლების მიერ ჯართში გადაგდებულად წარმოიდგინა. ის აღარავის სჭირდებოდა. ის ამ ხელისუფლებისათვის მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი დანადგარი იყო, რომლის ადგილი მხოლოდ ჯართშია. რატომ გარბოლა ლევან სართელი სამშობლოდა? ზოგი იფიქრებს: „ალბათ დამნაშავეა და იმიტომო“. მისი დანაშაული კი ის იყო, რომ როდესაც სამშობლოს მტერი მოადგა, თავისივე შრომით შეგროვებული უული, მთავრობის ნებართვით იარაღის შემოსატანად გადარიცხა, რათა მტერი მოეგერიებინა. ეს იარაღი კი კომპეტენტურმა ორგანოებმა, რა თქმა უნდა „ზევიდან“ დაკალებით, სხვა მიზნებისათვის, ანუ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენეს, რათა „ვიღაცას“ ქვეყანაში მტრის შემოშვებით საკუთარი ტახტი შეენარჩუნებინა. გაწეული ქველმოქმედებებიც კი არასწორ ქმედებად ჩაუთვალეს. ამ შემთხვევაში სართელი და მისთანები ხელისუფლებას უკვე ფეხებში ებლანდებოდნენ და საჭირო იყო მათი ლიკვიდაცია. ეს პროცესი საქართველოში კარგა ხნის დაწყებული იყო. უბრალოდ ლევან სართელი არ წარმოადგენდა

ზოგიერთებივით განსაკუთრებულად საშიშ პიროვნებას, ამიტომ მისთვის ბოლოს მოიცალეს. აგრეთვე სართელი მოსაცილებელი იყო კიდეც იმისათვის, რომ მისგან ყაჩაღური გზით წართმეული ფულით დაფუძნდა რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებიც იმ პერიოდში შევარდნაძის ხელისუფლების საყრდენს წარმოადგენდა და ახლა აღარ სჭირდებოდა და მათი ლიკვიდაცია იყო საჭირო. ზუმბო იმიტომ სჭირდებოდათ ცოცხალი, რომ მისგან მიეღოთ ინფორმაცია იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ამ მთავრობას თავისი მიზნების განხორციელებისათვის უკვე გამოყენებული ჰყავდათ და აღარ სჭირდებოდათ. მათი ლიკვიდაციაც აუცილებელი იყო.

ფიქრობდა თვალცრემლიანი, ჯართში ჩაგდებული და ჯართად ქცეული ლეგან სართელი და გული გასკდომაზე ჰქონდა, რომ ასე მოექცნენ, სახლიდან გამოაგდეს, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად აქციეს. რისთვის? ვისთვის?

ლეგანს მაცხოვრის სიტყვები გაახსენდა კვლავ: „.....და მოგიძულებთ ყელა ზალ ხი ჩემი სახელისა გამო.. და ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განელდება სიყვარული. ხოლო ვინც ბოლომდე დაითმენს, იგი ცხონდება.“

„მოქალაქეთა კავშირი“ კი საგულდაგულოდ უსუფთავებდა ანტიქრისტეს გზას ტაძრისაკენ.

ლეგანი სახარების სიტყვებმა ცოტა დააწყნარა. უკვე თენდებოდა. დაფნარის საგზაო საგუშაგოს გასცდნენ და გურიაში შევიდნენ. ლეგანს სურვილი ჰქონდა ათ საათამდე ჩოლოქს იქით გადასულიყო. ზუსტად თერთმეტის ნახევარზე გადაკვეთეს ჩოლოქის საბაჟო-გამშვები პუნქტი. მებაჟები მეჯართეებს დაეძგერნენ. ლეგანმა კი ახსენა ყოვლის შემძლე კუკური ბერიძის სახელი და არც საბუთები გაუსინჯავთ, რეგისტრაციაში გატარებაზე ლაპარაკი ზედმეტიც იყო. მაშინვე გაუჩერეს მანქანა და დიდი რევერანსებით ქობულეთისაკენ გააცილეს.

XVIII

დილის ცხრა საათზე სოფო და ბავშვები გენოს მანქანით სოფლისაკენ მიდიოდნენ. წინასწარი შეთანხმებით, სოფოს სოფელში, მშობლების სახლში გადმოსვლა ხალხში უნდა ახ-სნილიყო იმ მოტივით, რომ ლევანი წასული იყო მევალეების მოსაძებნად და ფულის ამოსაღებად, ხოლო ცოლ-შვილის მარტო დატოვება არ უნდოდა და ამიტომ დროებით გადმოიყანა საცხოვრებლად სოფელში. არავითარ შემთხვევაში რეალური მიზეზი თბილისიდან წამოსვლისა არ უნდა გაუღერებულიყო, თვით უახლოეს ნათესავებშიც კი.

განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა ზაურ ქორიძემ დილით თვითონ დაათვალიერა ლევან სართელის დასაკითხად გამზადებული ოთახი. ცინიკური ღიმილით ათვალიერებდა სხ-ვადასხვა საწამებელ იარაღებს და თან იგესლებოდა:

— მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა ყველაფრის მკვდრებზე გა-დაბრალება. შენ თვითონ გაგიტანენ აქედან ჯერ ცოცხალ-მკვ-დარს და მერე ალბათ მხოლოდ მკვდარს.

შემდეგ თავის კაბინეტში დაჯდა. საათს დახედა, ათს თხუთ-მეტი წუთი აკლდა. ქორიძემ მელოტ თავზე ხელი გადაისვა და მშვიდად დაუწყო ლოდინი მსხვერპლს. უკვე თერთმეტის ნახ-ვარი ხდებოდა, მაგრამ სართელი არ ჩანდა. ქორიძემ თანაშემწეუ გამოიძახა და დავავალა:

— ერთი იმ თავზედ სართელის სახლში დარეკე და გაიგე რა-ტომ აგვიანებს. შევცდი აქ უნდა დამეტოვებინა.

ხუთ წუთში მობრუნებულმა თანაშემწებ ხელები გაშალა და მოახსენა ზაურს, რომ ლევან სართელის ბინაში ტელეფონის ზარი გადიოდა, მაგრამ არავინ პასუხობდა.

— სასწარაფოდ მისამართზე გააგზავნეთ ხალხი და წამოიყვა-ნეთ! — გასცა ბრძანება პროკურორმა.

ერთი მსუბუქი მანქანა ორგანოს ოთხი თანამშრომლის თანხ-ლებით სართელის საცხოვრებელ ბინას მიადგა. ზარი დარეკეს,

აბრახუნეს, მაგრამ შიგნიდან არავინ პასუხობდა, აშკარად ჩანდა, რომ ბინაში არავინ იყო. შემდეგ მეზობლების დაკითხვა მოინდომეს, მაგრამ არც ერთმა მათგანმა კარი არ გაუღო უცნობ მამაკაცებს, თუმცა ეს უკანასკნელნი როგორც სიტყვი-ერად, ასევე პირადობის დამადასტურებელი საბუთებით უმტკიცებდნენ სართელის მეზობლებს, რომ ისინი სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები იყვნენ. ლევანი სახლშიც რომ ყოფილიყო, კანონით უფლება ჰქონდა არ გაჰყოლოდა ორგანოს თანამშრომლებს, რადგან მისი დაკავების ორდერი გამოწერილი არ იყო და ვერც გამოწერდნენ, რადგან ლევან სართელი ოფიციალურად დანაშაულში მხილებული არ ყოფილა და არც ეჭვმიტანილი იყო ჯერ. ჩატარებულ ყველა ოპერაციაზე ნებართვა, თანაც ოფიციალური, „ზევიდან“ იყო გაცემული. სართელის მხოლოდ გამოყენება სურდათ სხვათა წინააღმდეგ, ამიტომ ეს ძველი ნაკომუნისტარი პროკურატურის თანამშრომლები არაფერს ერიდებოდნენ, თვით კანონის დარღვევასაც, ოღონდ მიეღწიათ საწადელისათვის. იქ ხომ დაკითხვების ნახევარზე მეტი არაოფიციალურად ხდებოდა და მიზნის მიღწევის შემდეგ „კოკას საიდანაც უნდოდათ იქით მოაბამდნენ ყურს.“ ერთი სიტყვით მდგომარეობის გართულების თავიდან აცილების გამო, რაც შეიძლება უნდა შორს დაგეჭირა თავი ამ სატანის მოციქულებისაგან.

სართელის ბინიდან დაბრუნებული ხელცარიელი თანამშრომლები მხრებიამოყრილნი იდგნენ ზაურ ქორიძის კაბინეტში. ზაური კი მათ წინ გამწარებული გადი-გამოდიოდა, ნერვიულობისაგან ტუჩებს იკვნეტდა და ჩახლებილი ხმით კიოდა:

— მიწიდან ამოვილებ მაგ იდიოტს. მაგას გონია გამაცურა, — შემდეგ გაჩერდა, ორგანოს თანამშრომლებს შეხედა და გააგრძელა, — ეძებეთ ყველგან, სადაც ზელი და თვალი მიგიწვდებათ და მაშინვე აქ ჩამოათრიეთ.

— ბატონ ზაურ, დაკავების ოფიციალური დოკუმენტი მანც მოგვეცით. — მორიდებული ხმით წარმოთქვა ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

— დოკუმენტი არ იქნება! — თითქმის იყვირა ქორიძემ. შემ-დეგ თითქოს აზრზე მოვიდაო, შეხედა „პრეტენზიულ“ თანამ-შრომელს და ხმას უფრო აუწია, — შენ რა, ციდან ჩამოფრენილი ხარ? ჩვენი მუშაობის სტილი არ იცი? თუ ბიბლიოთეკაში გვონია შენი თავი? მიგ ზავნიან აქ მალაკასოსებს. გაიგეთ დავალება!?

— დიახ, უფროსო! — ოთხივემ უპასუხეს ერთხმად.

— თავისუფლები ხართ! — დაითხოვა კაბინეტიდან ქორიძემ ორგანოს თანამშრომლები, თვითონ სამუშაო მაგიდასთან და-ჯდა, სახეზე ხელები მიიფარა და ამოიგმინა:

— თუ ვერ ვიპოვე, სამსახურს დავკარგავ. სად წაეთრეოდა ეს იდიოტი? ალბათ ისევ კახეთში. წადი და ეძებე, რომელი ქვევრის პირას ზის.

XIX

ქობულეთში ჩასული ლევან სართელი პირდაპირ კუკური ბერიძის სახლისკენ გაემართა, მაგრამ სახლში არავინ დახ-ვდა. სტუმრად იყვნენ წასულები გურიაში და ორი დღე არ ჩამოვიდოდნენ. ასე უთხრეს ლევანს მეზობლებმა და მასპინ-ძლობა თითქმის ყველამ შესთავაზა. სართელმა მაღლობა მოახ-სენა კეთილ ადამიანებს, ბათუმში მაქვს საქმე და სამ დღეში დავბრუნდებიო. თუმცა აქ იცრუა ლევანმა, რადგან კუკურის მეზობლების შეწუხება არ უნდოდა.

ლევანი ქობულეთის რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედანზე ბათუმისაკენ მიმავალ ავტობუსში ავიდა, დაჯდა სა-ვარძელში და ფანჯრიდან დაიწყო ქობულეთის ცენტრალური ნაწილის დათვალიერება. ბევრ ნაცნობ სახეს მოკრა თვალი, მაგრამ არავისთან შეხვედრა არ უნდოდა. ავტობუსი დაიძრა. როგორც კი ციხისძირის გადასასვლელს შეუდგნენ, თოვა დაი-წყო. მახინჯაურის გადასასვლელზე თოვამ უფრო მოუმატა, ამ გადასასვლელიდან ბათუმის ხილვას არაფერი სჯობდა. საქართ-

ველოს ეს ქალაქი-პატარძალი მთელი თავისი სიმშვენიერით მოჩანდა და მნახველს მაშინვე აჯადოვებდა. ლევანს რამდენჯერ გადაუხედავს აქედან ბათუმისათვის და მისი ცქერით ვერ ძღვ-ბოდა. ახლაც, მიუხედავად ცუდი ამინდისა, ამ სილამაზებ ისევ ისეთი მომაჯადოვებელი ძალით იმოქმედა სართელზე.

ლევან სართელს ბათუმში ერთი ახლობელი ჰყავდა. დიმიტრი მეტონიძე. ახალგაზრდა, სპორტსმენი კაცი იყო. ახალჩამოყალიბებულ მორაგბეთა ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე. ვინაიდან რაგბი ბათუმელების ტრადიციული სპორტული თამაში არ არის, ამიტომ ახლადშექმნილ გუნდში – „დათვები“ ძირითადად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან მოწვეული მოთამაშები იყვნენ გაერთიანებული. დიმიტრი მეტონიძე თბილისელი იყო. ლევანი ბათუმში ყოველთვის დიმიტრისთან რჩებოდა, თუ დიმიტრი არ იყო ბათუმში, მისთვის ყველა რაგბისტის სახლის კარი ღია იყო. ყველამ იცოდა, რომ სართელი თავისი თავგადასავლების გამო, ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა და ამიტომ ყველა სპორტსმენი დიდი ყურადღებით იყო მის მიმართ განწყობილი. ეს ყურადღება უფრო დიმიტრის კაცურ კაცობით იყო გამოწვეული. ეს ახალგაზრდა კაცი თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ დაბრძენებული გახლდათ. გუნდში ჭკუას მას ეკითხებოდნენ. შესანიშნავ ოჯახში აღზრდილი, ყველასათვის ზნეობრივ იდეალს წარმოადგენდა. ის ხუთი სათნოება, რომელიც ზნეობრივი იდეალის მატარებელ ადამიანს უნდა გააჩნდეს, დიმიტრი მეტონიძეში იყო გაერთიანებული: მართლმადიდებლობა, ვაჟაკაცობა, სამართლიანობა, თავშეკავება და გონიერობა. ეს დღვევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იშვიათობას წარმოადგენს, მით უმეტეს სპორტსმენებში. ამასთან ერთად, რაღაც მაგიური ძალა გააჩნდა. ადამიანებს თავისკენ იზიდავდა. მის ბინაში ყოველ საღამოს სხვადასხვა პროფესიის ადამიანს შეხვდებოდით. ყველას დიმიტრისთან სიახლოვე უნდოდა. წუწუნი არ უყვარდა, ხანდახან როდესაც ლევანთან ერთად მარტო დარჩებოდა, ხელებს გაშლიდა და იტყოდა ხოლმე:

— დავიღალე, ნიკალაევიჩ, დავიღალე.

ლევანმა იცოდა ეს „დაღლა“ რას ნიშნავდა. ყველასათვის უნდოდა სიკეთე გაენაწილებინა, მაგრამ ვერ აწვდენდა.

ქალებისაგან ხომ მოსვენება ჰქონდა დაკარგული. ყველა ლამაზმანს სურდა ამ ახოვან, ლამაზ, ხელგაშლილ და რაც მთავარია დასანიშნ ახალგაზრდასთა ურთიერთობა.

ბათუმში ჩასვლისთანავე, ლევანი დიმიტრის ბინისაკენ გაემართა. მას იქვე ცენტრში ჰქონდა ოროთა ხიანი ბინა დაქირავებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქიდან გადასულიყო. მისამართი ლევანმა მალევე დაადგინა, ახალი ბინაც მოძებნა, მაგრამ დიმიტრი სახლში არ დახვდა. მთელი გუნდი თბილისში იყო წასული შეჯიბრზე და მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდებოდნენ. უკვე საღამო იყო. სართელი ქობულეთში ჩასვლას ვეღარ ასწრებდა, ბათუმში სხვას არავის იცნობდა. ძველი ნაცნობი ოჯახები, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო, საზღვარგარეთ იყვნენ წასულნი. სასტუმროში რომ გაეთია დამე, მინიმუმ ოცდაათი ლარი სჭირდებოდა. ჯიბეგაფხეკილ სართელს კი მხოლოდ ოცდახუთი ლარი ედო ჯიბეში. ერთი გზა რჩებოდა, ღამე გარეთ, სადმე გადაფარებულ ფარდულში უნდა გაეთია. ზაფხულში ეს სასიამოვნოც კი იქნებოდა, მაგრამ თებერვალში და ისიც თოვლიან ამინდში გარეთ ღამის გათევა შეიძლება ჯანმრთელობის ფასი დამჯდარიყო. მაგრამ ლევანს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ბაზარში შეიარა, ორი ცალი ასერამიანი „ჩეკუშკა“ და პური იყიდა. თან თბილისში გენოსთან დარეკა, ცოლ-შვილის ამბავი ჰკითხა. მერე ნელი ნაბიჯით აუგვა გამსახურდიას, ყოფილ ლენინის ქუჩას, ბულვარის შესასვლელში კარგა ხანს უყურა მემედ აბაშიძის ახლად დადგმულ ძეგლს. შემდეგ მარჯვნივ, სტადიონისკენ გაუხვია, სტადიონს გგერდი მარცხნიდან აუქცია და პლატფორმას წავიდა. სწორედ აქ ეგულებოდა ერთი ფანჩატური, რომელიც სტადიონის მშენებლობის დროს დამხმარე სათავსოს მოვალეობას ასრულებდა. ნახევრად ბეტონის და ნახევრად ფიცრის კედლები ჰქონდა, როგორც ლევანს ახ-

სოვდა კარგად უნდა ყოფილიყო გადახურული. ფანჩატური ადგილზე დახვდა, მაგრამ სახურავი სანახევროდ მორღვეული იყო. ისე რომ ნალექისაგან კარგად ვერ დაიცავდა. ლევანმა სიგარეტს მოუკიდა, თან სანთებელის შუქზე ადგილი დაათვალიერა. უბინაო ადამიანი დამის გათევას შეძლებდა. ჩანთა მხრიდან მოიხსნა, ფანჩატურში დატოვა, თვითონ კი პლაჟი-საკენ წავიდა. იქვე მდგარი ნაძვების პატარა ხეივანი ერთგვარ ქოლგას ქმნიდა და წვიმიან თოვლს მიწაზე არ უშევებდა. ამ ნაძვების ქოლგას შეეფარა ლევანი და აბობქრებული ზღვისაკენ გაექცა თვალი. მის ადგილას ზოგს ადვილად გადაუბრუნდებოდა ჭკუა და თავისი ყოფიერებიდან გამომდინარე, უკანმოუხედავად წავიდოდა გაცოფებული ზღვისაკენ, შევიდოდა შიგნით და სამუდამოდ დარჩებოდა იქ. ასეთ ზღვარზე ლევან სართელი მრავალჯერ მდგარა, მაგრამ მას რაღაც ძალა არ აძლევდა ასეთი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის უფლებას. ამასთან ისიც კარგად იცოდა, რომ თვითმკვლელობა ერთ-ერთი დიდი ცოდვა არის უფლის წინაშე. კაცი მაშინ ხარ გაჭირვებას და მძიმე წუთებს რომ გაუძლებ და მის გადასალახავად იბრძოლებ, თორებ ასეთი სისულელის გაკეთება, რასაც თვითმკვლელობა ჰქვია, ნებისმიერ ზნედაცმულ ადამიანს შეუძლია.

ზღვა ბობოქრობდა. თითქოს მისკენ მიმავალ წვიმისგან გაჯერებულ თოვლის ფიფქებს ულრენდა, შემდეგ კი საგულდაგულოდ ნოქავდა. თოვლიანი წვიმაც არ ეშვებოდა. მაინცდამანც ზღვისაკენ მიისწრაფვოდა, რათა თავისი საბოლოო განსასვენებელი ეპოვა მის ზვირთებში. ლევანი უყურებდა ცისა და დედამიწის ამ ორთაბრძოლას და თავისთვის ბუტბუტებდა:

— რა მინდა აქ? სად გადმოვიჩვენ? რატომ არ მაყენებენ საკუთარ სახლში? ამბობენ აქაურ ბაბუს ისე აქვს საქმე დაყენებული, აჭარა დანარჩენ საქართველოსთან სამოთხედ მოგეწვენებაო. აფერუმ შენს ვაჟეკაცობას, ასლან, თუ ასეა. ღმერთი დაიფარავს შენს ოჯახსა და მოდგმას. თუ ასეთი წესიერი და პატიოსანი ხალხი მუშაობს აქ, ვალების ამოღებაშიც დამეხმარებიან ალბათ.

ამ ფიქრებსა და თავის თავთან საუბარში იმდენი დრო გავიდა, რომ ლევანს ცოტა შეაცია., „ჩეკუშვის“ გახსნის დრო იყო. მივიდა, ჩანთა გახსნა, ამოიღო პლასტმასის „ჩეკუშვა“, გახსნა, ღმერთი ახსენა და სწრაფი მოძრაობით გადაჰკრა, ცოტა პური მიაყოლა. შემდეგ მეორე „ჩეკუშვასაც“ მოუღო ბოლო. შემდეგ ფიცრები მშრალი ადგილისაკენ მიაჩოჩა, ჩანთაზე თავი დაღო, ქურთუკი ბოლომდე შეიკრა და თავს ძალა დაატანა, რათა ჩასძინებოდა.

ლევანი დილით თოლიების წიგილმა გამოაღვიძა. როგორც ჩანს პორტში გემი შემოსულიყო და გემს შემოყოლილ თევზზე ნადირობდნენ. სართელი წამოიზლაზნა. ცოტა მარჯვენა გვერდი აწუხებდა, იფიქრა გამიცივდაო. მაშინვე გამოძვრა ფანქატურიდან. თოვლ-წვიმას გადაეღო, მზიანი დღე თენდებოდა, მაშინვე პლაზუზე გავიდა და თავისუფალი გარჯიშების შესრულება დაიწყო. ვარჯიშებმა სწრაფად გაუთბო ორგანიზმი და ყველა ტკივილმა გაიარა. ლევანმა ღრმად ჩაისუნთქა და ამოსუნთქვის დროს თავისთვის თქვა:

— გადავრჩი.

ეს ნიშნავდა, რომ გაციებას გადარჩა. იქვე ბულვარზე ხელპირი დაიბანა და მალე გასცილდა ამ ადგილს, რადგან ამ ღამებ არცუ სასიამოვნო მოგონებები დაუტოვა.

გეზი შინაგან საქმეთა სამინისტროსაკენ აიღო. თბილისიდან გადმოგზავნილ განცხადებაზე რეაგირების პასუხი აინტერესებდა. თან მეორეს ფიქრობდა, ვაითუ პროკურატურიდან აქაც დარეკეს მის მოსაძებნად. მაგრამ იმედოვნებდა, რომ პროკურატურა მას ოფიციალურად ვერ დაუწყებდა ძებნას, ხოლო არაოფიციალურ ძებნილზე აჭარაში თავს არ შეიწუხებდნენ, მით უმეტეს ლევანს აქ ურთიერთობები ასე თუ ისე „დალაგებული“ ჰქონდა. ამ ფიქრებში გართულმა სასტუმრო „მედეას“ მხრიდან სანაპიროს ქუჩაზე დააპირა ჩამოსვლა, რომ წინ სპეც. რაზმელთა კორდონი დახვდა.

— სდექ! დროებით შეჩერდი! — იყო ბრძანება.

ლევანი ჯერ დაიბნა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ სანაპიროს ქუჩა დაკეტილი იყო, როგორც სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ასევე ხალხისთვის. პორტისაკენ გაიხედა და სპეც. მანქანების გროვა იდგა აბაშიძის სახლთან. მიხვდა ყველაფერს, თან მის თვალწინ სპეც. რაზმელებით გაჭედილმა სამმა ჯიპმა ჩაიქროლა და ბულვარსა და უზენაეს საბჭოს შორის დაიკავეს პოზიციები. ახლო მდებარე სახლის სახურავებზეც სპეც. რაზმელებს ეკავათ პოზიციები. შემდეგ აბაშიძის სახლიდან დაიძრა მანქანების მთელი „ესკადრილია“ და ერთ წუთში ყველა ერთად გაჩერდა უზენაესი საბჭოს შესასვლელ კართან. მანქანებიდან გადმოცვივდნენ სპეც. რაზმელები და რომელიღაც მანქანასთან შეჯერებდნენ. შემდეგ ისევ დაიშალნენ და წინასწარ მითიერულ პოზიციებზე განლაგდნენ. ლევანი განცვიფრებული უყურებდა ამ ზედახორას, მიხვდა ყველაფერს, მაგრამ მაინც შეეკითხა იქვე მდგომ პოლიციელს:

— რა მოხდა? ვინმე ჩამოვიდა?

— აფერი. ბაბუ წევდა სამსახურში და. — იყო მოკლე პასუხი. როგორც ჩანდა, ეს ყველაფერი ყოველდღიური ეტიკეტი იყო.

აბაშიძის სახლიდან უზენაეს საბჭომდე საგზაო მარშრუტით სამასი მეტრიც არ იქნება. თითქმის ერთმა გარნიზონმა მიაცილა იგი სამსახურამდე. „ესე იგი ამას აქაც ვერ აქვს საქმე კარგად“ — ფიქრობდა ლევანი, — „საკუთარ სახლში ასეთი დაცვით სიარული რესპუბლიკის ხელმძღვანელის დიქტატორობაზე მიუთითებს, თორემ არა მგონია აბაშიძე ამას მარიაჟობის გულისათვის აკეთებდეს.“

ნანახმა ლევანს ცოტა ხასიათი გაუფუჭა. რატომდაც ეჭვი შეეპარა აქაურ „სამართლიანობაში“. ეს კი მის საქმეზე დადებით ზეგავლენას ვერ მოახდენდა.

სართელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მისაღებში საშვი გამოაწერინა და იმ გამომძიებლის კარები შეაღო, ვისაც მისი და გენოს განცხადება ეწერა. გამომძიებელმა ლევანი კარგად მიიღო.

როგორც ჩანდა მათ უკვე გარკვეული მოკვლევა ჩეტარებინათ განცხადების ირგვლივ და შედეგებიც კარგი ჰქონდათ. მოსკოვში გადახვეწილ კონცელიძესთან პირდაპირი სატელეფონო კავშირი ჰქონდათ და დღედღეზე ელოდებოდნენ თანხის გადმორიცხვას. ლევანი ასეთ შედეგებს ნამდვილდ არ ელოდა. განცვიფრებულმა და აღფრთვანებულმა მიმართა გამომძიებელს:

— ბატონი დურსუნ, არ მეგონა თუ საკითხს ასე ოპერატიულად გადაწყვეტდით.

— ყველაფერი ბატონი ვახტანგის დამსახურებაა. თბილისიდან მას ელაპარაკნენ. მან პირობა მისცა, რომ თანხას ამოიღებდა. ძველი ჩეკისტია ბატონი ვახტანგი, სიტყვებს ჰაერში არ ისვრის.

— ეს უივაძე თუ ნახეთ? — იკითხა ლევანმა.

— მაგი აფერისტია. სახლში იმაღება. არ ჩნდება, ჩვენც ოპერატიულ ვითარებას ჯერ არ ვამწვავებთ. მთავარია თანხა ამოვილოთ და მერე შევხედავთ სიტუაციას.

— მე რა გავაკეთო, ბატონი დურსუნ? რით დაგეხმაროთ?

— მოდი, ახსნა-განმარტებას ჩამოგართმევთ, საქმეში დაგვჭირდება და შემდეგ დაველოდოთ ერთად თანხის ჩარიცხვას. ბათუმში გყავთ ახლობლები, რომ გაჩერდეთ ბინაზე?

— კი, როგორ არა.

— თუ არ გყავთ, მაგ საქმესაც მოგიგვარებთ.

— გმაღლობთ გულისხმიერებისა და მასპინძლობისათვის, ნუ შეწუხდებით, ყველაფერი რიგზეა.

— მაშინ შევუდგეთ საქმეს.

— კი ბატონი.

ჩვენების მიცემამ და ახსნა-განმარტების წერამ დაახლოებით სამ საათს გასტანა. ლევანი და გამომძიებელი შეხვედრაზე ორი დღის შემდეგ შეთანხმდნენ. სართელი დაემშვიდობა დურსუნს, რა თქმა უნდა, დახმარებისათვის შესაბამის პატივისცემას შეპირდა და ქალაქში გამოსული დიმიტრის ბინისაკენ წავიდა.

ბათუმის ცენტრი პატარაა. აქ მანქანით მოძრაობას, ფეხით სიარული სჯობია. ქუჩების ჭადრაკული განლაგება კი აღამიანს

მანევრირების საშუალებას უადვილებს. დიმიტრის ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით ჰქონდა დაქირავებული ბინა, ამიტომ ლევანი ათ წუთში უკვე მასთან იყო.

— რა კაცი, რა კაცი ჩამოსულა, — კარების გაღებისთანავე იყვირა აღფრთოვანებულმა მეტონიძემ და ჩაეხუტა ლევანს, — დღეს ჩამოხვედი ნიკალაევიჩ?

— კი, დილას, — იცრუა სართელმა, — სამინისტროში ვიყავი, საქმე მგონი კარგად არის და რამდენიმე დღე ლოდინი მომიწევს, ხომ მიმიღებ სტუმრად?

— რაზეა ლაპარაკი, ნიკალაევიჩ, შენთვის ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა. ჩვენც დილას ჩამოვედით.

— რა ქენით?

— ერთი მოვიგეთ, ერთი წავაგეთ. არ უნდა წაგვეგო, მაგრამ რას იზამ, სპორტში ყველაფერი ხდება, არ გესწავლება ეს შენ.

— ეგ არაფერი. ნაღდი სპორტსმენი მაშინ ხარ, როდესაც იცი წაგებას როგორ შეხვდე. მაგის ცოდნა სპორტში აუცილებელია.

— მოდი, სპორტი დროებით გვერდზე გადავდოთ, — თქვა დიმიტრიმ, ლევანს სავარძელი შესთავაზა, თვითონაც მის მოპირდაპირებ დივანზე ჩამოჯდა და განაგრძო, — შენი საქმე როგორ არის?

ლევანს დიმიტრისათვის არაფერი დაუმალავს, ყველაფერი მოუყვა, თან გააფრთხილა, რომ არც შინაურთან და არც გარეულთან არაფერი წამოსცდენდა.

— აჭარაში კიდევ ერთ კაცს ცოდნინება ჩემი რეალური მდგომარეობა. კუკური ბერიძეს ხომ იცნობ?

— კუკური? ხო, ხო, ის გამოუსწორებელი მსმელი რომ არის?

— დიახ, ბატონო. — დაუდასტურა ლევანმა. — ალბათ აჭარაში ჩემი ვიზიტის დიდ დროს უფრო ქობულეთში გავატარებ.

— მაგაზე უხერხულობას ნუ შეიქმნი, ნიკალაევიჩ, ჩემთან გაჩერების პრობლემა შენ არ გექნება. იყავი რამდენი ხანიც გინდა, — თქვა დიმიტრიმ. — მაგ თემაზე აღარ ვილაპარაკოთ.

მეორე დღეს ლევანი ქობულეთში წავიდა. კუპური აუცილებლად უნდა ენახა, რათა საქმის კურსში ჩაეყენებინა მომხდარის გამო. ქობულეთში ჩასულს შორს წასვლა აღარ დასჭირდა, კუკური ტაქსების გაჩერებასთან ორ კაცს ელაპარაკებოდა, ისე შლიდა ხელებს, რომ ნამდვილად რაღაცას უმტკიცებდა. ლევანის დანახვაზე, უფრო ფართოდ გაშალა ხელები და შესძახა:

— ჟო! როის დეიწყეთ კახელებმა ჩერეზ ბათუმი ქობულეთში სიარული?

— ახალი მარშრუტი გაიხსნა თოხლიაური-ხულო. — სწრაფადვე უპასუხა სართელმა.

— წამოი შენ ჩემთან, წამოი და იქ გაჩვენებ ხულოს რეისს. — მოკიდა ხელი ბერიძემ სართელს და სადგურიდან მოკლე გზებით ერთ სახლში მიიყვანა.

— სად მივდივართ, კუკურა? — ჰკითხა ლევანმა.

— არაა მაი შენი საქმე.

სახლი ორსართულიანი იყო, პატარა ეზოთი. მასპინძელი ახალგაზრდა ოჯახი გახლდათ, ცოლ-ქმარი და სამი გოგონა. აგრეთვე ოჯახის უფროსის მოხუცებული დედა.

— გეიცანი, — უთხრა კუკურიმ ლევანს და ხელი ოჯახის უფროსისაკენ გაიშვირა, — თამაზ კაიკაციშვილი.

— ლევან სართელი. — თქვა ლევანმა და თამაზს ხელი ჩამოართვა.

— აწი, მე რომ არ ვიქწები აქ, — თქვა ხმამალლა კუკურიმ, — ამ ოჯახში მოხვალ რომელი საათიც არ უნდა იყოს, გაიგე?

— არის, უფროსო, — ღიმილით წარმოთქვა ლევანმა და მდაბლად დახარა თავი.

— რას მომჩერებიხარ ახლა! — უყვირა კუკურიმ თამაზს.

— მოხდა რამე? — შეკრთა თამაზი.

— სტუმარი მევიყვანე, გაშალე რაცხა.

— აუჰ! მიდი, ცა, მიხედე საქმეს! — უკვე თამაზმა უსაყველურა ცოლს.

— ნუ შეწუხდებით. არ არის საჭირო არაფერი. — აფორიაქდა ლევანიც.

— შენ გაჩუმდი! – მიუბრუნდა კუკური სართელს, – სტუმარს მაგდენი ლაპარაკის უფლება კი არ გაქვს.

— ბოდიში, ბატონი.

თხუთმეტ წუთში მამაკაცები სუფრასთან ისხდნენ. კუკურის არყით სავსე ჭიქა ეჭირა ხელში და ენამზეობდა. ხოლო, როდე-საც საკუთარი „ჰიმნის“ „ჩემი სამშობლო გურიას....“ მუსიკა-ლური შესრულება დაიწყო, მოქეიფებს უკვე თითო-თითო ბოლო არყით ჰქონდათ დალეული. კაიკაციშვილებთან ქეიფს რომ მორჩნენ, შემდეგ ჩოლოქზე წავიდნენ, იქაც დაუმატეს და ბოლოს ხუცუბანში, კუკურის ოჯახში „დააფინიშეს“. ასე რომ, ლევანმა დრო ვერ გამონახა, რომ კუკურის თავის საქმესთან დაკავშირებით გასაუბრებოდა.

დიღით როგორც იქნა დაიმარტოხელა და აუხსნა ძღვომარეობა. კუკურიმ დააწყნარა სართელი:

— სანამ მე ცოცხალი ვარ, აქ პრობლემები არ გექნება და მერე არ ვიცი.

— აპირებ რამეს თუ? – ჰქითხა ღიმილით სართელმა.

— თუ დღეს სისხლი არ გამევიღე, შეიძლება რაცხა ვქნა და მივაკითხო წინაპრებს.

— აბა, წავიდეთ საავადმყოფოში, იქნებ ჩაიბარონ.

— წევდეთ და.

იმ დღეს სისხლის ჩაბარებაზე იჩალიჩეს, როგორც იქნა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ექიმებმა მიიღეს ოთხასი გრამი სისხლი.

კუკური დაწყნარდა. ლევანმა სახლში გააცილა, თვითონ კი ბათუმში გაემგზავრა.

XX

დილით ლევანი შინაგან საქმეთა სამინისტროში გამომძიებელ დურსუნთან დათქმულ დროს გამოცხადდა. გამომძიებელი ხასიათზე არ იყო.

- მოხდა რამე? — მორიდებით ჰკითხა ლევანმა.
- თქვენი საქმე ჩამოგვართვეს.
- გადასცეს ვინმეს?
- კი. მინისტრის მოადგილემ მეითხოვა და ახალი ძიება დეიწყო, — თქვა შეწუხებულმა დურსუნმა, — რა არი მანდ ხელახლა გამოსაძიებელი, არ ვიცი. ძალა აღმართს ხნავს.
- ვინაა ეგ მოადგილე? — იკითხა სართელმა.
- შენ კარგად იცი, მინისტრის მოადგილე ჩემი ბიძაშვილი არ იქნება. — გაეცინა გამომძიებელს.
- ჰო... გასაგებია, — თქვა ლევანმა, — ეგ ალბათ „აბგ“ ზან არის.
- არ ვიცი. — ჩაილაპარაკა თავისთვის დურსუნმა და მაგიდაზე გაშლილი ქალალდების დალაგება დაიწყო.
- რა მეშველება ახლა მე? — იკითხა შეწუხებულმა სართელმა.
- უნდა დაველოდო რა გადაწყვეტილებას მიიღებს უფროსი. ერთ-ორ დღეში რომელიმე გამომძიებელს დააწერს საქმეს და იმასთან მე თვითონ დაგაკავშირებ.

სამინისტროდან ლევანი ანერვიულებული გამოვიდა. ზღვის ნაპირზე გავიდა და თითქმის ნახევარი საათი უაზროდ გასცეკეროდა ლურჯად მოლივლივე ზღვას. საქმეს უკვე კარგი პირი აღარ უჩანდა. მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო. საქართველოს იურისდიქცია აჭარის ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა. აქ ყველაფერი „ბაბუს“ კანონებს ექვემდებარებოდა. მიუხედავად ამისა თბილისიდან რამდენჯერმე მაინც დაარეკინეს ბათუმში მინისტრის მოადგილესთან. პასუხი ერთგვაროვანი იყო: „აფერისტებთან გვაქვს საქმე, ბატონო, ამიტომ ძიებისათვის დრო გვჭირდება“.

ლევანს ახალი გამომძიებელიც გააცნეს. ვინმე ბონდო ალანია, რომელმაც საქმის წარმოება სულ ახლიდან დაიწყო და ყველა „წვრილმანის“ შესწავლის შემდეგ ლევანის დაკითხვა მთელი ორი კვირა გაწელა. ერთ-ერთი დაკითხვის დამთავრების შემდეგ ლევანმა ხუმრობით უთხრა გამომძიებელს:

— ბატონო ბონდო! ჩემს დაკითხვას იმდენ დროს ანდომებთ, რომ ეჭვიც კი შემეპარა, დამნაშავე მე ხომ არა ვარ.

— რა ვქნათ, ბატონო ლევან, — მთელი სერიოზულობით შეხე-და გამომძიებელმა სართელს, — ასეა წესი.

— კარგით, ბატონო, ეს ყველაფერი ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენი წესებით ფულს როდის ამოიღებთ?

— შევხედავთ, შევისწავლით და მაგასაც გეტყვით, მაგრამ მაგ გამოფხეკილებს არა მგონია რაიმე ჰქონდეთ.

ლევანი მიხვდა, რომ გამომძიებელს ამ საქმეში არავინ არაფერს ეკითხებოდა. მასთან საუბარი წყლის ნაყვა იყო და სხვა არაფერი. ადგილობრივი არხებით მოახერხა მინისტრის მოადგილეზე გასვლა და, შესაბამისი „პატივისცემის“ სანაცვლოდ, სოხოვა დახმარებოდა თანხის ამოღებაში. რეაქცია უარყოფითი არ ყოფილა, მხოლოდ საქმე კუს ნაბიჯებით მიიწევდა წინ. სართელმა კიდევ ერთი ვარიანტი შესთავაზა მინისტრის მოადგილეს. მისი შეთავაზება პროცენტის გადახდის თაობაზე რომ არ ყოფილიყო მხოლოდ სიტყვიერი დაპირება, ამიტომ აჭარის ნებისმიერ ბანკში გახსნიდა ანგარიშს და თანხის ჩარიცხვის შემდეგ მოხდებოდა მისი განაწილება. ასე რომ, „გადაგდების“ რისკი ნულამდე იქნა დაყვანილი. ამ საკითხზეც შეთანხმდნენ და ლევანმა საზღვაო ბანკში გახსნა პირადი ანგარიში. მიუხედავად ამისა საქმე ადგილიდან არ იძვროდა.

საერთოდ აჭარლები დინჯი, აუჩქარებელი ხალხია. ერთ დღეში გასაკეთებელი საქმე შეიძლება ერთი-ორი კვირა გაწელონ, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უივაძე-კონცელიძის საქმე კი არ გაწელა, არამედ გაყინა. ლევანს კი ყოველ მეორე ან მესამე დღეს პირდებოდნენ მის დადებითად გადაწყვე-

ტას და ამ ლოდინში ისე გავიდა ექვსი თვე, რომ სართელი ამას მხოლოდ საკურორტო სეზონის დახურვით მიხვდა. ამ პერიოდში ხან ბათუმში იყო და ხან ქობულეთში. ჯიბეგაფხევილ სართელს, რომელსაც ათიათასობით დოლარი ჰქონდა ამოსაღები, დიმიტრი და კუკური დახმარებას არ აკლებდნენ. თუმცა, ამათაც რა ჰქონდათ? მაგრამ მათი კეთილი ბუნებიდან გამომდინარე, ლევანს არაფერს აგრძნობინებდნენ. უხერხულ მდგომარეობაში იყო სართელი, მაგრამ რა ექნა, უკან წასასვლელი გზა მოჭრილი ჰქონდა.

ლევან სართელის გაუჩინარების შემდეგ, ზაურ ქორიძის თანამშრომლები გაცოფებულები ეძებდნენ მას. მხოლოდ ორი თვის შემდეგ დაადგინეს, რომ სართელი აჭარის ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

— წადით და ჩამოათრიეთ აქ! — მოძლვრავდა თავის ქვეშევრდომებს ქორიძე, — შანშიაშვილთან უნდა დავაპირისპირო, თორემ „ზევით“ ინფორმაციას ვერ ვაწვდი.

თანამშრომლები უხერხულად აწრიალდნენ. ბოლოს ისევ იმან დაიწყო დაბალი ხმით საუბარი, ადრე ქორიძემ „მაღაკასოსი“ რომ უწოდა:

— ბატონო ზაურ, აჭარაში დოკუმენტის გარეშე არაფერი გამოგვივა.

— რატომ!? — იღრიალა ქორიძემ, თუმცა კარგად მიხვდა, რას-აც ეუბნებოდა თანამშრომელი.

— ჯერ ისიც საკითხავია ოფიციალურ დონეზე მოგვაძებნინებენ თუ არა სართელს და რაც შექება არაოფიციალურად მის გამოყვანას აჭარიდან ეს ზღაპარია.

— მოიტაცეთ! — მოკლედ მოუჭრა ქორიძემ.

— მისი მოტაცება მნელია. ის ისეთი კაცის სტუმარია, რომელსაც „კალაშნიკოვი“ ცხვირსახოცივით თან დააქვს, თან იშვიათადაა ფხიზელი და იარაღის გამოყენებაზე თავს არ იკავებს. ჩოლოქზე მაღლულად იმ კაცს ვერ გამოვატარებთ, რადგან მთელ თანამშრომლებს იცნობს.

- ესე იგი, საშველი არ არის!? — გამოსცრა ქორიძემ.
- აჭარის ტერიტორიას რომ დატოვებს, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი მისი აყვანა.
- გატყობთ, კარგად შეგისწავლიათ სართელის მდგომარეობა აჭარაში.
- ბატონო ზაურ! ჩვენი არხებით ბათუმში დაშინება ვცადეთ მისი, მაგრამ ჩვენ ხალხს რაგბისტები დაესივნენ და კინაღამ კისრები წაწყვიტეს, თუმცა თვითონ სართელმა ამის შესახებ დღესაც არაფერი იცის. ისე რომ, კარგად არის დაცული და არაფერი არ გამოგვივა.
- სხვა რა გზაა, დაველოდოთ, — ჩაილაპარაკა ზაურ ქორიძემ და თანამშრომლებს ხელით ანიშნა გასულიყვნენ კაბინეტიდან.

XXI

აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჟივაძე-ქონცელიძის საქმე საბოლოოდ „გაყინა“. აშკარად ჩანდა, რომ სართელის სასარგებლოდ საქმე არ გადაწყდებოდა. ლევანი გენო ჭანკვეტაძეს ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ მაინც უკავშირდებოდა. საპარტნიორო ფონდთან სიტუაცია დაძაბული იყო. მათ ეგონათ, რომ ლევანი დავალიანების გამო იყო გაქცეული ქალაქიდან. გაუგებრობის ბურუსის გაფანტვის მიზნით, გენო ჭანკვეტაძემ თავისი კუთვნილი ბინა გაყიდა და თანხა დავალიანების დასაფარავად საპარტნიორო ფონდში შეიტანა, თუმცა ამან ვალი ნაწილობრივ შეამცირა. გენოს ლევანის დახმარება სჭირდებოდა. ამასთან ერთად სართელს ექვსი თვე ოჯახი მიტოვებული ჰყავდა. მართალია, მას ახლობლები შესანიშნავად პატრონობდნენ, მაგრამ ოჯახის უფროსის მიზედვა მაინც სჭირდებოდა. ასე რომ, ლევანმა დაიწყო მზადება უკან დასაბრუნებლად, სადაც დევნიდნენ. რისთვის? რისთვის და სამშობლოს დახმარებისათვის.

კუპური ბერიძესთან ერთად მგზავრობის რამდენიმე ვარიანტი განიხილეს. სამგზავრო ავტოტრანსპორტი და მატარებელი

ორივე სახიფათო იყო, რადგან პოლიცია ხშირად ამოწმებდა. ბოლოს გადაწყვიტეს ისევ ჯართის გადამზიდავი ავტობუსით მგზავრობა, რადგან ცარიელ სატვირთო ავტობუსს არავინ აჩერებდა, მათ რეისის დროს ყველა საგუშაგოზე ფული ჰქონდათ გადახდილი და მხოლოდ ხელის აწევით ესალმებოდნენ ერთმანეთს. ასე რომ, ლევანი ჩაჯდა კახეთისაკენ მიმავალ ჯართის ავტობუსში და ცხრა საათიანი მგზავრობის შემდეგ, დილის ხუთ საათზე სოფელში ჩამოხდა და ერთ-ერთი ახლობლის სახლისაკენ გაემართა. მეორე დღეს იქ გენო ჭანკვეტაძეს უნდა შეხვედროდა.

ლევანი სოფელში თითქმის წელიწადია არ ყოფილა. ახლობლებთან საუბრით თითქოს სოფელში არაფერი იყო შეცვლილი, მაგრამ დაკვირვებული კაცი ბევრ სიახლეს დაინახავდა. პირველ რიგში სოფელში ახლად დასახლებული ხალხი მომრავლებულიყო, წასულებიც ბევრნი იყვნენ. ყოველივე ამას ცხოვრებისა და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში მკვეთრი ცვლილებანი შეეტანა.

საუბარსა და ფიქრებში ლევანს და მის ახლობლებს ისე დაათენდათ, ვერც გაიგეს. დათქმულ დროს გენო ჭანკვეტაძეც გამოჩნდა. მეგობრები გადაეხვივნენ ერთმანეთს და დიდხანს განმარტოებით საუბრობდნენ.

— მეც მომიწევს ჩემი წილი სისხლის გამოღება საპარტნიორო ფონდისათვის, — თქვა ლევანმა და სიგარეტი ისე მოქაჩა, რომ თითქმის ნახევრამდე ჩაიყვანა.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა გენომ.

— თუ შენ გაყიდე ბინა და უსახლკაროდ დარჩი, მეც ვალდებული ვარ, ასე მოვიქცე.

— შენ რატომ უნდა გაყიდო ბინა? — თქვა გაკვირვებულმა ჭანკვეტაძემ, — ოპერაცია ჩემი უყურადღებობით ჩავარდა და პასუხისმგებელიც მე ვარ.

— გენოს ვენაცვალე, შენ ამ შემთხვევაში შენი კაცური ბუნებიდან გამომდინარე მსჯელობ, თორემ საქმოსანთა კანონებით

პარტნიორები თუ მოგებაში ერთად არიან, წაგებაც თანაბრად უნდა გაინაწილონ.

ჭანკვეტაძეს ცრემლი მოადგა თვალზე. ადგა, ფანჯარასთან მივიღა, უკვე კარგად ამოწვერილ მზეს შეხედა, ცხვირსახოცით ცრემლები მოიწმინდა, შემობრუნდა, ლევანს გადაეხვია და მოგუდული ხმით წარმოოქა:

— სწორედ ამის მეშინოდა, რომ ჩემი დოკუმენტით შენც ქუჩაში არ დარჩენილიყავი. აღარ ვიცი, რა მოვიფიქრო. საპარტნიორო ფონდში შენი გამოჩენაც არ შეიძლება, ვაი თუ პროკურატურამ იყნოსოს.

ლევანმა აფორიაქებული გენო დააწყნარა, სკამზე დასვა, თვითონ კი, როგორც სჩვეოდა, ოთახში სიარული დაიწყო. მერე კუთხეში მდგარ სკამს მოკიდა ხელი, ჭანკვეტაძის მოპირდაპირე მსარეს დადგა, ჩამოჯდა და აუდელვებლად დაიწყო საუბარი:

— ნაჩალნიკ, მე აღბათ რამდენიმე დღეში ისევ უკან წაგალ აჭარაში. შენი თქმისა არ იყოს, საპარტნიორო ფონდში ნამდვილად ვერ გამოგჩნდები. ამიტომ ჩემს მაგივრად გადაეცი მათ, რომ თუ უახლოეს პერიოდში ვერ შევძელი აჭარიდან თანხის ამოღება, ჩემი ბინის გასაღებს მე თვითონ ჩავაბარებ. მაგათ ძალიან კარგად მოეხსენებათ საბურთალოზე, პრესტიულ უბანში, გარემონტებული და ავეჯით გაწყობილი სამოთახიანი ბინა, მიუხედავად დღევანდელი დაბალი ფასებისა, ორმოცდათი ათას დოლარზე ნაკლები არ ღირს და გაყიდვაც არ გაჭირდება. ასე რომ, ვალი თავისი პროცენტებით თავისუფლად დაიფარება.

— ლევან კიდევ ერთხელ გეუბნები, მე ნამდვილად არ მინდა, რომ შენი ოჯახით ქუჩაში გამოხვიდე, მაგრამ შენს ნათქვამს საპარტნიორო ფონდს გადაკცებ.

— შევთანხმდით! — თქვა ხმამაღლა ლევანმა და სიგარეტს მოუკიდა, — მოდი საუბრის თემა შევცვალოთ, ერთი ეს მითხარი, ვოვა საბაური საით არის?

— შეა აზიაში წავიდა და აღარ ჩამოდის, ცოლშვილიც წაიყვანა. დამირეკა იმ დღეს. ლუკმა პურის ფულს ვშოულობო.

— კოტე სეფერთელაძე ხომ არ გამოჩენილა?

— მეორე ძმაც გარდაეცვალა. ვიღაც თავის ძმაკაცი გადაუგდია ხუთი ათას დოლარში, მგონი საძმაკაცოში და სანათესაოში გადასაგდები აღარავინ დარჩა.

კარგა ზანს ისაუბრეს მეგობრებმა. დღის მეორენახევარში გენო დაქმშვიდობა მასპინძლებს და თბილისში წავიდა, ხოლო მთელი ღამის უძილო ლევანი ტახტზე წამოწვა და უცბად ჩაეძინა.

შუალამისას რაღაც ძალამ გამოაღვიძა, მთელი სხეული ოფლით ჰქონდა დასველებული, აფორიაქებული იყო. ვერ იგებდა რა სჭირდა, ვიღაც აშკარად მოქმედებდა მის გონებაზე. ლევანი ცდილობდა, რომ წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ძალა არ ყოფნიდა. სიგარეტი მოიძია, გააბოლა. ამან უარესი დამართა თითქოს ძალა მთლიანად გამოეცალაო. ფანჯარა გამოაღო. გრილმა ნიავმა ცოტა შეება მისცა გატანჯულ სხეულს, მაგრამ მაინც ვერ გამოიყვანა უხილავი ძალის ტყვეობიდან.

— „რა ჯანდაბა მჭირს?“ — ნერვიულობდა სართელი. აღარც ძილი ეკარებოდა. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. ორი საათის წვალების შემდეგ, დაღლილსა და დაქანცულს, სავარძელში ჩამჯდარს ჩაეძინა.

XXII

ლევანის მეუღლეს სოფოს დილით ადრე გაეღვიძა. მაშინვე ლევანის საწოლისაკენ გაიხედა. იგი იმავე მდგომარეობაში იყო, როგორც თვითონ გაშალა. ელდანაკრავივით წამოვარდა და მეუღლეს დაუწყო ძებნა. მისაღებ ოთახში მდგარ საგარძელში ჩაძინებული ლევანი ოფლში ცურავდა. სოფომ მაშინვე გააღვიძა, საწოლამდის მიიყვანა, ჩააწვინა, სიცხე გაუზომა, თერმომეტრმა ნორმალური ტემპერატურა აჩვენა.

— ლევან, გტკივა რამე? — ეკითხებოდა გაფითრებულ სართელს გაოგნებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი სოფო.

ლევანი გაფართოებული თვალებით, უაზროდ მიჩერებოდა ჭერში ერთ წერტილს და ხმას არ იღებდა.

— ლევან, ამოილე ხმა, არ გაძაგიუო! — არ ეშვებოდა სოფო.

სართელი თითქოს გამოფენიზლდა. სოფოს შეხედა, თმებზე ხელი გადაუსვა და აღერსიანად უთხრა:

— ნუ გეშინა, კარგად ვარ, მხოლოდ რაღაც უხილავი ძალა არ მასვენებს. სიზმარშიც და ცხადშიც ერთი და იგივეს ჩამყვირის.

— ვინ ჩაგვირის, რას ჩაგვირის, რას ლაპარაკობ, ლევან? — ნერვიულობდა სოფო.

— რას ჩამყვირის და აგარიანელთა ნათელმხილველებთან მიდი, შენს საქმეს მხოლოდ ისინი უშველიანო.

სოფო გაოცებული უყურებდა ლევანს. ყველაფერს იფიქრებდა და ნამდვილად არ მოელოდა თუ ლევანისგან ამ სიტყვებს მოისმენდა. ის ხომ ყოველთვის წინააღმდეგი იყო სხვა აღმ-სარებლობის ადამიანებთან სარწმუნოებრივი ურთიერთობისა. ახლაც რა მოელანდა. საიდან გაახსენდა აგარიანელთა ნა-თელმხილველები. მართალია, საქართველოს ხელისუფლება-ში მოკალათებული ელიტარული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ნათელმხილველებთან დადიოდა და ამის გამო ბევრმა ქართველმა იწამა მათი ვითომდა სასწაულებრივი ძალა, ლევანი ყოველთვის მათი წინააღმდეგი იყო და აი, საოცრებავ, ლევან სართელი დღეს დახმარებას მათგან ითხოვდა. სოფომ აღარ იცოდა, რა მოეფიქრებინა. ბოლოს ძალა და ნებისყოფა მოიკრიბა და მეუღლეს სთხოვა:

— შენ ძალიან დაიდალე ჯერ მგზავრობისგან და მერე ნერვიულობისაგან. წამოდი საწოლში ჩაწექი, დაისვენე, იქნებ ჩაგებინოს კიდეც და მერე დასვენებულ გონებაზე გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი.

— არ მინდა. მე დასვენებული ვარ და გონებაც ნორმალურად მიმუშავებს. მე უნდა აგარიანელებში წავიდე, ჩემი შველა მხოლოდ მათ შეუძლიათ. — თქვა თავის თავში დარწმუნებულმა სართელმა.

— კარგი, კარგი, როგორც შენ გინდა. — აღარ გაამწვავა სიტუაცია სოფომ და მისაღები ოთახიდან გავიდა. საძინებელში შე-

სულმა ვეღარ შეიკავა თავი, საწოლს დაენარცხა და ბალიშში თავჩაყოფილმა ხმამაღალი ქვითინი მორთო.

ლევანი კი ისევ ღია ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს აბოლებდა. უცებ, რამდენიმე წლის წინ სოფლის სასაფლაოზე „უხილავთან“ დიალოგი გაახსენდა:

„... – ტაძარს თუ არ მიაკითხავ, შენ არაფერი გეშველება. შენ არ იცი, რა გჭირს.

– რა მჭირს?

– რა და ჯადო გაქვს გაკეთებული.

– რაა? ჯადო? ჰა! ჰა! ჰა! – ახარხარდა ლევანი, – ნუ მელაპარაკები ამ სისულელეს...“

თან ისიც უთხრა ჯადო სად დამზადეს და გააფრთხილა:

„სანამ უფალთან არ მიხვალ ახლოს, სულ ასე იქნები და უარესსაც მოგივლენს... ლევან! გახდი ეკლესიური, თუ გინდა, რომ დაცული იყო ბოროტისაგან“.

ლევანმა სიგარეტი გააბოლა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ეს ყველაფერი ბოდვაა, ღმერთი ერთია ყველა ადამიანისათვის, ვინც კი დედამიწაზე ცხოვრობს. ამდენი ხალხი დადის აგარიანელთა ნათელმხილველებთან, ცოცხალი რიგები დგას ღამისთევით, ესე იგი ეხმარებიან, თორებ ეს ადამიანები სულელები ხომ არ არიან. ასე რომ, ზვალვე მივალ და იმედი მაქს, რომ მეშველება.

ლევანს მეორედღეს რაღაც საქმე გამოუჩნდა და ვერ მოახერხა ნათელმხილველთან წასვლა, მესამე დღეს კიდევ ხელი შეეშალა. ორი კვირის განმავლობაში, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ წავიდა. უხილავი ძალა ეღობებოდა წინ, მაგრამ სართელს ისე ჰქონდა ტვინი შეტრიალებული, რომ ჯორივით გაჯიუტდა და ნათელმხილველთან მისვლა თავიდან არ ამოიგდო.

როგორც იქნა დადგა ნანატრი დღე.

აგარიანელ „მხსნელთან“ დილის ცხრა საათზე იმდენი ხალხი შეკრებილიყო, რომ თუ მართლა რიგში ჩადგებოდი ორი-სამი დღე მოგიწევდა ლოდინი. ვინ არ იყვნენ აქ, უბრალო

ხალხიც და თანამდებობის პირებიც. ეს უკანასკნელნი ძირითადად თბილისიდან იყვნენ, ხოლო უბრალო ხალხი ძირითადად დასავლეთიდან. მათი შემხედვარე სართელი უფრო დარწმუნდა ნათელმხილველის სიძლიერეში და დაიწყო ნაცნობების ძებნა, რომ როგორმე ურიგოდ შესულიყო, მაგრამ ეს იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ ლევანმა რიგის დაკავება და სახლში წასვლა გადაწყვიტა. ამ დროს ნათელმხილველი გამოიჭრა ეზოში და იქ შეკრებილ ხალხს წესრიგისაკენ მოუწოდა:

— თუ არ დაიცავთ რიგს, არავის მივიღებ!

ყველანი გაჩუმდნენ. ლევანმა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ხალხს და ახლა შეამჩნია, რომ ნათელმხილველთან სულ ქართველობა შეკრებილიყო, არც ერთი მუსლიმანი არ იყო მათ შორის, მაგრამ სართელს ამ საკითხზე ყურადღება არ გაუმახვილებია. გაიზედა იქითკენ, სადაც „მხსნელი“ ქადაგებდა და უცებ მის კუპრივით შავ თვალებს წააწყდა. ის ლევანს უყურებდა. ლევანმა მზერას ვერ გაუძლო და ის იყო თვალის არიდებას აპირებდა, რომ ნათელმხილველმა დაუძახა:

— შენ შემოდი ჩემთან.

სართელი დაიბნა, მაგრამ მალევე მოვიდა აზრზე და ერთ წუთში ნათელმხილველის პატარა ოთახში, ფანჯარასთან მდგარ პატარა მაგიდასთან იჯდა. ნათელმხილველმა გადაშალა რაღაც წიგნი, ჩაიხედა შიგ და თავაუწევლად დაიწყო ლევანის წარსულის მოყოლა. ისეთი სიზუსტით დაასახელა ვის რამდენი ჰქონდა ლევანის ვალი, რომ სართელს გაკვირვებისაგან ყბა ჩამოუგარდა და, რა თქმა უნდა, მაშინვე მოექცა ნათელმხილველის გავლენის ქვეშ. მას რომ ეთქვა, ფანჯრიდან გადახტიო, დაუფიქრებდა ამ ნაბიჯს.

— მე ერთი ვიცი, რომ შენ ვალებს ამოიღებ, — გამოაფხიზდა ნათელმხილველის სიტყვებმა ლევანი, — მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდება, ამიტომ ბარაქის ლოცვას დაგიწერ, რომელიც პატარა ბალიშში ჩადე და მუდამ თან ატარე, ეს დაგეხმარება ყველაფერში.

— ჯადო მაქვს გაკეთებული? — ჰქითხა ლევანმა.

— არა, შენ თვალს არ იღებ, ამიტომ ჯადო ასე იოლად არ გაგეკარება.

სართელმა ამოისუნთქა და თვალები ჭერს მიაპყრო, თითქოს ნიშნის მოგებით იმ უხილავ ძალას ეძებდა, ვინც რამდენიმე წლის უკან უთხრა, ჯადო გაქვსო. რას წარმოიდგენდა ლევანი, რომ ამ შემთხვევაში ნათელმზილველი ცრუობდა. მან მხოლოდ მისი წარსულის შესახებ მოყვა სიმართლე, დანარჩენი ყველაფერი ტყეუილი იყო. ამ ლოცვის თუ თილისმის უარყოფით ძალას კი სართელი მოგვიანებით იგრძნობს.

ლევანი სახლში ისეთი აღფრთოვანებული დაბრუნდა, თითქოს ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდა. მაშინვე სოფოს გასძახა:

— ხომ გითხარი, ძლიერები არიან-მეთქი. ნახე აწი როგორ მოგვემართოს ხელი.

სოფოს ხმა არ ამოუღია. „უსმენდა ლევანს და აშკარად ხედავდა, რომ მის წინ სულ სხვა ადამიანი იდგა, თვითდაჯერებული და სხვანაირად მოაზროვნე.“

— მშია, მაჭამე რამე. — თქვა ლევანმა, ჭიქაში არაყი ჩამოასხა და დალია. შემდეგ საჭმელს მიადგა და უაზროდ ბევრს ჭამდა. როგორც ჩანს აგარიანელმა „მხსნელმა“ ის მცირე ენერგიაც წაართვა სართელს, რაც შემორჩენილი ჰქონდა ამდენ ქარ-ცეცხლში გამოვლილს.

„მოქალაქეთა კავშირი“ კი აქტიურად უსუფთავებდა ანტიკრისტეს ტაძრისაკენ მიმავალ გზას, რათა მაღე აღსრულებულიყო, რაც დაწერილია: „ასე რომ, ღმერთის ტაძარში დაჯდება იგი, როგორც ღმერთი და ღმერთად მოგვჩვენებს თავს.“

მოგვიანებით ნათელმზილველმა ლევანს სიამაყით განუცხადა, რომ იგი ათას ცხრაას ოთხმოცდათექვმეტი წლიდან მოქალაქეთა კავშირის წევრი გახლდათ.

ლევანს სამშობლოში „სტუმრობა“ ძალიან გაუგრძელდა. ეს სახიფათო იყო. ნებისმიერ დროს მოსალოდნელი იყო, რომ იგი აეყვანათ, რადგან მისი ადგილსამყოფელი ბევრისთვის დიდი

ხანია ცნობილი გახლდათ. ამას დაემატა ისიც, რომ პოლიციამ ჯართის გადამზიდი ტრანსპორტის გასაჩხრეკად სპეციალური ოპერაცია ჩაატარა. არავინ იცოდა, ეს რატომ გაკეთდა, მაგრამ ამ ტრანსპორტით ლევანის გადაადგილება უკვე სახიფათო გახდა.

გვიან შემოღომით ლევანი თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებლით ქობულეთისაკენ მიდიოდა. კუპეში მარტო იყო და ქობულეთამდე არავის შეუწუხებია. ქობულეთში კაიკაციშვილებთან შეიარა, რათა კუკური მოეძებნა. კაიკაციშვილები სტუმართმოვარე ადამიანები გახლდნენ. თამაზმა მაშინვე მიიპატიუა ლევანი ნაუცბათევად გაშლილ სუფრასთან. ერთ-მანეთის მოკითხვისა და დღეგრძელობის შემდეგ მორიდებით ჰკითხა სართელს:

- ლევან, არაფერი გაგიგია?
- რა უნდა გამეგო? — კითხვითვე უპასუხა ლევანმა და კინა-დამ ლუკმა ყელში გაეჩირა.
- ბათუმში შინაგან საქმეთა სამინისტრო დეიწვა.
- მერე?
- ამბობენ, ხანძრის შემდეგ ბევრი საქმე განადგურდაო და შენი საქმე ხომ არ მოგიკითხავს.
- ევ ამბავი პირველად მესმის. ახლა მაინც უნდა წავიდე ბა-თუმში და გავარკვევ ყველაფერს. მე მაინტერესებდა კუკურისა-გან გამეგო ახალი ამბები.
- ამის მეტი კუკურამ არაფერი იცის, — უთხრა თამაზმა და ჭიქები არყით შეავსო.

— აბა, წავედი მაშინ მე. — თქვა ლევანმა, თან ფეხზე წამოდგა, ჭიქა აიღო ხელში, დალოცა ოჯახი და წასასვლელად მოემზადა. კაიკაციშვილები ბევრს ეხვეწნენ ლევანს, რომ ბათუმში მეო-რე დღეს წასულიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

ბათუმში ჩასული სართელი მაშინვე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობისაკენ გაეშურა და თავის თვალით იხილა როგორ იყო დამწვარი შენობის თითქმის ნახევარი. თავისი საქმის გამომძიებელს დაუკავშირდა, რომელმაც ამცნო, რომ უივაძე-კონცელიძის საქმეც ხანძრის დროს დაიწვა, ხოლო მისი აღ-

დგენა ხელმძღვანელობის გადასაწყვეტი იყო. ნაცნობებისაგან ისიც შეიტყო, რომ მინისტრის მოადგილეს, რომელიც საქმეს ხელმძღვანელობდა, ოცი ათასი დოლარი აუღია საქმის ჩაფარცხვისათვის. ბედზე ზანძარიც გაჩენილა სამინისტროს შენობაში და საქმეც დამწვარა. მინისტრის მოადგილე კი თავს იმართლებდა ლევანის ახლობლების წინაშე „რა ვქნა აფერისტები არიან ეს სიძე-სიმამრი, ვერაფერი მოვუხერხეო“, სინამდვილეში კი სათავისოდ შესანიშნავად გადაწყვიტა საქმე. ვერც ვერაფერს ეტყოდი, რადგან „აბგ“-ს წევრი იყო და მის წინააღმდეგ წასვლას აზრი არ ჰქონდა.

ლევანს ისლა დარჩენოდა ყველაფერი ახლიდან დაეწყო.

კუკური ბერიძემ ჩამოაკითხა ქობულეთიდან.

— ჩოლოქზე ვინცხა პოლიციელები გადმოსულან, წყალწმინდის ტეკადან ვართო უთქვამთ, აინტერესებდათ რეგისტრირებული თუ იყავი საზღვარზე.

— ხომ არ ჩამიშვეს, კუკურა? — ჰკითხა განცვიფრებულმა სართულმა ბერიძეს.

— აპა! — გაეცინა კუკურის, — ბედზე ჩემი ბიძაშვილი დახვედრია, ტეკვერას ხომ იცნობ? უთქვამს, ერთი წელია მაი კაცი აქეთ არ გაღმოსულაო.

— უჲ! აშენებს ღმერთი ტეკვერას ოჯახს. არ ამოვისუნთქე კაცმა.

— შენ მაინც ფრთხილად იყავი. მაგათან ხომ იცი, ყველაფერია მოსალოდნელი. ისე ჩემთან რომ იყო, მაგის დარღი არც შენ გექნებოდა და არც მე. ბათუმი მაინც ქალაქია და ათასი ჯურის და ჭკუის კაცი ცხოვრობს. — თქვა კუკურიმ და სიგარეტი გააბოლა.

— რა ვქნა, კუკურა, შენთან ყოფნა მირჩევნია, მაგრამ ამ მართლა დასაწვავ სამინისტროში ყოველ მეორე დღეს მიბარებენ და ჩემისთანა ჯიბეგაფხეკილი კაცისათვის ქობულეთიდან აქეთ ძნელია მოძრაობა.

— აქანე დიმიტრის იმედი რომ არ მქონდეს, რავა დაგტოვებდი, მარა მაინც ფრთხილად იყავი.

XXIII

ლევანმა ორი კვირა საბუთების ახლიდან შეგროვებას მოანდომა. გენოს თითქმის ყველა დოკუმენტი გამოაგზავნინა თბილისიდან. შემდეგ როგორც იქნა მოახერხა, რომ „აბგ“-დან რომელიმე გავლენიან პირს დაერეკა ახლად დანიშნულ შინაგან საქმეთა მინისტრისათვის. ახალი წლის შემდეგ მოახერხა მინისტრთან შესვლა. მინისტრმა მოუსმინა სართელს, მაშინვე გამოიძახა საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარე და ლევანის თანდასწრებით დაავალა, რომ ერთი თვის ვადაში მოემთავრებინა ეს საქმე, თან პირად კონტროლზე აიყვანა. დეპარტამენტის თავმჯდომარემ ორი თვე ითხოვა. მინისტრმა რამდენჯერმე თვალების გადატრიალებ-გადმოტრიალების შემდეგ როგორც იქნა მისცა თანხმობა.

საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარე ჰუსეინ მალაყ-მაძე და ლევან სართელი ერთად გამოვიდნენ მინისტრის კაბინეტიდან და ჰუსეინის კაბინეტში შევიდნენ საუბრის გასაგრძლებლად.

— ბატონო ლევან, — დაიწყო ჰუსეინ მალაყმაძემ, — მე ბევრი ლაპარაკი არ ვიცა, მე ვარ წითელი ქურდი და საქმე ბოლომდე მიშეგვს.

ლევანმა „წითელი ქურდის“ მნიშვნელობა ვერ გაიგო. მერე იფიქრა, ალბათ პოლიციას და ქურდულ სამყაროს ერთად გულისხმობს, მაგრამ ასეთი რამ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. შემდეგ კარგად დაკვირდა ჰუსეინს, ანუ როგორც აჭარაში ამბობენ ხუსიკას და მისი გამოხედვიდან და მოქმედებიდან გამომდინარე დაასკვნა, რომ მის წინ აჭარის მთავრობის მიერ ახლად გამოყვანილი პიბრიდი იჯდა, რომელშიც გაერთიანებული იყო, როგორც ქურდული, ისე პოლიციური თვისებები. ლევანმა კიდევ ერთხელ შეხვდა „წითელ ქურდს“ და მორიდებით ჰკითხა:

— როგორ მოვიქცეთ, ბატონო ჰუსეინ?

— ჯერ შევთანხმდეთ. ამოღებული თანხებიდან ოცდაათი პროცენტი ჩემთან უნდა წამოვიდეს, თანახმა ხარ? — მოკლედ მოჭრა მალაყმაძემ და ლევანს თვალებში ჩაშტერდა.

სართელი მიხვდა, როგორ საქმის გამკეთებელთანაც ჰქონდა ურთიერთობა და ასევე მოკლედ უპასუხა:

— თუ დროულად ამოიღებთ თანხას, ორმოც პროცენტს გაძლევთ.

„წითელი ქურდი“ სავარძელში გასწორდა და ამაყად წარმოთქვა:

— მაშინ დავიწყოთ.

გამოუძახა გამომძიებელს, ჩააბარა ლევან სართელი, მისცა სხვადასხვა მითითებანი საქმის ირგვლივ და მოკვლევის ვადა ერთი კვირით განუსაზღვრა.

გამომძიებელმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი ახლიდან დაიწყო. ერთი კვირა კი არა, ერთი თვე მარტი სართელის დაკითხვას მოანდომა. შეძლევ რაღაც დოკუმენტების შედგენა დაიწყო და ასე ყოველდღე თუ არა, ყოველ მეორე დღეს იბარებდა სართელს სამინისტროში და „წითელი ქურდი“ კი მაღე თანხის ჩამორიცხვას პირდებოდა. დღეები გადიოდა, შედეგი კი არ ჩანდა. ყოველდღიურმა დაპირებებმა ლამის ჭირიდან გადაიყვანა ლევან სართელი. ნერვიულობისაგან ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. დიმიტრის ძალიან ერიდებოდა, მასთან სტუმრობა ძალიან გაუგრძელდა. მაგრამ მეტონიძე აქეთ აწყნარებდა:

— ოღონდ შენი საქმე დამთავრდეს კარგად და მაღარიჩს მე ვგისრულობ.

— შენ შენი პრობლემები გაქვს, დიმიტრი, მე კიდევ აქეთ დაგაწექი კისერზე. — ამბობდა ხოლმე ხშირად შეწუხებული სართელი.

— ჩენ ხომ შევთანხმდით ნიკალაევიჩ, რომ მაგ თემაზე აღარ ვიღაპარა კებდით. — ისე შეწუხებული იტყოდა ხოლმე ამ სიტყვებს დიმიტრი, რომ სართელი ხმას აღარ იღებდა.

დადიოდა ლევანი ბათუმის ქუჩებში და არსად გული არ უჩერდებოდა. ერთხელ ღვთისმშობლის ეკლესიის წინ ჩაიარა და რაღაც ძალამ შეაჩერა. შემოტრიალდა, შეხედა ტაძარს და გულით და გონებით შესვლა მოუნდა. რაღაც ძალამ ფეხი

აათრევინა, მაგრამ ლევანმა გადალახა ეს წინააღმდეგობა, იყიდა სანთლები და ტაძრის ზღურბლს გადააბიჯა. წმინდანთა ხატების წინ პირჯვარს იწერდა, სანთლებს ანთებდა, მაგრამ მისი გონება რაღაც უხილავი ძალის მიერ გაყინული იყო. სართელი ვერ იგ-ებდა რა სჭირდა. იგი მოგვიანებით მიხვდება, რომ აგარიანელი ნათელმხილველის თილისმით ეკლესიაში შესულ ლევანზე ღვ-თის მადლი არ გადმოვიდოდა. ამიტომ როგორი გათიშული და გაყინული გონებითაც შევიდა ტაძარში, ისეთივე გამოვიდა გა-რეთ. მაგრამ ერთი ცვლილება მაინც მოხდა მასში, სურვილი ალ-ეძრა, რომ ხშირად ევლო ეკლესიაში. თითქმის ყოველდღე დაი-წყო სიარული ღვთიმშობლის ტაძარში. რამდენჯერმე თილისმის გადაგდებაც დააპირა, მაგრამ რაღაც ძალამ გადააფიქრებინა. მის გონებაში გაუთავეველი ჭიდილი მიღიოდა უხილავ ძალთა შო-რის. თითქოს ბოლო დროს ჯანმრთელობაც გაუუარესდა. ამდე-ნი ნერვიულობისაგან ვეღარ იგებდა, რა სჭირდა. დრო თითქოს გაჩერდა. ერთადერთ შვებას ტაძარში გრძნობდა. ხოლო როდე-საც აღდგომის ღამეს ღვთისმშობლის ტაძარში თავისი თვალით იხილა, აჭარის ლიდერმა როგორ დააყენა თავისი თავი უფალზე მაღლა, ხასიათი სულ წაუხდა. აქმდე ეგონა, რომ აჭარაში ყვე-ლაფერი აღმავალი გზით მიღიოდა, მაგრამ თურმე ასე არ ყოფი-ლა. ლევანი აჭარაში ყოფნისას არ დაინტერესებულა ამ კუთხის პოლიტიკური და სოციალური ვითარებით, ახლა კი, როდესაც ამდენ სიყალებსა და ადამიანთა ამპარტავნებას უყურებდა, სხვა-ნაირი თვალით შეხედა მიმდინარე მოვლენებს.

„აბგ“-ს კლანი აჭარაში არქიფო სეთურის პოლიტიკას ატარებდა. ვინც არ აწყობდა, ყველას აიძულებდა წასულიყო სამშობლოდან. ასე დაშალეს ბათუმის ცნობილი საზოგადოე-ბა, ხოლო მათ ადგილას ჩაანაცვლეს შუახევიდან, ქედადან და ხულოდან ჩამოყვანილი მორჩილი გლეხობა, რომელთაგან უმ-რავლესობას წერა-კითხვაც უჭირდა, სამაგიეროდ კარგი „შემ-სრულებელი“ იყო, ხმას არ აიმაღლებდა ადგილობრივი ხე-

ლისუფლების წინააღმდეგ და სააშკარაოზე ვერ გამოიტანდა იმ სიმართლეს, რომელიც სამშობლოს მოღალატე პოლიტიკოსების ვიწრო წრეში იმაღებოდა.

ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი წლიდან, როდესაც საქართველოს მართვის სადავეები, რა თქმა უნდა ისევ სისხლისლვრის შედეგად, კომუნისტებმა ჩაიგდეს ხელში, მათი პროგრამა ქვეყნის დაქცევას ითვალისწინებდა, რაც გეგმაზომიერად უნდა განხორციელებულიყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მაგრამ ყოველივე ამას დემოკრატიის ელფერი რომ მისცემოდა, საჭირო იყო პროცესი განხორციელებულიყო პოზიციისა და ოპოზიციის მკვეთრი დაპირისპირების ნიადაგზე. ამისთვის საქართველოს რომელიმე კუთხეს ნგრევა არ უნდა შეხებოდა, ის უნდა ყოფილიყო იზოლირებული ქვეყნის დანარჩენი ნაწილისაგან, რათა იქ ჩამოყალიბებულიყო ის მორჩილი ოპოზიცია, რომელიც „ზევიდან“ დაშვებული რეკომენდაციებით, „წინააღმდეგობას გაუწევდა“ არსებული ხელისუფლების პოზიციას. ეს წინასწარ მოფიქრებული გეგმა, რა თქმა უნდა, რუსეთთან შეთანხმებით ოსტატურად განხორციელდა აჭარაში. აქ არ იქნა შეგზავნილი არც სახელმწიფო საჯარისო ნაწილები და არც არაოფიციალური ბანდ-ფორმირებები, თუმცა ამის გაკეთება ნებისმიერ დროს შეეძლო მთავრობას, იმ მთავრობას, რომელმაც თბილისის ომი და საქართველოს აოხრება სულ რამდენიმე დღეში მოამთავრა. მოგვიანებით აჭარის ლიდერი მაღალი ტრიბუნიდან საქვეყნოდ განაცხადებს, რომ მან პირადი ძალისხმევის შედეგად შეძლო აგრძესის მოგერიება და მშვიდობის შენარჩუნება, ვითომ დაუპირისპირდება ცენტრს, ამ მანევრით მოახერხებს ხალხის ყურადღების მიქცევას ჩხუბისა და აყალმაყალისაკენ, ხოლო თვითონ დიდ „ბაბუსთან“ ერთად აქტიურად დაიწყებს ქვეყნის დაქცევას და სიმდიდრის მითვისებას.

ლევანი თავისი თვალით ხედავდა, როგორ ხდებოდა აჭარის გავლით ფერადი ლითონის, ჯართისა და ხე-ტყის გაზიდვა.

თურქეთის მიმართულებით სატვირთო ავტომანქანების ნაკადი არ წყდებოდა. ნადგურდებოდა ეროვნული სიმდიდრე და უცხოეთში გროშებზე იყიდებოდა. ხალხი იმასაც ამბობდა, რომ ეს გზა იარაღისა და ნარკოტიკების გადასაზიდადაც გამოიყენებოდა. ბათუმში კერძო პირების მეშვეობით ხდებოდა მებავათა ჯგუფების შეკრება, რომლებიც შემდეგ იგზავნებოდნენ „სამუშაოდ“ თურქეთში. ვიზების დამთავრების შემდეგ, მებავები გადმოყავდათ ისევ ბათუმში და საბუთების განახლების შემდეგ ისევ აბრუნებდნენ უკან. მებავების შეგროვება მხოლოდ საქართველოს მასშტაბით არ ხდებოდა, ისინი მოჰყავდათ რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან. ერთი სიტყვით, ამ მშვიდობიან ოზისში სიბინძურის დიდი ტაშ-ფანდური გაემართათ და გასაკვირიც არ იყო, რომ ამ კუთხის ლიდერს თავი უფალზე მაღლა დაეყენებინა. ყველა ამ სიბინძურის დასაფარავად, საჭირო იყო ხალხის ყურადღების გადატანა სხვა მოგლენებზე. ამიტომ შეიმუშავეს ბათუმის აღმშენებლობის პროგრამა და კონტრაბანდული ოპერაციებით შემოსული შავი ფულის გარეცხვა დაიწყეს ქალაქის რემონტში. ეს ყველაფერი ნაძალადევი და მოჩვენებითი რომ იყო, იქიდანაც ჩანდა, რომ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები ძირითადად ბათუმში მიმდინარეობდა. ბევრი რამ ისეთი შენდებოდა, რაც საჭირო არ იყო, ამ დროს კი ქობულეთში გზაზე რომ გაგველო შეიძლება კისერი მოგეტეხა. ასე რომ, ასლან აბაშიძე პატარა შევარდნაძე იყო, ხოლო „აღორძინება“ „მოქალაქეთა კავშირის“ ფილიალი. არც იყო გასაკვირი, ისინი ხომ ერთად მოვიდნენ ხელისუფლებაში ბლოკი „მშვიდობის“ სახელით.

„მოქალაქეთა კავშირი“ და მისი შვილობილი „აღორძინება“ ერთად უსუფთავებდნენ ანტიქრისტეს ტაძრისაკენ მიმავალ გზას.

XXIV

ჰუსეინ მალაყმაძემ, რომელიც თავის თავს ძალიან ოპერატორულ მუშაკად მოიხსენიებდა, უივაძე-კონცელიძის საქმე დაჩქარების მაგივრად, ისე გაწელა, რომ ლევანს მოთმინების ძაფი გაუწყდა და უზენაეს საბჭოში ერთ-ერთ მაღალჩინოსანს მიაკითხა. ამ უკანასკნელმა დაურეკა მალაყმაძეს, რათა დაეჩქარებინა საქმე. ისიც შეპირდა, მაგრამ ამ დავალებას შედეგი არ მოყოლია. ლევანმა შეხვედრა ითხოვა ასლან აბაშიძესთან, მაგრამ ცივი უარი განუცხადეს, იმ მოტივით, რომ „ასეთი უბრალო საკითხებისათვის აჭარის ლიდერს დრო არ აქვს“.

უზენაესი საბჭოდან ლევანი გათიშული დაბრუნდა. სახეზე ფერი არ ედო. აჭარაში მისთვის ყველა კარი დახშული აღმოჩნდა. ამდენი სატანის მოციქული ერთად არსად ენახა. ეგონა აჭარაში სამართალს იპოვიდა, მაგრამ აქაც ის დახვდა, რაც მთელს ქვეყანაში. ამით საბოლოოდ დადასტურდა, რომ აჭარის ხელისუფლება საქართველოს მთავრობის „ფილიალი“ იყო.

ჩაფიქრებული ლევანი გაუყვა სანაპიროს ქუჩას და ისე მიუახლოვდა ბაზარს, რომ ვერ გაიგო. ზაფხულის პირი იყო და ბაზარში ბევრი ხალხი ირჩოდა. ლევანს უცებ მოშიგდა, ჯიბეები მოსინჯა და პურის ფულს ძლივს მოუყარა თავი. დიმიტრიც ქალაქში არ იყო, სახლშიც არავითარი პროდუქტი არ ჰქონდა. მორალურად განადგურებულს, შემშილიც დაემუქრა. ამ ფიქრებში იყო გაროული, რომ უცებ ზურგიდან ქალის ხმა მოესმა:

— ბატონი ლევან! აქეთ საიდან? როგორ ბრძანდებით?

სართელი შემობრუნდა და ახალგაზრდა ქალის მომლიმარი სახე დაინახა, რომელიც ძალიან ნაცნობი იყო, მაგრამ ვერ მოვიდა აზრზე.

— თითქოს გიცნობთ, ქალბატონო, მაგრამ არ ვიცი, საიდან?

— მე თქვენი სოფლიდან ვარ.

— ააა! — აღმოხდა ლევანს, მაგრამ ვერც სახელი გაიხსენა მისი და ვერც გვარი. მთავარი ის იყო, რომ ქალბატონი ნამდვილად იცნო, — ბათუმში საიდან?

— რა ვქნათ, ვწვალობთ, მე და ჩემს ბიჭს ლაგოდეხიდან ჩამოგვაქს კიტრი, პამიდორი, სხვადასხვა ბოსტნეული და აქ ვყიდით. რაღაც ორი კაპიკი გვრჩება. ძალიან მნელი სამუშაოა, მაგრამ რა ვქნათ.

ქალი ლაპარაკობდა, ლევანი თან უსმენდა და თან ფიქრობდა „აქ ბათუმში თანასოფლელი როგორ უნდა შეხვედროდა? მით უმეტეს ამ ხალხმრავალ ბაზარში, სასწაულია, ნამდვილად ამ საქმეში ღმერთის ხელი ურევია“. ლევანმა სოფლის ამბები გამოკითხა ქალბატონს. დიდხანს ისაუბრეს.

— აგაშენათ ღმერთმა, — თქვა ლევანმა, — ცოტა ანერვიულებული ვიყავი და თქვენთან საუბარმა გამომიყვანა მდგომარეობიდან. დიდი მადლობა.

ის იყო დამშვიდობება დააპირა, რომ ქალმა გააჩერა, ბიჭს ხელით რაღაც ანიშნა და ისიც მანქანის მარაზე ავიდა. რამდენიმე წუთში მობრუნდა და ლევანს პროდუქტებით პირამდე სავსე ცელოფნის ორი დიდი პარკი გაუწოდა. სართელი შეცბა.

— ძალიან გთხოვთ, უარი არ გვითხრათ, — უთხრა ქალმა, — კახეთიდან არის ჩამოტანილი, შეგერგებათ.

ლევანი დაიბნა. უარის თქმა არ გამოდიოდა, გამოართვა პროდუქტები დედა-შვილს და წავიდა სახლში. ბოსტნეული და ხილი თავზესაყრელი ჰქონდა, ასე რომ, შიმშილს გადაურჩა, ღმერთს მადლობა უთხრა და ეკლესიაში სანთლებიც დაანთო. მეორე დღეს, დილაადრიან ლევანს კუკური ბერიძე და თამაზ კაიკაციშვილი ესტუმრნენ.

— რა არის, ტო, ხაშჩე იყავით? — იკითხა სტუმრების ვიზიტით გაკვირვებულმა და თან ნამძინარევ თვალებზე თითებს ისვამდა.

— ხაშჩე არა, მარა პაწა-პაწა რაცხეები კი მევიტანეთ, მაღარიჩი გვაქვენ დასალევი. — უპასუხა კუკურიდ და თამაზს ანიშნა პარკები მაგიდაზე დადეო.

კაიკაციშვილმა ცელოფნის პარკები მაგიდაზე დადო და თან ამოლაგება დაიწყო. უცებ გაიშალა სუფრა, ორი ბოთლი არაყი, ძეხვი, შპროტის კონსერვები, მწნილი, ყველი და პური.

— კიტრი და პამიდორი ხომ არ გიყიდიათ? — იკითხა სამზარეულოში გასულმა ლევანმა.

— არა.

— კაი გიქნიათ, გუშინ ერთმა ჩემმა სოფლელმა მაჩუქა და ბლომად მაქვს.

— რავა, შენი სოფლელები აქ გიგზავნიან პროდუქტს? — გაიკვირვა კუპურიმ.

— მაგას მერე გეტყვი, შენ ის მითხარი, რისი მაღარიჩი უნდა დავლიოთ? ქობულეთლებმა ავტონომია ხომ არ შექმენით?

— რად მინდა ავტონომია, ისე არა მაქ თუ რა? — გაიკვირვა კუკურიმ, — შენ დროზე გამოი მაგ ქუხნიდან და გაჩვენებ რაცხას.

ლევანმა ახლად გარეცხილი კიტრი, პომიდორი და მწვანილი გამოიტანა სამზარეულოდან. თეფშები და ჭიქები დააწყო მაგიდაზე, თვითონაც დაჯდა, ჩამოასხა ჭიქებში არაყი და კუკურის საყვარელი სიტყვა წარმოთქვა:

— დალშე.

ამ რუსულ სიტყვას ბერიძე ხშირად იყენებდა საუბრის დროს და ეგონა, რომ ამით თავის საუბარს მეტ სერიოზულობას მატებდა. მთავარი ის იყო, რომ თვითონ ფიქრობდა ასე, თორემ სხვისი აზრი, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე „მილიონი წელი არ აინტერესებდა“.

— გაი, შე აბდალა, რავა ყველაფერს ჩემგან სტავლობ, — გაეცინა კუპურის და თამაზს მიუბრუნდა, — ამეიღე ერთი ის გაზეთი და წააკითხე, თორემ ამას გაზეთის ფული არა აქვს და ამ წელიწადში ვერ გეიგებს ამ ამბავს.

— რა ხდება, ტო? — იკითხა ლევანმა.

— ა, შანშიაშვილზე წერია რაცხა. — თქვა თამაზმა და ლევანს გაზეთი მიაწოდა.

გაზეთში მოკლე ინფორმაცია იყო გამოქვეყნებული იმის თაობაზე, რომ ბრალდებულ ზაურ შანშიაშვილს, ანუ ზუმბოს მისამართით გაჭიანურებული ძიება როგორც იქნა დამთავრდა და საქმე გადაეცა სასამართლოს.

— ვაკ! — აღმოხდა ლევანს, — არა მჯერა, ტო, ნეუჟელი მორჩა? თბილისში უნდა დავრეკო.

— რით უნდა დარეკო? ფული გაქვს? — გაეცინა კუპურის.

— აუკ! ეგ სულ დამაკიწყდა.

— ჰოდა დაეტიე აქანე და დავლიოთ ერთი-ორი ჭიქა.

კუპური და თამაზი რომ გაისტუმრა, ლევანმა ვეღარ მოითმინა და დიმიტრის ერთ-ერთ მეგობარს მიაკითხა თხოვნით, თბილისში ტელეფონზე დაკავშირებაში დახმარებოდა. გენოს ელაპარაკა.

— ფეხი არ გამოადგა, სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიიღებს, — უთხრა გენომ ისე, რომ ლევანის შეკითხვას არ დაღლოდებია, — ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი. ზუმბოს ახლობლებმა ისე ჩაწყეს საქმე, რომ შანშიაშვილს რესბალნიციდან ფეხი აღარ მოუცვლია. იმედოვნებენ, რომ სასამართლო მის სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას.

— მაინც რამდენი ხანი მომიწევს კიდევ აქ ყოფნა?

— ალბათ მთელი ზაფხული და მერე ვნახოთ.

— აუკ! რა გაძლებს მთელი ზაფხული აქ?

— ხალხი აქედან მანდ მოდის და შენც რა განაღვლებს, იბანავე ზღვაში.

ლევანი დაემშვიდობა გენოს და წამოვიდა სახლში. ის უკვე დაღლილი იყო ერთფეროვანი ცხოვრებით. ყოველ დილით შინაგან საქმეთა სამინისტროში მისვლა, პუსეინ მაღაფების ერთი და იგივე პასუხი — „ცოტა კიდევ მოვიცადოთ“. შემდეგ ქალაქში დაბორდაალობდა, ხანდახან ზღვაზე გადიოდა ან დიმიტრის გუნდის ვარჯიშებს ესწრებოდა. გვიან საღამოს მიდიოდა სახლში და დილით იგივე მეორდებოდა. რამდენიმე დღით ქობულეთში გადავიდა, მაგრამ იქ კიდევ გაუთავებელმა ყოველდღიურმა ლოთობამ ისევ ბათუმისაკენ აბრუნებინა პირი.

დიმიტრი და მისი თანაგუნდელები ატყობდნენ ლევანს, რომ სასწორკვეთილებაში იყო ჩავარდნილი, ამიტომ არაფერს

იშურებდნენ, რათა შეემსუბუქებინათ მისთვის დარღი. სართელსაც ახალგაზრდებთან ყოფნის დროს დარღი ავიწყდებოდა ხოლმე და მათთან ერთად ერთობოდა. ზაფხულში გამართულმა მსოფლიო ჩემპიონატმა ფეხბურთში მცირე ხნით მისი ყურადღება სპორტისაკენ გადაიტანა და თავისი აწეწილ-დაწეწილი საქმე დაავიწყა. ვარჯიშიც კი დაიწყო. ყოველ დილით ბულვარზე დარბოდა, შემდეგ ზღვაში ბანაობდა, მაგრამ გულის არეში ტკივილებმა ვარჯიშის გაგრძელების საშუალება აღარ მისცეს.

აგვისტოს ბოლოს ჰუსეინ მალაყმაძესთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ამ უკანასკნელმა ხელები გაშალა და ნირწამხდარმა ლევანს უთხრა:

— რა ვქნა, მმაო, აფერისტი გამოდგა ეს კაცი. მეც მომატყუა. არ იძლევა ფულს.

— რა ვქნა, აბა, ბატონო ჰუსეინ?

— ვერაფერს ვეღარ ვიზამთ, გუშინ დამირეკა სახლში და მითხრა, რომ თქვენთან გამოსაგზავნი ფული არ ჩამირიცხეს და როცა დამიჯდება ანგარიშზე, მაშინვე გადმოვრიცხავო.

— ესე იგი, ჩვენი საშველი არ არის.

— არა მგონია მაგ აფერისტმა ჩემი გადაგდება ასე იოლად მოახერხოს. მაგი ალბათ კარგად არ მიცნობს მე.

— მე როგორ მოვიქცე, ბატონო ჰუსეინ?

— თქვენ წაბრძანდით თბილისში, ტელეფონზე გქონდეთ ჩემთან კავშირი და როგორც რაიმე იქნება, მაშინვე ჩამოხვალთ.

ეს უკვე თავიდან მოშორებას ნიშნავდა. ლევანი დაემშვიდობა ჰუსეინს, ხელი რომ ჩამოართვა, თვალებში ჩახედა. ჰუსეინმა მზერას ვერ გაუძლო და იქედნურად გაიხედა გვერდზე. ლევანს ეჭვი შეეპარა მის გულწრფელობაში, მაგრამ რა უნდა მოემოქმედა, თავს ზევით ძალა აღარ იყო.

სამინისტროდან გამოსული პირდაპირ საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურისაკენ გაემართა. გენოს დაურეკა.

— სადა ხარ, ტო? შენ გეძებ! — იკივლა ყურმილში გენომ.

— რა მოხდა?

— კაი ამბავია. ზუმბო სასამართლომ გაათავისუფლა. უფრო სწორედ იმდენი მიუსაჯა, რაც უკვე მოხდილი ჰქონდა და უპევ სკაბოდაზეა. ისე რომ, შეგიძლია წამოხვიდე.

— აგაშენა ღმერთმა! — აღმოხდა გახარებულ ლევანს, — ახლავე წამოვალ, აქ მაინც არაფერი გამოდის. მე მგონი ამ მალაყმაშიც გადაგვაგდო.

— კარგი, კარგი, რომ ჩამოხვალ დანარჩენს აქ გეტყვი.

ლევანი მაშინვე სახლისაკენ გაემართა. ნივთები ჩაალაგა, ბედზე დიმიტრიც გამოჩნდა და ორივენი ავტოვაგზალზე წავიდნენ. დიმიტრიმ „დააფინანსა“ ლევანი და დაემშვიდობა.

საღამოს სართელი უკვე თბილისში ჩავიდა და გენო ჭანგეგტაძეს ესტუმრა, რომელიც ბინის გაყიდვის შემდეგ თავის ახლობელთან ცხოვრობდა. ხვევნა-კოცნისა და მოკითხვების შემდეგ სუფრას შემოუსხდნენ და შეხვედრის სადღეგრძელო დალიეს.

— გაუმარჯოს თავისუფლებას! — თქვა ლევანმა და ლვინით სავსე ჭიქა ბოლომდე ჩამოცალა.

— ბიჭო, რა ყოფილა ეს ზუმბო, — გაეცინა გენოს, — რაც მაგას ფული დაახარჯეს რუსთავის კოლონიებში მჯდარ ყველა პატი-მარს ეყოფოდა გასანთავისუფლებლად.

— ჰო, აჭარაშიც კი ლაპარაკობდნენ, დიდი ფული გადაიხადათ. კიდევ რას ამბობენ, იცი? — უთხრა გენოს ლევანმა. — გააფრენ, რომ გაიგო.

— რაო?

— ეგ შანშიაშვილი კიდევ არაფერი, მაგის გარდა მაგ საქმეში ერთი ძებნილია, პაბევი მოუხევია, აი, ფული იმას აქვს თურმეო.

— მერე, შენ რა უთხარი? — ხარხარებდა გენო.

— მე ვუთხარი, ჩვენ რომ მოვუმებნოთ პოლიციას თუ პროკურატურას ის ძებნილი, მოგვცემენ რამეს-თქო. ერთი ძაღლი ეს-წრებოდა ჩვენს საუბარს და მთელი სერიოზულობით თქვა „ასი

ათას მაინც მოგვცემენო“, ცოტალა დამაკლდა კინალამ არ ვი-
ყვირე, მე ვარ, წამოდი, ჩავბარდები ნახევარი მომეცით-თქო.

— იმ ხუსიკა აფერისტმა რაო? არაფერი გამოდისო? — ჰკითხა
გენომ ლევანს.

— არაო, აფერისტია, გვატყუებსო.

— ისე, მაგის ყიზილბაში დედა ვატირე, ტელეფონში აღარ
გითხარი, არაფერი აუტეხოს-თქო. თხუთმეტი ათასი დოლარი
აუღია კონცელიძისგან საქმის ჩასაფარცხავად. მეც ორი დღის
უკან გავიგე, მაგრამ სანამ არ ჩამოხვიდოდი არ გეტყოდი მაინც,
— თქა გენომ და ლევანს მხარზე ხელი დაადო, — უგეთი გამყ-
იდველები იყვნენ და არიან ეგ ყიზილბაშები ეგენი.

ლევანი გაგონილისაგან განცვიფრდა, თითქოს ფერიც დაკარ-
გა სახეზე, ასეთ ღალატს არ მოელოდა, მერე სიგარეტს მოუკი-
და, გააბოლა და თქვა:

— მეორედაც გამწირეს მაგ შობელდაღლებმა.

— ეგრეა, ძმაო, ხომ იცი ნათქვამია „ფარა რომ შემობრუნდება,
კოჭლი ცხვარი წინ მოექცევაო“ ეს ქვეყანაც შემობრუნდა და
ყველა ნაძირალა წინამდლოლი გახდა.

XXV

ლევანს საპარტნიორო ფონდიდან ხშირად აწუხებდნენ,
მიუხედავად გენოს ბინის გაყიდვიდან ფონდში შეტანილი თანხი-
სა, კიდევ დასაფარი იყო ორმოცდაათი ათასი დოლარი. ლევანზე,
როგორც ძველ პარტნიორზე საჯარიმო სანქციები არ გაავრცე-
ლეს, ეს ერთგვარი „ნამუსზე შეგდებაც“ იყო მათი მხრიდან. მათ
კარგად იცოდნენ სართელის ხასიათი. იგი ვალს არ შეირჩენდა.

ლევანი კი არ ეშვებოდა აჭარას, ვის აღარ დაარეკინა, ვინ
არ წაიყვანა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. ასლან აბაშიძესთან

კი არ უშეგებდნენ. აჭარის ფეოდალის კარი ჩოლოქს აქეთ მცხოვრები ქართველებისათვის ჩაკეტილი იყო. რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ის სხვა ერის წარმომადგენლებს უფრო სწყალობდა, ვიდრე ქართველებს. თუმცა აქ გასაკვირი რა იყო, ის ხომ თავის სამფლობელოში „პატარა შევარდნაძე“ გახლდათ. ლევანმა წლის ბოლომდე იწვალა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. საპარტნიორო ფონდთან დათქმული ვადებიც ამოიწურა. სართელს არაფერი აღარ გააჩნდა ბინის გარდა. სხვა გზა არ იყო, ბინა უნდა გაეყიდა. სოფო გაგებით შეხვდა ამ ამბავს. მისთვის მეუღლის სიცოცხლე შეუფასებელი იყო. ბინა თავის ავეჯიანად გაყიდეს, გაისტუმრეს საპარტნიორო ფონდის ვალი და თვითონ კი ერთ ოთახიანი ბინა იქირავეს. ასე რომ, სართელი საკუთარ ქალაქში ლტოლვილად იქცა და უნდა დაეწყო ახალი ცხოვრება.

როდესაც დაცხრა ვნებათაღელვანი და ლევან სართელმა დაწყნარებულმა გადახედა ყოველივე მომხდარს, სასოწარკვეთილებას მიეცა, უმატა სმას და სიგარეტის მოწევას. ამას ემატებოდა ეკონომიკური გაჭირვება, რა საქმესაც დაიწყებდა, არაფერი გამოსდიოდა. ზოგჯერ პურის ფული არ ჰქონდა ოჯახში.

ერთხელ, როდესაც დილით სახლიდან საქმეზე გავიდა, არ ჰქონდა გავლილი ორმოცდაათი ნაბიჯი, რომ გულის არეში საშინელი ტკივილი გრძნო. ზუსტად იმ ადგილას, სადაც აგარიანელი ნათელმხილველის თილისმა ჰქონდა მიბნეული. ლევანმა წაიბორძიკა და იქვე მდგარ ხეს მიეყუდა. სიგარეტი ხელიდან გაუვარდა, ფერი დაკარგა, ეჩვენებოდა თითქოს მის ახლოს ვიღაც ხითხითებდა. უცებ გულის არეში სისხლის აჩქარება იგრძნო და თითქოს ცხელმა სითხემ გზა გაიკვლიათ, ჩხრიალით გაიარა სხეულში და ლევანმაც თვალები გაახილა. ხის ძირას ჩაჩოქილიყო და ხელი გულზე ჰქონდა მიდებული. ნელ-ნელა წამოიწია, პერანგი გაიხსნა, თილისმა მოიგლიჯა

და რაც შეეძლო შორს გასტყორცნა. კვლავ ხითხითი ჩაესმა ყურში, ახლა სიტყვებიც გაარჩია:

— ჰა! ჰა! ჰა! შენ გგონია ასე ადვილად მომიშორებ?

— ჯანდაბამდე გზა გქონია, შენი დედაც... — მიაძახა სართელ-მა და კვლავ სიგარეტს მოუკიდა, — არა მჯერა ამ ჯადოების და მომკალით თუ გინდა.

შინაგანი ხმა კი სულ სხვას ეუბნებოდა:

— თუ გინდა, რომ განთავისუფლდე ამ საშინელებისაგან, უნდა იწამო ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება კი ეს ღმერთია, რომელთ-ანაც მისვლა მხოლოდ იქსო ქრისტეს მეშვეობით შეიძლება. „ჩვენ ერთი გყვავს ძამა ღმერთი, ვისგანაც არის ყოველი, და ვისთვისაც ვართ ჩვენ; და ერთი გვყავს უფალი იქსო ქრისტე, ვის მიერაც არის ყოველი და ვის მიერაც ვართ ჩვენ“.

მესამე წიგნის დასასრული

ნიგნი მართვა

„და სცანთ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან
განგათავისუფლნეს თქუენ.“
(იოანე 8.32)

I

ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი წლის შემოდგომაზე ქვეყანაში დიდი გამოცოცხლება დაიწყო. იწყებოდა საპარ-ლამენტო არჩევნები. კომუნისტური პარტიის მემკვიდრე „მო-ქალაქეთა კავშირი“, რომელიც ძირითადად სამშობლოს მოღ-ალატე ქართველებით და ყველა სიბინძურებელ ხელის მომწერი არაქართველებით იყო დაკომპლექტებული, ქვეყნის ნგრევით და ხალხის ძარცვით ნაშოვნი ფულით აფინანსებდა თავის საარჩევნო კამპანიას, რათა საქართველოს მასშტაბით მოე-გოთ არჩევნები, რაც უზრუნველყოფდა მათ გასვლას უმრავ-ლესობით პარლამენტში. ეს კი თავის მხრივ მყარ საფუძველს შეუქმნიდა მომავალ წელს პრეზიდენტს, რათა შეენარჩუნებინა ტახტი. აუცილებლად უნდა აღსრულებულიყო, რაც დაწერ-ილია: „...ღმერთის ტაძარში დაჯდება იგი, როგორც ღმერთი და ღმერთად მოგვაჩენებს თავს.“

„მოქალაქეთა კავშირმა“, რომელიც ერთგული ძალლივით ემსახურებოდა პრეზიდენტს, ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეების გამკეთებელი თითქმის ყველა ადამიანი მოიშორა, აიძულა ემი-გრაციაში წასულიყო მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე, ხოლო ვინც აქ დარჩა მუდმივი სტრესის ქვეშ ჰყავდათ. ერთი სი-ტყვით, ეს ნაძირლების კავშირი აქტიურად უსუფთავებდა ანტი-ქრისტეს ტაძრისაკენ მიმავალ გზას.

„მოქალაქეთა კავშირში“ კომუნისტების და მათზე მიტმას-ნილი სხვა ნაძირალების გარდა აქტიურად ერთიანდებოდნენ არაქართველები. ამ საქმეში განსაკუთრებულ აქტიურობას

მუსლიმანები იჩენდნენ. ისინი იმდენად „მშობლიურად“ თვ-ლიდნენ „მოქალაქეთა კავშირს“, რომ მას ალიევის პარტია-დაც მოიხსენიებდნენ. „მოქალაქეთა კავშირის“ რიგებში განსა-კუთრებული და საპატიო ადგილი ეკაგათ აგარიანთა მოლებსა და ნათელმხილველებს. ისინი არც მაღავდნენ რომ ამ კავშირის წევრები იყვნენ, რადგან „მოქალაქეების“ პროგრამა და მისი განხ-ორციელების პრაქტიკული მიმართულებანი მუსლიმანური მრ-წამისი მოწოდებასა და მოთხოვნებს ემთხვეოდა – „გაანადგურე და მიწისაგან პირისაგან აღგავე საქართველო და ქართველები.“

აგარიანელთა დასახლებაში ერთ-ერთ მოლასთან დახმარების სათხოვნელად მისული ქართველების რიგი დღითიდღე იზრდე-ბოდა. ერთ-ერთი ქართველი ქალბატონი, რომელზედაც ღვთის მადლი იყო გადმოსული, გახლდათ ჭეშმარიტი მართლმადიდე-ბელი და ამასთან თვითონ ლოცავდა ხალხს, გულთან მიიტანა ეს დიდი უბედურება, რომელიც გზაპირულ ქართველობას დამა-რთოდა და გასაუბრების მიზნით ესტუმრა მოლას. მოლა ქალ-ბატონის მისვლისთანავე მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე, ამიტომ განსაკუთრებული პატივით მიიღო.

– რაზე შეწუხებულხართ? თქვენ ჩემი დახმარება არ გჭირდ-ებათ, რადგან თვითონ ეხმარებით სხვას.

ქალბატონი მშვიდად დაბრძანდა მასპინძლის შეთავაზებულ სკამზე, მკაცრი გამომეტყველების სახეზე ოდნავ ღიმილმა გად-აურბინა და დაბალი ხმით მიმართა მოლას:

– ერთი შეკითხვა მინდა დაგისვათ.

– გისმენთ, – თქვა მოლამ და ყურადღება დაძაბა.

– ამდენ ქრისტიანს რომ იღებ და ვითომ ეხმარები მათ, შენ ხომ კარგად იცი, რომ არც შენ და არც შენი სარწმუნოება ქრის-ტიანისთვის, მით უმეტეს მართლმადიდებლისთვის სასიკეთოს არაფერს გააკეთებთ.

მოლამ იქედნურად შეხედა ქალბატონს, შემდეგ გაულიმა და უთხრა:

- პირდაპირ გეტყვით სიმართლეს, არ დაგიმაღალავთ. ოქვენ ქართული ფილმი „ქეთო და კოტე“ ხომ გაქვთ ნანახი?
- რა თქმა უნდა.
- ძალიან კარგი. აი, იქ ასეთი კადრებია, ქეთო რომ ჩამოდის პეტერბურგიდან და მოსამსახურები სიხარულით კარგებს უღებენ, ხომ გახსოვთ?
- მერე?
- ქეთოსაც ოთახიდან ოთახში გასვლისას სიხარული უათკე-ცლება, რადგან იცის, რომ მამას უნდა შეხვდეს.
- ამით რა გინდათ თქვათ? — აუღელვებლად ჰკითხა ქალბატონმა.
- ამით ის მინდა ვთქვა, — გაიმეორა კითხვა მოლამ, — რომ თითოეული ქრისტიანი ჩვენთვის ასეთი კარია, ანუ საფეხურია სამოთხისაკენ.
- ესე იგი გამოდის, რომ შენ იმათ კი არ ეხმარები, არამედ შენ სულს უკაფავ გზას სამოთხისაკენ და ქრისტიანებს საფეხურებად იყენებ.
- მოლამ თანხმობის ნიშნად ხელები გაშალა და თავი დაიქნია, შემდეგ კი დაბალ ხმაზე ჩაილაპარაკა:
- მე ხო არ აუკრძალავ მათ ჩემთან მოსვლას. ისინი თვითონ მოდიან, ალბათ სურთ, რომ ჩემი სამოთხეში შესვლით ალაპი განადიდონ.
- ყველა ამ უბედურებაზე ხომ იცი, რომ პასუხისმგებელი ღმერთის წინაშე იქნები?
- ჩემი ღმერთის წინაშე მე მართალი ვარ! — მოკლედ მოჭრა მოჰლამ.
- ქალბატონი მოლას ოთახიდან გამოვიდა და მისაღებში რიგში მდგომ ქართველებს შეხვდა. ეს გამოხედვა იმდენად მკაცრი იყო, რომ ცოდვაში ჩავარდნილმა ქრისტიანებმა თვალი ვერ გაუსწორეს მას. ქალბატონს შეეცოდა ადამიანები და დედაშვილურად მიმართა:
- გირჩევთ მოინანიოთ, თორემ თქვენს თავსაც დაღუპავთ და თქვენს ოჯახებსაც.

არც ერთ მათგანს ამ სიტყვებზე რეაგირება არ მოუხდებია. იდგნენ მდუმარედ, მონუსხულნი და მათი ყურადღება მოლას ოთახის კარისაკენ იყო მიმართული. ერთი სურვილით იყვნენ შეპყრობილნი, რათა ამ კარის ზღურბლი დროზე გადაელახათ და გული გადაეშალათ საუკუნოვანი მტრისათვის.

ანალოგიურს აკეთებს „მოქალაქეთა კავშირი“. ქართველების ქვეყნიდან გაძევებით, განადგურებით, გაუბედურებით თავის ლიდერთან და არაქართველებთან ერთად მიისწრაფვის ტაძრისაკენ, რათა თავი ღმერთად გამოაცხადოს.

ლევან სართელი სხვა პატრიოტ ქართველებთან ერთად ერთერთი მსხვერპლი გახდა ამ ვაკხანალიისა. ამასთან მას ჭეშმარიტი სარწმუნოების გზიდან გადახვევამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური.

II

„მოქალაქეებმა“ გაყალბების გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გამოყენებით, დიდი უპირატესობით მოიგეს არჩევნები. ან ვინ გაუწევდა წინააღმდეგობას, ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელი და მოაზროვნე ადამიანები გაძევებული იყვნენ ქვეყნიდან, მათი კუთხით ბიულეტენები კი პოლიციის გამლიერებული კონტროლის ქვეშ „მოქალაქეების“ სასარგებლოდ ივსებოდა. საქართველოს პატრიოტთა მცირე ჯგუფები, რომელთა შორის ლევან სართელიც გახლდათ, ვერ უწევდნენ ჯეროვან წინააღმდეგობას ნაძირლების ბრძოს. ასე რომ, ანტიქრისტეს მოციქულები უმრავლესობით გავიდნენ პარლამენტში.

ყოველ ნაბიჯზე დალატმა ლევანი უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. იგი იჯდა ნაქირავებ ბინაში და გარეთ იშვიათად გადიოდა, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ჰქონდა, რათა ოჯახში ლუკმა პურის ფული შემოეტანა. ნერვიულობისაგან მისი ჯანმრთელობა დღითიდღე

უარესდებოდა. უსახსრობის გამო ექიმთან ვერ მიღიოდა. იჯდა სახლში და ტელეფონით მხოლოდ გენო ჭანკვეტაძესთან თუ დარეკავდა. გენოც ვერ იყო კარგად. მხედველობა დაკარგა და ისიც სახლიდან ვერ გადიოდა. ლევანის კიდევ ერთი პარტნიორი ვოვა საბაური ცოლ-შვილით შეუა აზიაში იყო გადახვეწილი და იქ მუშაობდა. ლევან სართელს, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებული ოპტიმიზმით გამოირჩეოდა, თითქოს მომავლის რწმენა დაეკარგა და ისე მიყვებოდა ცხოვრებისეულ თვითდინებას, რომ არც ფიქრობდა რაიმე ახალის დაწყებას.

თებერვლის ერთ საღამოს სართელების ოჯახს ლევანის ძმისშვილი ესტუმრა. ნატო უკვე სტუდენტი იყო. მასპინძლებს ძალიან გაუხარდათ მისი მოსვლა. ლევანის ქალიშვილი ნია ხომ სიხარულით ცას ეწია. გოგონები მაშინვე განმარტოვდნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ორი-სამი საათის შემდეგ საუბრით დაღლილი გოგონები სამზარეულოში შევიდნენ ჩაის დასალევად. ლევანი იჯდა სამზარეულოს მაგიდასთან, სიგარეტს აბოლებდა და გაზეთს კითხულობდა.

ნატომ და ნიამ ივახშეს, ჩაი მიირთვეს, შემდეგ ერთმანეთს შეხედეს, თითქოს ნიშანი მისცეს რაღაცის დაწყების და ნიამ ლევანს მიმართა:

— მამა, ქრისტიანულ ლოცვებთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— ძალიან კარგი, — ისე უპასუხა ლევანმა, რომ გაზეთისთვის თვალი არ მოუცილებია, — რატომ მეკითხები?

— არა, ისე, ამ ბოლო დროს იმ ვიღაც ქართველ თუ ტიბეტელ გაურა და მარკანდია რიშებთან რომ დადიხარ, მეგონა, ქრისტიანობისაკენ აღარ იცქირებოდი.

ლევანს გაუცინა. ის მართლა დადიოდა ერთ ქართველ გაურა რიშთან, რომელიც დალაი ლაბას სიძლერის პანგებზე ტიბეტერ ლოცვებსა და მკურნალობის სეანსებს უტარებდა. სართელი იმასაც მიხვდა, რომ ნია რაღაც ახლის თქმას აპირებდა და ცოტა შორიდან უვლიდა. ნატოც მომლიმარი სახით ბიძისაკენ იცქ-

ირებოდა. ლევანმა გაზეთი დაკეცა, დადო მაგიდაზე, მიუბრუნდა გოგონებს, გაუღიმა და ჰკითხა:

— რა გინდათ? შორიდან რატომ მივლით? თუ რამე გაქვთ სათქმელი, პირდაპირ მითხარით.

— მამა, ნატო მელაპარაკა ახლა, ერთი ქალი ყოფილა ქრისტიანული წესით მლოცველი, ნატოს პაპიდას ახლობელია. ძალიან ბევრ ადამიანს უშველაო. ასე არ არის, ნატო? — თქვა ნიამ და ნატოს შეხედა, თითქოს აგრძნობინა სიტყვა შენც შემაშველეო.

— კი, ნამდვილად ასეა ლევანი ძია. მასთან ბევრი ხალხი დადის და ყველა კმაყოფილია, — თქვა ნატომ და შემდეგ კონკრეტული მაგალითებიც დაასახელა.

— ქართველია? — იკითხა ლევანმა.

— რა თქმა უნდა, თან კახელია.

— ვაჲ! მართლა? — აღფრთოვანებით წამოიძახა ლევანმა, — კარგი ქალი იქნება, ჯიგარი. სახელი რა ჰქვია?

— სოფიო.

— სახელიც დიდებული ჰქონია, — გაუხარდა ლევანს. წამოდგა ფეხზე, გაიარ-გამოიარა და მერე დამწუხრებულმა გააგრძელა, — მიმიღებს რო?

— როგორ არ მიგიღებთ, ლევანი ძია, პაპიდა ეტყვის.

— მე ხომ მუსლიმანებთან და ბულისტებთან დავდიოდი და არა მგონია, მიმიღოს.

— სწორედ ეგეთ ხალხს შველის. მე ყველაფერს გაგიგებთ და დაგირეკავთ.

— აბა, შენ იცი. გელოდები.

ნატომ პასუხი მეორე დღესვე შეატყობინა. თურმე ნატოს პაპიდას დაერეკა სოფიოსათვის და მიღების დღეც დაუნიშნათ. დათქმულ დროს ლევანი სოფიოს სახლის კარს მიადგა. ძალიან დელავდა. ფრთხილად შეაღო კარი და ეზოში შევიდა. ვიწრო ეზოში ხელმარცხნივ სოფიოს სახლი იდგა, ხოლო პირდაპირ- პატარა სამლოცველო, რომლის წინ უამრავი ხალხი

შეკრებილიყო და მოთმინებით ელოდნენ თავის რიგს. ლევანი გააფრთხილეს, რომ სოფიო მამაკაცებს ურიგოდ იღებდა, ხოლო ახლადმისულებს დაუყოვნებლივ. ეზოში ქალებიც და მამაკაცებიც ბევრნი იყვნენ, ამიტომ ლევანი ხალხისგან ცოტა მოშორებით გაჩერდა. გაუგებარ სიტუაციაში აღმოჩნდა. ვერ გაეგო, როგორ მოქცეულიყო. სოფიოსთან მისვლა და თავის წარდგენა ზედმეტ ყოფობობად მიიჩნია. თვითონ სოფიო მას არ იცნობდა და როგორ მიხვდებოდა მის მოსვლას. ბოლოს ლევანი ხანგრძლივი ლოდინისათვის მოემზადა და იქვე აგურით ნაშენ კედელს მიეყრდნო. ამ დროს სამლოცველოს შიგნიდან გაისმა საოცრად ნაზი და ამასთან მკაცრი ხმა:

— ლევან სართელი შემოვიდეს!

ლევანი გაოცდა, მაგრამ სიტყვები აშკარად მისი მისამართით იყო ნათქვამი და ამიტომ პირდაპირ სამლოცველოსაკენ გაემართა. ხალხმა გზა დაუთმო. მან სამლოცველოს პატარა კარი გამოაღო და ასე ეგონა, სულ სხვა სამყაროში მოხვდა. ამ პატარა ოთახის კედლები სავსე იყო სხვადასხვა ხატებით, კუთხეში იდგა პატარა მაგიდა, სადაც ხატებთან ერთად, რამდენიმე შანდალი, ბიბლია, სანთლები იღო და პატარა ბოთლით იდგა ნაკურთხი წყალი. მაგიდის ზევით წმიდა გიორგის დიდი ხატის წინ კანდელი იყო ჩამოკიდებული. მაგიდასთან იჯდა შავებში ჩაცმული ქალბატონი, რომელსაც იმდენად ნაცნობი სახე ჰქონდა, რომ ლევანი უხერხულ ძღვომარეობაშიც კი ჩავარდა, უცბად ვერ მიხვდა, საიდან იცნობდა მას. ქალბატონს მრგვალი ქართული სახე და შავი თვალ-წარბი ჰქონდა, მთლიანად შავებში იყო ჩაცმული, თავს ასევე თეთრი თავსაბურავი უმშვენებდა.

— დაბრძანდით, — უთხრა ქალბატონმა ლევანს და მაგიდასთან მდგარი სკამისაკენ მიუთითა, — ამ სიტყვით დავამთავროთ ერთ-მანეთთან თქვენობით საუბარი, რადგან მორწმუნენი და საერთოდ საეკლესიო მრევლი ერთმანეთს შენობით და ქალბატონის და ბატონის გარეშე ესაუბრებიან. მე კი სოფო დამიძახე.

— ძალიან სასიამოვნოა, ქალბატონო სოფიო, უჰ! მაპატიეთ, სოფო.
— აი ასე, ლევან.

სოფიო ხანდახან კახური კილოკავით საუბრობდა. ლევანს მხოლოდ ახლა გაახსენდა, საიდან იცნობდა მას. ცხრა წლის წინ კიევში ნანახი სიზმრიდან. ეს ის ქალბატონი გახლდათ, ლევანი ჯოჯოხეთის გზიდან რომ მოაბრუნა. სწორედ მაშინ წარმოსოთქ-ვა მან კახური კილოკავით ეს სიტყვები: „ბავშვი, რომელიც დედას არ დაუჯერებს, ყოველთვის თავ-პირს წაიმტვრევს. შე უბედურო, როდემდე უნდა იყო ხელით სათრევი!“ ლევანმა ყველაფერი აღიღვინა, ის ქალბატონი სოფო იყო. ლევანმა თმაზე ხელი გადაისვა და მორიდებით ჰკითხა სოფოს:

— ქალბატონო სოფო, უჰ! ბოდიშს ვიხდი, სოფო, მაპატიეთ ასეთი შეკითხვისათვის, შავები რატომ გაცვიათ?

— ორი თვის წინ მეუღლე გარდამეცვალა, ღმერთმა აცხონოს მისი სული.

— კიდევ ერთხელ მაპატიეთ, — თქვა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ლევანმა, — ვიზარებ თქვენს მწუხარებას.

— იცოცხლე, შვილო.

ეს სიტყვები სოფომ ისე გულისშემძვრელად წარმოთქვა, რომ ლევანს ტანში ურუანტელმა დაუარა. მისთვის დედის სიკვდილის შემდეგ ასე არავის მიუმართავს. ამ სიტყვებსაც სოფომ სიზმარში რომ უთხრა „ბავშვი, რომელიც დედას არ დაუჯერებს, ყოველთვის თავ-პირს წაიმტვრევს...“ ასეთივე დატვირთვა ჰქონდა.

სოფომ შეულოცა ლევანს. წაუკითხა მოკითხვა მთავარანგელოზისა მიერ ყოვლადწმინდისა ღვთისმშობელისა, წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის და წმინდა ნიკოლოზის ტროპარნი და შემდეგ დაუნთო სანთელი. წარსულის შესახებ ბევრი რამ უთხრა, შემდეგ უცბად გულის მხარეს ხელ-მკლავის ტკივილი დაეწყო. ერთხელ ამოიხვნეშა და ტკივილისაგან დაღლილმა უთხრა ლევანს:

— ორჯერ გაქვს გაკეთებული ჯადო, თანაც სასიკვდილო.

ლევანს მაშინვე სოფლის სასაფლაოზე ღვთისმშობლის ეკლესიასთან უხილავის მიერ ნათქვამი სიტყვები გაახსენდა, რომელმაც გააფრთხილა ჯადოს შესახებ, მაგრამ სართელმა არ დაიჯერა, შემდეგ კიდევ ერთი გაფრთხილება მიიღო უხილავისაგან, კიდევ არ სჯეროდა. ახლა კი ხილული ადამიანი ეუბნებოდა ამას. დაფიქრდა და რამდენიმე წამში სასწორკვეთილებაში ჩავარდა.

— ნუ დაღონდები, ლევან, ჩვენ გავანადგურებთ ჯადოს, — თქვათავის სიტყვებში დარწმუნებულმა სოფომ და ლევანს დედა-შვილური მზერა მიაპყრო, — შენ არ ინერვიულო. მხოლოდ უნდა მომყვე, დამიჯერო და შეასრულო ყოველივე, რასაც გეტყვი.

ლევანი დაემშვიდობა სოფოს და დაღონებული გაუდგა სახლის გზას. მაგრამ მაღლე თავის თავს გაუწყრა: „რატომ ხარ დამწუხრებული. შენ ხომ ყოველთვის გაინტერესებდა, რამ შეუწყო ხელი შენს დაცემას, რამ გაგაუბედურა, რამ დაგაავადმყოფა. აი, მიზეზიც იპოვე. ახლა დამწუხრება და ტირილი კი არ არის საჭირო, არამედ ძალების მობილიზება უნდა მოახდინო, რათა გაუმკლავდე მტერს. თან მშველელი და გადამრჩენი გამოგიჩნდა, გვერდში დაგიდგა. მეტი რა გინდა?!“.

ლევანი წელში გასწორდა, სხვანაირად შეხედა ამ ცხოვრებას და სული სინანულის გრძნობით აღევსო, რომ აქამდე ამდენ შეცდომას უშვებდა.

სოფო მთელი თავისი ენერგიის მობილიზებით შეუდგა ლოცვებს, რათა ლევანი გამოეყვანა მდგომარეობიდან. ლოცვებში ამოდიოდა ის ტაძრები, სადაც ლევანს სანთლები უნდა დაენთო, ან შესაწირი გაეღო. სოფოს ლოცვა-კურთხევით მოილოცა თბილისის წმინდა ნიკოლოზის, ნინოწმინდის მარიამ ღვთისმშობლის და პატარმეულის თავი წმინდა გიორგის ტაძრები. ლოცულობდა მთელი მონდომებით და უფალს ევედრებოდა მიეტევებინა მისთვის ის შეცოდებანი, რაც მუსლიმანებთან და ბუდისტებთან ურთიერთობის დროს დაუშვა. ლევანს ეშინოდა, რომ ამ ცოდვების გამო უფალი მას ტაძარში არ შეუშვებდა, ან რაიმე

განსაცდელს მოუკლენდა, მაგრამ პირიქით, ლევანი გრძნობდა უფლის თანადგომას, ვითარცა „უძღები შვილი.“ ეხმარებოდა მას, რომ სინაულითა და ლოცვით გამოესყიდა შეცოდებანი თვისი. სოფომ ლევანს წასაკითხად მისცა წილქნელი მთავარეპისკოპოსის ზოსიმეს წიგნები, რომელმაც ლევანზე დიდი ზე-გავლენა მოახდინა.

დიდი მარხვა ორი კვირის დაწყებული იყო. ერთ-ერთი ლოცვის დამთავრების შემდეგ სოფომ უთხრა ლევანს:

— ვხვდები, რომ ძალიან გაინტერესებს რა ხდება შენს თავს...

— ვერ გიბედავდი, — არ აცალა წინადადების დამთავრება ლე-განმა, — გამოვალ მდგომარეობიდან?

— ერთი იცოდე, რომ ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ აუჩ-ქარებლად. ხომ იცი, უფალი ამბობს „მე ურმით მოვდიგარო.“ ახლა მისმინე. შენ კარგად იცი, რომ მე წილქნის ღვთისშმობლის ეკლესიის მრევლი ვარ. წამოხვალ წილკანში?

— რა თქმა უნდა. — დაფიქრების გარეშე უპასუხა ლევანმა.

— მაშინ აღსარებისათვის მოემზადე. დროა ცოდვები მოინანიოდა ეზიარო ქრისტეს სისხლსა და ხორცს.

— რომ არ ვიცი, როგორ მოვემზადო აღსარებისათვის?

— მე შენ გაგაცნობ ერთ შესანიშნავ ქალბატონს ჩვენი მრევ-ლიდან, მას სახელად ლეილა ჰქვია, ის გაგარკვევს ყველაფერ-ში. აქვე მინდა გამცნო, რომ მე შენ შვილად აგიყვანე. ამის შემ-დეგ შენ ჩემი შვილობილი იქნები და მე შენი დედობილი. შავი გულის ადამიანებისაგან უსამართლოდ ხარ დასჯილი და მე ბოლომდე ვიბრძოლებ, რათა შენ გამოგათავისუფლო ამ ჯა-დოსგან.

ლევანს ამ სიტყვებმა ისეთი უსაზღვრო სიხარული მიანიჭა, რომ რამდენიმე ხანს ხმა ვერ ამოიღო. ბოლოს ღრმად ჩაისუნთქა და სახეგაბადრულმა წარმოთქვა:

— გმადლობთ, დედა.

III

კვირას, დილით აღრე ლევანი დათქმულ დროს მიგიდა ავტოსადგურზე, საიდანაც მრევლთან ერთად წილკანში უნდა გამგზავრებულიყო. ყველა უკლებლივ შეიკრიბა. საოცარი ის იყო, რომ ამდენ ქალებში ერთი ლევანი გახლდათ კაცი. სოფომ ყველას გააცნო სართელი, განსაკუთრებით კი ლეილას, თან დიმილით უთხრა:

— ლეილა, ეს ჩემი შვილია და ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი უნდა გასცე.

ქალბაზონი ლეილა მორიდებული ქალი ჩანდა, როდესაც საუბარი დაიწყო, ლევანი მაშინვე მიხვდა, რომ ფრიად განათლებულ და ღრმად მორწმუნე ადამიანთან ჰქონდა საქმე. სართელი კითხვას კითხვაზე სვამდა. ლეილა კი ჩვეული სიდინჯით უხსნიდა ყველაფერს. ლევანმა ბევრი რამ შეიტყო ეკლესიის და საეკლესიო წეს-ჩვეულებების შესახებ. როდესაც წილკანში ჩავიდნენ, აქ უკვე ეკლესიის მრევლს ლეილა აცნობდა ლევანს, როგორც თავის სულიერ ძმას და სოფოს შვილობილს.

ლევანი პირველად იყო წილკანში. როდესაც ეკლესიის გალავნის ზღურბლს გადააბიჯა, მის წინ მთელი სიმშვენიერით წარმოხინდა ღვთისმშობლის ეკლესია.

ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ, სამეფოს კარი უშეაღლოდ ხელმძღვანელობდა ქრისტიანული მრწამსის გავრცელებას მოსახლეობაში და ქრისტიანული ტაძრების მშენებლობას. როგორც ჩანს, პირველი ეკლესიები შენდებოდა ძველ რელიგიურ-საკულტო ადგილებში და შესაბამისად, თავიდანვე მოიაზრებოდა ერთგვარ საეკლესიო ცენტრებად. ერთ-ერთ ასეთ ადგილად, ქართული წყაროების მიხედვით, მიჩნეულია წილკანიც, სადაც პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მემკვიდრის ბაქარის ძალისხმევით უკვე IV საუკუნეში იქნა აგებული ტაძარი.

ამდენად, არსებულ სხვა ეპარქებს შორის წილკნის საეკლესიო ცენტრი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძირძველი და თვით-

მყოფადია. როდესაც V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, ქართლი ახალ საეპისკოპოსოებად დაიყო, წილკანში უკვე არსებობდა შედარებით ადრეული ქრისტიანული სავანე, ღვთისმობლის სახელზე ნაკურთხი ტაძრის სახით, სადაც მიმდინარეობდა დაუღალავი მოღვაწეობა მართლმადიდებლობის დასამკვიდრებლად.

VI საუკუნის ორმოციან წლებში ქართლში შემოსულმა ახალმა ქრისტიანულმა სამისიონერო ძალამ, სირიელ მეუდაბნოე მამათა მოღვაწეების სახით, ახალი სული ჩაბერა ქვეყნის ქრისტიანული აღმსარებლობის განმტკიცებასა და ქართლში როგორც სარწმუნოებრივი, ისე პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაძლიერების საქმეს.

წმინდა იოანე ზედანელის მოწაფეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო წმინდა მამა ისე, რომელსაც ბედმა არგუნა წილკელ მღვდელმთავრად დადგენა და მრავალმხრივი დაუღალავი მოღვაწეობა სამწესოს გასაძლიერებლად.

რაც შეეხება წილკნის ცნობილი ღვთისმშობლის ხატის წარმოშობას, საეკლესიო ტრადიციით ეს სასწაულმოქმედი ხატი ლუკა მახარებლის დახატულია მაცხოვრის აკვნის ფიცარზე და ქრისტიანული დასავლეთიდან შემოვიდა ჩვენში. სავარაუდოა, რომ ხატი მეფე ბაქარის დროს დაასვენეს ტაძარში, რომელიც ალბათ, თვით მეფემ ჩამოაბრძანა ბიზანტიიდან. სამწუხაროდ, უცნობია ქართლში ხატის შემობრძანების ზუსტი დრო და თარიღი. რადგანაც ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებასთან ერთად შემოდიოდა ნივთიერი სიწმინდენიც, როგორიც იყო ღვთისმშობლისაგან ბოძებული წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი, უფლის სამსჭვალი თუ ფერხთა ფიცარი, ანდრია პირველწოდებულის მიერ ჩამოტანილი ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი (აწყურისა), სავარაუდოა, რომ წილკნის ღვთისმშობლის ხატის თავდაპირველი სავანე იქნებოდა ბაქარის მიერ ახლადაგებული ეკლესია-წილკანში, რაც უფრო მეტ რელიგიურ-სარწმუნოებრივ მნიშვნელობას მიანიჭებდა ახალ ქრისტიანულ კერას.

სანამ წირვა დაიწყებოდა, ლევანმა შემოუარა ეკლესიას, შემდეგ შიგნით შევიდა, მორიდებით ეამბორა ყველა ხატსა და სიწმინდეს. მასზედ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა წილქნის ღვთისმშობლის ხატმა, რომლის წინ დიდხანს იდგა სართელი და დაბნეული უყურებდა. მხოლოდ ერთს ფიქრობდა, რომ ეს სილამაზე და მშვენიერება რატომ ადრე არ ნახა. ეამბორა წილქნისა და ივერიის ღვთისმშობლის ხატებს, წმიდა ისე წილქნელის საფლავის ქვას და მაშინვე რაღაც არამიწიერი სიმშვიდე იგრძნო. ლევანი სახტად დარჩა. ადგილიდან აღარ იძვროდა. მის გარშემო რაღაც უხილავი ტრიალებდა და თვითონ საოცარ სიმსუბუქეს გრძნობდა. იმ ადგილისაკენ გააპარა თვალი, სადაც სოფო და ლეილა იდგნენ. შეამჩნია, რომ ორივე ქალბატონის მზერა მისკენ იყო მიჰყრობილი. ისინი გრძნობდნენ, რასაც განიცდიდა ლევანი და ამას სახეზე მომდგარი ლიმილით გამოხატავდნენ. სართელი მიუახლოვდა ქალბატონებს და დაბალ ხმაზე მიმართა:

— რამდენი ეკლესია მაქვს მოვლილი და ასეთი სილამაზე, სიმშვიდე და სიკეთე არსად მინახავს და არ მიგრძნია. თქვენ აგაშენებთ ღმერთი, თქვენი დამსახურებაა ჩემი ამ გზაზე დაყენება. შესანიშნავად წერს მუჟე ზოსიმე თაგის წიგნში: „ბევრი ადამიანი თავისებური წიგნია, რომელიც უნდა წაიკითხო, რათა ბევრი სასიკეთო და სასარგებლო იპოვო იქ“. ეს თქვენზეა ნათქვამი. თქვენ რომ არა, ალბათ მე სასოწარკვეთილებისაგან დღეს ცოცხალი აღარ ვიქნებოდი. სოფომ სიცოცხლე მაჩუქა და ეკლესიისკენ შემომაბრუნა, ხოლო ლეილამ პირველივე გაცნობისთანავე, იმდენი განათლება შემოიტანა ჩემში, რომ ეს ყველაფერი მე რომ წიგნებიდან მესწავლა, ალბათ წლები დამჭირდებოდა.

— ერთიც უნდა გთხორა, ლევან, — მორიდებით თქვა ლეილამ, — არასოდეს სასო არ წარიკვეთო, ეს დამღუპველია. მუჟე ზოსიმე გვასწავლის, სიტყა-სიტყვით ასეა დაწერილი: „დაილოცოს განგება ღვთისა, იგი ყოვლად სამართლიანია და არაფერს დაუკარგავს კაცს, არც სიკეთესა და არც ბოროტებას. ამიტომ არ უნდა წარიკვეთოს სასო კაცმა, როცა უფალი განსაცდელებს

უგზავნის მას, არამედ უნდა დაუთმოს მათ და გადაიტანოს ისინი მშვიდად, რათა იმათი წილი სიხარული მიიღოს ღვთისაგან.“

— ლევან, — საუბარში ჩაერთო სოფო, — შენი ენერგიისგან დაცლა და სასოს წარკვეთა ზედმეტად საქმეზე მიჯაჭვამ და იქიდან გამომდინარე ურთიერთობებმა გამოიწვია. წმინდა მამანი გვასწავლიან: „ზედმეტად არაფერს უნდა მიეჯაჭვოს კაცი ერთის გარდა, — მთელი მონდომებით მხოლოდ სულისათვის უნდა გაისარჯოს იგი, რადგან დანარჩენი წვალებად არ ღირს, რამეთუ ყოველივე წარმავალია და ფუჭი.“

ლევანი ისმენდა ამ შეგონებებს და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ აქამდე მისი ცხოვრება, მხოლოდ ერთ ადგილზე სიარული ყოფილა და სიცარიელეში ხელების ფათური. მან მხოლოდ დღეს დაინახა გზა ჭეშმარიტებისა, რომელსაც ასე ექცედა, რომელიც ასე აკლდა მთელი თავისი ცხოვრების გზაზე.

ზარების რეკვამ გამოარკვია ლევანი ფიქრებიდან. წირვა იწყებოდა. წესისამებრ მარჯვნა მხარეს დადგა სართელი, თვალები მიაპყრო საკურთხეველს. იწყებოდა ლიტურლია იოანე ოქროპირისა. ლევანი მთელი არსებით ჩაიძირა ლოცვებში. როდესაც გაიღო აღსავლის კარი და მრევლის დასალოცად გამობრძანდა მეუფე ზოსიმე, ლევანი სახტად დარჩა. ბევრი მამაო უნახავს მას, მაგრამ მეუფე განსაკუთრებული გახლდათ. იყი თითქოს მთელი არსებით გაბრწყინებული იყო. ხოლო, როდესაც მან დაიწყო ლოცვის წარმოთქმა ღვთისმრბლისადმი, თვალებზე ცრემლი მოადგა. ეს იყო გვირგვინი მთელი წირვისა.

მიუხედავად იმისა, რომ ლევანს მეუფე ზოსიმეს ქადაგებანი წაკითხული ჰქონდა, წირვის ბოლოს მისმა ქადაგებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მის მიერ წარმოთქმულ ყველა სიტყვას თითქოს ღვთიური ძალა ჰქონდა, პირდაპირ ჯდებოდა გონებაში და ეფერებოდა ადამიანის სულს. ჯვარზე მთხვევისას მეუფემ დაკვირვებით შეხედა ლევან სართელს, შემდეგ გაუღიმა და ხავერდოვანი ხმით წარმოთქვა:

— გფარავდეს ღვთისმრბელი.

ეკლესიდან გამოსული დიდხანს განმარტოვებით იდგა ეზოს კუთხეში სამრეკლოსთან და შეპყურებდა ტაძარს. უჭირდა უფლის სახლთან განშორება, რამეთუ აქ ამ ტაძარში შეიგრძნო მან ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება, რომელიც თურმე როგორ სწყუროდა თავისი სიცოცხლის მანძილზე.

სოფო და ლეილა მეუფეს უნდა შეხვედროდნენ, ამიტომ ლევანს მარტო მოუწია წამოსვლა თბილისში. ავიდა ავტობუსში, რომელიც ძირითადად ეკლესის მრევლით იყო სავსე, მონახა თავისუფალი ადგილი და გონებაში მიღებული შთაბეჭდილებების გაანალიზება დაიწყო.

— თქვენ ალბათ პირველად იყავით წილკნის ეკლესიაში? — უთხრა ლევანს გვერდით მჯდომარე მანდილოსანმა.

— დიახ. — მიუგო ლევანმა.

— მოგეწონათ?

— ძალიან. აქამდე ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება არც ერთ წირვას არ მოუხდენა ჩემზე. მეუფე ზოსიმეს წაკითხულმა პარაკლისმა და ქადაგებამ ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— მეუფე ძლიერია. ახლოს არის უფალთან. ამიტომაც არ მოსწონდათ და არ მოსწონთ ზოგიერთებს. იგი ხომ გუმბათია ქართული ეკლესისა.

— თქვენ ალბათ ახლოს იცნობთ მეუფეს.

— დიახ.

— ჩემი აზრით მეუფე უფრო მეტს იმსახურებს, ვიდრე წილკნის ეპარქიაა. დღეს, როგორც ჩანს, ღირსეულნი ჩრდილში დგანან.

— გეთანხმებით. მეუფისათვის ძალიან დიდი ტკივილი იყო სასულიერო სემინარიდან და სვეტიცხოვლიდან მორიდება. მნელია მართლა ერთი ხელის მოსმით მოწყდე იმას, რაც შენი სულის ნაწილია და განუყოფელი, მაგრამ სასულიერო პირისთვის ეს მაინც ჩვეულებრივი ამბავია და მისაღები, მნელად დასათმენი შეიქმნა მხოლოდ ის უხამსი სიცორუე და ცილსწამებანი, რაც ყოველივე ამას ახლდა თან.

— ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი, — თქვა მოსმენილით დამწუხრებულმა ლევანმა, — ამათ წესიერი და პატიოსანი ხალხი არ უყვართ, უფრო სწორად ეშინიათ მათი.

— საოცარია მართლაც სვეტიცხოვლის ზოგიერთ მოღვაწე-თა ხვედრი, იგი ზოგჯერ მისი ხუროთმოძღვრის ტრაგიკულ ბედს წააგავს რაღაცით; ვისაც უყვარს იგი, ვინც შეჰქარის, ეთაყვანება და კეთილად ემსახურება მას, სჯიან. მართალია ამჯერად მეუფისათვის არ მოუჭრიათ მკლავი, მაგრამ აღარც ბევრად დაინდეს, როცა ათასგვარი უკეთურებითა და მზაკვრებით გული მოუკლეს და სიყვარულის წილ დიდი უმაღლურობით უპასუხეს. ცხოველი სვეტის გარშემო შემოკრებილთ კი ვეღარ უპატრონეს და განაპნიეს. ღმერთო, როგორ ჭირდებოდა ამ განსაკლელის ჟამს ვინმეს მამა-შვილური და ძმური თანადგომა და სითბო, მაგრამ ყველა დუმდა, მდუმარებამ მოიცვა ირგვლივ ყოველი. ჩანს წარსულს ჩაბარდა ღირსეულ მამათა და დედათა დღო. ერთეულ ადამიანთა თხოვნა და ვეღრება კი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მეუფე ისევ წილკნის ღვთისმშობელმა შეიფარა, როგორც კეთილმა დედამ უსამართლობას გამორიდებული შვილი. დიდი იყო ბოროტის ზეიმი მაშინ. ამბობენ იმ ღამეს მთელს მცხეთას ეფინებოდა მიკიოტების შემზარვი კივილი. ასე შეეწირა, ერთი ხელის მოსმით, ჭირვეულ და ახირებულ ადამიანთა ამბიციებს ყველაფერი. ჩანს ასეთია ბედი მართალთა, ვისაც ვერ ხელეწიფება მოჩევნებით და ყალბი პატრიოტობით, ზარ-ზეიმითა და დემონსტრაციებით, გულში მჯიდის ცემით ნაცარი აყაროს თვალებში ხელისუფალთ. ასე იდლესასწაულა ბოროტმა იმ დღეს, რა დასანანია. არადა რამდენი ღვთის სათნო საქმე შეიძლებოდა ყოფილიყო აღსრულებული და რამდენი ღვთის მაძიებლის სული გადარჩენილი.

— რა საზარელია ეს ყველაფერი, — ამოიხრა ლევანმა, — გამოდის, რომ ვინც მადლსა და სიკეთეს გასცემს ხალხზე, განდევნეს და ჩაკეტეს, ხოლო მათი ადგილი ხელისუფლების მარიონეტებმა დაიკავეს.

— სამწუხაროდ, უმაღლერობა და გულგრილობა დიდი იყო ხშირად იმათვან, ვისგანაც მეუფე მხარდაჭერასა თუ თანადგომას ელოდა. გულისტკივილით იგონებს იგი მრავალთაგან ერთ შემთხვევას, თუ როგორ აქებდნენ სხვის ნაღვაწსა თუ ნაშრომს, ხოლო მისი წვითა და დაგვით გაკეთებულს შეუმჩნეველს ხდიდნენ. არა, ეს როდი იყო შური, მას სხვისი სიკეთე კი არ აწუხებდა, არამედ საკუთარი შრომის დაუფასებლობა წყვეტდა გულს. რა იყო ეს, ბედისწერის ორონია, თუ რამ სხვა ადამიანის გონები-სათვის მოუწვდომელი? — არ ვიცი.... არ ვიცი.....

— დიდი ნებისყოფის და მოთმინების მქონე ადამიანი ყოფილა მეუფე.

— მართლაც იობის მოთმინება უნდა ჰქონდეს კაცს, — განაგრძო ქალბატონმა, -- რომ გული არ გაუტყდეს და ზურგი არ აქციოს კაცთა მოდგმასა და მის სამართიალს და კვლავაც მისი სიჯანსალისათვის იღწვოდეს და შრომიბდეს. ალბათ ახალგაზრდობის წლები და ასკეტური ბუნება თუ აძლევდა იმის ძალას, რომ აეტანა ამდენი უმაღლერობანი და სულიერი ტკივილები. ვინ, ვინ და მეუფემ ყველაზე უკეთ იცის, რომ ეს განსაცდელები ძასზე უფლის მიერ იყო დაშვებული, მაგრამ მაინც ძნელია შეინარჩუნო წონასწორობა, მოიკრიბო მხნეობა და ლოდი ასჯერ და ათასჯერ ეშმაკის მიერ გადმოგორებული ხელახლა აუყენო აღმა სვლას.

— ახლა კი მივხვდი, რატომ აქვს ასეთი დიდი ძალა მეუფეს, რატომ ჩანს გაბრწყინებული. იგი ღმერთიან ძალიან ახლოს არის, — თქვა ღევნმა და უცებ შეკრთა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, — მაპატიეთ, ქალბატონო, იმდენად გავერთე თქვენთან საუბარში, რომ სახელიც არ მიკითხავს.

— ნელი.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ქალბატონო ნელი. მე ღევნანი მქანა. თქვენმა მონათხრობმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. დამწყები მორწმუნესათვის ეს დიდი გაკვეთილია, გმადლობთ.

— არაფრის, როგორ გეკადრებათ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ნელი და ლევანი ავტოსადგურზე დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ლევანი დიდხანს იდგა ავტობუსის გაჩერებაზე და მისი გონება ერთი კითხვის გარშემო ტრიალებდა, რატომ აქამდე არ იცოდა თუ არსებობდა ქვეყნად ისეთი გარემო, სადაც შეიძლებოდა სულის სიმშვიდე მოგეპოვებინა, გაგეცნო ისეთი ხალხი, ვინც ცდილობდა ადამიანებში სიკეთის დათესვას.

ლევანი ნელა გაუყენა სახლისაკენ მიმავალ გზას და ამჯერად გრძნობდა, რომ მის გონებასა და სხეულში ორი ძალა ებრძოდა ერთმანეთს – კეთილი და ბოროტი.

IV

სოფო მთელი მონდომებით უტარებდა ლოცვებს ლევანს. წმენდდა მის სულს ათასი სიბინძურისაგან, რომელიც მას მთელი თავისი ცხოვრების გზაზე მოსდებოდა. გაწმენდა აუცილებელი იყო, რათა ეკლესიაში შესულ ლევანს წირვა-ლოცვაზე დასწრება შეძლებოდა. იგი ხელს უწყობდა აგრეთვე გონების გახსნას და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ლევანმა წილკრიდან დაბრუნების შემდეგ, ლეილას მითითებანი ძირის-ძირამდე შეასრულა და აღსარებისათვის მოემზადა. კვირა დღეს კვლავ გაჰყვა მრევლს წილკანში, მამა გაბრიელს ჩააბარა აღსარება და მეუფე ზოსიმეს ხელით პირველად ეზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ზიარების შემდეგ ლევანმა რაღაც არაბუნებრივი სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს რაღაც დიდი, უხილავი სიმბიმისაგან გათავისუფლდაო. ყველა ულოცავდა, განსაკუთრებით სოფო და ლეილა.

— საკურნებლად სულისა და ხორცისა, — უთხრა სოფომ და ისე შეხედა, თითქოს პასუხს ელისო.

ლევანი დაიძნა და გაოცებულმა იქვე მდგომ ლეილას შეხედა. ლეილას გაეღიმა და დაბალ ხმაზე, თითქმის ჩურჩულით უთხრა: — უპასუხე, სადიდებლად ღვთისა.

— სადიდებლად ღვთისა. — თქვა ლევანმა და ამოისუნთქა.

— შენს მასწავლებელს უთხარი, თუ გასწავლის, ყველაფერი ბოლომდე გასწავლოს, — გაეცინა სოფოს და თან ლეილას გადახედა.

ლევანი მარხვას პირველად იცავდა და ძალიან უჭირდა. ამასთან სიგარეტსაც ვერ ელეოდა. ეს კი მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებდა. გულისა და გულსისხლარღვების დაავადების გამო, ურჩიეს, რომ ტრანსპორტით მგზავრობისგან მაქსიმალურად შეეკავებინა თავი. წირვა-ლოკებს თბილისის სხვადასხვა ეკლესიებში ესწრებოდა, ხოლო ორ კვირაში ერთხელ წილკანში მიდიოდა. ავადმყოფობასთან ერთად სართელის ერთ-ერთი დამანგრეველი ძალა უმუშევრობა იყო. ლევანი იძენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ პურის ფულს ვინ ჩივის, ხშირად სანთლის ფულიც კი არ ჰქონდა. რომ არა სოფოს დახმარება, ლევანი უფსკრულში გადაჩეხ-ებოდა. ხშირად იტყოდა ხოლმე სართელი:

— დაიღოცოს უფლის განგება. ადამიანს გაჭირვებაში არა-სოდეს არ მიატოვებს, ყოველთვის მოუვლენს მას დამხმარესა და გადამრჩენელს.

ლევანი გულზელდაკრეფილი არ იჯდა, მაგრამ რა საქმესაც ხელს მოკიდებდა არაფერი გამოსდიოდა. სოფო კი აწყნარებდა:

— ნუ ნერვიულობ, შენ ჯადოს მალე გავაწყალებ და მუშაობასაც დაგაწყებინებ.

— შენს პირს შაქარი, სოფო. როდის დავიწყებ მუშაობას?

— სულ მალე, რამდენიმე თვეში. შენთან მოვა ერთი ასე შენი ასაკის კაცი, შენი ძველი ნაცნობია, მგონი თანაკლასელია თუ თანაკურსელი. ცოტა უნდა კოჭლობდეს, თავი სულ მაღლა აქვს აწეული. ყოველ შემთხვევაში მე ასე ვხედავ. ის წაგიყვანს თავისთან და დაგაწყებინებს მუშაობას.

ლევანს გაეცინა. მერე ბევრი იფიქრა, ვინ უნდა ყოფილიყო ის პიროვნება, ვინც სამსახურს დააწყებინებდა, მაგრამ თავის საახლობლოში ვერავის ვერ მიამსგავსა. ამ ამბის დაჯერება თან უნდოდა და თან არა, მაგრამ სოფოს იმდენად ენდობოდა, უკვე დარწმუნებული იყო, რომ სამსახურს მალე დაიწყებდა.

V

დიდ მარხვაში საქართველოს მოსახლეობის სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანები თუ ცოდვების მონანიებით იყვნენ დაკავებულნი და სინაზულში ჩავარდნილები ღმერთს სამშობლოს გადარჩენას ეველრებოლნენ, „მოქალაქეთა კავშირი“ და ანტიქრისტეს სხვა მოციქულები პრეზიდენტის მეორე ვადით არჩევას ზეიმობდნენ. ორი ათასი წლის 9 აპრილის სპექტაკლი სახელწოდებით – „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები“ აბსოლუტურად გამოცარიელებულ საარჩევნო უბნებში გაიმართა, სამაგიეროდ, ქალალდზე ყველაფერი სწორად იყო დაფიქსირებული. არც არის გასაკვირი, კომუნისტებს ხომ ნებისმიერ გაყალბებაში ბადალი არ ჰყავთ მსოფლიოში.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის ინაუგურაცია უნდა გამართულიყო არჩევნებიდან მესამე კვირას, რომელიც ემთხვეოდა უფალი იესო ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს.

უფალი იესო ქრისტეს აღდგომის დღისა და პრეზიდენტის კონსტიტუციურად განსაზღვრული, ინაუგურაციის დღის ასეთი გასაოცარი თანხვედრის ნებისმიერ სხვა შემთხვევაში აღბათ, ინაუგურაცია უნდა გადადებულიყო, თუნდაც რამდენიმე დღით. ასე მოიქცეოდა ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი, რათა თავიდან აეცილებინა ქრისტესათვის თავის გატოლების ეს მკრეხელური შედარება. მაგრამ ყველაფერი ხდებოდა ისე, როგორც დაწერილია: „თავის ნებაზე მოიქცევა მევე: ყველა ღმერთზე მეტად ამაღლდება, განდიდებება და გასაკვირველს იღაპარაკებს ღმერთთა ღმერთის წინააღმდეგ და წარმატებული იქნება, ვიდრე რისხვა არ ამოიწურება, რადგან რაც გადაწყვეტილია, უნდა აღსრულდეს.“

უფალი იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს ორი ათასი წლის ოცდაათ აპრილს, მართლმადიდებლური საქართველოს უპირველეს ღვთის ტაძარში – სვეტიცხოველში, მრავალი მყოფთა შორის ორნი ისხდნენ მხოლოდ – პრეზიდენტი და

მისი თავდაუბურავი მეუღლე – „და ყოველი ქალი, რომელიც თავდაუბურავი ლოცულობს ანდა წინასწარმეტყველებს, თავს ირცხვენს, რადგანაც ეს იგივეა, რომ თავგადაპარსული იყოს... თავად განსაჯეო, განა შეშვენის ქალს, თავდაუბურავად ლოცულობდეს ღმერთის წინაშე?“

სვეტიცხოველში უფალი იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს ამპარტავნების დღესასწაული იყო. ყველაფერი მიდიოდა ისე, როგორც დაწერილია „...ღმერთის ტაძარში დაჯდება იგი, როგორც ღმერთი და ღმერთად მოგვაჩვენებს თავს.“

ლევანი ტელევიზიით უყურებდა ამ გადაცემის ვიდეოჩანაწერს და ნერვიულობისაგან ადგილს ვერ პოულობდა. კვლავ გააჩსენდა ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი წლის აღდგომის დღესასწაული, რომელსაც თვითონ დაესწრო ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარში და სადაც მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი. აჭარის მეთაურმა დღესასწაულზე თავისი დაგვიანებით, ყველას აგრძნობინა და დაანახვა, რომ უფალზე მაღლა დააყენა თავი. ეს შემთხვევა მოხდა აჭარის მიწაზე, სადაც ანდრია პირველწოდებულმა პირველ საუკუნეში დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება და სადაც განისვენებს მოციქული მატათა. მეორე შემთხვევა კი უფალთან თავის გატოლებისა მოხდა საქართველოს უპირველეს ტაძარში – სვეტიცხოველში, სადაც ინახება კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და თვითონ ტაძარი თორმეზი მოციქულის სახელობისაა.

„მოქალაქეებმა“ მიაღწიეს თავისას. „ზევით“ ასულებმა დიდი სიამაყით და ამპარტაგნებით გადმოხდეს ყველას და ყველაფერს. გამართეს „უზნეოთა და უმეცართა როკვაი საშინელი“. ხშირად გაისმოდა მუქარა არა მარტო მოწინააღმდეგე პარტიების მისამართით, არამედ უბრალო ხალხის მიმართაც. მათი გამკითხვი ამ ცოდვილ ქვეყანაზე არავინ იყო. ხალხს მხოლოდ ღმერთის იმედიღა ჰქონდა, რომ უფალი ამ ნაძირალების თარეშს ბოლოს მოუღებდა და მალე აღსრულდებოდა რაც დაწერილია: „...ცოდვილი კაცის სიტყვები ნუ შეგაშინებთ, რადგან მისი დიდება ნეხვად და მატლად გადაიქცევა.“

VI

ეკლესიებში წირვა-ლოცვაზე ხშირმა სიარულმა და სოფოს გამუდმებულმა გულმხურვალე ლოცვებმა შედეგი გამოიღო და ერთ-ერთი ლოცვის დროს, როდესაც სოფოს ლევანისთვის სან-თელი ჰქონდა ანთებული, უცებ მან თვალებგაბრწყინებულმა და აღფრთოვანებულმა შესძახა:

- ლევან, შეხედე გაწყალდა.
- რა გაწყალდა? — იკითხა გაკვირვებულმა სართელმა.
- ჯადო გაწყალდა, შვილო, როგორც იქნა გეშველა.

ლევანი გაოგნებული უყურებდა ხან სოფოს და ხან ანთებულ სანთელს. ვერაფერი გაეგო. ან რას გაიგებდა, სოფოსთვის ხილული, ლევანისთვის უხილავი იყო.

— დავძარცხეთ, ლევან. ახლა შენ უფალთან ძალიან ახლოს ხარ და ყველაფერში ხელი მოგემართება. ლოცვები უნდა გავაძლიეროთ და ეკლესიაში ხშირად უნდა იარო.

სოფო წამოდგა მაგიდიდან. სამლოცველოში მას პატარა ბიბლიოთეკა ჰქონდა, სადაც სულ სასულიერო ლიტერატურა ეწყო. ამოარჩია ორი წიგნი: მეუვე ზოსიმეს „ქადაგებანი“ და „წმინდა გიორგის ცხოვრება და სასწაულები,“ გადასცა ლევანს და თან უთხრა:

— გულდასმით წაიკითხე და ანალიზი გაუკეთე წაკითხულს, შენ ეგ არ შეგეშლება. ახლა მოქმედებაა საჭირო.

ლევანი, როგორც კი სოფოს ეზოდან გამოვიდა, რაღაც უხილავმა ძალამ შეაჩერა. ტანში შეაურულდა, თითქოს წუთიერად მთელი ორგანიზმი გაეყინა, შემდეგ კი სასიამოვნო სითბომ დაუარა სხეულში და რაღაც არაამქვეყნიური სიმშვიდე იგრძნო. ლევანს ძალიან უნდოდა ეს წამიერი სიამოვნება კიდევ გაგრძელებულიყო, მაგრამ მის მაგივრად წინ ჭრამვაის ვაგონმა ჩაიკროლა და სართელი ისევ ამქვეყნიურ ცხოვრებას დაუბრუნდა.

ლევანი გრძნობდა, რომ გონება ნელ-ნელა ეწმინდებოდა. აზროვნების უნარიც ჩვეულ მდგომარეობაში უბრუნდებოდა,

სასმელისაკენ გული აღარ მიუწევდა, სიგარეტის მოწევასაც მოუკლო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ჯოჯოხე- ეთიდან სამშვიდობოზე გამოსულიყო. აქტიურად დაიწყო წირ- ვა-ლოცვებზე სიარული სიონის, ქაშვეთის, წმინდა ბარბარეს, წმინდა ნინოს, სართიჭალის წმინდა ლაზარეს ეკლესიებში და, რა თქმა უნდა, წილკნის ღვთისმშობლის ეკლესიაში. სასული- ერო ლიტერატურის კითხვისას ბევრ, მისთვის უცნობ სიბრძნეს გაუცნო, ინტერესით სწავლობდა წმინდა მამათა ცხოვრებასა და მოღვაწეობას. წაკითხულის ანალიზმა დაანახვა ლევანს, რომ მას ბევრი რამ არ სცოდნია, ძალიან შორს მდგარა ჭეშმარიტე- ბისაგან. ხელახლა დაიწყო ბიბლიის კითხვა და ახლაღა მიზვდა, რა დიდი სიბრძნე ყოფილა მასში ჩადებული.

წიგნების კითხვისას ლევანს ძალიან ბევრი შეკითხვა დაუ- გროვდა. სოფოს და ლეილას რომ შეხვდებოდა, კითხვებით მოსვენებას არ აძლევდა. ქალბაზონები მიხვდნენ, რომ ლევანი სერიოზულად შეუდგა სარწმუნოებას და შესთავაზეს შეხვე- დროდა მეუფე ზოსიმეს. ლევანი სიხარულით ცას ეწია, მაგრამ მაინც თავს იკავებდა, რადგან ასეთ დიდ პიროვნებასთან შესახ- ვედრად თავის თავს მოუმზადებლად თვლიდა. ბოლოს გადაწ- ყვიტა შეხვედროდა.

ორი ათასი წლის პირველ ივლისს სოფოს და ლეილას შუამ- დგომლობით მეუფე ზოსიმე წირვის შემდეგ ლევანი თავის კაბინეტში მიიღო. სართელმა მორიდებით შეაღო კარი. მეუფე უკვე ელოდებოდა. იგი წამოდგა, გაუდიმა ლევანს და სკამისაკ- ენ მიუთითა, რათა დამჯდარიყო. კარის ზღურბლს გადაბიჯე- ბულ ლევანს ეგონა, რომ სულ სხვა განზომილებაში მოხვდა. ოთახში არაამქეყნიური სიმშვიდე სუფევდა. ლევანს მეუფე ამაღლებული და გაბრწყინებული მოეჩვენა. როდესაც სკამზე დაჯდა, ეგონა, რომ საუბარს ვერ შესძლებდა, მაგრამ მეუფემ ისეთი მზერა მიაპყრო, რომ ვონება მაშინვე გაეხსნა და მოკ- ლედ მოუთხრო მეუფეს, თუ როგორ დაეხმარა მას ჭეშმარიტე-

ბის შეცნობაში წილკნის ღვთისმშობელი და მეუფის წიგნები. ბოლოს სართელმა ბოდიში მოიხადა და შეკითხვით მიმართა მთავარეპისკოპოსს:

— მეუფე! უფლის შემწეობით დილის და საღამოს ლოცვებს ვკითხულობ. შეძლებისდაგვარად შაბათ-კვირას წირვა-ლოცვაზე დავდივარ, ვმარტულობ, ვცდილობ ვიცხოვრო მართლმადიდებელი ქრისტიანის წესით, რა შეიძლება გავაკეთო კიდევ, რომ უფალთან უფრო ახლოს ვიყო?

— თუ გიყვარს ვინმე, თვითონ სიყვარული გიჩვენებს რა გააკეთო მისთვის. ხშირად ამოდი წილკანში და მოუფერე ღვთისმშობელს. ის გულმოწყალეა და აუცილებლად დაგიფარავს. მე კი ვილოცებ თქვენთვის.

პასუხში იმდენად დიდი სიბრძნე იყო ჩადებული, რომ კაბინეტიდან გამოსული ლევანი განცვიფრებული და ღრმად ჩაფიქრებული იდგა ტაძრის ეზოში და მუცესთან დიალოგს აანალიზებდა. სოფო და ლეილა მიუახლოვდნენ.

— რა ქენი, ესაუბრე? — ჰკითხა სოფომ.

— ქი.

— მერე, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?

— ჯერ ბოლომდე არ მაქვს გაანალიზებული ჩვენი დიალოგი, მაგრამ ერთი შემიძლია ვთქვა, რომ მეუფე ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, ის ღმერთის ენით ლაპარაკობს და მის გარშემოც რაღაც ღვთიური ატმოსფეროა შექმნილი. — თქვა ლევანმა, შებრუნდა ტაძრისაკენ, გადაიწერა პირჯვარი და გასასვლელისაკენ დაიძრა.

სოფომ და ლეილამ ერთმანეთს შეხედეს, გაიღიმეს და გაყვნენ ლევანს.

VII

ლევან სართელის სულიერი გამოჯანმრთელება სწრაფი ტემპით დაიწყო. გონება აშკარად გაუნაოდა, ცხოვრებას ნორმალურად შეხედა და, რაც მთავარია, აზროვნების უნარი დაუბრუნდა. ახლა დრო იყო ხორციელი ჯანმრთელობისათვის მიეხედა. გული კვლავ აწუხებდა, ტკივილები უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამის გამო სიგარეტის საბოლოოდ გადაგდება გადაწყვიტა. ძალიან გაუჭირდა, მაგრამ გამუდმებულმა ლოცვებმა ეს შეაძლებინა. ვარჯიშის დაწყებაც სცადა, მაგრამ ექიმმა აუკრძალა, რადგან ამას შეეძლო უკურეაქცია გამოეწვია გულ-სისხლძარღვებში და ყველაფერი სავალალო შედეგით დამთავრებულიყო. ლევანს მოძრაობა უჭირდა, ამიტომ დილიდან საღამომდე სახლში იჯდა და წიგნებს კითხულობდა.

აგვისტოს ბოლოს ლევანს თავისმა თანაკლასელმა აჩიკო თავაძემ მოაკითხა. სართელს ძალიან გაუხარდა. აჩიკო შვიდი თუ რვა წელიწადია რაც არ ენახა. ისინი ბოლოს სახელმწიფო კანცელარიაში შეხვდნენ ერთმანეთს, სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე. აჩიკოს ორგანიზაციასაც ჰქონდა დავალებული იარაღის შემოსატანად ფულის გადარიცხვა. მაშინ თავაძემ სართელს არ დაუმალა და თავისი შეხედულება გაანდო ამ საქმესთან დაკავშირებით.

- არა მგონია ეს საქმე კარგად დამთავრდეს.
- რატომ? — გაიკვირვა ლევანმა.
- არ ვიცი რატომ, მაგრამ გული ცუდის მიგრძნობს.

აჩიკო მართალი გამოდგა. ორი წლის შემდეგ მთავრობის მაკონტროლებელმა ორგანოებმა ეს აწყობილი ორგანიზაცია, გამუდმებული შემოწმების შედეგად, პარალიზებული გახადეს, ხოლო ძალოვნებმა დაარბიეს და ორი დამფუძნებელი, რა თქმაუნდა, „სხვისი“ ხელით მოკლეს.

სართელისა არ იყოს, თავაძეც რამდენიმე წელი უმუშევარი დადიოდა. მისი ცოდნა არავის სჭირდებოდა. ახლა იჯდა ლევან-

თან სახლში და მოკლედ უყვებოდა თავის თავგადასავალს. ბოლოს ხელი ჩაიქნია და სასაუბრო თემა შეცვალა:

- ლევან, შენთან საქმეზე მოვედი.
- რით შეუძლია გაკოტრებულ კაცს, რომ დაგეხმაროს. — თქვა გაღიმებულმა ლევანმა.

— შენი ცოდნა და გამოცდილება მჭირდება. ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დამნიშნეს და მოადგილედ კაცი მჭირდება, რომელმაც წარმოება და კომერციული საქმიანობა იცის. თან, რა თქმა უნდა, სანდო უნდა იყოს. დღეს ასეთი ადამიანის მონახვა, განსაკუთრებით უკანასკნელი ფაქტორის გამო, ძალიან ძნელია, ბევრი ვიფიქრე და ბოლოს შენ გამახსენდი. უფრო სწორად, რაღაც ძალამ აქეთ წამომიყვანა და მე მგონი, არ შევმცდარვარ.

ლევანმა განცვიურებულმა შეხედა აჩიკოს. თავი სიზმარში ეგონა. მასთან მოვიდნენ სახლში და სამსახურს სთავაზობდნენ, თან თანამდებობას. პირჯვარი გადაიწერა, აქ ღმერთის ხელი ერია. ახლადა დააკერდა აჩიკოს და სოფოს სიტყვები გაახსენდა: „სულ მალე, რამდენიმე თვეში შენთან მოვა ერთი ასე შენი ასაკის კაცი, შენი ძველი ნაცნობია, მგონი თანაკლასელია თუ თანაკურსელი. ცოტა უნდა კოჭლობდეს, თავი სულ მაღლა აქვს აწეული. ყოველ შემთხვევაში მე ასე ვხედავ. ის წაგიყვანს თავისთან და დაგაწყებინებს მუშაობას.“

- აჩიკო, ფეხი როგორა გაქს, ისევ გაწუხებს? — ჰკითხა ლევანმა.
- რაა? — იკითხა გაოცებულმა აჩიკომ.
- შენ ხომ ადრე ავარიაში მოყევი და კოჭლობდი. ახლა როგორ ხარ? — არ იშლიდა თავისას სართელი.

— რა ვიცი. ტკივილით ისე არ მტკივა. ეს რკინა ვეღარ ამოვილე ფეხიდან. როგორც კი ამას ამომიღებენ, ტკივილები აღარ მექნება, მაგრამ კოჭლობით ისევ ვიკოჭლებ.

- მერე, რატომ არ იკეთებ ოპერაციას?
- ნემსის მეშინია.
- კარგი რა, აჩიკო. ამხელა კაცს ნემსის როგორ გეშინია.

— კაცო, შენ მე გამაგიუებ. მე შენ საქმეზე გელაპარაკები და შენ რა ფეხი და ოპერაცია აგიტყვდა.

— არაფერი, არაფერი აჩიკო, მაგას მერე გეტყვი, — თქვა ლევანმა, აჩიკოს გადაქვია, გადაკოცნა და აღფრთოვანებულმა გაავრძელა, — მადლობის მეტი რა მეთქმის უმუშევარ კაცს. თან შენთან მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია. როდის მოგაკითხო.

— ალბათ ორ კვირაში. მე თვითონ შეგატყობინებ. ახლა მეჩქარება, წაგედი. — თქვა აჩიკომ და მანქანისაკენ გაემართა. ლევანი გამოყვა აჩიკოს და თან აკირდებოდა. იგი მართლა აშკარად კოჭლობდა. წელში მოხრილი, თითქოს გასწორებას ცდილობდა და თავი ყოველთვის მაღლა ჰქონდა აწეული.

ლევანმა აჩიკო გააცილა. სახლში რომ შემობრუნდა, მაშინვე ხატების კუთხეს მიაკითხა, დაიჩოქა, გადაიწერა პირჯვარი და თვალებგაბრწყინებულმა თქვა:

— ღმერთო, დაილოცოს შენი განგება. დღეს მე სასწაული ვნახე ჩემი თვალით. უფალო, შეეწიე, დაიფარე და ხელი მოუმართე სოფოს, რადგან იგი მხოლოდ ადამიანთა დახმარებისათვის არის მოვლენილი ამქვეწნად.

მართლაც ასე იყო. სოფომ ლევანს ჯერ უმკურნალა, ჯადო მოუხსნა, დაუბრუნა აზროვნების უნარი და შემდეგ დააწყებინა სამსახური.

ერთ თვეში ლევან სართელი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამინისტროს ერთ-ერთი თანამდებობის პირი გახდა.

სამსახურის დაწყება პირველმა სოფომ მიულოცა. ლევანი ძალიან აღტაცებული გახლდათ და სიხარულს ვერ მალავდა. სოფომ შეულოცა ლევანს და როდესაც სახორცი დაუნთო უთხრა:

— ამის შემდეგ შენ სულ წინ ივლი. გამოგიჩნდება ერთი წესი-ერი კაცი. ის გიპატრონებს და დაგაწყებინებს მუშაობას უფრო დიდ თანამდებობაზე. მანამდე კი შენს ჯანმრთელობას უნდა მივხედოთ, რადგან ახალი თანამდებობისათვის მეტი ენერგია და მოძრაობა დაგჭირდება.

— ეჭ., — ამოიოხრა ლევანმა, — ოპერაციას დიდი ფული უნდა.
— გამოჩნდება, ნუ გემინია. — დაამშვიდა სოფომ.

აი, ასე დაიმედებული გამოდიოდა ხოლმე ლევან სართელი
სოფოს პატარა სამლოცველოდან და უხაროდა, რომ ამ ქალბა-
ტონის მეცადინეობით მის ცხოვრებას აზრი მიეცა.

VIII

სექტემბრის ბოლოს ლევანმა აჩიკო თავაძის დახმარებით სამ-
სახური დაიწყო ერთ-ერთ სამინისტროში. ამდენი ხეტიალისა და
ათასი უბედურების გავლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ჩვეულ
ამბლუას. სამინისტროს ერთ-ერთი წამყვანი სამმართველოს
უფროსის მოადგილე ლევან სართელი კოსტუმში და ჰალსტუხ-
ში გამოწყობილი იჯდა კაბინეტში სამუშაო მაგიდასთან და თავ-
დაპირველად ვერ ეგუებოდა ყოველივეს. მისთვის მართალია ეს
სიტუაცია უცხო არ იყო, მაგრამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე
ათას ადგილას მიმალვაში მყოფი და პლაჟების ფანჩატურებში
ღამენათვევი სართელისათვის კაბინეტური მუშაობისკენ მო-
ბრუნება მაინც ძნელი იყო. ლევანმა მთელი თავისი ფიზიკური
და გონებრივი ძალების მობილიზება მოახდინა, რათა თავი არ
შეერცხვინა და, რაც მთავარია, აჩიკო თავაძის იმედები გაე-
მართლებინა. საქმე კარგად მიდიოდა. ერთგვარი წინაღობა, რაც
ხელს უშლიდა სართელს მუშაობაში, მისი ავალმყოფობა იყო.
გულის არეში ტკივილები თანდათან უძლიერდებოდა და მუდ-
მივად წამლის ქვეშ იყო. გამუდმებულმა ლოცვამ და მარხვამ
თავისი შედეგი გამოიღო. ლევანმა სიგარეტის მოწევა საერთოდ
შეწყვიტა, ალკოჰოლის მიღება მინიმუმამდე დაიყვანა და ავად-
მყოფობაც თითქოს ერთ ადგილზე გაიყინა.

— შენ გულს უნდა მივხდოთ. — ყოველ დღე ამ სიტყვებს იმე-
ორებდა აჩიკო.

— მაგას ჯობია შენი გულით დავიწყოთ, — პასუხობდა ლევანი,
— ყოველ დილით კაპლებით რომ გაბრუნებდნენ ამ ქვეყანაზე. ან
ეგ რკინა როდემდის უნდა გედოს ფეხში? გაგონილა, კაცო, თხ-
უთმეტი წელი რკინას ატარებდე.

— არა, არა, ჯერ შენ უნდა მოგხედო. — ჩაიძურდლუნებდა
აჩიკო, მერე აიღებდა ტელეფონის ყურმილს, ურეკავდა თავის
ძმაკაცებს და ლევანის დაავადების გამოსაკვლევად თანხების
მოძიებას სთხოვდა. ბოლოს თავისას მიაღწია. ერთ თავის მე-
გობარს თანხა გადაარიცხვინა გადაუდებელი კარდიოლოგიის
ცენტრში და ლევანს გამოკვლევა ჩაუტარეს. დიაგნოზი მძიმე
აღმოჩნდა. დაფიქსირდა გულსისხლარღვთა შევიწროვება და
სტენოკარდია. ყოველ წუთს შეიძლებოდა განვითარებულიყო
ინფარქტი, თან საკმაო გართულებებით. აუცილებელი იყო სას-
წრაფო ოპერაცია, რომელიც დიდი თანხა ჯდებოდა და თან ეს
კლინიკა საქართველოში ხუთ-ექვს თვეში უნდა გახსნილიყო.
მუდამ მეგობრებისთვის მზრუნველ აჩიკო თავაძეს ოპერაციის
შესახებ სხვადასხვა ინფორმაციებიც შეეგროვებინა და ლევანს
ანგარიშს აბარებდა:

— ეს ოპერაცია ერევანში ხუთი-ექვსი ათასი დოლარი ჯდება,
ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ოცდახუთი ათასი, როგორც
მითხრეს, ჩვენთან უნდა დაჯდეს ორი-სამი ათასი დოლარი. ლე-
ვან, ხომ არ სჯობია დაველოდოთ?

— კარგი რა, აჩიკო, — თქვა მორცხვად ლევანმა, — სად არის
მაგის ფული.

— როგორ თუ სად არის. უნდა ვიშოვოთ. ღმერთი არ
გაგვწირავს.

უცნაური კაცი იყო აჩიკო თავაძე. სხვისი ტკივილი ძალიან
ახლოს მიჰქონდა გულთან. თავის თავზე არ ფიქრობდა. მისი
საფიქრალი სიკეთის თესვა იყო.

ოქტომბრის ერთ სუსხიან დღეს, როდესაც ლევანი თავის
კაბინეტში იჯდა და მუშაობდა, გენო ჭანკვეტაძემ მიაკითხა. ლე-
ვანი წამოდგა, გადაეხვია მეგობარს და საყველურებით აავსო:

— სად დაიკარგე, ტო? არც ტელეფონზე რეკავ, არც მოდიხარ. ჩემი ავადმყოფობის გამო მე ვერ გამოვდივარ შენთან. ხომ არ დამიბერდი, გენო?

— ეჭ, ჩემო ლევან, ახლაც ძლიერ მოვაღწიე აქამდის.

— რა გჭირს, ტო?

— თვალთ დამაკლდა ძალიან. სასწრაფოდ ოპერაცია მაქვს გასაკეთებელი.

— ვაჟ! ეგ რა ცუდი რამე მითხარი, კაცო, — შეცბუნდა ლევანი, — ის კი ვიცოდი, რომ სათვალის ლინზები გამოცვალე, მაგრამ თუ ასეთი მდგომარეობა გქონდა, ამას ვერ წარმოვიდგენდი.

— აბა, ნაჩალნიკ, მერწევა, — გაეცინა გენოს, — მაგრამ შენთან სხვა რამეზე მოვედი, ამას ტელეფონით ვერ გეტყოდი.

— რა არის, მოხდა რამე? — თქვა ლევანმა და ფეხზე წამოლგა. ძველი დრო გაახსენდა, როდესაც ორივენი მუდმივად პრობლემების ქვეშ იყვნენ.

— ვოვა საბაური გარდაიცვალა. ღმერთმა აცხონოს მისი სული. წნევას დაურტყამს და გაუონვა მოსვლია.

— აუჟ! ეგ რა მითხარი, გენო, — ცრემლნარევი ხმით წარმოთქვა ლევანმა. ერთხანს თითქოს თავს იკავებდა, მაგრამ შემდეგ ვეღარ გაუძლო და ცრემლები წასკდა თვალებიდან.

დიდხანს ისხდნენ მეგობრები მდუმარედ. ხმას ვერ იღებდნენ. ორივე ტიროდა და მათ თვალწინ ვოვა საბაურთან გატარებული დღეების მოგონებანი ჩნდებოდნენ. ბოლოს სიჩუმე გენო ჭანკვეტაძემ დაარღვია:

— წამოდი, ერთად წავიდეთ პანაშვიდზე. შენ გამიძეხი წინ, თორემ ჩემი თვალების გადამკიდე ვინმეს დასაცინი არ გავხდე.

— რაზეა ლაპარაკი, ძმაო. წავიდეთ.

ვოვა საბაურის სახით საქართველოს დიდი კაცი დააკლდა, ხოლო ლევანს დიდი მეგობარი.

ვოვა საბაურის გარდაცვალებამ ძალიან იმოქმედა ლევან სართელზე. ლევანს მისგან ბევრი რამ ჰქონდა ნასწავლი. თა-

ვად შესანიშნავი ბიზნესმენი, ცოდნასა და გამოცდილებას სიამოვნებით უზიარებდა ახალგაზრდა თაობას. ეს კი მას დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა. ვოვა საბაურის სახით დიდი კაცი გავიღა ამ წუთისოფლიდან.

საბაურის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში გენო ჭანკვეტაძეს ინსულტი დაემართა. ამას შედეგად მეტყველების პარალიზება მოჰყვა. ორი თვის შემდეგ ინსულტმა გაუმეორა და ახლა მხედველობა კიდევ უფრო დაუქვეითდა. თვალებზე სასწრაფოდ ოპერაცია იყო გასაკეთებელი. ერთი თვის განმავლობაში როგორც იქნა იშოვეს საოპერაციო თანხა და გენო თვალის კლინიკაში დააწვინეს ოპერაციის გასაკეთებლად. ლევანი სანახავად მივიდა. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. რამდენიმე ხანი გენო ვერაფერს ვერ დაინახავდა, ამიტომ იწვა საწოლზე, თვალები დახუჭული ჰქონდა და მნახველებს მხოლოდ ხმით არჩევდა. საუბარი უჭირდა.

ლევანი უყურებდა მეგობარს და გული უგრძნობდა, რომ ის დიდხანს ვერ იცოცხლებდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ორგანიზმი ძალზედ მორყეული ჰქონდა, მერე მეორე, მუდამ სიცოცხლით სავსე და ცხოვრების სიამტკბილობას შეჩვეული ჭანკვეტაძე, სიბნელეს დიდხანს ვერ გაუძლებდა. მიუხედავად ამისა, ლევანი ანუგეშებდა გენოს:

— უნდა გაუძლო, გენო, რამდენიმე დღეში თვალებიდან სითხე ეს ამოგილებენ და კვლავ დაინახავ ამ ქვეყანას.

— ეჰ! ჩემო ლევან, — ამოიოხრა გენომ, — ჩემი დღეები დათვლილია. შენ ხომ იცი, მე როგორი წინათგრძნობა მაქვს. ერთი გული მწყდება მასზედ, რომ თქვენ დაგშორდებით, მეორე კი — ბრძა რომ ვკვდები.

— კარგი რა, ნაჩალნიკ, რა სიკვდილზე ლაპარაკობ, — დაუწყო დაწყნარება ლევანმა გენოს, თან ცრემლებს ვეღარ იკავებდა, -- ჯერ კიდევ რამდენი სადღეგრძელოები გვაქვს დასალევი. მალე მეც გავიკეთებ გულის ოპერაციას, მერე წავიდეთ კახეთში და სულ მწვადებზე ვიქეიფოთ.

გენოს დახუჭული თვალებიდან ცრემლები გადმოუგორდა. ხელით მოძებნა ლევანის ხელი, ცდილობდა, რომ მაგრად ჩაეჭიდა, მაგრამ არ გამოსდიოდა. ბოლოს მაინც მოახერხა და უთხრა:

— თაგს გაუფრთხილდი. ხომ იცი, მე რაც გამიკეთეს?

— ვიცი, ვიცი, — ხმადაბლა წარმოთქვა ლევანმა. გენოს, რომელიდაც ქალმა, მაგრამ არ იცოდა რომელმა, რაღაც ჩაუყარა საჭმელში. მას შემდეგ ჭანკვეტაძის საქმე ცუდად წავიდა. მთელი ორგანიზმი ეშლებოდა. ლევანმა ბოლოს გენო სოფოსთანაც მიიყვანა, მაგრამ ყველაფერი დაგვიანებული იყო.

ლევანი კარგად ხედავდა, რომ გენოს დღეები დათვლილი იყო. იგი თავისი სიცოცხლის პერიოდში უკვე მეორე მეგობარს კარგავდა. პირველი მეგობარი მისი ბავშვიბიდან მოდიოდა. მას სახელად პავლე ერქვა, ხოლო მოფერებით პაშას, პაშულიას ეძახდნენ. ბავშვობიდანვე პუტჩუნა იყო. მისი უპირველესი სიამოვნება ჭამა და ძილი გახლდათ, მაგრამ თუ მუშაობას მოიწადინებდა, ვერ გააჩერებდით, ათი კაცის ნორმას ასრულებდა. კარაქში შემწვარი ერბო-კვერცხი უყვარდა. სასმელს უზომოდ სვამდა. პატარა ბავშვივით იყო. ბოროტება არ იცოდა რა იყო, სულ სიკეთის კეთებაზე ოცნებობდა და საშუალება თუ მიეცემოდა, ნაცნობსაც და უცნობსაც ზედ გადაყვებოდა. მეოცნებე კაცი იყო. ერთხელ ვენახში მუშაობისას ლევანს უთხრა:

— ბიჭო! რა მინდა იცი?

— კარაქში გაკეთებული ერბო-კვერცხი? — კითხვითვე უპასუხა ლევანმა.

— არა, კაცო, თუმცა ახლა დიეტაზე ვარ, მაგრამ არც მაგაზე ვიტყოდი უარს. ისე ერბო-კვერცხს ახალი პამიდორი უხდება, აი, ის დიდი სასალათე პამიდორი როა.

— ახალი ტყემალი არ წავა? — ახალი კითხვა დაუსვა ლევანმა, თან ეცინებოდა, პაშულია საუბარში ჩაითრია. ის თავის საყვარელ თემაზე ლაპარაკობდა.

— მაიცა რა, ჭამა-სმაზე მერე, — თქვა პაშამ და ბარი მიწაში ჩაარჭო, — ჩემი ოცნებაა რა, ისეთი ბარი გამოიგონონ, რომ ვე-

ნახის თავში ჩაარჭო, აი ესე რა, მე რომ ჩავარჭე, მერე წავიდე და ვენახის ბოლოში დავჯდე, ბარმა მუშაობა თავისით დაიწყოს, მე კი დოქით ღვინო მოვიდგა და სულ ბარის სადღეგრძელოები ვსვა.

ლევანს სიცილისაგან მხარზე გადებული ბარი ჩამოუვარდა. რომ დაწყნარდა პკითხა პაშულიას:

— ვაჲ! ეგ რა მაგარი აზრი მოგსვლია თავში. შენ მოიფიქრე თუ სხვაც გეხმარებოდა?

— ეეჲ! შენთან ხომ ლაპარაკი არ შეიძლება, — აჯიჯლინდა პაშულია, — სულ შაყირის ხასიათზე ხარ. ვიო, შაბაშ! წავიდეთ ახლა და ვჭამოთ.

— ახლა არა ვჭამეთ, კაცო.

— მე წელან უპუროდ ვჭამე, ახლა პური უნდა დავაყოლო, როდემდე ვიყო მშიერი...

ლევანი ფიქრებიდან გამოერკვა. ცრემლები თვალებიდან წყალივით ჩამოსდიოდა. ცალკე ბავშვობის მეგობარს ტიროდა, ხოლო მეორეს ხელი მაგრად ჩაებლუჯა და ცდილობდა გენოსთვის როგორმე ტკივილები შეემსუბუქებინა. ჭანკვეტაძე მგრძნობიარე კაცი გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ ვერ ხედავდა, მიხვდა, რომ ლევანი ტიროდა.

— რა გატირებს, ბიჭო! შენ ტირილი არ გეხერხება და ახლა რა ბზიება გიგბინა. — დატუქსა მეგობარი გენომ.

ლევანმა სმა ვერ ამოიღო, რადგან ნაღველი ყელში ჰქონდა მოწოდილი და საუბრის საშუალებას არ აძლევდა. აცრემლებული გამოვიდა პალატიდან, გენოს ახლობლებს დაემშვიდობა და ერთი სული ჰქონდა მაღლ გასცლოდა იქაურობას.

გარეთ მაისის დღე იდგა მთელი თავისი სიმშვენიერით. ლევანი ერთი საათი დაბორიალობდა თბილისის ქუჩებში, რათა დაწყნარებულიყო. ბოლოს გულის არეში საშინელი ტკივილები დაეწყო და იძულებული გახდა სახლში წასულიყო.

ივნისის ბოლოს გენო ჭანკვეტაძე გარდაიცვალა. იმდენად ძლიერი ჯადო ჰქონდა გაკეთებული, რომ მიცვალებულისთვის

პანაშვიდის ჩატარების დროს მღვდელი ცუდად გახდა. ახალ-გაზრდა მამაომ ფერი დაკარგა და მხოლოდ ბინიდან გასვლის შემდეგ მოვიდა გონს.

ლევანი გენოს სულის მოსახსენიებლად ორმოცი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ კითხულობდა ფსალმუნებს, განსაკუთრებით მე-17 კანონს. ეკლესიაში ხშირად უნთებდა სანთელს, მუდმივად იხსენებდა ლოცვებში, რათა გენო ჭანგვეტაძის სულისთვის ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ზეცი-საკენ მიმავალ გზაზე სვლა.

გენო ჭანგვეტაძის სიკვდილის შემდეგ ლევანი ძალიან სევ-დიანი გახდა. ერთადერთი ადგილი, სადაც შვებას გრძნობდა, ტაძარი იყო. მას მეგობარი აღარ ჰყავდა. ბავშვობის მეგობარი, რომელსაც „ტრუსიკის“ ძმაკაცს ეძახიან ხშირად, პაშულია დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. პაშა თუ ბავშვობის მეგობარი იყო, გენო ჭანგვეტაძე ლევანმა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გაიცნო და მათი ურთიერთობა მალევე გადაიზარდა მეგობრობაში. სასწაული დამთხვევა იყო, რომ ორივესთან ურთიერთობა ოცდაათ-ოცდაათი წელი გაგრძელდა. ღმერთმა ეულად ლევან სართელი დატოვა, ალბათ იმიტომ, რომ მასზე ახდენილიყო ცნობილი პოეტის სიტყვები:

ერთი კაცი მოდიოდა,

რათა ერთი?

მაშ რამდენი?

ორი.

ორი კაცი მოდიოდა,

რათა ორი?

მაშ რამდენი?

სამი.

სამი კაცი მოდიოდა,

რათა სამი?

მაშ რამდენი?

ორი.

ორი კაცი მოდიოდა,
რათა ორი?

მაშ რამდენი?

ერთი.

ერთი კაცი მოდიოდა,
მოწყვნილი ასე,
მეგობრები დაჰკარგვოდა
წუთისოფლის გზაზე.

ორი ათას ორი წლის პირველი სექტემბერი გათენდა. დღეს, ლევანის დედის დაბადების დღე იყო. ვინაიდან კვირა დაემთხვა პირველ სექტემბერს, სოფელში სასწავლო წლის დაწყების ჩვეული განწყობაც არ იგრძნობოდა. ლევანს გადაწყვეტილი ჰქონდა სოფლის წმინდა ლაზარეს ტაძარში წირვას დასწრებოდა და შეძლებ წასულიყო დედის საფლავზე სანთლის დასახათებად. ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე ბევრი ნაცნობი ხვდებოდა, სასაუბროდ ხშირად ჩერდებოდა, ასე რომ, ტაძარში მისულს წირვა დაწყებული დახვდა. იკითხებოდა საღმრთო ლიტურგია წმინდა იოანე ოქროპირისა. მამა შალვამ ლევანს მკაცრად გადახედა, რაც საყვედურს ნიშნავდა.

წირვის შეძლებ ლევანმა მოძღვარს პატიება სთხოვა, ლოცვა-კურთხევა აიღო და სასაფლაოზე წავიდა.

ღვთისმშობლის ეკლესია სოფლის სასაფლაოს შუაგულში დგას და რაღაც განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა აქვს. სასაფლაოზე შემსვლელი მას გვერდს ვერ აუვლის, აუცილებლად შევა შიგნით და როგორი მცირედ მორწმუნეც გინდა იყოს, პირჯვარს მაინც გადაიწერს და ღვთისმშობელს შველას სთხოვს. ლევანს კი, ამ ბოლო დროს ღვთისმშობლის ეკლესიაში შესვლა და ლოცვა ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული და ახლაც სიხარულით მიაშურა მას. ტაძარში არავინ იყო. სანთლები დაან-

თო, მშვიდად ილოცა და შემდეგ მშობლების საფლავისაკენ გასწია, რომელიც ტაძართან ახლოს იყო. ჩვეულებისამებრ თითო-თითო სანთელი დაანთო, დედის და მამის სურათებს უმზერდა და დაბალ ხმაზე ესაუბრობდა. თავისთვის ხომ თვითონ საუბრობდა და მშობლების მაგივრადაც პასუხს თვითონ იძლეოდა.

ნახევარი საათის შემდეგ დედის საფლავზე დანთებული სან-თელი ჩაქრა და უცებ ლევანის გარშემო ფრენა დაიწყო ნემსი-ყლაპიამ. ორჯერ შემოუფრინა და საფლავის ქვაზე დასკუპდა. ტანი წითელი ფერის ჰქონდა, ხოლო ოთხივე ფრთა წაბლის-ფერი, შავი არშიით შემოვლებული. საცეცებიც წაბლისფერი ჩანდა. სართელმა ინსტიქტურად ნაბიჯი გადადგა მისკენ, მაგრამ ნემსიყლაპია გაფრინდა, საფლავს შემოუფრინა და ლევანთან ერთი ნაბიჯის დაშორებით, ისევ საფლავის ქვაზე დასკუპდა.

ლევანის მამის საფლავთან დანთებული სანთელი ჯერ კიდევ იწვოდა.

ნემსიყლაპიამ კიდევ ერთხელ შემოუფრინა საფლავს და უკვე სართელის ფეხებთან დასკუპდა. ლევანს ტანში რაღაც განსაკუთრებულმა, სასიამოვნო სითბომ დაუარა და საფლა-ვის ირგვლივ თითქოს სხვა ატმოსფერო შეიქმნა, სხვანაირი, უფრო მომხიბლავი და მშობლიური.

უფრებდა ლევანი ნემსიყლაპიას, შემდეგ დაიხარა და ხე-ლის თითებით სცადა ნემსიყლაპიასთან მიახლოება, თან ეშინო-და, ვაითუ რაიმე ვავნოვო, მაგრამ ცნობისმოყვარეობა იმდენად ძლიერი იყო, რომ თითებს ნელ-ნელა ნემსიყლაპიასკენ სწევდა. მწერი არ იძვროდა ადგილიდან, მხოლოდ საჩვენებელი თითის მოსალოდნელი შეხების მომენტისათვის აფრინდა, იქვე ერთი ნაბიჯის მანძილზე დასკუპდა და ლევანისკენ იცქირებოდა.

სართელი გრძნობდა, რომ სულის გამოცხადებასთან ჰქონდა საქმე, მაგრამ მაინც დარწმუნებული არ იყო ამაში. ამ დროს სანთელი მამის საფლავზეც ჩაიწევა და თვალის დახამსამებაში წითელტანიან ნემსიყლაპიას გვერდით წაბლისფერტანიანი და

წაბლისფერთოებიანი ნემსიყლაპია დასკუპდა. ორივე ლევანი-სკენ იცქირებოდნენ. სართელი კი დამუნჯებული უყურებდა მათ და უკვე დარწმუნებული იყო, რომ დედ-მამის სულები დასტრიალებდნენ მას თავზე ანგელოზთა გუნდთან ერთად.

სართელი წამოიწია, გაიმართა წელში, შემობრუნდა აღმოსავლეთისაკენ, გამოისახა პირჯვარი და განცვიფრებულმა წარმოსთქვა:

— დიდება შენდა ღმერთო!

შემდეგ საფლავს აღმოსავლეთის მხრიდან შემოუარა და ნემსიყლაპიებს ისევ შეხედა. ორივე შემობრუნებულიყვნენ მისკენ და უცქერდნენ. განცვიფრებულმა ისევ გადაიწერა პირჯვარი და გაოგნებული გასცილდა საფლავს. ღვთისმშობლის ეკლესიაში შევიდა კვლავ, მაღლობა გადაუხადა დედა ღვთისას მომხდარის თაობაზე და სასაფლაოს გასასვლელისაკენ წავიდა.

IX

ლევან სართელი უკვე აშკარად გრძნობდა, რომ რაღაც ძალა ედგა გვერდში, რომელიც მის სულში არსებულ ტკივილს უმსუბუქებდა და ლევანი აღმავალი გზით მიჰყავდა.

— სოფო, ეს ყველაფერი შენი დამსახურებაა. — ხშირად ეტყოდა ხოლმე დედობილს ლევანი.

— არა, შვილო. შენ უფალმა გადმოგხედა. მე მხოლოდ ვეგედრებოდი შენს თავს უფალს და მან ისმინა ეს ვედრება. შენ მალე ოპერაციასაც გაიკეთებ და მხოლოდ წინ ივლი, რადგან ღმერთი გმიგარველობს.

რომ არა სოფო, ლევანი დღეს შეიძლება თავისი მეგობრებივით იმ ქვეყანაში ყოფილიყო. ამიტომ, როდესაც სადმე საზოგადოებაში სარწმუნოების შესახებ იწყებოდა კამათი, ლევანი ყოველთვის სოფოს სასწაულმოქმედ ლოცვებზე საუბრობდა.

ერთხელ ერთმა თანამშრომელმა, რომელსაც თავისი მრწამსიდან გამომდინარე „ურწმუნო თომას“ ეძახდნენ, ასეთი რამ თქვა:

— ეგეთ სასწაულებს ჯადოქრებიც ახდენენ სხვადასხვა რიტ-უალებით, ამიტომ მაინცდამაინც არ არის საჭირო ეკლესიაში ან წმინდანებთან სიარული.

— შენ შეიძლება სწორიც იყო, — უპასუხა ლევანმა, — წმინდანებსაც და ჯადოქრებსაც ავადმყოფის განკურნების, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას ერთი და იგივე მექანიზმი აძლევს, მაგრამ წმინდანი ამას ღმერთისადმი სიყვარულიდან გამომდინარე სჩადის და მომავლიდან წამოღებულ ენერგიას სიყვარულით ავსებს, ხოლო ჯადოქრის სასწაული კი, ენერგიისგან მომავლის დაცლას მოასწავებს. სიყვარულის ნაკლებობა კი გადაგვარებით და სიკვდილით მთავრდება. ამის შესახებ პავლე მოციქული ამბობს: „სულში სიყვარულის გარეშე ნებისმიერი სასწაული არაც თუ არაფერს ნიშნავს, სახიფათოც კია“.

— ესე იგი შენი აზრით, ამქვეწად რაც მეტ სიკეთეს მოგითხოვთ, ეს იმ ქვეყნად მოგვაკლდება?

— დიახ, ბატონო. ახლოს ხარ ჭეშმარიტებასთან. წმინდა მამების ცხოვრებას თუ კარგად იცნობ, ადვილად მიხვდები, ისინი რატომ გაურბიან ამქვეწიურ სიამეს. მათ არ უნდათ, რომ სიხარული მოაკლდეთ მომავალ მარადიულ ცხოვრებაში. ღმერთის მიერ ჩვენ სიკეთე განსაზღვრული გვეძლევა ორივე სოფელში, ამიტომ მას გაფრთხილება უნდა. ხოლო თუ გვინდა, რომ უფლის მიერ დაშვებული გამუდმებული ტკივილის გამო ოდნავ მაინც შვება ვიგრძნოთ, ეკლესიას უნდა მივმართოთ და არა ჯადოქრებს, რადგან ჩვენი ტკივილის შესამსუბუქებლად ეკლესიის მიერ იმ სოფლიდან გადმოტანილი სიკეთე სიყვარულით ივსება.

— სასწაული კაცი ხარ შენ, ლევან, — არ ისვენებდა „ურწმუნო თომა“, — რას მეუბნები, შენი ლაპარაკიდან გამოდის, რომ რაც მეტი დარდი და ტკივილი გვექნება ამქვეწად, მით მეტ სიხარულს მივიღებთ ზეცაში? ვერ გავიგე, რატომ უნდა მტკიოდეს.

არ ჯობია, აქაც კეთილად ვიყო, ტკივილების გარეშე და იქაც. ღმერთი მოწყალეა. ის თავის შექმნილ ადამიანს ტკივილებისა და ტანჯვისათვის არ გაწირავს.

— ღმერთმა რომ თავის მსგავსად და ხატად შექმნა ადამიანი, ამ საკითხში გეთანხმები, — წყნარად გააგრძელა საუბარი ლე-ვანმა, — და რადგან თავის მსგავსად შექმნა, იგი ასეთივე შემოქმედი უნდა ყოფილიყო. ადამიანი პირველ რიგში სიკეთის და სიყვარულის მთესველი და ჭეშმარიტების მაძიებელი უნდა იყოს. ეს კი მას ხელეწილება მაშინ, როდესაც თავის წილ ტკივილს დაატარებს გულით, რამეთუ ტკივილის გარეშე ღმერთისგან იგი შორს არის, და რა თქმა უნდა, ვერც შეძლებს იმ მადლის მიღებას, რაც სიკეთისა და სიყვარულის შექმნაში დაეხმარება. ამას ქადაგებს წმინდა მამათა თხზულებაც: „ადამიანი უნდა ეცადოს, რომ გულში მოუკლებლად იქონიოს დარღი და წუხილი, რათა დაეხმაროს სულს გადარჩენაში. თუ კაცის სული არ არის მწუხარე, თუ მას ქვეყნიურ ცხოვრებაში არ აკლია შეება და ნუგეში, მაშინ რად დაიწყებს იგი დიდი შემწისა და მფარველის ძებნას ზეცას, რომ შეეწიოს მას ცხოვრებაში?“ ამ გარემოებამ ათქმევინა უდიდეს შემოქმედს მიქელანჯელოს ცნობილი სიტყვები: „ათას სიხარულში არ გავცვლი ერთ ჩემს ტკივილსო“.

ლევანს თავისი წარსულის გამო ტკივილს რა გამოუდევდა. ამიტომ მუდმივად თან ატარებდა და დღეში რამდენჯერმე კითხულობდა ორმოცდამეათე და ოთხმოცდამეათე ფსალმუნებს, რაც მას აძლევდა იმ ღონესა და უნარს, რათა მხოლოდ სიკეთის შექმნაზე ეფიქრა.

ორი ათას ორი წლის ოქტომბერში ლევან სართელს კიდევ ერთი ტკივილი დაემატა, რომელიც მას სიცოცხლის ბოლომდე გაპყვებოდა. ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა აჩიკო თავაძე. მომხდარის გამო სართელი გაოგნებული დადიოდა. გულის არეში ტკივილებმა უმატა. მიუხედავად ამისა, ორმოცამდე ლევანი ფსალმუნებს უკითხავდა აჩიკოს და მუდმივად მოიხსენიებდა

ლოცვებში. ორმოცის შემდეგ ერთ კვირაში სართელმა გულის ოპერაცია გაიკეთა. როგორც ექიმებმა უთხრეს, ცოტაც რომ დაეგვიანა, ინფარქტი განვითარდებოდა. რეანიმაციაში ყოფნის პერიოდში, ჩაძინებულს ხშირად ზარების რეკვა ჩაესმოდა და აღვიძებდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ყველა ეს გაღვიძება დროული და საჭირო იყო ავადმყოფისათვის. ესე იგი, სართელს უფალი იფარავდა განსაცდელისაგან.

ზუთი დღის შემდეგ ლევანი მდგომარეობიდან გამოვიდა. რეანიმაციიდან პალატაში გადაიყვანეს. უკვე თავისუფლად, სხვის დაუხმარებლად დადიოდა. ფანჯარასთან მივიდა. გარეთ დაუცხრომლად თოვდა და ბარდიდა. ლევან სართელს, რომელ-საც წუთისოფლის გზაზე მეგობრები და პარტნიორები დაჰკარგვოდა, ახლიდან უნდა დაწყო ცხოვრება და მოღვაწეობა. მთავარი წინაღობა, ავადმყოფობა უკვე გადალახული იყო.

ის გადარჩა.

ლევან სართელი როგორც იქნა ჩაწვდა პასუხს კითხვაზე რა გადაგვარჩენს?

სხინის ერთი გზა დაგვრჩენია – ღმერთისკენ. და თუკი ღვთი-საღმი სიყვარული ჩვენს სურვილებსა და ნებისყოფაზე ძლიერი იქნება, გადავრჩებით და რაღვან ღმერთია თავად ჭეშმარიტება, ყველა ღვთის შვილს უნდა სწყუროდეს იგი.

დაიბეჭდა გამომცემლობა
„მერანის“ სტამპაში
მხატვრის ქუჩა №4
ტელ: 2-31-70-47; 2-32-73-62
E-male
merani_merani@mail.ru



ჩენ, საქართველოს პატრიარქი ბაზილესმენების პირველი ნაკადი მსხვერპლად შემსწორეთ შეკართნაძის კორუმპირებულ კლანს, რომელთა თარეში დღესაც გრძელდება ჩენის სამშობლოში. უმრავი პატრიარქი ბაზილესმენი შეწირა გვარდიას, მხედროონის და ქურულები სამყაროს მტაცებლურ პოლარკას, რომელიც იმართებოდა ხელისუფლებისავან. ამის გამო იყო ინსპირირებული აქაზეთის, სამარაბლოს ომები და სხვა ეთნიკური დაპირისიმარებები. ყოველიც ამან დაქავაქა, როგორც ქართველი, ისე არაქართველი მოსახლეობა და მათი დასუსტების სარჯებ ქავეანამი შემთხვეული იქნა ე.წ. ინკეტიციები, რომელიც არ ყოფილა უმეტეს შემთხვევაში უცხოური. ეს იყო ჩენის სამშობლოში მარადორებული წესით დატაცირებული ფული, რომლითაც

შეისყიდეს და თავიანთ კერძო შეღლისებლოსაში მოაქციეს ეროვნული სიმდიდრე, კორუფციამ მოიცავ ფეხლა სფრო, მათ შეირის ქართველებისათვის საფიცარი – მართლმადიდულებული კედების გარკვეული ნაწილი.

ანტიქრისტის ტახტი დამოკლეს მახვილიერი დაეკიდა საქართველოს თავზე.

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდიდან – სეიტიცხოვლიდან, საბაც დაფულება უფლის კურთი, ისმის დავით წინასწარმეტებულის სიტყვები: „განიცემს სამოსელი ჩემი მათ შეირის და კუართისა ჩემსა ზედა ვანივთეს წილია“ (ფსალ. 21.19). რაც ერთ მოახერხეს ქრისტეს მტრებმა კუარციმის ღრის, რაც საუკუნის შემდეგ მისი დასრულება ვადაწყიობეს ჩენის სამშობლოში, რაც იმ აკადასსწორებული 90-იანი წლების გამოძახილია.

ღმერითმა ინებოს, რომ ამ უბედურებამ ჩენის თაობაზე გადაიაროს და მომავალმა ახალგაზრდებმა ხედინიერ საქართველოში იცხოებონ. მათ გასავონად კა ეკტევე, რომ მუდმივ ახსოვდეთ სიტყვები წმიდა წერილიდან: „შეწირე ღმერთისა მსხვერპლი ქებისათ და მისეროელენ მაღალისა აღნათქევმი შენი და მხადე მე დღესა ჭირისა შეჩინასა და მე ვისმა შენ და შენ მადიდო მე“ (ფსალ. 49. 14-15).

ISBN 978-9941-93188-8



9 789941 931888 >